(222.5)9-42
ტ-743

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოტე ტოტოჩავა

ბურიანთის ისტორია

თბილისი-1997 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოტე ტოტოჩავა

ვუძღვნი შვილიშვილებს ირაკლი და კახი კირთაძეებსა და ვასიკო (ვასილ) ტოტოჩავას.

ავტორი

გურიანთის ისტორია

თბილისი-1997 წელი

8-743

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმაციის ეპოქა

ევროპელი ადამიანი, ანუ ევროპული ცივილიზაციის ადამიანი, ევროპული=ობა ადამიანის ფიზიკურ ფორმა, ფიზიკურ ბუნებაში ბევრი ისეთი ელემენტია, ბევრი ფენომენი, ბევრი ენერგია (ფიზიკური) ადამიანისა ინფორმაციული.

ადამიანური ენერგია, ადამიანური ინფორმაციული, ადამიანური ენა ან სიტყვა ეფექტურია ინფორმაციულ ენერგიად ადამიანისა. ამისა ასევე ეფექტურია ენა ან ენერგიული ფენომენი ადამიანური ენერგიული ან სიტყვიერი=ინფორმაციული ენერგიული, ანთავისებური ფენომენი ადამიანური ფენომენი ფენომენიერი, ფენომენიერი, ეფექტიანი, ეფექტური, ეფექტიანობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა ან ინფორმაციული ეფექტიანობა. ადამიანური ინფორმაციული ენერგია ადამიანური ფენომენი ენერგიული ადამიანური ენა ან სიტყვა ადამიანური, ესაა ადამიანური ინფორმაციული ენერგია ინფორმაციული ენერგიული ენერგიული ინფორმაციული ენერგიული, 80=ანი ენერგია ეფექტიანი 90=ანი ენერგია ეფექტიანი ანი ენერგიული ინფორმაციული.

ადამიანური ეფექტიანობა ინფორმაციული ენერგიული ენერგიული=ობა ანი ადამიანური ენა ან სიტყვა ადამიანური ადამიანური ადამიანური, ესაა ადამიანური ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორისაგან

დავიბადე 1923 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიან=თაში. ვქენ მიგიღე შეგიდწლიანი განათლება. 1941 წელს დავ=ამთავრე ოზურგეთის №1 საშუალო სკოლა. 1942 წლის იან=ვრიდან 1946 წლის ავტორიტეტამდე გმსახურობდი არმიაში. ვაკრ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. 1946=1951 წლებში ვსწავ=ლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე. ასპირან=ტურაში ვქენ ვსწავ=ლობდი 1951=1954 წლებში. ისტორიის გაკვნინთ 1955 წელს დავიცავი საკანდი=დავტო, ხოლო 1971 წელს — სადოქ=ტორო დისერტაცია. 1973 წლიდან ვარ პროფესორი, ხოლო 1995 წლიდან — ვოლიტიკურ მეცნ=ნიერებათა აკადემი=ის ნამდვილი წევრი — აკადემიკოსი.

K 3

გამოქვეყნებული მაქვს 90=ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 11 მონოგრა=ფია, ორი ნაშრომი გამოცემულია ჩეხეთში.

1974=1987 წლებში გმუშაობდი ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანად და კათედრის გამგედ. უმუალოდ ჩემი ხელმძღვანელობით მომზადდა 50=ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, დი=სერტაცია. განათლების სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული მაქვს საქართველოს უმაღლესი სა=ბჭოს ბრეზიდიუმისა და განათლების სამინისტროს სამადლო სიგელები, დიპლომები, სხვა ჯილდოები, ხოლო 1985 წელს "ეკონ=ომიკური კვლევების მომზადებისა და მეცნიერების განვითარე=ბაში დამსახურებისათვის" მოვენიჭა მეცნიერების დამსახურებუ=ლი მოღვაწის წოდება.

ჩემი სამეცნიერო ნაშრომების მიმნიჭებელი საბჭოს და არაერთი სხვა საბჭოსა და საზოგადოების წევრი.

ქართული ფილატელია

ჩემი წიგნის — "გურიანთის ისტორიის" მეცენატობა იკისრა გურიანთის მკვიდრმა, კეთილმა და ალალმა კაცმა ივანე (ვანიჩკა) კასიანეს ძე ტოტოჩავამ. იგი დაიბადა და გაიზარდა ღარიბი გლეხის ოჯახში. მან უკიდურესი გაჭირვება, შევიწროება, დევნა, დამცირება და შიმშილი ვადაიტანა თავისივე სოფელში. შემდეგ რუსეთის ქალაქებში გადაიხვეწა და იქაც გაჭირვების, უცხო მხარეში დამკვიდრების სიძნელეების გადალახვა მოუხდა.

კეთილი კაცის ნებისყოფამ, უნარმა, გამჭრიახობამ და შრომისმოყვარეობამ ბოლოს გამოიღო შედეგი. ივანემ შეუძლებელი შეძლო. არაჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, შესაშური უნარი გამოიჩინა და რუსეთში დააარსა ასოციაცია — "არქიტექტურა, ტრანსპორტი და ეკონომიკა" და ამჟამადაც მისი პრეზიდენტია. ასოციაციის თავკაცობასთან ერთად იგი ეწევა სხვა კომერციულ საქმიანობას — კომბაინებით, მისი სათადარიგო ნაწილებითა და კაუჩუკით ამარაგებს რუსეთის, უკრაინის და თათრეთის რიგ რეგიონებსა და მრავალ საწარმოს. ივანე პირადი ფუფუნებით არ არის გატაცებული. არც თუ ისე მდიდრულად ცხოვრობს, იცვამს სადად, უბრალოდ და გამოირჩევა სასარგებლო საქმიანობით. მათ შორისაა "გურიანთის ისტორიის" მეცენატობა, რომელიც მან სიამოვნებით იკისრა. ამ საშვილიშვილო საქმისათვის, სიკეთისათვის ბატონ ივანეს დიდ მადლობას მოვახსენებ.

ავტორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინათქმა — 6

თავი პირველი — სოფლის ისტორიის სათავეებთან.....18

თავი მეორე — გურიანთის „სამოურაო“ და „საპოლიციო“.....41

თავი მესამე — ეთნოგრაფიული მასალები.....52

თავი მეოთხე — სკოლა, განათლება, კულტურა.....71

თავი მეხუთე — გურიანთის სამღვდელმთავრო (საწინამძღვრო).....104

თავი მეექვსე — მმართველობის სტრუქტურა.....134

თავი მეშვიდე — საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა, პოლიტიკური რეპრესიები.....157

თავი მერვე — კოლექტივიზაცია. მიზანი, შედეგები.....173

თავი მეცხრე — გურიანთა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.....211

თავი მეათე — სოფლის სოციალური სტრუქტურა. მიგრაციული და დემოგრაფიული პროცესები.....226

თავი მეთერთმეტე — სოფლის მეურნეობის დარგები. გურიანთა 1946-1992 წლებში.....243

დასკვნა — 292

დანართი — 296

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

ისტორია ბერძნული სიტყვაა და კაცობრიობის მიერ განვლილი გზის ნიშნავს, იგი საზოგადოების, ქვეყნის, მხარის, ხალხის წარსულ ცხოვრებას ასახავს. ისტორია წარსულის ცოდნაში, აწმყოს გაგებასა და მომავლის გაანგარიშებაში გვეხმარება.

შდგომა, რომ თანამედროვეთ მთელი ქვეყნის, საქართველოს ისტორიასთან ერთად ახლობელი, მშობლიური რაიონის, ქალაქის, კუთხისა და სოფლის, "გვარ-ტომთა" და "ოჯახების" ისტორია ინტერესებთ, რადგან ზოგადსა და საერთოსთან ერთად თითოეულ სოფელს საკუთარი ისტორია, განვითარების თავისებურებები და საშეცდომეა აქვს. ყოველი სოფლის მიერ განვლილი გზა ერთიანი საქართველოს მემადგენელი ნაწილია.

ქართული საისტორიო მეცნიერება ახლა განვითარების სწორედ იმ ეტაპზეა, როდესაც შესაძლებელია ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მხარის, რაიონისა და სოფლის თავისებურებათა გაანგარება, რაც აუცილებელია საქართველოს ისტორიული განვითარების მეცნიერული შესწავლისათვის. როდესაც ქართველი კაცი წარსულს ეცნობა, თავისი წინაპრების ნადვაწ-ნამოქმედარს აკვირდება, ადრე კითხვებზე უტყუარ პასუხს ისტორიიდან მოელის.

საქართველოს მიწა-წყალზე დადესაც უტყვ, მაგრამ ცოცხალ მოწმეებად ადმართული ნაციხარ-ნაქალაქარნი, "ნასოფლარები, კოშკები, ბურჯები, ეკლესია-მონასტრები, ქვაბ-საბიზარები... მათი დიდი ნაწილის სავანე ჩვენი სოფელია. სოფლების ისტორიის შესწავლით... ირკვევა ის წიგნი, რომელიც ადეგს სოფელს ჩვენი ხალხის გმირულ წარსულში" (მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბ. 1982, გვ. 4).

ყოველი სოფლის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება მთელი საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესებს, იგი უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც განკერძოებული, გაფანტული, არამედ როგორც მთელი ქვეყნის განვითარების განუყოფელი პროცესი. აკად. ნიკო ბერძენიშვილი საძართლიანად ადნიშნავდა, რომ საჭირო მეცნიერულად ავხსნათ და საზოგადოებას ვუჩვენოთ, თუ რამ განაპირობა ქართველი ხალხის ესოდენ დიდი გამძლეობის უნარი, მისი სიმტკიცე-გაუტეხლობა, იმის შეგნება, რომ მას თავი ესახელებდა არა მარტო "ვეფხისტყაოსნით", არამედ საქართველოს თითოეული კუთხის ისტორიით, რომელთა შესწავლა უადრესად აქტუალურია.

უნდა ითქვას, რომ ქართული ისტორიოგრაფია ამ კვლევებშიაა საქმეში გარკვეულაწილად ჩამორჩენა. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა უკრაინის მაგალითი. 70-იანი წლების დასაწყისში უკრაინელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიკოსებმა შეადგინეს და გამოსცეს თავიანთი სახელმწიფოს ქალაქების და სოფლების ისტორიის ამსახველი 26 ტომი: ეს პროცესი დღესაც ინტენსიურად გრძელდება:

თავისი წარსული ცხოვრების ცოდნის მოთხოვნილება მხოლოდ კულტურული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშანია: საზოგადოება, რომელსაც ისტორია არ გააჩნია, კულტურულობას ვერ დაიჩემებს:

რაც უფრო კულტურულია ესა თუ ის საზოგადოება, მით უფრო მდიდარია და მწყობრია მისი ისტორიული ცოდნა, = ამბობდა აკად: ნ: ბერძენიშვილი: საჭიროა ქართველმა ახალგაზრდებმა შეისწავლონ თავიანთი მხარის, სოფლის, წინაპრთა ცხოვრების, საქმიანობის, ბრძოლის ისტორია, გლეხ-კაცის გამრჯე მარჯვენის ნამოქმედარი,მის მიერ სოფლისათვის გაწეული ამაგი: მისი ცხოვრება, შრომა და საბრძოლო გრავიციები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა:

სოფლის ისტორიამ ნათლად უნდა ასახოს, თუ როგორ ებრძოდნენ ქართველნი მომხვდურთ, რა წვლილი მიუძღოდათ ქვეყნის შენებაში, კულტურის განვითარებაში:

ამგვარად შედგენილი ისტორია მეცნიერებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, ხელოვნებისა და სხვა დარგის მუშაკებს დიდად დაეხმარება სწორი წარმოდგენა იქონიონ ქვეყნის დიდი ისტორიის შემადგენელ ნაწილებზე, რაც შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის ახალი შთაგონების წყაროდ იქცევა:

სოფლისადმი მიძღვნილი ყოველი ნაშრომი = კარგად აღწერილი და რეალურად ასახული სოფლის ისტორია ახალ თაობას საშუალებას მისცემს გაეცნოს მისი განვითარების ეტაპებს = წარმატებებს, საფფეისო ჰრობლემებს, სიძნელეებს, დაფიქრებს მისი ჰერსპექტივა, სტიმულს მისცემს აღმშენებლობაში მონაწილეობისათვის: ჰასუხისმგებლობის გრძნობას აღუძრავს = გაუფრთხილდეს მის სახელს:

სოფლის ისტორიის შესწავლა ხელს შეუწყობს წინაპრთა საქმიანობისა და გრავიციებისადმი ჰაგივისცემის სულისკვეთებით აღზრდას: თანასოფლელების შრომისა და ბრძოლის ისტორია მათთვის მახლობელ და გასაგებ მაგალითებზე წარმოშობს ჰაგრიოტიზულ გრძნობას = კეთილშობილ სურვილს გააგრძელონ სახელოვანი ისტორია, მიბაძონ წინაპრებს შრომაში და მამაცობაში: ყოველივე ეს სოფელს კიდევ უფრო ახლობელსა და მშობლიურს ხდის, თანასოფლელებს უღვიძებს სურვილს სახელოვანი აღამიანებისამებრ იღვაწონ და ბევრ რამეში აჯობონ მათ:

სოფლის ისტორიის შესწავლა განამტკიცებს, აგრეთვე, იმის შეგნებას, რომ მხოლოდ თავდადებული შრომით შეიძლება მაგერიალური დოვლათის, სიუხვის შექმნა და დამოუკიდებელი საქართველოს გაძლიერება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი სოფლის სიძნელეების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხომ შრომის პათოსის შენელებასა და ადამიანურ ფასეულობათა ინფლაციის გაყალბებაშია. სოფლის ისტორიის შესწავლა დიდ როლს შეასრულებს ამ ნაკლისა და სიძნელეების დაძლევაში. იგი მკითხველს უთუოდ ჩააფიქრებს, რა კონკრეტული წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა და სოფლის ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ სოფლის ისტორიის შესწავლას ადრე ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა, ხოლო თითო-ოროლა წიგნი თუ ბროშურა, რომლებიც ამ პრობლემას მიეძღვნა, მოვლენათა თანამედროვე განვითარების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი პროცესების ახლებურად გააზრებით, საფუძვლიანად უნდა გადამუშავდეს ან ახლიდან დაიწეროს, ობიექტურად გაშუქდეს.

მართლაც, შეუძლებელია მღელვარების გარეშე გაეცნო მშობლიური კუთხის ისტორიას. ყველა ადამიანს აქვს წარმოშობის სათავე, საიდანაც იწყება ბავშვობა და ყრმობა, სადაც ცხოვრობდნენ მამა-პაპანი, სადაც შეიყვარა დედაენა, შეითვისა ქართული ცხოვრების წესი და ადათი. ვაი იმ გულგამოცლილ ადამიანს, ვისაც დავიწყებია თავისი ცხოვრების საწყისი, მისი ფიქრების აკვანი . ასეთი საწყისი ბევრისათვის სწორედ სოფელია, სადაც იღწვიან შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანები, სადაც ისწავლება სიკეთისა და შრომის ფასი. სადაც თვალწარმტაცი გარემოა – მთები და მობიბინე ველები, ბარაქიანი მინდვრები, მდინარეები და მოჩუხჩუხე წყაროები, უნიკალური ისტორიული ძეგლები. ულამაზესი ბუნება აღვივებს სოფლისადმი უწმინდეს გრძნობას, ანიჭებს მაღალ ადამიანურ ღირსებას. ოღონდ უნდა შეძლოს ამ სიბრძნის გააზრება, საკუთარ საბუდართან კავშირის შენარჩუნება. გულში, როგორც თილისმა, უნდა დარჩეს მამისეული კარმიდამო, ის კუთხე, სადაც ფეხი აიდგი, პირველი ქართული სიტყვა წარმოთქვი. შინაგან მოთხოვნილებად უნდა იქცეს, სინდისთან მარტო დარჩენილებმა ანგარიში ჩავაბაროთ ამ სუფთა საწყისს, ჩვენს სოფელს, მის ხალხს. სოფლიდან უნდა მოგვდევდეს დედა სამშობლოს სიყვარული, რომელიც, დღევანდელი სიძნელეების გამო, თითქოს ნელდება.

დღეს მთავარია დავძლიოთ სოფლისგან გაუცხოების ტენდენცია, გავამრავლოთ და განვამტკიცოთ ტრადიციები, აღვადგინოთ და დავიცვათ ისტორიული ძეგლები, რომლებიც ინახავენ სისხლით დაწერილ საქართველოს ისტორიას. თითოეული ძეგლი ერის საგანძურია, რომლითაც მთელი საქართველო ამაყობს, ამიტომ, კიდევაც უნდა ვუფრთხილდებოდეთ, სანიმუშოდ ვუვლიდეთ და მომავალ თაობებს ვუნახავდეთ მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისასალმებელია, რომ ამჟამად საქართველოში დაგეგმილია ისტორიული ძეგლების აღდგენის დიდი სამუშაოები. ახლა დროა გავუფრთხილდეთ იმას, რაც შემოგვრჩა, შევაგროვოთ და შევისწავლოთ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია სოფლის ისტორიასთან, მის ადამიანებთან, ძეგლებთან, ტრადიციებსა და რიტუალებთან, ეთნოგრაფიულ თავისებურებებთან.

იშვიათია სოფელი, რომელსაც იმდენი ისტორიული ძეგლი გააჩნდეს, რამდენიც სოფელ გურიანთას, მაგრამ, სამწუხაროდ, ალბათ, არსად ისე უდიერად არ მოპყრობიან მათ, როგორც აქ. გურიანთის ტერიტორიაზე არის ვაშნარის და ციხისფერდის ძეგლები, აქ იყო ზედობნისა და კახურის ეკლესია, ეს უკანასკნელი ბარბაროსულად დაანგრიეს, მისი მსახურები გაკრიჭეს, სამრევლოდან შეურაცხყოფილები და დამცირებულები გარეკეს.

ცნობილი ფრანგი მოგზაურის დიუბუას თქმით, ვაშნარში არსებობდა გურიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი, სადაც ყველგან სიმდიდრე ყოფილა ჩაფლული, რომლისათვისაც ვერავის ვერ მიუგნია და მას "უჩინარი" დარქმევია. აქ ყოფილა საუკუნოვანი წიფლნარი, უღრანი ტყე, ნამდვილი წალკოტი. ასეთი ისტორიული ადგილი ნაკრძალად უნდა გამოცხადებულიყო, მისი დაცვა არა მარტო სოფლის, მაზრისა და მთელი საქართველოს საზრუნავი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ასე როდი მოხდა. სამწუხაროდ, ამ უნიკალურ ძეგლებს არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდით, არ ვიცავდით, ისინი გავანადგურეთ, დავუკარგეთ მომავალ თაობას, შეუვსებლად დავტოვეთ ისტორიის წიგნის ფურცელი. ჩვენი სოფლის ისტორიის წერილობითი წყაროების სიმცირეს არქეოლოგიური მასალების განადგურებაც დაემატა და ეს პროცესი დიდხანს გრძელდებოდა, ვაშნარის ისტორიული კედლის ნარჩენები დაიტაცეს, საშენ მასალად გამოიყენეს ან მიწასთან გაასწორეს. დროა ვაშნარის ტერიტორია ნაკრძალად გამოცხადდეს. ამ საშვილიშვილო საქმეში გადამწყვეტი როლი ახალგაზრდობამ უნდა შეასრულოს. უძველესი ისტორიის ნარჩენებმაც კი ჩვენში ეროვნული სიამაყის გრძნობა უნდა გააღვივოს, სოფლისადმი სიყვარული გააძლიეროს.

გულსატკენია, რომ სავალალო მდგომარეობაშია, აგრეთვე, ციხისფერდის ციხე–სიმაგრის კედლების ნაშთები. აქაურობა ეკალბარდით არის დაფარული და მიუვალია. მისი გაწმენდა–გასუფთავება, კედლების რესტავრაცია, ეკლესიის აღდგენა, ბილიკების გაყვანა ტერიტორიის გალამაზება–გამშვენიერება ამ ისტორიულ ადგილს მიმზიდველს გახდის, ათასობით ექსკურსანტის ყურადღებას მიიპყრობს, რადიკალურად შეცვლის ისტორიული ძეგლისადმი სოფლის მცხოვრებთა დამოკიდებულებას, აღუძრავს მათ თავისი სოფლის ისტორიის შესწავლის სურვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერები გურიანთას უძველეს ჰოლიგიკურ ცენტრს უწოდებენ. აქ ადმოჩენილია კერამიკული და მინის ნაკეთობანი, ოქროსა და ბრინჯაოს საგნები, მარმარილოს სვეტები. აქვე აუშენებიათ ადრექრისტიანული ხანის ეკლესია-ბაზილიკა. ციხე-ქალაქის კედლები აროშინნახევარი სისქისა ყოფილა.

გურიანთის გერიგორიაზე ციხისფერდში ადმოჩნდა, ალბათ, გვიანფეოდალური ხანის "ნაკაშიძეების" ციხე. ძეგლებმა გააამდიდრა ჩვენი ცოდნა სოფლის ისტორიასა და კულტურაზე. ამ მიზნით კვლავ უნდა გაგრძელდეს ნიეთიერი კულტურის ნაშთების ძიება.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ გურიანთის გერიგორიაზე უძველესი დროიდან არსებობდა კოლხური კულტურის სფეროში შემავალი ძლიერი დასახლება და როგორ დასანანია, რომ ერის ისტორიის ეს უნიკალური ძეგლები გაჩანაგდა და დაინგრა. მიზეზების ძიება ახლა შორს წაგვიყვანს. ერთი კი ცხადია, განადგურების ამ პროცესს საფთანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს აქაურებმა, რომელთაც თამობების წინაშე უნდა ეგრძნოთ მეგი პასუხისმგებლობა. ასეთივე დაუდევრობა შეინიშნება საქართველოს ბევრ რაიონსა თუ სოფელში, თუმცა, ეს ჩვენთვის რა ნუგეშია. მაგალითად და მისაბაძად ის სოფლები უნდა ავაგოთ, რომლებიც თვალის ჩინივით უვლიან ისტორიულ ძეგლებს. იციან მათი ფასი და ამაყობენ კიდეც.

ძეგლებისადმი უსულგულო დამოკიდებულებამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ. ეს პირველი რიგში გამოიხატა ეკლესიებისადმი ბარბაროსულ დამოკიდებულებაში, მათ დახურვაში, მორწმუნეთა დევნაში.

რელიგიის დევნის საკითხი შემოხვევით როდი დავუკავშირეთ სოფლის ისტორიას. ეკლესიები ერის, რაიონის, სოფლის, მთელი რეგიონის ისტორიის თავისებური მაგიანია. აქვე იხატებოდა ძვირფასი ხელნაწერები და დოკუმენტები, სულიერი კულტურის ამსახველი მასალები, რელიგიური წიგნები. მათი განადგურებით ისტორია გადარიცხდა, მოგლენების ამსახველი დოკუმენტები გაქრა. ასეთ პირობებში წარსულის, შრომითა და ბრძოლით განვლილი გზის შეფასებისათვის თითოეული დოკუმენტი მნიშვნელოვანია. ჩვენი მდიდარი წარსულის შესწავლა შესაძლებელია არა მარტო ადრე მოპოვებული მასალების ახლებურად გაანალიზებით, არამედ, ახალი მასალების მოძიებით, გამოგლენით, მეცნიერთა წრეში მათი შემოგანით. უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო სიძველეთსაცავების დოკუმენტებს, არამედ ოჯახებში დაცულ მასალებს, ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩენილ ამბებსა და მოგლენებს, დვაწლმოსილი ადამიანების მოგონებებს. საჭიროა მათი გამოგლენა-ამეტყველება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საქმით მოსწავლე-ახალგაზრდობის, ფარული საზოგადოებრიობის დაინტერესება. მათი მონაწილეობის გარეშე სრულფასოვანი ისტორია არ შეიქმნება, საამხარეთმცოდნეო და ადგილობრივი მუზეუმები, სოფლის ინტელიგენცია, მოწინავე მუშაკები, მოწოდებული ერიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის ისტორიული წარსულის შესახებ მასალების შეგროვებაში=დაცვაში = ადნიშნავდა აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი.

სასიამოვნოა ადინიშნის, რომ გურიანთის ისტორიის მასალების შეგროვებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სოფლის მოსწავლეები: მანანა ზაქარიაძე, მედეა და მერაბ დოლონტები, მანანა გიორგაძე, ჰაბა-ტა მუჯირი, ალექსანდრე ცერცვაძე, მაია მკვიცა. მოსწავლეებმა ისტორიული წყაროებიდან ამოიწერეს ჩვენს მიერ მითითებული მასალები და მიიღეს არქივში მუშაობის გარკვეული ჩვევები, რამაც მათ მომავალში, შეიძლება, ისტორიული კვლევის სურვილი აღუძრას.

ჩვენი სოფლის ისტორია გვეხმარება დავადგინოთ, თუ "რანი ვიყავი-თ". მოვიგონოთ დიდი ილია მიერ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ = 1889 წელს ნათქვამი სიტყვები: "... ერის ჰირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების ამმოფხვრა ხსოვნისაგან = მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოწყლისა, დარღვევისა და მოლად წაწყმედისაცა. წარსული = მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა... ამიტომაც ერის ნათქვამი, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან ერის მშობელი მერმისისა. ეს სამთა კამთა ერთმანეთზე დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეუცვალელი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი" (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 200).

წარსულის ისტორიის ცოდნის მნიშვნელობაზე ბატონი ივანე ჯავახიშვილი შემოხვევით რომელ წერდა: საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული, საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია, შეაფასოს შრომითა და ბრძოლით გამოვლილი გზა, მაგრამ მან "უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უმყუარი ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი". "გაზვიადებულ ადვოკატური" ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას ან ვისაც წარსულის შესწავლით ჰსურს თავისი ეროვნული შეღახული გრძნობა დაკმაყოფილოს. ხოლო ამგვარი საფუძველი ამრიგადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ჰფიქრობს (ი. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, ტიფ. გვ. 5, 10, 19, 1904).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვეობას ეხმაურება მისი სხვა შეგონებაც: ეროვნული თვითშემეცნების გაღვივებისათვის წარსულის ცოდნას აქვს განუზომლად დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოებს და იმავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს.უკეთესად ვერ იტყვი.

სოფლის ისტორიის დაწერა უაღრესად შრომატევადია და მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს საარქივო მასალების სიმცირე და მათი წარმოების დაბალი დონე. ჩვენ მიერ მოკვლეული მასალების დიდი ნაწილი მოიცავს 1930 წლის შემდგომ პერიოდს და დაცულია ოზურგეთის სახელმწიფო არქივის (შემდგომში – ოსა) რამდენიმე ფონდში (1, 3, 35, 61, 190, 191) და საქართველოს რესპუბლიკის არქივებში. ამ წყაროების უმრავლესობა ასახავს კოლმეურნეობის გამგეობისა და სოფლის საბჭოს მოღვაწეობას 30–იანი წლების დასაწყისიდან და წარმოდგენას არ იძლევა გურიანთის ისტორიის ადრინდელ პერიოდზე. დასახელებული მასალების დიდი ნაწილი დაცულია კილმეურნეთა კრებების, გამგეობისა და სოფლის აღმასკომის სხდომათა ოქმებში. კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა წლიურ საანგარიშო მოხსენებებში, ზემდგომი ორგანოების სახელზე გაგზავნილ მოხსენებებსა და ინფორმაციებში, რომლებიც შედგენილია მაშინდელი ტრაფარეტების მიხედვით და გამოირჩევა ფაქტების დამახინჯებითა და შელამაზებით, "მიწერების" დაკანონებით.

კვლევას ართულებს ისიც, რომ კოლმეურნეობისა და სოფლის საბჭოს თავმჯდომარეთა წლიური მუშაობის ანგარიშები ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. არ იგრძნობა მასალების ანალიზისადმი განსხვავებული მიდგომა, იმ სპეციფიკის თავისებურებათა, უფლება–მოვალეობათა გამიჯნვა, რაც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო კოლმეურნეობის გამგეობისა და სოფლის საბჭოსათვის. თავმჯდომარეთა ანგარიშებში განხილულია ერთი და იგივე (ჩაისა და სიმინდის მოსავლის, მეცხოველეობის განვითარებისა და სხვა) საკითხები, იქმნება შთაბეჭდილება კოლმეურნეობის გამგეობასა და სოფლის საბჭოს თითქოს ერთი და იგივე ფუნქციები ჰქონდათ.

ხშირია შემთხვევა, როდესაც არქივში მასალებს ღებულობენ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებითა და დეფექტებით (აკლია ფურცლები, გაუგებარია თარიღები). რიგ შემთხვევაში დაკარგულია საანგარიშო მოხსენებები, წლიური ანგარიშები, კრებებზე წარმოთქმული სიტყვები. ცნობილი მიზეზების გამო არ იგრძნობა ნაკლოვანებათა კრიტიკა, აზრთა დაპირისპირება, რაც აძნელებს ობიექტური სურათის წარმოჩენას, ისტორიული მოვლენების სწორ შეფასებას, სოფლის სულისკვეთების, ხალხის განწყობის, საზოგადოებრივი აზრის გამოცნობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროს მეორე ჯგუფს წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივისა (სცსა) და საქართველოს უახლოესი ისტორიის არქივის (სუია) ფონდების დოკუმენტები. პირველში დაცულია წყაროები უძველესი პერიოდიდან 1921 წლამდე, ხოლო მეორეში – 1921 წლიდან 1980 წლამდე. სამწუხაროდ, ამ არქივების ათასობით საქმეში არ მოიძებნება არც ერთი საქაღალდე, რომელშიც უშუალოდ, კონკრეტულად გურიანთის შესახებ იყოს საუბარი. ჩვენი სოფლის ისტორიის უაღრესად ძუნწი ცნობები, როგორც წესი, მიმობნეულია სხვადასხვა ფონდებში, სრულიად განსხვავებული საკითხების განხილვისას. ასეთ პირობებში, ცხადია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არქივის ყოველ ახალ საბუთს, რომელიც შუქს ფენს სოფლის ისტორიის რომელიმე ასპექტს, ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ცალკეულ მოვლენასა თუ ფაქტზე. ამ თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა საქართველოს საისტორიო არქივის მე–2, მე–13, 489–ე ფონდების რამდენიმე საქმე, რომელთა შესწავლით დადგინდა გურიანთის "სამოურაოსა" და "საპოლიციოს" ტერიტორიის საზღვრები, მოსახლეობის რაოდენობა, ფინანსური მაჩვენებლები, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მონაცემები, გურიანთისა და კახურის ეკლესიების აშენების თარიღები და მათი მოღვაწეობის დღემდე უცნობი ასპექტები. მარტო 489–ე ფონდში დაცული 60 ათასამდე საქმე ასახავს საქართველოს ეკლესიების აგების თარიღებსა და მათ ღვაწლს. დიდ ინტერესს იწვევს ქუთაისის ცენტრალური საისტორიო არქივის (შემდეგში ქსცა) მასალები.

სამწუხაროდ, ეს მასალებიც არ არის საკმარისი, რომ სრულყოფილად წარმოვაჩინოთ სოფლის შორეული წარსული. საბუთების ნაწილი ცუდად არის გაფორმებული, გვხვდება განსხვავებული, საპირისპირო თარიღები, ციფრობრივი მონაცემები. ყოველივე ეს აძნელებს თარიღებისა და ფაქტების დადგენას, ზოგჯერ ხდება შეცდომათა უნებლიე მიზეზი.

წყაროთა მესამე ჯგუფს განეკუთვნება პოლიტიკური პარტიების არქივში (ამჟამად საქართველოს პრეზიდენტის არქივი, შემდეგში – სპა) დაცული მასალები (ფონდები: 2341, 8269, 8270). აქ ინახება გურიანთის კოლმეურნეობის კომუჯრედის, პარტიული ბიუროსა და კომიტეტის სხდომების, პარტიული კრებების ოქმები, ჩაის ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მასალები. მათი ანალიზისა და სხვა დოკუმენტებთან არაერთგზის შეჯერების შედეგად შუქი მოეფინა ბევრ საინტერესო მოვლენასა და ფაქტს.

ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ–ის) არქივში დაცული დოკუმენტები, რომლებიც შუქს ფენენ სოფელში მცხოვრებ პოლიტიკურ რეპრესირებულთა ტრაგიკულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედსა და ქვეყანაში დაგრიალებულ განუკითხობას.

ეკლესიების შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი წყაროებია ადაგული საქართველოს სავანეებრივად.

სამწუხაროდ, სოფლის ისტორიის, მთელი რიგი მოვლენებისა და ფაქტების დასადგენად საარქივო მასალების ყურადღებით შესწავლა საკმარისი არ აღმოჩნდა. იქ დაცული ცნობები ნაწილობრივ შეავსო ვერიოდულმა ჩრესამ, რომელიც ჩვენ გამოგიყენეთ, როგორც საკვლევი ერთეულების ერთ-ერთი შემნიშვნელოვანესი წყარო, თუმცა, აქაც მოვლენების ობიექტურ, რეალურ ანალიზს ბევრი შეუსაბამობა და ლოგიკური მოწოდება, ფაქტებისა და მოვლენების ალამაზებენ. გამონაკლისს წარმოადგენენ გამეთები: "იგეორია"; "დროება"; "ცნობის ფურცელი"; "საასოფლო გაზეთი"; ჟურნალები: "კვალი" და "მოამბე"; რომელთა ავტორიტეტის გაცნობით მოხერხდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ზოგიერთი მოვლენის, ფაქტისა და თარიღის დადგენა.

წყაროთა სხვა ჯგუფს განეკუთვნება მონოგრაფიები, წიგნები, ბროშურები, საშეცნიერო სტატიები, რომლებშიც ფართოდ ასახულია საქართველოს ისტორიის საერთო პრობლემები. მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს "საქართველოს ისტორიის ნარკვევები" რეგ გომაძე, საქართველოში კოლექტივიზაციისადმი მიძღვნილი დოკუმენტების კრებული და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ამსახველი სხვა მასალები, გამოჩენილ ისტორიკოსთა ნაშრომები.

ბერეთვე უნდა აღინიშნოს , რომ საქართველოსა და მისი სოფლების ისტორიისადმი მიძღვნილ ადრე გამოსულ ნაშრომებს, განკუთვნილი დიონებულების მიუხედავად, აქვთ დიდი ხარვეზები და ყოველთვის ობიექტურ სურათს რომ იძლევიან. ეს განსაკუთრებით ეხება საბჭოთა ვერიოდისადმი მიძღვნილ ნაშრომებს. ჩვენ შეგვიძლია თავი დავაგებლავ ამგვარი შეცდომებისაგან. თუმცა, წყაროების ერთასახოვნება, დოკუმენტების ტრადიციულობა და გაყალბება დღეგანდელი კვლევების უნებლიე შეცდომების მიზეზი ხდება. ალბერნიულ მოსაზრებათა თუ შეხედულებათა უქონლობის პირობებში ეს თითქმის გარდაუვალია. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია არ მოვქცეულიყვნეთ ასეთი დოკუმენტების ფეგეობაში, მოვლენებისა და ფაქტებისთვის მიგვეცა ახლებური შეფასება.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ბურიანთის ისტორიის ერთ-ერთი საკითხი შეისწავლა ჩვენმა თანამოფლემ ალმზირა ტოტოჩავამ: სადი ალომო ნაშრომში = "ბურიანთის ისტორიის გეოგრაფიისათვის"; რომელიც მოიცავს ხელნაწერის 38 გვერდს, ავტორი აშუქებს ჩვენი სოფლის ისტორიული გეოგრაფიის დღემდე შეუსწავლელ ასპექტებს: ახალგაზრდა ისტორიკოსს შეუსწავლია სათანადო წყაროები, თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუყრია მიმოხნეული მასალები ანბანურად და გუროიანთის ისტორიული გეოგრაფიაზე სპეციალური ნაშრომი დაუწერია.

გუროიანთის ეძღვნება ტერიტორიის ნაწილის =ბალიეთის ისტორიას მიეძღვნა შოთა ბაქრიაძის ბოლოდროინდელი ნაშრომი (1977 წ.), რომელიც სქემატურია, ავლენს ზოგად ფორმებში გაანხილავს სოფლის გაანგითარების ზოგიერთ ფაქტს და მოგვცემს: ბრიოშურა არ ეძყარება სავრქველი დოკუმენტებს და წყაროებს; მიიზნად არ ისახავს რომელიმე საკითხის სიღრმისეულად მეცნიერული გაანხილვას; მასში საკუთრივ გუროიანთა მხოლოდ გაკვრითაა მოხსენებული.

გუროიანთის ეკონომიკის საკითხები ნაწილობრივ გაანხილულია ელიასა ბაქრაძის ნაშრომში = "კოლმეურნეობათა საბოგადოებრივი მეურნეობის გაანვითარება" (1967 წ.), რომელიც მიეძღვნა მახარაძის რაიონის სოფლების გაანვითარების ზოგიერთ ასპექტს და მიიზნად არ ისახავს ჩვენი სოფლის ისტორიის ბრიოლეტების გაშუქებას.

ისიც ალსანიშნავია, რომ საბჭოთა ბეერიოდში გამოქვეყნებული ნებისმიერ ნაშრომში ისტორიული ფაქტები და მოვლენები გაშუქებულია სუბიექტურად, ქვეყანაში დამკვიდრებული კონიუნქტურის მიხედვით: ბუნებრივია, რომ ამ ნაკლს ვერ გაექცევ ზემოჩამოთვლილი გამოცემებიც:

წინამდებარე ნაშრომში ასახვა ჰპოვა სოფლის ეტნოგენეზთა მოგონებებმა, ყურადღება დაეუთმო მოქალაქეთა მრავალ პატრიოტულ თავისებურებასა და მოძრაობას, მიმოწერას ზემდგომ ორგანოებთან, წინადადებებსა და საჩივრებს:

სამწუხაროდ, სოფლის ისტორიისათვის მასალების შეგროვებაში მოსახლეობა ჯეროვნად ვერ ჩაებნა: ჩვენი მიმართვა, მოგწოდებინათ სოფლის ისტორიის ამსახველი რაიმე დოკუმენტი, მოგონებანი ნანახის; ლეგენდების; გადმონილისა თუ ნათქვამის შესახებ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, რეაგირების გარეშე დარჩა: ასეთი პასიურობა სინანულს იწვევს: ამ მხრივ უფრესად დამახასიათებელია ა.ნ: ზეიმენიშვილის წერილი გუროიანთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილის გ. ცქიტიშვილისადმი: "ყმაწვილები დაასკვენ (იგულისხმება ექსპედიციის წევრები კ.ბ.) და ზეიმიწვენით ამებნინე ყოველგვარი ნაშთები. მანდაური მოხუცი (თუ არამოხუცი) კაცი (ქალი) არაგორი ივოგენი და ადგილების (მიკრო და მაკრო) სახელები გამოიკითხეთ, ასევე გადმოცემები (ყოველნაირი, ისტორიული, ზღაპრული...)" (საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, გვ. 6). აქედან ნათლად ჩანს საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი როგორ აფასებდა ერთი შეხვედრით უმნიშვნელო ფაქტებს, სოფლის "ადგილების" სახელებს, ყოველნაირ გადმოცემებს, ზღაპრებს: მოსახლეობის ერთი ნაწილის პასიურო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გამო ვინ იცის რამდენი ფაქტი და მოვლენა დარჩა "აუმეტყველებელი". გამოჩენილი მკვლევარის შეგონება დღესაც არ კარგავს მნიშვნელობასა და აქტუალობას.

ისტორიული თხზულებები, ძველი მხატვრული ლიტერატურა, ეპიგრაფიული წარწერები, ეთნოგრაფიული მასალები, მითები, ზღაპრები და სხვა შორეული წარსულის შესწავლისათვის ძვირფას წყაროს წარმოადგენს, მაგრამ მარტო ასეთ წყაროებზე დაყრდნობით წარსულის შესწავლა შეუძლებელია, რადგან ისინი მოვლენებს ასახავენ მეტნაკლები სიცხადით და ვერ წვდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან კუნჭულებს (გ. გობეჯიშვილი. არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, თბ., 1952, გვ. 7).

ცნობილია, რომ ისტორიისათვის ყველაზე საიმედო წყაროა წერილობითი ძეგლები, მაგრამ ხალხების ისტორია იწყება დამწერლობამდე გაცილებით უფრო ადრე. კიდევ მეტი, დამწერლობის უძველესი ნიმუშებიც როდია ცნობილი. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მასალებს, რომლებიც შეუცვლელია წარსულის დასადგენად. ეს შესანიშნავად დაადასტურა არქეოლოგიურმა გათხრებმა ვაშნარსა და ციხისფერდში.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომი ძირითადად ემყარება დოკუმენტურ ბაზას. ამასთან, "იძულებული" ვიყავით იგი "გადაგვეტვირთა" ისტორიული ცნობებით, ციფრებით, დეტალებითა და ნიუანსებით, გვევლო ძნელი გზით, მარცვალ–მარცვალ შეგვეკრიფა ფაქტები, დაგვედგინა ისტორიული მოვლენები, უცნობი თარიღები, მეცნიერულად გაგვანალიზებინა ურთულესი საზოგადოებრივი მოვლენები. ამ გზის არჩევა განაპირობა სოფლის ისტორიაზე ცოდნის შეზღუდულობამ, სურვილმა ხარვეზების დასაძლევად მოგვეხმო მეტი დოკუმენტი თუ საბუთი, მოგვეცა მათი ანალიზი, დაგვეწერა სოფლის მეცნიერული ისტორია. შესაძლებელია, მკითხველისათვის ამ მეთოდით შედგენილი ნაშრომი მოსაწყენი იყოს (იგი ხშირად უპირატესობას პოპულარულ საკითხავ წიგნებს ანიჭებს). ჩვენი ღრმა რწმენით, სპეციალური გამოკვლევის გარეშე "საკითხავი" წიგნების დაწერა ფანტაზიის ნაყოფი იქნებოდა და სოფლის ისტორიაზე მხოლოდ ზედაპირულ წარმოდგენას შეგვიქმნიდა. მეცნიერული მონოგრაფიის მომზადების შემდეგ პოპულარული წიგნების დაწერა შედარებით ადვილი საქმეა, რაც უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს.

გურიანთა ახლა აერთიანებს სოფლებს – კახურსა და ციხისფერდს. ჩვენ მიზნად დავისახეთ ერთ "თემში" გაერთიანებული ამ ორი სოფლის უმდიდრესი ისტორიის ეტაპების, მართვის სტრუქტურის გაშუქება, ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ სტრუქტურაში გურიანთის "სამოურაოსა" და "საპოლიციოს" როლისა და ადგი-

ლის განსაზღვრა, სამღვდელმთავროს მოღვაწეობის წარმოჩენა, საქართველოს გასაბჭოების, ადამიანთა უფლებების შელახვისა და რეპრესიების, კოლექტივიზაციისა და მეორე მსოფლიო ომის სიძნელეების გაშუქება, ომის შემდგომი პერიოდის ფაქტებისა და მოვლენების ანალიზი. მონოგრაფიაში განხილულია, აგრეთვე, კოლმეურნეობის დაშლისა და ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყისი ეტაპის სიძნელეები.

დაბოლოს, შევნიშნავთ, რომ მაქსიმალურად შევეცადეთ არ დარღვეულიყო ობიექტურობა, მოვლენებისა და ფაქტებისათვის მიგვეცა სწორი შეფასება, დაგვესახელებინა მუყაითი და გამრჯე ადამიანები, ცნობილი პიროვნებები. გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთი მათგანი ვერ მოვიხსენიეთ. ეს მხოლოდ დოკუმენტების არასრულფასოვნებით აიხსნება (წყაროებში მათ შესახებ არაფერია ნათქვამი).

აღვნიშნავთ, აგრეთვე, რომ გურიანთის გამოჩენილი ადამიანები ნამდვილად იმსახურებენ მათი მოღვაწეობის ღირსეულ წარმოჩენას, მაგრამ მონოგრაფია სულ სხვა მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე ავაგეთ. ბიოგრაფიები ნაშრომს უთუოდ გადატვირთავდა, რისგანაც თავი შევიკავეთ. ცნობილი ადამიანების, სოფლის თავკაცების მოღვაწეობას უნდა მიეძღვნას სპეციალური ბროშურები, სტატიები და ნარკვევები, რაც მომავლის საქმეა და შედარებით ადვილია.

შრომას ვერ ვურთავთ, აგრეთვე, ფოტომასალებს, რადგან სოფელში არ აღმოჩნდა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ისტორიული ძეგლების ამსახველი სათანადო ფოტოები. "მეორეხარისხოვანი" ილუსტრაციების გამოქვეყნება საჭიროდ არ ჩავთვალეთ, რადგან სოფლის ისტორიას არაფერს შემატებდა და შეიძლება არასწორი წარმოდგენა შეექმნა.

ავტორი დიდი მადლობით მოიხსენიებს ყველას, ვინც სასარგებლო შენიშვნას, რჩევას თუ საბუთს მოგვაწვდის.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიანთას დიდი და სახელოვანი წარსული აქვს, მისი ისტორია ოზურგეთის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ ამ რეგიონში ადამიანს უცხოვრია ძველი ქვის ხანის პერიოდიდან და იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი კულტურაც ჰქონია. აქვე, ადრეფეოდალურ ხანაში, მდინარეების სკურდუმისა და ნატანების შესაყარზე დაარსდა გურიის ძველი დედაქალაქი – ვაშნარი. ახლო, ციხისფერდში აშენდა გვიანფეოდალური ხანის ძეგლების კომპლექსი და შეინიშნება ძვ. წელთაღრიცხვის VI–I საუკუნეების ცხოვრების კვალი.

ქართულ საისტორიო წყაროებში თვით სახელწოდება "გურია" მოიხსენიება გაცილებით უფრო გვიან. რიონის სამხრეთით მდებარე ეს ქვეყანა V–VI საუკუნეებში თითქმის სრულებით უკაცრიელი ყოფილა. აი რას წერდა ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი: "... ეს სწორედ ის ადგილია, რომელსაც გურია ეწოდება... ადგილობრივი თავდაპირველი მეგრულ–ლაზური მოსახლეობა ამოწყვეტილა და VI ს. ეს მხარე ცარიელი ყოფილა. ამგვარად, გურიის ახალი მოსახლეობა შეიძლება გაჩენილიყო VI საუკუნის შემდგომ, VII, განსაკუთრებით VI–VIII ს.ს., მაშინ როცა აღმოსავლეთი საქართველოს იბერია არაბთა მძლავრი და მკაცრი ბატონობის ქვეშ იყო და ხალხი აუტანელ მოხარკეობას გაურბოდა. ახალშენებს რიცხვმრავლობით მცირერიცხოვანი მკვიდრნი გაუქართებიათ, მაგრამ თითონაც შეუთვისებია მათგან ბევრი რამ და ნარევ მოსახლეობას შეუქმნია ახალი ენა–კილო" (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი და მეორე, ტფ., 1913 წ. გვ.57–58).

ისტორიაში ცნობილია ხალხის ინტენსიური გადაადგილების უამრავი ფაქტი. ახლა ძნელია საუკუნეების განმავლობაში მიგრაციის ურთულესი პროცესის დეტალების დადგენა. ისტორიაში ცნობილია, აგრეთვე, პირველი საცხოვრებელი ადგილების იძულებითი მიტოვების მრავალი შემთხვევა, აყვავებული სოფლებისა და ქალაქების გაჩანაგება, ამა თუ იმ დასახლებული ადგილის სტიქიის შედეგად აღგვა. ამასთან, ცნობილია სხვა პროცესიც, როდესაც ერთხელ უკვე გაჩანაგებულ ტერიტორიაზე ახალი მოსახლეობა დამკვიდრებულა. ამ პროცესებს თითქმის ყველგან ჰქონია ადგილი, გამონაკლისი არც გურია იქნებოდა. საუკუნეების განმავლობაში გურიამ ისტორიის მრავალ განსაცდელს გაუძლო და თავისი თვითმყოფადობა შეინარჩუნა. XIX საუკუნის დასაწყისისათვის ეს მხარე საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. 1831 წელს, რუსეთის მიერ გურიის შეერთების დროს, მხარე

ოზურგეთისა და ნაგომრის სამოურაოდ იყო დაყოფილი. "ოზურგეთის სამოურაოში ცხოვრობდა 18.430 სული... ნაგომარში 18.270; ორივეში ერთად 36.700 სული ანუ 4.300 კომლი, ე. ი. კომლზე 8.2/5 სული... ყოველ კვადრატულ კილომეტრზე 20.7/18 სული მოდის" (თედო სახოკია, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ., 1950, გვ. 17) მისივე ცნობით "მცხოვრებნი ... ორთავე სქესისა ოზურგეთში 4.703 სულს არ აღემატება, მათ შორის მამრი 3.015 და მდედრი – 1.688. რამდენიმე მოსახლის გარდა, მკვიდრნი სულ ქართველები არიან. ასეთი წმინდა ქართული ქალაქი საქართველოში სხვაგან იშვიათად შემხვედრია... აქაურები არამც თუ სხვას გადაუბირებია, არამედ თვითონ გამოუჩენია იმდენი სიმტკიცე ხასიათისა, რომ სხვა გადმოურჯულებია თავისებურად, თავის გემოსა და ჭკუაზე. გურულებმა ამ შემთხვევაშიც გამოიჩინეს თავისი ფხა" (იქვე, გვ. 26).

ოფიციალურად ოზურგეთი ქალაქად და მაზრის ცენტრად 1846 წელს გამოცხადდა ("მახარაძე–ლანჩხუთის ქვერაიონის (გურიის) ეკონომიკურ–გეოგრაფიული ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 47). ქალაქის ზრდის დინამიკა გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს გურიის სოფლების ზრდა–განვითარებაზეც. ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ცნობა იმის შესახებ, რომ აქ 1850 წელს ორკლასიანი სასწავლებელი დაუარსებიათ, ხოლო 1856–1857 წლებში ოზურგეთის ცენტრში იდგა ქვის ხუთი და ხის 132 სახლი 306 მცხოვრებით (იქვე).

ციფრები უაღრესად დამაფიქრებელია (შეიძლება არაზუსტიც), ერთი კი ცხადია, სისტემატურად ხდებოდა დანგრეული და გაჩანაგებული ქალაქის აღდგენა, მტრისაგან დარბეული მოსახლეობის უკან დაბრუნება. ეს პროცესი XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა. საგრძნობლად მატულობდა ბუნებრივი ზრდის მაჩვენებლებიც. კერძოდ, 1886 წელს ოზურგეთის მაზრა აერთიანებდა გურიანთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის "საპოლიციო" უბნებს (პირველად მოიხსენიება 1886 წლიდან), 25 სასოფლო საზოგადოებასა და 75846 მცხოვრებთ, მათ შორის 39903 მამაკაცსა და 35943 ქალს (იქვე, გვ. 48). აღსანიშნავია, რომ აქ ქართველები კვლავ აბსოლუტური უმრავლესობა იყო (მოსახლეობის 99,6 პროცენტი). სავარაუდოა, რომ გურიაში არაქართველთა დასახლების ტენდენცია მატულობდა და სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა მომდევნო პერიოდებში.

მაჩვენებლები იმითაც არის საინტერესო, რომ "გურიანთის საპოლიციო" გარკვეულ პერიოდში მთელ ოზურგეთს მოიცავდა. აქვე შევეხებით გურიანთის ტოპონიმს (გეოგრაფიული სახელი), რომელზეც არსებობს აზრთა სხვაობა. ზოგიერთი მკვლევარი მას ტომის სახელწოდებად მიიჩნევს. კერძოდ, მკვლევარი ინგოროყვა წერდა: "ძველად, ანტიკურ ხანაში, დასავლეთ საქართველოში ჩვენ გვაქვს საგომო სახ-

ელწოდება "გური"–ი, ანუ "გერ"–ი, ხოლო აქედან არის ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები: ა) გურ–ია, ბ) ე–გურ–ისი და ე–გერ–ისი, საიდანაც ქართული ენისათვის ჩვეულებრივი ფონეტიკური წესის – რედუქციის (ძირის ხმოვნის ამაღლების) გზით მიღებულია ე–გრ–ისი... ანუ ე–გურ–ისი იგივეა, რაც სა–გერ–ისი... ანუ სა–გურ–ისი. შეადარეთ "გურია" (პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954წ, გვ. 138–139).

გურიანთის ტოპონიმზე უაღრესად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ნ. ბერძენიშვილმა. "ტერმინი გურიელი, – წერდა იგი, – ისევე ნაწარმოებია, როგორც თორელი, თმოგველი, ცხუმელი და სხვა. ის გარემოება, რომ ჩვენ გვიხდება ასეთი სამოხელეო–ადმინისტრაციული ტერმინის წარმოება არა მხარის ("გურია") სახელიდან (კახეთი, ქართლი, ჯავახეთი, კლარჯეთი, ჰერეთი და სხვა), არამედ მხოლოდ სარეზიდენციო ფუნქციიდან (გამოუკლებლივ), გვავალებს ვიფიქროთ, რომ "გურია" ეწოდებოდა არა მარტო მხარეს, არამედ, თავდაპირველად, ამ მხარის ერთ–ერთ პუნქტს... სად იყო ასეთი პუნქტი გურიაში? სოფელი (ქვეყანა) "გურიანთა", მისი ვაშნარით, დამაფიქრებელია" (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 340). მისივე აზრით, გურიანთა მდებარეობდა გურიის შუაგულში. ამ თვალსაზრისს იზიარებს, აგრეთვე, აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი, რომელიც წერს: "ბედიის საერისთავო... მეგრელებით დასახლებულ ტერიტორიაზე აღმოცენდა, ცენტრით ბედიაში, ისევე, როგორც გურიის, ფაქტიურად გურულებით დასახლებულ ტერიტორიას მოიცავდა, ცენტრით, შესაძლებელია, გურიანთაში" (დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 147).

ნ. ბერძენიშვილი სინანულით აღნიშნავდა, რომ სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა საქართველოს იმ უძველესი ქალაქების შესწავლას, რომელთა შესახებ წერილობითი წყაროები არ შემონახულა. ასეთ ქალაქთა შორის, ვანთან, ნოღასა და ფიჭვნართან ერთად, ვაშნარსაც ასახელებს (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, გვ. 361) აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი, იყენებს რა ასირიულ ხელნაწერებს, ასკვნის, რომ "გურიანთა" ოლქია ურარტუსა და გამირის" ქვეყანას შორის. იგი გადასახადს უხდიდა ურარტუს მეფეს. მაგრამ, როცა ურარტუმ გაილაშქრა გამირის (ქიმერიელები) ქვეყნის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელმა იგი დაამარცხა. ეს მომხდარა 715 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე (გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1959 (რუსულად), გვ. 223). ბრძოლები გამართულა სადღაც "გურიანიას" რაიონში. ამ რაიონისათვის რომ მიეღწიათ, უნდა გაევლოთ კულხას (კოლხეთი) ტერიტორია (იქვე, გვ. 223).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდოა, რომ "გურიამთა" ასახავს გურიის სახელის ძველ მთას, მთისა და ვაკის გურიას და ამ ორი ცნების კრებსითობის მნიშვნელობის ტოპონიმია. შემთხვევითი როდი იყო, რომ ცნობილი მეცნიერები გურიანთას ასახელებდნენ მიკროქვეყნისა თუ მხარის ცენტრად, ზოგჯერ ამ ტოპონიმს ავრცელებდნენ მთელს გურიაზე.

ცნობილია, აგრეთვე, რომ მოგვიანებით ტოპონიმი გურიანთა ჯერ ციხისფერდის ერთი თემის ან ერთი სოფლის (კახურის) ამსახველ ცნებად იქცა.

პროფ ი. სიხარულიძე აღნიშნავს, რომ ყოველი სოფლის ტოპონიმი მაშინ იქცევა ქვეყნის სახელად, თუ იგი ასრულებს ცენტრის როლს. ამ მოთხოვნას მკაცრად იცავდნენ საქართველოში ადრეფეოდალური ხანის პერიოდში. "გურიის წარმოშობის დროს გურიანთა იყო გული, ცენტრი საერისთავოსი" ("სახელწოდება გურიისათვის", გაზ. "ლენინის დროშა", 1962წ. 30 დეკემბერი). მისივე დაკვირვებით "გურიანთა" ნაწარმოებია ფუძისაგან "გურ". ადრე ამ ფუძეს მხოლოდ ერთი სუფიქსი "იან" გააჩნდა. "გურიანმა" რამდენიმე სახეცვლილება განიცადა. ერთი მხრივ ეს ტოპონიმი "გური"–ად (რეგიონის სახელი) გამარტივდა, ხოლო მეორე მხრივ, "თა" მწარმოებლის დართვით "გურიანთად", თემის სახელად იქცა. გვხვდება "გურიამთას" ფორმაც (საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შეწავლის საკითხები, სამეცნიერო სესია, მახარაძე, 1987 წ. 19–21 მაისი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1987, გვ. 12).

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ტოპონომიკა ისტორიული მეცნიერების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. "გურიანთის" ტოპონიმის სწორად გაგება მრავალ საკითხს ფენს ნათელს და სამეცნიერო დასკვნებისათვისაც ქმნის ბაზას.

ცნობილია, რომ საქართველოს ციხეებს ჰქონდა სამთავრო, სათავადო, საერისთავო, საციხისთავო და სხვა დანიშნულება. გურიანთის (ციხისფერდი) ციხეს ზოგიერთი მიიჩნევს სათავადოდ (ო. სოსელია, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორია ფეოდალურ პერიოდში, წიგნი 2, თბ., 1981, გვ. 165). იგი ააგეს ამ ტერიტორიის ყველაზე მაღალ ადგილზე, საიდანაც "მთელი ქვეყანა" (გურია) მოჩანდა. ამის გამო ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი წერდა: "სუფსის სამხრით და ბაილეთის ჩრდილოეთ არის გ უ რ ი ა ნ თ ი ს ც ი ხ ე, კლდე გორასა და ზედაშენი. ამის სამხრით დის აკეთ–ბაილეთის წყალი" (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941, გვ. 175).

ახალგაზრდა ისტორიკოსის ლამზირა ტოტოჩავას ვარაუდით გურიანთის "ციხეს" ეკუთვნოდა "ჯუმათის სოფლები", ფეოდალური სამფლობელოები (სადიპლომო ნაშრომი. ხელნაწერი, გვ. 7). დასანა-

ქართული ბიბლიოთეკა

ნია, რომ ეს უაღრესად საინტერესო ვარაუდი სათანადო წყაროებით არ არის დამოწმებული.

გარკვეულ ინტერესს იწვევს გურიანთის "მფლობელთა" ვინაობა. მეცნიერებს დადგენილად მიაჩნიათ, რომ გურიანთის ქვეყანა თავად ნაკაშიძეების მფლობელობაში გადასულა XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში. მათივე მფლობელობაში მოქცეულა კახური (ვაშნარი), ციხისფერდი, ახალსოფელი, ჭანიეთური, გამოღმა ბაილეთი, მაკვანეთი, შეკვეთილისა და გრიგოლეთის ნაწილი ("ნახევარი ზღვისპირეთი"), მათი "მენახევრეები" გურიელები ყოფილან.

სამწუხაროდ, გურიანთის შესახებ უძველესი წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, "გურიანთის ქვეყანა" მოხსენიებულია მხოლოდ XVII–XVIII საუკუნის დოკუმენტებში. თუმცა, საეჭვოა მანამდე იგი არ არსებულიყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ გურიანთა არსებობდა გურიის "ქვეყნის" დაარსების ღღიდანვე. გურია კი "ქართლის ცხოვრებაში" დასავლეთ საქართველოს ერთ–ერთ ქვეყანად იხსენიება VIII საუკუნის პირველ ნახევარში ეგრისთან, სვანეთთან, თაკვერთან და არგვეთთან ერთად. აკი მკვლევარები მიუთითებენ, რომ გურიის ცენტრი გურიანთა უნდა ყოფილიყო. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, აქ ადრეფეოდალურ ხანაში ციხეც უნდა აეშენებინათ (ციხის გარეშე ცენტრი არ არსებობდა), მაგრამ ციხისფერდის გათხრების დროს მისი ნაშთი ვერ აღმოაჩინეს, რის გამოც მეცნიერი დიდ სინანულს გამოთქვამდა.

ვაშნარის ციხე–ქალაქის დაარსების თარიღისა და მშენებლობის შესახებ დიდ ინტერესს იწვევს ნ. ბერძენიშვილის სხვა მოსაზრება. იმოწმებს რა პროკოფი კესარიელის ცნობას (VI ს.), პეტრა (ციხისძირი) არის ლაზეთის უკანასკნელი ციხე–ქალაქიო, იგი მიუთითებს: "... მეორე მხრივ იმ დასკვნის ვარაუდიც შეიძლება, რომ ლაზიკის ამ ნაწილის (ქვემო გურიის) განვითარება სწრაფი ნაბიჯით წავიდა... ისე, რომ მხარის ცენტრმა აქეთ გადმოინაცვლა ("გურია"), მიუხედავად იმისა, რომ პეტრა განაგრძობდა არსებობას და საეპისკოპოს კათედრაც კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ აქ დაარსა. ხომ არ იყო ეს ფაქტი დაკავშირებული იბერიზაციის გაძლიერებასთან, ე. ი. ხომ არ არის ვაშნარ–გურია იბერიზაციის გამოძახილი?... რა მიზეზია, რომ პროკოფი ასე აშკარად ცდება... ლაზიკის ამ ნაწილის დაუსახელობლობით? ან, შეიძლება, მას არასწორი ცნობა მიაწოდეს..." (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 489). მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი არ გამორიცხავდა VI საუკუნეში პეტრასთან ერთად ვაშნარის არსებობას. მალე გურიის ცენტრს იქ გადაუნაცვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებია. მისივე აზრით, ქვეყნის ფეოდალიზაციისა და, შესაძლებელია, პეტრას ბიზანტიელთა დასუსტებასთან ერთად წარმოიშვა გურიანი (ვაშნარი), რომელმაც, შეიძლება, დასაბამი მისცა შემდგომი ფეოდალური გურიის გაერთიანებას. (იქვე, გვ. 479).

ჩვენი ვარაუდით, ადრეფეოდალურ ხანაში (VII–VIII სს), რადგან ვაშნარში უკვე არსებობდა ქალაქი, რომელსაც ციხის როლის შესრულებაც შეეძლო, აქვე, ახლო მეორე ციხის აშენება გაუმართლებლად შეეძლოთ მიეჩნიათ. ეს ხომ დიდ მატერიალურ სახსრებთან იქნებოდა დაკავშირებული. ახალი ციხის აშენების საკითხი შეიძლება დასმულიყო ":მცირე ქვეყნის, გურიის დამამშვენებლისა და თავდაპირველი ცენტრის – ვაშნარის ციხე–ქალაქის " დაცემის პერიოდიდან (VIII საუკუნის დასასრული), ხოლო მისი მშენებლობა უფრო გვიან დაიწყო.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით გურიანთა არის ნეოლითური ნამოსახლარი სოფ. ციხისფერდში (ტ. 3, გვ. 313).

მართლაც, ტოპონიმი "გურიანთა" მაშინ მოიცავდა ციხისფერდს, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 200 მეტრზე და გეოგრაფიულად საუკეთესო ტერიტორია უჭირავს. შემთხვევითი როდია, რომ ნაკაშიძეებს სწორედ ციხისფერდი აურჩევიათ საზაფხულო რეზიდენციად (საზამთრო რეზიდენცია ვაშნარში ჰქონდათ). მათ აქვე აიშენეს საგვარეულო ეკლესია, გაშალეს კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობა, სამწერლო მოღვაწეობა.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ნაკაშიძეთა გვარი ერთ–ერთი "უწარჩინებულესი" გვარი იყო. ო. სოსელიას აზრით სავარაუდოა, მათი სათავადო ჩამოყალიბდა მამუკა ნაკაშიძის მოღვაწეობის დასაწყისში (XVI საუკუნის მიწურული). ამ სათავადოს პირველი მეთაურიც ის უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით ნაყოფიერად უმუშავიათ ბეჟან ნაკაშიძეს და მის მემკვიდრეს – გიორგის (XVII საუკუნის მეორე ნახევარი, XVIII ს. პირველი ნახევარი). მათივე მითითებით, იქაურ მღვდელ საბას აღუწერია "სრული გულანი", რომელიც ცნობილია "ციხის გულანის" სახელით (ო.სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ–პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1981, გვ. 166–167).

ნაკაშიძეებს საგვარეულო წიგნთსაცავებში ჰქონიათ მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ცეცხლისათვის მიუციათ, ღვთისმშობლის ხატი გაუყიდიათ და თანამდებობის პირებისათვის ტანსაცმელი შეუძენიათ (!!). ყოფილი მღვდლის – ცერცვაძის ეს მოგონება ნათელ წარმოდგენას იძლევა ბილშევიკების ათეისტური "მოღვაწეობის" შესახებ.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ნაკაშიძეები (უმრავლესობა) ეწეოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ მნიშვნელოვან კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობას, მაგრამ ზოგიერთი თანასოფლელის აზრით, მემამულე ნაკაშიძეები იყვნენ მკაცრი, დაუნდობელი და გულქვა ადამიანები. ი. დათუნაშვილის მოგონებით ასეთები იყვნენ ივსხი ნაკაშიძე და მისი მეუღლე პელაგია წულუკიძე, შვილი თეოლინა, რომლებიც ფლობდნენ გურიანთის მთელ სავარგულებსა და ტყეებს. მათ არ ჩამოუვარდებოდნენ ბაილეთის მიწების მეპატრონენი ანტონ და გრიგოლ ნაკაშიძეები. მოგონებათა ავტორების მიერ ნაკაშიძეების მიმართ წაყენებული ერთ–ერთი მთავარი ბრალდება იყო მიწების გადაცემა მძიმე პირობებით (გლეხს მიწის ერთი ჰექტარი ფართობის სარგებლობისათვის უნდა გადაეხადა 280 კგ. (17,5 ფუთი) სიმინდი), მაგრამ, ეს განა შეიძლება აუტანელ მოთხოვნად ჩაითვალოს? პირიქით, ნაკაშიძეები მიწებს აძლევდნენ შეღავათიან პირობებში. მოსავლის დიდი ნაწილი რჩებოდათ გლეხებს. კოლექტივიზაციის დამთავრების შემდეგ, ადრინდელი შეღავათიანი პირობებით მიწების აღება გლეხებისათვის კეთილ მოგონებად იქცა.

წამოყენებული ბრალდებების მიხედვით, ნაკაშიძეები წარმოუდგენელ სიმკაცრეს იჩენდნენ ტყეების ხელყოფისათვის. პირუტყვის თითოეული სულის გამოსახსნელად მათ დაუწესებიათ ერთი მანეთის ჯარიმა, რაც დიდი თანხა იყო (კგ. ყველი ღირდა 3–5 კაპიკი). ნაკაშიძეების ასეთი მოქმედების წინააღმდეგ განსაკუთრებული აქტიურობა გამოუჩენიათ გიორგი, ნოე, სერაპიონ, ისაკი, ვარლამ, სანდრო დათუნაშვილებს, რომელთაც მემამულეთა სასახლეზე თავდასასხმელად, თავიანთი პირუტყვის გასატაცებლად, სპეციალური (დათუნაშვილების) რაზმი შეუქმნიათ და ჩანაფიქრიც განუხორციელებიათ. ყოფილა შემთხვევები, როცა რაზმს გაუტაცებია ნაკაშიძეების მოურავები და შინამოსამსახურეები, უცემიათ და შეურაცხყოფა მიუყენებიათ მათთვის. ამ მეთოდით იბრუნებდნენ სხვის ტყეებში უნებართვოდ გაშვებულ პირუტყვს, ასე იცილებდნენ თავიდან ჯარიმებს. დაშინებითა და ძალადობით დათუნაშვილებს ნაკაშიძეებისაგან მიუღიათ 12 ჰექტარი სავარგული და ტყის ფართობი.

ი. დათუნაშვილის მოგონებით ნაკაშიძეებს ტყის მცველებად და შინამოსამსახურეებად ჰყოლიათ სამეგრელოდან მოწვეული გლეხები, რაც, მისივე აზრით, აადვილებდა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მკაცრი ზომების გატარებას.

ადამიანებისა და პირუტყვის შემოსევისაგან ტყის დასაცავად ნაკაშიძეების სიმკაცრეს, ალბათ, თავისი გამართლება ჰქონდა: მოხერხდა ტყის მასივების დაცვა–შენარჩუნება. ეს მით უფრო ხაზგასასმელია, რომ საქართველოს გასაბჭოებას მალე მოჰყვა ტყეების მასობრივი გაკაფვა–დატაცება–გაჩანაგება, რაც მოსახლეობაში დიდ სინანულს იწვევდა. სოფელს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს, დაიკარგა სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ძველი იერი და პეწი, გაქრა უზარმაზარი პოტენციური სიმდიდრე, საშენი მასალისა და შეშის "ულევი" (სწორი ექსპლუატაციის პირობებში) რეზერვი. სამწუხაროდ, ტყის კაფვა–გაჩანაგება დღესაც გრძელდება (თუ დამთავრდა კიდეც), სოფელს მოკვეთეს "ცალი ფილტვი" და გამკითხავი არავინაა.

დოკუმენტები მოგვითხრობენ, რომ ნაკაშიძეები კეთილი, ჰუმანური და განათლებული ადამიანები იყვნენ, ეწეოდნენ ქველმოქმედებას. დასანანია, რომ ზოგჯერ ხელოვნურად მწვავდებოდა ურთიერთობა გლეხებსა და მემამულეებს შორის. კერძოდ, 1918 წელს დაწვეს თეოლინა ნაკაშიძისა და მისი მეუღლის სასახლე. ი. დათუნაშვილის მოგონებით სასახლე გადაუწვავს იოსებ გიორგაძეს ივსიხი ნაკაშიძის მიმართ შურისძიების გამო. ამ უკანასკნელს კი 1912 წელს დაურბევია გიორგაძის სახლი. შურისძიების ასეთი მეთოდები სოფელს "გვარებისა" და წოდებების მიხედვით ყოფდა. მოწინავე ადამიანები გმობდნენ ცალკეული რაზმების "უშიშარ" მოქმედებას და ცდილობდნენ კონფლიქტების თავიდან აცილებას. მართლაც, ადამიანებზე უნდა ვიმსჯელოთ არა მათი კლასობრივი წარმოშობის, არამედ პირადი თვისებების, მოღვაწეობის საერთო შედეგების მიხედვით. სიმკაცრესაც ობიექტური ახსნა სჭირდება. ამასთან, ჩვენი შენიშვნები ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ხელაღებით დავიცვათ თავადაზნაურები. რა თქმა უნდა, მათ შორის იყვნენ მკაცრი და გულქვა, გაუტანელი ადამიანები, რომლებიც იმსახურებდნენ გაკიცხვას. მაგრამ შეფასებისას კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ნაკლთან ერთად დადებითსა და პროგრესულს ვხედავდეთ, საკუთრების დასაცავად კანონიერ მოქმედებას ბარბაროსობად არ აღვიქვამდეთ, წოდებათა ერთიანობის მნიშვნელობის წინააღმდეგ არ ვილაშქრებდეთ.

შურისძიების მიზნით ნაკაშიძის სასახლის დაწვის ზემომოტანილი მაგალითი ჩვენ თანასოფლელთა რამდენიმე ოჯახის სისასტიკეზე მიუთითებს და ეწინააღმდეგება გურიაში გლეხთა მოძრაობის დიდი იაკობ გოგებაშვილისეულ შეფასებას. იგი იწონებდა გურიაში გაშლილი ბრძოლის ცივილიზებულ მეთოდებს და წერდა: "... არც ერთი მემამულე არ მოუკლავთ მხოლოდ იმიტომ, რომ მემამულე იყო,არცერთი შენობა არ გადაუწვიათ" (იაკობ გოგებაშვილი, რჩ. თხზულებანი, ტ. III, 1990, გვ. 80). გოგებაშვილმა გურიის გლეხთა მოძრაობაში დაინახა "განმათავისუფლებელი გზა", "საარაკო ვაჟკაცობა". ეს იყო ამ მოძრაობის არა მხოლოდ ჭეშმარიტად ახლებური პოლიტიკური შეფასება, არამედ თავისებური მოწოდებაც – საქართველოს ყველა რეგიონს მიებაძა მისთვის, სამშობლოს დემოკრატიული განახლებისათვის ბრძოლაში გამოეჩინათ მეტი თავდადება და სიმამაცე, ნაკლები სისასტიკე.

გოგებაშვილი მიმოიხილავს გლეხთა მოძრაობას ქართლშიც (თა-

ვად ქართლელი იყო) და გმობს იმ მეთოდებს, რომლებსაც იქ ხშირად იყენებდნენ. აქაურმა გლეხებმა, –სინანულით წერდა იგი, – მოკლეს არაერთი მემამულე, გადაწვეს საცხოვრებელი სახლები, გაანადგურეს საუკეთესო ნაგებობანი, მათ შორის სკოლები, გამოიჩინეს ყოვლად გაუმართლებელი ძალადობა, რომლებიც წააქეზეს პროვოკატორებმა, ხალხის მტრებმა, მეფის მოხელეებმა და პოლიციის აგენტებმა. ასე "... ისარგებლეს გლეხების უვიცობით, მოატყუეს იგინი, კლასთა ბრძოლა გაამწვავეს იმ განზრახვით, რომ ორივე მებრძოლი კლასი დაეუძლურებინათ და მონობის უღელის ქვეშ დაენარჩუნებინათ" (იქვე, გვ. 81).

სამწუხაროდ, გურიაში სახლების დაწვის არაერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რაც მკაცრად უნდა დაგმოს ყველამ. ჩვენი სოფელი უნდა გახდეს გურულების გოგებაშვილისეული შემდეგი შეფასების ღირსეული მატარებელი: "... თუ ქართველის ერის მეტ-ნაკლებობით გატეხილი სახელი აღდგა და პატივისცემით იხსენიება, რუსეთსა და მთელს განათლებულ კაცობრიობაში, ეს უმთავრესად გურულების მეოხებით, რომელთაც არ დაიშურეს საყოველთაო თავისუფლების მოპოვებისათვის არც თავისი რაინდული სისხლი, არც თავისი ღვაწლიანი სიცოცხლე" (იქვე, გვ. 80).

გურიის, განსაკუთრებით მისი ძველი დედაქალაქის – ვაშნარის, შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან უცხოელი მეცნიერი მოგზაურები, მათ შორის აღსანიშნავია გამოჩენილი ფრანგი მკვლევარი, არქეოლოგი ფრედერიკ დიუბუა მონპერეს მოგონებანი (გურიაში იმოგზაურა 1831 წელს). იგი აღტაცებული წერდა: "აჰა, გავიარეთ "ვაშნარი", სადაც ... იყო ძველად სახელგანთქმული და უდიდესი ქალაქი რომაელებისა ბეტრა, ანუ გურულების "უჩინარი" ... თანახმად ამ ქვეყანაში (გურიაში) ზეპირგადმოცემისა, მე ვიდექი იქ, სადაც, დიდი ხნის წინათ, შეიძლება 1000 წლიწადი იყო მას აქეთ, არსებობდა გურიის ერთი უდიდესი ქალაქთაგანი... აქ ყველგან სიმდიდრე იყო ჩაფლული, მაგრამ ვერავინ მიაგნო არც წინათ და არც შემდეგ. ამიტომ, იმავე ზეპირგადმოცემის თანახმად "უჩინარი" დაერქვა" (თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 15).

დიუბუას ეს მოსაზრება თავის მხრივ ემყარება ბერძენ პროკოფი კესარიელს, რომელიც დაბეჯითებით მიუთითებდა "უჩინარი" პეტრა იყოო. ცნობილი ეთნოგრაფი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე თ. სახოკია, თავის მხრივ, "უჩინარის" ისტორიაზე მოგვითხრობს: "ბიზანტიის იმპერატორ იუსტიანე პირველის დროს ბიზანტიელებს მოუკიდიათ აქ ფეხი და დაუარსებიათ სიმაგრე, სპარსთა მეფის ხოსროს დროს და ეს ქალაქი სპარსელებმა დაიპყრეს. ქრისტეს შემდეგ სპარსელთა და რომაელთა შორის ზავი ჩამოვარდა და ისევ რომაელები დაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრონებიან. პეტრას ციხე–ქალაქს იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება ჰქონია მიქცეული ყველასაგან. 550 წელს პეტრა დანგრეული იქნა" (იქვე).

ნიშანდობლივია, რომ უცხოელ მოგზაურებს ვაშნარი პეტრაში (ციხისძირი) ერეოდათ. თედო სახოკია სამართლიანად მიუთითებდა, რომ ცდებიან ის მოგზაურები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ძველი პეტრა ახლანდელი ვაშნარი იყო. ადგილის აღწერიდან ნათლად ჩანს, რომ ლაპარაკია ვაშნარზე და არა პეტრაზე. დიუბუა მონპერე წერდა: გავჩერდით იქ, ..."სადაც მდინარე სკურბედი (იგულისხმება სკურდუმი კ. ტ.) მდ. ნატანებს ერთვის, დიდი ხნის წიფლების ქვეშ "ხავსმოკიდებული ნანგრევები ხეების უშველებელ ფესვებზედ ცნობისმოყვარეობას მიძრავს" (იქვე). და აქვე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს უნდა ყოფილიყო ქ. პეტრა.

ეთანხმება რა ძველ ბერძენ ისტორიკოსთა მოსაზრებას, თედო სახოკია წერს: "... პეტრა ყოფილა, ჯერ ერთი, შავი ზღვის პირას და მეორეც, კლდიან ადგილას, ხოლო "ვაშნარი", სადაც სკურდუმი მდ. ნატანებს ერთვის, ვაკე ადგილია, კლდის ნასახიც არ არის და აქ აშენებულს ყველა მხრიდან მოუდგება კაცი" (იქვე, გვ. 16). აქედან ნათელია, რომ დიუბუამ ვაშნარის ადგილი სწორად გამოიცნო, მაგრამ მას შეცდომით პეტრა უწოდა, ხოლო აქაური ციხე–სიმაგრე, ქრისტიანული სამლოცველო წარმართულ ტაძრად მიიჩნია. შეცდომა–უზუსტობის მიუხედავად, დიუბუას დაკვირვებას მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მრავალმხრივ საინტერესოა. პირველ რიგში, ზუსტად არის განსაზღვრული ვაშნარის ადგილ–მდებარეობა, მეორე, აქ ყოფილა მრავალწლოვანი წიფლები და ხავსმოკიდებული ნანგრევები. სამწუხაროდ, ახლა არც ტყეა და არც ქალაქის კედლების ნანგრევები, ყველაფერი აკაფეს, დაანგრიეს და გაანადგურეს. დიდი შეცდომა იყო, აგრეთვე, ამ ადგილზე ჩაის ფაბრიკის აშენება.

დასანანია, რომ გურიანთელებმა ამ ისტორიული ადგილის დასაცავად ხმა არ აიმაღლეს. ეს იყო აუნაზღაურებელი შეცდომა. ასეთი ისტორიული წარსულის მქონე ადგილი ნაკრძალად უნდა გამოეცხადებინათ და მისი არქეოლოგიური შესწავლა უნდა გაეგრძელებინათ. დარწმუნებული ვართ, რომ გამოვლენილი ახალი მასალები საქართველოს ისტორიას ლამაზ ფურცლებს შემატებდა, დიუბუა ხომ არაორაზროვნად მიუთითებდა: "აქ ყველგან სიმდიდრე იყო ჩაფლული, მაგრამ ვერავინ მიაგნო". სამწუხაროდ, ჩვენ ამ სიმდიდრეს ვერ გავუფრთხილდით, არც გვიცდია სათუთად დაგვეცვა, რაც შემოგვრჩა და გვეპოვა, რაც გაიბნა და დაიკარგა. აქ მცხოვრებთ სათანადო მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ იმისათვის, რომ გურიის უძველესი პოლიტიკური ცენტრი სწორედ გურიანთის ტერიტორიაზე (ვაშნარი) აღმოცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და ამ ადგილმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიო მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო.

აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური მასალების მნიშვნელობის შესახებ დღეს ბევრი იწერება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ერის ისტორიაში იყო არაერთი შემთხვევა, როცა "... ქართველი ხალხის წინაპართა უძველესი კულტურის ბევრი ძეგლი მიწის ქვეშ მოექცა. იგი თითქმის საბოლოოდ განშორდა მზის სინათლეს და დაიკარგა მომავალი თაობისათვის. ისტორია იძულებული ხდება შეურიგდეს ასეთ ვითარებას და შეუვსებლად დატოვოს თავისი წიგნის სათანადო ფურცელი. ყოველ შემთხვევაში ასე იყო წინათ, სანამ ჩვენი სამშობლოს შორეულ წარსულზე იმსჯელებდნენ მხოლოდ მითების, ლეგენდებისა და, უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე წერილობითი ძეგლის მიხედვით." (გ. გობეჯიშვილი, დასხ. ნაშრომი, გვ. 7–8). ამასთან, მეცნიერი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ ახლა ვითარება შეიცვალა, საქართველოს ისტორიის მკვლევართ მხარში ამოუდგა ქართული არქეოლოგია, რომელიც უძველესი დროის მეურნეობისა და კულტურის შესწავლას ძირითადად ახორციელებს დედამიწის სხვადასხვა ფენაში დამარხულ ძეგლთა შესწავლით. არქეოლოგია იყენებს წერილობითი ისტორიის, ეთნოგრაფიის, პალეოგრაფიის, პალეოზოოლოგიის, პალეობოტანიკისა და სხვა მონათესავე მეცნიერებათა მიღწევებს და, თავის მხრივ, აძლევს მათ უმდიდრეს მასალას.

არქეოლოგია მნიშვნელოვნად ავსებს წერილობითი წყაროების ხარვეზებს. მაგალითად, წინათ არაფერი ვიცოდით იმის შესახებ, რომ ფეოდალური საქართველოს აყვავების ეპოქაში გვქონდა მხატვრული ჭურჭლის ადგილობრივი წარმოება. არქეოლოგებმა კი აღმოაჩინეს წარმოების ბევრი ასეთი ნაშთები ქ. თბილისში. შეიძლება მივუთითოთ სხვა ასეთ მაგალითზეც. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში დიდხანს მეტოქეობდნენ ბიზანტია და სპარსეთი. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა ხელში ჩაეგდოთ მდიდარი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ძველი ლაზიკა. ბიზანტიელთა აღწერილობაში, მწერალთა ცნობებში, ისტორიულ წყაროებში არაფერია ნათქვამი მრავალი ქალაქისა და სოფლის შესახებ. დოკუმენტები მოგვითხრობენ მხოლოდ იმ ზოგიერთი ციხე–ქალაქის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო სამხედრო ოპერაციებთან. წყაროებში არაფერია ნათქვამი, აგრეთვე, ნაგებობათა ხუროთმოძღვრების სტილის შესახებ. ეს დაადასტურა არქეოლოგიურმა გათხრებმა ვაშნარში. "იქ, ვაშნარში, მიწის ფენები მალავდა ძველი ლაზიკის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ციხე–ქალაქის ნანგრევებს, რომლებიც გათხრებით ვლინდება. ეს ქალაქი სწორედ ბიზანტია–სპარსეთის ომების დროული (VI–VII სს) ძეგლია, თუმცა, ძველ წყაროებში კი არ იხსენიება" (გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 10). ასეთი მაგალითები მრავალია.

აქედან ნათელია, თუ საქართველოს ისტორიისათვის რა დიდი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიას. ეს მით უფრო ითქმის დამწერლობამდელი ისტორიის შესწავლაზე. და რაოდენ დასანანია, რომ ერის კულტურის შესანისნავი ნიმუშები განადგურდა, მიწის ქვეშ მოექცა და დღემდე შეუსწავლელია. არანაკლებ დასანანია ისიც, რომ ზოგიერთი განძს მიწაში ფლავდა, ხდებოდა ისე, რომ განძის პატრონი საიდუმლოს გაუნდობლად გარდაიცვლებოდა (იქვე, გვ. 4), სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები გურიანთაშიც იქნებოდა. ჩვენი ვალია ვეძიოთ და შევისწავლოთ ჩაფლული სიმდიდრე, ერის განძი. თუმცა ვაშნარის ძეგლების განადგურებამ რაიმე ახალი მასალების მოპოვების მხოლოდ მცირე შანსი თუ დაგვიტოვა.

დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ვაშნარის ისტორია დღემდე სათანადოდ არ არის გაანალიზებული. საინტრესოა მისი შესწავლის სათავეები, პირველად იგი ინახულა, აღწერა და სქემატურ რუქაზე გადაიტანა ფრედერიკ დიუბუა მონპერემ. ეს მასალები შევიდა მის "მოგზაურობათა" მრავალტომეულის მესამე წიგნში, რომელიც პარიზში გამოქვეყნდა 1839 წელს, ხოლო 1843 წელს დაიბეჭდა მის მიერვე გამოცემულ კავკასიის ატლასში.

ვაშნარის შესწავლას მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქარაძემ, რომელმაც 1873 წელს აღწერა იგი და ქალაქის სქემატური გეგმაც შეადგინა. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რა ამ ისტორიული ძეგლების შესწავლას, იგი ოცნებობდა არქეოლოგიურ გათხრებზე. ამ მიზნით მას 1874 წელს კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებისათვის სპეციალური განცხადებით მიუმართავს. საზოგადოებას ეს საქმე მიუნდვია არქეოლოგიის მოყვარულ, თბილისში მცხოვრები ბეიერნისათვის, რომელსაც ადრე, მცხეთის გათხრებში, გაუთქვამს სახელი, მაგრამ ეს ჩანაფიქრი მაშინ ჩაიშალა.

დიდ ინტერესს იწვევს ბაქრაძისეული მოსაზრება თვით ვაშნარის სახელწოდების შესახებ. ტოპონიმი "ვაშნარი", მისი აზრით, დაკავშირებულია ვაშლის ხეების სიმრავლესთან. ზუსტია ციხე–ქალაქის მისეული აღწერა: "ვაშნარი მდებარეობს ზღვიდან 20 ვერსზე, ოდნავ შემაღლებულ ბაქანზე, მდინარე ნატანების ორი უმნიშვნელო შენაკადის საცივეს და სკურდების შესაყართან. იგი ყოველ მხრიდან გაშლილია: ახლომახლო არც ხეობაა, არც მთები, არც კლდები... ვაშნარის ნაგებობანი, რომლებიც ორმაგ თუ სამმაგ კვადრატულ ფორტს ჰგვანან, რომელსაც, გარდა საცხოვრებლებისა, შუაგულში, მრავალი კოშკი აქვს დატანებული... არაფრით არ მოგვაგონებს სახელდახელოდ აღმართულ სიმაგრეს, როგორც პეტრა იყო მტრული მოსახლეობით გარშემორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყმულ ქვეყანაში ომის დროს აგებული" (დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და სამეგრელოში, ბათ., 1987, გვ. 232).

მკვლევარი ვაშნარის შესახებ გვაწვდის სხვა მდიდარ ცნობებსაც, აქ საშენ მასალად მეტწილად გამოუყენებიათ "... 7–8 ვერსიდან მიზიდული ბაზალტის ქვა" (იქვე, გვ. 232). ვაშნარი წყალს იღებდა რამდენიმე ვერსიდან. მიწისქვეშა მილები მაშინაც ყოფილა შემორჩენილი. წყალსადენი გალავნის შიგნით ორ ტოტად იყოფოდა. ერთი მათგანი მიემართებოდა "უცნაური ხუთწახნაგოვანი შენობისაკენ". ეს შენობა მან აბანოდ მიიჩნია (სხვა წყაროებით სამლოცველო ყოფილა). შენობის აღმოსავლეთიდან ეშვებოდა ქვის კიბე. შიგნით კი ირგვლივ საჯდომები მოეწყოთ და ორივე მხარე შთავრდებოდა ნახევარწრის ფორმის ორი განყოფილებით.

დ. ბაქრაძის ვარაუდით ვაშნარი ერთ–ერთი ბერძნული ახალშენია, რომლებითაც ძ.წ. VI საუკუნიდან მოფენილი იყო შავი ზღვის სანაპირო. ვაშნარის ნაგებობათა კედლის სისქე არშინნახევარი ყოფილა. კოშკებისა და საცხოვრებლის დიდ ნაწილს ხანძრისა და დიდი ნგრევის კვალი არ ემჩნეოდა. შიდა ფასადები, პირველ რიგში კვადრატული კოშკების კარები, მოპირკეთებული იყო საგულდაგულოდ გათლილი ქვით. "ვაშნარის ნანგრევებში, – განაგრძობს მეცნიერი, – ნაპოვნია სხვადასხვა ზომისა და ფორმის კერამიკულ ნაგებობათა უამრავი ნამსხვრევი; ყურიანი და უყურო შუშის ნაკეთობათა ნაშთები; სახურავი აგურის ფილები, გადაკეცილი, სწორედ ისეთი, სამთავროს სამარხებში რომ აღმოჩნდა მცხეთაში; კირისა და დაფხვნილი აგურისაგან შემზადებული ცემენტი, რომლითაც, ალბათ, შელესილი იყო კედლები და რომელიც ძალიან ჰგავს იმ ბათქაშს... ნაირ–ნაირი ქანგმოდებული საგნები რკინისა და ბრინჯაოსი... თეთრი მარმარილოს სვეტები; ამოღარული მარმარილოს ფილა" (დიმიტრი ბაქრაძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 233).

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ვაშნარის კოშკები და საცხოვრებელი სახლები თავამდე ამოვსებული ყოფილა ჩამონგრეული ქვებით. მათი ყურადღებით შესწავლა ბევრ საინტერესო მასალას მოგვაწვდიდა. ციხე–სიმაგრის გაწმენდა პირველად თავად დიმიტრი ნაკაშიძემ დაიწყო. ნაგებობისადმი მას დიდი ინტერესი გამოუჩენია, აღუდგენია შიგა კვადრატის სამხრეთის კედელი, გაულამაზებია იქაურობა და იქ დასახლებულა კიდეც (იქვე).

ზემომოტანილი ცნობებიდან ჩვენ გამოვყოფთ ფრაზას – "ვაშნარის ნაგებობანი ... არაფრით არ მოგვაგონებს სახელდახელოდ აღმართულ სიმაგრეს, როგორც პეტრა იყო". მეცნიერის დაკვირვებით, ვაშნარის ციხე–სიმაგრეს საგულდაგულოდ, დიდხანს აშენებდნენ. მას სამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქო (საცხოვრებელი) და სამხედრო დანიშნულება ჰქონია, რითაც ციხისძირი (პეტრა) ვერ შეედრებოდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ვაშნარისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა. 40–იან წლებში მან სპეციალურად დაათვალიერა ვაშნარის სიძველენი და საინტერესო მოსაზრებანი გამოთქვა. განზრახული იყო ციხე–ქალაქის საგულდაგულო არქეოლოგიური შესწავლა, მაგრამ 1949 წელს აქ დაწყებულმა ჩაის ფაბრიკის მშენებლობამ გათხრების დაჩქარება განაპირობა. შეიქმნა სპეციალური ექსპედიცია, რომელშიც შევიდნენ: გ. გობეჯიშვილი (ხელმძღვანელი), ო. ღამბაშიძე (მოადგილე), ირ. ციციშვილი (არქიტექტორი), დ. ხახუტაშვილი და სხვა. გათხრები ორ თვეს მიმდინარეობდა. შეისწავლეს ციხე–ქალაქის სამხრეთ–აღმოსავლეთისა და ჩრდილო–დასავლეთის ნაწილი, სადაც განლაგებული იყო ფრიად საინტერესო ძეგლები, რომლებიც ფაბრიკის საძირკვლის ჩაყრისას დააზიანეს და გაანადგურეს.

გათხრების შედეგები გამოქვეყნდა გ. გობეჯიშვილის ზემოდასახელებულ ნაშრომში. წიგნში უაღრესად საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული. მკვლევარის აღწერით "შემაღლებული ადგილი ვაშნარი სამი მხრით შემოზღუდულია ფლატენაპირიანი მდინარეებით. ბუნებით გამაგრებულ ამ ვრცელ ფართობზე ჩვენს წინაპრებს დამატებითი ზღუდეებიც აუგიათ. ესენია ქვიტკირის მტკიცე კედლები, რომლებიც პარალელურად გამავალ მდ. ნატანების და მდ. სკურდუმის ნაპირებს აერთიანებს და ნაწილობრივ მათ გასწვრივაც გაუყვება. ქალაქის ყოველ მხარეზე წვრილ–წვრილი ზღუდეა, რაც თავდაცვის უზრუნველსაყოფად შენდებოდა. შიგა ზღუდის კედლებთან ყოველ ორმოც მეტრზე აგებულია მცირე კოშკი და სხვა შენობები, რომლებშიც გამოირჩევა ადრექრისტიანული ხანის ეკლესია და რომელიღაც სხვა სამლოცველოს ნაშთები (გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154).

ექსპედიციის მიერ შესწავლილი ძეგლებიდან აღსანიშნავია ქვა ბერძნული წარწერით, რომელიც ამოიკითხა პროფ. თ. ყაუხჩიშვილმა.

საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ვ. ლექვინიძემ, რომელმაც 1961 წელს ძეგლი არქიტექტურულად შეისწავლა. მან ციხე–ქალაქი VI–VII საუკუნეებით დაათარიღა (პროფ. ი. სიხარულიძის აზრით, ვაშნარი უფრო ადრინდელი ძეგლიც შეიძლება იყოს).

არქეოლოგიური ექსპედიციის დამსახურებაა აკროპოლისის ზღუდის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის ეკლესიისა და მავზოლეუმის გამოვლენა–შესწავლა. ზღუდის კედლის (ნაგები იყო უხეშად დამუშავებული და ფლეთილი ქვებით) სისქე ნაკლები იყო (ერთი მეტრი), ვიდრე სხვა კედლებისა. ამას თავისი გამართლება ჰქონდა. ზღუდის ეს ნაწილი (მდ. ნატანების მხარეს) შედარებით მიუვალი იყო. მეცნიერების ვარაუდით ციხე–ქალაქის მისადგომებთან ზღუდის კედელი უფრო სქელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპედიციამ გამოავლინა, რომ ზღუდის კედელს შიგნიდან მიშენებული ჰქონდა კოშკი (8X8 მეტრზე) ორი შესასვლელით. ვარაუდობენ, რომ ასეთი კოშკები აქ სხვაც იქნებოდა (მსგავსი კოშკები საქართველოში მხოლოდ უჯარმაში გვხვდება). გათხრების დროს აღმოჩნდა, აგრეთვე, ბაზალტიკის ჩრდილოეთის ახლო მდებარე, მეტად მნიშვნელოვანი მავზოლეუმი, რომელიც წარმოადგენდა კვადრატული ნაგებობის ორმაგი კედლის ორ არათანაბარ სათავსოს, მავზოლეუმში იპოვეს რამდენიმე სამარხი, სვეტებისა და კრამიტების ფრაგმენტები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ვაშნარის ციხე–სიმაგრე აუშენებიათ ძლიერ მტკიცე კირის დუღაბით, ზედმიწევნით კარგად გამომწვარი აგურითა და კრამიტით, ლამაზად გათლილი ტუფის ქვით, მხატვრულად დამუშავებული მარმარილოთი. ნაგებობას სიმტკიცეს აძლევდა და ლაზათს მატებდა დანაყილი აგურისა და ქვიშის ხსნარი. ძველ ვაშნარელებს გულმოდგინედ უზრუნვიათ, აგრეთვე, წყალსადენის გამართვისათვის. წყალი გამოუყვანიათ შორი მანძილიდან დახურული თიხის მილებით, რომლებიც მიემართებოდა ნაგებობათა კედლების გასწვრივ, რაც წყალსადენს იცავდა დაზიანებისაგან.

ექსპედიციამ, გაწეული დიდი მუშაობის მიუხედავად, ვერ დაადგინა ვაშნარში აღმოჩენილი ქალაქის სახელი, რაც მომავალი გათხრებს დროს უნდა გარკვეულიყო. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ქალაქის ნანგრევებს შორის აღმოჩნდა წარწერათა ნატეხები, რომლებიც განადგურდა ჩაის ფაბრიკის აშენებისას, ამას დაემატა მიმდებარე ტერიტორიაზე საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა, ისტორიული ძეგლების ნაშთების სამშენებლო მასალებად დატაცება, ასე გაქრა წარწერების ამოკითხვის, და იქნებ, ქალაქის სახელის დადგენის უკანასკნელი იმედი.

ქალაქის სახელის დაუდგენლობა არ ამცირებს ვაშნარის ძეგლის ისტორიულ ღირებულებას. მთავარია, რომ ჩვენს წინაშე აღდგა წყაროებში მანამდე უცნობი დასავლურ–ქართული ციხე–ქალაქი (გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156), რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ისტორიაში.

ვაშნარისა და ციხისფერდის ძეგლები ჩვენი სოფლის მაღალი კულტურის უტყუარი მატიანეა.

ისიც უნდა არინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ვაშნარის ციხე–ქალაქის შესახებ სხვადასხვა აზრია გავრცელებული.

ხელოვნებათამცოდნე ვ. ლექვინიძე ვაშნარს მიიჩნევს "გამაგრებულ მონასტრად" და არა ციხე–ქალაქად. ეს მოსაზრება არ გაიზიარა ქართული კულტურისა და ყოფის მკვლევარმა გ. ლომთათიძემ, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იც მიუთითებს იქ გამოვლენილი "ქალაქური ნაშთების შესახებ". აღიარებს ვაშნარში ქალაქის არსებობას ("საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. II, გვ. 563). მისივე აზრით, წინათ ციხე–ქალაქებს სწორედ მსგავს ადგილებში (ორი მდინარის შესართავის მაღალი და ვიწრო კონცხი) აშენებდნენ. უჯარმის ციხე–დარბაზის მსგავსად, ვაშნარს შემოვლებული ჰქონდა ქვიტკირის ორმაგი ზღუდე, თანაბარი, წესიერი კვადრატებით შემოსილი, შიდა კედლის ყოველ ორმოც მეტრზე დატანებული გოდოლებით (იქვე, მაგ. 564).

"საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის ავტორთა აზრით, ვაშნარის ციხე–ქალაქის კომპლექტი თარიღდება V–VIII, ხოლო საკუთრივ ტაძრები V–VI საუკუნეებით. ეს უკანასკნელი, ბიჭვინთის ძველი ტაძრების მსგავსად, საუკეთესო ნაგები ყოფილა და შეიძლება ჩაითვალოს ეგრისში შემავალი ქვეყნის (მერმინდელი გურიის) ცენტრად ქცეული ქალაქის დამამშვენებლად.

"ნაგებობათა მხატვრული იერი, სამშენებლო კერამიკისა (კრამიტის, აგურის, მილების) და კირის ხარისხი... მარმარილოს სამოსელი, აგრეთვე ზღუდეში შემავალი წყალსადენიც და კერამიკანარევი წყალგამძლე იატაკებიც, კულტურის, სახელდობრ, სამშენებლო ხელოვნებისა და ტექნიკის განვითარების ისეთ მაღალ დონეს მოწმობს, რომ ეს ძეგლი ერთ–ერთ თვალსაჩინო მოწმობად გამოდგება ეგრისი-ლაზიკის ყოველმხრივი დაწინაურებისა" (იქვე, გვ. 564).

ციხე–ქალაქის წყობა იმეორებს "უჯარმულისა" და "გორგასლურ" ციხედარბაზის (ქართლის არმოსავლეთი) წყობას "... და რომელთაც არ მოეპოვებათ ანალოგია არც საკუთრივ ბიზანტიურსა და არც ეგრისში იქაური გავლენით ნაშენ ძეგლებში. ეს კი ეგრისისა და ქართლის მჭიდრო კულტურული ურთიერთობის ერთ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ" (იქვე). ასეთია ერის ისტორიის მრავალტომეულის ავტორთა კოლექტივის, ცნობილ მკვლევართა დასკვნა. საქართველოს ისტორიაში ვაშნარის ციხე–ქალაქის მნიშვნელობის შეფასების ახლებურ მიდგომას ჩვენი სოფლის მცხოვრებნი სიამაყით აღიქვამენ.

დიდ ინტერესს იწვევს ვაშნარის ციხე–ქალაქის ასაკის საკითხიც. ავტორების უმრავლესობა ბუნდოვან თარიღებს ასახელებს. ვაშნარის გათხრების ექსპედიციის ხელმძღვანელის გ. გობეჯიშვილის ვარაუდით ვაშნარი "მსგავსია და, ალბათ, თანამედროვეა ისეთი ძეგლებისა, როგორიცაა შორაპანი, სკანდა, ვარციხე, ნოქალაქევი და სხვა. იგულისხმება VI საუკუნის პირველი ნახევარი. 1959 წელს გამოცემულ საქართველოს ძეგლთა სიის (შემდგენელი თ. ბარათაშვილი), მიხედვით ვაშნარის ძეგლები "ძველი წელთაღრიცხვის საუკუნეებში" აუგიათ. ვ. ლექვინიძის აზრით, ციხე–ქალაქის ასაკი მიახლოებით VI–VII საუკუნეებით თარიღდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ უკვე მივუთითეთ, რომ იმდროინდელ წერილობით წყაროებში, კერძოდ, ბიზანტიელ მეცნიერთა თხზულებებში, ვაშნარის ციხე–ქალაქის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. პირიქით, ცნობილი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი სრულიად გარკვევით მიუთითებს, რომ რიონის მარჯვენა მხარეს ქალაქ პეტრამდე (ციხისძირი) ლაზებს არცერთი ქალაქი არ აქვთო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად კი გამოვლინდა, რომ ასეთი ქალაქი არსებობდა ვაშნარში. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ვაშნარის დაარსების სავარაუდო თარიღად ვაღიაროთ VI–VII საუკუნეები, რასაც მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს.

საუკუნეების მანძილზე ვაშნარმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს განვითარებაში. მისი ისტორია ჩვენი ერის განუყოფელი ნაწილია. ვაშნარი ცნობილია, აგრეთვე, თურქების წინააღმდეგ 1918 წელს აქ გამართული ბრძოლებით. ამ დროს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს სოფ. ჭანიეთი, ლიხაური, მაკვანეთი, შემოქმედი და შემოიჭრნენ ოზურგეთში. ფრონტის ხაზი წინ იწევდა. ამჯერად დარტყმა წარიმართა გურიანთის, მერიისა და ნატანების მიმართულებით. თურქეთის ჯარების წინააღმდეგ მებრძოლ ნაწილებს გენერალი გიორგი მაზმიაშვილი მეთაურობდა, არმიას მხარში ედგა მოხალისეთა შეიარაღებული რაზმები. ვაშნარის ველზე სწორედ მათ შეასრულეს გადამწყვეტი როლი. ბრძოლა აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართა. გამოირჩეოდა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათის პატრიოტი ახალგაზრდების (42 კაცი) რაზმი, რომელსაც იაგორ და აქვსენტი გურგენიძეები ხელმძღვანელობდნენ. აქვე თავდადებით იბრძოდნენ ჯუმათის, ჯურუყვეთის, ხაჯალის, ჭყონგორის მკვიდრნი. გადამწყვეტი შეტაკება 9 აპრილს მოხდა, მეორე დღეს რაზმები წააწყდნენ ჩასაფრებულ მტერს. მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში 36 კაცი დაეცა, მათ შორის იყო 4 გუჯაბიძე (ივანე, სოლომონ, კლიმენტი და მოსე). ვაშნარის ბრძოლებს თავი შესწირა 21 გურგენიძემ, რაზმის მეთაურთა ნათესავებმა და მახლობლებმა (მელიტონ, დათიკო, კასიანე, გიორგი, დემური, ვანო, ნესტორ, ივტიხი, სერგო, ვასო, ვლადიმერ, ვალია, ბათლომე, ასალო, ძმები ვლასი და მოსე დიმიტრის ძე, ლავრენტი, სიმონი, გაბრიელი, ნესტორი). აქვე გმირულად დაეცნენ პლატონ, კალისტრატე, ნესტორ და ვიქტორ ჩხარტიშვილები, კოლია და ლადიკო ტულუშები, გრიგოლ სარჯველაძე, იაკინთე როყვა, მოჰამედ (მიხაკო) ფიროლი, დიმიტრი ხომერიკი, სოლომონ მშვიდობაძე, მათ თავგანწირვას ამაოდ არ ჩაუვლია. ვაშნარის დამცველებს დამხმარე ჯარები შეეშველა და მტერი განდევნეს. 1918 წელს თურქეთის ჯარების დამარცხება საქართველოში მათი თარეშის დასასრულის დასაწყისი იყო.

ისტორიამ არ შემოგვინახა ვაშნარის ბრძოლების გურიანთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეთა გვარები. ვინ იცის, იქნებ მათი ვინაობა მომავალში დადგინდეს კიდეც. გამორცხული არც ისა, რომ გურიანთელი შეიარაღებული რაზმები სხვა მიმართულებით გადაესროლათ. ასეც რომ იყოს, სოფლის მცხოვრებნი რაღაც ფორმით, მტრის განდევნაში მონაწილეობას უთუოდ მიიღებდნენ. მტრის წინააღმდეგ მებრძოლ გურიანთელთა დასადგენად ძიება უნდა გაგრძელდეს.

გურიანთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ პატივი მიაგეს ვაშნარში დაღუპულთა ხსოვნას. ომში დაღუპულთა ნეშტები ჩაის პლანტაციიდან მწვავე ბრძოლების ადგილებზე (სოფ. ოზურგეთის საზღვართან), ძმათა სასაფლაოზე გადმოასვენეს და გაუკეთეს წარწერა – "1918 წლის თურქეთის წინააღმდეგ დაღუპულ ძმათა სასაფლაო."

აქ განისვენებენ ლანჩხუთელი თანასოფლელები, ძმები, უახლოესი ნათესავები, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები.

გურიანთელთა ვალია არ დაივიწყონ მათი თავგანწირვა და ყოველი წლის ხსოვნის დღეს წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ სამშობლოსთვის თავდადებულ მამულიშვილებს, ყვავილებით შეამკონ წმინდა ადგილი, ტრადიციად აქციონ სამშობლოს დამცველთა მიმართ დიდი მოკრძალება, მათი ხსოვნის აღნიშვნის შინაგანი მოთხოვნა.

ამის აუცილებლობას ისიც გვიკარნახებს, რომ თურქეთ–საქართველოს ომში ჩვენი სოფელი დიდად დაზარალდა. თანასოფლელთა მოგონებით (გრიგოლ ქათამიძე, ვასილ ტოტოჩავა, იოსებ დათუნაშვილი) თურქების შემოსევის დროს კახურისა და ციხისფერდის მოსახლეობა ბაილეთში, ჯუმათსა და სილაურში სამი თვით გახიზნულა. თურქებს გაუძარცვავთ და გაუჩანაგებიათ გურიანთის მთელი სოფლები, განსაკუთრებით დაზარალებულა კახური.

გურიანთა, ვაშნარის გარდა, ცნობილია სხვა ისტორიული ძეგლებითაც, პირველ რიგში ციხისფერდის კომპლექტით. აქ 1963 წელს მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიცია, გამოჩენილი მეცნიერის აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით (წევრები ნინო ბერძენიშვილი, ი. სიხარულიძე, გ. ცქიტიშვილი, კ. მელთაური, გ. გრიგოლია).

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად ოზურგეთის რაიონში ჩატარდა დაზვერვითი ხასიათის გარკვეული სამუშაოები, დადგინდა, რომ უძველესი ხანიდან ადამიანის ყურადღებას იქცევდა ბორცვიანი ზოლი, რომელიც ხასიათდება შედარებით ნაკლები სინოტივით და ინარჩუნებს სუბტროპიკული ზონის კლიმატის დამახასიათებელ ნიშნებს. ამ ზოლში მოქცეულია ქვის ხანის სადგომები, ბრინჯაო–რკინის ხანის ნამოსახლარი, მეტალურგიულ და კერამიკულ საწარმოთა ნაშთები, ქვევრსამარხი, ციხე-ეკლესიები. გამოირჩევა ციხისფერდის ახალი ქვისხანის სადგომი. აღმოჩენილი ძეგლები მოწმობენ, რომ გურიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის დიდ ტერიტორიაზე ძველი ქვის ხანიდან ფეოდალურ ხანამდე და შემდეგშიც საკმაოდ მაღალი კულტურის მატარებელი მიწათმოქმედი, მეტალურგი და მეთუნე (მექოთნე) მდგარა.

ექსპედიცია მივიდა ერთსულოვან დასკვნამდე, რომ გურიანთის "ქვეყანაში" შემავალი გორების სისტემა ანტიკურ ხანაში საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. გათხრა აწარმოეს გორაზე, სადაც იდგა გვიანფეოდალური ხანის "ნაკაშიძეების ციხე". აქ ციხის კომპლექსის ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი მხატვრობის ნიმუშები. აქვე, ციხის ქვემოთ, მდებარეობდა ამავე ხანის დარბაზული ეკლესია, რომელსაც სამხრეთიდან მიდგმული აქვს საძვალე, ჩრდილო–დასავლეთით კი აკლდამა. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ბორცვზე დასახლება ტერასულად ყოფილა განლაგებული. აქაური მოსახლეობა დიდი რაოდენობით აწარმოებდა ნაირ–ნაირი ჩუქურთმებით შემკულ კოლხურ ქვევრებს, რაც მევენახეობა-მაღვინეობის დარგის დაწინაურებაზე მიგვანიშნებს. აქვე იპოვეს ხელსაფქვავი ქვები, ფაქიზად შესრულებული ორნამენტიანი, მრავალნაირი საოჯახო და სამზარეულო ჭურჭელი, დერგები, სუფრაზე მოსახმარი ჭურჭელი, ლანგრები, ღვინის თასები, კლასიკური ხანის სასმისები, რომლებიც გამოირჩევიან მოხდენილი პროპორციებითა და ფაქიზი დამუშავებით, მაღალფეხიანი, წელში გამოყვანილი სასმისის ძირი. აქედან ნათელია, რომ: გურიანთა ანტიკური ხანის ერთ-ერთი ძეგლია, რომელიც არქეოლოგიური გათხრებით ფართოდ იქნა შესწავლილი. დადასტურდა, რომ ანტიკურ ხანაში აქაურ მცხოვრებთ სამოსახლოებად უმთავრესად გორა–ბორცვოვანი ზოლი გამოუყენებიათ, როგორც ჩანს, სტრატეგიულად, თავდაცვის თვალსაზრისით, ეს ადგილები მეტად მოხერხებული იყო, ეს განსაკუთრებით ითქმის გურიანთის მიმართ, რომლის აღმოსავლეთი მხარე თითქმის შვეული ბუნებრივი კედლითაა დაცული, ხოლო დანარჩენი ნაწილები ხელოვნურად უნდა გაემაგრებინათ. შენობები ხის კონსტრუქციისა უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგ ბათქაშით ილესებოდა. კრამიტით დახურული შენობების რიცხვი ძალიან მცირე უნდა ყოფილიყო. ასევე გათხრებმა შედარებით ნაკლები რაოდენობით მოგვცეს ფუფუნების საგნები. აქედან ჩანს, რომ "... გურიანთა იყო სოციალურად საშუალო შეძლების რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილი, რომელმაც შემდგომ დიდი როლი შეასრულა ამ მხარის განვითარების საქმეში" (ნ. ვაშაკიძე, გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, კრებული, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბ., 1971, გვ. 25–26).

ჩვენი სოფლის მოსახლეობა ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ითვლებოდა "საშუალო შეძლების მქონედ". დღევანდელმა გაჭირვებამ და წარმოუდგენელმა სიძნელეებმა ვერ გატეხა მისი ნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისყოფა. იგი დამოუკიდებელი საქართველოს აღორძინება–განვითარებაში თავის სათქმელს უთუოდ იტყვის. სოფლის მდიდარი ისტორია შრომითი შემართების დიდი სტიმული უნდა გახდეს, პატრიოტიზმის გამოვლენის უშრეტ წყაროდ იქცეს. მართლაც, ვინც თავისი სოფლის, სასწავლებლისა თუ კოლექტივის პატრიოტი არაა, იგი ვარასოდეს ვერ იქნება ქვეყნის, სამშობლოს პატრიოტი. ბევრისათვის სამშობლო სწორედ სოფლიდან იწყება, სადაც დაიბადა, გაიზარდა, სადაც მათი წინაპრები, მახლობელი ადამიანები, ნათესავები, სიყრმის მეგობრები ცხოვრობდნენ.

სოფელში, ინარჩუნებს რა იგი თვითმყოფადობას, ხალხი უფრო გამტანია, მეტად იციან ჭირში და ლხინში თანადგომა, უკეთ იცნობენ ერთმანეთს. შემთხვევითი როდია, რომ სოფელში გაზრდილ ადამიანს, ერთხელაც რომ გასცდეს მას, ნოსტალგია შინაგანად დატანჯავს. ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს ქართული სული სოფელში შედარებით ნაკლებად შეილახა. შემთხვევითი როდია, რომ ბევრი ქალაქელი დიდ სინანულს გამოთქვამს სოფელთან კავშირის გაწყვეტისა და მამა–პაპათა ფუძის მოშლის გამო.

დღეს მთავარია აღვადგინოთ სოფლისადმი სიყვარული, დავძლიოთ მასთან გაუცხოების ტენდენციები. სახელი გავითქვათ შრომაში, ვიზრუნოთ ერთმანეთზე, ადამიანების სოციალურ დაცვაზე, ქვეყნის დემოკრატიულ პროცესებში გაბედულად მონაწილეობაზე. მხოლოდ ბეჯითი შრომითა და სწავლით, ინიციატივით შეიძლება სოფლის ეკონომიკის გარდაქმნა, მიძინებული შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა.

სოფელზე სასიკეთო გავლენის მოხდენა შეუძლიათ, აგრეთვე, სოფლის აღზრდილებს, ქალაქში მცხოვრებ სოფლის შვილებს, რომელთა ძალისხმევამ ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერების სხვადასხვა დარგებისადმი მიდრეკილების მქონე ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენას, მათ მატერიალურ და მორალურ წახალისებას.

ისტორიულად გურიანთაში მცხოვრებთ ურთიერთობა ჰქონდათ საკმაოდ დაშორებულ ქვეყნებთან, რეგიონებთან. ციხისფერდში არქეოლოგებმა მოიპოვეს ამფორის ნატეხები, რომლებიც დამზადებული უნდა იყოს ეგრისულ სამყაროში. აქ, გორაკის აღმოსავლეთ ფერდზე მიკვლეული ნაგებობის ნაშთი ძირი თარიღდება ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნით. ციხისფერდში აღმოჩენილ კერამიკულ კომპლექსს დიდი მსგავსება აქვს დაბლაგომის, ფოთის, ვანისა და ფიჭვნარის მთელ რიგ ძეგლებთან. ახლა უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ გურიანთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან არსებობდა კოლხური კულტურის სფეროში შემავალი ძლიერი დასახლება. ციხისფერდის უბანში აღმოჩენილია ახალი ქვის ხანის (ნეოლითი) პირველი ნამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლარი: ქვის ცულები, მიწის სათხრელი იარაღები, ხელსაფქვავები, კაჟის იარაღები და სხვა, რაც აშკარად მოწმობს, რომ ადამიანები აქ ხანგრძლივად ბინადრობდნენ რამდენიმე ათასი წლის წინათ და ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, მეთუნეობას, მეთევზეობას. ციხისფერდის ნამოსახლარის აღმოჩენამ განამტკიცა მოსაზრება გურიანთის ტერიტორიაზე მოსახლეობის ადგილობრივი წარმოშობისა და მისი უძველესი კულტურის შესახებ (შეხვედრა გურიანთის გათხრების ექსპედიციის წევრებთან. "ლენინის დროშა", 1963, 14 სექტემბერი).

ამრიგად, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ "გურიანთის ქვეყანაში" მიაკვლია უაღრესად საინტერესო ძეგლებს. ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის სადგომებს, მეტალურგიული ქურების ნაშთებს, ციხეებს, ეკლესიებს, ქვევრებ-სამარხებს და სხვა. ყურადღებას იპყრობს ის, რომ გურიის ტერიტორიაზე პირველად აღმოჩნდა ძველი ქვის ხანის ნაშთები, ასეთი ისტორიით საქართველოს ბევრი სოფელი ვერ დაიკვეხნის.

გურიის ამ მიდამოების სილამაზით აღტაცებული ცნობილი მოგზაური თედო სახოკია (იმოგზაურა 1987 წელს) წერს: "... თავი შევყავით დაბურულ ტყეში... ტყეს სიმინდის ყანები მისდევს, ყანებს – ისევ ტყე და ასე მიდის მთელი გზა" (თედო სახოკია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 8–15). იგი მოუხიბლავს გურულებს. აკი წერს კიდეც, რომ იმოგზაურა "კოხტა, სწავლა–განათლებით დაწინაურებულ გურიაში".

გურიანთის მდიდარი წარსულის შესწავლა თანასოფლელთა შინაგან მოთხოვნილებად უნდა იქცეს. წარსული უნდა შეისწავლოს ყველა ადამიანმა, რათა სწორად შეაფასოს შრომითა და ბრძოლით გამოვლილი გზა. ეს შესაძლებელია დიდძალი მასალების მეცნიერული ბრუნვაში შემოტანით, მათი ახლებური გაანალიზებით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო სიძველთსაცავებში დაცულ დოკუმენტებს, არამედ ოჯახებში შემორჩენილ მასალებს, მოგონებებს – "მეხსიერებაში შემორჩენილ ცოდნას". მხარეთმცოდნეობის ადგილობრივი მუზეუმი, სოფლის ინტელიგენცია, მოწინავე ადამიანები, მოწოდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის ისტორიული წარსულის ამსახველი ექსპონატების შეგროვებაში. მხარეთმცოდნეობის მუზეუმს უთუოდ გაამდიდრებდა არქეოლოგიური გათხრების მასალები, რომელთა ფოტოასლები ამჟამად დაცულია სხვაგან. ეს მასალები კი შეუცვლელი წყაროა ჩვენი ისტორიის სათავეების მრავალი ფაქტისა და მოვლენის დასადგენად. მასალების გურიანთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცვა უფრო შთამბეჭდავს გახდის ჩვენი ისტორიის მატერიალური ძეგლების მნიშვნელობას, სოფლის მაცხოვრებლებს გაუღვივებს სიამაყის გრძნობას.

გურიანთის არქეოლოგიური მასალების შესახებ უაღრესად საინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესოა ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება: "გურიის ისტორიის შესწავლა ჩვენმა ექსპედიციამ გურიანთით დაიწყო. ამის საბუთი იყო ზოგადი ისტორიულ–გეოგრაფიული მეცნიერული მოსაზრება, რომელიც ჩვენ შეგვიმუშავდა ამა თუ იმ ქვეყნის წარმოქმნის საკითხში. კერძოდ, გვეგულებოდა, რომ ეს კუთხე შეიძლება ყოფილიყო გურიის ქვეყნის წარმოქმნის დედა–აკვანი. აქეთ გვეწეოდა ზღვა ურეკ–დიუნებით, შეკვეთილით, აქეთვე გვეწეოდა ვაშნარის ნაქალაქარი და ორი მდინარის სუფსა–ნატანების ხეობათა შუაში მდგომი "ციხე", აქეთკენვე გვეწეოდა ნაკაშიძეთა ძველი გვარის საბუდარი (გვიანი სათავადო ქვეყანა) და, ბოლოს, მოსაზრებათა ამ კომპლექსს მხარს უჭერდა ეჭვის აღმძვრელი სახელი ამ ქვეყნისა – გურიანთა (გურიამთა)" (საქართველოს ისტორიული გაოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, გვ. 8).

ნიშანდობლივია, აგრეთვე, გამოჩენილი მეცნიერის გამოთქმები: "გამაერთიანებელი", "შუა გურია", "ქვეყანა გურიანთა", რომელიც უძველესი დროიდანვე აუთვისებიათ ადამიანებს. მისივე აზრით ამ "ქვეყანაში" ძველი ქვის ხანის ძეგლები საკმაო რაოდენობით არ გაგვაჩნია, მაგრამ ახალი ქვის ხანის ნასადგომევი საკმაოდ იპოვეს, რაც კიდევ უფრო ამდიდრებს მეცნიერულ ცოდნას გურიის მიწაზე ნეოლითის ხანის ადამიანის ცხოვრების შესახებ. "კიდევ უფრო ძლიერად წარმოდგენილი აღმოჩნდა "გურიანთის" ტერიტორიაზე შემდგომი (ლითონის) ხანა. ამ ეპოქის ნასადგომევი დიდი რაოდენობით მოიპოვება ურეკში და გურიანთის ბორცვებზე, ციხეზე და ციხისფერდში, კონჭკათში, ხვარბეთში, გოგორეთში, ნატანებში, შრომაში და სხვა, რაც უეჭველი მოწმობაა ამ ქვეყნის ინტენსიური დასახლებისა ბრინჯაოსა და რკინის ხანაში" ("ლენინის დროშა", 1963წ, 14 სექტემბერი).

რკინის გამოსადნობი ქურების აღმოჩენა ნათლად მიუთითებს გურიანთის ძველი მოსახლეობის ტექნიკურ დაწინაურებაზე. მეცნიერთა (პროფესორები ი. მეგრელიშვილი, ნ. ხოშტარია) მოსაზრებით რკინის გამოდნობის ნედლეულად იყენებდნენ ზღვისპირეთის რკინის სილას ("მაგნიტიტი"), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა გამოახურებდა საამისოდ მოწყობილ "ქურაში".

ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით გურიანთა თავის მნიშვნელობას ინარჩუნებდა ადრე შუასაუკუნეებში, რაზეც მიუთითებს ვაშნარის ძეგლების ნანგრევებიც. მომდევნო პერიოდების მასალების სიმცირე შეიძლება ავხსნათ ამ მხარის ხანგრძლივი დაცემით. გამორიცხული როდია, გურიის მთავარ პუნქტს სხვაგან გადაენაცვლოს, მაგრამ როგორი ცვლილებაც არ უნდა მომხდარიყო, გურიანთა ციხისფერდის კომპლექსით კვლავ რჩებოდა ოზურგეთის და არამარტო მის, ერთ–ერთ ყველაზე დაწინაურებულ რეგიონად. დასანანია, რომ ეს უმდიდრესი მასალები (ნაწილი მაინც) დღემდე არ არის დაცული სოფლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ინტერესს იწვევს ჩვენი სოფლის მცხოვრებთა გვარების ეტიმოლოგია. სამწუხაროდ, მათ შესახებ წყაროებში უაღრესად ძუნწი ცნობებია შემორჩენილი. ერთ–ერთი დოკუმენტის მიხედვით XIX საუკუნის 30–იან წლებში გურიანთის თემში ცხოვრობდნენ: გ. გ. და გ. ბ. შევარდნაძე, დ. ი. ბერსენაძე, ე. გ. ქარცივაძე, მ. ი. ხურციძე, ი. ფ. აბაშიძე. ძნელია იმის დადგენა, თუ როდის ჩამოსახლდნენ ისინი აქ და "დიდი გურიანთის" რომელ სოფელში ცხოვრობდნენ. იგივე შეიძლება ითქვას აქ მცხოვრებ გვარებზე: გოთუა, ჯაყელი, იობიშვილი, გოხიძე, გორგილაძე, ხომერიკი, ბოლქვაძე, მჟავანაძე (სცსა, ფ.2, აღწ.1, ს. 4185, ფურც. 12–13, 19–20).

ამავე პერიოდში გურიანთაში ცხოვრობდნენ სხვა გვარის გლეხებიც, რომელთა უმრავლესობის მემკვიდრეები დღესაც ჩვენი სოფლის მკვიდრნი არიან. კერძოდ, გურიანთის "სამოურაოში" თავადი ნაკაშიძეების გლეხები იყვნენ: გოგია მუჯირი, მამუკა და მაქსიმე თავბერიძეები, გოგია ნიკოლოზის ძე, მამუკა ლაზარესძე, ივანე გაბრიელის ძე, საყვარელა ბიძინას ასული დოლიძეები (იქვე).

გურიანთაში თავად ალექსანდრე და სოლომონ თავდგირიძეს ეკუთვნოდნენ გლეხები: გაბრიელ გიორგის ძე, ხახუთა და ივანე მახარობლიძე, ნინია მჟავანაძე, ოთარ ჯაყელი, იობა გორგილაძე, გოგია ბერიძე, ესე ჯაში (იქვე).

დოკუმენტი იმითაც არის საინტერესო, რომ გურიანთაში მცხოვრებთა გვარებთან ერთად ვეცნობით მათ "მეპატრონეთა" ვინაობასაც. ირკვევა, აგრეთვე, საეკლესიო გლეხების რაოდენობა და გვარებიც. მაშინ გურიანთის ეკლესიის კუთვნილებაში ყოფილა 26 გლეხი, მათ შორის თხუთმეტი ხომერიკი, ხუთი ბოლქვაძე, ორი ლომაძე და სხვა (იქვე, ფურც. 22).

ზემომოტანილი მასალები მხოლოდ ნაწილობრივ წარმოდგენას გვაძლევენ აქ მცხოვრებთა უძველესი გვარების შესახებ. ძიება უნდა გაგრძელდეს.

დაბოლოს, სოფლის საამაყო წარსული ბრდის მომავალი თაობის პასუხისმგებლობას, თითოეულმა გურიანთელმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საუკუნეების განმავლობაში მოპოვებული სახელის სადიდებლად, ისტორიის სათავეების ოქროს ფურცლების გასამდიდრებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ახალი საარქივო დოკუმენტი, ყოველი საბუთი შუქს ფენს სოფლის ისტორიის რომელიმე ასპექტს, ამდიდრებს ჩვენს ცოდნას წარსულზე. დიდ ინტერესს იწვევს არქივში დაცული საბუთები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევენ გურიანთის მცხოვრებთა რაოდენობაზე XIX საუკუნის 30–იან წლებში, XX საუკუნის დასაწყისსა და სხვა პერიოდში, სოფლის მეურნეობის კულტურის მრავალსახეობაზე, მეფუტკრეობის განვითარების მაღალ დონესა და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გურიანთის სადგომების შესწავლამ ცხადყო, რომ აქ მცხოვრებ ხალხს უძველესი დროიდან მაღალი კულტურა ჰქონია. ერთ–ერთი დოკუმენტის მიხედვით 1836 წელს არსებულა გურიანთის "სამოურაო", რომელსაც თავადი მამია (მამუკა) გურიელი განაგებდა (სცსა, ფ. 2, აღწ. 1, ს. 4185, ფურც. 19–20). 1904 წელს გურიანთის "საპოლიციო უბანში" ცხოვრობდა 3807 კომლი, 25223 სული, მათ შორის მამაკაცი – 13306, ქალი –11917 (იქვე, ფ. 13, აღწ. 1, ს. 112, ფურც. 40–41; ქცსა, ფ. 130, ს. 209, ფურც.31).

სხვა დოკუმენტების მიხედვით გურიანთაში ცხოვრობდა 4. 020 ოჯახი, 26420 სული, მათ შორის ქალი – 12478, მამაკაცი –1392 (სცსა. ფ. 2, ს. 4185, ფურც. 42–43). 1886 წლის მაჩვენებლებით, "დიდი გურიანთის" შვიდი სოფლის საზოგადოება მოიცავდა 29 დასახლებას (მსგავსი ადმინისტრაციული ერთეულები ჩამოყალიბდა 1865 წელს), რომელსაც ეჭირა 62918 დესეტინა ფართობი. აქ ცხოვრობდა 3135 ოჯახი, 20862 სული. ტერიტორიით იგი ბევრად უსწრებდა ლანჩხუთს (48340 დესეტინა) და მხოლოდ მოსახლეობით ჩამორჩებოდა მას. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ლანჩხუთი აერთიანებდა 9 სოფლის საზოგადოებასა და 18 დასახლებას, 26442 მცხოვრებით. ჩოხატაურის მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო. მას ეჭირა 95006 დესეტინა ტერიტორია, სადაც ცხოვრობდა 4071 კომლი, 33251 სული (ქცსა, ფ. 130, ს. 178, ფურც. 2).

მაჩვენებლების შედარებისას ირკვევა, რომ გურიანთის საზოგადოების ერთ ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 7 სულზე ნაკლები, ხოლო ჩოხატაურისა – 8 სულზე მეტი. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს სხვაობა, ერთი ცხადია, "დიდ გურიანთას" ეჭირა უზარმაზარი ტერიტორია. შეიძლება მივუთითოთ უფრო გვიანდელ მაჩვენებლებზეც. 1911 წელს გურიანთის საზოგადოებას ეჭირა 636 კვადრატული ვერსი ტერიტორია. სოფლის საზოგადოების დასახლებათა რიცხვი 39–მდე გაიზარდა. ეს ოზურგეთის მაზრის მთელი ტერიტორიის (1946 კვადრატული ვერსი) თითქმის მესამედია. 35 წლის განმავლობაში კომლის რაოდენობა გურიანთაში გაიზარდა 3624–მდე, ხოლო მოსახლეობა პირიქით, 177–ით შემცირდა (იქვე, ს. 262, ფურც. 2, 81). ეს, თავის მხრივ, მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითებს ერთ ოჯახზე სულადობის საშუალო მონაცემების კლების ტენდენციაზე. ამასთან, დროებით დასახლებულ კომლთა რაოდენობა გაიზარდა 199–მდე, მათ შორის იყო 167 ქართული და 32 რუსული ოჯახი (იქვე, ფურც. 85). მაჩვენებლების ანალიზი გვარწმუნებს, რომ გურიანთაში გაცილებით მეტი იყო დროებით ჩამოსახლებული, ადგილგადანაცვლებული, ვიდრე ოზურგეთის მაზრის სხვა რეგიონებში. ეს პირველ რიგში, ჩვენი თემის ხელსაყრელი მდებარეობით აიხსნებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ უაღრესად ცვალებადი იყო დროებით მცხოვრებთა რაოდენობა. მაგალითად, 1907 წელს გურიანთაში ჩამოსახლებული რუსული ოჯახების რიცხვმა 113-ს მიაღწია, ხოლო მცხოვრებთა რაოდენობამ – 534–ს (ქცსა, ფ. 2, ს. 241, ფურც. 78, 81), 1911 წელს კი ეს მაჩვენებლები სამნახევარჯერ შემცირებულა (32 ოჯახი), რაც მიუთითებს აქ დასახლებულ დროებით მცხოვრებთა ხშირ გადანაცვლებაზე. ისინი, როგორც წესი, იქ მკვიდრდებოდნენ და დაუბრკოლებლად ჩასახლდებოდნენ, სადაც ცხოვრების უკეთესი პირობები ექნებოდათ. დროებით მცხოვრებნი საბოლოო ჯამში საქართველოს მკვიდრ მოსახლეობად იქცეოდნენ. ამას ადვილად აღწევდნენ, მოხერხებულად იყენებდნენ რა ქართველი კაცის ბუნებას, ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლებისადმი მის შემწყნარებლობას, სტუმართმოყვარეობასა და გულგახსნილობას, სიძნელეებში ჩავარდნილი ადამიანებისადმი უანგარო ქომაგობას. ახლა კარგად არის ცნობილი ასეთმა გულკეთილობამ და გულუხვობამ, ჩვენს ქვეყანას რა შედეგები მოუტანა, როგორ დაუფასეს მას შემწყნარებლობა და ჰუმანურობა.

სისტემატური გადანაცვლებები, ბუნებრივი მიგრაციული პროცესები აძნელებს წლების მიხედვით გურიანთის მოსახლეობის რაოდენობის დადგენას. არც ის არის შემთხვევითი, რომ ერთი და იმავე პერიოდში მოსახლეობის მაჩვენებლებში მნიშვნელოვანი სხვაობა შეინიშნებოდა.

მონაცემების როგორი სხვაობაც უნდა შეინიშნებოდეს, ერთი ცხადია, "გურიანთის სამოურაო" ("საპოლიციო") ოზურგეთის ერთ–ერთი ყველაზე დიდი და კომპაქტურად დასახლებული რეგიონი ყოფილა, რომელიც მაზრის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

მაჩვენებლები მრავალმხრივ საინტერესოა. პირველ ყოვლისა ვიგებთ, რომ არსებულა გურიანთის "სამოურაო", უფრო გვიან (80–იანი წლებიდან) "საპოლიციო", რეგიონი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. მცხოვრებთა შორის ჭარბობდნენ მამაკაცები, იმავე საბუთის მიხედვით 1904 წელს გურიანთაში დროებით მცხოვრებთა რიცხვი დიდი ყოფილა და 213 ოჯახისთვის მიუღწევია (1197 სული), აქედან მამაკაცი – 636, ქალი – 561. "საპოლიციოში ცხოვრობდა 39 რუსი (სცსა,ფ. 13, ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

112, ფურც. 41–42). დოკუმენტი იმითაც არის საინტერესო, რომ, ფარდა რუსებისა, სოფლებში სხვა ერების წარმომადგენლები არ მოიხსენიება. ისინი აქ უფრო გვიან ჩამოსახლებულან. წყაროების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ გურიანთის "დიდ საზღვრებზე", რომელიც მრავალ სოფელს აერთიანებდა. ამაზე მეტყველებს "გურიანთის სამოურაოსა" და "გურიანთის საპოლიციო უბნის" არსებობა. "დიდი გურიანთა" ოზურგეთის მაზრის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და დაწინაურებულ რეგიონად ითვლებოდა. ბუნებრივია, რომ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ოზურგეთის მაზრის ეკონომიკისა და კულტურის, მხარის განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ ერთ–ერთ დოკუმენტში ("ობზორ კუტაისკოი გუბერნიი ზა 1904 გოდ") ოზურგეთის მაზრის "საპოლიციო უბნის" დასახელებაში საკუთრივ ოზურგეთი მითითებული არ არის. ჩამოთვლილია მხოლოდ გურიანთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის "საპოლიციო უბნები" (იქვე, ფურც. 47, 78–72). აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ გარკვეულ პერიოდში "გურიანთის საპოლიციო მთელ ოზურგეთს მოიცავდა, მის ცენტრად გვევლინებოდა.

სხვა მონაცემებით "გურიანთის სამოურავო", "გურიანთის ქვეყანა", გარკვეულ პერიოდში აერთიანებდა ნატანებს, შრომას, ხვარბეთს, გოგორეთს, კონჭკათს, კახურსა და ციხისფერდს.

დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გურიანთაში უაღრესად მაღალი იყო მოსახლეობის ზრდის მაჩვენებლები, მაგრამ არსებობს შემაშფოთებელი მონაცემებიც. 1904 წელს აქ მოუკლავთ 10 კაცი, მომხდარა ერთი თვითმკვლელობა, ერთი მკვდარი უპოვიათ, 4 ქალი კი მხეცებს დაუკბენიათ (სცსა, ფ. 13, ს. 112, ფურც. 87–88). ეს მაჩვენებლები მრავლისმეტყველია. ჯერ ერთი, ძალიან მაღალია მკვლელობათა რიცხვი, რაც მიუთითებს პირველი რევოლუციის წინ სოფლად მძლავრ სოციალურ კონფლიქტებზე, ქვეყანაში არსებულ დაძაბულობასა და სოფლის მდგომარეობის არასტაბილურობაზე. გამაოგნებელია მხეცების მიერ ქალების დაკბენის ხშირი შემთხვევები. ეს კი, თავის მხრივ, მეტყველებს ტყეებისა და მხეცების სიმრავლეზე, მოსახლეობის მიერ სიფრთხილის მოდუნებასა და ერთმანეთის მიმართ უყურადღებობაზე, ტყეში წყლისა თუ შეშის მოსაგანად უპირატესად ქალების წასვლის ხშირ შემთხვევებზე, ქალებისადმი "აზიურ" დამოკიდებულებაზე.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გურიანთის "საპოლიციოს" ფინანსური მაჩვენებლების გაცნობა. კერძოდ, 1904 წელს აქ სკოლების მშენებლობაზე, შეკეთებასა და შენახვაზე გაიღეს 6935 მანეთი, სოფლის მართვის აპარატის შენახვაზე –3832 მანეთი. დახარჯულმა თანხამ სულ 18194 მანეთს გადააჭარბა (იქვე, ფ. 2, აღწ. 1, ს. 4185, ფურც. 78–79). მაშინდელი მაჩვენებლების მიხედვით, ეს დიდი თანხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და ნათლად მიუთითებს ამ რეგიონის მნიშვნელობასა და მასშტაბებზე. ყურადღებას იპყრობს დიდი თანხა, რომელიც სასულიერო პირებისა და მართვის აპარატის შენახვისათვის იყო გამოყოფილი.

მომდევნო წელს სკოლებზე, მის მშენებლობასა და რემონტზე დაიხარჯა 195 მანეთი, საზოგადოებრივი მართვის აპარატის შენახვაზე – 1870 მანეთი (ქცსა, ფ. 130, ს. 209, ფურც. 57). შემდეგში მაჩვენებლები საგრძნობლად გაიზარდა. 1911 წელს სკოლების შენახვაზე, მშენებლობასა და შეკეთებაზე დაიხარჯა 2734 მანეთი, სხვა შენობების მშენებლობაზე 1040 მანეთი, გზების შეკეთებაზე – 510, ადმინისტრაციული აპარატის შენახვაზე 7527 მანეთი (იქვე, ს. 262, ფურც. 132).

ამ ციფრების მიღმა დიდი შემოქმედებითი შრომა იგულისხმება. მშენებლობებსა და სხვა დანიშნულებაზე გამოყოფილი თანხების ზრდა სოფლის მოღონიერებაზე, მის დაწინაურებაზე მიგვანიშნებს.

დოკუმენტები იმითაც არის საინტერესო,რომ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში "დიდ გურიანთაში" განვითარებული ყოფილა სოფლის მეურნეობის ძვირფასი კულტურები. XX საუკუნის დასაწყისში მისი ნათესების ფართობი უდრიდა 5330 დესეტინას, რომელზეც მოიყვანეს 430600 ფუთი მოსავალი, მათ შორის სიმინდი – 39900, ღომის მარცვალი – 7600, ლობიო – 24000 ფუთი. ლობიოს მოყვანის მაჩვენებლებით გურიანთა უსწრებდა ლანჩხუთსა (9000 ფუთი) და ჩოხატაურს (8070 ფუთი) ერთად აღებულს (სცსა, ფ. 13, ს. 112, ფურც. 45–46). დამაფიქრებელი ციფრებია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ღომის მარცვლის დიდი მოსავალი. იგი ერთ–ერთი წამყვანი კულტურა ყოფილა მაშინ გურიანთაში.

ყურადღება ეთმობოდა აგრეთვე ხორბლის, ჭვავის, ბრინჯის, კანაფის, არახისის მოყვანას (სცსა, ფ. 288, აღწ. 1, ს.2930, ფ. 54). ამ კულტურების წარმოებას დიდი ისტორია ჰქონდა და XIX საუკუნის 90–იან წლებსა და, ნაწილობრივ, მომდევნო პერიოდშიც გრძელდებოდა.

განსაკუთრებით დასანანია ბოლო ათწლეულებში ღომის კულტურისადმი ყოვლად გაუმართლებელი დამოკიდებულება, მისი ფაქტიური გადაშენება. დროა სოფელმა სერიოზულად იფიქროს მის აღდგენაზე. იქნებ გამოჩნდნენ ენერგიული და უნარიანი კოოპერატორები თუ მოიჯარადრეები, კერძო მესაკუთრეები, რომლებიც დაინტერესდებიან ამ ძვირფასი კულტურით, სახელს გაუთქვამენ სოფელს და კარგ მოგებასაც მიიღებენ. ეჭვი არ არის, რომ ღომის მარცვლებზე (სათესლედ და საკვებად) დიდი მოთხოვნები იქნება, ადვილი წარმოსადგენია ასეთი ინიციატივა როგორ შეუწყობს ხელს მთელს დასავლეთ საქართველოში მისი წარმოების აღორძინებას. იგივე შეიძლება ითქვას კანაფისა და არახისის კულტურაზე, ხორბლის, ჭვავის, ბრინჯის მოყვანაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სოიის კულტურის გავრცელებას. ცნობილია, რომ იგი ყუათიანობით რამდენიმეჯერ ჭარბობს სიმინდსა და ხორბალს და მეცხოველეობის განვითარების დიდი რეზერვია. იქნება ამ საკითხითაც დაინტერესდნენ კოოპერატორები, კერძო პირები, რაც დააჩქარებდა მეცხოველეობის განვითარებას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გურიანთაში მეფუტკრეობის განვითარების მაჩვენებლები. ზოგიერთი მონაცემით 1904 წელს გურიანთაში აწარმოებდნენ 107 ფუთ თაფლსა და ფუტკრის სხვა ძვირფას პროდუქტებს (სცსა, ფ. 13, ს. 112, ფურც. 47). 1912 წელს მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალი იყო. ფუტკრის ოჯახის რაოდენობამ 510-ს მიაღწია, ხოლო თაფლისა – 161 ფუთს (ქცსა, ფ. 130, ს. 251, ფურც. 9). ეს ბევრად ჭარბობდა ჩოხატაურის მაჩვენებლებს. აქ ჰყავდათ 376 ოჯახი ფუტკარი და მიიღეს 70 ფუთი თაფლი (იქვე, ფურც. 96), 2,2–ჯერ ნაკლები, ვიდრე გურიანთაში. ძველი მოსავლიანობის რაოდენობის მიღწევა დღეს ძნელია, მაგრამ ბეჯითი გარჯით, გონივრული მოქმედებით, არსებული მდგომარეობა შეიძლება ბევრედ გაუმჯობესდეს. აქაც თავისი სიტყვა კერძო ინიციატივამ უნდა თქვას. და იქნებ სოფელმა შეძლოს მიუახლოვდეს თითქმის ერთი საუკუნის წინა მაჩვენებლებს. აქ ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს მაშინდელი ფასი. თაფლის თვითღირებულება უაღრესად დაბალი იყო, კერძოდ, 1904 წელს ერთი ფუთი თაფლი გურიანთაში ღირდა 3 მანეთი (!!), ხოლო 1912 წელს 4 მანეთი, რაც ნათლად მიუთითებს მეფუტკრეობის განვითარების მაღალ დონეზე. შედარებისათვის აღვნიშნოთ, რომ ცაგერში ერთი ფუთი თაფლი ღირდა 10 მანეთი, ლეჩხუმში – 8, სვანეთსა და საჩხერეში – 6 მანეთი (სცსა, ფ. 13, ს. 112, ფურც 47).

მეფუტკრეობას მომდევნო პერიოდში დიდი ყურადღება ეთმობოდა. მაგალითად, 1928 წელს საქართველოში ჰყავდათ ფუტკრის 80 ათასი ოჯახი (სცსა, ფ. 288, ს. 1332, ფურც. 38). დღევანდელი მაჩვენებლები ბევრად ჩამორჩება ამ მონაცემებს. მომავალში აქაც საჭიროა მეტი ინიციატივის გამოვლენა, ამ უნიკალური დარგის განვითარების პირობების შექმნა, სპეციალისტების მომზადება, მეფუტკრეობით მოსახლეობის დაინტერესება. ეს ამოცანა დგას მთლიანად რესპუბლიკისა და თითოეული სოფლის, მათ შორის გურიანთის წინაშე.

სოფლის ისტორიის შესწავლამ სამსახური უნდა გაუწიოს სოფლისმეურნეობის უძველესი დარგების აღორძინება–განვითარებას, მამა–პაპათა მიერ საუკუნეების განმავლობაში პროდუქციის წარმოებაში დამკვიდრებული ტრადიციების აღდგენა–განახლებას.

ზემომოტანილი მონაცემები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ეხება "დიდი გურიანთის" ადრინდელ მაჩვენებლებს. მომდევნო პერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდში მდგომარეობა მკვეთრად იცვლება, გურიანთის "საპოლიციო" ვიწროვდება, რეგიონში გაერთიანებული სოფლების რაოდენობა მცირდება, მოსახლეობის სამაზრო სტატისტიკური ბიუროს მაჩვენებლებით 1926 წლის აგვისტოსათვის გურიანთაში ცხოვრობდა 539 კომლი, 2674 სული, მათ შორის მამაკაცი –1344, ქალი – 1330 (ოსა, 5, ს. 2, ფურც. 5). 1904 წლის მაჩვენებელებისაგან ასეთი დიდი განსხვავება იმით უნდა აიხსნას, რომ 1926 წელს არ არსებობდა გურიანთის "დიდი საზღვრები". მას გამოეყო მთელი რიგი სოფლები (ნატანები, შრომა, ხვარბეთი). ამჯერად მისი "შემცირებული საზღვრები" მოიცავდა სოფლებს: კახურს, ციხისფერდს, ბაილეთს, ახალსოფელს, ჭანიეთურს, თედორეთს. აქედან ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ყოფილა კახური (171 ოჯახი, 897 სული), შემდეგ მოდიოდა ციხისფერდი (123 ოჯახი, 605 სული), ახალსოფელი (119 ოჯახი, 526 სული), ბაილეთი (61 ოჯახი, 288 სული), ჭანიეთური (50 ოჯახი, 289 სული) და თედორეთი (15 ოჯახი, 69 სული). დოკუმენტი მრავალმხრივ არის საინტერესო. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა თითქმის თანაბარია. კიდევ მეტი, კახურში, ბაილეთში, ჭანიეთურსა და თედორეთში ქალების რაოდენობა მამაკაცების რაოდენობას ჭარბობდა. კერძოდ, კახურში ცხოვრობდა 445 მამაკაცი, 452 ქალი, ბაილეთში შესაბამისად 142 და 146, ჭანიეთურში –143 და 146, თედორეთში – 33 და 36 (იქვე). უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის რაოდენობაში პროპორცია ქალების სასარგებლოდ სწორედ ამ პერიოდში იცვლება.

ზემომოტანილი სტატისტიკური მონაცემებისაგან ოდნავ განსხვავებული მაჩვენებლებია გამოქვეყნებული წიგნში – "საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ–ტერიტორიული დაყოფა" (ტფ. 1930, გვ. 133), რომლის მიხედვით 1926 წელს გურიანთის სოფლის საბჭოში ცხოვრობდა 552 კომლი, 2602 სული, კახურში შესაბამისად –188 კომლი (891 სული), ციხისფერდში – 117 (589), ახალსოფელში – 118 (497), ბაილეთში – 61 (290), ჭანიეთურში –51 (270), თედორეთში – 16 ოჯახი (66 სული). ყველა სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, გამონაკლისს მხოლოდ კახური წარმოადგენდა, სადაც ერთი რუსი სახლობდა.

1939 წლის მაჩვენებლებით, ბაილეთის, ჭანიეთურისა და ახალსოფლის გამოყოფის შემდეგ, გურიანთაში ცხოვრობდა 1729 სული, 1988 წელს კი 2018 კოლმეურნე (543 კოლმეურნე ოჯახი). მონაცემები იმითაც არის საინტერესო, რომ 20–იანი წლების ბოლოს სოფლის ერთ ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 5 სული, ამჟამად კი 4 სულზე ნაკლები.

გურიანთას "საპოლიციოს" გაუქმების, მისი ტერიტორიის შეკვეცის მიუხედავად, 20–იანი წლების მეორე ნახევარში მაზრაში კვლავ დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა. 1926 წელს ოზურგეთის მაზრა (ე. ი. მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურია) აერთიანებდა 113.455 სულს, 181 სოფელსა და 45 სოფლის საბჭოს (იქვე, მაგ. 138). ყველა მაჩვენებლის მიხედვით. გურიანთის მოსახლეობა (2603) მაგრის საშუალო მონაცემებზე მაღალი იყო.

გურიანთაში ტრადიციულად დიდი ყურადღება ეთმობოდა მეცხოველეობის განვითარებას. აქ ჰყავდათ ყველა სახის პირუტყვი, განსაკუთრებით გამწევი ძალა. ეს გასაგებიცაა, მაშინ მასზე იყო დამოკიდებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. მეცხოველეობის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს შემდეგი მაჩვენებლები: 1905 წელს გურიანთის სამოურაოში, რქოსანი პირუტყვის რაოდენობამ მიაღწია 5100, მათ შორის იყო ცხენი 315, კამეჩი – 60, ჯორი –30, სახედარი – 13, ღორი –1200, თხა – 360, ცხვარი – 40 და სხვა (ქცსა, ფ. 130, ს. 209, ფურც 40). 1907 წლის მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალი იყო: ცხენების რაოდენობამ 332–ს მიაღწია, კამეჩისა – 125, თხისა – 600, ღორისა – 3550 (იქვე, ს. 241, ფურც 86). ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ პირუტყვის თითოეული სახეობის თვისებები და უპირატესობანი და ამის მიხედვით იყენებდნენ მას. შემთხვევითი როდი იყო, რომ 1912 წელს გურიანთის "სამოურაოში" ცხენების რაოდენობა გაიზარდა 620–მდე, კამეჩისა –200-მდე. ამასთან ერთად, ყურადღება ეთმობოდა სხვა ცხოველებსაც. კერძოდ, ღორის სულადობა გაიზარდა 6 480–მდე, თხისა – 645, ცხვარისა – 116 (იქვე, ს. 264, ფურც. 105). რაგომღაც, მაშინ გამოცალკევებულ მონაცემებს მეწველი ძროხების შესახებ არ ადგენდნენ, ისინი ცხოველების საერთო რაოდენობაში შეჰყავდათ. ის, ალბათ, იმითაც აიხსნებოდა, რომ მესაქონლეობის ეს დარგი საქართველოში საყოველთაოდ იყო გავრცელებული და დიდ წახალისებას არ საჭიროებდა.

მეცხოველეობის განვითარების ძველ მაჩვენებლებთან დღევანდელი მონაცემების შედარება მეტად სავალალო სურათს გვაძლევს. მიზეზების ძიება შორს წაგვიყვანს. ახლა მთავარია აღორძინდეს მამაპაპათა ტრადიციები, შეიქმნას მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის მყარი საფუძვლები, გამრავლდეს მაღალპროდუქტიული პირუტყვი.

უაღრესად დამახასიათებელია, რომ XX საუკუნის დასაწყისში ძვირად ფასობდა ძლიერი გამწევი ძალა. ჯორი ღირდა 80 მანეთი, კამეჩი – 70, ცხენი – 60. სხვა პირუტყვის ფასი ნაკლები იყო. მაგალითად, ძროხისა და ხარისა – 40 მანეთი, ღორისა და სახედრისა – 10-10, ცხვრისა -- 5 მანეთი (იქვე; ს .209, ფურც. 40). განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, რელიეფისა და სარგებლიანობის მიხედვით, ადამიანები უპირატესობას ამა თუ იმ ცხოველს ანიჭებდნენ. იყო ოჯახები, რომელთაც ზემოდასახელებული პირუტყვის თითქმის ყველა სახეობა ჰყავდათ და მეურნეობას გონივრულად წარმართავდნენ, ოჯახში ბარაქა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვავი არ აკლდათ. კოლექტივიზაციის პერიოდში სწორედ ისინი გახდნენ დარბევისა და აწიოკების, განკულაკების ობიექტები, რითაც დათრგუნეს გლეხების სიყვარული პირუტყვისადმი, ზრუნვა მისი გამრავლებისათვის.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ გურიანთის "სამოურაოსა" და "საპოლიციოს" დიდი ტერიტორია ეკავა. გურიანთის "ქვეყანაში" შედიოდა "აგარაკად" წოდებული შავი ზღვის სანაპირო ზოლი, ტერიტორია, რომლის ფართობი უდრიდა 2543 დესეტინას (ქცსა, ფ. 18, აღწ. 1, ს. 1039, ფურც. 95). აგარაკის ნაწილზე (1028 დესეტინა) ათეული წლების განმავლობაში პრეტენზიებს აცხადებდნენ თავადი ნაკაშიძეები. სადაო ნაკვეთის ფართობი დაყოფილი იყო 16 უბნად, 22 ნაკვეთად.

ნაკაშიძეების საჩივრის ერთ-ერთი განხილვის დროს (1893 წ. 10-12 აპრილი) თბილისის სასამართლო პალატამ მათი პრეტენზიები არ გაიზიარა და მიუთითა, რომ გურიანთის თემის სადაო ტერიტორია სხვა ფართობთან ერთად 1848 წელს სახელმწიფო ხაზინის ხელში გადავიდა. "აგარაკის" ტერიტორიაზე დასახლებული ნაკაშიძეების წინაპრებს გურიელმა მისცა მოურავის უფლებები. მათვე ეძლეოდათ შემოსავლის ნახევარი. გურიის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლების უმოქმედობით წაქეზებულმა ნაკაშიძეებმა მიიტაცეს მიწების ნაწილი და აქაური გლეხები თავიანთ ბატონობას დაუმორჩილეს. ასე გახდნენ ისინი ხაზინის საკუთრების თანამონაწილენი (იქვე, ფურც. 95). ხაზინა ყოველთვის ინარჩუნებდა "აგარაკებისადმი" უფლებებს და ღებულობდა შემოსავლის კუთვნილ წილს.

მართლაც, ნაკაშიზეები თავიანთ უამრავ საჩივარსა თუ მოხსენებით ბარათში აგარაკის ნახევარზე არაერთხელ აღიარებდნენ ხაზინის საკუთრების უფლებებს, მაგრამ მაინც ითხოვდნენ მთელი აგარაკი გადასცემოდათ, რადგან, მათივე განმარტებით, კანონით იგი მათ ეკუთვნოდათ. ამის დასამტკიცებლად ნაკაშიძეებმა წარადგინეს უამრავი საბუთი თუ სიგელი, რომლებიც ჩამოთვლილია არქივში დაცული დოკუმენტის ფართო ფორმატის 2 ნაბეჭდ გვერდზე, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მეფე სოლომონ მეორის 1795 წლის 12 თებერვლისა და მამია გურიელის სიგელი (იქვე, ფურც. 122).

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ შავი ზღვის გურიის სანაპიროს ნავსადგომებიდან მიღებული შემოსავლის ნახევარს ნაკაშიძეები ღებულობდნენ, მაგრამ, 1839 წლიდან, მათთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, იგი შეუწყვეტიათ.

სადაო ტერიტორიის გამიჯვნის მიზნით შეიქმნა სოფლების წარმომადგენელთა კომისია (იქვე, ს. 704, ფურც. 14-17), რომელშიც გურიანთიდან შედიოდნენ: სიმონ ქათამაძე, გაბრიელ ზაქარიაძე, ამბაკო კვირჩილაძე, მიქელ-გაბრიელისა და ხვარბეთის 8-8 წარმომადგენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი (იქვე, ს. 038, ფურც. 21). კონჭკათის ინტერესებს იცავდნენ: მაქსიმე-ტუღუში, ნიკოლოზ არაშიძე, გოგორეთისა – ბეჟუკი რუსეიშვილი, კოწია დანელია. სიაში შევიდნენ ახალი სახტრის, ვაკისა და ზედობნის ეკლესიების წარმომადგენლები (იქვე, ს. 704, ფურც. 14-17).

ხელისუფალთ მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი გურიანთის "აგარაკის" დიდი ნაწილის ხაზინისათვის გადაცემა (იქვე, ს. 1039, ფურც. 21). ამ მიზნით სასამართლო კვლავ მრავალჯერ (1887,1902,1904) შემდგარა, მაგრამ ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. დასახელებულ ტერიტორიას ნაკაშიშვები თავიანთ საკუთრებად აცხადებდნენ და მის ექსპლოატაციას აგრძელებდნენ: ჩეხდნენ ტყეს, გაჰქონდათ ბზა და სხვა სიმდიდრე. ასეთ პირობებში ოზურგეთის მაზრის უფროსის ვირუბოვის მიერ 1883 წლის 15 ოქტომბერს გამოცემულ აქტს – გურიანთის "აგარაკი" გადასცემოდა გურიის საგყეო მეურნეობას, ნაკაშიძეების კატეგორიული პროტესტი გამოუწვევია. საჩივრებისათვის ხელი მოუწერიათ წითლიძეებსაც. დოკუმენტის მიხედვით ნაკაშიძეები პრეტენზიას აცხადებდნენ 2700 დესეტინა მიწაზე, რომელიც უძველესი დროიდან მათივე საკუთრებას წარმოადგენდა ხაზინის მონაწილეობის გარეშე (იქვე, ს. 1039, ფურც. 93). საჩივარი ეხებოდა ვენახის, ტყეებისა და სახნავი მიწების დიდ მასივს. შექმნილი დაძაბული ვითარებით გლეხებსაც უსარგებლიათ და წვერმაღალას, საკუპრიასა და საღვთოს მცხოვრებთ, 100 კომლზე მეტ გლეხს, ხელისუფლების სახელზე საჩივარი გაუგზავნიათ და მათ მიერვე დაკავებულ მიწებზე საკუთრების დამტკიცება მოუთხოვიათ. გლეხების განცხადებით მიწები მათთვის გურიელს უბოძებია, ნაწილი კი - სხვა თავადებისაგან უყიდიათ. ნათქვამის დასამტკიცებლად მათ ვერავითარი საბუთი ვერ წარუდგენიათ და პრეტენზიებიც დაუკმაყოფილებელი დარჩა. პირიქით, მომჩივანთ დაუმტკიცეს, რომ 20 წლის განმავლობაში ისინი გადასახადს ნაკაშიძეებს უხდიდნენ და მიწებიც იმათი იყო.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1855-1870 წლებში, "დიდი გურიანთის" ტერიტორიაზე ყანები ჰქონდა არაგურიანთელ 117 გლეხს (იქვე, ფურც. 124-127). , რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ დაკავებული ფართობის ხელში ჩაგდებას, მიტაცებას.

მიწების თაობაზე ატეხილ დავას შედეგი არ მოჰყოლია. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, 1893 წელს, სადაო მიწები კვლავ ხაზინისა და ნაკაშიძეების საკუთრებად აღიარეს. ქონების ნახევარი მიაკუთვნეს ხაზინას, ერთი მეოთხედი ერგოთ თავადებს: ივანე, ნესტორ, მელიტონ, კონსტანტინე ნაკაშიძეებს, ხოლო დანარჩენი სხვა თავად ნაკაშიძეებს. სასამართლომ მიიღო მკაცრი განჩინება: წლების განმავლობაში არასწორი დავისა და სასამართლოს ოპერაციებზე გაწეული ხარჯებისათვის ნაკაშიძეებს ჯარიმის სახით უნდა გადაეხადათ 618

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთზე მეტი (იქვე, ფურც. 108). ასე დამთავრდა მათი გაუთავებელი ბრძოლა გურიანთის მიწების დასაკუთრებისათვის.

გურიანთის სიმდიდრეს კვლავ თანაბრად იყოფდნენ ხაზინა და თავადი ნაკაშიძეები. ამ შეხლა-შემოხლაში გლეხები ზარალდებოდნენ, იზრდებოდა გადასახადი, მკაცრდებოდა პირობები, უარესდებოდა მათი ეკონომიური მდგომარეობა, იკარგებოდა ძვირფასი დრო, ჩანაგდებოდა ქონება, მოუვლელი რჩებოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რაც უარყოფითად მოქმედებდა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, მის ფინანსურ და მატერიალურ რესურსებზე, გლეხთა შორის ურთიერთობებსა და სოფლების "მეზობლურ" კავშირებზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დოკუმენტებში ფიგურირებს გურიის ხუთი თავადის გვარი: გურიელი, ნაკაშიძე, თავდგირიძე, მაჩუტიძე, ერისთავი. საკუთრივ გურიანთაში გლეხები ჰყავდათ ნაკაშიძეებსა და თავდგირიძეებს. მაგალითად, XIX საუკუნის 30-40 წლებში გურიანთაში მამუკა ნაკაშიძის გლეხები იყვნენ: გოგია ეფრემის ძე მუჯირი, მამუკა გიორგის ძე და მაქსიმე ერასტის ძე თავბერიძეები, გოგია ნიკოლოზის ძე, მამუკა ლაზარეს ძე, ივანე გაბრიელის ძე და საყვარელა ბიძინას ასული დოლიძეები, ივანე გაბრიელის ძე გოთუა. ალექსანდრე თავდგირიძის გლეხებად ითვლებოდნენ: გაბრიელ გოგის ძე, ხახუთა გაბრიელის ძე და ნინია გაბრიელის ასული მჟავანაძეები, ოთარი მახარობლის ძე ჯაყელი. გოგი ნაკაშიძეს კი ამავე სოფელში ერთი გლეხი - ბიჭია პეტრეს ძე მჟავანაძე "ეკუთვნოდა", ხოლო გიორგი თავდგირიძეს – სამი: დავით იობის ძე, დავით გაბრიელის ძე და გიორგი ივანეს ძე გოგოხიძე. სოლომონ თავდგირიძესაც ამდენივე გლეხი (გოგია იობის ძე ბერიძე, იობა ივანეს ძე გორგილაძე, ესე გაბრიელის ძე ჯაში) ჰყოლია (სცსა, ფ.2 აღწ. 1, ს. 4185, ფურც. 12-13, 19-20).

დოკუმენტის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გურიის თავადებს ყმა-გლეხები სხვადასხვა სოფელში ჰყოლიათ, ზოგჯერ ერთი კომლიც კი. გარკვეულწილად ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ მათი გავლენა მრავალ სოფელზე ვრცელდებოდა. ხშირად ყოველ თავადს მთელი გურია "თავის ბატონად" მიიჩნევდა.

აღსანიშნავია, რომ არქივის ერთ-ერთი საქმის მიხედვით 1847 წლისათვის გურიის ოთხი თავადია დასახელებული: მალაქია ქაიხოსროს ძე გურიელი, ანტონ კაციას ძე ნაკაშიძე, გიორგი დავითის ძე ერისთავი, დავით ივანეს ძე მაჩუტიძე (იქვე, ფ. 16 ს. 9388, ფურც. 11). ძნელი სათქმელია, ამ სიაში რატომ ვერ მოხვდა თავდგირიძე. გამორიცხული არაა ადგილი ჰქონოდა დოკუმენტის შემდგენის დაუდევრობას, ან იმ მომენტში მემკვიდრის საკითხი ყოფილიყო გაურკვეველი.

იმავე საქმის მიხედვით გურიის აზნაურები იყვნენ: მიტო ივანეს ძე გოთუა, გიორგი ბეჟანის ძე ბერიძე, ქაიხოსრო გაბრიელის ძე თაყაიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი, ლევან გაბრიელის ძე ქარცივაძე (იქვე). ამით გურიის აზნაურთა რაოდენობა არ შემოიფარგლებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამათ შორის ეს გვარები ყველაზე გავრცელებული ყოფილა.

ამრიგად, მონაცემები გურიანთის "სამოურაოსა და "საპოლიციოს შესახებ ზრდის ჩვენს ცოდნას ამ რეგიონზე, მის ეკონომიკასა და კულტურაზე, მასშტაბებსა და შესაძლებლობებზე, სოფლის მეურნეობის დარგებისა და მოსახლეობის ზრდის დინამიკაზე. "დიდი გურიანთის" ტერიტორიის კუთვნილების შესახებ წამოწყებულმა გაჭიანურებულმა ბრძოლამ ამ პროცესებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. გურიანთის "საპოლიციო" ფაქტიურად საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გაუქმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მესამე. ეთნოგრაფიული მასალები

ეთნოგრაფია შედგება ბერძნული სიტყვებისაგან – ეთნოს, რაც ნიშნავს ტომს, ხალხს, გრაფია კი – ვწერ, სიტყვასიტყვით ეთნოგრაფია ხალხის აღწერას ნიშნავს. იგი სწავლობს ხალხის ყოფასა და კულტურას, განათლებისა და კულტურის ისტორიულ კავშირს, ეთნოკულტურათა საერთო და განმასხვავებელ ფორმებს, მათი განვითარების კანონზომიერებებს. იმას, თუ რა წვლილი შეიტანა კაცობრიობის კულტურის საგანძურში ამა თუ იმ ხალხმა, რა განაპირობებს და ასაზრდოებს სხვადასხვა ხალხში დამკვიდრებულ მნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, სამეურნეო ყოფას, საზოგადოებრივ წყობილებას, ნივთიერ და სულიერ კულტურას. როგორია ჩაცმულობა, საქორწილო წეს-ჩვეულებები და სხვა.

ზოგადი განმარტების შემდეგ აღვნიშნავთ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში "დიდი გურიანთა" და მისი სოფლები კახური და ციხისფერდი ეკონომიკურად უაღრსად ჩამორჩენილი მხარე იყო. აი რას წერდნენ ამის შესახებ მაშინდელ პრესაში: კახურში ბუნება უხვი და მდიდარია, მაგრამ "სიმდიდრის გონიერი მოხმარება ვერ მოუხერხებიათ. მხოლოდ ხვნა-თესვას მისდევენ (სიმინდი, ღომი). გლეხს საყოფი "მჭადი" ვერ მოჰყავს. გაზაფხულამდე ყოფნის გამოზოგებით. გლეხები ლუკმა პურის საშოვნელად ქალაქში მიისწრაფოდნენ". ("კვალი", 1899 წ. 17 ოქტომბერი). იქვე მითითებულია, რომ სოფელში ყურძნის (იზაბელა) კარგი მოსავალი მოჰყავდათ, მისდევდნენ, აგრეთვე, მეაბრეშუმეობას, რომელიც აქ წინათ უცხო ყოფილა. სოლიდური გაზეთის ეს ინფორმაცია წარმოდგენას გვიქმნის გურიანთაში მეაბრეშუმეობის განვითარებასა და მაშინდელ მძიმე ეკონომიკურ პირობებზე.

იმავე გაზეთში აღწერილია ციხისფერდის სავალალო სურათი, მითითებულია, რომ ციხისფერდისა და მთელი გურიანთის მდებარეობა ჭაობიანია, ჰავა მეტისმეტად ნესტიანი, ხშირია ციებ-ცხელება, სახის სიყვითლე და უფერულობა. შევიტყობთ, აგრეთვე, რომ XX საუკუნის დასაწყისში (1902 წელი) ციხისფერდის 140 ოჯახს ერთი ბატონი და რვა აზნაურის კომლი "მფარველობდა". საგაზეთო ინფორმაციების მიხედვით სოფლის წვრილფეხა აზნაურები გაღატაკებულან. "გლეხებს, – ვკითხულობთ კორესპონდენციაში, – არა აბადია რა, გარდა იმ ორიოდე არში მიწის ნაკვეთისა, რომელზეც გულსაკლავად ამართულია სახლის კარიკატურის მსგავსი – უფანჯრო, უჭერ-უბუხრო, იატაკმოუგებელი და ისლით გადახურული ქოხ-მახები, რომლის შინაგანი მორთულობა ნამდვილად გოგია უიშვილისებურია. არიან ისეთი გლეხებიც, რომელთაც საკუთარი მიწის ნატამალიც არ მოეპოვებათ, ისინი მოსახლეობენ მებატონის მამულზე და ყოველწლიურად გადასახდს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხდიან სამოსახლოზე 4-5 მანეთამდე" ("კვალი", 1902 წ. 10 ნოემბერი, № 46). ირკვევა, აგრეთვე, რომ ციხისფერდში მაშინ ერთად-ერთი სარჩო სიმინდი ყოფილა. უმიწო გლეხები სხვის მამულში მუშაობდნენ და ერთ ქცევა მიწაზე იხდიდნენ ღალას – 20-25 ფუთ სიმინდს (მოსავლის ნახევარზე მეტს) და ერთ მანეთს. შრომის მძიმე პირობებზე მიუთითებს ასეთი ფაქტიც – ციხისფერდის თითოეული კომლი საშუალოდ 7 ქცევა მიწას ამუშავებდა და მას საკუთრებაში 100-140 ფუთი სიმინდი თუ რჩებოდა. ამ შემოსავლით უნდა გამოეკვება და შეემოსა ოჯახი, გაესტუმრებინა სახელმწიფო გადასახადი, დაეკმაყოფილებინა მღვდელი, მამასახლისი, მასწავლებელი, გადაეხადა შეშის ბაქები, დაექირავებინა საძოვრები. ადვილი წარმოსადგენია თუ როგორი ტრაგედია დატრიალდებოდა აქ გვალვის პირობებში.

გლეხების უკიდურეს დუხჭირ მდგომარეობაზე მიუთითებს ასეთი ფაქტიც: 1902 წლის მაისის დასაწყისში ციხისფერდის 120 გლეხს მებატონისათვის მიუმართავს თხოვნით: "გვიყავ წყალობა. ლამის ცოლშვილი შიმშილით დაგვეხოცოს, გვასესხე სიმინდი და ახალი მოსავლის დროს ჩვეულებრივ ერთი-ორად გვაზღვევინეო" (იქვე). ასეთ დღეში იყვნენ კახურშიც. მოსახლეობა იკვებებოდა მოხარშული ნედლი სიმინდის, პანტა-ვაშლისა და ხაპის ფაფით, კეჟერა ფხალით. ასეთ პირობებში მრავალმა გლეხმა მიატოვა სოფელი, ქალაქს მიაშურა და საწარმოებში დაიწყო მუშაობა. მზარდმა მიგრაციამ (გადასახლება, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა) სოფელს თავისი დაღი დაასვა. შესამჩნევი გახდა დიდი სოციალური ცვლილებები.

სოფლის მცხოვრებთა აბსოლუტურ უმრავლესობას წლიური სარჩო არ ჰქონდა (სიმინდი აპრილის ბოლომდე ძლივს ყოფნიდათ). მოსახლეობის მხოლოდ 8-10 პროცენტს შეეძლო გაეყიდა სიმინდი, შეშა, პირუტყვი, ფრინველები და ოჯახი გამოეკვება. დანარჩენებს უაღრესად მძიმე მდგომარეობაში წლიდან წლამდე თავი ძლივს გაჰქონდათ, მოსახლეობა სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. გლეხთა უმრავლესობას გამწევი ძალა არ ჰყავდა. სოფელში არც ძროხების სიმრავლე შეინიშნებოდა, მიწის სიმცირე, მისი დამუშავების პრიმიტიული წესები არ იძლეოდა სოფლის მეურნეობის მრავალი კულტურის განვითარების საშუალებას.

გაოცებას იწვევს, ასეთ პირობებში გურიანთამ როგორ მიაღწია წინამდებარე წიგნის მეორე თავში მოტანილ მაჩვენებლებს. ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. გამორიცხული როდია პრესაში მოვლენების გაზვიადება, ცალკეული ფაქტების განზოგადება, ვითარების ხელოვნურად დაძაბვა, კლასობრივი დაპირისპირების პროპაგანდა, გლეხების გამოქომაგების "მომგებიანი" ფორმების ძიება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველივე ეს იქნებოდა, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში ბევრი იყო ღარიბი და ლუკმაპურის მაძიებელი, რომელთა რაოდენობა პერიოდების მიხედვით იცვლებოდა. დოვლათს ქმნიდა და სოფლის მეურნეობის მომგებიან დარგებს ანვითარებდა სწორედ ის 8-10 პროცენტი (შეიძლება მეტიც), რომელსაც პრესა ასახელებდა. საეთოდ კი გურიის მოსახლეობის პოტენციური შესაძლებლობანი, კულტურის შედარებით მაღალი დონით განპირობებული მოთხოვნები დიდად უსწრებდა ყოფა-ცხოვრების მაშინდელ პირობებს, რაც მოსახლეობის ნაწილის განთესვის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. მაშინ შემთხვევით როდი დამკვიდრდა გამოთქმა – "ცალი ფეხი სოფელში გაქვს, ხოლო ცალი ქალაქშიო". მართლაც, მიგრაციის პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ამას მოყვა კაპიტალისტური წარმოების წესით დაინტერესება, მაგრამ ძველი ურთიერთობანი ბოჭავდა მას, არ ინერგებოდა ტექნიკა, ყურადღება არ ეთმობოდა ახალი დარგების განვითარებას. კერძოდ, ოზურგეთში პირველი ხეხილის ბაღი 1845 წელს გააშენეს. აქ დარგეს ზეთისხილის ხეები, იზაბელა, ჩინეთიდან შემოტანილი ჩაის ბუჩქები ("მახარაძე-ლანჩხუთის ქვერაიონის (გურიის) ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევები", თბ., 1964, გვ. 46). აღსანიშნავია, რომ გურიაში მოჰყავდათ 14 მაღალხარისხოვანი ჯიშის ვაზი (ჯანი, შუშხუნა და სხვა), მაგრამ ეს კულტურები ფართოდ არ ინერგებოდა. გურიანთაში ზოგიერთი მათგანის გაშენება არც უცდიათ.

საცდელი ნაკვეთის გაშენებას ბიძგი უნდა მიეცა სოფლებში მებაღეობისა და სხვა დარგების განვითარებისათვის, მაგრამ მისი მნიშვნელობა ყველგან როდი ესმოდათ, გურიანთაში მეურნეობის მრავალი დარგის უქონლობამ მომდევნო პერიოდებზეც მოახდინა გავლენა: თანდათან ნელდებოდა ყურადღება ისეთი ტრადიციული სამეურნეო კულტურებისადმი, როგორიც იყო: ჭვავი, ქერი, ბრინჯი, ბამბა, თამბაქო, ლობიო, სოია, უპირატესობა მიეცა სიმინდის მოყვანას (იგი დაინერგა XVII საუკუნიდან). სახნავი ფართობის გაზრდის მიზნით დაიწყო საუკუნოვანი ტყეების უწესრიგო გაჩეხვა, რამაც გავლენა მოახდინა ფლორასა და ფაუნაზე. მაგრამ ჯერ კიდევ ხერხდებოდა ძველი კულტურების განვითარება. გურიანთის "სამოურაოში" კვლავ დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ღომის მარცვალი. მაღალი იყო მისი საშუალო მოსავლიანობა (ერთ დესეტინაზე 50 ფუთი).

მეფუტკრეობის განვითარებისადმი დიდ ყურადღებაზე მიუთითებს გურიაში დამკვიდრებული სპეციალური დღესასწაული ფუკობა, რომელიც გაზაფხულზე ტარდებოდა და ფუტკრის მოვლა-პატრონობას ეძღვნებოდა. მეფუტკრეობა დიდი შემოსავლის წყაროდ იქცა. ცნობილია, რომ წინათ თაფლი და ცვილი გურიის საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთი ძირითად პროდუქტს წარმოადგენდა. მეფუტკრეობას მაშინ ყველა მისდევდა, სკებს ამრავლებდნენ ბარსა და მთაში, კარ-მიდამოსა და ტყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. აქ ბუკებს (სკა) ამაგრებდნენ ხეებზე. მოსავალი დიდი იყო. თაფლი-სა და ცვილს წელიწადში ორჯერ იღებდნენ (იქვე, გვ. 46).

ტყის გაჩანაგებასთან ერთად მეფუტკრეობისადმი ყურადღება გურიანთაშიც თანდათან მცირდება და მომდევნო პერიოდში კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას. ახლა აქ ფუტკარი რამდენიმე კომლს თუ ჰყავს. მეფუტკრეობის დაცემის ტენდენცია განსაკუთრებით 60-70-იანი წლებიდან შეინიშნება. 1974 წელს გურიანთაში გეგმით გათვალისწინებული 600 კგ. თაფლის ნაცვლად აწარმოეს – 52 კგ, მომდევნო წელს კი – 1120 კგ-ის ნაცვლად ათჯერ ნაკლები – 112 კგ, სანახევროდაც ვერ ნაზღაურდებოდა მეფუტკრეობაზე გაღებული თანხები. მაგალითად, 1975 წელს ხარჯებმა 1140 მანეთს გადააჭარბა, ხოლო შემოსავალმა 500 მანეთს ძლივს მიაღწია. სოფლის მოსახლეობამ ფაქტიურად უარი თქვა ამ უძვირფასესი დარგის განვითარებაზე. ერთ დროს წამყვანი დარგი დაეცა და გაჩანაგდა. სოფელი დარჩა სხვისი შემყურე. თაფლის კატასტროფული სიმცირე აუნაზღაურებელ გავლენას მოახდენს ბავშვებისა და მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. მეფუტკრეობის განვითარება შესაძლებელია აკაციისა და სხვა ყვავილოვანი მცენარეების, სურნელოვანი ბალახების მოშენებით, რაც მეცხოველეობის განვითარების მტკიცე ბაზაც გახდება.

ინტერესს იწვევს "დიდ გურიანთაში" გავრცელებული ჩხავერისა და ყურძნის სხვა განთქმული ჯიშები. ძველად ყურძნის მოსაკრეფად საგულდაგულოდ ემზადებოდნენ. მოსავლის აღებისას დამკვიდრებულა თავისებური ნადური სიმღერა "აგიდელი". ცერემონიალი ლამაზი სანახავი და სასიამოვნო მოსასმენი ყოფილა. ყურძნის კრეფას ერთდროულად იწყებდნენ ერთმანეთზე მიჯრილი გლეხების მამულებში. სიმღერას დასჭექდნენ და გიდელს ჩამოუშვებდნენ. "ყურძნის კრეფაც ნადისებური გამოდიოდა. ერთმანეთს ხედავდნენ, ეხმიანებოდნენ. ეს იყო ცოცხალი ტელეფონი. გადმოცემით, გურიანთელი რომ სავსე გიდელს გადმოუშვებდა და მხიარული სიმღერით გამოეხმაურებოდა "ა-გიდელი-ოო", მას მყისვე აყვებოდა მეზობელი, იმას კი სხვა..." (აპალონ წულაძე, "ეთნოგრაფიული გურია", თბ. 1914, გვ. 17). ცერემონიალი იზიდავდა ახალგაზრდებს, შრომას ხდიდა სახალისოს, ხელს უწყობდა მევენახეობის განვითარებას, ახალი მასივების გაშენებას, ადამიანებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

საინტერესო ისტორია აქვს მეჩაიეობის განვითარებას. გურიანთაში ეს დარგი ნელა იკაფავდა გზას. საქართველოში მის შესახებ ცნობები XVIII საუკუნიდან ვრცელდება, ხოლო ჩაის კულტურის უშუალო განვითარება მომდევნო საუკუნეში იწყება. გურიაში პირველად იგი გორაბერეჟოულის მამულში XIX საუკუნის 40-იან წლებში შემოუტანიათ, ხოლო გურიანთის "სამოურაოში" კიდევ უფრო გვიან "შემოულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევია". აქ მისი დანერგვის ინიციატორმა, მ. ნაკაშიძემ, მიქელ-გაბრიელის თემის უბანში 9 ჰექტარი ფართობი 1903 წელს გამოჭყო და პლანტაცია გააშენა, ხოლო 1908 წელს პირველი მცირეძალიანი ჩაის ფაბრიკა ააგო. გლეხობა თავიდან ჩაის კულტურის დანერგვას პასიურად მოეკიდა. ამით აიხსნება, რომ 1914 წლამდე საქართველოში გაშენდა მხოლოდ 988,8 ჰექტარი ფართობი, რომელთა რაოდენობა პირველი მსოფლიო ომის დროს მკვეთრად შემცირდა ("გურია. მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის", თბ., გვ. 25-16).

მეჩაიეობის განვითარებაში არც გურიის მაზრის ხელმძღვანელობას გამოუჩენია დიდი ინიციატივა. ოზურგეთში ჩაის საცდელი ნაკვეთი 1900 წელს გამოყვეს, ხოლო ნედლეულის გადასამუშავებელი ფაბრიკა 1914 წელს გახსნეს. ამავე წელს ჩაის საცდელი ნაკვეთი გამოყვეს ანასეულსა და ნასაკირალში ("მახარაძე-ლანჩხუთის, ქვერაიონის, (გურიის) ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევები", გვ. 50). მომდევნო წლებში მეჩაიეობამ თანდათან შეავიწროვა ვაზის, ბრინჯის, მეაბრეშუმეობისა და სხვა კულტურების წარმოება, მეცხოველეობის განვითარება.

მასალებიდან ირკვევა, რომ "გურიანთის სამოურაოში" აგებული ჩაის ფაბრიკა მთელ რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი იყო. მეჩაიეობის შემდგომმა განვითარებამ ეს პროცესი შეუქცევადი გახადა და მის ტერიტორიაზე აშენდა ჩაის გადასამუშავებელი მრავალი ფაბრიკა, მათ შორის ვაშნარის ტერიტორიაზეც.

გურიანთაში ოდითგანვე გარკვეული ყურადღება ეთმობოდა ბრინჯის წარმოებას. ცნობილი იყო ბრინჯის მშრალი და ნოტიო ნიადაგის სახეობა. განსაკუთრებით, სათუთი მოსავლელია სველი ნიადაგის ბრინჯი, რომელიც ვეგეტაციის მთელ პერიოდში წყალში უნდა იყოს. წყლის შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ მოსავლის აღებამდე ორიოდე კვირით ადრე ("გურია მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის", გვ. 32). მშრალ ბრინჯს ძირითადად მთაში თესავდნენ. გურიანთაში ბრინჯს აშენებდნენ პატარა ნაკვეთებზე, ძირითადად ოჯახის საჭიროებისათვის. ასეთ კომლთა რიცხვი თანდათან კლებულობდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან ბრინჯს თითქმის არავინ თესავს.

წინათ გლეხი თვითონ ამუშავებდა მიწას, ოჯახისათვის კერავდა ტანსაცმელს, წაღებს, ამზადებდა ხის ჭურჭელს, ოჯახებში ხსნიდა "საწარმოებს". გაზეთ "ივერიის" (1891 წელი, № 163) ცნობით XIX საუკუნეში გურიის თითქმის ყველა ოჯახში გამართული ყოფილა თავისებური საფეიქრო მოწყობილობა, რომელზეც ქსოვდნენ საპერანგეს, ლოგინის გადასამოსავ ბამბის ხამ ქსოვილს, შალ-აბრეშუმს, ყაბალახს და სხვა ნაწარმს. გურიაში წარმოებული აბრეშუმის ქსოვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით უწევდა კონკურენციას მოსკოვს, პეტერბურგსა და ჯარ-შავას (გაზ. "კავკაზი", 1906 წ. 18 მარტი, № 64).

ფართოდ ინერგებოდა, აგრეთვე, ბამბის ქსოვილის წარმოება. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით გურიაში ბამბისა და აბრეშუმის მოყვანას მისდევდნენ XVIII საუკუნიდან ("აღწერა სამეფოისა საქართველოისა", თბ. 1941, გვ. 176).

ოჯახისათვის საჭირო ქსოვილებს გურიანთაშიც ამზადებდნენ. ზოგიერთს დღესაც შემორჩა საფეიქრო იარაღების ნიმუშები: საჩეჩელი, ჩერია, საქსოვი "დაზგის" ნაშთები. ქსოვის კულტურის განვითარებამ ხელი შეუწყო საღებავების დამზადებას, ფერების შერჩევა-შეხამებას. უპირატესად ღებავდნენ მუქ ფერებში. იყენებდნენ, აგრეთვე, მწვანე, წითელ, ყვითელ და ლურჯ ფერებს ("გურია, მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის", გვ. 114). საღებავებს, ძირითადად, ადგილობრივი ნედლეულიდან ამზადებდნენ. ფერთა სხვადასხვა ტონს ღებულობდნენ დაფნის ფოთლისა და კაკლის ფესვების, ფოთლების, ნაჭუჭისა და კანის, ჭიაფერის, ზაფრანას ნაყენის გემოვნებით შერჩეული კომპოზიციით (იქვე, 110, გვ. 1160).

გურიანთაში დაეუფლნენ ჭვარტლით შეღებვასაც. უპირატესობა ეძლეოდა წაბლის ჭვარტლს. ზაფრანისაგან ღებულობდნენ ყვითელ ფერს, ლუკუმხის ნედლი მარცვლებისა, მუხის ქერქის, კაკლის წენგოს, ფესვებისა და ქერქისაგან – ყავისფერს. ლურჯი, წითელი, თეთრი და ყავისფერი საღებავების შეხამებით ღებულობდნენ სასიამოვნო ფერის ქსოვილებს. დამახასიათებელია, რომ ჭრელი ფერები აქ არ მოსწონდათ, უპირატესობა შავ ფერს ეძლეოდა, ჭრელი ფერებისადმი ასეთი დამოკიდებულება დღესაც გრძელდება.

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ, რომ 20-30-იან წლებში მოსწავლეები სარგებლობდნენ შინ დამზადებული მელნით და შეღებილი პერანგებით ("ბლუზით").

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ღებვას გურიაში უკავშირებდნენ მაგიურ-რელიგიურ ძალას. როგორც წესი, ღებავდნენ ძველი მთვარის დროს. ახალი მთვარე, მათი წარმოდგენით, საღებავს დაწვავდა. ამავე მიზეზით ახალ მთვარეზე ხის მოჭრასაც ერიდებოდნენ, რადგან ამ დროს იღვიძებდა ხის ჭია, რომელიც ხეში წყალს აამოძრავებდა. "ჭიაშერეულ" ხეს კი მიიჩნევდნენ სუსტ, ღებვისუნარმოკლებულად. ამ დროს მოჭრილ ხეს ავეჯისათვისაც არ იყენებდნენ (იქვე, გვ. 128). ასაკოვანი გლეხები დღესაც იცავენ ამ ტრადიციას.

შეღებვა მდინარის (ღელის) პირას ხდებოდა. შეღებვისას ერიდებოდნენ "უცხო თვალს". თუ უცხო პირი შეღებვის მოწმე მაინც გახდებოდა და ნახელავს მოიწონებდა, მაშინ "სტუმრისათვის" თმის რამდენიმე ბეწვი უნდა მოეპარათ, დაეწნათ და, ჩუმათვე, მის თმებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეერიათ (იქვე). გურიანთაში ამ წესს მკაცრად არ იცავდნენ.

მტკიცედ დამკვიდრდდა, აგრეთვე, სამგლოვიარო სამოსელის მიცვალებულის ოჯახში შეღებვა, რასაც გურიანთაში დღესაც იცავენ. მომდევნო პერიოდებში ხელოვნური საღებავების დანერგვამ გაამარტივა შეღებვის შრომატევადი და მომქანცველი პროცესი, მაგრამ დავიწყებას მიეცა ღებვის ძველი ტექნოლოგია, რომლის აღდგენას სოფლის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

გარკვეულ ინტერესს იწვევს გურიანთაში ფართოდ დანერგილი შრომითი ურთიერთდახმარების ფორმები, რომელსაც იყენებდნენ ოჯახის მიწვევით. კოლექტიური შრომის ამ ფორმას (ნადი) ხშირად იყენებდნენ ხვნა-თესვის, სიმინდის თოხნის, მოსავლის აღებისა და დაბინავების, სიმინდის გარჩევისა და დაფშვნის, სახლის დახურვის, აბრეშუმის პარკის გამოღების დროს.

აღსანიშნავია, რომ ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ კოლექტიურ შრომას. ყანის თოხნის, მოსავლის აღების, სიმინდის გარჩევისა და დაფშვნის დროს მოწყობილ კოლექტიურ შრომას ნადი ეწოდებოდა, ხოლო იმ კოლექტიურ შრომას, სადაც გამწევი ძალაც გამოიყენებოდა (ხვნა-თესვა, მოსავლის გატანა, შეშის გადაზიდვა), ხანდას ეძახდნენ (იქვე, გვ, 41.)

ყველა შემთხვევაში ნადი თავისებური დღესასწაული იყო. სრულდებოდა მიმზიდველი სიმღერები, სხვადასხვა რიტუალები. კოლექტიური შრომის ამ ფორმას თავისი წესი ჰქონდა. ყანის თოხნის დროს, დაუწერელი კანონებით, მოწვეულ გლეხთა რაოდენობა რვაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო (მათ რიცხვს მომღერალთა რაოდენობის საჭიროება განაპირობებდა)ერთი პირი ნადისთვის საჭირო იყო არანაკლებ რვა კაცი (ორი დამწყები, ორი გამყივანი (გადამძახებელი) და ორ-ორი ბანი), ორპირი ნადისათვის – 16 და უფრო მეტი (ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, გვ. 2). გავრცელებული სიმღერა იყო ყანური და ნადური, რომელიც აადვილებდა შრომას, განსაკუთრებულ საზეიმო ხასიათს ანიჭებდა მას, ახალგაზრდობას უღვივებდა მიწისადმი სიყვარულს. შრომის სიმღერა გულგრილს არ ტოვებდა არავის, განსაკუთრებით ბავშვებს, რომლებიც ჟრიამულით, სიცილ-კისკისით და ხტუნვა-ხტუნვით გარშემო უვლიდნენ შრომასა და სიმღერაში თავდავიწყებამდე გართულ ადამიანებს. ბავშვებისათვის ასეთი დღეები დაუვიწყარი იყო. მთელი ეს რიტუალი მათთვის სიმღერისა და შრომის ჩვევების გამომუშავების შეუცვლელ წყაროს წარმოადგენს.

ნადის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შრომის რიტმისა და სიმღერის შეხამებას, სიმღერის ტემპისათვის თოხის მოქნევის დაკავშირებას, რაც შრომას მეტ ხალისს მატებდა. ნადურში (ყანური) გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასხვავებდნენ შემოქმედურას, ქობულეთურას, საჯავახურას და გურიანთულას. გურიანთულა საჯავახურისაგან განსხვავებით უფრო სწრაფი, შმაგი, იერიშის მიმტანი ყოფილა, ქობულეთურა – მხედრული, ხოლო შემოქმედურა – მოქნილი (იქვე, გვ. 15).

სწრაფი და შმაგი "გურიანთულა" გასათოხი ფართობის იერიშზე მისტანად განაწყობდა მომღერალთ, ეს სულისკვეთება მთელ სოფელს გადაედებოდა. გურიანთელები ნადურისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ, "ვოკალურ წვრთნას" გადიოდნენ, მთელი ეს პროცედურა სიმღერის შესწავლისათვის შეჯიბრის თავისებურ ატმოსფეროს ქმნიდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ძველად სოფელში სიმღერა გაცილებით მეტმა იცოდა, ვიდრე ახლა.

სიმინდის გარჩევისას სხვა სიმღერა – "კალოს ხელხვავს" – მღეროდნენ. სიმინდს, ჩვეულებრივ, ღამე, მთვარისა და ჭრაქის შუქზე არჩევდნენ და ბევრსაც მხიარულობდნენ, მახვილსიტყვაობდნენ, ანეკდოტებს ყვებოდნენ და შაირობდნენ. მუშაობის პროცესში შემოჰქონდათ მოხარშული გოგრა და სიმინდი, ვახშამი გვიან გაიშლებოდა ("გურია, მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის", გვ. 43). ნიშანდობლივია ისიც, რომ კოლექტიური შრომის დროს მტკიცედ იყო დადგენილი კვების (საუზმე, სადილი, ზარმელი, ვახშამი) და დასვენების რეჟიმი.

ნადს თავისი ნაკლიც ჰქონდა. სოფლის მოსახლეობის შეძლებული ნაწილისათვის იგი გადაიქცა მუქთა მუშახელის შოვნის საშუალებად. შრომის ორგანიზაციის აღნიშნულმა ფორმამ, ხშირ შემთხვევაში, დაკარგა ურთიერთდახმარების დანიშნულება და "... გადაიქცა შრომით დახმარებად, რომელსაც უწევდნენ შედარებით მეტი მიწების მფლობელ შეძლებულ გლეხებს" (იქვე, გვ. 45-46), რომლებიც იმედებს სხვის შრომაზე ამყარებდნენ და თავი მოქონდათ სიმდიდრით. ასეთ შემთხვევაში ნადში ყოველთვის დიდი ხალისით როდი მიდიოდნენ, სამაგიეროდ განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა შრომითი გაერთიანების ისეთი ფორმა, როგორიც იყო ქვრივ-ობოლთა და გამწევი ძალის არმქონე ოჯახებისადმი თავისი საგზლით გაწეული დახმარება. ზოგჯერ სამუშაო ისე სრულდებოდა, რომ პატრონი საკარმიდამო ნაკვეთიდან დაცილებული ყანის გათოხვნას რამდენიმე დღის შემდეგ გებულობდა (აპალონ წულაძე, "ეთნოგრაფიული გურია", გვ. 24). ეს იყო მაღალი ჰუმანიზმის გამოვლენა, ყოველგვარი მატერიალური წახალისების გარეშე მძიმე შრომის შესრულება, რაც ყველას როდი შეუძლია.

გურიანთაში სათანადოდ ვერ მოიკიდა ფეხი მთელ გურიაში დამკვიდრებულმა გამწევი ძალის "განათხოვრებამ", აქ ამჯობინებდნენ თავისივე პირუტყვით მიხმარებას, სანაცვლოდ დახარჯული დღეების "ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგი" ანაზღაურებით (ან აუნაზღაურებლად).

გურიის ეთნოგრაფიულ ყოფაზე სრული სურათის მიღება შეუძლებელია მეცხოველეობის განვითარებაზე გარკვეული წარმოდგენის გარეშე. ცნობილია, რომ მესაქონლეობა გურიაში შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული, ვიდრე სამეგრელოში, სადაც მეცხოველეობის განვითარების თითქმის ერთნაირი პირობები არსებობდა. ზოგიერთი ამას გურული გლეხის გადაჭარბებული სიამაყით, "ჯოგის დევნის უკადრისობით" ხსნიდა. შეიძლება მივუთითოთ თედო სახოკიაზე, რომელთანაც საუბარში განთქმულ მეჯოგე კვარაცხელიას უთქვამს: "... ჩვენ რომ არ მივდიოდეთ, მთელი გურია უყველოდ დარჩება: ჩვენს მეტს არავის ყავს საქონელი. მთებში ზაფხულობით სულ ჩვენი საქონელი ბალახობს. აქაურ კაცს სირცხვილად მიაჩნია მწყემსობა; თუ ჯოგს გაჰყვა, მისი აზრით თავი მოეჭრება... თაკილობენ, მეჯოგე როგორ უნდა გავხდე ერთი სულგუნიზაო" (თედო სახოკია, მოგზაურობანი. გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, გვ. 23). აქ სინამდვილის ნაწილია. მართლაც, მეჯოგეობამ გურიაში ფეხი მყარად ვერ მოიკიდა, იგი არ ჰყავდათ არც გურიანთაში. თითო-ოროლა პირუტყვის მოვლა მეცხოველეობის მძლავრ განვითარებას ბიძგს ვერ მისცემდა. ქედმაღლური დამოკიდებულების გამორიცხვაც არ შეიძლება. გურიანთელს სცხვენოდა მეჯოგეობა, რძის ნაწარმის გაყიდვა. იგი ამჯობინებდა მის გაჩუქებას ან გასესხებას (თუ ამის საშუალება ჰქონდა). ხალხის ეს უნიკალური თვისება ეკონომიკის განვითარების გარკვეულ დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცა. მეორე მხრივ, დაუჯერებელია, რომ გურიაში "მეგრელ მეჯოგეთა გარდა, საქონელი არავის არ ყოლოდა". რა თქმა უნდა, ასე არ იყო. შეძლებულ გლეხობას საკმაო რაოდენობის პირუტყვი ჰყავდა, მაგრამ ჯოგის მოშენებაზე სერიოზულად არავინ ზრუნავდა. მხედველობაშია, აგრეთვე, მისაღები, რომ გურიანთაში შეძლებული ოჯახების რიცხვი ბევრი როდი იყო და მოსახლეობის უმრავლესობას მცირე რაოდენობის პირუტყვი ჰყავდა და ოჯახების გამოკვება უჭირდა. მიუხედავად ამისა, აქ ყოველწლიურად მართავდნენ ცხოველებისა და ფრინველების გამრავლებისადმი მიძღვნილ დღეობას – "ბარბალობას", რასაც ფეხადობასა და ქათმის ფერხვას უწოდებდნენ. იგი საქონლის ფერხვის დღედაც ითვლებოდა. "ბარბალობა" ადამიანის ფერხვის დღედაც ცხადდებოდა.

ქათმის ფეხადობა ორჯერ იმართებოდა: "ბარბალობას" (ძველი სტილით 4 დეკემბერი) და კალანდის მეორე დღეს (2 იანვარი). ჩვენ ხელთ არა გვაქვს გურიანთაში ამ რიტუალების გამართვის ზუსტი ცნობები, მაგრამ, თუ გურიაში დამკვიდრებული ტრადიციების მიხედვით ვიმსჯელებთ, ფერხვისათვის მოსულ პიროვნებას ასმევდნენ ღვინოსა და არაყს და მისცემდნენ სიმინდს. ბარბალობის დღეს მას უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოევლო ნალიისა და სახლისათვის, "დაეხედა" საქონლისა და ფრინ-
ინველისათვის, მოეპნია სიმინდი და ეთქვა "იმრავლე პატრონიანათო".
იგივე მფერხავი უნდა მოსულიყო ორ იანვარს, ქათმის ფერხვის დღესაც
("გურია, მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის", გვ. 58).
გამორიცხული როდია, რომ ცერემონიალი სოფლების მიხედვით გან-
სხვავდებოდა, მაგრამ უდაოა, რომ საერთოც ბევრი ექნებოდათ.

გურიის მრავალ სოფელში, მათ შორის გურიანთაშიც, კალანდას (1
იანვარი) დილით სახლის კარებს შეაღებდა ოჯახის უფროსი ჩიჩილა-
კით ხელში, მანამდე კი დიასახლისს დაუძახებდა "კარი გაგვიღეთ".
"მოსულისათვის კითხვა უნდა დაესვათ "რა მოგაქვთ". ოჯახის უფრო-
სი პასუხობდა "წმინდა ბასილე მობრძანდება, მოაქვს კაცთა მშვიდო-
ბა, თეთრი (ფულის ნიშანი) და საქონელი მრავალი". ფრაზის სამჯერ
გამეორების შემდეგ სახლში შესულს შეჰქონდა ღორის თავი, ჩი-
ჩილაკი, დოქით ღვინო, ღომის მარცვლები ქოთნით, რომელშიც კვერ-
ცხს აწყობდნენ. კომლის თავკაცი ღორის თავს გობზე დადებდა და
ჩიჩილაკით ხელში სხვებთან ერთად სახლს სამჯერ შემოუვლიდა,
აპნევდნენ ღომის მარცვლებს, შემდეგ ოჯახის მამაკაცები იწყებდნენ
ლოცვას, მიწაზე ასხამდნენ ღვინოს, ნაღვერდლებზე ყრიდნენ საკმევ-
ელს; ახალ წელს ბედნიერებას შესთხოვდნენ ოჯახის დანარჩენი წევრე-
ბიც. მათ შორის ბავშვებიც. ამას მოყვებოდა თოფის გასროლა და
ცხემლის ნედლი შეშის ცეცხლში შეკეთება და ოჯახის ყველა წევრის
ლოცვა – "ცეცხლო, ღმერთმა კალანდა მშვიდობით გაგვითენოს შენი
ბატონიანათო". ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ ნიგუზლით ხელში მხოლოდ
ფეხბედნიერები მიდიოდნენ ბოსელში და საქათმესთან. ნიგუზალს
ბოსლის კარებთან დებდნენ და მასზე ცხოველებს გადაატარებდნენ
ლოცვით - "ძროხავ... ღმერთმა მრავალი კალანდა მშვიდობით გაგ-
ითენოს შენი პატრონიანად". ასე მთავრდებოდა კალანდის "გალოც-
ვა" (იქვე, გვ. 60). ამ რიტუალებთან მჭიდრო კავშირში იყო ყველი-
ერის ხუთშაბათი (ილორობა). ბევრი ყველით უნდა გამოეცხოთ ძროხის
ცურის ფორმის დიდი ხაჭაპური. ლოცვის წინ საქონელს რქებზე ანთე-
ბულ სანთლებს დაამაგრებდნენ (იქვე, გვ. 72) და ცერემონიალით კმაყ-
ოფილი რჩებოდნენ. ჯანსაკუთრებული სიბეჯითით სრულდებოდა,
აგრეთვე, ქათმის ფერხვის რიტუალი, რაც მიუთითებს, თუ რა როლს
ანიჭებდა გურული გლეხი ფრინველს სამეურნეო ცხოვრებაში.

რიტუალები დღესასწაულის ხასიათს აკარებდნენ და ხელს უწყ-
ობდნენ ოჯახის თითოეული წევრის პასუხისმგებლობის ამაღლებას
ცხოველებისა და ფრინველების მოვლა-პატრონობისათვის. მეცხოვე-
ლეობის განვითარების ახალ პირობებში ამ ტრადიციების განახლება
დღესაც გარკვეულ დადებით როლს შეასრულებს. კერძო საკუთრება-
ზე გადასვლა ამისათვის ერთობ მტკიცე ნიადაგს ქმნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სტუმართან შეხვედრას, მის მიღებასა და დაბინავებას. ოზურგეთში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით XIX საუკუნის 80-იან წლებში სტუმარს სახლში მიღებისთანავე, ოჯახის რომელიმე წევრი ფეხს დაბანდა. ოჯახის უფროსი მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდებოდა და მას თავაზიანად მიესალმებოდა – იგონებს ა. სეგალი (ქუთაისის გუბერნიის ცნობათა კრებული, IV გამოშვება, ქუთაისი 1886, გვ. 213, რუს.). გურიანთაში, აქაურ მცხოვრებთა მონათხრობით, მსგავსი წესები არ შეიმჩნეოდა და მას დამამცირებლად მიიჩნევდნენ, თუმცა, სტუმრის მიღებას ყოველთვის საპატიო მოვალეობად თვლიდნენ.

გურიანთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის უმდიდრეს მასალას იძლევა გაჭირვებულისადმი დახმარება და მიცვალებულისადმი მიძღვნილი რიტუალების დაცვა. დამახასიათებელია, რომ უსახსრო ქვრივობლისადმი დახმარება ხდებოდა ორგანიზებულად. ერთ-ერთი ინიციატივიანი მეზობელი, საზღაურის გარეშე, აგროვებდა პროდუქტებს, ფულად სახსრებს. მართავდნენ, აგრეთვე, "წაბურვიან ტირილს". დაკრძალვასთან დაკავშირებულ გაგზავნილ წერილებში აღნიშნული იყო, რომ აპირებდნენ "წაბურვით" დასაფლავებას. შემწეობას წინათ ღარიბი გლეხები იღებდნენ და "ვალის" გადახდასაც კისრულობდნენ. წერილებში ჩამოთვლილი იყვნენ განსვენებულის ის ვაჟიშვილები, რომლებიც წამბურველთა წინაშე ვალდებული იყვნენ "სესხი" გადაეხადათ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები, რომლებსაც ეხმარებოდნენ უანგაროდ, "სამაგიეროს" გადახდის გარეშე.

გურიაში ტრადიციად იქცა, აგრეთვე, "ზარით" ტირილი. ეს იყო მოტირალებისადმი უტექსტოდ და უსიტყვოდ აყოლებული შემზარავი ხმა, თავისებური აკომპანიმენტი. ზარის მთქმელად არანაკლებ სამ მამაკაცს (დამწყები, მოძახილი, ბანი) ირჩევდნენ. ზოგჯერ ნათესავები მოზარეებით სამძიმარზეც მიდიოდნენ, რასაც ოჯახი დიდ პატივისცემად აღიქვამდა. როგორც წესი, სამძიმარზე მოსულთ "მოზარეები" ჭიშკართან ეგებებოდნენ და მოსულთ სახლის კარებამდე, ზოგჯერ კუბომდეც, მიაცილებდნენ. შეძლებული ოჯახი მეორე "მეზარეებსაც" ქირაობდა და გარდაცვლილის სამძიმრის ცერემონიალის ოთახში აყენებდა. ეს უკანასკნელნი კუბოსთან მიახლოებული ნათესავების ტირილს აუბამდნენ მხარს ("გურია. მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის", გვ. 160).

გაზეთი "ივერია" (1887 წ. 18 აპრილი, № 75) ერთ-ერთ შემთხვევას ასე აღწერს: "მომტირლებს მოზარეები მიუძღოდათ (ამათ წინასწარ აფრთხილებდნენ). მეზარეები თავჩაქინდრული ზარს ამბობდნენ. მათ უკან მიყვება თმაგაწეწილი დედაკაცი, რომელიც გულსაკლავად მოჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კივის და, თუმცა ორი კაცი აქეთ-იქით ამოდგომია, მაინც ვერ დაუკავებ-ბიათ. დედაკაცს პირსახე სულ დაკაწრული აქვს".

ტრადიციის მიხედვით მოზარეებს ფულს აძლევდნენ (ან, სანაცვლოდ, ორი დღე ეხმარებოდნენ) და საუკეთესო საჭმელებით უმასპინძლდებოდნენ. ეს ტრადიცია ოჯახს მძიმე ტვირთად აწვა. გურიანთაში მას ფეხი მტკიცედ არ მოუკიდებია. ჩვენი აზრით, ზარით ტირილი წაბაძულობით მკვიდრდებოდა და ქართველი კაცის ბუნებას ვერ გამოხატავდა, შინაგან განცდებთან დაკავშირებული არ იყო და მიზნად ისახავდა გარეგნული ეფექტის მოხდენას, გლოვისათვის არაბუნებრივი ხასიათის მიცემას. საზოგადოებამ იგი არ გაითავისა და მივიწყებას მიეცა და შემორჩა კულტურის ცენტრებიდან დაშორებულ მხოლოდ ზოგიერთ რეგიონში თუ სოფელში. ამას ვერ ვიტყვით "მიმგებელზე", რომლებიც ტირილში მოსულთ ჭიშკართან მიეგებებიან. ეს ტრადიცია გურიანთაში ნაწილობრივ დღესაც არის შემორჩენილი და აღიქმება როგორც ოჯახის "დამფასებელთა" მიმართ მადლობის გამოსახატავი მოქმედება.

XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ხმა აუმაღლებიათ "წასაბურავების" წინააღმდეგ და დასაფლავების ხარჯებიც შეუმცირებიათ, მაგრამ, ერთმანეთის წაბაძულობით, ტრადიცია კვლავ გრძელდებოდა ("ივერია", 1902 წ. 12 თებერვალი, № 35). ძველი სახით იგი 1905 წლამდე არსებობდა. ამავე პერიოდში მოიშალა სამძიმარზე მიმსვლელთა მიგებების ტრადიცია. მას მხოლოდ "ტირილის დღეს" იყენებდნენ. რაც შეეხება "წაბურვას", ადრინდელი ფორმით (სანოვაგით შესაწირი) იგი თითქმის ყველგან გაქრა, მაგრამ სხვადასხვა ფორმით თანხის შეგროვება არ შეწყვეტილა და დღესაც გრძელდება.

დამახასიათებელია, რომ დროთა განმავლობაში იცვლებოდა "წასაბურავის" დანიშნულება. თავდაპირველად იგი გულისხმობდა კუბოს შესაბურავი სუდარის შესაძენი თანხის შეგროვებას. სუდარის შეძენის აუცილებლობა, თავის მხრივ, განაპირობა მიცვალებულის პირსახის დანახვის ცოდვად ჩათვლამ. მოგვიანებით "წახურვა" თანდათან შეცვალა სანოვაგითა და ფულით დახმარებამ.

დაკრძალვის დღეს, გურიანთაში, დიდხანს დამკვიდრებული წესით, ჭრიდნენ ყველაზე ძვირფას ხეს. გურიის ზოგიერთ სოფელში კი ხეს ძირფესვიანად იდებდნენ, რადგან, მათი წარმოდგენით, იგი სამოთხის ხე უნდა გამხდარიყო. გავრცელებული იყო ასეთი აზრიც, რომ ეს ტრადიცია წარმოადგენდა ძველ კოლხეთში ხეზე მიცვალებულის კუბოს შემოდგმის წესის თავისებურ გაგრძელებას, ადამიანის "კუთვნილი", "საიქიოს წასაღები" ხის მოჭრის აუცილებლობას. ამ მოქმედებას, თავის მხრივ, განაპირობებდა ძველად დამკვიდრებული წესი – ბავშვის დაბადების დღეს დაერგათ მისი ბედის ხე, რომელიც გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვალების შემდეგ აუცილებლად უნდა მოეჭრათ. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ხის დარგვის ტრადიცია ადრე იქნა მივიწყებული (გურია, მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის", გვ. 163), ხოლო მცენარის მოჭრის შემთხვევები აქა-იქ დღემდე გრძელდება.

გურიანთაში უნდა განახლდეს ბავშვთა დაბადების დღეს ხის დარგვის ტრადიცია და ახალი შინაარსი ჩადონ მასში. ეს ბავშვებში განამტკიცებს მწვანე საფარისადმი სიყვარულს, მათ განუვითარებს მცენარეთა მოვლა-გაშენებისადმი პასუხისმგებლობას, შრომისმოყვარეობას, ეკოლოგიურად გააუმჯობესებს გარემოს.

სასურველია, აგრეთვე, სხვა მივიწყებული ტრადიციების ახლებური გააზრება და ხელაღებით, მოუფიქრებლად დაგმობილი ზოგიერთი ჩვევის აღდგენა- განახლება. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება იმ წესჩვეულებებს, რომლებიც ცრურწმენას ემყარებიან და დროთა განმავლობაში ხალხმა დაივიწყა. მაგალითად, გურიაში ყოფილა დღესასწაული "დადეგს", რომელიც ეწყობოდა 1 ენკენისთვეს (სექტემბერი). ეს იყო "ზაკვავების" დაფრთხობის, სულების განდევნის პროცედურა, რომელიც, ძირითადად, XIX საუკუნის 20-იან წლებში დაინერგა, მაგრამ აქა-იქ 60 წლის შემდეგაც ეწყობოდა ("ივერია", 1877 წ. 15 სექტემბერი, № 29). ცერემონიალის დროს იყო ყიჟინა, თოფის სროლა, შეძახილები. გაზეთის ცნობით, მაშინ გურულების უმრავლესობას "ზაკვავი" მეზობლის მოგზავნილად მიაჩნდა და მღვდლის თანდასწრებით "დაზაკვრული" მეზობელსავე უნდა დაელოცა. ასეთი მოქმედება, ცრურწმენასთან ერთად, მეზობლებში მტრობასა და განხეთქილებას თესავდა და კარგია, რომ ტრადიციად არ იქცა.

გურიანთაში გავრცელებული იყო, აგრეთვე, რელიგიური ცრურწმენა – "ყანის მოძახილი", რომელიც ოჯახებში იმართებოდა 14 აგვისტოს საღამოს. ეზოში გამოსული ოჯახის წევრები ხმამაღლა გაიძახოდნენ: "ჯვარი აქა, კუდიანებო, ჯვარი აქა, კუდიანებო, შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსა ჯვარი დამიწერე" (გაზ. "მწყემსი", 1887 წ. 30 სექტემბერი, № 21). ლოცვა გრძედებოდა სამ საათზე მეტ ხანს თოფის სროლასა და ღრიანცელში. ამას მოყვებოდა ვახშმობა და ასეთივე ხმაურიანი რიტუალი. ამჯერად ადამიანები თმებზე, ყურის მახლობლად, მიიკრავდნენ თაფლის სანთელს, რომელსაც სამი თვის შემდეგ მოიცილებდნენ. ალიონზე ლოცვას კვლავ იმეორებდნენ, თოფსაც ისროდნენ. ცერემონიალის დასასრულს დაღლილ-დაქნცულ ხალხს წართმეული ჰქონდა ხმა. იყო ტრავმისა და რთული დაავადებების შემთხვევებიც. ბუნებრივია, რომ ამ ცერემონიალმაც ვერ მიიღო ტრადიციის სახე და გურიანთაში იშვიათად თუ ტარდებოდა.

ქელეხების პრობლემას გურიაში ყოველთვის დიდი ყურადღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთმობოდა. "ივერიის" (1887 წ. 18 აპრილი, № 75) ცნობით **აქ დამკვიდ**-
დრებული ქელეხები ოჯახებს 100-200 მანეთი უჯდებოდათ. "ერთ ოთახში მიცვალებულს დასტიროდნენ, მეორეში კი – ქელეხს მიირთმევდნენ" – იტყობინებოდა გაზეთი. ქელეხების დროს ადგილი ჰქონია აყალ-მაყალის შემთხვევებსაც. ასე იყო ჩვენთანაც, მაგრამ, ბოლო წლებში, გურიანთაში გარკვეული სასიკეთო ძვრებიც შეინიშნება. მისასალმებელია, რომ აქ ახლა სულ უფრო იშვიათია მიცვალებულის დატირების დროს ქელეხის გამართვა, გასვენებაში მოსულთა შეუწყვეტელი ნაკადის შესანდობარისათვის სუფრასთან მიწვევა და თანდათან მკვიდრდება სამგლოვიარო მაგიდის გაშლა დასაფლავების შემდეგ. ასეთ პირობებში თბილი სიტყვების წარმოთქმას, ოჯახისათვის ნუგეშის მიცემას სხვა ეღერადობა ეძლევა. ეს ტენდენცია ყოველმხრივ უნდა განვითარდეს, ოღონდ თანდათან უნდა შეიკვეცოს წრეგადასული ქელეხების მასშტაბები.

დროა ვიფიქროთ ისეთი ტრადიციების აღდგენაზეც, რომლებიც ხალხმა საუკუნეების ქარცეცხლში გამოატარა და საბჭოების პირობებში დავიწყებას მიეცა. ეს არ ეხება ცრუმორწმუნეობით დამკვიდრებულ ზოგიერთ უქმე დღეების აღნიშვნას. "ივერიის" მიხედვით მიქელ-გაბრიელში ("გურიანთის სამოურაო") გამართული ყველიერის ორშაბათი, ბუკაობა, ქაიჯრობა (იმ დღეს თუ იმუშავებდნენ, ქარი დალეწავდა ჭირნახულს), ილორობა ხელს უწყობდა ცრუმორწმუნეობის გამტკიცებას ("ივერია", 1902 წ. 17 მაისი, № 102).

გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლამ სულ სხვა ხასიათი მიიღო საბჭოების პირობებში. დამკვიდრდა ახალი, ცხოვრების საბჭოურ წესებთან დაკავშირებული დღესასწაულები, უარი თქვეს მრავალ, ისტორიის ქარცეცხლში გამოტარებულ, მათ შორის რელიგიურ, ტრადიციებზე. ხმარებაში დამკვიდრდა ცნება – "მავნე ტრადიციები". სინამდვილეში ჩვეები, დღესასწაულები, ცერემონიალები ტრადიციად თუ იქცა, ხალხმა გაითავისა და საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცა, არ შეიძლება მავნე გადმონაშთი იყოს. მიუღებელს, არაბუნებრივს ხალხი თვითონ დაივიწყებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ დროის მცირე მონაკვეთში ხალხში დამკვიდრებული ყველა ჩვეა გამართლებული და მისაღები იყოს, მტკიცე ტრადიციად იქცეს. კიდევ მეტი, ჩვენში მავნე გადმონაშთებად ცხადდება ხალხმრავალი ქორწილები და ქელეხები, რაც გაუგებრობაა. ქართული ტრადიციის მიხედვით ქორწილებსა და ქელეხებში ხალხმრავლობა არ შეინიშნებოდა. იკრიბებოდნენ უახლოესი ნათესავები, ყველაზე მახლობელი ადამიანები და მასშტაბებიც ზომიერი იყო. ის, რაც დამკვიდრდა საბჭოების პირობებში, ძველი ტრადიციების დამახინჯებასა **და გაყალბ**ებას წარმოადგენს **და არა** მავნე **გადმონაშთ**ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"მავნე გადმონაშთების" წინააღმდეგ ბრძოლა არაერთხელ გამხდარა სოფლის მშრომელთა ფართო მსჯელობის საგანი. ოფიციალურად კრებებზე გმობდნენ ხალხმრავალ ქორწილებს, სახლის გადახურვას და საბჭოთა არმიაში გაწვევასთან დაკავშირებულ ღრეობებს, გადაჭარბებულ ქელეხებს, რომლებიც შემოსავლის გარკვეულ წყაროდ იქცა და იწვევდა ადამიანების მოცდენას.

უნებლიეთ გვაგონდება სამიოდე ათეული წლის წინათ ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული ერთ-ერთი ფრანგი სტუმრის აზრი საქართველოში დამკვიდრებული ზოგიერთი "ტრადიციის" გამო. სტუმართმოყვარე და თავმომწონე ქართველმა ნათესავი უცხოელი დიდი სიამაყით მიიწვია ხალხმრავალ ქორწილებში, სახლის გადახურვასა და სხვა ღრეობებზე, ჭირის არაერთ სუფრაზე, ვიწრო წრისათვის ოჯახებში გამართულ პურმარილებზე. ხორაგით "დატვირთული" მაგიდებით გაოცებულმა (გაოგნებულმა) ფრანგმა გამომშვიდობებისას მადლობასთან ერთად კეთილ ქართველს ერთი ფრაზა შეჰკადრა – "ასე თუ გააგრძელეთ, ქართველებს არასოდეს არ გექნებათ სიუხვე, რადგან ანადგურებთ 3-4-ჯერ მეტ პროდუქტს, ვიდრე ამავე მიზნით ევროპაში მოიხმარენო". დამაფიქრებელი შეგონებაა.

ცნობილია, რომ ჩვენში ახლო წარსულში შინაგანად ბევრი წინააღმდეგი იყო ლხინისა თუ ჭირის სუფრაზე ხალხმრავლობისა, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა. გურიანთაში გამართულ არაერთ კრებაზე დაუგმიათ "მავნე გადმონაშთები", მათი დაძლევისათვის მიუღიათ "გადამჭრელი ზომები", თუმცა არაფერი შეცვლილა.

მართლაც, პარადოქსი იყო ყოველდღიურ ლექსიკაში გამოთქმის – "მავნე გადმონაშთების" შემოტანა. საქართველოში ძველად ქორწილებზე, ქელეხებსა და სხვა შემთხვევებზე უახლოესი ნათესავებისა და მეგობრების შედარებით ვიწრო წრის შეხვედრას სულ სხვა ელფერი ჰქონდა. მტკიცდებოდა ურთიერთობა, ვითარდებოდა ნათესაური კავშირი, ჭირსა თუ ლხინში ერთად ყოფნის აუცილებლობის გრძნობა. ცერემონიალთა დღევანდელი მასშტაბების გამო ნათესავებს საუბრის დროც არ აქვთ. ქორწილებში აღარ არის შეჯიბრი სიმღერასა და ცეკვაში, პოეზიასა და მახვილსიტყვაობაში, მჭერმეტყველებაში, შაირებისა და ანეკდოტების შეთხზვაში, შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენაში, ექსპრომტად ნათქვამ სხარტულა სიტყვებში.

დადგენილებების მიღება, ამკრძალავი კომისიების გამოყოფა მხოლოდ დროებით ზღუდავდა ღრეობისა და ქელეხების მასშტაბებს. "მავნე გადმონაშთები" გამძლე აღმოჩნდა, რამაც გააყალბა და დაამახინჯა ძველი ტრადიციები.

გურიანთის საზოგადოება ამ საკითხს, როგორც გადაუჭრელ პრობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლემას, ხშირად უბრუნდებოდა. იგი მწვავედ დაისვა 1972 წელს. სოფლის აქტივი მოითხოვდა ბოლო მოღებოდა შემოსავლის წყაროდ ქცეულ ხალხმრავალ ქორწილებს, სახლის გადახურვისა და საბჭოთა არმიაში გაცილებისადმი მიძღვნილ სადილებს, უზომოდ ხალხმრავალ ქელეხებს. ერთ პერიოდში გურიაში ანეკდოტიც კი გავრცელდა – "ერთი-ორი დღე შენი მკვდარი მათხოვე, ფულს ავიღებ და ქე დაგიბრუნებო".

იყო შემთხვევები, როცა დიდ ქელეხებს ებრძოდნენ ყოვლად გაუმართლებელი, უხეში მეთოდებით, ძალადობის გამოყენებით, ცალკეულ პიროვნებათა დასჯით. გარკვეულ პერიოდში კოლმეურნეობაში აიკრძალა ბრიზენტების კარვის განათხოვრება, დამწუხრებული ოჯახისათვის პროდუქტების მიყიდვა (სპა, ფ. 2341, ს. 57, ფურც. 48-49). მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა. გამოიძებნა სხვა გზები, მხარდამჭერი ორგანიზაციები, ზედმეტ ფასებში პროდუქტების გამსაღებლები. ამან განაპირობა ამ საკითხის ხალხთა სამსჯავროზე პერიოდული გატანა. კერძოდ, 1976 წელს გაიმართა სოფლის მშრომელთა ყრილობა, კრებები ბრიგადებსა და რგოლებში, ინდივიდუალური მუშაობა ოჯახებში. ზოგიერთს შეაცვლევინეს კიდეც ჩანაფიქრი. სჯიდნენ, კიცხავდნენ, მაგალითად, დედის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, "ქელეხზე მასობრივი მოწვევისათვის" 1978 წელს ერთ-ერთ კომუნისტს (ლ. ჩიკაშუა) საყვედური გამოუცხადეს. იყო ქელეხისათვის გაშლილი "სეფის" დანგრევისა და ხალხმრავალი ქორწილების აკრძალვის შემთხვევებიც (სპა, ფ. 2341, ს. 71, ფურც. 46-47). მსგავს ზომებს ატარებდნენ პერიოდულად, მაგრამ, როგორც კი შესუსტდებოდა მუშაობა, დროებით გაქრებოდა დასჯისა თუ გაკიცხვის საშიშროება, მოსახლეობა კვლავ თავისი სურვილისა თუ წაბაძულობის მიხედვით იქცეოდა, მოქმედებდა მთავარი პრინციპით – როგორმე აეღო "გასესხებული" ფული. ამან, ბუნებრივია, ქორწილებსა და ქელეხებს დაუკარგა ძველებური, ტრადიციულ-ქართული იერი. ქორწილები გართობის ნაცვლად "ვალის მოხდის" ცერემონიალად იქცა. ქართულმა სუფრამ თანდათან დაკარგა "აკადემიის" დანიშნულება. ადრე ქორწილისათვის საგანგებოდ ემზადებოდნენ, შემოქმედებითი ფანტაზიისათვის "იმუხტებოდნენ", ამიტომ ქორწილი მთელი მოვლენა იყო არამარტო ოჯახისათვის, არამედ ყველა იქ მყოფთათვის, მთელი სოფლისათვის. იგი დიდხანს ახსოვდათ კიდეც. დღევანდელ ქორწილზე ამას ვერ ვიტყვით. იგი ძირითადად იქცა "აქტიურ მჭამელთა" და პასიურ "მსმენელთა" შეკრებად, ოჯახთან კავშირის შენარჩუნების ფორმად. მოსაწყენი სუფრაც მალე აიშლება. მსგავსი წეს-ჩვევების დამკვიდრება ცვლის ადამიანთა ტრადიციებს, აუბრალოებს და აუხეშებს მას.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გურიანთის ხელმძღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანელობა ერთ-ერთი პირველი იბრძოდა ხელოვნურად დამკვიდრებული გაუმართლებელი ტრადიციების წინააღმდეგ, "ზედმეტადაც" კი აქტიურობდა, რაც მოსახლეობის გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევდა. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის მიზნით 1978 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია 17 კაცის შემადგენლობით: ბ. შეწირული (თავმჯდომარე), მ. დოლიძე, პ.მუჯირი, ბ. ქღენტი, ი. შეწირული, ვ. მამულაიშვილი, მ. ლომაძე, კ. მუჯირი, ს. არობელიძე, მ. ტოტოჩავა, ე. კვაჭაძე, ი. ტოტოჩავა, ნ. არეშიძე, ნ. მალაზონია, თ. ზოიძე, გ. ცერცვაძე, ნ. თავბერიძე (სპა, ფ. 2341, ს. 71, ფურც. 21-22). არაერთხელ აღინიშნა, რომ მშრომელები საგონებელში არიან ჩავარდნილნი. ზოგჯერ ერთ დღეს 2-3 ქორწილში, ღრეობასა თუ ქელეხში უხდებათ "ანგარიშსწორება". ასეთ პირობებში 1976 წელს შეიქმნა კიდევ ერთი "ახალი საბჭოური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების პროპაგანდისა და დანერგვის კომისია" 9 კაცის შემადგენლობით. სამსამი კაცი გაერთიანდა ბრიგადების კომისიებში.

სოფლის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის დიდ ინტერესს იწვევს ხალხურ გართობა-თამაშობათა ორგანიზაცია, რასაც პირდაპირი კავშირი აქვს ხალხის ისტორიასთან, მის ჩვევა-ხასიათთან. თამაშები ავითარებს გამბედაობასა და მოქნილობას, სისწრაფეს, მოხერხებულობას, საზრიანობას, სიძნელეების გადალახვის უნარს.

გურიაში დამკვიდრებული იყო გართობა შეჯიბრებები: სირბილი, ჭიდაობა,ლახტი,თოკსა თუ ხის ტოტებზე გავლა, ცალფეხზე სირბილი,ადგილზე ხტომა, მიზანში ქვის სროლა, ტომარაში მჯდომარე სირბილი, მძიმე ქვის აწევა, მიჯრილი ფეხებით სიგრძეზე ხტომა, გამოქცევით სიმაღლეზე ზურგშექცევით გადახტომა, მთებზე ცოცვა, ნაბადზე გადახტომა, "ჯაფარიკა", მკლავჭიდი (ხელების გადაწევა) "კლასობიე", სწორ ხაზზე ასვლა, მჯიღის გახსნა, ცურვა, კენწლაობა (ქვის კენჭებით თამაში), კაც-ცხენობია (ზურგზე შეჯდომა), ლელო, ზედურ-ქვედურობა. ზემოჩამოთვლილი გასართობა-შეჯიბრის სახეობანი ძირითადად ფიზიკურ წვრთნას ემსახურებოდა, ადამიანებს ჯანმრთელობას უკაქებდა, გამძლეობას უმუშავებდა, გაჭირვებისა და სიძნელეების გადატანას უადვილებდა, სპორტული შედეგების გაუმჯობესებისადმი ლტოლვას უვითარებდა. მაგალითად, ნაბადზე გადახტომა იწყებოდა ერთი ნაბადით, შემდეგ სხვა ემატებოდა. გურიანთაში ეს თამაში ნაკლებად იყო გავრცელებული, რადგან თვით ნაბადი იშვიათობას წარმოადგენდა. სამაგიეროდ, აქ ფართოდ დაინერგა ჭიდაობა, ლახტი, ცალ ფეხზე სირბილი, ადგილზე ხტომა, ჯაფარიკა, მკლავჭიდი, კაც-ცხენობია, თვალხუჭა გამოცნობა, ჯოხზე გადამჯდარი სირბილი, კრივი, მიზანში ქვის სროლა, ცურვა, ჩიტებზე ნადირობა (ბადე-ჩანთის, სხაპის, თავკავის მოწყობა) და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში უყვარდათ და ნაწილობრივ ახლაც მართავენ ლამპრობას, რომელიც ტარდება ძველი სტილით 2 თებერვალს. ამ რელიგიური რიტუალისას მეტწილად ბლის ხის კანს, ძველ "კალოშებსა" და ანწლის ღეროებს იყენებდნენ, რითაც ავსულებს აფრთხობდნენ. ლამპრობა სოფლის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, ერთ-ერთი ყველაზე მხიარული და დასამახსოვრებელი რიტუალი იყო. ჟივილ-ხივილით ცეცხლზე ხტომა, ცეცხლიანი ჯოხებით ეზოს შემორბენა, ბავშვებს ანიჭებდა განუმეორებელ სიხარულს. სუფევდა ავისულების დაფრთხობა-გარეკვის ბევრისათვის გაუცნობიერებელი ატმოსფერო.

გურიანთაში უაღრესად პოპულარული იყო "საკორწიალა" (საქანელა), რომლითაც ახალგაზრდობა თავდავიწყებით ერთობოდა, თუმცა მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ რიტუალის მთავარი დანიშნულება იყო წელის ტკივილის აცილება.

ხალხური თამაშობანი მოქნილობისა და გამბედაობის გამომუშავებასთან ერთად, ავადმყოფობათა თავისებურ პროფილაქტიკად იქცეოდა, ავითარებდა გამომგონებლობას, საზრიანობას, ამდიდრებდა სულიერ კულტურას. გართობა-თამაშობებში წარმატებით მონაწილეობის მიზნით ამზადებდნენ ხელთოფებს, ბზრიალებს, შურდულებს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საგნებს, ფრინველების დასაჭერ მახეებს, სახლებისა და წისქვილების მაკეტებს, საქანელებს, რაც ახალგაზრდობას უვითარებდა შრომისადმი სიყვარულს, მშობლებისადმი დახმარების მისწრაფებას, ტექნიკის ათვისების ელემენტებს, ხელმარჯვეობას.

ძველ გართობა-თამაშობათა მივიწყებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ახალგაზრდობის ინიციატივიანობაზე, სპორტის სახეობათა განვითარებაზე, ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ძველი ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა ხალხური გართობის მრავალი სახეობა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ახალგაზრდობის ფიზიკურ განვითარებაზე, გუნება-განწყობაზე, რიტუალებისადმი დამოკიდებულებაზე, ინიციატივასა და გამომგონებლობაზე. ძველი გართობა-თამაშობანი, როგორც წესი, სპორტის ერთმა სახეობამ – ფეხბურთმა შეცვალა. თუმცა, გურიანთაში, არც მას ჰქონია დიდი წარმატება.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალები, ცნობები ზოგიერთი ძველი ტრადიციისა და რიტუალის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ზნე-ჩვეულებებზე. სამწუხაროდ, მოპოვებული მასალები პრობლემაზე სრულ სურათს არ იძლევა. გურიანთის მოსახლეობის, განსაკუთრებით უფროსი თაობის, ვალია აღადგინოს ყველაფერი, რასაც კავშირი აქვს ეთნოგრაფიასთან, ხოლო სოფლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა სათანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო ადგილი უნდა დაუთმოს ჩვენი ტრადიციებისა და რიტუალების ამსახველ მასალებს. პირველ რიგში, საჭიროა შეგროვდეს ყველაფერი, რაც გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას სოფლის ეთნოგრაფიულ ყოფაზე, მის საცხოვრებელ სახლებზე, ჩაცმულობასა და მიწის დასამუშავებელ იარაღებზე, დღესასწაულებსა და აქ დამკვიდრებულ ადათ-წესებზე, სტუმართმოყვარეობის, ლხინისა თუ ჭირის სუფრის გამართვის ჩვევების თავისებურებებზე. დიდ ღირებულებას იძენს ეთნოგრაფიული პროცესების ამსახველი, ნებისმიერი წერილობითი თუ ფოტო-დოკუმენტები, რომლებიც გაამდიდრებენ ჩვენს ცოდნას ძველებურ სახლებზე, ბეღლებსა და ნალიებზე, ახორსა თუ საღორეზე და სხვა. ყველამ როდი იცის, რომ სოფელში ახლა წამოჭიმული ორსართულიანი სახლების აშენებამდე საცხოვრებელმა ნაგებობებმა რამდენიმე ეტაპი განვლო. ჯერ გაჩნდა ისლით დახურული "კუხნა" სახლი, რომელიც უშუალოდ მიწაზე იყო დადგმული, იგი შეცვალა ქვის ან ხის "ბიჯგებზე" დადგმულმა სახლმა, შემდეგი ეტაპია ორსართულიანი სახლების მშენებლობა.

მომავალ თაობებს წარმოდგენა არ უნდა დაეკარგოთ ძველად სოფელში გამოყენებულ სასოფლი-სამეურნეო იარაღებსა (თოხ-ნაჯახები, კომბინირებული თოხები – თოხის პირითა და წერაქვისებური სათხრელით, სახნისები, გუთნები, "ღომის თოხები") და საფეიქრო დანიშნულების მოწყობილობაზე. ყველაფერი, რაც შემოგვრჩა შეუძლებელია იძულებით შეგროვდეს. მოსახლეობა თვითონ უნდა იჩენდეს ინიციატივას, იმის შეგნებას, რომ ეს აუცილებელია მისივე სოფლის წარსულის უკეთ წარმოჩენისათვის. მუზეუმის თანამშრომლებმა კი, თავის მხრივ, დოკუმენტურად გააფორმონ შემოსული მასალები და მიუთითონ იმ პიროვნებათა შესახებ, ვინც მუზეუმს დასდო პატივი, ექსპონატები შემატა და მისი ექსპოზიცია გაამდიდრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე. სკოლა, განათლება, კულტურა.

ცნობილია სკოლის როლი ერების ისტორიაში. სკოლაშია შესაძლებელი ახალგაზრდობის მიზანმიმართულად აღზრდა-განათლების ორგანიზება, სწავლის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა. სკოლა ისტორიული მოვლენაა. მისი მიზნები, ამოცანები და მუშაობის შინაარსი განსაზღვრულია საზოგადოების განვითარების დონით. სკოლის დაარსებას ძვ. წელთაღრიცხვის რამდენიმე ათასი წლის წინათ ვარაუდობენ. მის პირველ სამშობლოდ მიაჩნიათ ძველი ეგვიპტე, ბაბილონი, ინდოეთი, ჩინეთი. საბერძნეთში სასკოლო სისტემა ჩამოყალიბდა ძვ. წელთაღრიცხვის VII-VI სს-ებში. შუა საუკუნეებში განათლების საქმეში მონოპოლია მიიღო ეკლესიამ, პარალელურად ვითარდებოდა საერო წოდებრივი სკოლაც.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველი სკოლები გაჩნდა საქართველოსა და სომხეთში III-IV საუკუნეებში. სხვადასხვა პერიოდში გაიხსნა დახურული სათავადაზნაურო სასწავლებლები, ვაჟთა და კადეტთა კორპუსები, საეკლესიო სკოლები, ხალხთა ფართო მასებისათვის სხვადასხვა ტიპის დაწყებითი სკოლები.

ოზურგეთის მაზრაში სკოლები XIX საუკუნეში გაიხსნა. 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში, ჩვენს ხელთ არსებული ზოგიერთი დოკუმენტის მიხედვით, აქ ფუნქციონირებდა 16 სკოლა. სხვა წყაროებით 70-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ, 1872 წლის 6 მაისს გამართულ სოფლის სახალხო სკოლების კრებას ესწრებოდა 9 სკოლის წარმომადგენელი. "...დანარჩენი შკოლები იქნება კიდევ ათამდისინ, მაგრამ ისინი სამწუხაროდ ჩვენდა ცარიელ სახელებს შეადგენენო" ("სასოფლო გაზეთი", 1872 წ. 13 ნოემბერი) – წერდა კორესპონდენტი. ე. ი. სხვა სკოლები არ ფუნქციონირებდნენ. სკოლების რაოდენობის თექვსმეტამდე რეალურად გაზრდისათვის კიდევ 7-8 წელი დასჭირვებიათ. აქედან ნათლად ჩანს, სკოლების გახსნა როგორი რთული და ნელი პროცესი ყოფილა. საქმეს განსაკუთრებით ართულებდა მასწავლებელთა მცირე რაოდენობა და მათი დაბალი კვალიფიკაცია. რიგ სკოლაში "მხოლოდ ასოებსა და ციფრებს ასწავლიდნენ". ამ შემთხვევაშიც კი მშობლები ტრაბახობდნენ": ჩვენმა შვილებმა ციფრები და რუსული წყალივით იცისო". ამასთან უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სოფლად განათლებისადმი ნაკლები ყურადღებისათვის. "ერთ საზოგადოებას უთხოვია კარგი მასწავლებელი გვიშოვეთ და ოთხას მანეთს მივცემთო, მაგრამ ვერ დაეხმარენ" – გულისტკივილით წერდა "სასოფლო გაზეთის" კორესპონდენტი ეპიფანე კალანდაძე (იქვე). მანვე დასვა საკითხი გურიაში მასწავლებელთა მოსამზადებელი სემინარიის გახსნის შესახებ.

მასწავლებელთა სიმცირესთან ერთად, სკოლების გახსნის მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემაფერხებელი სახსრების უქონლობა იყო. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში (481) დაცული დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ სკოლების შესანახად სახსრებს ძირითადად მოსახლეობა აგროვებდა. საზოგადოების მიერ სოფლის მასწავლებლებისადმი 1879 წლის 4 ივნისს გაგზავნილ წერილში დასმულ კითხვაში – "რამდენ გადასახადს იხდის სოფლის საზოგადოება თავისი მასწავლებლების შესანახავად წლისთავზე და რამდენი ეძლევა ამ გადასახადიდან სოფლის მასწავლებლებს, რამდენი იხარჯება წიგნებზე, მოსამსახურეებზე და სხვა". გაცემული პასუხიდან ირკვევა, რომ მაშინ მასწავლებლების ხელფასს, წიგნების საფასურსა და მოსამსახურე პერსონალის ხარჯებს სოფლის საზოგადოების მიერ შეკრებილი თანხებით ფარავდნენ (სცსა, ფ. 481, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 3). წიგნის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე გაგზავნილ პასუხებში სოფლებიდან რეგულარულად აცნობებდნენ შეგროვილი თანხის რაოდენობას.

დიდ ინტერესს იწვევს იმავე ფონდის მე-6 საქმეში დაცული საქართველოს სკოლების სია, რომლითაც შესაძლებელი გახდა დაგვედგინა 1879-1885 წლებში ოზურგეთის მაზრის სასწავლებლების რაოდენობა. მაშინ მაზრაში სულ მოქმედებდა 16 სკოლა, 696 მოსწავლით. მათ შორის გურიანთა არ მოიხსენიება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში აქ სკოლა არ ჰქონიათ. ვაქვეყნებთ სოფლების მიხედვით სკოლების სიას: 1) ამაღლობლის სკოლა – 127 მოსწავლე, 2) ბასილეთისა – 85 მოსწავლე, 3) ასკანისა - 46, 4) ძიმითისა – 95, 5) აცანისა – 30, 6) აკეთისა – 41, 7) ნიგოეთისა - 94, 8) ლანჩხუთისა - 88, 9) ჩიბათისა – 30, 10) ჯურუყვეთისა – 95, 11) ჩოჩხათისა – 48, 12) ჯუმათისა – 37, 13) ლიხაურისა – 66, 14) შემოქმედისა – 42, 15) დვაბზუსი – 42, 16) ბახვისა – 130 მოსწავლე (იქვე, ს. 6, ფურც. 126). ამ უნიკალური საბუთით ირკვევა, რომ ყველაზე დიდი სკოლა სოფელ ბახვში ჰქონიათ, მოწაფეთა რაოდენობით შემდეგ მოდიოდა ამაღლების, ძიმითისა და ნიგოეთის სასწავლებლები. მათ რამდენადმე ჩამორჩებოდა ლანჩხუთისა და ბასილეთის სკოლები. სხვა სასწავლებლებში მოწაფეთა რიცხვი საგრძნობლად მცირე ყოფილა, ისიც აღსანიშნავია, რომ სკოლების უმრავლესობა საკუთრივ ოზურგეთის სოფლებზე მოდიოდა, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში მათი რიცხვი უაღრესად მცირე იყო.

გაკვირვებას არც ის უნდა იწვევდეს, რომ მაშინ ოზურგეთის მთელ მაზრაში იმდენი მოსწავლე (696) იყო, რამდენიც დღეს ერთ სკოლაშია (ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი გაცილებით მეტია).

საინტერესოა მაჩვენებლები, რომლებიც სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას ასახავს. მაშინ მაზრის 16 სკოლაში ჰქონიათ: დედა ენა –435, ბუნების კარი – 435, კალანდარიშვილის სახელმძღვანელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

– 696 (იქვე). ე. ი. ყოველ მოსწავლეზე მოდიოდა თითო სახელმძღვანელო და თითქმის სამ მოსწავლეზე ორ-ორი დედა ენა და ბუნების კარი. ეს, ალბათ, დღესაც შეშურდებოდათ ჩვენს სკოლებს. დოკუმენტში მოტანილი მასალები ნათელს ჰფენს სკოლების მუშაობის სხვა ასპექტებსაც.

უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს მასალები გურიანთის სკოლის გახსნის შესახებ, რომლის თარიღი დღემდე დაუდგენელი იყო. სოფლის მოსახლეობას სკოლის გახსნისათვის დიდი ინტერესი (XIX ს, 70-80-იან წლებში) გამოუვლენია, მაგრამ ეს პროცესი ჭიანურდებოდა სახსრების უქონლობის გამო. სკოლის დაარსების ხანგრძლივი პროცესის ამსახველი ძუნწი ცნობები გაბნეულია ჟურნალ-გაზეთებში ("ივერია", "კვალი", "ცნობის ფურცელი", მოამბე", "სოფლის გაზეთი" და სხვა), რომელთაც პირველწყაროების მნიშვნელობა ენიჭებათ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაზ. "ივერიაში" (რომლის დამაარსებელი, გამომცემელი და რედაქტორი დიდი ილია იყო) გამოქვეყნებული გიუტაშვილის კორესპონდენცია – "სოფ. კახური" (გურიანთის საზოგადოება)". ავტორის აზრით, ამ სოფლის სახელის გაგონება მკითხველს გააკვირვებდა. "კახური, – ნათქვამია კორესპონდენციაში, – იმიტომ დარქმევია სოფელს, რომ აქ ასვენია კახეთიდგან მოსვენებული წმ. გიორგის ხატი" ("ივერია", 1897 წ. 20 სექტემბერი, № 195). მთელი საქართველოსათვის კარგად ცნობილი ამ გაზეთის ინფორმაციიდან ჩანს, რომ 90-იანი წლის ბოლომდე კახურის შესახებ პრესაში რაიმე ცნობა არ ქვეყნდებოდა.

მანამდე, კახურის და კიდევ მთელი რიგი სხვა სოფლების გამაერთიანებელი სახელი "გურიანთის სამოურაო", "გურიანთის საპოლიციო" იყო. შეიძლება ამანაც განაპირობა გურიანთის ცალკეული სოფლების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა. ხაზი იმასაც უნდა გაესვას, რომ კორესპონდენციას გასდევს ღვარძლიანი ტონი და, გამორიცხული როდია, არაობიექტურობა ან არაკომპეტენტურობა, სოფლების შესახებ გამოქვეყნებულ მასალებზე არასრული წარმოდგენა. "მესამე წელია, – წერდა იგი, – რაც აქ ძალაუნებურად სკოლა დაარსდა, წინად კახურელებს სკოლისათვის არც კი ეცალათ... ახლა კარგი ბედი მოგვადგა კარს. სკოლა გვაქვს, მაგრამ... შიგ კარგი გამოცდილი მასწავლებელია საჭირო, სკოლის მზრუნველებად – კი მცოდნე და გამოცდილი და განათლებული ხალხი... აქაური ინტელიგენცია, რომელთა რიცხვი სახელით საკმაოა, სკოლასა და მის ბედ-იღბალს სრულიადაც ყურადღებას არ აქცევს" (იქვე). საკმაოდ მკვახედ არის ნათქვამი. ავტორი ასეთ ეპითეტებსაც გვთავაზობს – კახურში "სწავლას ისე უყურებენ, როგორც "თათარი ღორის ხორცს", "სოფელს დამრიგებელი არავინ ყავს, არც მღვდელი, არც დიაკვანი და არც სხვა ვინმე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპონდენცია მრავლისმეტყველია. პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს სწავლისადმი დამოკიდებულების საკითხში სოფლის ინტელიგენციისადმი წაყენებული დაუსაბუთებელი და შეურაცხმყოფელი ზოგადი (გვარებისა და ფაქტების გარეშე) ბრალდებები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მაშინ მსგავსი კორესპონდენციების უმრავლესობა ფსევდონიმებითა და ანონიმურად ქვეყნდებოდა. ასეა ამ შემთხვევაშიც. მოგვიანებით, ასეთივე ტონით შედგენილ კორესპონდენციას აქვეყნებს ჟურნალი "კვალი" (1900 წ. № 15). სტატიის – "ს. კახური" ავტორი – "დ. ქ-ძე" წერს: კახური ჩამორჩება სწავლა-განათლებით. მთავარ მიზეზად კვლავ სოფლის ინტელიგენციის პასიურობა არის დასახელებული. საყვედურები ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. მსგავსი "არგუმენტებით" სოფლის მოსახლეობის პასიურობის "მტკიცება" აბსურდამდე მიდიოდა, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ კორესპონდენტების სულისკვეთება ერთი იყო – დაეჩქარებინათ სწავლა-განათლებისათვის გურიის ზიარება, სკოლა-სამკითხველოთა გახსნა, წერა-კითხვის უცოდინარობის დაძლევა. რა ვუყოთ, რომ ხშირად ანგარიში არ ეწეოდა სოფლების მატერიალურ შესაძლებლობებს, მასწავლებელთა სიმცირეს, ფინანსების უქონლობას, სწავლების მთელ პროცესთან (მასწავლებელთა ხელფასი, სახელმძღვანელოები, სხვა ხარჯები) დაკავშირებულ სიძნელეებს. ასეთივე საყვედურებს ხშირად გამოთქვამდნენ სხვა სოფლების მისამართითაც. ინფორმაციათა ამ ფონზე განსხვავებულად გამოიყურებოდა ცნობები ბახვის სკოლის შესახებ. "გურიაში, – წერდა "დროება", – ყველა სასოფლო შკოლებზე და, მე ვგონებ სხვა უეზდების შკოლებზედაც უფრო დაწინაურებულია ბახვის საზოგადოების სასოფლო შკოლა, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1874 წელს დააარსა თავისი ხარჯით... ამ შკოლაში 138 მოსწავლენი დაიარებიან" ("დროება", 1875 წ. 21 მარტი, № 34).

ბახველებს მართლაც შეუძლიათ იამაყონ, რომ მათმა წინაპრებმა მაზრაში ერთ-ერთმა პირველებმა დააარსეს სკოლა, რომელიც გამოირჩეოდა კარგი მაჩვენებლებით.

კიდევ უფრო ადრეა აშენებული ჯუმათის სკოლა, რომელიც 1868-1869 წლებში სამაგალითოდ ითვლებოდა (სწავლობდა 80 მოსწავლე), მაგრამ მომდევნო წლებში დაკნინებულა (1871 წელს მოსწავლეთა რაოდენობა 13-მდე შემცირებულა). კორესპონდენტი ამ პროცესს ხსნის მოსახლეობის "დაუდევრობით". სოფლის ინტელიგენციის ვალია დაადგინოს სკოლის აღზევებისა და დაცემის ნამდვილი მიზეზები.

გურიაში მაშინ "რვამდე მაინც კარგი სახალხო შკოლები" ყოფილა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოზურგეთის მაზრის სასოფლო სკოლების უმრავლესობა აუშენებიათ ანტონ ნაკაშიძის დახმარებით, განკარგულებითა და მზრუნველობით (იქვე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით აღსანიშნავია ოზურგეთის მაზრის სასოფლო სკოლის ამხანაგობა, რომლის წევრები დასვენების დღეებში, საერთო საქმეებზე ბჭობდნენ, ურიგო არ იქნებოდა, სკოლის მესვეურებმა, ამ საინტერესო გამოცდილებიდან ზოგიერთი რამ დღესაც გაიზიარონ.

დავუბრუნდეთ გურიანთის სკოლის დაარსების ისტორიას. მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ სკოლის აშენების გაჭიანურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო არა იქაური ინტელიგენციისა და სოფლის მცხოვრებთა პასიურობა ან მათ მიერ სწავლის მნიშვნელობის უგულებელყოფა, როგორც ამას ზოგიერთი კორესპონდენტი მიიჩნევდა, არამედ, ოზურგეთის მაზრის ბოქაულის (იაგოროვი) ცბიერი და დანაშაულებრივი მოქმედება. მას საზოგადოებრიობისათვის დაუმალავს ჯერ კიდევ 1884 წელს ქუთაისის გუბერნატორის სახელზე სკოლის გახსნის შესახებ გურიანთელთა მიერ გაგზავნილ თხოვნაზე მიღებული ნებართვა. ამის შესახებ გაზეთი "ივერია" არაორაზროვნად წერდა: ოზურგეთის ბოქაულისათვის "ერთ თავადს უთხოვია სკოლა დანიშნულის ადგილზე არ აშენებულიყო" ("ივერია", 1894 წ. 10 ნოემბერი, № 239). ბოქაულის თხოვნა დაუკმაყოფილებიათ. აშკარაა, რომ ჩინოვნიკმა ქრთამი აიღო და გურიანთელთა დაუოკებელი ლტოლვა – გაეხსნათ სკოლა, ესწავლათ წერა-კითხვა, ზიარებოდნენ განათლებას, არაფრად ჩააგდო, დიდი ვაი-ვაგლახით დამტკიცებული დოკუმენტი "გააქრო", სოფლის საზოგადოება აბუჩად აიგდო.

ცნობილია, რომ რუსი მოხელეები ყოველმხრივ აბრკოლებდნენ ქართული სკოლების გახსნას, სოფელში სწავლა-განათლების შეღწევას. რამდენიმე წლის შემდეგ ოზურგეთის ბოქაული შეცვალეს, ახალდანიშნულს (ფიცხალაური) გურიანთისათვის უცნობებია: "ნებართვა დიდი ხანია მოსულია, მაგრამ დიდი დროის გასვლის გამო ხელმოწერები ისევ უნდა შეგროვდესო" (იქვე). მართლაც, ახალი საბუთები კვლავ შეუგროვებიათ და გუბერნატორისათვის უახლებიათ. ამჯერად პასუხი და გუბერნატორის დაპირება სკოლის მშენებლობის დაწყებისთანავე 400 მანეთის გამოყოფის თაობაზე მალე მიუღიათ.

წლების განმავლობაში დანაზოგიდან გურიანთელებმა 1700 მანეთი შეაგროვეს. ნებართვის მიღებისთანავე სკოლის მშენებლობის პასუხისმგებლობა 4 ნაფიცს დააკისრეს. ამათმა, თავის მხრივ, მშენებელი მოიჯარადრე (შ. კალანდარიშვილი) აიყვანეს, რომელმაც სოფლელთა იმედი ვერ გაამართლა. "...თავისი არა ებადა რა, და ყველაფრის ვალად აღება დასჭირდა... ვალად აღებული... ერთი-ორად ჯდება", – ვკითხულობთ მოიჯარადრის შესახებ (იქვე).

მოიჯარადრემ მშენებლობა ვერ დაამთავრა, მხოლოდ კედლები ამოიყვანა და მიატოვა, 1300 მანეთი კი დახარჯა. დარჩენილი ფული მშენებლობის დამთავრებისათვის, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სახსრების შეგროვებაში დრო გადიოდა. ასე შეფერხდა გურიანთელთა დიდი ხნის ოცნების განხორციელება. ამ შემთხვევაში სოფლის მოსახლეობის პასიურობაზე ლაპარაკი გაუგებრობაზე იყო აგებული.

ისმის კითხვა, მაინც როდის აშენდა გურიანთის სკოლა? 1894 წლის 10 ნოემბერს კორესპონდენციაში "სოფ. გურიანთა" გაზეთი "ივერია" იტყობინებოდა, რომ სოფელში "...არ არსებობს არც სკოლა და არც სამკითხველო". სამიოდე წლის შემდეგ იგივე გაზეთი (სტატია "სოფ. კახური") იუწყებოდა, რომ მესამე წელია, რაც აქ ძალაუნებურად სკოლა დაარსდა. "...მახსოვს კი, რომ წინად, ოზურგეთის სასწავლებლის მეორე კლასიდან დათხოვილი მოსწავლე გვესტუმრა სოფელში, ერთს მოკეთეს ნალია (სასიმინდე) სთხოვა და იმის ქვეშ ასწავლიდა ბავშვებს" ("ივერია", 1897 წ. № 195, 20 სექტემბერი).

"მესამე წელია, რაც სკოლა დაარსდა", "ოზურგეთის სასწავლებლიდან მოვლენილი" პედაგოგი ნალიის ქვეშ "ბავშვებს ასწავლიდა". ამ ცნობის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ "ნალიის ქვეშ" სწავლა დაუწყიათ სკოლის მშენებლობის დამთავრებამდე – 1894 წელს. რაც შეეხება "ივერიის" იმავე წლის 10 ნოემბრის ცნობას, გურიანთაში სკოლის არ არსებობის შესახებ, აქ, ჩვენი აზრით, იგულისხმება სკოლის კლასიკური გაგება, თავისი ნაგებობით, სასწავლო ოთახებითა და სწავლის შედარებით ნორმალური პირობებით. ამიტომ, სავარაუდოა, რომ "სასიმინდის ქვეშ" სწავლების ორგანიზაცია, ამ შემთხვევაში, განგებ არ მოიხსენიეს. კიდევ მეტი, გამორიცხული როდია, რომ სწორედ ამ ფაქტისადმი გვერდის ავლით, "მისი დავიწყებით" კორესპონდენციის ავტორს სურდა კეთილმოწყობილი სკოლის გახსნაზე საზოგადოებრივი აზრის მეტი მობილიზება, იმის ხაზგასმა, რომ მათი მიზანია კარგად მოწყობილი სკოლის გახსნა. ეს თავისებური მოწოდებაც იყო თანხების შესაგროვებლად და სკოლის მშენებლობის დასაჩქარებლად, იმის ხაზგასასმელად, რომ რასაც მიაღწიეს, საკმარისი არ იყო და გაცილებით მეტისათვის უნდა ეზრუნათ. მიუხედავად ამისა, გურიანთის სკოლის დაარსების თარიღად სწორედ "ნალიის ქვეშ" სწავლების ორგანიზაცია უნდა ჩაითვალოს. ხაზგასასმელია, რომ ისეთ ურთულეს პირობებში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე კეთილმოწყობილ შენობაში აღზრდა-განათლების წარმართვა.

ახლა შევეხოთ თვით "კლასიკურად გაგებული სკოლის" გახსნის საკითხს, რაზეც პასუხს იძლევა "ივერიაში" (1904 წ. 12 მარტი № 70) ი. ზედობანელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული კორესპონდენცია – "ს. გურიანთა", რომლიდანაც ვიგებთ: "სოფელს აქვს გამართული ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც ექვსი წელია, რაც არსებობს".

ე. ი. შენობაში სკოლა 1898 წელს გაუხსნიათ. მისი მშენებლობის გაჭიანურების მიზეზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უსახსრობა იყო.

გურაინთის სკოლის გახსნის ორმა თარიღმა – 1894 და 1898 წ. გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს. პირველ შემთხვევაში სახელდახელოდ მოწყობილი სწავლება იგულისხმება, ხოლო მეორეში – ამ მიზნით სპეციალურად აშენებული შენობა, სწავლების უფრო მაღალი ორგანიზაციითა და სისტემატურობით. კიდევ მეტი, გურიანთაში შალე მიღწეულით (ერთკლასიანი სასწავლებელი) არ კმაყოფილდებიან და ორკლასიანი სკოლის გახსნას მოითხოვენ. ასეთი განწყობილება უცნაურად გამოხატა დათიკო ელპიტაშვილმა კორესპონდენციაში – "ს. კახური", რომელშიც წერდა: სხვა სოფლებში რომ ორკლასიანი სასწავლებელია, აქ ერთკლასიანიც ძლივს ბეუტავს. მოწაფეთა რიცხვი 40-ს არ აღემატება ("კვალი", 1899 წ. 17 ოქტომბერი, № 42). ამ შემთხვევაშიც აქცენტი გადატანილია სოფელში ახალი კლასის გახსნაზე, ორკლასიანი სწავლების საჭიროებაზე. ესეც თავისებური მოწოდება იყო ეზრუნათ სწავლების უფრო მაღალი ფორმის დასამკვიდრებლად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად. სიტყვებს "ერთკლასიანი სასწავლებელი ძლივს ბეუტავს" – აქ სხვა დატვირთვა ეძლევა, ისინი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. პირველ რიგში, ხაზგასმულია, რომ გურიანთისათვის უფრო მეტი იყო საჭირო, ვიდრე ის, რაც დიდი გარჯით უკვე მოიპოვეს. უდაოა, სოფლებში სკოლების სიმცირისა და წერა-კითხვის უცოდინარობის პირობებში გურიანთის ერთკლასიან სასწავლებელს კორესპონდენტი "მკვახე სიტყვებით" არ მოიხსენიებდა, თუ არა დიდი სურვილი მიეღწიათ უფრო მეტისათვის, და ეს ბუნებრივი პროცესი იყო. გარდა ამისა, 40-მდე მოწაფე სკოლის "ძლივს ბეუტვაზე" არ მიგვანიშნებს, მაშინდელ პირობებში ეს ციფრი საკმაოდ სოლიდურია.

გურიანთის ერთკლასიანი სასწავლებელი სულს რომ არ "ღაფავდა", იქიდანაც ჩანს, რომ 1901 წლისათვის, ე. ი. სკოლის დაარსებიდან ორიოდე წლის შემდეგ, აქ სწავლობდა 60-ზე მეტი მოსწავლე, 20-ით მეტი, ვიდრე 1899 წელს. სკოლის შესახებ "ცნობის ფურცელი" წერდა: "თითქმის ყველა გლეხკაცების შვილები არიან. სწავლის სურვილი ძალიან აქვს ბავშვებს. სიამოვნებით კითხულობენ თუ კი იშოვიან რაიმე საყმაწვილო წიგნებს" ("კვალი", 1901 წ. 14 მარტი, № 1409).

გურიანთის "საპოლიციოში" სხვა სკოლებიც არსებობდა. კერძოდ, მიქელ-გაბრიელში (ს. შრომა) მოქმედებდა ორკლასიანი სასწავლებელი. ერთკლასიანი სამრევლო სკოლა გაიხსნა საღმთოში, რომელიც მიქელ-გაბრიელის ნაწილს წარმოადგენდა. აქ მეორე სასწავლებლის გახსნის აუცილებლობას გაზეთი "ცნობის ფურცელი" ასაბუთებს "პირველი" სკოლის სიშორითა და უგზოობით ("კვალი", 1903 წ. 19 აპრილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2126). იყო სხვა მიზეზიც. სამრევლო სკოლაში ასწავლიდნენ დედა-ენას და მოსახლეობისათვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, ქართული ენის შენარჩუნებაში სწორედ ამ ტიპის სკოლებმა შეასრულეს განუზომლად დიდი როლი. მაშინდელ პრესაში, ზოგჯერ, ქვეყნდებოდა მონაცემები სკოლებისათვის თანხების შემგროვებლების შესახებ. კერძოდ, დ. ქარცივაძეს გურაინთის სკოლებისათვის ნაცნობ-მეგობრებში შეუგროვებია ხუთი მანეთი და სამი შაური, გამოუწერია საყმაწვილო ნახატი ჟურნალი – "ჯეჯილი", ათ-ათი შაური შეწირულობა გაუღიათ – ს. ვაშალომიძეს, ი. ხურციძეს, ივ. ცომაიას, ხუთ-ხუთი შაური – კ. ხომერიკს, არ. ვადაჭკორიას, ს. თავართქილაძესა და სხვებს (იქვე).

სკოლისათვის თანხები გაუღიათ აგრეთვე: ოლ. კვაჭაძეს – 1,5 მანეთი, ფ. კვაჭაძესა და ნ. ჟორდანიას – თითო მანეთი, პ. კალატოზიშვილსა და ლ. კაპანაძეს – 50-50 კაპ ("კვალი", 1900 წ. № 5). აღსანიშნავია, რომ ეს თანხა შეუგროვებიათ განსვენებული ექ. წერეთლის სახელზე. მასალებში არ ჩანს, თუ რა წვლილი მიუძღოდა ამ პიროვნებას გურიანთის საზოგადოების წინაშე. ერთი კი ცხადია, სკოლის მშენებლობისა და მისი განვითარებისათვის შესაწირი სისტემატურად გროვდებოდა და, მაშინდელი განზომილებით, სოლიდურ თანხასაც აღწევდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ შეგროვილი თანხის ნაწილით სკოლის ღარიბ მოსწავლეებს უფასოდ ურიგდებოდათ წიგნები და რვეულები.

მასალების მიხედვით დგინდება, რომ გურიანთის ერთკლასიანი სკოლის შენობა სამოთახიანი ყოფილა. ერთში მოუწყვიათ კლასი, მეორეში – სამასწავლებლო, მესამეში –სამკითხველო (იქვე).

ი. დათუნაშვილის მოგონებით საქართველოს გასაბჭოებამდე გურიანთის სკოლაში მეცადინეობა ტარდებოდა ხის ერთსართულიან ოთხოთახიან შენობაში. ორ სასწავლო აუდიტორიაში მეცადინეობდა ოთხი ჯგუფი. მესამე ოთახი დაეთმო მასწავლებლებს, ხოლო მეოთხეში მოეწყო მათივე "სასტუმრო" (სკოლაში ასწავლიდნენ რაიონიდან მოვლენილი მასწავლებლები). აქ სწავლობდნენ გურიანთის თემის სოფლების ბავშვები. მასწავლებლად მუშაობდნენ ყარამან ცერცვაძე, მიხაკო მუჯირი, შემდეგ ჯორბენაძეები.

სკოლის დაარსება გადაუდებელს ხდიდა სამკითხველოს გახსნას. ადრე ეს ცდა წარუმატებლად დამთავრებულა. "ამას წინათ, – ვკითხულობთ გიტულაშვილის ზემოდასახელებულ სტატიაში ("სოფ. კახური"), – ორმა-სამმა განვიზრახეთ ამ სოფელში სამკითხველოს დაარსება. ეს ხომ ჰაერში კოშკის აშენებას წააგავს და ფილში წყალის ნაყვას, მაგრამ ჩვენ დღეიდან ჩვენ საცდელს არ დავაკლებთ" ("ივერია", 1897 წ. 20 სექტემბერი).

კორესპონდენტი ამ შემთხვევაშიც გულგრილობას უსაყვედურებდა კახურის ინტელიგენციას (თ. ნაკაშიძე, ს. ვაშალომიძე, ჯ. მამუ-

ლაიშვილი სა სხვა) და მიუთითებდა, რომ მათ სოფლის ახალგაზრ-
დობას წიგნები ვერ შეაყვარესო.ეს საყვედურიც საფუძველს მოკლე-
ბული იყო, რადგან მალე სკოლის შენობაში სამკითხველოც გაიხსნა
და მასწავლებლებიც საყვარელ საქმეს მთელ ენერგიას ახმარდნენ,
ხოლო ბავშვები, გაზეთ "ცნობის ფურცლის" ინფორმაციის მიხედვით,
"სიამოვნებით კითხულობდნენ საყმაწვილო წიგნებს".

სამკითხველოს გახსნით შესაძლებლობა გაჩნდა სოფლის სამსახ-
ურში ჩაეყენებინათ ტ. ი. ნაკაშიძის მიერ საქველმოქმედო მიზნით
გამოყოფილი დიდძალი წიგნები, რომელთა გამოყენება მანამდე ვერ
ხერხდებოდა. წიგნების "სოლიდური" ფონდი თანდათან იზიდავდა
მოსახლეობას, ზრდიდა მათ ინტერესს განათლებისადმი. გადაუჭარ-
ბებლად შეიძლება ითქვას, რომ განათლებას მოწყურებულნი წიგნებს
დიდი ინტერესით დაეწაფნენ და შედეგსაც აღწევდნენ, უცოდინრობის
წყვდიადიდან გამოდიოდნენ.

დღეს კი, როცა განათლების დონე შედარებით მაღალია და
ქართულმა მენტალიტეტმა საერთაშორისო აღიარება ჰპოვა, ადამი-
ანები, მცირე გამონაკლისის გარდა, "გადაეჩვივნენ" მხატვრული, მეც-
ნიერული, პუბლიცისტური და სხვა ლიტერატურის წაკითხვას, ვერ
მიდიან ბიბლიოთეკებში (ფასიანი მომსახურება). ვინც ფულიანია, იგი
წიგნებს არ ეკარება, ხოლო ვისაც წიგნების ყიდვის დიდი სურვილი
აქვს (ასეთები უმრავლესობაა), გაზეთებსაც ვერ იძენს. ადამიანები
თავის თავზე ვერ მუშაობენ. ასე, თანდათან, ნელდება წიგნის სიყ-
ვარული, მივიწყებას ეძლევა ლიტერატურაზე დამოუკიდებლად მუშაო-
ბის ჩვევები, იზრდება პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობის "გაბედ-
ულება". მას ემატება უმაღლეს განათლებულთა ნაწილის "უცოდინარ-
ეობის დონემდე" დაშვება, განათლების გაუფასურება, ცოდნის
შეძენისადმი ზერელე დამოკიდებულება. ასეთ პირობებში უმაღლესი
განათლების დამადასტურებელ ერთადერთ საბუთად დიპლომი
"შემორჩათ". ამას დაემატა სათანადო ბაზის არმქონე კერძო ტექნი-
კუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების მომრავლება, დიპლომები-
სათვის დაუოკებელი ბრძოლა. ადამიანები, რომლებიც ამ ფერხულში
ღრმად ჩაითრიეს, ვერ აცნობიერებენ, რომ ერის გადაგვარება მაშინ
იწყება, როცა უცოდინართ დიპლომებს განუკითხავად ურიგებენ. ჩვენში
ასეთი შემთხვევები იშვიათი გამონაკლისი როდია. ამას ბევრი მიზეზი
აქვს, მაგრამ ახლა მთავარია შეცდომები (დანაშაულიც) არ გავიმეო-
როთ, მყარი ცოდნა მივიღოთ და დამოუკიდებელ საქართველოს მა-
ღალი პროფესიონალიზმითა და საქმის ცოდნით ვემსახუროთ. •

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში გურიაში ფარ-
თოდ გაიშალა მოძრაობა სამკითხველოების დასაარსებლად, კერძოდ,
სოფ. აკეთში 1892 წელს გახსნეს "გურიის სახალხო სამკითხველო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო სახოკიას მოგონებით: "...ეს წიგნთსაცავი პირველი იყო ᲐᲠᲐᲛᲪ თუ გურიასა, არამედ მთელს საქართველოსათვის" (ჟურნ. "მოამბე", 1898 წ., № 4, გვ. 44). გურიაში მომდევნო ხუთ წელში კიდევ 14 სამკითხველო გახსნეს, მათ შორის მიქელ-გაბრიელში (გურიანთის "საპოლიციო") და საკუთრივ გურიანთაში.

სამკითხველოები მაშინ უაღრესად დიდ როლს ასრულებდნენ, რადგან სკოლებში ქართული ენა თითქმის არ ისწავლებოდა (მხოლოდ სამრევლო სკოლაში მას კვირაში ერთი საათი ეთმობოდა) და სოფელში წიგნების შოვნა ბევრისათვის მიუღწეველ ოცნებად რჩებოდა. მით უფრო ხაზგასასმელია, რომ გურიას ამ საქმეში დიდი წარმატებები მოუპოვებია. აქაურ სკოლა-სამკითხველოთა მასშტაბებით აღტაცებული თედო სახოკია წერდა: "...როგორც ქართველმა ვინატრე, ნეტავ სხვა კუთხენიც ჩვენი ქვეყნისა ამ წერტილამდე მაინც იყვნენ დაწინაურებულნი — მეთქი, მოგახსენებთ, ქართველი კაცი... ნატვრითა ცხოვრობს, მისით სულდგმულობს" (იქვე).

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ოზურგეთში იბეჭდებოდა უნიკალური წიგნები. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა გაზ. "ივერიაში" კ. თავართქილაძის კორესპონდენცია — "ოზურგეთი", რომლითაც ვიგებთ, რომ 1895 წელს ოზურგეთს სტუმრებია და-ძმა უორდროპი (ტექსტში "ვარდროპნი"), რომელთაც 26 იანვარს შემოქმედის მონასტერი, ხოლო 27-ში იქაური სამკითხველო და წიგნების მაღაზია დაუთვალიერებიათ. აქ მათ შეუძენიათ 10-12 მანეთის ისეთი წიგნები, რომლებიც თბილისში ვერ უშოვიათ. მაღაზიაში მყოფთა აღტაცება გამოუწვევია წიგნის გამყიდველისადმი მშვენიერი ქართულით წარმოთქმულ სიტყვებს — "ახალი-სენაკისა და ოზურგეთის გამოცემა მომაწოდეთ". ოზურგეთის საზოგადოებას სამოქალაქო კლუბში ძვირფასი სტუმრებისათვის გაუმართავს სადილი, რომელსაც 80-ზე მეტი კაცი დასწრებია ("ივერია", 1895 წ. 4 თებერვალი, № 25).

ოზურგეთში გამოცემული წიგნები მაზრის სკოლის სამკითხველოთა განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ხელშემწყობი ფაქტორი გამხდარა. თავის მხრივ, განათლების დასანერგავად, მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმის გარეშე ოზურგეთში წიგნებს ვერ გამოსცემდნენ. სკოლებისა და სამკითხველოების გახსნა, წიგნების გამოცემის საშვილიშვილო საქმე ერთიანი პროცესის სამი განუყოფელი მხარე იყო. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ამ პროცესმა სასიკეთო გავლენა გურიანთაზეც მოახდინა.

სკოლების გახსნამ გადაუდებელი გახადა პედაგოგიური კადრების მომზადება. საინტერესოა ცნობები გურიანთის სკოლის მასწავლებლების შესახებ. მისი პირველი მასწავლებელი ყოფილა ს. ღამბაშიძე, რომელსაც, სათანადო მხარდაჭერის უქონლობის გამო, სკოლა მალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუტოვებია. შემდეგ დაუნიშნავთ ბ. ორჯონიკიძე, რომელიც გამოჩნდა ჩეოდა ინიციატივითა და დაუღალავი შრომით. იგი თავისუფალ დროს მოსწავლეებს უკითხავდა წიგნებს, მართავდა წარმოდგენებს, იღწვოდა სამკითხველოს გახსნისათვის. სათანადო პირობების უქონლობისა და მხარდაჭერის გარეშე, მალე, სამწუხაროდ, სოფელი მასაც მიუტოვებია. შემდეგ დაუნიშნავთ ს. ჭანტურია ("კვალი", 1899 წ., № 41, 17 ოქტომბერი). საერთოდ, კახურის სკოლაში შეინიშნებოდა მასწავლებელთა ხშირი დენადობა, რაც უარყოფითად მოქმედებდა სასწავლო პროცესზე და მეტყველებდა პედაგოგებსა და სოფლის საზოგადოებას შორის კონტაქტების არასრულფასოვნებაზე. ნიშანდობლივია, რომ მაშინ კახურის სკოლის მასწავლებლად არც ერთი ადგილობრივი მცხოვრები არ მუშაობდა. პედაგოგებს მოავლენდნენ ოზურგეთის სამაზრო ცენტრიდან, რომელიც კადრების ნაკლებობას თვითონაც განიცდიდა.

მცირერიცხოვნების მიუხედავად, მასწავლებლებმა უდიდესი როლი შეასრულეს გურიის კულტურულ დაწინაურებაში, სკოლა-სამკითხველოების გახსნაში, ბავშვთა აღზრდასა და წერა-კითხვის უცოდინარობის დასაძლევად პირველი ნაბიჯების გადადგმაში. გურიის სოფლის მასწავლებლების შესახებ შთამბეჭდავად თქვა თედო სახოკიამ: "ვისის მეოხებით გაითქვა გურიამ მთელს საქართველოში, კერძოდ, და საზოგადოდ, კავკასიაში სახელი დაწინაურებულის პროვინციისა? – სოფლის მასწავლებლისა, ვისის წყალობით დაიქსელა გურია სკოლებითა და წიგნთ-საცავ-სამკითხველოებით!? ვისისა და იმავე სოფლის მასწავლებლისა... ვინ არის მიზეზი იმ სანუგეშო მოვლენისა, რომ გურიაში დღეს წერა-კითხვის მცოდნენი 75 %-ზე მეტს შეადგენენ? – რა თქმა უნდა, იგივე სოფლის მასწავლებელი... დიახ, განუზომელია ღვაწლი და ამაგი იმ კაცისა, რომელიც შეცდომით, ყველგან პატარა კაცად არის ცნობილი, რომელიც ითმენს სიღარიბეს, წყურვილსა, შიმშილსა და ყოველგვარ შევიწროვებასა, გარნა სულით ყველაზე მდიდარია, რადგან იცის რა წმინდა, დიადი და პასუხსაგები მოვალეობა აქვს ნაკისრი, მოვალეობა ყრმათა აღზრდისა, სულიერად მათის ამაღლებისა, განმტკიცებისა" ("მოამბე", 1898 წ., № 4, გვ 41-42). ცნობილი მოგზაურისა და მკვლევარის მიერ ერის წინაშე მასწავლებლის ამაგის ჭეშმარიტად მაღალი შეფასებაა, გულწრფელი ქებაა.

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს სახოკიას მიერ გურიის მასწავლებლის ქების არანაკლებ საინტერესო სხვა სიტყვებიც: "არც ერთ კუთხეს ჩვენის ქვეყნისას არ ღირსებია ასე სოფლის რჩეული მასწავლებლები, რომელთაც სავსებით ჰქონდათ შეგნებული თავისი მოვალეობა. რა თქმა უნდა... დასავიწყებელი არ არის ის გარემოებაცა, თუ რა წრეში, რა ხალხში ხვდათ წილად ემოღვაწად, თესლი სიმართლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განათლებისა რა ნიადაგზე ეთესნათ, რათა სასურველის, მცენარეის წილ ღვარძლი არ აღმოცენებულიყო. მართლაც, ძვირია ისეთნაირად მიხვედრილი ხალხი, როგორიც გურიაშია... ყოველსავე სასიკეთოს ალღოთი მიხვდებიან ხოლმე. საკმაოა რასმე აზრს ყური მოჰკრას, მხოლოდ ერთხელ გაიგონოს, რომ აგყვეთ, ბანი მოგცეთ" (იქვე, გვ. 42). გამორჩეული მოღვაწის გულის სიღრმიდან მომდინარე ეს სიტყვები ერის წინაშე გურიის მასწავლებელთა დამსახურების გულწრფელი აღიარებაა, გურული კაცის განზოგადოებული პორტრეტის მოხდენილი წარმოჩენაა. გურიის მასწავლებლები არაერთ სხვა გამოჩენილ მოღვაწეს შეუქია, რაც, რა თქმა უნდა, საამაყოა. მასწავლებელთა ახლანდელი თაობის ვალია გაამდიდრონ წინაპართა ტრადიციები, გამოავლინონ ინიციატივა, ურთულეს პირობებში კვლავაც დაიმსახურონ ქება, ხატად და სალოცავად გაიხადონ ეროვნული ინტერესები, ყოველი ნაბიჯით, ყოველი მოქმედებით, სიტყვითა და საქმით, მასწავლებლის დამსახურებული ავტორიტეტით, გაკვეთილებსა თუ თავისუფალ დროს დარჩნენ ახალგაზრდობის აღმზრდელად და მაგალითის მიმცემად, გზამკვლევად, შეულახავი ღირსების პიროვნებად, საქართველოს ერთიანობის ერთგულ და უშიშარ დამცველად. ასეთია მასწავლებლის მოწოდება.

ცნობილი პიროვნებების მიერ გურიის მასწავლებელთა მაღალი შეფასება არ ემთხვევა თვით გურიელების მიერ გამოქვეყნებულ კორესპონდენციებს, რომლებშიც პედაგოგების მიმართ არაერთი საყვედურია გამოთქმული. ეს, ნაწილობრივ, შეიძლება აიხსნას ავტორთა სურვილებით, რომ მიეღწიათ მეტი წარმატებებისათვის, ეზრუნათ მასწავლებელთა უკეთესი კადრების მომზადებისათვის, მათ მიმართ მომთხოვნელობის ამაღლებისათვის. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ 80-იან წლებთან შედარებით 90-იანი წლების ბოლოს პედაგოგთა შერჩევა-მომზადებაში მართლაც მოხდა გარკვეული ძვრები. არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ თანასოფლელები ("თანამაზრელებიც") შეფასებაში ხშირად "დაუნდობელნი" იყვნენ. შემთხვევითად არც ის უნდა ჩათვალოს, რომ კორესპონდენციების უმრავლესობა ქვეყნდებოდა ანონიმური ავტორების ხელმოწერით, რიც გამოც, როგორც წესი, კრიტიკის ტონი ზედმეტად მკაცრი იყო. ასეთი პუბლიკაციების ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ქვეყნის წამყვანი გაზეთების რიგი სტატიები.

"პატარა გურია, – წერდა "ცნობის ფურცელი", – მისდა სასახელოდ სწავლა-განათლების ასპარეზად მთელს საქართველოში პირველობს", "გურია ბელადობს" (1901 წ. 3 აპრილი, № 2455). ორიოდე წლის შემდეგ იგივე გაზეთი საზოგადოებას ამცნობდა: "გურია გამოირჩევა სწავლისადმი მიდრეკილებით. ხშირად ერთ და იმავე სოფელში რამდენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმე სკოლა არსებობს. გურულ გლეხს, რა გაჭირვებულიც უნდა იყოს, – იგი, ვერ ათქმევინებ, რომ სკოლა არ მინდა, სკოლას ვერ შევეწყვეო. ამ მხრივ გურულები მისაბაძი არიან" ("ცნობის ფურცელი", 1903 წ. 5 ივლისი, № 220) აქ მოპოვებულ წარმატებებს ასეთივე მაღალი შეფასება მისცა საქართველოს "პირველმა" გაზეთმა "ივერიამ". "გურიამ, – წერდა იგი, – სკოლათა და წიგნთ-საცავ-სამკითხველოთა რიცხვით ხომ საქართველოს ყველა კუთხეს გადაუსწრო" (იქვე, 1900 წ. 27 მაისი, № 112). ილია ჭავჭავაძის დასტურით დაბეჭდილი ეს სიტყვები მეტ წონას იძენდა, უფრო დამაჯერებელი ხდებოდა.

ასეთ მაღალ შეფასებებთან ერთად კორესპონდენციებში სამართლიანი საყვედურია გამოთქმული ქალთა სკოლების სიმცირის გამო (მოქმედებდა ორ სოფელში). გაზეთები მიუთითებდნენ, რომ ქალისათვის უფრო საჭიროა სწავლა, რადგან იგი "...პატარა კაპიტალია. თუ ეს კაპიტალი ქალმა შეიძინა, უთუოდ იგი ოჯახში მიაქვს. ამ ქონებას ქალი არ ახმარს თავის კერძო საქმეს... თავის თანხას –სწავლას ურიგებს ოჯახის წევრებს – პატარა შვილებს. ასეთი დედისაგან ბავშვები წერა-კითხვის გარდა ბევრ სხვა რამესაც სწავლობენ" (იქვე). ამ ბრძნულ აზრს მაშინ სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა, ქალთა განათლების აღმავლობა ჩვენში უფრო გვიან იწყება.

სკოლების ისტორიის ანალიზი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს განათლებისადმი მოსახლეობის ლტოლვაზე, სოფლის მატერიალურ და სულიერ შესაძლებლობათა მობილიზების, მრავალი დაბრკოლების გადალახვის უნარზე. ამიტომ, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სკოლის დაარსება სოფლის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფურცელია და გამოხატავს მისი ზრდა-განვითარებისა და ინტელექტის დონეს.

უმძიმესი ეკონომიკური პირობების გამო გურიანთის სკოლას დახურვის საფრთხეც დამუქრებია, მაგრამ კეთილი და პატრიოტი ადამიანების მატერიალური შეწირულობითა და ქველმოქმედებით კრიზისისაგან თავი დაუღწევიათ.

მართლაც, ქველმოქმედებას საქართველოში ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მასში აისახა ჰუმანიზმის მაღალი პრინციპები, რომლებსაც დიდმა შოთამ უმღერა – "რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია". ეს იყო საუკუნეების განმავლობაში ქართველთა ურთიერთობაში დამკვიდრებული ხასიათის, ყოველდღიური პრაქტიკის განზოგადებული სახის გენიალური წარმოჩენა. სამადლო საქმის ტრადიციად ქცევა, საუკუნეების ქარცეცხლში მისი გამოტარება შეეძლო მხოლოდ დიდსულოვან ხალხს. ქველმოქმდებას ნებისმიერი ხალხი ეწევა, მაგრამ ჩვენში მას განსაკუთრებული მორალურ-ზნეობრივი მნიშვნელობა ენიჭება. კეთილი ქართველი კაცი სიამაყის გრძნობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივსება, როცა გაჭირვებულსა და დავრდომილს ეხმარება, კულტურული საგანმანათლებლო ორგანიზაციებს მფარველობს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დიმიტრი ნაკაშიძის ანდერძი, რომლის თანახმად გურიანთის სკოლას დიდი თანხა უნდა გადასცემოდა.

მართლაც, საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფ. 481, აღწ. 1, ს. 777) დაცულია – "მიმოწერა სოფელ გურიანთის სკოლის მასწავლებელ კირილე ლორთქიფანიძესთან დიმიტრი ნაკაშიძის მიერ გურიანთის სკოლისათვის ნაანდერძებ 2200 მანეთის დანიშნულებისამებრ მოხმარების შესახებ". დოკუმენტიდან ჩანს, რომ მიმოწერა დიდხანს გრძელდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა საბუთებში დასახელებულია განსხვავებული თანხაც – 2400 და 2100 მანეთი (იქვე, ფურც. 5,18,24). მითითებული სამი თანხიდან უფრო ზუსტი - 2100 მანეთი უნდა იყოს, რადგან სულ მალე გაზეთი "ცნობის ფურცელი" და სხვა წყარო ასეთივე ციფრს ასახელებდა ("ცნობის ფურცელი", 1901 წ. 27 მაისი, № 1421). ნებისმიერი ზემოდასახელებული თანხა მაშინ დიდი ფული იყო, რომელიც სკოლის განვითარებაზე უდაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა.

იმავე საქმეში დაცულია დიმიტრი ნაკაშიძის ანდერძის პირი. აქვეა კირილე ლორთქიფანიძის 1901 წლის 26 იანვრის წერილი დიდი ილიასადმი – "უძვირფასეს ილიას", რომელშიც ვკითხულობთ: "ამ დღეებში ქუთაისს გარდაიცვალა დიმიტრი გრიგოლის ძე ნაკაშიძე, განსვენებულის შენის ამხანაგისა და მეგობრის პეტრე ნაკაშიძის ძმა, რომელმაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე დამიტოვა მე ანდერძი, რომლის ძალით საზოგადოებას შეუძლია მიიღოს 2100 მანეთი თავნი და მისი სარგებელი" (იქვე, ფურც. 1). წერილიდან ირკვევა, რომ დიმიტრი ნაკაშიძის ანდერძი კირილე ლორთქიფანიძეს შეუდგენია. თანხის მიღება გურიანთას შეეძლო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თანხმობით.

საინტერესოა თვით ანდერძიც, რომელიც დათარიღებულია 1901 წლის 15 თებერვლით, მაგრამ ტექსტი შეუდგენიათ 1900 წლის 7 ნოემბერს. მივყვეთ დიმიტრი ნაკაშიძის ანდერძის ტექსტს: "1900 წელსა, ნოემბრის 7 დღესა, მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი თავადი დიმიტრი გიორგის ძე ნაკაშიძე, სრულის გონიერებისა და მტკიცე მეხსიერების მქონი, ამით გამოვხატავ ჩემს უკანასკნელ სურვილსა და ნებას... ცოტაოდენი ფული... რაც ჩემს სიკვდილის შემდეგ ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში დარჩება ჩემგან შენახული, როგორც თავნი, ისე მისი სარგებელი, აგრეთვე საწევრო ფული ჩემი... მიანდერძებია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, იმ პირობით, რომ ეს ჩემი ნაანდერძევი... მოახმაროს სამადლოდ და ჩემდა სახსოვრად, გურიანთის სასოფლო სასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელს, რომელიც ამჟამად გურიაში, ციხის სასოფლო საზოგადოებ-
ში არსებობს. ეს ანდერძი, თავადის დიმიტრი გიორგის ძე ნაკაშიძის
თქმული სიტყვა – სიტყვა სიტყვად დავსწერე, მისი თხოვნით მე, თა-
ვადმა კირილე ბეჟანის ძემ ლორთქიფანიძემ" (იქვე, ფურც. 5). ანდერძს
დიმიტრი ნაკაშიძესთან ერთად ხელი მოაწერეს მოწმეებმაც: პავლე
ალექსანდრეს ძე თუმანიშვილმა, ივანე ისაკის ძე პურადოვმა, გიორ-
გი პეტრეს ძე პამღლიძემ (ასეა დოკუმენტში).

უაღრესად საინტერესოა, რომ დ. ნაკაშიძის ანდერძის მიხედვით
გამოყოფილი თანხა მისი დასაფლავების ცერემონიალსა, ქელეხსა და
სასაფლაოს აგებისას გაწეული ეკონომიითაც დაუზოგავთ. თავადს, –
ვკითხულობთ "ცნობის ფურცელში", – ოჯახისათვის უთხოვნია", რაც
შეიძლება უბრალოდ და მარტივად დამმარხეთ და ის ფული, ან ნაწ-
ილი მისი, რომელიც ჩემს სახელოვან დამარხვაზე უნდა დაიხარჯოს,
რაიმე კეთილ საქმეს შესწირეთო" (1901 წ. 27 მარტი). საბუთი მრავ-
ლისმეტყველია. თავადს სიკვდილის წინ უარი უთქვამს მდიდრულად
დასაფლავებაზე და ქველმოქმედებაზე უფიქრია. ეს მაგალითი დღესაც
მისაბაძია. ხომ ცნობილია, რომ არც თუ იშვიათად შეჯიბრია გამა-
რთული გარდაცვლილთათვის დაუმსახურებლად, ძვირადღირებული
სასაფლაოების აგებისათვის. კიდევ მეტი, ზოგჯერ რეციდივისტის,
უქნარასა და გამომძალველის სასაფლაოს შესანიშნავი ბიუსტები და
ძეგლები ამშვენებენ. ასეთი შემთხვევები მოსახლეობის სამართლიან
გულისწყრომას იწვევს.

დიმიტრი ნაკაშიძისათვის მის მემკვიდრეებსაც მიუბაძავთ და ოზურ-
გეთის საქალაქო სკოლისათვის 300 მანეთი შეუწირავთ (იქვე).

მკითხველთა ყურადღებას მივაპყრობთ ერთ მეტად მნიშვნელო-
ვან გარემოებას. ჯერ კიდევ XII საუკუნიდან, ქართული სამართლის
მიხედვით, ანდერძის დამტოვებელი მისი შედგენის დროს სულიერად
ჯანმრთელი უნდა ყოფილიყო და რაიმე ისეთი ავადმყოფობა არ უნდა
ჰქონოდა, რომელიც მის ცნობიერებაზე იმოქმედებდა. საუკუნეების
განმავლობაში ანდერძის განხილვისას ამ მომენტის უგულებელყო-
ფას დაუშვებლად მიიჩნევდნენ. ეს, პირველ რიგში, შეეხებოდა პოლი-
ტიკურ ანდერძს, შემდეგში იგი ყოველი სახის ანდერძზე გავრცელდა.
ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, ანდერძის საზოგადოებრივი
მნიშვნელობიდან გამომდინარე, აქსიომური მნიშვნელობა მიანიჭა
ანდერძის დამტოვებლის ფსიქიკურ-ცნობიერ მდგომარეობას, რომელ-
საც აღსრულებისას განუხრელად ითვალისწინებდა (ი. რეხვიაშვილი,
ჯ. ჯალიაშვილი, ვ. ხოჭოლავა, "პოლიტოლოგია", თბ., 1991 წ., გვ. 67).

დიმიტრი ნაკაშიძის ანდერძში შემთხვევით როდია ნათქვამი
"სრულს ცნობიერებისა და მტკიცე მეხსიერების მქონი". ამით ანდერძი
სამართლის მოთხოვნების სრულ შესაბამისობაშია. ამის აღნიშვნა მით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო საჭიროა, რომ ქართული აზროვნება პოლიტიკური ყოფიერებ-ისა და ცნობიერების პროცესების შესწავლისა და მოვლენების ფსიქოანალიტიკური გაგების მნიშვნელობამდე ჯერ კიდევ XII საუკუ-ნეში ამაღლდა და მას შემდგომ დიდი სიზუსტით იცავს.

ახლა ანდერძში დასახელებული თანხის ბედის შესახებ. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ანდერძის აღსრულება უაღრესად ჭიანურდებოდა. საკითხს ნათელს ჰფენს საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებე-ლი საზოგადოების სკოლების მეთვალყურის გ. ბურჭულაძის მიერ ქუთაისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე გაგზავნილი მოხსენება (ხელმოწერილია 1914 წ. 10 აპრილს), რომელ-იც 8 მაისს განუხილავთ ამავე საზოგადოების სკოლების სექციაზე. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-ცელებელ საზოგადოებას ნაანდერძევი ფული 2400 მანეთი (უნდა ვი-ვარაუდოთ, რომ პირვანდელ თანხას 2100 მანეთს დაემატა სარგებე-ლი – პროცენტები) 1902 წლის 2 მაისისათვის მიუღია. აქ დასაბუთებუ-ლია ამ თანხის ადრესატისადმი გაგზავნის აუცილებლობა, მითითებუ-ლია, რომ გურიანთას დიდი ტერიტორია უჭირავს (მიქელ-გაბრიელი, კახური, ვაშნარი და სხვა).

საბუთებიდან ჩანს, აგრეთვე, რომ სკოლა დაუარსებიათ მიქელ-გაბრიელსა და ვაშნარში. ეს უკანასკნელი გახსნეს და არსებობას გა-ნაგრძობდა სოფელში შეკრებილი თანხებით.

მოხსენებიდან ჩანს, აგრეთვე, რომ 1912 წლამდე ნაანდერძევი ფულის სარგებელი ეძლეოდა კახურის სკოლას, ხოლო 1913-1914 წლებში თანხა არავის არ მიუღია (დოკუმენტის მიხედვით არავის მოუთხოვია). ახლა ძნელია იმის დადგენა, რატომ შეფერხდა თანხის ათვისება. ერთი კი ნათე-ლია, 1914 წლიდან ფულის გადაცემა ვაშნარის სკოლისათვის მოუსურვე-ბიათ. გ. ბურჭულაძე ამას იმით ასაბუთებს, რომ აქ სკოლა ახალგაზრდუ-ლი ყოფილა (1913 წელი) და მაშინვე განუზრახავთ კეთილმოწყობილი სასწავლო შენობის აგება. ეს მოსაზრება უდაოდ ანგარიშგასაწევია, მა-გრამ ვაშნარის სკოლისათვის თანხის გადარიცხვის მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, სხვაც იყო. საქმე იმაშია, რომ დიმიტრი ნაკაშიძეს სასახლე და კარ-მიდამო ვაშნარში ჰქონდა. 1914 წლისათვის იქ ცხოვრობდა დიმი-ტრის შვილიშვილი თავადის ქალი თეოლინა ნაკაშიძე-ერისთავი, რომელ-იც დიმიტრის ვაჟიშვილის – ივსიხის ასული ყოფილა (ვაჟიშვილები ნიკი-ფორე და ივსიხი გარდაცვლილნი იყვნენ). თეოლინას მოუსურვებია ნაანდერძევი ფული, 1914 წლის 10 აპრილიდან, ე. ი. ზემომითითებული მოხსენების შედგენის დღიდან, ვაშნარის სკოლას მისცემოდა, ასევე გა-დარიცხოდა წინა წლის სარგებელი. ამასთან, თავადის ქალი ითხოვდა გამოყოფილი თანხა თანდათან გაზრდილიყო, რათა სკოლას დახმარება მალე დატყობოდა (იქვე, ფურც.21).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტიდან არ ჩანს ვაშნარის სკოლამ რამდენი თანხა მიიღო და რომელ წლებში. ერთი კი ცხადია, თავადის ქალს თეოლინას მოუსურვებია სოფლის იმ რეგიონის მცხოვრებთა მეტი სიმპათიები დაემსახურებინა, სადაც მისი სასახლე იდგა და ტრადიციულად წინაპრები და უახლოესი ნათესავები ცხოვრობდნენ. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ დიმიტრი ნაკაშიძის ძმა მწერალი და პუბლიცისტი პეტრე ნაკაშიძე (1883-1895 წწ) წარმოშობით გურიანთელი იყო (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, გვ 302). სავარაუდოა, რომ თავადის ქალი შეეცდებოდა ვაშნარის მიმართ სახელოვანი ნაკაშიძეების ამაგის ხაზგასმას, საქველმოქმედო სკოლის შეცვლას, უშუალო მეზობლების "მომადლიერებას". მაგრამ ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია. მთავარია, დიმიტრი ნაკაშიძის ანდერძის მატერიალური და მორალური გავლენა ორთავე სკოლაზე. კიდევ მეტი, რომ არ ყოფილიყო ანდერძით გამოყოფილი თანხა, ვაშნარში სკოლა ვერც გაიხსნებოდა. ამიტომ გურიანთელები დიდი მადლიერების გრძნობით უნდა იხსენიებდნენ სოფლისადმი დიმიტრი ნაკაშიძის ამაგს, რამაც განაპირობა ორი სკოლის ფუნქციონირება (ბევრ სოფელში ერთი სკოლაც არ ჰქონდათ).

ქველმოქმედება კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა კულტურასა და განათლებაზე, აღვივებდა მასების ინტერესს მომავლისადმი, სოფლის განვითარების პერსპექტივებისადმი, ქმნიდა სრულიად ახალ ატმოსფეროს. სკოლა სამართლიანად ითვლება სოფლის კულტურული დონის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო მაჩვენებლად, ამიტომ, განათლების განვითარება ერთ-ერთი მთავარი საზრუნავიც არის. აშკარად იგრძნობოდა ძვრებიც, მაგრამ გასაბჭოების შემდეგ გურიანთამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. დღის წესრიგში დადგა წერა-კითხვის უცოდინარობის დაძლევის დაჩქარების აუცილებლობა. მათი რიცხვი სოფელში დიდი იყო. მოსახლეობას უჭირდა უბრალო განცხადების ტექსტის შედგენა (სოფლის ერთკლასიან სკოლას არ შეეძლო მოსახლეობის განათლების საერთო დონის მკვეთრი ამაღლება). ასეთი იყო რეალური სურათი. წერა-კითხვის უცოდინარობის დაძლევას სათანადო ყურადღება გასაბჭოების შემდეგ პირველ წლებშიც ვერ დაეთმო. კიდევ მეტი, 1929 წლის დასწყისში სოფელში დაზუსტებული არ ჰქონდათ წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლები დაარსდა 30-იანი წლების დასაწყისში და მოქმედებდა იმავე პერიოდის დასასრულამდე. 1935 წელს მოქმედებდა სამი სკოლა (ხპა, ფ. 8269, ს. 2, ფურც. 6), რაც მიუთითებს განათლების პროცესის სირთულესა და მის უაღრესად დუნედ მიმდინარეობაზე. 1936 წლის 15 ივნისს დაარსდა წერა-კითხვის მცირემცოდნეობისა და უცოდინარობის "სალიკვიდაციო მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლი სექცია" (თავმჯდომარე, სკოლის დირექტორი, ი. შეწირული). მცირემცოდნეთა და უცოდინართა რიცხვის დაზუსტება 1937 წელსაც გრძელდებოდა (იქვე, ფ. 35, ს. 6, ფურც. 35), რაც მიუთითებს წერაკითხვის უცოდინარობის დაძლევაზე ადრე შექმნილი, გაადვილებული წარმოდგენის უსაფუძვლობაზე. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ს. ჭანიეთურში ამ დროისათვის მცირემცოდნეთათვის სკოლა არც კი გაუხსნიათ (იქვე, ს. 13, ფურც. 19), ხოლო გურიანთის ზოგიერთ სკოლაში მეცადინეობა იშვიათად ტარდებოდა. შედეგიც სახეზე იყო – 1938 წლის მარტისათვის გურიანთის თემსაბჭოში მცირემცოდნეთა და უცოდინართა რაოდენობა 333-ს უდრიდა (იქვე, ს. 21, ფურც. 7, 14). წერაკითხვის უცოდინართა რაოდენობის შესახებ გამოქვეყნებული მასალები ვერ ასახავდა რეალურ სურათს და გამიზნული იყო დეზინფორმაციისათვის – თითქოს საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ურთულესი პრობლემა გადაწყვიტა დროის უაღრესად მცირე მონაკვეთში, სულ რაღაც 5-6 წელში, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

უცოდინარობის დაძლევის, განათლების საერთო დონის ამაღლების დაჩქარების მიზნით 30-იან წლებში (1933 წელი) შემოიღეს ოთხწლიანი საყოველთაო სავალდებულო განათლება, ყურადღება დაუთმეს ხელმოკლე ოჯახების შვილების ტანსაცმლით მომარაგებას, შექმნეს სკოლების პოლიტექნიზაციისა და ღარიბ მოსწავლეთა ფონდი (სპა, ფ. 2341, ს. 1, ფურც. 9).

გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომელიც გადავიდა უფრო დიდ შენობაში, ხოლო ძველი შენობა გადაეცა ციხისფერდის სკოლას. სკოლები გაიხსნა სხვა სოფლებშიც. 1928 წლისათვის გურიანთის თემში მოქმედებდა ოთხი ოთხწლიანი სკოლა და ერთი გლეხი ახალგაზრდობის სასწავლებელი (გამგე გ. ურუშაძე) 381 მოსწავლითა და 12 მასწავლებლით. გლეხი ახალგაზრდობის სკოლისათვის იმავე წელს აშენდა ორსართულიანი შენობა. 1927 წელს გურიანთაში გაიხსნა სოფლის სამკითხველო (ოსა, ფ. 1, ს. 210, ფურც. 31; ს. 213, ფურც. 9; ს. 31, ფურც. 3), რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო საბჭოთა პერიოდის საქართველოში.

30-იანი წლების მიჯნაზე მოსახლეობას უკვე არ აკმაყოფილებდა სკოლების არსებული ქსელი და, სრულიად სამართლიანად, დაისვა შვიდწლიანი სკოლის გახსნის საკითხი. შედგა ხარჯთაღრიცხვა. ახალსოფელსა და ციხისფერდში არასრული საშუალო სკოლის გახსნის შესახებ საკითხი აღიძრა 1937-1938 წლებში (იქვე, ფ. 35, ს. 13, ფურც. 30; ს. 21, ფურც. 12), რაც სოფლის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრებით იყო ნაკარნახები.

გურიანთაში (ს. კახური) ოთხწლიანი სკოლა დაარსდა შრომის სკოლის ბაზაზე. ამავე პერიოდში გლეხი ახალგაზრდობის სკოლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყიდეს ორსართულიანი სახლი, შეაკეთეს ახალგაზრდობის მეორე სკოლა. სოციალური და კულტურული დანიშნულების ობიექტებზე სულ დაიხარჯა 1270 მანეთი (იქვე, ფ. 1, ს. 21, ფურც. 5). ნიშანდობლივია, რომ თანხის დიდი ნაწილი კვლავ მოსახლეობამ გაიღო. კერძოდ, ახალგაზრდობის ახალი სკოლა და სექიმო პუნქტი აშენდა მოსახლეობის შეწირულობით (შეგროვდა 2400 მანეთი). სკოლის მშენებლობას მოხმარდა საღამო-კონცერტებზე შემოსული თანხებიც. გაიშალა ინტენსიური მუშაობა სოფლის კეთილმოწყობისათვის. ამ მიზნით 1928 წლისათვის მოგროვდა 4583 მანეთი (იქვე, ფ. 1, ს. 233, ფურც. 13; ს. 40, ფურც. 3, 16; ს. 136, გურც. 3).

სკოლისადმი დახმარება კოლმეურნეობის გამგეობის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო. სკოლის მესვეურნი განვითარების ყველა პერიოდში, მეტ-ნაკლებად, გრძნობდნენ ამას. შეიძლება მოვიტანოთ 1984 წლის მაგალითი. სკოლის რადიოფიცირებისათვის კოლმეურნეობამ გამოყო 770 მანეთი (კოლმეურნეობის მიმდინარე არქივი. გამგეობის სხდომის ოქმი. 1984 წლის 3 აპრილი).

ტრადიციად იქცა სკოლებისათვის მიწის ნაკვეთების გადაცემა, რომლებიც გარკვეული შემოსავლის წყაროდ იქცა. აქვე გამოიმუშავებდნენ ფიზიკური შრომის ჩვევებს, გამოიჩენდნენ ბოტანიკისადმი ინტერესს, დიდ ყურადღებას უთმობდნენ მცენარეთა მოვლა-დაცვას.

მართლაც, გლეხი ახალგაზრდობის სკოლას გადაეცა გრიგილ ვაშალომიძის ყოფილი მიწა (2 ჰექტარი). მასვე მოხმარდა იმავე ნაკვეთზე გაშენებული ხეების საჯარო ვაჭრობით შემოსული თანხები. სკოლას გადაეცა, აგრეთვე, თეო კვაჭაძის მიწა (იქვე, ს. 2341, ფურც. 6-7). სკოლის ნაკვეთებს მოსწავლეები ამუშავებდნენ. ეს შესანიშნავი ტრადიციები დროთა განმავლობაში მივიწყებას მიეცა. კიდევ მეტი, წლების განმავლობაში გაშენებულ ხეებს უმოწყალოდ ჩეხდნენ. მოსახლეობას მიწებს უკანონოდ ართმევდნენ. იქმნებოდა პარადოქსული სიტუაცია. სკოლებს გადაეცემოდათ არაკანონიერი გზით ჩამორთმეული ნაკვეთები. სიძნელეების მიუხედავად, გურიანთის სკოლები უზრუნველყოფდნენ სოფლის ახალგაზრდობის სწავლის ორგანიზაციას, კულტურული ჩვევების ელემენტების აღზრდას. სკოლების ნორმალურ ფუნქციონირებას ბევრად განაპირობებდა 30-იანი წლებიდანვე კოლმეურნეობის გამგეობის მტკიცე კავშირი სასწავლებლებთან, ზრუნვა მათ მომავალზე. გამგეობა სკოლებს უწევდა სისტემატურ დახმარებას, გადასცემდა ავეჯს, სასკოლო ინვენტარს, სპორტულ ფორმებს, აფინანსებდა შენობების მშენებლობასა და შეკეთებას. მასწავლებლები და მოსწავლეები, თავის მხრივ, ებმებოდნენ საკოლმეურნეო შრომაში, კრეფდნენ ჩაისა და ციტრუსებს, მონაწილეობდნენ სიმინდისა და ტუნგოს მოსავლის აღებაში. საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომითი აქტიურობით გამოირჩეოდნენ მასწავლებლები: ლეილა ჩხაიძე, მარო კვარაცხელია, ნუნუ დოლიძე, თამარ მუჯირი, მერი ღლონტი, თინა დარჩია, თეო ლესელიძე. ბეჯითი შრომით გამოირჩეოდნენ, აგრეთვე, მოსწავლეები: გულნაზი ქათამიძე, ნანი ჩხაიძე, ეთერ შარაძე, ნარგიზა და ნანა დევდარიანები, მაგული სეფისკვერაძე, ილია ჟღენტი, მაგული ვაშნაძე, ლალი და იზოლდა მალაზონიები, ლუიზა და ნარგიზა კვერღელიძეები (ოსა, ფ. 61, ს. 144, ფურც. 12). საკოლმეურნეო შრომაში სკოლების სისტემატური მონაწილეობა ხელს უწყობდა გეგმებისა და მუდმივად მზარდი ვალდებულებების შესრულებას, მაგრამ დამღუპველად მოქმედებდა სწავლის პროცესებზე, განათლების მთელ სისტემაზე, ცოდნის დონეზე.

იზრდებოდა სწავლისადმი გულგრილობა, კლებულობდა სიბეჯითე, საფუძველი ეყრებოდა "ატესტომანიობასა" და "დიპლომომანიობას", რომელმაც, ამჟამად, უაღრესად საშიში ხასიათი მიიღო. მსგავს ტენდენციაზე მიუთითებს გურიანთის სკოლის 1968 წლის მაჩვენებლები: 260 მოსწავლიდან ყველა საგანში დადებითი ნიშანი ჰქონდა 189 მოსწავლეს (მომთხოვნელობის შესუსტების პირობებში), ფრიადზე სწავლობდა – 33, იმავე კლასებში დატოვეს – 18, სხვა სკოლებში გადავიდა – 15 (ოსა, ფ. 35, ს. 343, ფურც. 16-17; ს. 409, ფურც. 7), ნელდებოდა ცოდნისადმი ლტოლვა. ამ ტენდენციას განაპირობებდა მრავალი ფაქტორი. პირველ რიგში, საზოგადოებაში გამეფებული ატმოსფერო – თანამდებობის მიღება, ფულის მოხვეჭა, სიმდიდრის დაგროვება, კომფორტი – სრულიად არ იყო დამოკიდებული განათლებაზე. კიდევ მეტი, სწორედ სწავლა-განათლებით გამორჩეული ადამიანები განიცდიდნენ ეკონომიურ სივიწროვეს, ხოლო ბევრი უცოდინარი და უვიცი დიდ ქონებას აგროვებდა და გამომწვევად იქცეოდა, მცოდნესა და განათლებულს დასცინოდა, აბუჩად იგდებდა, უუნარო პიროვნებად მიიჩნევდა. ყოველივე ეს მოქმედებდა სკოლაზე, სწავლის პროცესზე, მის ხარისხზე.

სოფლის მშრომელთა ერთ-ერთ ყრილობაზე (1983 წ.) სამართლიანად აღინიშნა, რომ მშობლების ყოველი გადაცდომა, ქრთამი, გამოძალვა, უშრომელი შემოსავალი, წამლავს მთელ საზოგადოებას, პირველ რიგში მოზარდის სულსა და ფსიქიკას. შვილებს მარტო საუბრითა და კეთილი დარიგებებით ვერ აღზრდი. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებასა და ოჯახში დამკვიდრებულ ურთიერთობას, პირად მაგალითს, ცხოვრების წესს, კანონიერებას (ოსა, ფ. 35, ს. 795, ფურც. 16). საქმეს არ შველოდა პარტიული კომიტეტის მიერ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების სისტემატური მოსმენა, რადგან ამ შემთხვევაშიც არაფერი შეეძლოთ ეთქვათ ზემოჩამოთვლილი მოვლენების წარმოშობის მთავარ მიზეზებსა და მათი დაძლევის რეალურ გზებზე, საკითხის ფორმალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილვა კი ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ უძლურნი არიანი რაიმე იღონონ ნეგატიური მოვლენების დასაძლევად, რაც აქეზებდა ახალი დარღვევებისაკენ, ქმნიდა დაუსჯელობის ატმოსფეროს, წაახალისებდა უკანონობას. სამწუხაროდ, მათ შორის მოსწავლეთა მშობლებიც იყვნენ.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და მისი გავლენის ზრდის მიზნით, პარტიული კომიტეტი (მდივანი დ. ჟღენტი) 70-იანი წლების დასაწყისიდან რეგულარულად ისმენდა მოსწავლეთა მშობლების ანგარიშს. გურიანთის პარტიული ორგანიზაციების ამ თაოსნობას გამოეხმაურა რაიონისა და რესპუბლიკის პრესა. გაიშალა პრინციპული მსჯელობა ბავშვების აღზრდაში მშობლებისა და მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ. 1975 წელს ამას მოჰყვა "მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში სკოლისა და ოჯახის ხელშემწყობი კომისიის" შექმნა, რომელიც, თავის მხრივ, რეგულარულად ისმენდა მშრომელთა ანგარიშს სკოლის დამთავრების შემდეგ მათი შვილების საქმიანობის შესახებ. სკოლებთან მშობლების კავშირის განმტკიცება დაევალა ამ მიზნით შექმნილ სპეციალურ კომისიებს (თავმჯდომარეები გ. ხავთასი და ს. ქავთარაძე).

საუკეთესო მოსწავლეთა წახალისების მიზნით პარტიული კომიტეტის 1971 წლის ინიციატივით ყოველ წელს უნდა მოეწყოთ "სწავლის წარჩინებულთა დღე". არდადეგებზე სოფელში ჩამოსულ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ანგარიში უნდა ჩაებარებინათ სკოლებისათვის, მათვე უნდა გადაეცათ ჯილდოები საუკეთესო მოსწავლეებისათვის. სოფლის სკოლადამთავრებული ფრიადოსანი სტუდენტებისა და წარჩინებულ მოსწავლეთა ფოტოსურათები უნდა გამოეფინათ სოფლის მოწინავე ადამიანთა სტენდებზე, შეხვედრები მოეწყოთ სოფლის ახალგაზრდობასთან და ა. შ. (სპა, ფ. 1341, ს. 56, ფურც. 73-74).

სხვადასხვა კომისიების შექმნას, თაოსნობათა გამოვლენას, ახალი დადგენილებების მიღებას ეფექტური შედეგები არ მოყოლია, რადგან აღზრდის პრობლემები ერთ სოფელსა და "ერთ ქუჩაში" ვერ გადაწყდება. იგი დამოკიდებულია გლობალურ, ქვეყნის მასშტაბით დამკვიდრებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, სიტყვისა და საქმის ერთიანობაზე, უწესრიგობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობასა და სხვა ფაქტორებზე.

აღზრდასა და "მწიგნობრობაზე" გავლენას ახდენს სამკითხველო, მისი წიგნების ფონდი, აბონენტთა მომსახურება, ჩატარებული მიზანსწრაფული ღონისძიებები. გურიანთის სამკითხველო, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფუნქციონირებდა 1927 წლიდან. ამ პერიოდიდან მისი გამგეები იყვნენ: გ. თავბერიძე, ნ. ჩიტაიშვილი, ლ. მეხუზლა, ალ. მალაზონია, დ. ბაჯელიძე, ნ. დოლიძე, ნ. შეწირული, ნ. ტოტოჩავა. დღეს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობაზე მუშაობს ც. ქათამიძე. დაარსების მომენტისათვის სამკითხველოს ჰქონდა რამდენიმე ათეული წიგნი, რომელთა ნაწილი მას გადასცა სოფლის ინტელიგენციამ, მომდევნო წლებში წიგნების შესაძენად გარკვეული თანხები გამოიყო. მაგალითად, 1935 წელს შეიძინეს 200 მანეთის მხატვრული ლიტერატურა (სპა, ფ. 8269, ს. 1, ფურც. 15). სამკითხველის წიგნების ფონდი მნიშვნელოვნად გაიზარდა ომის შემდგომ წლებში. 1952 წელს აქ დაცული წიგნებისა და ბროშურების რაოდენობა გაიზარდა 2762 ერთეულამდე, მათი ორ მესამედზე მეტი (1888) მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა იყო (ოსა, ფ. 35, ს. 107, ფურც. 16). კოლმეურნეობის გამგეობის ზრუნვით ასე შეიქმნა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის გაშლის სოლიდური ბაზა, რომელიც ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა, ივსებოდა წიგნების ფონდი, მატულობდა მკითხველთა რაოდენობა, წიგნებით მოსახლეობის დაინტერესება.

ხუთიოდე წელში – 1957 წლისათვის წიგნების ფონდი თითქმის ორჯერ გაიზარდა და 4255 ერთეულს მიაღწია. ეწყობოდა მკითხველთა საღამოები, ლიტერატურული შეხვედრები, წიგნების განხილვა-გარჩევა, რამაც ხელი შეუწყო სამკითხველოსადმი ინტერესისა და მკითხველთა რაოდენობის ზრდას (მიაღწია 253-ს). (ოსა, ფ. 35, ს. 107, ფურც. 16).

1960 წელს მეორე სამკითხველო გაიხსნა ციხისფერდში (გამგე ნ. გიორგაძე). მას გადაეცა 1235 წიგნი. მკითხველთა რაოდენობა 86-ს აღწევდა (იქვე, ს. 107, ფურც. 16; ს. 186, ფურც 26). გურიანთის მესამე სამკითხველო გაიხსნა 1982 წელს (გამგე ნ. ქურასბედიანი). სამკითხველოების სხადასხვა უბნებში განლაგება მკითხველებს უადვილებს წიგნებით სარგებლობასა და დამოუკიდებლად მუშაობას, სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრებას.

მოსახლეობის მიერ წიგნებით სარგებლობა, პერიოდული პრესის გავრცელება გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ხალხის განათლებასა და კულტურის დონეზე. თუმცა, არც ეს მაჩვენებლები იძლევა სრულ სურათს. ყველაფერი დამოკიდებულია წიგნების შინაარსზე, წაკითხულის გაგებასა და გააზრებაზე, გამოტანილ დასკვნებზე, ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაზე, პოლიტიკურ კულტურაზე, ოჯახისა და სოფლის საკეთილდღეო მოქმედებაზე. წიგნს შეუძლია კეთილი მეკვლეს როლის შესრულება. გამოუყენებელი წიგნები მკვდარი კაპიტალია. ადამიანის სამსახურში წიგნების ჩაყენება, "ბრუნვაში" მათი სისტემატური მოქცევა წარმოადგენს სამკითხველოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას.

60-იანი წლებისათვის საგრძნობლად გაიზარდა მკითხველთა მომსახურება. სოფლის ბიბლიოთეკებში ჰქონდათ 7286 წიგნი. 1965 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველთა რაოდენობამ მიაღწია 379-ს. დაინერგა მომსახურების ახალი ფორმები - მოძრავი ბიბლიოთეკები, რომლებიც კილმეურნეებს წიგნებს აწვდიდნენ ბრიგადების სამუშაო ობიექტებზე. მშრომელებისათვის ეს მოხერხებული და იოლი იყო. დაღლილ ადამიანებს უადვილდებოდათ მინდვრიდან წიგნების წაღება. მკითხველებს იზიდავდა, აგრეთვე, მდიდარი პერიოდული პრესა – 38 დასახელების ჟურნალ-გაზეთი (სპა, ფ. 2341, ს. 50, ფურც 36).

"მწიგნობრობის" ზრდის ტენდენციის მიუხედავად სოფლის მრავალი მცხოვრები, მათ შორის აქტივისტები, ბიბლიოთეკის იშვიათი სტუმრები იყვნენ, წლის განმავლობაში ერთ-ორ წიგნს თუ წაიკითხავდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იშვიათად ესწრებოდნენ წარმოდგენებს, კინოსა თუ კონცერტებს. რადიოსა და ტელევიზიის არარეგულარული მუშაობის პირობებში ასეთი მოქალაქეების თვითგანათლებისა და კულტურის დონე უცვლელი რჩებოდა ან ქვეითდებოდა კიდეც.

სამკითხველოსთან ერთად სოფლის კულტურის ერთ-ერთ მძლავრ კერას კლუბი წარმოადგენდა, აქ უჩვენებდნენ კინოფილმებს, მართავდნენ კონცერტებს, დგამდნენ წარმოდგენებს, ომის შემდგომ პირველ წლებში აქ დაარსდა მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი თეიმურაზ კვირკველია), ესტრადის ჯგუფი (ხელმძღვანელი გურამ თავბერიძე), შეიქმნა ქორეოგრაფიული, ლიტერატურისა და ჭადრაკის წრე (ოსა, ფ. 35, ს. 88, ფურც 17, 23-24). ნაყოფიერად მუშაობდა დრამატული წრე, მომზადდა საინტერესო დადგმები. 1960 წელს დრამწრემ მოიპოოვა საქართველოს ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების უფლება (იქვე, ს. 186, ფურც 37), რაც თეატრის მოყვარულთა თვითშემოქმედებითი დასის მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

აქ დამკვიდრებული წესების მიხედვით პერიოდულად განახლდებოდა წრეების მუშაობა. 1965 წელს დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა შოთა მჟავია, ჭადრაკისას – ნ. მეხუზლა, ლიტერატურისას – თ. მუჯირი, 1974 წელს მომზადდა სპექტაკლი "ბაში-აჩუკი", რომელიც რაიონის რიგ სოფლებშიც აჩვენეს და ყველგან დიდი მოწონება დაიმსახურა.

1967 წელს შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის ახალი ანსამბლი (ვახტანგ შავიშვილი, ვახტანგ მეგრელიძე). გუნდისათვის დამზადდა 1018 მანეთის ღირებულების ტანსაცმელი (ოსა, ფ. 61, ს. 165, ფურც. 20).

თვითშემოქმედების განახლებას მოსახლეობა დიდი მოწონებით ხვდებოდა, ადვილდებოდა ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენა, ძველი თაობის ადამიანთა გამოცდილების გაზიარება, შემოქმედებითი უნარის ამოქმედება, ჯანსაღი კონკურენციის გაშლა, ქართული ხალხური ტრადიციების აღდგენა-განვითარება, მისწრაფება ეჩვენებინათ სოფლის ნამდვილი სახე, გაეთქვათ მისი სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის კულტურულ ცხოვრებაში გაიზარდა განახლებული კლუბის როლი. აქვე გაიხსნა ახალგაზრდობის ბარი, მათი თავშეყრის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის ადგილი. იგი უნდა ქცეულიყო ახალგაზრდობის შემოქმედებითი უნარის გამოვლენისა და დასვენების კერად. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ საქართველოს ბევრი სოფელი როდი დაიკვეხნიდა ასეთი კლუბით. აქ გაშლილი მუშაობის შედეგებიც ასევე გამორჩეული უნდა ყოფილიყო.

სოფლის კულტურულ ცხოვრებაში დიდია რადიოს როლი. სამწუხაროდ, მასობრივი ინფორმაციის ეს შეუცვლელი საშუალება გურიანთაში გვიან აამოქმედეს. რადიოფიცირება დაიწყო 1951 წელს. თავდაპირველად გაიყვანეს 2,5 კმ სიგრძის რადიოხაზი (რადიოზედამხედველი ვაჟა ტოტოჩავა). მშენებლობა ჭიანურდებოდა. მოსახლეობის ჩართვა რადიოქსელში 1960 წლამდე არ მოხერხდა (იქვე ფ. 61, ს. 57, ფურც. 14; ს. 81, ფურც. 9; ს. 186, ფურც 31). თანაც, ეს უფრო სასინჯ გაშვებას ჰგავდა, რადგან გადაცემები მალე შეწყდა. რაიონის მთელ რიგ სოფლებში კი რადიოფიცირება ადრე დასრულდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს გურიანთის თავკაცების პასიურობა, სოფლის ელექტრიფიცირებისა და რადიოფიცირების მნიშვნელობის უგულებელყოფა თუ შეუფასებლობა, რაიონის ხელმძღვანელთა ინერტულობა, პასიური მხარდაჭერა.

პირველწყაროებში სოფლის რადიოფიცირების დამთავრების სხვადასხვა თარიღია დაფიქსირებული. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, იგი დასრულებულია 1965 წელს (იქვე, ს. 90. ფურც 20). 1958 წელს რადიოფიცირებული ყოფილა მოსახლეობის 85 %. სხვა წყაროებით სოფლის რადიოფიცირება 1960 ან 1963 წელს დამთავრებულა. უფრო რეალური 1963 წელი უნდა იყოს, რადგან ამ პერიოდიდან იწყება პირველი რეგულარული რადიოგადაცემები (კვირის ყოველი პარასკევი). შეიქმნა სარედაქციო კოლეგია, 1965 წელს მისი წევრები იყვნენ: ა. მუჯირი (რედაქტორი), პ.ბელიქანიძე, დ. ჟღენტი, შ. მჟავია, ს. სურგულაძე, ვ. ურუშაძე, ქ. ცერცვაძე, შ. შარაძე, ნ. ტოტოჩავა.

დოკუმენტებში ფიქსირებული რადიოგადაცემების სხვა თარიღები (1951, 1956, 1960 წლები) არაზუსტია და ასახავენ მაშინდელ სულისკვეთებას, რეალური მდგომარეობის შეელამაზების ცდას, ზემდგომი ორგანოებისათვის რაც შეიძლება მალე ეპატაკნათ რადიოფიცირებაში მიღწეული "წარმატებების" შესახებ.

პირველ ხანებში რადიოგადაცემები უსისტემო იყო. მისი გაუმჯობესება 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება. 1968 წლის 10 მაისს სარედაქციო კოლეგიის ნაცვლად აირჩიეს რადიოგადაცემათა კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით (სპა, ფ. 2341, ს. 53, ფურც. 122), გაიზარდა გადაცემათა რაოდენობა, გაუმჯობესდა მომზადებული გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცემების ხარისხი. სულ უფრო მეტი რაოდენობის მოსახლეობა ჩაერთო რადიოქსელში. 1976 წლისათვის რადიოწერტების რაოდენობამ მიაღწია 300-ს (იქვე, ს. 60, ფურც. 18). მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გურიანთაში რადიოგადაცემები სრულყოფილად არასოდეს მიმდინარეობდა, განუწყვეტლივ წყდებოდა ხმა, ძნელდებოდა სიტყვების გარჩევა, ღარიბი იყო თემატიკა. ამას ემატებოდა რადიოქსელის განუწყვეტელი რეკონსტრუქცია, რომელიც, წყვეტილებით, 1985 წლამდე გაგრძელდა (რადიოსადგური დღეს სულ არ მუშაობს). მოსახლეობა უკმაყოფილოა, ვერ ღებულობს ადგილობრივ და რესპუბლიკურ ინფორმაციებს. გამოდის, რომ რადიომ თავისი ფუნქციები სოფელში ვერ შეასრულა, რადიომაუწყებლობის მნიშვნელობა სათანადოდ ვერ შეფასდა.

ათობითა და ასობით სტატიის მომზადება, ინტერვიუს აღება, კულტურის, სოფლის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და საყოფაცხოვრებო საკითხებზე გადაცემების მოწყობა ხელს უწყობს სოფლის ინტელიგენციის შემოქმედებით ზრდას, წერის კულტურის ჩვევების გამომუშავებას, მეტყველების დახვეწას, თვითშემოქმედების ატმოსფეროს შექმნას, სოფლის კეთიდღეობის ამაღლებისადმი სწრაფვას, სოფლის ისტორიისადმი სიყვარულის ჩანერგვას, წიგნებისადმი ინტერესის გაღვივებას. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ადამიანს თავისი უნარი და ნიჭი რადიოგადაცემაში გამოუვლენია, სახელი გაუთქვამს, როგორც მცოდნე და მუყაით, თავის სოფელზე შეყვარებულ პიროვნებას. დასანანია, რომ ეს შესაძლებლობა გურიანთაში სათანადოდ ვერ გამოიყენეს.

სოფელში გვიან ამუშავდა, აგრეთვე, სატელეფონო კავშირგაბმულობა. მხოლოდ 1973 წელს დადგეს 100 ნომრიანი სადგური (სპა, ფ. 2341, ს. 58, ფურც. 43), რამაც გააადვილა კოლმეურნეობის გამგეობის კავშირი საწარმოო ბრიგადებთან და მოსახლეობასთან. დაიზოგა დრო. მომდევნო წლებში "ტელეფონიზაციის" პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო, თუმცა ახლა იგი უმოქმედოა.

საბჭოურ სისტემაში დიდი როლი ენიჭებოდა კედლის გაზეთებს. გურიანთის "კოლმეურნის ხმას" დაეკისრა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, გეგმების შესრულების, სოციალისტური შეჯიბრების და სხვა საკითხების გაშუქება, დღესასწაულებთან დაკავშირებული სტატიების მომზადება. მისი მუშაობის ნაკლოვანი მხარეების მიუხედავად, კედლის გაზეთი ხელს უწყობდა წერის კულტურის გამომუშავებას, ლიტერატურისა და ისტორიისადმი ინტერესის გაღვივებას. მაგრამ, როგორც ყოველ საქმეში, აქაც დამკვიდრდა ფორმალიზმი, ტრაფარეტულ დებულებათა არაერთგზის მომაბეზრებელი გამეორება, მარქსისტულ-ლენინური დოგმების "გადამღერება". მაგრამ, რამდენ ნაკ-

ლზეც უნდა მივუთითოთ, ადამიანთა ერთი ჯგუფი კედლის გაზეთის მომზადება-გამოშვებაზე დიდ ენერგიასა და დროს ხარჯავდა. ერთ-ერთი ასეთი სარედაქციო კოლეგია დამტკიცდა 1965 წელს (რედ. ქ. ბურჭულაძე). გადიოდა დრო, მომწიფდა მრავალტირაჟიანი გაზეთის გამოცემის აუცილებლობა. გურიანთის ხელმძღვანელობამ ეს საკითხი დააყენა 1967 წელს (სპა, ფ. 2341, ს. 52, ფურც. 62). მრავალტირაჟიანი გაზეთის გამოცემა ხელს შეუწყობდა ახალი ინფორმაციების რეგულარულ მიღებას, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, ზარმაცებისა და უყაირათო მუშაკების გამოაშკარავებას, სოფლის ცხოვრების მრავალი ასპექტის ასახვას.

გურიანთას, რომელიც რაიონში ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მოწინავე კოლმეურნეობად, ასეთი პრეტენზიის უფლება ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ, რატომღაც, მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. სოფელი კვლავ დარჩა კედლის გაზეთის ამარა. ასეთ პირობებში საჭირო იყო მისი მუშაობის გამოცოცხლება. 1970 წელს ეს ფუნქცია დაეკისრა ახალგაზრდა ფილოლოგს, ამჟამად ცნობილ მეცნიერს, პროფესორ გურამ შარაძეს. სიმბოლურია, რომ მკვლევარმა ჟურნალისტური მოღვაწეობა ჩვენი სოფლის კედლის გაზეთში დაიწყო. იგი ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, სოფლის კლუბთან შექმნილ ლიტერატურულ წრეს. გაიშალა მუშაობა, მომზადდა ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საინტერესო რეფერატი, მოეწყო წიგნების გარჩევა, გაიმართა დისპუტები, გამოვიდა ზეპირი ჟურნალი (სპა, ფ. 2341, ს. 56, ფურც. 86). სოფელს დაეტყო პროფესიონალი ლიტერატორის ხელი, გამოცოცხლდა კედლის გაზეთის მუშაობა, იზრდებოდა ჩატარებულ ღონისძიებაში მონაწილეთა რიცხვი, შემოქმედებითი პათოსი.

კედლის გაზეთი მომდევნო წლებშიც არ წყვეტდა მუშაობას. 1975 წელს დამტკიცდა რედკოლეგია, დ. ჟღენტის თავმჯდომარეობით (სპა, ფ. 2341, ს. 63, ფურც 34).

მოსახლეობის განათლების ასამაღლებლად გარკვეული როლი შეასრულა საზოგადოება "ცოდნამ", რომლის პირველადი ორგანიზაცია აერთიანებდა 15-20 ლექტორს. ცოდნის სხვადასხვა დარგში, კულტურისა და ხელოვნების, საერთაშორისო საკითხებზე ტარდებოდა ლექცია-მოხსენებები, საუბრები, შეხვედრები დამსახურებულ ადამიანებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან. გურიანთის საზოგადოება "ცოდნის" პირველადი ორგანიზაციის ინიციატივით სოფელში რეგულარულად ისმენდნენ თბილისიდან მოვლენილი ცნობილი მეცნიერებისა და პოლიტიკური მიმომხილველების კვალიფიციურ ლექციებს, რომელთა მიმართ მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენდა. საზოგადოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების მიუხედავად, ამ ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციამ დადებითი როლი შეასრულა მოსახლეობის მიერ ცოდნის დაუფლებასა და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ინფორმირებულობაში.

სოფლის ისტორიაში, მის კულტურულ ცხოვრებაში, განსაკუთრებულ როლს ასრულებს წარსულისა და აწმყოს ამსახველი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მისი დაარსების სათავეები 70-იანი წლების დასასრულიდან იწყება. 1979 წლის 23 აგვისტოს შეიქმნა მუზეუმის მოწყობის რწმუნებულთა საბჭო (თავმჯდომარე ბ. შეწირული), 10 კაცის შემადგენლობით (სპა, ფ. 2341, ს. 75, ფურც. 94). საბჭომ 1980 წლის 28 აპრილს დაამტკიცა ხელშეკრულება მუზეუმის მოწყობის შესახებ (იქვე, ს. 354, ფურც. 54). მუზეუმი გაიხსნა 1982 წელს (დირექტორი ნინო ურუშაძე). აქ გამოფენილი მასალები წარმოადგენს სოფლის თავისებურ "მიკროისტორიას", რომელიც ასახავს მისი განვითარების ეტაპებს და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის გლეხი კაცის საქმიანობის შესახებ. მაგრამ დასანანია, რომ გამოფენილ მასალებში ცოტა არის დოკუმენტები, პირველწყაროები, რაც მნახველში გარკვეული უკმარისობის გრძნობას იწვევს.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გურიანთის შედარებითი დაწინაურება ამ სოფლის კულტურის განვითარებამაც განაპირობა. სოფელში კარგად ესმოდათ, რომ შეძლებული ცხოვრება მხოლოდ მაძღარი ცხოვრება როდია. თანდათან გაჩნდა განათლებისა და თვითგანათლების მოთხოვნილება. სულ უფრო მეტი კოლმეურნე სისტემატურად კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს, ეცნობოდა პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას. კომუნისტური პარტია ყოველმხრივ დაინტერესებული იყო პოლიტიკური ლიტერატურის, გასაკუთრებით პრესის, გავრცელებით, მასების იდეოლოგიური "დამუშავებით", მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პროპაგანდით, გლეხებში ინდივიდუალური მეურნის დათრგუნვით, კერძო საკუთრებასთან შედარებით კოლექტივიზაციის უპირატესობის მტკიცებით. თავის მიზანს პარტია, პირველ რიგში, პრესის მასობრივი გავრცელებით აღწევდა. გურიანთა ამ შემთხვევაშიც გამოირჩეოდა. 1936 წლის მონაცემებით აქ გამოიწერეს სხვადასხვა დასახელების 831 გაზეთი, მათ შორის – "კომუნისტი" – 175, "ახალგაზრდა კომუნისტი" – 146, "ზარია ვოსტოკა" – 6, "ნორჩი ლენინელი" – 155, "ფიზკულტურელი" – 52, "ლენინის დროშა" – 262, "მოლოდოი სტალინეცი" – 12, "წითელარმიელი" – 6, "იზვესტია" – 2, "პრავდა" – 1.

პრესის გავრცელებაზე ზემოქმედების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ გურიანთის პირველადი პარტიული ორგანიზაციის 1934 წლის 10 აპრილის დადგენილება, რომელიც მოსახლეობას ავალდებულებდა გაევრცელებინა გაზეთები: "კოლექტივიზაცია", "ბოლშევიკური სიფხიზლე", "კომუნისტი" (სპა, ს. 6269, ს. 1, ფურც. 2). ხუთიოდე დღეში გამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერეს: "კომუნისტი" – 113, "კოლექტივიზაცია" – 107, "ახალგაზრდა კომუნისტი" – 31, "ბოლშევიკური სიფხიზლე" – 151, "ლენინის დროშა" – 185, "ნორჩი ლენინელი" - 35, "მუშა" – 1. სულ – 623. პარტიულმა ორგანიზაციამ პრესის ასეთი რაოდენობით გავრცელება არასაკმარისად ჩათვალა და მოუწოდა ხელმოწერა გაეგრძელებინათ, რაც ფაქტობრივად იძულების მეთოდების გამკაცრებას მოასწავებდა.

მსგავსი მეთოდების გამოყენებით 1937 წელს გამოიწერეს 192-192 "კომუნისტი" და "ლენინის დროშა", "მშრომელი ქალი" – 7, "ახალგაზრდა კომუნისტი" – 51 (სპა, ფ. 2341, ს. 5, ფურც. 24) და სხვა ჟურნალ-გაზეთები. ზემომოტანილი ციფრები ბევრად ჭარბობდა გურიანთის კომუნისტების რაოდენობას (პარტიის წევრი – 34, კანდიდატი – 26, თანამგრძნობი – 17). აქაური მშრომელები მომდევნო წლებშიაც ასე იძენდნენ დიდი რაოდენობის ჟურნალ-გაზეთებს, სხვა ლიტერატურას.

წიგნების, ლიტერატურისადმი გურული კაცის ლტოლვა არაერთხელ გამოუყენებიათ ბოროტად, დაურღვევიათ პრესის გავრცელების ნებაყოფლობითი პრინციპები. კოლმეურნეებს, არცთუ იშვიათად, "ზემოდან" უკარნახებდნენ რომელი პერიოდული გამოცემები გამოეწერათ. კიდევ მეტი, მათ ხშირად ხელფასიდან უქვითავდნენ ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერ თანხებს. პრესის გამოწერის მიზნით იქმნებოდა სპეციალური კომისიები. მაგალითად, 1970 წელს შექმნილ კომისიაში შეიყვანეს 5 კაცი, რომლებმაც უზრუნველყვეს გეგმით გათვალისწინებული 3550 ერთეული ჟურნალ-გაზეთის დროული გამოწერა (სპა, ფ. 2341, ს. 55, ფურც. 110). ეს უაღრესად მაღალი მაჩვენებელია. გამოდის, რომ ერთ კომლზე (ცხოვრობდა 506 კომლი, 2015 სული) მოდიოდა 7 და უფრო მეტი დასახელების ჟურნალ-გაზეთი; თითოეულ მცხოვრებზე, მათ შორის აკვნის ბავშვებზე – 1, 5 დასახელების პერიოდული პრესა. ამ მაჩვენებლებით გურიანთას რესპუბლიკის სოფლებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა. თუმცა, იმასაც ვერ გამოვრიცხავთ, რომ მაღალი მაჩვენებლები, გარკვეულწილად, განაპირობა პრესის გავრცელებაში იძულებითი მეთოდების დანერგვამ. ანალოგიური ფაქტები ხომ ყველგან შეინიშნებოდა, თუმცა პრესის გავრცელებაში ასეთი მაჩვენებლები ბევრს როდი ჰქონდა. ამას ემატებოდა საზოგადოება "ცოდნის" ბროშურები და სხვა გამოცემები. ჟურნალ-გაზეთების გამოწერის ნებაყოფლობითი პრინციპის დარღვევების გამო აშკარა უკმაყოფილებას არავინ გამოთქვამდა. "უხმაურო პროტესტი" ტრადიციად იქცა, რადგან მიაჩნდათ, მაინც არაფერი შეიცვლებოდა. მსგავსი მეთოდებით პრესის გავრცელება გარკვეულად ზღუდავდა თვითგანათლების განვითარებას სასურველი მიმართულებით. ამას ემატებოდა პარტიული განათლების ქსელში დანერგილი ფორმალიზმი, ზერელობა, რამაც მოიცვა არა მარტო კომუნისტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, არამედ უპარტიოთა ფართო წრეც, ახალგაზრდობაც. წლების განმავლობაში ადამიანები ერთიანდებოდნენ ერთსა და იმავე სემინარებში ან სხვა, სახეშეცვლილ წრეებში. მთავარი იყო რაოდენობრივი მაჩვენებლები, რაც სისტემატურად იზრდებოდა. 1964 წელს პარტიული განათლების ქსელში გაერთიანებული იყო 138 მსმენელი, მათ შორის 60 უპარტიო (სპა, ფ. 2341, ს. 45, ფურც 98).

ქვეყანაში დამკვიდრებული ფორმალიზმის მიუხედავად, გურიანთაში ახერხებდნენ პარტიული განათლების სისტემის ნაკლის ნაწილობრივ დაძლევას, თუმცა ტრაფარეტებსა და მრავალსიტყვობას, გაბატონებული თეორიული დოგმების მომაბეზრებელ გამეორებებს აქაც ვერ გაექცნენ. აი, რა ითქვა 1965 წლის 24 აგვისტოს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო კრებაზე: "პოლიტიკური ცოდნის მაღალ დონეზე დაყენებისათვის თითოეულ ლექტორ-მასწავლებლებს ვუყენებთ მაღალ მოთხოვნებს, რომ მათი ლექცია იყოს ღრმა მეცნიერულად დასაბუთებული, დამაჯერებელი არგუმენტაციით, სიცხადით, გადმოცემის სიცხოველითა და გარკვეულობით" (სპა, ფ. 2341, ს. 49, ფურც. 82). მსგავსი პროპაგანდისტების შერჩევა სოფელს კი არა, რაიონსაც გაუჭირდებოდა. ერთი კი ცხადია, გურიანთაში დამკვიდრდა პარტიული განათლების ქსელისადმი მკაცრი მომთხოვნელობა. მეცადინეობის გაცდენისათვის კომუნისტები ისჯებოდნენ, მათ აკრიტიკებდნენ კრებებსა და პრესაში, კედლის გაზეთებში. პოლიტიკური განათლების მთელი სისტემა ემსახურებოდა ადამიანთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, სოციალიზმის პრინციპების ერთგულებას. ეს იგრძნობოდა პარტიულ კრებებსა და პოლიტმეცადინეობებზე დასმულ შეკითხვებშიც. კერძოდ, ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე (1937 წლის 13 აპრილი) დასვეს კითხვა – "ამ დღეებში, პურის ნაკლებობის დროს, ჩვენი თემის პირობებში ჰქონდა თუ არა ადგილი ანტიკომუნისტურ აგიტაციასა და პროპაგანდას" (სპა, ფ. 2341, ს. 5, ფურც. 25). გასაგებია, პასუხი როგორი იქნებოდა. პურის ნაკლებობის გამო უკმაყოფილების გამოთქმა ანტიკომუნისტურ განწყობად აღიქმებოდა და, უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, "სათანადო პასუხიც" მზად იყო – "არავითარი გამოხდომები არ შეინიშნებოდა".

პრესის დიდი რაოდენობით გავრცელებამ მაინც თავისი დადებითი როლი შეასრულა. სოფელში კითხულობდნენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, ეუფლებოდნენ ცოდნას, ავლენდნენ პოლიტიკურ საკითხებში გათვითცნობიერების მიდრეკილებას, გამოირჩეოდნენ იუმორითა და სხარტულა სიტყვა-პასუხით. გურულების ეს თვისება არაერთხელ შეუნიშნავთ ცნობილ მოგზაურებს და სტუმრებს.

ფორმალობათა და მრავალ სხვა ხელისშემშლელ გარემოებათა მიუხედავად, აშკარად იგრძნობოდა დიდი ძვრები განათლებასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურაში. დღის წესრიგში დადგა სოფლის მოსახლეობის მომსახურების სფეროს გაუმჯობესების აუცილებლობა. აღიძრა საკითხი 1937 წლის 1 იანვრისათვის გურიანთაში გაეხსნათ საექიმო პუნქტი, აფთიაქი და ფოსტის განყოფილება. არაერთი თხოვნის მიუხედავად, ფოსტის ამოქმედება 1938 წლის მარტამდე არ მოხერხდა, ხოლო აფთიაქის გახსნა გადაიდო შორეული მომავლისათვის (1991 წელი).

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გარდა სამედიცინო პუნქტს ევალებოდა ბრიგადების მიხედვით სანიტარული მინიმუმის მცოდნეთა მომზადება. ურიგო არ იქნებოდა დღესაც აღედგინათ ეს ტრადიცია და მოსახლეობისათვის მიეცათ სანიტარული მინიმუმის ცოდნა, აეხსნათ პირველი დახმარების ელემენტარული წესები.

სოფლის თავკაცები ბრუნავდნენ მომსახურების სფეროს გაუმჯობესებაზე, რომლის გარეშე ძნელია ილაპარაკო კულტურის დონეზე, მაგრამ ამ დარგს მთელ ქვეყანაში არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება და გურიანთა გამონაკლისი ვერ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, სოფელში შეინიშნებოდა გარკვეული ძვრები. ჯერ კიდევ 20-იან წლებში გურიანთაში ტარდებოდა სამედიცინო მომსახურება. აქ მუშაობდა ცნობილი ფერშალი ა. მოლარიშვილი, რომელიც უყურადღებოდ არ ტოვებდა მეზობელი სოფლის ავადმყოფებსაც. ომის შემდგომ პერიოდში სოფელს კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ექიმი თამარ ბაბუნაშვილი. ამჟამად გამოირჩევიან ექიმები დედა-შვილი ლილი კვაჭაძე და მარინა ტოტოჩავა, სტომატოლოგი ზურაბ ზაქარიაძე, გელა ჩხაიძე. სოფელს ყურადღებას არ აკლებს პროფესორი ჯემალ მეტრეველი. 80-იანი წლებისათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება. 1982 წლიდან გურიანთაში მოქმედებდა სამედიცინო ამბულატორია. აქ მოღვაწეობდნენ თერაპევტი და სტომატოლოგი, 3 საშუალო სამედიცინო პერსონალი, სანიტარი. მოგვარდა მოსახლეობის დისპანზერიზაცია. მეთვალყურეობაზე აიყვანეს 242 კაცი. სულ მომსახურებას უწევდნენ 2494 კაცს (ოსა, ფ. 35, ს. 774, ფურც. 13). ეს უკვე მძლავრი სამედიცინო სამსახურია, რომლითაც ყველა სოფელი როდი დაიკვეხნის.

ადამიანებზე ბრუნვის ერთ-ერთი გამოვლინებაა კომუნალური მომსახურება. იგი კულტურული დონის განმსაზღვრელიცაა. ამ სფეროში გურიანთას ჰქონდა გარკვეული მიღწევები. 30-იანი წლების მეორე ნახევრისათვის სოფელში გახსნეს სასდილო და ფეხსაცმლის შემკეთებელი არტელი (სპა, ფ. 8269, ს. 1, ფურც. 16; ს. 2, ფურც. 2). თემის პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით არტელს მიამაგრეს შტატიანი მუშაკი, რაც საუკეთესოდ გამოხატავდა სახელმწიფო რეჟიმის სულისკვეთებას, წყობილების პოლიტიზირების დონეს, უნდობლობის ატმოსფეროს, პარტიის იდეოლოგიის წარმომადგენლის "ყველგან ჩართვის" მასშტაბებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალურ მომსახურებას გაუმჯობესება დაეტყო მომდევნო პერიოდში. 70-იან წლებში სოფელს ჰქონდა ფეხსაცმლის შემკეთებელი ორი სახელოსნო ("სახარაზო არტელი"), ამდენივე საპარიკმახერო, ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ატელიე, შემდუღებელი და სადურგლო საამქრო. 1972 წელს, ძირითადად, დამთავრდა წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა. 1977 წელს მოქმედებდა 12 სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტი. მომსახურების თანხამ 110 ათასი მანეთი შეადგინა. საველე სასადილო გაიხსნა ზედობანაზე, ვაშნარსა და ციხისფერდში (იქვე, ს. 63, ფურც. 63; ს. 67, ფურც 27; ს.461, ფურც. 2). რატომღაც, შემდეგ, ეს საინტერესო წამოწყება მიივიწყეს და მის შესახებ მარტო მოგონებაღა შემოგვრჩა.

სოფლის კეთილმოწყობისათვის ზრუნვა გამოვლინდა ბუნების დაცვის კვირეულების მოწყობაში. სკოლების ეზოებში, გზებისა და არხების პირას რგავდნენ კაკლის, წიწვოვანთა, თუთის, ვაშლის, მსხლის, აკაციის და პალმის ნერგებს, ასუფთავებდნენ გარემოს, ზრუნავდნენ ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ, იმ მწარე სინამდვილესაც ვერ გავექცევით, რომ სოფელი სწორედ ჰიგიენური თვალსაზრისით არ გამოირჩევა. თვალში საცემია მოუწყობელი საპირფარეშოები, არ არის სანაგვის ორმოები და სხვა. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ჩაის ფაბრიკის პრიმიტიული "გამწმენდი", რის გამოც სიბინძურე მდინარეებში ჩაედინება. პარადოქსულია, მაგრამ ხშირად სწორედ ჰიგიენა განსაზღვრავს ერის კულტურულ დონეს. ჩვენს პრესაში არაერთგზის დაიწერა, რომ საქართველოში ჩამოსულ უცხოელებს, სოფლების საპირფარეშოთა გამო გაოცება გამოუთქვამთ, ვერაფრით ვერ აუხსნიათ, კულტურულმა ერმა როგორ შეიძლება "დაუშვას"მსგავსი ანტისანიტარია. უდაოა, რომ ერის კულტურა ვლინდება ყველაფერში, რაზეც სერიოზული განსჯა-დაფიქრება გვმართებს. იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რომ კულტურა დახარჯული საპნის რაოდენობითაც განიზომება.

სოფლის განვითარების დონეზე, მის ადამიანებსა და კულტურაზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა სპორტი. მოწინავე ქვეყნებში სპორტიც განვითარებულია.ეს თავისებური "ფუფუნებაა", რომელიც შეიძლება დაუშვას ეკონომიკურად ძლიერმა ქვეყანამ. ძნელი პირობების მიუხედავად, საქართველოში სპორტზე საკმაოდ დიდ თანხებს გამოყოფდნენ. შედეგებიც კარგი იყო. ამას ვერ ვიტყვით გურიანთაზე. მისი განვითარების ყველა ეტაპზე სპორტს ერთნაირი ყურადღება როდი ეთმობოდა.ომის შემდგომი პერიოდის სპორტის განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი ეტაპი 1955 წელს დაიწყო, როცა სოფელში შეიქმნა ფიზკულტურული კოლექტივი, თავისი ბაზით, ძალოსანთა გუნდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე საქართველოს ჩემპიონი გახდა ჯანსუღ მალაზონია, გუნდმა 1956 წელს მიიღო რაიონული გარდამავალი დროშა, მაგრამ, ორიოდე წლის შემდეგ, სპორტული მუშაობა ჩაკვდა ("ლენინის დროშა", 1958 წ. 9 აპრილი). მსგავსი ტენდენციები შეინიშნებოდა მომდევნო წლებშიც. "არითმული" მუშაობა არ იძლეოდა მყარი სპორტული მიღწევების საშუალებას. დაინერგა ფორმალიზმი. 60-იან წლებში ოთხ სპორტულ სექციაში გაერთიანებული იყვნენ ერთიდაიგივე პირები, გუნდებს არ ჰქონდათ ფორმები, მათში არ მონაწილეობდნენ გოგონები (სპა, ფ. 2341, ს. 52, ფურც 100).

სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით 1984 რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სტადიონს, გამოყვეს თანხები, შეიძინეს ინვენტარი, ამოქმედდა ფეხბურთის, კალათბურთის, ჭიდაობისა და შაშის სექციები, თუმცა, რაიმე სერიოზული წარმატებისათვის გურიანთის სპორტსმენებს არც ამ პერიოდში მიუღწევიათ, თავი არაფრით გამოუჩენიათ. სპორტის სახეობათა იგნორირება გავლენას ახდენს ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე, მოქმედებს დემოგრაფიულ პროცესებზე (150 ახალგაზრდა დასაქმებულია ქალაქების წარმოება-დაწესებულებებში). მათი სპორტულ სექციებსა და საინტერესო ღონისძიებებში ჩართვა, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება დემოგრაფიული პროცესების შენელების ერთ-ერთი ფაქტორია.

ამრიგად, გურიანთა დაწინაურდა განათლებითა და კულტურით. თუ წინათ აქ წერა-კითხვის მცოდნეს იშვიათად იპოვიდით, ახლა მას ჰყავს საკუთარი ინტელიგენცია: პედაგოგები, აგრონომები, ინჟინრები, ექიმები, ათობით უმაღლესი თუ საშუალო ტექნიკური განათლების მქონე მუშაკები. მაგრამ, ისიც ხომ ცნობილია, რომ დემოკრატიისა და შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვამ, ადამიანის უფლებათა იგნორირებამ, კერძო ინიციატივის ამოძირკვამ, ერთი იდეოლოგიის ტყვეობაში ადამიანების მოქცევამ, უცხოეთთან თავისუფალი კონტაქტების გაუქმებამ, "რკინის ფარდის" ჩამოშვებამ გავლენა მოახდინა მათი კვალიფიკაციის დონესა და პროფესიონალიზმზე.

დაბოლოს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იმათ შესახებ, ვინც თავისი ცოდნითა და მაღალი პროფესიონალიზმით ასახელეს სოფელი. პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გურამ შარაძე, აგრეთვე, პროფესორები: შოთა სურგულაძე, ჯემალ მეტრეველი, ზურაბ შარაძე, რომან კომახიძე. მეცნიერებათა კანდიდატები (დოცენტები): დავით კომახიძე, ვალერიან კომახიძე, ელიასე ზაქარიაძე, ილია მალაზონია, რევაზ ტოტოჩავა, ნოდარ სურგულაძე, გრამიტონ ცერცვაძე, შოთა ჟღენტი, ცისანა ქაშაკაშვილი, ოზურგეთის ბანკის მმართველი ლავროსი მალაზონია, რუსთავის მეტალურგიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომბინატის გენერალური დირექტორი ვახტანგ ჭეიშვილი, მეურნეობის ცნობილი ორგანიზატორები გენო მალაზონია და იური მალაზონია, ოზურგეთის რაიონის საკრებულოს მდივანი სერგო ტოტოჩავა, პოლიციის ყოფილი უფროსი, ამჟამად გამომძიებელი, ჯემალ შარაძე, ოზურგეთის მესამე საშუალო სკოლის დირექტორი მერაბ კვერღელიძე, მოსამართლე აკაკი თოიძე, რაიაღმასკომის ყოფილი მდივანი ლონდა დოლიძე და სხვები. ბევრ მათგანზე შეიძლება სპეციალური გამოკვლევები, ბროშურები და სტატიები დაიწეროს. ამჟამად, მათი მხოლოდ ჩამოთვლით დავკმაყოფილდით.

სოფელი სათანადო პატივს მიაგებს საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ საამაყო შვილებს, რომელთა ვალია კავშირი შეინარჩუნონ სოფელთან (ამ პროცესს ხელი უნდა შეუწყოს მიწის პრივატიზაციამ), აქტიური მონაწილეობა მიიღონ საშეფო მოძრაობაში, ისტორიული ძეგლების აღდგენა-განახლებაში, გურიანთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებით გამდიდრებაში, კულტურულ საგანმანათლებლო და პროფესიების მიხედვით გამართულ ღონისძიებებში, ახალგაზრდობის აღზრდაში, სოფლის მიღწევებისა და გამოცდილების პროპაგანდაში.

სიამაყით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1994 წელს შესრულდა გურიანთის სკოლის დაარსების 100 წლისთავი, რომლის მომდევნო საიუბილეო თარიღების სადღესასწაულო აღნიშვნა ახალგაზრდებში უთუოდ აღძრავს ინტერესს ჩვენი სოფლისა და მისი სკოლის ისტორიისადმი, განათლებისა და ცოდნის დონის ამაღლებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეხუთე. გურიანთის სამღვდელმთავრო (საწინამძღვრო)

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ არსებობდა გურიანთის "სამოურაო" და "საპოლიციო". დაარსდა, აგრეთვე, გურიანთის სამღვდელმთავრო, რომელიც გურიის დიდ რეგიონს აერთიანებდა.

ცნობილია, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია არის ერთ-ერთი უძველესი ეკლესია, რომელიც შეიქმნა ქართლში (იბერია) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე (დაახლოებით 330 წელს) მცხეთის საეპისკოპოს სახით. უკვე VI საუკუნეში მარტო ქართლში 35-ზე მეტი საეპისკოპო იყო. შემდეგ მისი ტერიტორია გაფართოვდა, თანდათან მთელი ქვეყანა ქრისტიანულ სახელმწიფოდ იქცა. ეკლესიამ დიდი როლი შეასრულა ქართული ენის, სულიერი კულტურის, ფსიქიკისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის იდეის გამომუშავებაში.

VIII საუკუნიდან ფართო სამონასტრო მოძრაობა დაიწყო ტაო-კლარჯეთში. ამ მხარეში მოქმედებდა საყოველთაოდ ცნობილი მონასტრები: ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყاროსთავი, ბანა, ხახული, ზარზმა და სხვა. მაღალ დონეს მიაღწია საეკლესიო არქიტექტურამ, მუსიკამ, სახვითმა ხელოვნებამ. შუა საუკუნეებში ეკლესია ერთადერთი დაწესებულება იყო, რომელსაც ხელთ ეპყრო განათლებისა და მეცნიერების მონოპოლია.

ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ცენტრებშიც და თავისი დიდი წვლილი შეჰქონდათ ზოგად ქრისტიანულ მწერლობაში. შემთხვევითი როდი იყო, რომ იოანე ზოსიმე (X ს.) ქართულ ენას აღიარებდა მსოფლიო საეკლესიო ენად.

ეკლესია ეკონომიურადაც დაწინაურდა. საეკლესიო და სამონასტრო შემოსავალს შეადგენდა შეწირულობითა თუ ნასყიდობით მიღებული ადგილ-მამული და მისი ვლეხებისაგან აკრეფილი გადასახადები, სასულიერო მომსახურების თანხა.

საქართველოს ისტორიაში ეკლესიების როლის ზრდა განსაკუთრებით იგრძნობოდა მისი ტერიტორიის სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცების პერიოდში, როცა იგი გამაერთიანებელ როლს ასრულებდა. არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ საუკუნეების მანძილზე ეკლესიებით დაიფარა საქართველოს სოფლები და რაიონები. წარმართობისაგან განსხვავებით ახალი რელიგია ერის გაერთიანებისა და განმტკიცების მნიშვნელოვან პირობად იქცა. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართულმა მართლმადიდებლობამ მიიღო ეროვნული და პოლიტიკური ხასიათი. ქრისტიანობის ეროვნული მოტივით დატვირთვამ ქართული მართლმადიდებლობა არსებითად განსხვავებული თვითმყოფადი ხასიათის მსოფლმხედველობად აქცია. საერო ხელისუფლება ბრუნავდა ეკლესიის განმტკიცებისათვის. სასულიერო ხელისუფლება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მხრივ, არასოდეს დაპირისპირებია სახელმწიფო ხელისუფლებას. საეკლესიო მსახურნი მონაწილეობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. XII საუკუნის დასაწყისიდან კანონმდებლობით სამღვდელოების მეთაური მეფის შემდეგ პირველ გამგებელს წარმოადგენდა. ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში იდგნენ მეფე და კათალიკოს პატრიარქი.

მართლმადიდებლობის დიდი ქომაგი, ჩვენი ერის მოძღვარი წმინდა ილია მართალი ბრძანებდა – "ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერობისას მოასწავებდა". ქვეყნის ერთიანობა და მომავალი დამოკიდებული იყო სულიერ სამჭედლოზე, ეკლესიის სულისკვეთებაზე. ქართული ეკლესია ყოველთვის ითვლებოდა უძლიერეს ეროვნულ ძალად, ქრისტიანული რწმენა, მშობლიური ენა და კულტურა იყო ეროვნული თვითმყოფადობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი.

ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი იაკობ გოგებაშვილი ქრისტიანულ სარწმუნოებას მიიჩნევდა ზნეობრივი ცხოვრების საფუძვლად. მართლმადიდებლური რელიგიური დოგმების გარეშე მისთვის არ არსებობდა მაღალი ზნეობა. იგი ქრისტიანობას მიიჩნევდა ქვეყნის ერთიანობის თავისებურ გარანტად, ერის შემაკავშირებელ მაღალზნეობრივ იდეოლოგიად. და რაოდენ დიდი იყო მისი აღშფოთება რელიგიის წინააღმდეგ ათეისტების ბრალდებების გამო. "ქართველებში, – წერდა გოგებაშვილი, – ბოლო წლებში იჩინა თავი ერთმა სამწუხარო მიმართულებამ. გაისმის სიტყვით და ბეჭდვით ქადაგება მატერიალიზმისა... არწმუნებენ ხალხს, რომ არ არსებობს არც ღმერთი, არც სული, არც საიქიო... უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს ქადაგება საუკეთესო ღონისძიებაა, რათა ჩვენი ხალხი პირუტყვულ ნახირად გადაიქცეს, გაიხრწნეს, მოაკლდეს ყოველს ადამიანურ ზნეობას და აღიგავოს პირისაგან ქვეყნისა. მატერიალიზმის მოციქულნი ერთს უკადრის ხერხს ხმარობენ: იგინი აჯერებენ ხალხს, რომ მხოლოდ უვიც ადამიანებს აქვს სარწმუნოებაო: ყოველი განათლებული ადამიანი მოკლებულია ყოველ გვარს სარწმუნოებასო. ხალასი სიცრუეა... არც ერთს პირუტყვს არაფერი სწამს, – მაშასადამე ყველა პირუტყვნი უკიდურესად განათლებულნი ყოფილან" (იაკობ გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პოლიტიკური ნაწერები, ტ. 1, 1910, გვ. 3).

ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკლესია-მონასტრებს. სამწუხაროდ, დღემდე შეუსწავლელია საქართველოს საუკეთესო ძეგლები "...მისი ეკლესიებისა და ხატების მრავალრიცხოვანი წარწერების, ხელნაწერთა მინაწერებისა და უამრავი საბუთის მიხედვით" (დ. ბაქრაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12). სათანადოდ არ არის შესწავლილი, აგრეთვე, არქეოლოგიური მასალები. ეს განსაკუთრებით ითქმის ვაშნარის ადრექრისტიანული (VI-VII საუკუნე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესია-ბაზილიკაზე. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ვაშნარის ძეგლის როლი გურიის ისტორიაში, იგი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. აქ ეკლესია შემთხვევით არ აუშენებიათ. ვაშნარი ხომ გურიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქთაგანი და პოლიტიკური ცენტრი, მისი დედაქალაქი იყო.

მეტად დამახასიათებელია, რომ ქართველი კაცი ციხე-ქალაქშიც კი , რომელთა უპირველესი დანიშნულება მტრისაგან თავდაცვა იყო, აშენებდა ეკლესია-სამლოცველოებს. სამრევლო ამხნევებდა ადამიანებს, სამშობლოს დასაცავად მოუწოდებდა, ღმერთს შეავედრებდა შეემუსრათ მოძალადეები, შთაუნერგავდა გამარჯვების რწმენას. მტერთან შერკინების წინ უძლეველობაზე ფიქრი დიდ ენერგიას მატებდა ყველას.

სარწმუნოებას არაერთხელ გადაურჩენია ქართველობა სრული ეროვნული გადაგვარებისაგან. ეკლესიამ 1917 წელს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, მოიპოვა ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა) და აღმართა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა. ტერიტორიული დამოუკიდებლობის გამოცხადებით "... მღვდელმთავრებმა ბრწყინვალე მაგალითი მისცეს იმჟამინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება მოამზადეს" (მერაბ კოსტავა, მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში, "მნათობი", 1990, № 7, გვ. 145).

მეტად დამახასიათებელია იმავე წელს საეკლესიო კრებაზე მიღებული დებულებით განსაზღვრული ეკლესია-მონასტრების ფუნქციები: "სამრევლო არის ერის სარწმუნოებრივ ზნეობრივის მიზნით, ურთიერთდახმარების აზრით, საეკლესიო მეურნეობით, საკუთარის კრებულის ხელმძღვანელობით, საერთო ტაძრის გარშემო შემოკრებილი და ეპისკოპოსზე კანონიერად დამოკიდებული მორწმუნეთა საზოგადოება" (საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობათა დებულებანი მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე, ტფ., 1917, გვ. 15).

ეკლესიაში ჩაისახა ქართული მწერლობა, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, ხელოვნება. ეკლესიები და სეკლესიო ნაშთები ქართველი ერის ისტორიის საუკეთესო ძეგლებია. გარკვეულწილად იგივე ითქმის ვაშნარის ციხე-ქალაქის ეკლესიაზეც. ეს ეკლესია მრევლს იზიდავდა სილამაზითაც, იგი წარმოადგენდა სამნავიან ნაგებობას. საფეხურებიან საკურთხეველს ამშვენებდა მარმარილოს ფილები. აქ ეკლესიის მსახურთათვის ნახევარწრიული საჯდომი ჰქონიათ, შუაში კი ეპისკოპოსის კათედრა. იქვე გამართული ყოფილა სანათლავი და წარჩინებულთა აკლდამები (გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55).

სამლოცველო დარბაზში იპოვეს თაღის ძირები და სვეტების ნაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილები. ვარაუდობენ, რომ დარბაზის ჭერს თაღები და სვეტები ამაგრებდა. სვეტები ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფილა ჯვრებითა და ხაზებით გამოსახული კარგად გამომწვარი აგურით.

უაღრესად საყურადღებოა მეორე "სამლოცველოს" ნაშთები. მკვლევარ გ. გობეჯიშვილის დაკვირვებით ბევრი რამ მასში კიდევ გაურკვეველია, მაგრამ ის, რაც გათხრებით გამოვლინდა, მიუთითებს ეკლესიის მშენებელთა მაღალ კულტურასა და ოსტატობაზე.

"სამლოცველო წარმოადგენდა ორმაგკედლებიან ორსართულიან ნაგებობას. ქვედა სართული წარმოადგენდა თავისებურ კვარცხლბეკს, რომელსაც ზემოდან ედგა ოთხსენაკიანი მეორე სართული. ერთი მოზრდილი სენაკი (დასავლეთით), რომელიც ჩვენს დრომდე აღარ შემონახულა, ალბათ, საკუთრივ სამლოცველოს წარმოადგენდა. ჩრდილო, პატარა სენაკი საკურთხევლის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო სამხრეთი სენაკის დანიშნულება ჯერ-ჯერობით აუხსნელი რჩება" (გ. გობეჯიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 155).

არანაკლებ საყურადღებოა, რომ ამ ნაგებობის ჭერი, როგორც ჩანს, ეყრდნობოდა გემოვნებით გამოკვეთილ ქვის ექვს სვეტს, რომლის თავები შემკული ყოფილა მცენარის ფოთლისა და ვოლუტების (ხვიარების) გამოსახულებით (იქვე).

ვაშნარის ეკლესიაში აღმოჩენილი მეტად საყურადღებო ძეგლის სხვა ნაწილი გათხრების შემდეგ დაანგრიეს და გაანადგურეს. ასე გაჩანაგდა ვაშნარის მძლავრი ქრისტიანული კერა.

უფრო გვიან მძლავრი ქრისტიანული კერები შეიქმნა გურიის სხვა სოფლებშიც, აქ მოქმედებდა შემოქმედის, ლიხაურის და ჯუმათის საეპისკოპოსო, გურიანთისა და ათობით სხვა ეკლესია-მონასტერი, რომლებმაც მთელი მაგრის მრევლი მოიცვა. დიდი იაკობი ეკლესია-მონასტრებს თვლიდა ქვეყნის საერთო წარმატების მთავარ ფაქტორად, ზნეობის სათავედ. მისი აზრით, "ღრმად მორწმუნე კაცი არასოდეს არ ყოფილა სულმდაბალი და ეგოისტი". "სარწმუნოებას მოკლებული კაცი იხრწნება ზნეობრივად, ვარდება პირუტყვულ მდგომარეობაში".

ეკლესიის გავლენის გაზრდით აიხსნებოდა ისიც, რომ საქართველოს დაუძლურების მოსურნენი, პირველ რიგში, მიზანში ეკლესიას იღებდნენ. მაგრამ, ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანთა მოდრეკა ვერავინ შეძლო. პირიქით, სწორედ მტრების შემოსევისას, გაჭირვების, განადგურებისა და გადაშენების საშიშროების ჟამს გამოვლინდებოდა ქრისტიანული რელიგიის დიდი ძალა, რამაც კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ქართველი კაცის სულზე, მისი ფსიქიკის, კულტურისა და ეროვნული ფენომენის ჩამოყალიბებაზე. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ქართული სულის მოდრეკის მიზნით მეფის რუსეთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დაპყრობის შემდეგ გააუქმა ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) და კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა, საქართველოს ეკლესია ცალკე საეგზარქოსოს სახით რუსეთს შეუერთა. ეგზარქოსებად ინიშნებოდნენ რუსეთიდან მოვლინებული მღვდელმთავრები, რომლებიც საქართველოს ეკლესიათა ბატონ-პატრონნი ხდებოდნენ.

საქართველოს ეკლესიები დაყვეს საწინამძღვროებად (სამღვდელმთავროებად, საბლაღოჩინოებად), მათ შორის იყო გურიანთის საწინამძღვრო, რომელშიც, 1886 წლის მონაცემებით, შედიოდა ჯუმათის, ახალსოფლის, ბოგოლის, გულიანის, მოიდანის, ზედობნის, მიქელ-გაბრიელის, საღმთოს, გოგორეთის, ახალსახტრის, მონასტრის (არხანგელსკის), გურიანთის, კახურის, სუფსის, მთავარ-მოწამეთა ეკლესიები (სცსა, ფ. 489, აღწ. ბ. ს. 43083). გურიანთის საწინამძღვროს დიდხანს მღვდელმთავრობდა კონსტანტინე კენდელაკი.

აღსანიშნავია, რომ იცვლებოდა გურიანთის საწინამძღვროსადმი დაქვემდებარებული ეკლესიების რაოდენობა. კერძოდ, 1891, 1894, 1897 წლების მონაცემებით, იგი აერთიანებდა 15 ეკლესიას (სცსა, ფ. 489, ს. 44181, ფურც. 1; ს. 45537, ფურც 12-54). თუმცა, საწინამძღვროში შემავალი ეკლესიების რიცხვი უცვლელი რჩებოდა, მაგრამ, ზოგჯერ იცვლებოდა სამრევლოები. მაგალითად, 1894 წელს გურიანთის სამღვდელომთავრო აერთიანებდა: ბოგოლის, გულიანის, მოიდანის, ზედობნის, მიქელ-გაბრიელის, საღმთოს, გოგორეთის, ახალსახტრის, მონასტრის, გურიანთის, სუფსის, ხოდმალის, გეშმანეთის გვედის მთავარი მოწამეთის ეკლესიებს (იქვე, ს. 44181, ფურც. 1). 1909 წელს საწინამძღვრო ითვლიდა 14 ეკლესიას: ახალსახტრის, ბოგოლის, გვედის, გოგორეთის, გურიანთის, ზედობნის, კონჭკათის, მიქელ-გაბრიელის, მაიდანის, მონასტრის, მთავარმაცხოვარის, საღვთოსი და ჭანჭათის ეკლესიებს (იქვე, ს. 51831, ფურც. 1). განსხვავდებოდა, აგრეთვე, 1907 წლის მაჩვენებლები. გურიანთის სამღვდელმთავროში მაშინ შედიოდა 17 ეკლესია: ახალსახტრის, ბოგოლის, გვედის, გეშმანეთის, გოგორეთის, გულიანის, ზედობნის, კონჭკათის, მიქელ-გაბრიელის, მონასტრის, მთავარმოწამეთა, საღვთოსი, ხაჯაის, ხრიალეთის, ჭანჭათის (იქვე, ს. 50157, ფურც. 1)

საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალიდან ჩანს, რომ გურიანთის სამღვდელმთავროს ეკლესიათა შორის ზოგჯერ არ მოიხსენიება კახურის, ახალსოფლისა და ჭანიეთურის ეკლესიები, სამაგიეროდ სიას ახალი სამრეკლოები ავსებენ. ეს შეიძლება იმით იყო გამოწვეული, რომ, ამ უკანასკნელთ მეტი მფარველობა ესაჭიროებოდათ. სიიდან "ამოვარდნილი" ეკლესიები, შესაძლებელია, დროებით სხვა სამღვდელმთავროს მიაწერეს, ან მოკლე პერიოდში საწინამძღვროს დაქვემდებარებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოიღეს. ჩვენი აზრით, ასეთი რამ გამორიცხული არ იყო.

სამწუხაროდ, არ მოხერხდა გურიანთისა და კახურის ეკლესიის საქმიანობის ყველა ასპექტის დადგენა. მიუხედავად ამისა, საარქივო და სხვა დოკუმენტების შემწეობით შუქი მოეფინა ბევრ საინტერესო საკითხს, დადგინდა ეკლესიათა აშენების თარიღები, მათ მსახურთა ვინაობა, განათლება, ცენზი, ფულადი ანაზღაურება, ეკლესიათა შემოსავლის წყაროები, საშტატო ერთეულები, მრევლთა რაოდენობა და სოციალური მდგომარეობა, სასულიერო პირთა მოღვაწეობის სხვა ასპექტი.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ საეკლესიო უწყისში (ასეთი დოკუმენტი კი მრავალია) მითითებული არაა გურიანთის ეკლესიის აშენების თარიღი. ამ შემთხვევაში დიდი სამსახური გაგვიწია არქეოლოგიური გათხრების მასალებმა, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. დოკუმენტებში გურიანთის ეკლესია მოიხსენიება "გურიანთის ღვთისმშობლის" ციხის ძეგლად (დღევანდელი ციხისფერდის ტერიტორია). არქეოლოგ-მეცნიერთა ვარაუდით, ეკლესია აუშენებიათ XVI-XVII საუკუნის მიჯნაზე. იგი ქვის პატარა ნაგებობა ყოფილა, რომელიც ძლიერ დაზიანებულა. ნახევრადდანგრეულ კედლებზე დღემდე შემორჩენილია თაღები, მხატვრობის ფერდაკარგული ნაშთები, საერო პირთა პორტრეტები (ეს უკანასკნელი სამხრეთ კედლებზე შეინიშნება). მეცნიერთა აზრით, აქ გამოსახულია ციხისმფლობელ ნაკაშიძეთა ოჯახის ერთ-ერთი თაობა. იმავე პერიოდში, ციხის ქვემოთ, აუშენებიათ მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, რომელიც მოუხატიათ სახარების მიხედვით ("ათორმეტი დღესასწაული"). მხატვრობა სინესტეს ჩამოუშლია და დაღუპულა. აქაც ეკლესიის კედლებს ამშვენებდნენ ისტორიულ პირთა, მათ შორის ნაკაშიძეთა, პორტრეტები. ეკლესიას სამხრეთიდან საძვლე ჰქონია, კამარიანი გადახურვითა (გადახურვის ურთულესი ფორმა) და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მოთავსებული აკლდამით. ეს ორი შენობა, ფაქტიურად, მრევლის სამლოცველოთა და რელიგიურ რიტუალთა აღსრულების ერთ მთლიან კომპლექსს წარმოადგენდა.

არქივში დაცულ დოკუმენტებში გვხვდება ეკლესიის ორი დასახელება ("გურიამთის ციხისა" და "გურიანთის"ეკლესია) და ორთავე შემთხვევაში ღვთისმშობლის სახელით მოიხსენიება, ე. ი. ლაპარაკია ერთ სამრევლოზე.

"გურიამთის ციხე" აღმართეს სუფსა-ნატანების ხეობათა შუაში ქვეყნის დასაცავად, თურქი ურდოების რისხვად, დამპყრობთა თარეშის აღსაკვეთად. ციხისფერდის ეკლესიის აგებასთან დაკავშირებით არსებული ლეგენდის (ნადიაკვნარ ცერცვაძის ნაამბობი) მიხედვით, ცხენზე შემჯდარ ბერს იერუსალიმიდან ხატი მიჰქონდა ჩოხატაურში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურჯინში ხატთან ერთად ცერცვიც ჰქონია. ცხენი გაჩერდა და ფეხს არ იცვლიდა. ეკლესიაც იქ აუგიათ და ღვთისმშობლის ხატიც დაუსვენებიათ, ხოლო ცხენოსანი ბერი დეკანოზად დაუყენებიათ და მისთვის ცერცვაძის გვარი მიუციათ. ვინ იცის, იყო თუ არა ასე, ერთი კი ცხადია, აქაურ ეკლესიას დიდხანს სათავეში ედგა ცერცვაძეების "დინასტია".

ქართული კულტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი – დიდების ნიშნად აღმართული "გურიამთის ციხე" 1817 წელს გენერალ ერმოლოვის ბრძანებით აღგავეს პირისაგან მიწისა, რითაც კიდევ ერთი განუკურნებელი ჭრილობა დაუტოვეს მრევლს, მთელი სოფლის მცხოვრებთ.

სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ვიცით რა ციხის დანგრევის წელი, ჩვენთვის დღემდე უცნობია მისი აშენების ზუსტი თარიღი. არსებობს აზრთა სხვაობა. გურიანთის ეკლესიის აშენების თარიღის თაობაზე მეტად საიტერესო მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა მკვლევარმა, ერის საამაყო შვილმა ექვთიმე თაყაიშვილმა. მისი აზრით, გურიანთის ციხისფერდის ეკლესია XVII საუკუნის დასაწყისში აუშენებიათ. ამას იგი იმით ხსნის, რომ ეკლესიის კედლები მოუხატიათ ბატონიშვილი მამია გურიელისა და მისი მეუღლის თინათინის განკარგულებით. ცნობილია, რომ მამია გურიელი გურიის მთავარი გახდა 1600 წელს, ხოლო 1625 წელს იგი მისმა შვილმა სიმონმა მოკლა. ეკლესიაც ამ პერიოდში უნდა აეშენაბინათ. ეკლესია რომ მამია გურიელისა და მისი მეუღლის განკარგულებით აშენდა, ეს ნათლად ჩანს თაყაიშვილის მიერ გურიანთის ეკლესიის მთავარანგელოზისა და წმინდა მარინეს ხატის წარწერიდან. აი ტექსტიც: "ქ. მოგჭედა: . ხატი: . მთავარანგელოზისა: . და : . წმინდისა: . მარინესი: . ბატონისშვილმან: მამია: და: მეუღლემან:თინათინ: იხსენით წარწყმენდისაგან:." (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიციები, ძიებანი და შენიშვნები, გამოც. II, თბ., 1907, გვ. 29. რუს).

მეტად დამაფიქრებელია მეცნიერის დაკვირვება იმის შესახებ, რომ გურიანთის (ციხე) ეკლესიაში ნაპოვნი ვერცხლის მოოქრული ღვთისმშობლის ხატი, ისევე, როგორც შემოქმედის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატის წარწერის (1601 წელი) ხელი (ოქრომჭედელი იოანე წიქორიძე) ერთი და იგივეა (იქვე, გვ. 28), რაც ღვთისმშობლის ხატზე მოიხსენიება კიდეც. მეცნიერის ვარაუდით წარწერები დაახლოებით ერთსა და იმავე დროს არის ამოჭრილი. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ გურიანთის ეკლესიაც ამ პერიოდში უნდა იყოს აშენებული, რადგან მოხატულობის დამთავრებით, ფაქტიურად, ეკლესიის მშენებლობაც მთავრდება.

დიდ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრებანი: "ციხე... გურიანთად წოდებულ უბანში მდებარეობს და თავად ნაკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიძეებს ეკუთვნის". ციხის ქვის ძველი ეკლესია "...სულ ერთიანად მოხატულია, მაგრამ ძალიან ვიწროა – მისი სიგრძე 9 და სიგანე 6 ნაბიჯია. მისი ეკვდერი თავად ნაკაშიძეების აკლდამაა. ფრესკებიდან საინტერესოა სამი პორტრეტი მინაწერებით... აქ ვნახე სამი მომცრო ხატი მოოქრული ვერცხლის მოჭედილობით: ღვთისმშობლის, მთავარანგელოზის და წმინდა მარიამისა და წმინდა გიორგისა" (დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 229).

ცნობილია, რომ დიმიტრი ბაქრაძე გურიაში მოგზაურობდა 1873 წელს. 34 წლის შემდეგ - 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გურიანთის ეკლესიაში იპოვა ისეთი ნივთები, რომლებიც დ. ბაქრაძეს აღწერილი არა აქვს, კერძოდ, ნაპოვნიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ძვირფასი ქვით შემკული რვა ვერცხლის მოოქრული ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ჰქონებია მაუდის სუდარი მრავალი წვრილი მარგალიტითა და სხვა ძვირფასი ქვებით, თათრული და ბიზანტიური ოქროს 45 ფულით შემკული. ფიცარზე ხატს მხედრულად ეწერა 11 სტროფი, რომელთაგან მე-3-4 ამოეგლიჯათ, რათა დაემალათ იმათი ვინაობა, ვისი წყალობითაც აუშენებიათ ეკლესია და მოუხატიათ იგი. წარწერა ასე იკითხება: "1. ქ: . მოგჭედეთ: . და: .შეგამკევით: ხატი: .ყოვ.

2. ლად: . წმინდისა: . ღთისა: . მშობლისა: . მე: .
3. . . . . .
4. . . . . .
5. და ცხოვრებისათვის: . მას ჟამსა: . ოდეს: მოვე
6. ლ: . და: . აღვაშენე: . ციხე: . ესე: . გურიანთისა: .
7. მოიჭედე: . ხელითა: . ფრიად ცოდვილისა: .
8. მოიჭედე: . ხელითა: . იოვანესითა: . და: .
9. ოქრომჭედლის: . ეფრემ: . ცერცვაძისა: .
10. კიდევ: . თქვენი: . წინამძღოლი: . ჯუარი: მოგიჭე.
11 დინე: . ძეთა: . ჩემთა: . წარმართებისათვის: ამინ." (იქვე, გვ. 22)

მეცნიერი სამართლიანად დაასკვნის, რომ ამოჭრილ სტროფებში მითითებული იყო ციხისა და, შესაძლოა, ეკლესიის ამშენებელთა (მამია გურიელი და მისი მეუღლე) სახელები. მე-3-4 სტროფია ამომჭრელი ტყუილად გარჯილა. მაინც დადგინდა გურიანთის ციხისა და ეკლესიის ამშენებელთა ვინაობა, რომელზეც არაორაზროვნად მიუთითებს მთავარანგელოზისა და წმინდა მარინეს ხატის ის წარწერები, რაზეც საუბარი ზემოთ გვქონდა.

შემორჩენილი ძვირფასი დოკუმენტებით დადგინდა გურიანთის ეკლესიის ამშენებელთა და მომხატველთა სახელები. კერძოდ, ეკლესიის ჯვარზე ამოკითხულ იქნა წარწერა "ზოსიმე: . ცერცვაძესა: . და მეუღლესა: . მისსა: . შეუნდესა: . ღმერთმან: ეფრემსა: ცერცვაძესა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუღლესა შენსა შეუნდეს ღმერთმან" (იქვე, გვ. 30). ცხადია, ... გურიანთის ეკლესია მოუხატავთ ზოსიმე და ეფრემ ცერცვაძეებისა და მათი მეუღლეების განკარგულებით, მათივე სახელის მოსახსენებლად.

ამავე ეკლესიის მაცხოვრის ხატი შეუმკია ეფემია ერისთავს. ეს მკაფიოდ იკითხება ვერცხლზე მოოქრულ მაცხოვრის ერთ-ერთ ხატზე: "ქ. შევამკე ეს მაცხოვრის ხატი ერისთავის ასულმა ეფემიამ" (ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30).

მეტად მნიშვნელოვანია ექვთიმე თაყაიშვილის დასკვნა, რომ ციხის ეკლესია მთლიანად ქართულ ტრადიციებს ემყარებოდა.

გურიანთის ეკლესიის აშენების თარიღის დასადგენად ჩვენ გარკვეულწილად ბაილეთის ეკლესიის აგების თარიღსაც ვიშველიებთ. ე. თაყაიშვილის მტკიცებით, ბაილეთის ეკლესია 1609 წელს აუშენებიათ. აქ მკვლევარს უპოვია პატარა ვერცხლის ჯამი, რომელიც არ გვხვდება დ. ბაქრაძის აღწერაში, წარწერით: "ქ. ამისა დეკანოზსა: დავითს: ქარჩილაძესა: და ძესა მისსა: გაბრიელს: ცოდვანი მისნი შეუნდეს... ამინ:" (იქვე, გვ. 23-24).

ჩვენი ვარაუდით გურიანთის ეკლესიის აშენება წინ უსწრებდა ბაილეთის ეკლესიის აგებას. ამ მოსაზრებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს გურიანთისა და შემოქმედის ეკლესიების ერთი ოქრომჭედლის ნახელავის დამთხვევა და ის, რომ ბაილეთის ეკლესია მიწერილი იყო გურიანთის სამრევლოზე, რაც არაერთგზის მტკიცდება დოკუმენტალურად, საეკლესიო უწყებებით (სცსა, ფ. 480, აღწ. 1, ს. 40934, ფურც. 1 და სხვა მრავალი). საეჭვოა, რომ 1609 წელს აგებული ეკლესია უფრო გვიან აშენებულ სამრევლოს – გურიანთის ეკლესიისათვის დაექვემდებარებინათ (თუმცა, ასეთი ფაქტის გამორიცხვაც არ შეიძლება). სავარაუდოა, რომ ციხის ეკლესიის პირველობას, გარკვეულწილად, მისი უფრო ადრე აგების თარიღიც განსაზღვრავდა. თუმცა, ეს არ იყო მთავარი. თარიღების შესახებ როგორი აზრიც უნდა არსებობდეს, ერთი კი ცხადია, ორივე ეკლესია გურიის მრევლის მფარველი და თავშესაფარი იყო.

გამორიცხული როდია, რომ გურიანთის ეკლესია გაცილებით ადრე ყოფილიყო დაარსებული, საბოლოოდ ეს გაირკვევა გურიანთის "გულანის"(საბას განმარტებით "გულანი" ძველი საღვთო წიგნი, საღვთოს მსახური დანიშნულების კრებული, "გულის სანდომლად შეკრებილი". ქრისტიანულ საქართველოში ყოველ საეპისკოპოსოს, მრავალ ეკლესია-მონასტერს თავისი "გულანი" ჰქონდა. კერძოდ, შემოქმედის გულანი დიდი ფორმატის 48X35 1062 ფურცელს შეიცავდა და ხის ყდაში იყო ჩასმული. (ამჟამად ყდა შემომწვარი აქვს). გადმოცემით ზოგიერთი "გულანის" გადანუსხვას სამი თაობის სიცოცხლე უნდებოდა: ბაბუა იწყებდა, შვილი და შვილიშვილი ამთავრებდა(პროფ. აკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხინთიბიძე). აღმოჩენით. "გულანი" იყო თავისებური მატიანე, რომელიც აღნუსხავდა ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს. მაგალითად, დიმიტრი ბაქრაძის მიერ შედგენილი დანართის მიხედვით, შემოქმედის გულანის მინაწერებში აღნუსხულია გიორგი გურიელის გარდაცვალების, ქაიხოსრო გურიელის მთავრად დასმისა და ჯუმათ-შემოქმედის პატრიარქის არჩევისა და სხვა თარიღები (დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 282-283).

გურიანთის "გულანის" აღმოჩენის შემთხვევაში ცნობილი გახდება მრავალი თარიღი და მოვლენა, რაც გაამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას გურიანთის ეკლესიისა და მთელი სოფლის ისტორიაზე.

ორიოდე სიტყვა ბაილეთის ეკლესიის შესახებ. დიმიტრი ბაქრაძის აღწერით, ბაილეთის ეკლესია დაბლობში აღუმართავთ. "იგი აშენებულია აგურითა და ნახეთქი ქვებით, აქვს თლილი ქვის ახალი გუმბათი. მისი აღმოსავლეთი ნაწილი სამწახნაგოვანი ნახევარწრის ფორმისაა. შიგნით მთლიანად მოხატულია. ფრესკებიდან განსაკუთრებით საინტერესოა: დასავლეთის შესასვლელის მარჯვნივ ეროვნულად ჩაცმული მამაკაცისა და ქალის პორტრეტი ბავშვითურთ, ხოლო სამხრეთ ნახევარწრის კედელზე ორი მამაკაცისა და ერთი ქალის პორტრეტი" (დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 226).

ბაილეთის ეკლესიაში აღმოჩნდა წარწერებიანი ხატები: ღვთისმშობლის ხატი მოოქრული ვერცხლის მოჭედილობით, თევდორეს ხატი ვერცხლის მოჭედილობით, მიქელ მთავარანგელოზის ხატი მოოქრული ვერცხლისა, მაცხოვრის ხატი, მომცრო, მოოქრული ვერცხლისა, თევდორესა და წმინდა გიორგის ხატი. გამოსახული იყვნენ მთელი ტანით, მხედრულ ტანსაცმელში, ხელში შუბითა და მუზარადით (იქვე, გვ 226-228). მარტო ჩამოთვლაც კი მეტყველებს რა განძეულობა გვქონია; ხელოვნებისა და კულტურის როგორი ნიმუშები ყოფილა დაცული გურიანთისა და ბაილეთის (ერთი თემია) ეკლესიებში და რაოდენ გავღარიბდით, როგორ გავიძარცვენით, როცა ასეთი საუნჯე დავკარგეთ, მტერმა დაგვინგრია თუ საკუთარი უვიცობით ჩვენ თვითონვე გავანადგურეთ.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ კახურის წმინდა გიორგის ეკლესიაზე, რომელიც 1860 წელს აუშენებიათ. ეს თარიღი ჩვენ დავადგინეთ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დოკუმენტების მრავალგზის შეჯერებით (სცსა, ფონდი 489, აღწ. 1, საქმეები 40934, 43083, 5183, 53794 და სხვა). მკითხველს შეუძლია სოფლის მუზეუმში გაეცნოს ჩვენს მიერ მოძიებული საეკლესიო უწყისის ასლს, სადაც კახურის ეკლესიის დაარსების თარიღი - 1860 წელი არავითარ ეჭვს არ იწვევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელი კახურის მისახლეობის ნაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილი ადრე გურიანთის ზეგან ადგილზე, "ნასახლარზე" ცხოვრობდა. აქვე ჰქონდათ წმინდა გიორგის ეკლესია. XIX საუკუნის დასასრულს აქაური მოსახლეობა ბარში, აუთვისებელ ადგილებში, დღევანდელი კახურის ტერიტორიაზე დასახლებულა. აქვე აუშენებიათ ახალი ეკლესია, რომელიც 1927 წელს ბარბაროსულად დაუნგრევიათ. გაქრა წმინდა გიორგის ხატი.

მოკლედ შევეხებით კახურის ეკლესიისათვის წმინდა გიორგის სახელის მინიჭების ისტორიას. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ XIX საუკუნის დასასრულს, გაზეთ "ივერიის" ცნობით, ჩვენს სოფელს "კახური" ეწოდა კახეთიდან წმინდა გიორგის ხატის ჩამოსვენების გამო ("ივერია", 1897 წ., 20 სექტემბერი). კორესპონდენციას თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ, მომხდარა უპრეცედენტო შემთხვევა, სოფლისათვის სახელი (კახური) ხატის გამო დაურქმევიათ, ხოლო მისი ეკლესია წმინდა გიორგის სახელით უკურთხებიათ. კორესპონდენციის მიხედვით, გაუგებარია როდის გაჩნდა ტოპონიმი – "კახური", სტატიის გამოქვეყნების მომენტში თუ გაცილებით უფრო ადრე. სტატიაში მოტანილი ფრაზით – "აქ ასვენია კახეთიდან მოსვენებული წმ. გიორგის ხატი" – სოფლის დაარსების თარიღის დადგენა შეუძლებელია. კიდევ მეტი, წყაროებში კახური გაცილებით ადრე მოიხსენიება, მის ეკლესიას კი დაარსების დღიდანვე წმ. გიორგის სახელი ეწოდა. ეს დასტურდება ათობით საეკლესიო უწყისით. გამორიცხული არაა, რომ წმინდა გიორგის ჯვარი სწორედ ეკლესიის გახსნის აღსანიშნავად ჩამოიტანეს და ეკლესია წმინდანის ცნობილი სახელით დაამშვენეს. რაც შეეხება გაზეთის ფრაგას – "... მკითხველთ მარტო სახელის "კახურის" გაგონებაც გააკვირვებს" – პირდაპირი გაგებით არ უნდა აღვიქვათ. ეს, ჩვენი აზრით, უნდა ჩავთვალოთ "ივერიის" მიერ მკითხველისათვის კახურის შესახებ ინფორმაციის პირველად მიწოდებად და არა სოფლის ისტორიის საწყის თარიღად, ან საერთოდ "კახურის" პირველად მოხსენიებად. საეჭვოა, აგრეთვე, წმინდა გიორგის ჯვარის კახეთიდან ჩამოსვენება დადებოდა საფუძვლად სოფლის სახელის დამკვიდრებას. დამახასიათებელია, რომ ტოპონიმ "კახურში" სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ტერიტორია იგულისხმებოდა, უფრო ხშირად მთელი გურიანთის აღმნიშვნელიც იყო, თუმცა იგი რამდენიმე სოფელს აერთიანებდა. დროთა განმავლობაში გურიანთად იწოდებოდა მხოლოდ სოფლის ნაწილი – კახური (საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1930 წ., გვ. 300). უფრო ადრეულ პერიოდში გურიანთაში (გურიამთა) საკუთრივ ციხისფერდი ("ციხე") იგულისხმებოდა. კიდევ მეტი, "გურიანთა მისი ვაშნარით" გურიადაც იწოდებოდა (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 1, გვ. 341). გურიანთის "ციხეს" მოიხსენიებს, აგრეთვე, ვახუშტი ბატონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973 წ., გვ 790-791). ამ შემთხვევაშიც ციხისფერდი იგულისხმება.

გურიანთის საწინამძღვროს ზემოჩამოთვლილი ეკლესიებიდან, გაკვრით, კიდევ რამდენიმე ეკლესიას შევეხებით. მათ შორის, გარდა გურიანთისა და ბაილეთისა, უძველესია ზედობნის ეკლესია, რომლის დაარსების თარიღი, სიძველის გამო, უცნობია. XIX საუკუნეში აშენებული სხვა ეკლესიებიდან უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს მონასტრის (არხანგელსკის) ეკლესიას (1842 წელი), შემდეგ მოდის მიქელ-გაბრიელისა – 1853 წ., ახალსახტრისა – 1856 წ., კახურისა – 1860 წ. , საღვთოსი – 1862, მთავარმოწამეთისა და გვეშისა – 1863, ახალსოფლისა – 1881, კონჭკათისა – 1895 წელს. საერთოდ, ეკლესიების მშენებლობის ყველაზე ინტენსიურ პერიოდად გურიაში შეიძლება XIX საუკუნე მივიჩნიოთ. ეს პროცესი არც XX საუკუნის დასაწყისში შენელებულა. მიზანი ერთი იყო, ეკლესიებს მოეცვათ ყველა სოფელი თუ დასახლებული პუნქტი. ოზურგეთის მაზრაში სწორედ ამ პერიოდში აშენდა ეკლესიების უმრავლესობა, რამაც საზოგადოებაზე სასიკეთო გავლენა მოახდინა. ეკლესიების მშენებლობათა გაშლა, თავის მხრივ, რელიგიისადმი ხალხის ლტოლვის თავისებური ასახვაც იყო. მართლაც, მაშინ ყველგან სუფევდა არნახული ენთუზიაზმი, ფართოდ გაიშალა საქველმოქმედო მოძრაობა, გროვდებოდა შეწირულობანი, იზრდებოდა ეკლესიათა მშენებლობაში უშუალო მონაწილეთა რიცხვიც. საქართველოს საპატრიარქომ მოხერხებულად გამოიყენა მოსახლეობის ასეთი პათოსი, რაც დაგვირგვინდა ათობით ახალი ეკლესიის აგების ნებართვის გაცემით, პატრიარქის ლოცვითა და დასტურით.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ოზურგეთის მაზრაში ეკლესიებისა და მონასტრების რაოდენობამ 200-ს მიაღწია (ოსა, ფ. 1, აღწ. 1, ს. 3, ფურც. 23-24).

ჩვენი დაკვირვებით, ეკლესიების მშენებლობა შეხამებული იყო მათ გონივრულ გეოგრაფიულ განლაგებასთან. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ეკლესიების მრევლთან სიახლოვე. ოზურგეთის მაზრაში, ეკლესიები, როგორც წესი, ერთმანეთისაგან 3-6 კილომეტრით იყო დაცილებული და უპირატესად სოფლების შესაყართან შენდებოდა. არც ის უნდა მივიჩნიოთ შემთხვევითად, რომ ეკლესიათა "დასის უწყისებში" ("კლიროვიე ვედემოსტი") რელიგიური ცნობარის, ამ თავისებური ანკეტური ფურცლის, ერთ-ერთ კითხვაზე პასუხისას უნდა დაესახელებინათ მეზობელი ეკლესიები. უწყისის გრაფაში, როგორც წესი, ასახელებდნენ ერთ ან რამდენიმე მეზობელ ეკლესიას და მიუთითებდნენ მათ შორის მანძილზე. ეკლესიების ისტორიაზე შემონახული მასალებიდან "დასის უწყისები", მეტად ძვირფასი დოკუმენტებია, რომლითაც ვლინდება ეკლესიების გეოგრაფიული განლაგება და მრევლთა რაოდენობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიების გონივრული მასობრივი მშენებლობის ისტორიული გამოცდილება, რელიგიისაკენ ხალხის დღევანდელი შემობრუნება, უთუოდ, დააჩქარებს ქვეყნის სულიერ განახლებას და ეკონომიკურ განვითარებას. ხომ ცნობილია, რომ ხალხის სულიერ განწმენდასთან ერთად, რასაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ემსახურება, საეკლესიო მამულები მუდამ იდგა საქართველოს ეკონომიკის სამსახურში. დღეს ეს გადაუდებელს ხდის ეკლესია-მონასტრებისათვის მიწების გამოყოფას. საქართველოში ეს პროცესი უკვე დაიწყო. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკლესია-მონასტრები ეკონომიკის განვითარებაზე გავლენას ახდენდნენ არა პირდაპირ, არამედ შრომისადმი სიყვარულის, პატიოსნებისა და წესიერების ჩანერგვით, ზნეობრივი ამაღლებით, საქმისადმი ერთგულებით, ეროვნული და პატრიოტული გრძნობის გაღვივებით, ურთიერთპატივისცემისა და დახმარების, შემწყნარებლობისა თუ მხარში ამოდგომის ქადაგებით.

ცნობილია, რომ ათეისტური პროპაგანდის პირობებში რელიგიაზე, ეკლესიებსა და მათ მსახურებზე მხოლოდ აუგის თქმა შეიძლებოდა. ათეული წლების განმავლობაში მოსახლეობას გაყალბებულ, დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდიდნენ ეკლესიების ისტორიის, მათი მსახურების ვინაობისა და საქმიანობის შესახებ. იგივე ითქმის გურიანთის ეკლესიებზეც. ჩვენი მიზანია ნაწილობრივ შევავსოთ ეს ხარვეზები და მკითხველს მივაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია რელიგიის მსახურთა შესახებ.

1886 წლის მონაცემებით გურიანთის ეკლესიაში მუშაობდა შტატის ორი მღვდელი და ორი მედავითნე (დაბალი რანგის სასულიერო მსახური, საერო პირი, რომელიც მღვდელს ეხმარება რიტუალის შესრულებაში, რელიგიური წიგნების კითხვაში, გალობაში, სამრევლოში აწარმოებს დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების ფაქტების რეგისტრაციას), მამასახლისი, მგალობლები. მსგავსი, საკმაოდ დიდი შტატი ყველა ეკლესიას როდი ჰქონდა. მღვდლები ხარისხის მიხედვითაც განსხვავდებოდნენ. ახალი აღთქმის მიხედვით, მღვდლის ხარისხებია: დიაკონი, მღვდელი, მღვდელმთავარი. პრაქტიკაში დაკანონდა პირველი და მეორე მღვდლის თანამდებობაც. პირველ მღვდელს მეტი პრივილეგია ჰქონდა, მეორეს – ნაკლები. ხელფასიც განსხვავებული ენიშნებოდათ (ეკლესიების მსახურთა შესახებ ზოგიერთი დეტალის თხრობას განაპირობებს ათეული წლების განმავლობაში მათი იგნორირება, საეკლესიო საარქივო წყაროების ფართო მასებისათვის მიუწვდომლობა).

დასახელებულ პერიოდში გურიანთის ეკლესიის პირველი მღვდელი იყო ილარიონ პეტრეს ძე ცერცვაძე, მეორე – ეგნატე მაქსიმეს ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცერცვაძე, მედავითნეები – ლუკა გიორგის ძე მუჯირი, ნიკიფორ გაბ-
რიელის ძე ცერცვაძე, ეკლესიის მსახური გაბრიელ ნიკოლოზის ძე
ცერცვაძე (სცსა, ფ. 489, ს. 40934, ფურც. 1). ყველანი წარმოშობით მღვდ-
ლის ოჯახებიდან იყვნენ. მათი წინაპრებიც, ტრადიციულად, ღვთისმ-
სახურებას მისდევდნენ, ასეთი მემკვიდრეობა დიდხანს გაჰყვათ კიდეც.

ეკლესიის მღვდელთმსახურები გამოირჩეოდნენ განათლებით. "საეკ-
ლესიო დასის უწყისების" ერთ-ერთ მთავარ კითხვაზე – "ვინ როგორ
კითხულობს, წერს, მღერის, იცის წესდება" – პასუხში გურიანთისა და
კახურის ეკლესიის მსახურთა შესახებ ეწერა – იციან "საშუალოდ"
(იქვე, ს. 40934, ფურც. 30). მაშინ სწორედ ეს "საშუალოსნები" იყვნენ
სოფლის ყველაზე განსწავლული ადამიანები, რომლებიც იდგნენ წერა-
კითხვის გავრცელების სათავეებთან, რითაც თანასოფლელებს დიდი
ამაგი დასდეს.

ეკლესიის მსახურთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები მკაფიოდ
არის ჩამოყალიბებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლე-
სიო კრების მიერ მიღებული დებულების 35-ე პარაგრაფში: "სამღვდე-
ლო და სადიაკვნო კანდიდატი უნდა იყოს მოქალაქეობრივად სრულ-
წლოვანი, ხოლო წიგნის მკითხველად უფრო ახალგაზრდაც. სამღვდე-
ლო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული საშუალო საზოგადო გა-
ნათლება და ყოველ შემთხვევაში არა უმცირეს სრული პროგიმნაზი-
ული განათლებისა, ამავე მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს,
შეძლებისდაგვარად, სადიაკვნო კანდიდატები და წიგნის მკითხველნიც,
რომელთაც უნდა იცოდნენ ღვთისმსახურობის წესები და საეკლესიო
საბუთების წარმოება" (საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის
დებულებანი, მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლე-
სიო კრებაზე, გვ. 15). მოსახლეობაზე გავლენას ახდენდა რელიგიის
მსახურთა განსწავლულობაც.

ეკლესიებს ჰყავდათ მამასახლისები, 1909 წელს გურიანთის ეკლესი-
ის მამასახლისი იყო ირაკლი ივანეს ძე კვირკველია, ბაილეთისა –
გლახუნა სიმონის ძე ზაქარიაძე (სცსა, ფ. 830, ს. 53121, ფურც. 41).

1986 წლის მონაცემებით გურიანთის ეკლესიის პირველი მღვდელი
სახელმწიფო ხაზინიდან ღებულობდა 80 მანეთს, მედავითნე – 30 მა-
ნეთს, ხოლო 1911 წელს სათანადოდ 300 და 100 მანეთს (სცსა, ფ. 830, ს.
409334, ფურც. 30; ს. 53784, ფურც. 62). ხელფასის დანიშვნისას ითვალ-
ისწინებდნენ ეკლესიის ისტორიულ წარსულსა და მრევლის რიცხვს.
მათ ჰქონდათ, აგრეთვე, სხვა შემოსავალიც. მეორე მღვდელი და მე-
ორე მედავითნე სახელმწიფო ხაზინიდან ხელფასს არ ღებულობდნენ,
ცხოვრობდნენ შეწირულობით და რელიგიური რიტუალების შესრულებ-
ისათვის მიღებული ანაზღაურების ნაწილით. საერთოდ, ჩვენი სოფ-
ლის ეკლესიათა მსახურნი არ გამოირჩეოდნენ ცხოვრების მაღალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონით, ქონებით, ცხოვრობდნენ უბრალოდ. "გურიანთის საეკლესიო პირები, – ვკითხულობთ დოკუმენტში, – ცხოვრობდნენ საკუთარ სახლებში, ჰქონდათ ნაკვეთები, ყანა, ვენახი, ტყის ნაწილი და ჩაბმულნი იყვნენ შრომის პროცესში" (იქვე, ს. 39613, ფურც. 57).

ათეისტური პროპაგანდის მიხედვით, ეკლესიის მსახურთ ხატავდნენ მუქთახორებად, ზარმაც და უქნარა ადამიანებად, რომლებიც ცხოვრობდნენ სხვათა გაბრიყვების ხარჯზე. დოკუმენტებიდან სულ სხვა რამეს ვიგებთ. ამასვე ადასტურებენ სოფლის უხუცესი ადამიანები.

გურიანთის (ციხისფერდი) ეკლესიაში 1897 წლიდან დანიშნეს ახალი პირველი მღვდელი – ეგნატე მონასეს ძე ცერცვაძე. მეორე მღვდლად 1906 წელს ჯუმათის მონასტრიდან გადმოიყვანეს მღვდელთმსახური იესე ჩხარტიშვილი, დიაკვნათ მუშაობდა ლუკა გიორგის ძე მუჯირი, მედავითნედ – თეოფილე ანდრიას ძე კვაჭაძე (იქვე, ს. 45537, ფურც. 56-57). იმავე წელს (1906) პირველ მღვდლად დაუწინაურებიათ ჩხარტიშვილი, მეორე მღვდლად – ლუკა მუჯირი, ფსალმუნისტებად (მგალობლები) დაუნიშნავთ ილარიონ მიხეილის ძე ღლონტი (1907 წ. იანვარი) და გერმანე ვლადიმერის ძე ტოტოჩავა (იქვე, ს. 50157, ფურც. 35-36). ამ უკანასკნელმა 1902 წელს დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის სრული კურსი. იგი 1905 წელს დაინიშნა გურიასამეგრელოს საპატრიარქო კანცელარიის მოხელედ, ხოლო 1906 წლის 26 ოქტომბრიდან გურიანთის ეკლესიის მგალობლად (იქვე, ფურც. 39).

მღვდლად კურთხევა (ხელდასმა) ხდებოდა ეპისკოპოსის მიერ, საღმრთო ლიტურგიით(ლიტურგია-მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება, წირვა შედგება საკითხავებისა და საგალობლებისაგან). ხელდასმა ქრისტიანობის ერთ-ერთი საიდუმლოა. ამ რიტუალის დროს ეპისკოპოსი წარმოთქვამს განსაკუთრებულ შელოცვას და ხელს ადებს მღვდლად საკურთხებელ ადამიანს. ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, საკურთხებელ ადამიანზე გადადის განსაკუთრებული მადლი და იგი იქცევა ღვთის მსახურად. მღვდლის საიდუმლოება წარმოიქმნა ქრისტიანობის ჩამოყალიბების დროს, როდესაც რელიგიური თემი გაიყო ორ ნაწილად, მრევლად და სამღვდელოებად.

აღსანიშნავია, რომ მღვდელს ჰქონდა მხოლოდ ერთხელ ქორწინების უფლება, რასაც მკაცრად იცავდნენ კიდეც. დიდ ინტერესს იწვევს მონაცემები ღვთისმსახურთა შვილების შესახებ. ამ მხრივ გამოირჩეოდა გურიანთის მღვდელი იესე ჩხარტიშვილი (მეუღლე ელისაბედ ანტონის ასული), რომელსაც ჰყავდა 11 შვილი: აგრაფინა, მაკარი, ვლადიმერი, ერმალო, ბაბალინა, მატრონა, ათანასე, აპალონი, თამარა, ესე, შუშანიკი (სცსა, ფ. 489, ს. 50157, ფურც 36-37). საინტერესოა თვით იესეს ბიოგრაფია. წარმოშობით გლეხი იყო. 1880 წელს დანიშნეს ჯუმათის ეკლესიის მედავითნედ, 1896 წლის 10 აპრილს გადაიყვანეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიანთის ეკლესიის მეორე მღვდლად, ხოლო 1906 წლის 7 დეკემბერს – პირველ მღვდლად. საშტატო სასულიერო თანამდებობა ეჭირა 1870 წლიდან. მოღვაწეობის მთელ პერიოდში შვებულებით არ უსარგებლია (იქვე). ნიშანდობლივია, რომ მსგავსი მოქმედება აღიქმებოდა, როგორც ეკლესიისა და ღვთისმსახურებისადმი დიდი ერთგულება, საუკეთესო პირადი თვისებების გამოვლენა, მისაბაძი მაგალითი, რაც ჯილდოთიც კი აღინიშნა.

შტატის მეორე მღვდელს - ლუკა მუჯირს (მეუღლე ეკატერინე როსტომის ასული) ჰყავდა 6 შვილი: კონსტანტინე, ფილიპე, ელენე, გიორგი, ლისა, ვარდო. ლუკა მუჯირი გურიანთის ეკლესიაში 1872 წლის 10 ივლისიდან მუშაობდა, მღვდლად გაამწესეს 1906 წელს (იქვე, ფურც. 37). მრავალშვილიანი ოჯახები ნამდვილად მისაბაძია. დღეს გურიანთაში არ ცხოვრობს მოქალაქე, 11 შვილი რომ ჰყავდეს. ექვსიც სანატრელი და საოცნებოა, იშვიათი გამონაკლისის სახით თუ გვხვდება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეკლესიები ერთმანეთისაგან ახლო მანძილზე იყო განლაგებული, მათგან ყველაზე სახელგანთქმულნი დიდ ქალაქებსა და სოფლებს ამშვენებდნენ. შედარებით დიდი იყო ასეთი ეკლესიების მრევლის რიცხვი. დოკუმენტებით დგინდება ეკლესიებზე "მიმაგრებულ" მრევლთა რაოდენობა. გურიანთის სამღვდელმთავროს მაჩვენებლები მოგვყავს ჩვენს მიერ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით შედგენილ ცხრილში.

წოდება	ოჯახი		ქალი		მამაკაცი	
	1886	1909	1886	1909	1886	1909
სასულიერო	10	12	26	30	32	41
თავადი	4	17	3	49	9	39
აზნაური	16	–	31	–	44	–
გლეხი	126	174	351	486	390	570
სულ	156	203	411	565	475	650

ცხრილით ირკვევა, რომ მონაცემები იცვლებოდა თიქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით. კერძოდ, 1909 წელს 1886 წელთან შედარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით თავადების ოჯახების რაოდენობა 4-დან 17-მდე გაიზარდა, ხოლ მაკაცებისა – 9-დან 39-მდე, ხოლო ქალებისა – 49-მდე, კიდევ უფრო დიდი სხვაობა შეინიშნებოდა გლეხების რაოდენობაში. მათი რიცხვი გაიზარდა 68 ოჯახით, ხოლო მრევლთა საერთო რაოდენობა 315-ით, სასულიერო პირები ორი ოჯახითა და 13 სულით (სცსა, ს. 40934, ფურც. 30; ს. 53124, ფურც. 42).

ზემომოტანილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს საპატრიარქოში გურიანთის სამღვდელმთავრო მნიშვნელოვანი ერთეული იყო. მას სათავეში ედგნენ მაღალი ავტორიტეტის მქონე, რელიგიის ნიჭიერი და აღიარებული მსახურები – კონსტანტინე კანდელაკი და კონსტანტინე კეჭაყმაძე. ამ უკანასკნელის თანაშემწე იყო კახურის ეკლესიის მღვდელი პერტე არობელიძე (იქვე). საქართველოს საპატრიარქოში კეჭაყმაძის ავტორიტეტი იმდენად მაღალი ყოფილა, რომ იგი წმინდანად გამოუცხადებიათ (სრულიად საქართველოს საპატრიარქო არქივი, ს. 252, ფურც. 28). ასეთი პატივი მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრი იყო და მთელი მრევლი ამაყობდა კიდეც, რომ იგი სათავეში ედგა გურიანთის საწინამძღვროს.

გურიანთის სამღვდელმთავროში შემავალ ცალკეულ ეკლესიათა შესახებ უაღრესად ძუნწი ცნობების არსებობის მიუხედავად, მოხერხდა დადგენილიყო გურიანთისა და კახურის ეკლესიის მრევლის რაოდენობა. მაგალითად, 1883 წელს გურიანთის (ციხისფერდი) ეკლესიის სამრევლო ითვლიდა 143 ოჯახს, მათ შორის იყო სასულიერო პირთა – 10, თავადებისა – 4, აზნაურებისა – 18, გლეხებისა - 110 კომლი. სულ 813 მცხოვრები (ს. 39673, ფურც. 51). 30 წლის შემდეგ –1913 წელს გურიანთის სამრევლო აერთიანებდა 195 ოჯახს, მათ შორის სასულიერო იყო 13, მრევლის საერთო რაოდენობამ 1273-ს მიაღწია, მათ შორის იყო 525 ქალი და 518 მამაკაცი (იქვე, ს. 56381, ფურც. 70). მრევლთა რაოდენობის საერთო მატება მიუთითებს რელიგიის როლისა და გავლენის ზრდაზე. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვაქვს წლების მიხედვით მოსახლეობის ზრდის დინამიკის ზუსტი მაჩვენებლები, რომლითაც დადგინდებოდა ეკლესიის მრევლთა რაოდენობის ზრდასთან მისი შეფარდება. მიუხედავად ამისა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სოფლის მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა მტკიცედ იცავდა რელიგიურ წესებს, შინაგანად იყო მორწმუნე, ესწრებოდა საეკლესიო ცერემონიალებს, ლოცვებს, მარხულობდა, მიჰქონდა შესაწირი, აბარებდა აღსარებას.

წყაროებში უფრო მეტი ცნობები შემონახულია კახურის ეკლესიის შესახებ, ვიდრე გურიანთის (ციხისფერდის) სამრევლოსი. 1883 წელს კახურის ეკლესიის მრევლთა კომლის რაოდენობა უდრიდა 61, მათ შორის სასულიერო პირისა – 2, აზნაურისა - 5, გლეხებისა – 54. 1913

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლისათვის კომლთა საერთო რიცხვი 67-ით გაიზარდა და 128-ს მიაღწია. მრევლის რაოდენობამ 630 შეადგინა, მათ შორის იყო 282 ქალი, 348 მამაკაცი. აქვე ცხოვრობდა სასულიერო პირთა სამი და თავადის ერთი ოჯახი (სცსა, ფ. 489, ს. 39673, ფურც. 57; ს. 53794, ფურც. 95; ს. 54957, ფურც. 97; ს. 56327, ფურც. 48; ს. 40934, ფურც. 32). დოკუმენტებით ირკვევა, აგრეთვე, რომ 1891 წელს კახურის ეკლესიის მღვდლად მუშაობდა ნესტორ კიღურაძე, მედავითნეებად – გიორგი დარჩია, პავლე კაპანაძე (სცსა, ს. 43083, ფურც. 62).

მონაცემებიდან ჩანს, რომ გურიანთის (ციხე) ეკლესიის მრევლის რიცხვი საგრძნობლად ჭარბობდა კახურის ეკლესიის მრევლის რაოდენობას. იგივე შეიძლება ითქვას სხვა მაჩვენებლებზეც, რასაც, გარკვეულწილად, განაპირობებდა გურიანთის ეკლესიის უძველესი ისტორია, მისი არქიტექტურა და, აგრეთვე, საუკუნეების განმავლობაში აქ დამკვიდრებული რელიგიური რიტუალები, რომლებიც სანახაობითაც გამოირჩეოდა. თანასოფლელებს გულიც იქითკენ მიუწევდათ, სადაც მათი წინაპრები აღსარებას აბარებდნენ, მათ შთამომავალთ სურდათ ამ ტრადიციების ერთგულნი დარჩენილიყვნენ. მომსახურების მასშტაბებს გურიანთის ეკლესიის სასულიერო პირთა შტატიც განაპირობებდა (მათი რიცხვი მეტი იყო, ვიდრე კახურის ეკლესიისა).

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კახურის ეკლესია, მრევლთა რიცხვის შედარებით მოკრძალებული მაჩვენებლების მიუხედავად, მოსახლეობაში სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობდა. რელიგია თანდათან ხდებოდა სოფლის მცხოვრებთა სულიერი განწმენდისა და შთაგონების წყარო.

სოფლის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტებს, რომლებითაც დადგინდა ეკლესიებში მაშინ დაცული ქონება და მისი შემოსავლის წყაროები, საეკლესიო საბუთების რაოდენობა, მათი დანიშნულება. კერძოდ, გურიანთის (ციხე) ეკლესიაში 1844 წლიდან ინახებოდა მონანიებისა და მეტრიკის წიგნების ასლები, 1878 წლიდან სარევიზიო – წიგნები, 1880 წლიდან – შემოსავალ-გასავლის დავთრები, 1901 წლიდან – ეკლესიის აღწერის წიგნები. აქვე ინახებოდა საქორწინო და შეწირულობათა წიგნები (იქვე, ს. 40934, ფურც. 30; ს. 50157, ფურც. 35).

კახურის ეკლესიაც განთქმული იყო ხატებით, ძვირფასი საბუთებით. 1883 წლის მონაცემებით აქვე ჰქონიათ საეკლესიო და საღვთო წიგნები, მეტრიკის ასლები, შემოსავალ-გასავლის დავთრები (1880 წლიდან), საეკლესიო ნივთები, ჭურჭელი, შესამოსელი (ხატის მოსაჭედი), აღწერის წიგნები (1878 წლიდან). აქვე იყო ხის სამრეკლო, წმინდა გიორგის ტრაპეზი (იქვე, ს. 39673, ფურც. 65; ს. 40934, ფურც. 30).

ციხისფერდის ეკლესიაში ინახებოდა 1857 წლიდან წარმოებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდვათა მონანიების წიგნები. სავარაუდოა, რომ კახურის ეკლესიას ეს წიგნები მოგვიანებით გურიანთის ეკლესიამ გადასცა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან კახურის ეკლესიის გახსნამდე (1860 წელი) მრევლთა საეკლესიო დოკუმენტები და მასალები გურიანთის ეკლესიაში ფორმდებოდა და ინახებოდა. მომდევნო პერიოდში ახალი ეკლესიების გახსნას თან სდევდა მრევლთა "გადანაწილება", საბუთების გადაცემა. გამორიცხული არ არის, რომ ასე იქნებოდა კახურის ეკლესიის მიმართაც.

ძნელია გადააფასო სოფლის ისტორიისათვის ზემოჩამოთვლილი დოკუმენტებისა და მასალების მნიშვნელობა. მათი ანალიზი უთუოდ გაამდიდრებდა ჩვენს ცოდნას სოფლისა და მისი ეკლესიების ისტორიაზე. ახლა შეუძლებელია იმის დადგენა (ან რას მოგვცემს ეს), ვინ გაანადგურა საუკუნეების თუ ათეული წლების მანძილზე შექმნილი განძეულობა, ადამიანის ნიჭისა და სულიერი სიმდიდრის შესანიშნავი ნიმუშები, დიდი საიდუმლოებისა თუ ყოველდღიური საეკლესიო ცხოვრების უტყვი მოწმე - სასულიერო წიგნები, რომლებიც ახლებურად წარმოაჩენდა ჩვენი სოფლის ისტორიის მრავალ ასპექტს. მარტო მეტრიკების ასლები რად ღირდა. შესაძლებელი გახდებოდა აქ დასახლებულ პიროვნებათა, მათი გვარებისა და წარმომავლობის ისტორიის დადგენა, ტოპონიმებზე სრული წარმოდგენის მიღება. შესაძლებელი იქნებოდა დაგვედგინა ჩვენს მადლიან მიწაზე, გვარების მიხედვით, ადამიანების დასახლების თანმიმდევრობა, დემოგრაფიული ცვლილებების დღემდე უცნობი ზოგიერთი ასპექტი.

ეკლესიების ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრე, შემოსავლის წყარო, მათი მიწები იყო. გურიანთის ეკლესია ფლობდა 12 ქცევა ნოყიერ მიწას, რომელიც იყოფოდა 11 უბნად. "ციხისფერდის ნაკვეთი" (600 კვადრატული საჟენი) ესაზღვრებოდა ეგნატე კვაჭანტირაძის, სამსონ კობალაძის, შევარდენ, მელიტონ, ბეგონ მუჯირისა და სტეფანე შეწირულის კარ-მიდამოს. აქ, ძირითადად, ვენახი ჰქონდათ მოშენებული. ნაკვეთი "გორი" (ალბათ გორაკი) ესაზღვრებოდა გურგენა კიღურაძისა და ეფრემ ზაქარიაძის მიწებს. გურიანთის საეკლესიო მიწების დასახელებაში მოიხსენიება ნაკვეთი "ხვარბეთი", რაც მიუთითებს ამ მიწების "ვრცელ გეოგრაფიაზე" (მასალები ამოკრეფილია საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივიდან, ფ. 889, ს. 51831, ფურც. 31; ს. 44181, ფურც. 41).

გურიანთის ეკლესიის სხვა შემოსავალზე შედარებით მცირედი ცნობები გაგვაჩნია. 1911 წლის მაჩვენებლებით შეწირულებით მიღებულმა თანხამ 240 მანეთი შეადგინა, ხოლო საეკლესიო მიწებიდან - 14 მანეთი მიუღიათ. დოკუმენტი იმითაც არის საინტერესო, რომ ვეცნობით ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის სახელზე გურიანთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიიდან ყოველწლიურად გაგზავნილი თანხის რაოდენობას, რაც, საშუალოდ, 13 მანეთს აღწევდა (იქვე, ს. 53784, ფურც. 62; ს. 44181, ფურც. 4).

აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირები ჩიოდნენ მიწაზე დიდ გადასახადის გამო. გაზეთი "ივერია" გ. გურიანთელის კორესპონდენციაში იუწყებოდა (1890 წ. 13 იანვარი, № 9), რომ ოზურგეთის მაზრის ეკლესიის მსახურნი ყოველწლიურად იხდიდნენ 12 მანეთ საადგილმამულო გადასახადს, გაცილებით მეტს, ვიდრე თავადაზნაურები. უკმაყოფილებას იწვევდა ისიც, რომ სასულიერო პირებს გაცილებით ნაკლები (1,5 დესეტინა) მიწა ჰქონდათ, ვიდრე თავადებს, რომელთა მამულები ათჯერ, ხშირად ასჯერ და უფრო მეტად ჭარბობდა მათ მიწებს და ფართობთან შეფარდებით იხდიდნენ გაცილებით ნაკლებ გადასახადს (40 მანეთი). შეღავათები ვრცელდებიდა, აგრეთვე, აზნაურებზე, რომელთაც წელიწადში სახელმწიფო ხაზინაში შეჰქონდათ 27 მანეთი საადგილმამულო გადასახადი. გადასახადების დაწესებისას მხედველობაში არ იღებდნენ, აგრეთვე, მიწის ნოყიერებასა და "გეოგრაფიას", განლაგებას. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ეკლესიის მსახურთ ართმევდნენ პირუტყვს.

კახურის საეკლესიო მიწებიც ნაკვეთებად იყო დაყოფილი. ერთი ნაკვეთი ესაზღვრებოდა ქაიხოსრო მამულაშვილის, სილიბისტრო ვაშალომიძის, ზღულაძისა და მალაზონიას კარმიდამოს, მეორე ნაკვეთი ლ. კვაჭაძის, ს. მამულაშვილისა და ქათამაძის მიწებს, მესამე – ნ. კვაჭაძის და მამულაშვილის ნაკვეთებს (სცსა, ფ. 889, ს. 44181, ფურც 68). საეკლესიო მიწებს ეჭირათ 900 კვადრატული საჟენი (იქვე, ს. 53794, ფურც. 83), რაც უაღრესდ მცირე იყო.

მიწების მფლობელობაზე ეკლესიებს წერილობითი დოკუმენტები არ ჰქონდათ, მაგრამ ნაკვეთები მათ სახელზე იყო გაფორმებული. ეკლესიები არ ფლობდნენ, აგრეთვე, საბანკო ბილეთებსა და პროცენტიან ქაღალდებს. გურიანთისა და კახურის ეკლესიებთან არ არსებობდა საავადმყოფო და ბიბლიოთეკა, თუმცა წიგნები ბევრი ჰქონდათ. 1861 წელს გურიანთის ეკლესიასთან აშენდა წინაოთახი, რომელიც აადვილებდა მრევლთა მიღებას, წირვა-ლოცვისა და სხვა ცერემონიალის შესრულებას. ეკლესიები გარკვეულწილად კისრულობდნენ წერაკითხვის გავრცელების ფუნქციებსა და წარმატებებსაც აღწევდნენ. იმავე წლიდან გურიანთის თავადებს დიმიტრი ნაკაშიძესა და მიხეილ ნაკაშიძეს ჰყავდათ სასახლის მღვდლები და მედავითნეები. ამავე პერიოდში დიმიტრი ნაკაშიძის სასახლის მღვდელი იყო დავით იაკობის ძე დარჩია, მედავითნე – არსენ დავითის ძე ზაქარიაძე. მიხეილ ნაკაშიძის სასახლის მღვდლად მუშაობდა ეფრემ ივანეს ძე კეკელიძე, მედავითნეთ – იულონ თომას ძე სირაძე (იქვე, ს. 39673, ფურც. 92-96).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლის ეკლესიები შედიოდა გურიანთის ეკლესიის სამრევლოში, მას ექვემდებარებოდა.

მდიდარი საეკლესიო მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში, მისი ისტორიის ყველა ეტაპზე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეკლესია-მონასტრების მშენებლობასა და მართლმადიდებლური სარწმუნოების დამკვიდრებას, რამაც მოიცვა ყველა რეგიონი, სოფელი თუ დასახლებული პუნქტი. ამ მიზნით დიდი თანხებიც იხარჯებოდა. 1904 წლის მონაცემებით "გურიანთის საპოლიციოში" სასულიერო პირთა შენახვაზე გაიღეს 4870 მანეთი, ეკლესიების შეკეთებაზე – 420 მანეთი (სცსა, ფ. 2, აღწ. 1, ს. 4185, ფურც. 42-43). ეს თითქმის იმდენი იყო, რამდენიც სკოლების აშენება-შეკეთებასა და შენახვაზე დაიხარჯა. სასულიერო პირებზე გამოყოფილი სოლიდური თანხა არაორაზროვნად განსაზღვრავდა რელიგიისადმი დამოკიდებულებას.

ეკლესიების მშენებლობასა და სასულიერო პირების შენახვაზე მომდევნო წლებშიც დიდ თანხას გამოყოფდნენ. მაგალითად, 1909 წელს დაიხარჯა 18909 მანეთზე მეტი, მათ შორის სასულიერო პირების შენახვაზე – 4292, ეკლესიების შეკეთებაზე – 540 მანეთი (ქცსა, ფ. 130, ს. 251, ფურც. 124; ს. 262, გურც. 132).საზოგადოების სულიერი აღორძინებისათვის, ზნეობრივი განწმენდისათვის სახსრებს არ იშურებდნენ, ბევრ რაიმეს თავად იკლებდნენ, მაგრამ ეკლესიების მშენებლობაზე ზრუნვას არ ანელებდნენ. ვინ იცოდა, რომ მალე დადგებოდა პერიოდი, როცა დაიწყებოდა საუკუნეების განმავლობაში დიდი რუდუნებით, მატერიალური სახსრების მაქსიმალური მობილიზებით, დანაზოგებით, შეწირულობით, ასიათასობით ადამიანთა შრომითა და ოფლით აგებული ეკლესიებისა და მონასტრების ნგრევა, რელიგიის მსახურთა დარბევა. საქართველოში ეს პროცესი 20-იან წლებში დაიწყო. არქივში დაცული დოკუმენტები ნათელს ფენენ ზოგიერთ უცნობ ფაქტსა და მოვლენას. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წლის 7 ივლისს გამოცემული რელიგიური საზოგადოების დახურვის წესი (ე. ი. არ ჰქონდათ იურიდიული პირისა და საკუთრების უფლება) და ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის 1924 წლის 16 თებერვლის წერილი საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატისადმი, რომლის ასლი დაცულია ოზურგეთის სახელმწიფო არქივში (ფ. 1, აღწ. 1, ს. 3, ფურც. 23-24). დოკუმენტში კმაყოფილებით და ქედმაღლობით არის აღნიშნული, რომ გურიის ყველა ეკლესია დახურეს სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნით, მათი კრებების დადგენილებით. აი, რას ვკითხულობთ 16 თებერვლის წერილში: "იყო 2-3 შემთხვევა, სადაც მასიური კრების გადაწყვეტილება არ ყოფილა, მაგრამ ადგილობრივმა თემის ადმინისტრაციამ და ხალხის ნაწილმა იცოდა რა საერთო სულიერი განწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილება დახურეს ეკლესია, რის შემდეგ არავითარ გაუგებრობას არ ჰქონია ადგილი (იქვე, ფურც. 23).

ციტატის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მხოლოდ 2-3 შემთხვევის გარდა, ხალხი დიდი აღფრთოვანებით ხურავდა ეკლესიებს, ილაშქრებდა რელიგიის წინააღმდეგ. ახლა ყველამ კარგად იცის, მაშინ როგორი "სულიერი განწყობილებით" ხელმძღვანელობდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოები. ყველაფერს განსაზღვრავდა ათეიზმის ძალით დანერგვის, საზოგადოებრივი აზრის იგნორირების, აბუჩად აგდების, მორწმუნეთა დამცირების კურსი. ეს კარგად ჩანს დოკუმენტიდანაც. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატი სამაზრო კომიტეტებიდან მოითხოვდა ოფიციალურ მონაცემებს ადრე დახურული ეკლესიების გახსნასთან დაკავშირებით განცხადებების შემოსვლის შესახებ. ოზურგეთის სამაზრო აღმასკომიდან გაგზავნილ წერილში ცინიკურად მიუთითებდნენ, რომ მასთან შევიდა მხოლოდ ათი განცხადება თხოვნით ეკლესიების აღდგენის შესახებ. "ეს იყო, უმთავრესად, ოინები თითო-ოროლა ანაფორაგახდილი მღვდლების და პროვოკატორების. ეს არ იყო ნამდვილი ხალხის, მშრომელი ხალხის სურვილი. შიგ იყვნენ ბანდიტური ელემენტები, ქურდები, ვაჭრები და კონტრრევოლუციონერები, ყოფილი თავად-აზნაურობა... გურიის მშრომელი ხალხი არასოდეს არ ყოფილა 1905 წ. შემდეგ მორწმუნე (და ღვთისმოსავი) და არც დღეს იჩენს იგი ღვთისადმი დიდ სიყვარულს... გურიის მშრომელ ხალხს საამისოდ არც ცალია და არც იტყუებს თავს" (იქვე, ფურც. 23). ასე ჰაი-ჰარად ახსნა ოზურგეთელმა ჩინოვნიკმა რელიგიისადმი დამოკიდებულება, ხოლო ხალხის ფართო მასების მოთხოვნა გაეხსნათ ადრე დახურული ეკლესიები, მიიჩნია ბანდიტების, ქურდებისა და კონტრრევილუციონერთა გამოხდომებად.

იგივე აზრია გატარებული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე 1924 წლის ივნისში გურიის სამაზრო კომიტეტის მდივნის მიერ გაგზავნილ მოხსენებით ბარათში. ზემდგომ ორგანოს იგი დიდი პათოსით აცნობებდა: "გურია ითვლება ძველთაგან ანტირელიგიურ კუთხედ, ეკლესიები ჩამორთმეული და გაუქმებულ იქნა თვით ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტილებით. და უკმაყოფილება ამ მხრივ არ შეიძლება ყოფილიყო და არც ყოფილა" (სპა, ფ. 14, აღწ. 2, ს. 45, ფურც. 64).

დოკუმენტიდან ვიგებთ, აგრეთვე, რომ მთავრობის ნებართვით ეკლესიებს ჩამოართვეს ძვირფასი განძეულობა, რომელსაც ყიდდნენ კერძო პირებზე და თანხას, როგორც თვითონ წერდნენ, ახმარდნენ გლეხთა კომიტეტებს, კულტურული ობიექტების მშენებლობას. საბუთის მიხედვით, ასეთი მოქმედება მიჩნეული იყო ხელისუფლების დამსახურებად, საამაყო საქმედ. ერის კულტურის უმდიდრესი განძი, ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორიული ღირებულების ქონება განიავდა, უგზოუკვლოდ დაიკარგა.

რელიგიური საზოგადოების დახურვის წესი განსაზღვრული იყო საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტით – "იმ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესი, რომლებიც მოგების მიღებას არ მისდევენ და ამ საზოგადოებათა და კავშირთა მოქმედების მეთვალყურეობის წესი". დეკრეტის თანახმად, რეგისტრაციაში უნდა გატარებულიყო ყველა რელიგიური საზოგადოება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დახურულად გამოცხადდებოდა. ამასთან, რელიგიურ საზოგადოებას არ ჰქონდა იურიდიული პირისა და საკუთრების უფლება.

აღსანიშნავია, რომ ადგილებზე ხელისუფლების წარმომადგენლები გავლენას ახდენდნენ, რათა ეკლესიების აღდგენის შესახებ არ დაეწერათ განცხადებები, არ მიემართათ თხოვნით. ასეთი საბუთი თუ მაინც შეიქმნებოდა, მას იხილავდნენ როგორც საზოგადოების ნაძირალების გამოხდომას, კანონსაწინააღმდეგო, კონტრრევოლუციურ მოქმედებას.

ტერორიზებული ხალხი თავს იკავებდა ოფიციალური დოკუმენტების შედგენისაგან. თუმცა შინაგანი უკმაყოფილება იზრდებოდა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველმხრივ ცდილობდნენ ზემდგომი ორგანოების წინაშე „თავი გამოეჩინათ“ და მათთვის მოეხსენებინათ საზოგადოებაში მზარდი ათეისტური გავლენის შესახებ. თითქოს მშრომელები შინაგანად, ყოველდღიური მოქმედებით, გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ რელიგიური საზოგადოების აღდგენას.

სრული ალოგიკურობაა - ეკლესიები ჯერ დაარბიეს, მათი ქონება და ეროვნული განძი დაიტაცეს და გაანიავეს, მორწმუნეები ყოველმხრივ შეავიწროეს და დააშინეს, შემდეგ კი ცინიკურად ამტკიცებდნენ მათი აღდგენის მსურველები არ არიანო. სწორედ ასეთი ცინიზმის გამომხატველია. არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტი - საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისრისა და საეკლესიო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის 1924 წლის 8 თებერვლის წერილი ოზურგეთის მაზრის აღმასკომისადმი. აქ ვკითხულობთ: „ვინაიდან რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის ვადა გათავდა, საეკლესიო კომისია წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ ცაკ-ში საბოლოო ცნობები: 1/ რამდენი ეკლესია იყო დახურული თვით მცხოვრებთა დადგენილებით, 2/ ადმინისტრაციის წესით, 3/ რამდენი რელიგიური საზოგადოება დაარსდა მაზრაში თანახმად ინსტრუქციებისა, 4/ რამდენ შემთხვევაში ეთქვათ უარი მთხოვნელებს და რა მიზეზის გამო... 8/ დახურული მონასტრების რაოდენობა... 11/ განწყობილება მაზრაში “ /იქვე, ფურც.24/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც წესი, პასუხში აცნობებდნენ, რომ „საერთო განწყობილებ-ბა“ საუკეთესოა, ხალხი მხარს უჭერს ეკლესიების დარბევას, რელიგიის წინააღმდეგ ლაშქრობას. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ ოზურგეთის მაზრის სოფელ აკეთში 1823 წ. 14 მარტს გამართული მიტინგის დადგენილების შესახებ: „... რელიგია როგორც დრომოჭმული, მღვდლები და ეკლესიები როგორც მატყუარები, ამისათვის გაუქმებული იქნეს და გადაკეთებული კულტურულ დაწესებულებად აკეთის თემის ყველა ეკლესიები“ /იქვე ,ფურც. 39/. ასეთი სულისკვეთება ინერგებოდა მაშინ ყველგან, მათ შორის გურიანთაშიც. ახლა უკვე ცნობილია, რომ საქართველოში ეკლესიებს იყენებდნენ საწყობებად, თავლებად . ბევრს უარესი ხვედრი ერგო - ბარბაროსულად ანგრევდნენ და აჩანაგებდნენ ხელოვნებისა და შემოქმედების შესანიშნავ ნიმუშებს, ისტორიულ სიმდიდრეს. ეკლესიების მსახურთ ართმევდნენ მიწებს, წოდებებს, ძალით ხდიდნენ ანაფორებს, კრეჭდნენ წვერს. მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდნენ მიწის ნორმებს.

სხვა გარემოებასთან ერთად ეს იყო მკაცრი ეკონომიკური დაწოლაც. რელიგიის წინააღმდეგ მოძრაობას მიეცა მიზანსწრაფული ხასიათი. ეკლესიების დასახურავად გაიშალა შეჯიბრი მაზრებსა და ცალკეულ რაიონებს შორის. ამას მოჰყვა რიგ მაზრაში ეკლესიების უმრავლესობის დახურვა, ხალხთა უკმაყოფილების ზრდა. ასეთ ვითარებაში საქართველოს კპ-ის ცენტრალური კომიტეტი ღებულობს დადგენილებას ეკლესიების დახურვის შეწყვეტისა და მათი ნაწილის აღდგენის შესახებ. ამ დადგენილების ფორმალური ხასიათის გამო აღადგინეს მხოლოდ რამდენიმე ათეული ეკლესია. იშვიათი როდი იყო შემთხვევა, რომ მონასტრებსა და ეკლესიებს აღადგენდნენ თვალის ახვევის, საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის მიზნით. ასეთი მოქმედება, როგორც წესი, იწვევდა შინაგან საყოველთაო აღშფოთებას, რაც 1924 წლის აგვისტოში დატრიალებული ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. შემთხვევითი როდია, რომ აჯანყების ძირითად მამოძრავებელ ძალას გლეხობა შეადგენდა. არც ის არის მოულოდნელი, რომ შეიარაღებულ გამოსვლებში პრაქტიკულად მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის მაზრის თითქმის მთელმა გლეხობამ. მკითხველისათვის ასეთი შედარებაც არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული. საქართველოში დახურული 1500 ეკლესიიდან 200-მდე ოზურგეთის მაზრაზე მოდიოდა /სარწმუნოდ თუ მივიღებთ ზემომოტანილ დოკუმენტში მითითებულ ციფრს/ ე.ი. მთელი რესპუბლიკის ეკლესიათა თითქმის ერთი მეშვიდედი ოზურგეთის მაზრაში დაანგრიეს და გააჩანაგეს. ეს მაჩვენებლები იმითაც არის საყურადღებო, რომ გურიაში საუკუნეების განმავლობაში ბევრი ეკლესია შენდებოდა და მორწმუნეც მრავალი იყო. მაშასადამე, გურიის მოსახლეობა შინაგანად რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგიის მოძულე არასოდეს ყოფილა, როგორც ამას მაშინ ოფიციალური ხელისუფლება ამტკიცებდა, მით უფრო გაუგებარია საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გურიაში რელიგიის წინააღმდეგ გაშლილი ფართო მოძრაობა. ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო ხელისუფლების მიერ მოსახლეობის განწყობილების სრული იგნორირება, აბუჩად აგდება, საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფა, რელიგიის წინააღმდეგ დაგეგმილი მოქმედება, უხეში ზემოქმედება, ეკლესიების დასანგრევად დამნაშავეთა წაქეზება და სხვა ბოროტება, რამაც დათრგუნა მოსახლეობა, ზურგი შეაქცევინა ეკლესიისადმი.

ხდებოდა გასაოცარი რამ, სოფლებში, სადაც მხოლოდ ხის ჯარგვლები და ისლით დახურული ქოხები ედგათ და ეკლესიების გარდა სხვა რაიმე კაპიტალური ნაგებობა არ ჰქონდათ, სწორედ ამ ისტორიულ ძეგლებს არბევდნენ. ღმერთისაგან განწირულ ამ უბედურ ადამიანებს ერის ძვირფასი განძის, ხელოვნების ნიმუშების მნიშვნელობაზე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ,ძვირფას, გამორჩეულ ნაგებობათა დანგრევას რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს. რელიგიისადმი შურისძიება ზოგან ისე ძლიერი იყო, რომ ეკლესიების მიწისაგან აღგვა კმაყოფილებას ანიჭებდა შეცდომაში შეყვანილ და გაბოროტებულ ადამიანებს. მაშინ გურიაში ხშირად იმეორებდნენ ბრიყვის მიერ ნასროლ სიტყვებს - „ღმერთი რომ არსებობდეს, ეკლესიების დარბევისათვის ადამიანებს ხომ დასჯიდაო“. ენამახვილ მოსაუბრეს უპასუხნია - „უფრო მეტად როგორ უნდა დაესაჯა - ეკლესიას ხომ ქვას ესვრისო“. ჭეშმარიტად, ბრძნულად არის ნათქვამი.

შეიძლება იყო ათეისტი ან თეოლოგი, იზიარებდე ან არ იზიარებდე ქრისტიანულ მრწამსს, მაგრამ არავითარი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს ეკლესიების ნგრევა-აოხრებას, ბარბაროსულ გამოხდომებს, ღვთისმსახურთა აწიოკებას, რელიგიური წიგნების დაწვას, ბიბლიოთეკების განადგურებას. ან რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს გურიანთის ცენტრში - კახური /დღევანდელი სასაფლაოს ტერიტორია/ 1927 წელს ეკლესიის დანგრევას, ხატებისა და განძეულობათა დატაცება- გაჩანაგებას. ვანდალიზმის ასეთი ფაქტის მომსწრე, მიხაკო კვაჭაძის მოგონებით ბარბაროსულად გაუნადგურებიათ კახურის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცული წიგნები, რომლებიც თანასოფლელთა თვალწინ დაუწვავთ. წვის პროცესის დაჩქარების მიზნით, გრძელი სარებით ალმოდებულ წიგნებს ხშირ-ხშირად უცვლიდნენ ადგილს. ამ „პროცედურაში“ მასაც მიუღია მონაწილეობა, აქტიურობით „გამოირჩეოდნენ “ სხვა ახალგაზრდებიც. სამწუხაროდ, აგონიაში ჩავარდნილ ხალხთაგან აზრად არავის მოსვლია პროტესტი გამოეთქვა გაუგონარი ვანდალიზმის გამო. ასე განადგურდა თაობათა მიერ შეგროვებული უძველესი, უნიკალური საეკლესიო წიგნები, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ვინ იცის, ამ ფურცელ-მაუწყებელმა „კოცონმა“ სოფლის რამდენი საიდუმლება ჩაფერფლა, ჩვენი ისტორიის რამდენი სახელოვანი ფურცელი შთანთქა, რამდენ ადამიანს მოუწამლა გონება, წაართვა რწმენა, დაუგროვა ბოღმა, რამდენი საბჭოთა წყობილების პოტენციური მტერი გახადა.

ახალგაზრდისათვის დღეს ძნელია იმის აღქმა, თუ რამ განაპირობა მათი თანატოლების დაუფიქრებელი მონაწილეობა დანაშაულში, ბარბაროსულ აქტებში. ამის წარმოდგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ გავითვალისწინებთ საბჭოური პროპაგანდის „წნეხის“ ზემოქმედების, იდეოლოგიური „დაწოლის“ მასშტაბებს, მოსახლეობის დიდი ნაწილის ყალბ პათოსს, სიტყვაშეუბრუნებელი მოქმედების პრაქტიკას.

რელიგიის მსახურთა დევნის არნახულ მასშტაბებთან დაკავშირებით შეიძლება მივუთითოთ ასეთ ფაქტებზეც: ოფიციალური ხელისუფლება არ მოერიდა 66 წლის საქართველოს კათალიკოსის ამროსის / ერის კაცობაში ბესარიონ ამროსის ძე ხელაია/ დაპატიმრებას. გენუის კონფერენციის სახელზე /1922 წელი/ გაგზავნილ მიმართვის გამო. ამროსი მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რუსეთის ძალადობის შეწყვეტას /სპა არქივი, ფონდი 13, აღწ.2, ს. 261, ფურც. 2 /.

ამავე არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით ნოე ყორდანიას და სრულიად საქართველოს პატრიარქ ამროსის წერილი მართლაც გაუგზავნიათ გენუის კონფერენციის სახელზე. დოკუმენტში ხაზგასმული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის, პოლიტიკური დევნისა და სხვა უკანონობის შესახებ. წერილში ჩამოყალიბებული იყო მოთხოვნები შეეწყვიტათ საქართველოს ოკუპაცია, გაეყვანათ ჯარები, აღედგინათ დამოუკიდებელი რესპუბლიკა /იქვე, აღწ.1, ს.28, ფურც. 1-6 /.

ამას მოჰყვა მითითება ანგარიში გაესწორებინათ სრულიად საქართველოს კათალიკოსისათვის. რესპუბლიკის მესვეურებს, რა თქმა უნდა ასეთი შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვიათ და იგი დააპატიმრეს კიდეც.

საქართველოს პატრიარქი და ქართული ეკლესიის სხვა გამოჩენილი თავკაცები 1924 წელს გაასამართლეს / სასამართლოს თავმჯდომარე გ. ჩხაიძე, წევრები: ვ. წივწივაძე, გ. რთველაძე, ბრალმდებელნი: ნ. ოკუჯავა, კ. მაჭავარიანი, მდივანი გ. აბაკელია/. ამროსის მიუსაჯეს 7 წლისა და 9 თვის პატიმრობა. სხვადასხვა სასჯელი მიიღეს ერისა და ქრისტიანობის სხვა მსახურებმა, მათ შორის კალისტრატე ცინცაძემ / 3 წელი და 9 თვე/. სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა თავაშვებული ათეისტური პროპაგანდის პირობებში. მაგრამ ამროსის ვაჟკაცური ბუნება ვერ მოდრიკა სასამართლოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათამაშებულმა კომედიამ და განაჩენის გამოტანის შემდეგ /1924 წლის 19 მარტი/ ამაყად განაცხადა - „ მწამს სიმართლე გაიმარჯვებს“. იგი ვერ მოესწრო ამ ბედნიერ დღეს. განაჩენის გამოტანიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ - 28 მარტს შეწყდა ერის დიდი პატრიოტის გულისცემა. მაგრამ სამშობლოსათვის ამ თავდადებას ამაოდ არ ჩაუვლია. მისი შვილთაშვილები ახლა იმკიან ამ თავდადების შედეგებს.

ზემომოტანილი გულშემზარავი ფაქტი ნათლად მიუთითებს როგორ პირობებში ხდებოდა ეკლესიებისა და რელიგიის მსახურთა რბევა, მორწმუნეთა შეურაცხყოფა და დასჯა, ათეისტური დოგმების მოურიდებელი, უხეში პროპაგანდა. თუ რა შედეგები მოჰყვა ამას, ახლა ყველასათვის ცნობილია.

ერთი კი ცხადია, ყველაფერი ეს, რაც ახლა სრულიად სამართლიანად ვანდალიზმად აღიქმება, სათავეს იღებს ლენინიდან. იგი 1922 წლის 10 ნოემბერს მოლოტოვს წერდა: „. . . განვახორციელოთ საეკლესიო განძეულობათა ამოღება ყველაზე გააფთრებული და დაუნდობელი ენერგიით, უკან არ დავიხიოთ ნებისმიერი წინააღმდეგობის ჩასახშობად . . . ჩვენ სწორედ ახლა უნდა გავუმართოთ შავრაზმელ სამღვდელოებას გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლა და ჩავახშოთ მათი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რომ მათ არ დაივიწყონ ეს ამბავი ათეული წლის მანძილზე: პარტიის ყრილობაზე მოეწყოს ყველა, ან თითქმის ყველა დელეგატის თათბირი . . . თათბირზე მივაღებინოთ ყრილობის საიდუმლო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ განძეულობის ამოღება განსაკუთრებით ყველაზე მდიდარი ლავრებიდან, მონასტრებიდან და ეკლესიებიდან ჩატარდეს დაუნდობელი მოქმედებით, ისე, რომ არაფერს მოვერიდოთ და ავასრულოთ კიდევაც უმოკლეს ვადაში. ამ საბაბით რაც უფრო მეტ ბურჟუაზიისა და რეაქციული სამღვდელოების წარმომადგენელს დავხვრეტთ, მით უკეთესი“ /„ ახალგაზრდა ივერიელი“, 1990 წ. 11 სექტემბერი/. ასეთი „ბრძნული “ მითითებებით შეიარაღებული ქართველი ფუნქციონერები დროს უქმად არ კარგავდნენ. კატასტროფულად მცირდებოდა ეკლესიის მსახურთა რიცხვი. 1917 წელს საქართველოს ეკლესიას ყავდა 1527 ბერი და 1700 მღვდელი. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მათი საერთო რაოდენობა 100-მდე შემცირდა /„წიგნის სამყარო“, 1990წ. 12 სექტემბერი/.

პირველი აშკარა ანტირელიგიური კამპანია საქართველოში დაიწყო 1921-1925 წლებში და წარიმართა ლოზუნგით “ ბრძოლა რელიგიასთან არის სოციალიზმისათვის ბრძოლა“. ეკლესია-მონასტრებს ჩამოერთვათ მიწები, სახელმწიფოს გამოეყო ეკლესია და ეკლესიას სკოლა, გაუქმდა საეკლესიო ქორწინება. იტაცებდნენ და შეურაცხყოფდნენ ხატებს. ეკლესია გამოცხადდა რეაქციულ ძალად. ანტირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგიურ ბრძოლაში ჩაერთო მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება /პრესა, რადიო, კინო, აგრეთვე, თეატრი, სასწავლებლები/. უმაღლეს სასწავლებლებში დაარსდა ათეიზმის კათედრები, შეიქმნა ათეიზმის მუზეუმები.

უხეში ჩარევით აიკრძალა რელიგიური დღესაწაულები. 30-იანი წლების ბოლოსათვის ეკლესიების უმრავლესობა განადგურდა და დაიხურა, ნაწილი გადაკეთდა თავლებად, საწყობებად, კლუბებად. ოზურგეთის რაიონის 18 ეკლესია-მონასტრიდან მოქმედი არც-ერთი არ იყო, სხვადსხვა დანიშნულებით იყენებდნენ შვიდს (სუია, ფ. 284, ს.2622, ფურც. 16-44), დახურული და გამოუყენებელი იყო - 14, დანარჩენი ადრე დაანგრიეს და გაანადგურეს. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ასპინძის, წალენჯიხისა და ორჯონიკიძის რაიონები. სხვაგან შეძლეს ეკლესიების მეტ-ნაკლები რაოდენობით შენარჩუნება. კერძოდ თერჯოლის რაიონის 6 ეკლესიიდან მოქმედებდა -4, აბაშისა - 26-დან 21, ქვემო სვანეთისა - 34-დან 33 (არქივში დაცული დოკუმენტები მოიცავს 17 რაიონის მაჩვენებლებს). ოზურგეთის რაიონში ეკლესიებისა და მათი მსახურებისადმი დაუნდობელი დამოკიდებულებით, ხალხის დაშინებით, სურდათ „დაესაბუთებინათ" გურულების „ათეისტური განსწავლულობა", მრევლის მიერ კლესიებისადმი ზურგის შექცევის „კანონზომიერება". ეს იყო ადამიანების სინდისის თავისუფლების გათელვის „მოხერხებული ფორმის შერჩევა", გურული გლეხის რევოლუციონერობის ბოროტად გამოყენება.

30-იან წლებში რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის რომ ორგანიზებული ხასიათი მიეცათ, საკითხი გამოჰქონდათ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებებზე. გურიანთის პარტორგანიზაციის ერთ-ერთ ასეთ კრებაზე / 1938 წლის 15 ივნისი/ განიხილეს „უღმერთოთა საზოგადოების მუშაობის მიმდინარეობის შესახებ". სინანულით აღინიშნა, რომ საზოგადოება არ აწარმოებდა სათანადო ათეისტურ მუშაობას. ხელახლა აირჩიეს ორგანიზაციის ბიურო 5 კაცის შემადგენლობით (სპა, ფ. 2341, ს.7, ფურც. 43).

საზოგადოებრივი აზრის მოწამვლის მაშინდელ „დონეზე" მიუთითებს „უღმერთოთა საზოგადოებისადმი" წაყენებული მოთხოვნები უფრო გაბედულად შეეტიათ რელიგიის წინააღმდეგ. ამითვე აიხსნება, რომ გურიანთის პარტორგანიზაციის კრებამ 1941 წლის 24 მაისს არადამაკმაყოფილებლად შეაფასა „უღმერთოთა საზოგადოების" ადრე არჩეული ბიუროს მუშაობა და მთლიანად განაახლა იგი (იქვე,ს.10, ფურც.45). „უღმერთოთა საზოგადოებაში" გაერთიანებულ ადამიანებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ როგორ გადაიქცნენ ისინი „ხელმძღვანელი ამხანაგების " ბრმა იარაღად.

1942 წლის 20 ივლისს პარტორგანიზაციამ კვლავ განიხილა საკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითხი - „მებრძოლ უღმერთოთა ორგანიზაციის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ“ (ორგანიზაციაში ირიცხებოდა 50 კაცი). ისევ ისმოდა საყვედურები არადამაკმაყოფილებელი ათეისტური მუშაობის შესახებ. ცუდი მუშაობისათვის მკაცრად გააკრიტიკეს უღმერთოთა საბჭო / იქვე, ს.11,ფურც. 25; ს. 12, ფურც. 41/. მოქალაქეები განსაკუთრებით მძიმედ განიცდიდნენ ომის პერიოდში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავი რელიგიური ცერემონიალის (სანთლების ანთება, ლოცვა, პარაკლისი) აკრძალვას.

აღვირახსნილი ათეისტური პროპაგანდა გრძელდებოდა 80-იანი წლების პირველი ნახევრის დასასრულამდე. 1985 წლის 5 მაისს გურიანთის პარტორგანიზაციის კრებაზე განიხილეს საკითხი - „სოფლად ათეისტერი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ერთ-ერთმა ორატორმა /გვარს აქაც არ ვასახელებთ/ დიდი პათოსით თქვა: „ზოგიერთი ურჯულო რელიგიური სექტის აკრძალვის ფაქტს ასაღებს როგორც სინდისის თავისუფლების აკრძალვის დადასტურებას. . . განსაკუთრებული სიშმაგით განადიდებენ იმ საეკლესიო პირებს, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ და ზოგიერთ შემთხვევაში ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობისთვისაც კი არიან მიცემული პასუხისგებაში. . .“ /სპა, ფ.2341, ს.79, ფურც.39/. პარტიული კომიტეტის დადგენილებით უნდა გაეშალათ ფართო ხასიათის ათეისტური მუშაობა, განემარტათ, რომ ეკლესიისაგან სკოლების გამოყოფით საბჭოთა მთავრობა არ ზღუდავდა მოქალაქეთა უფლებებს ბავშვებისათვის ესწავლებინათ ბიბლია. რელიგიასა და ეკლესიაზე ასე ზერელე მსჯელობა ათეიზმის პროპაგანდის ახალ პირობებში გაგრძელების ტლანქი ცდა იყო. რიტორიკული ვარჯიში ბიბლიის სწავლების შესახებ მტკნარ სიცრუეს წარმოადგენდა, რადგან თვით ბიბლია მოსახლეობისათვის უცნობი იყო.გურიანთის პარტიული კომიტეტის დადგენილებით სასულიერო დღესასწაულებისა და რიტუალებისათვის მოხერხებულად უნდა დაეპირისპირებინათ აგრეთვე ახალი საბჭოური დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი. ამ შემთხვევაშიც ჩაფიქრებული იყო შენიღბული ათეისტური მუშაობა.

ეკლესიისა და ღვთისმსახურთა განუწყვეტელი რბევის 70-წლიან პირობებში იშვიათი იყო რელიგიისადმი ჰუმანური დამოკიდებულების ფაქტები. გამონაკლისს წარმოადგენდა გურიანთის სასოფლო საბჭოს /თავმჯდომარე ზ. სურგულაძე/ 1945 წლის 29 მარტის დადგენილება ციხისფერდის ეკლესიის ტერიტორიის მომვლელის დანიშვნის შესახებ. ეს ნაბიჯი გადაიდგა ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ბარდ-ეკლებისაგან გასაწმენდად. განზრახული იყო აგრეთვე ეკლესიის შემოგარენის შეღობვა (ოსა ფ.35, ს.43, ფურც.77). სამწუხაროდ, დადგენილება მალე მიეცა დავიწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას. ეკლესიის ტერიტორია დღესაც შეუღობავი, გავერანებული და ყველასაგან მივიწყებულია. ეს მით უფრო გაუმართლებელია, რომ შეიცვალა რელიგიისა და მორწმუნეებისადმი დამოკიდებულება. სრულდება მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლება - სინდისისა და რწმენის თავისუფლების შესახებ. მთელ რიგ სოფლებში აშენდა და შენდება ახალი ეკლესიები, სამლოცველოები, არნახული მუშაობა გაიშალა დანგრეული და უპატრონოდ მიგდებული ეკლესიების აღდგენა-რესტავრაციისათვის. ამ საქმეში გურიანთამაც უნდა თქვას თავისი სიტყვა. ყველას ვალია მონაწილეობა მიიღოს ამ საშვილიშვილო მოძრაობაში. გვახსოვდეს,ეს ძეგლები ისტორიის ცოცხალი მატიანეა.

ეკლესიის აღდგენა-განახლება მრავალი პრობლემის გადაჭრასაც გულისხმობს, პირველ რიგში უნდა დავეყრდნოთ სრულიად საქართველოს 1917 წელს საეკლესიო კრებაზე მიღებულ დებულებას, რომლის 24-ე პარაგრაფში ვკითხულობთ: „სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, უკეთუ მორწმუნეთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ საკუთარი ტაძრისა და კრებულის შენახვა არ შეუძლია. თვითეულ სამრევლოს უჭირავს განსაზღვრული ტერიტორია, რომლის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს სხვა სამრევლოებთან შეთანხმებით და სათანადო საეკლესიო მთავრობის ნებართვით“ (საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებანი, გვ.15/. აქვეა განსაზღვრული მორწმუნეთა მოვალეობა. „მრევლად, - ვკითხულობთ დებულებაში, - ითვლება ყოველი მორწმუნე, რომელიც განსაზღვრულ სამრევლოს ეკუთვნის, შეტანილია სამრევლო წიგნში და მონაწილეობას იღებს ყველა ხარჯებში, რასაც სამრევლო ეწევა“. ეკლესიას უნდა გააჩნდეს თავისი ქონება,მის საკუთრებაზე ფიქრი, პირველ რიგში მიწის პრივატიზაციის დროს გვმართებდა. გვიანი ახლაც არაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეექვსე. მმართველობის სტრუქტურა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სოფელში დაიმსხვრა მმართველობის ძველი სტრუქტურა, შეიქმნა სრულიად ახალი, უაღრესად რთული სახელმწიფოებრივი მექანიზმი - თემაღმასკომი და მისი პრეზიდიუმი, რომელსაც თვითმმართველობის როლი უნდა შეესრულებინა. არქივებში დაცული არასრული მასალების მიხედვით გურიანთის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომა გამართულა 1927 წლის 3 აპრილს. აურჩევიათ პრეზიდიუმის შემადგენლობა: ა. მალაზონია /თავმჯდომარე/, დ. ზაქარიაძე, ქრ. ჩიტაიშვილი, ნ. ჩიკაშუა, შ. კვაჭანტირაძე.აქვე აურჩევიათ თემსაბჭოს წევრები: 1. ა. მალაზონია, 2. დ. ზაქარიაძე, 3. ქ. ჩიტაიშვილი, 4. ბ. გაბედავა, 5. ვ. მუჯირი, 6. ე. გირკელიძე, 7. ი. ფასიეშვილი, 8. კ.ჩხარტიშვილი, 9. არ. შარაძე, 10. თ.მალაზონია, 11. ი. ჩიკაშუა, 12. ერ. ზაქარიაძე, 13. გ. დარჩია, 14. ლ. დოლიძე, 15. თ. კვაჭაძე, 16. ს. დოლიძე, 17. კ. დობორჯგინიძე და კანდიდატი - შ. არობელიძე. გაირკვა, რომ სია სრული არ იყო. თემსაბჭოს იმავე წლის სხდომაზე დამსწრეთა გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მისი წევრები იყვნენ აგრეთვე: ა. მეავია, ი. ვასაძე, ნ. მეხუზლა, ა. დარჩია, ს. კილურაძე, ს. მუჯირი, ა. ლომაძე, მ. ჩხაიძე, ი. კვერღელიძე (ოსა, ფ.1, ს.40, ფურც.3; იქვე, ს.41, ფურც.2; ს.210, ფურც.4-6). გამოდის, რომ თემსაბჭო აერთიანებდა 27 კაცს, მათ შორის 26 წევრს და ერთ კანდიდატს.

სოფლის მომავლისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდა მმართველობის ახალი სტრუქტურის ფორმირება. როგორიც იქნებოდა იგი თავიდან, ასეთივე დარჩებოდა დიდხანს. ცხადი იყო, რომ საფუძველი ეყრებოდა სრულიად ახალი ტიპის ხელისუფლებას, რომელსაც უნდა დაეკანონებინა ადამიანებს შორის ურთიერთობისა და თვითმმართველობის ფორმები, რაც შესაძლებელი იქნებოდა პირდაპირი არჩევნების მოწყობით. მაგრამ ასე არ მოხდა. კერძოდ, 1929 წლის 2 თებერვალს გურიანთის თემსაბჭო აირჩია ამომრჩეველთა კრებამ. დამახასიათებელია ისიც, რომ ხმა მისცა კრების მონაწილეთა საერთო რაოდენობის /432 / 80-მდე პროცენტმა/365 კაცი/. სახელდახელოდ /კრება გაგრძელდა ერთ საათსა და 15 წუთს/ შექმნილ „მთავრობაში“ /„თემსაბჭო“/ აირჩიეს 28 კაცი: 1. აკაკი მალაზონია, 2. იაკინთე კვერღელიძე, 3. პროკოფი შარაძე, 4. სანდრო ჟღენტი, 5. ეკა მალაზონია, 6. სერაპიონ სურგულაძე, 7. სილიბისტრო კვერღელიძე, 8. სიმონ კვაჭაძე, 9. ნიკიფორე მეავია, 10. ნიკიფორე მეხუზლა, 11. პანტელეიმონ კვაჭაძე, 12. ვასო ცერცვაძე, 13. სევერიან ჟღენტი, 14. ყათრან პაპავა, 15. ალექსანდრე მამულაშვილი, 16. ესე დარჩია, 17. კირილე დარჩია, 18. ამფილოქსე ჩხარტიშვილი, 19. სამსონ დაჩია, 20. ეფემია დარჩია, 21. კოწია შეწირული, 22. ესოფი გირკელიძე, 23. აკაკი ტუღუში, 24. ხალამპრე კვირკველია, 25. ისიდორე ახალაია, 26. დიომიდე ზაქარიაძე, 27. კასიანე შარაძე, 28. ალექსანდრა კალანდარიშვილი/ ოსა, ფ.1, ს.233, ფურც.1/. ასე ჩამოყალიბდა ახალი ხელისუფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

- „თემსაბჭო". სხდომაზე აირჩიეს სამაზრო ყრილობის დელეგატები: ნიკ-ფორე მეხუზლა, კასიანე ვაშნაძე, სანდრო ჟღენტი.

თემსაბჭო დაკომპლექტდა ღარიბი გლეხებით. სოფლის ხელისუფლების ორგანოში შეძლებული გლეხების არცერთი წარმომადგენელი არ აურჩევიათ. კრების დელეგატთა ანკეტაში იყო ასეთი კითხვა - „სოციალური მდგომარეობა", რომლის გასწვრივ ეწერა მხოლოდ ერთი სიტყვა -„ღარიბი". ასე გაესვა ხაზი ღარიბი გლეხობის დიქტატურის დამყარებას, სოფლის მოსახლეობის დაპირისპირების დაკანონებას, რამაც არსებითად განსაზღვრა სოფლის ბედი. საზოგადოება დაიყო შეძლებულებად და ღარიბებად, მუყაითებად და ზარმაცებად,ბეჯითებად და მუქთახორებად, ხელისუფლების ერთგულებად და „მოღალატეებად". მომზადდა ნიადაგი „გასწორებოდნენ მოწინააღმდეგეებს, კლასობრივ მტრებს", განვითარებულიყო ანტაგონიზმი, შუღლი, დასმენა. იმთავითვე ჩანდა, რომ სოფლის ახალი ხელისუფლება მთელი მოსახლეობის, მათ შორის შეძლებული გლეხების ,ვაჭრების, ეკლესიის მსახურთა და სხვათა ინტერესებს არ დაიცავდა.შემაკავშირებელი ცენტრის ნაცვლად ხელისუფლება იქცა გამთიშავ, ერთიანი სხეულის ნაწილებად დამყოფ ორგანოდ. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მეზობლები და ნათესავები, მახლობელი ადამიანები, მათი შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად იქცა სოციალური მდგომარეობა, ქონებრივი ცენზი.მთელი სიმპათიები გადაიხარა ღარიბებისაკენ, რომელთა შორის ზარმაცები ცოტანი როდი იყვნენ. არავითარი ანგარიში არ ეწეოდა შეძლებული გლეხების მუყაით, მუხლჩაუხრელ შრომას,მის უნარს გაძღოლოდა მეურნეობას, ჰყოლოდა პირუტყვი, დიდი გარჯითა და ჯაფით დაეგროვებინა ოჯახის სარჩო. ასეთი პოლიტიკის შედეგმა არც დააყოვნა, გაღვივდა დასჯისა და დაგმობის, საყოველთაო გაკიცხვისა და შურიანობის ტენდენცია.

კრებაზე 75 წუთში, თემსაბჭოს ფორმირებით იმთავითვე დამკვიდრდა „ზემოდან" კარნახის კურსი, გამოირიცხა დემოკრატიული პროცედურები ან მას მიეცა ფორმალური ხასიათი,აზრთა დაპირისპირება, პლურალიზმი, დისპუტი, დაინერგა კადრების შერჩევისადმი ზერელე დამოკიდებულება, პოლიტიკური სისტემის ფორმირებაზე უხეში ზემოქმედება.

გარკვეულწილად უგულებელყვეს ქალთა როლი. თემსაბჭოში არჩეულთა /28/ აბსოლუტური უმრავლესობა /25/ მამაკაცები იყვნენ. ასაკობრივი ცენზის მიხედვით ყველაზე ახალგაზრდა - პანტელეიმონ კვაჭაძე 21 წლისა იყო, ხოლო ხნიერი /კირილე დარჩია/ - 57-სა. განათლების ცენზის მიხედვით საშუალო განათლება ჰქონდა 4 კაცს /პროკოფი შარაძე, სერაპიონ სურგულაძე, დიომიდე ზაქარიაძე, ვასო ცერცვაძე/,უმაღლესი განათლებისა იყო - ერთი /ალექსანდრა კალანდარიშვილი/, დანარჩენი /23/ მცირე მცოდნე და უცოდინარი იყო. ასეთი სოციალური მდგომარეობის ადამიანები, მათი სურვილის მიუხედავად, სოფლის განვითარების სასიცოცხლო პრობლემებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია ყოველთვის ობიექტურად ვერ მიუდგებოდნენ,რაც უდაოდ ბაღს ასვამდა თემის განვითარებას, მის პერსპექტივებს.

საინტერესოა თემსაბჭოს სტრუქტურა. მის წევრებს ჰქონდათ გადამწყვეტი და სათათბირო ხმები. 1929 წელს თემსაბჭოს პრეზიდიუმში აირჩიეს 4 კაცი: აკაკი მალაზონია, კოწია შეწირული, ესე დარჩია, ეკა მალაზონია, აგრეთვე მდივანი - ნიკიფორე მჟავია. პრეზიდიუმი პერიოდულად ანგარიშს აბარებდა თემსაბჭოს, ეს უკანასკნელი კი - ამომრჩევლებს. ეს დემოკრატიული პრინციპი იმთავითვე ფორმალურ ხასიათს აგარებდა, რამაც თანდათან შელახა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი, გააღვივა ეჭვი და უნდობლობა.

თემსაბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ფუნქციებზე, მოღვაწეობის მიმართულებებზე,მიზნებსა და ამოცანებზე წარმოდგენას გვაძლევს მათი ღღის წესრიგი და გადაწყვეტილებები. თემაღმასკომს ჰქონდა დიდი უფლებები. მასვე ეკისრებოდა ზრუნვა მოსახლეობის სოციალური პირობების დაცვისა და გაუმჯობესებისათვის. მაგრამ სინამდვილეში ასე როდი ხდებოდა. მისი მოქმედება შებოჭილი იყო კომპარტიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმებით, რომელთა უმკაცრესი დაცვა სავლდებულო იყო ნებისმიერი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციებისათვის. სოფლის ხელისუფლების უპირველეს ამოცანად უღარიბესი გლეხების ინტერესების დაცვა ცხადდებოდა.

ცნობილია, რომ სოციალიზმის მშენებლობის მომდევნო პერიოდებშიც მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პროლეტერიატის დიქტატურის ადგილობრივი ორგანოების - საბჭოების არჩევნებს, რაც წინ უძღოდა მასობრივ კოლექტივიზაციას. მაშინდელი ისტორიოგრაფიის მიხედვით ადგილობრივი ძალები ცდილობდნენ არჩევნების ჩაშლას. მაშინ ბევრს წერდნენ კოლექტივიზაციის პირობებში სოფლად საბჭოების ლიკვიდაციისა და მათი ფუნქციების კოლმეურნეობისათვის გადაცემის აუცილებლობის შესახებ. სხვები საკითხის ასე დასმას მიიჩნევდნენ „საბჭოების ფუნქციათა კოლმეურნეობისათვის დაკისრების კულაკურ ცდად". ოფიციალურ ხელისუფლებას სასოფლო საბჭოების უფლებებისა და ფუნქციების კოლმეურნეობებისათვის გადაცემა დაუშვებლად მიაჩნდა .

საბჭოების როლის დაკნინების ცდა დაგმო საქართველოს კომპარტიის VII ყრილობამ /1930 წლის ივნისი/ და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა გამოეცოცხლებინათ და გარდაექმნათ სოფლის საბჭოების მუშაობა /სპა, ფ3517, ფურც.19/. სოფლის მმართველობის სტრუქტურაში მას წამყვანი როლი უნდა დაეჭირა. ასეც მოხდა. სოფლის საბჭო ისმენდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოხსენებებს, გამგეობას აძლევდა მითითებებსა და დავალებებს. გურიანთის თემსაბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე / 1940 წლის მარტი / მოისმინეს გურიანთის და განახლების / იგი ჯერ კიდევ შედიოდა გურიანთის თემსაბჭოში / კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა მოხსენება - „საგაზაფხულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესვის მომზადების, ჩაის გასხვლისა და სასუქების შეტანის შესახებ". ორთავე კოლმეურნეობის გამგეობას დაევალა ჩაის პლანტაციის გასხვლა დაემთავრებინათ პირველ აპრილამდე / ოსა, ფ.35, ს. 29, ფურც. 16,18 /. დამახასიათებელია დადგენილების ტონი, მბრძანებლური კილო.

სოფლის უმაღლეს ორგანოს წაარმოადგენდა თემის საერთო კრება, რომელიც ისმენდა სოფლის საბჭოს მუშაობის ანგარიშს. საინტერესოა თემსაბჭოს ერთ-ერთი კრების / 1929 წლის 18 იანვარი / დღის წესრიგი : - 1. რამდენია უკიდურესი ღარიბი, რომელიც დამოკიდებულია შეძლებულ გლეხობაზე; 2. როგორია დახმარება ღარიბებზე; 3. კოოპერაციის მდგომარეობა; 4. სამკითხველოს მუშაობა; 5. კოლექტივზე ხელმძღვანელობა, 6. ქალთა მუშაობა საბჭოებში; 7. გაზეთის გავრცელების საქმეები; გზების შეკეთების შესახებ" / ოსა, ფ. 1, ს. 210, ფურც. 29/. განხილულ საკითხთა წრე ზუსტად განსაზღვრავდა სოფლის მაშინდელ სულისკვეთებას. აქაც ყურადღება გადატანილია მხოლოდ ღარიბი გლეხების სოციალურ დაცვაზე. დამახასიათებელია კრებაზე სასოფლო-სამეურნეო არტელისადმი ხელმძღვანელობის საკითხის დასმა. მაშინ არტელები ანგარიშს აბარებდნენ არამარტო თემის კრებას, არამედ თემსაბჭოებსაც, რაც საბჭოთა ხელისუფლების შეუზღუდავ უფლებებზე მიუთითებდა.

სოფლის მმართველობის სტრუქტურაზე სრულ წარმოდგენას ვერ მივიღებთ გლეხთა კომიტეტების / გლეხკომები / შესახებ გარკვეული ცოდნის მიღების გარეშე. ოზურგეთში გლეხთა კომიტეტები ჩამოყალიბდა 1903 წელს. მათი მიზანი იყო ბოიკოტი გამოეცხადებინათ მთავრობის დაწესებულებათა, მემამულეებისა და სამღვდელოების წინააღმდეგ. რეაქციის წლებში გლეხთა კომიტეტები მოსპეს, მაგრამ გასაბჭოების შემდეგ საქართველოში შეცვლილი სახით კვლავ მოგვევლინენ. ამიერიდან მათ უნდა დაეცვათ მშრომელი გლეხების ინტერესები. გურიანთაში გლეხთა კომიტეტები დაარსდა 1922 წელს. მათი საქმიანობა უნდა შეწყვეტილიყო მასობრივი კოლექტივიზაციის დაწყებისთანავე. მაგრამ ასე არ მოხდა. იგი მუშაობას განაგრძობდა 1930 წლის დასაწყისშიც, როცა კოლექტივიზაცია დასასრულს უახლოვდებოდა /ოსა, ფ.1,ს.315,ფურც.49/ და ახალი მითითებების მიღებას ელოდებოდა. კოლმეურნეობის ყოფილი მთავარი ბუხჰალტრის შ.კვაჭანტირაძის მოგონებით, გლეხკომის თავმჯდომარედ აირჩიეს გ. დობორჯგინიძე, წევრებად - ე. მუჯირი, გ. ცერცვაძე, ლ. ჩხაიძე და ს.ნ. კვაჭაძე, გლეხკომი დიდ მუშაობას ეწეოდა უღარიბესი გლეხების დასახმარებლად, სურსათითა და საამშენებლო მასალებით მოსამარაგებლად. გლეხკომი იყო სოფლის მხოლოდ ერთი სოციალური ფენის - ღარიბი გლეხობის დაცვის მიზნით შექმნილი ორგანო, რომელიც აღიჭურვა გარკვეული უფლებებით და მონაწილეობდა მართვაში, თავისებურ მეორე ხელისუფლებას წარმოადგენდა. ამით აიხსნება, რომ ზოგჯერ გლეხთა კომიტეტსა და თემსაბჭოს შორის წარმოიშობოდა წინააღმდეგობები, თუმცა ორთავე ღარიბი გლეხების ინტერესების დამცველად მოგვევლინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხკომის ანგარიშს რეგულარულად ისმენდა კრება, რომელიც მის შემადგენლობას პერიოდულად ცვლიდა. 1927 წელს, გლეხკომში აირჩიეს 18 კაცი: (დასახელებულია დოკუმენტში დაფიქსირებული თანმიმდევრობით): 1. სიმონ ნესტორის ძე კვაჭაძე; 2. ერ. ფრანგიშვილი; 3. ერ. დობორჯგინიძე, 4. ლეო კვერღელიძე, 5. ერმილე მუჯირი, 6. მელიტონ როყვა, 7. შალვა ზაქარიაძე, 8. ალექსანდრე მალაზონია; 9. ლ. კიღურაძე, 10. ს.ლ. კვაჭაძე, 11. ირაკლი . . . , 12. სილიბისტრო კვერღელიძე, 13. პავლე ტოტოჩავა, 14. არტემ ლომთათიძე, 15. ტუღუში, 16.შალიკო კვაჭანტირაძე, 17. აკაკი დოლიძე, 18. ირაკლი . . . / ოსა, ფ.1, ს. 32, ფურც. 146 /. ემჩნევა ოქმის შედგენას ზერელედ მოკიდებიან და ზოგიერთი გვარი გამორჩენიათ.

თემსაბჭოს მმართველობის სტრუქტურაში გარკვევას გვიადვილებს ოზურგეთის მაზრის აღმასკომის მიერ 1926 წლის 5 სექტემბერს გამოცემული ცირკულარი, რომელშიც ვკითხულობთ : „სათემო საბჭოები იკრიბებიან უფრო ხშირად, ვიდრე სათემო აღმასკომები. სათემო აღმასკომი იმავე დროს არის სათემო საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოს მიმდინარე მუშაობას, ამზადებს საბჭოს სხდომებისათვის საკითხებს. ამისათვის აღმასკომები უნდა იკრიბებოდნენ უფრო ხშირად, ვიდრე საბჭო. აღმასკომი კვირაში ერთხელ,საბჭო - თვეში ერთხელ“ /იქვე, ს.7, ფურც.215/. თემსაბჭოს პრეზიდიუმი იხილავდა მიმდინარე საკითხებს, ამზადებდა თემსაბჭოს დღისწესრიგსა და რეზოლუციების პროექტებს.

ადგილობრივი ხელისუფლების ეს სტრუქტურა არც მომდევნო წლებში შეცვლილა. 1936 წელს სოფლის საბჭო ითვლიდა 27 წევრსა და 6 კანდიდატს. წევრები: „1. იოსებ დათუნაშვილი / თავმჯდომარე / 2.ბენია მამალაძე , 3. იპოლიტე მექვაბიშვილი, 4. ლადიკო ჩხაიძე, 5. ნიკიფორე მჟავია, 6. ნიკო ჩიკაშუა, 7. ეკა მალაზონია, 8. სიმონ ლევანტის ძე კვაჭაძე, 9. ელენე არობელიძე, 10. იაკინთე კვერღელიძე, 11. სერაპიონ სურგულაძე,12 ელიკო ჩხარტიშვილი, 13. ამფილოქსე ჩხარტიშვილი, 14. პროკოფი დობორჯგინიძე, 15 დათიკო დოლიძე, 16. ვასასი მეგრელიშვილი, 17. ვასო ზაქარიაძე, 18. ლადიკო კიღურაძე, 19. პეტრე ხავთასი, 20. დიომიდე ზაქარიაძე, 21 შალლვა ცერცვაძე, 22. სამსონ ჟღენტი, 23. კალისტრატე გოგუაძე, 24. პავლე მუჯირი, 25. მატრონე მუჯირი, 26. პელაგი დარჩია, 27. კოსტა ჩიკაშუა. კანდიდატები: 1. კატო ურუშაძე, 2. ივტიხი ზაქარიაძე, 3. პავლე ტოტოჩავა, 4. ქენია პაპავა, 5. სანდრო დარჩია, 6. სევერო დარჩია “ /ოსა, ფ.35,ს.6, ფურც. 1-2 /.

სოფლის საბჭოს მომდენო წლებშიც დიდი უფლებები რჩებოდა. იგი კოლმეურნეობის გამგეობას კვლავინდებურად აძლევდა დავალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს, უდგენდა სამუშაოთა ვადებსა და ა.შ. მაგალითად, სოფლის საბ-ჭომ 1936 წლის 22 აპრილს კოლმეურნეობის გამგეობას დაავალა თესვის კამპანია დაემთავრებინა პირველ მაისამდე. მაშინვე ბრი-გადებზე მიამაგრა საბჭოს წევრები, რომლებიც პასუხს აგებდნენ გეგ-მების შესრულებისათვის.

სოფლის საბჭოს გაფართოებულ ფუნქციებზე მიუთითებს ახალი სექციების შექმნა. 1937 წლის მონაცემებით საბჭოში მოქმედებდა ტე-ქნიკური კულტურების, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის სექციე-ბი / იქვე, ფურც. 2-3 /, რითაც დაკანონდა კოლმეურნეობის გამგეობის ფუნქციებში შეჭრა. ეს კარგად ჩანს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქტორის (შეამოწმა გურიანთის სასოფლო საბჭოს მუშაობა) მოხსენებითი ბარათიდან: „საბჭო, - წერდა იგი, - ნამდვილად ახორციელებს კოლმეურნეობაზე კონკრეტულ, ყოველდღიურ ხელმძღვანელობას და მას ყველა საკითხზე აქვს ნათე-ლი წარმოდგენა, რის გამოც . . . კოლმეურნეობა ითვლება სანიმუ-შოდ რაიონში და თამამად შეიძლება ითქვას სოფლის საბჭოს მუშაო-ბა არის სანიმუშოდ დაყენებული“ / სცა, ფ.288, ს.1679,ფურც.2 /.

კოლმეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით ბრიგადებში შეიქმნა სადეპუტატო ჯგუფები, რომლებიც, სპეციალურ ჟურნალებში,საგულდაგულოდ აღრიცხავდნენ გაწეულ დახმარებას / იქვე, ფურც.5/. სოფლის საბჭო ამტკიცებდა აგრეთვე საგაზაფხულო თესვის გეგმას, ბრიგადებს აძლევდა კონკრეტულ დავალებებს. 1933 წელს მან აღრიცხა მანქანა იარაღები, შეადგინა მათი შეკეთების განრიგი და ამ მიზნით გამოყო სპეციალური ბრიგადა. გამწევი ძალა გადაიყვანა გაძლიერებულ კვებაზე, გაანაწილა სიმინდის თესლი, ბრი-გადებზე მიამაგრა ნაკვეთები, მანქანა-იარაღები, გამწევი ძალა. საბ-ჭოსავე ინიციატივით შემოწმდა ერთპიროვნულ მეურნეობათა თესლით უზრუნველყოფა / იქვე, ს.2546; ფურც.6/. იყო შემთხვევები, როცა უხ-არისხოდ დათესილ ნაკვეთებს, საბჭოს მითითებით ხელმეორედ თე-სავდნენ /მე-15 ბრიგადა/.

სოფლის საბჭო სისტემატურად ისმენდა მოხსენებებს თესვის კამ-პანიის, შრომის სოციალისტური ფორმების დანერგვის, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლის, საზოგადოებრივი „ბუქსირის“ საქმიანობის შესახებ /იქვე, ფურც.7/.

სოფლის საბჭო გარკვეულად პარტიული კომიტეტის ფუნქციასაც კისრულობდა: ბრიგადებში აწყობდა საუბრებს,საწარმოო თათბირებს, ხმამაღლა კითხვას, მინდვრებში გლეხებს ამარაგებდა გაზეთებით, ორ-განიზაციას უწევდა ცხელი სადილების მიწოდებას, აფორმებდა „წი-თელ“ და „შავ“ დაფას. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა პარტიულ ორგა-ნიზაციის მიერ ხელმძღვანელობის სადავეების დათმობას. პირიქით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მმართველობის სტრუქტურაში ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია პარტიულ ორგანიზაციას ეკავა, მისი გავლენა თანდათან იზრდებოდა. ცნობილია, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პარტიული ორგანიზაციები შეიქმნა საქართველოს ყველა სოფელში. თავდაპირველად გურიანთის თემის 5 სოფლიდან ყველაზე მძლავრი პარტიული ორგანიზაცია დაარსდა ბაილეთში, შემდეგ მოდიოდა ციხისფერდი, კახური, ახალსოფელი, ჭანიეთური. გურიანთის საკოლმეურნეო პარტიული უჯრედის ოქმების ნაწილი დაკარგულია. არქივებში დაცულია მასალები კომუჯრედის სხდომის მე-11 ოქმიდან, რომელიც დათარიღებულია 1930 წლის 30 ნოემბრით. ამ დროს მის მდივნად მუშაობდა ი. კვერღელიძე.პარტიულმა ორგანიზაციამ იმთავითვე კურსი აიღო რაც შეიძლება ჩქარა ამოეძირკვა სოფლის თვითმმართველობის ძველი სისტემა, შეეკვეცა არჩევნებში „საეჭვო პირების" მონაწილეთა რაოდენობა, ნებით თუ უნებლიეთ ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა თანასოფლელები.

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან პარტიული უჯრედის უფლებების განუზომელ ზრდაზე მიუთითებს მის მიერ სოფლის საბჭოს /პრეზიდიუმის/ თავმჯდომარის დანიშვნა. სოფლის პარტიული ორგანიზაციის ამ გადაწყვეტილებას ამტკიცებდა პარტიის რაიკომი /სპა, ფ.2341, ს.1,ფურც.2/, რითაც კანონიერი ხასიათი ეძლეოდა დემოკრატიის იგნორირებას.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სოფლის საბჭოში ირჩევდნენ მის წევრებსა და კანდიდატებს. მაგალითად, 1930 წელს აირჩიეს 33 წევრი და 4 კანდიდატი. 37 დეპუტატიდან პარტიის წევრი იყო - 18, კომკავშირელი - 7, კოლმეურნე - 28, მამაკაცი - 32, ქალი - 5 /სცსა, ფ.288, ს.1679, ფურც. 19,21/. სოფლის საბჭოში ქალების სიმცირე ემანსიპაციის პროცესის ჯერ კიდევ გაუბედავი, მორცხვი ნაბიჯებით აიხსნებოდა. საბჭოში პარტიისა და კომკავშირის წევრთა სიმრავლე კი ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა და იქ პარტიის გავლენასა და პოლიტიკას ამკვიდრებდა. კიდევ მეტი, თვით საბჭოს დეპუტატების კანდიდატების სიას პარტბიურო ამტკიცებდა. აქედან ნათელია თუ რა გავლენა ექნებოდა მას ხელისუფლების ორგანოზე. ფაქტიურად ასე დაედო სათავე პარტბიუროს მიერ დეპუტატების „დანიშვნის" მახინჯ პრაქტიკას. კერძოდ, გურიანთის პარტბიურომ 1930 წლის 20 დეკემბერს თემში შემავალი სოფლების მიხედვით დაამტკიცა დეპუტატთა კანდიდატების სია, რომლის მიხედვით ს. კახურში უნდა აერჩიათ სოფლის საბჭოს 16 წევრი და ერთი კანდიდატი, ციხისფერდში - 6 წევრი და 2 კანდიდატი, ჭანიეთურში - 3 წევრი და ერთი კანდიდატი, თედორეთში - ერთი წევრი /სპა, ფ. 2341, ს.1, ფურც. 6/. ასეთი პრაქტიკის დამკვიდრებით არჩევნები იმთავითვე ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ადამიანებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყალბეს აჩვევდა. ასე გაჩნდნენ „ხალხის რჩეულნი", რომლებიც საბ-ჭოთა ხელისუფლების ბრმა იარაღად აქციეს. ამასთან მთელი კატეგორიულობით შეიძლება ითქვას, რომ დეპუტატთა უმრავლესობა წესიერი და სოციალიზმის პრინციპების ერთგული ადამიანები იყვნენ, როგორც წესი, ისინი შრომასა და ყოფაში უჩვენებდნენ პირად მაგალითს, თავგამოდებით იბრძოდნენ კოლექტივიზაციის ტემპების დასაჩქარებლად, მათი ღრმა რწმენით, უკეთესი მომავლის დასამკვიდრებლად. პარტიული გავლენის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით სოფლის საბჭოში დაარსდა კომუნისტური ფრაქცია /იქვე, ფურც. 8/, რომელიც აერთიანებდა კომუნისტ დეპუტატებს და ადგილობრივ ხელისუფლებაში ფაქტიურ უმრავლესობას ქმნიდა. სოფელში ასე ჩამოყალიბდა მმართველობითი ორგანოების უცნაური ურთირთდამოკიდებულება. კოლმეურნეობის გამგეობა ანგარიშს აბარებდა რა სოფლის საბჭოსა და პარტიულ ბიუროს /კომიტეტს/, პარტიის პოლიტიკის თავგამოდებული დამცველი ხდებოდა. მომდევნო პერიოდში კოლმეურნეობის გამგეობის ფუნქციები იზრდებოდა, საბჭოების უფლებები კი - იკვეცებოდა და კნინდებოდა. პარალელურად იზრდებოდა პარტიული ორგანიზაციის უფლებებიც.

აღსანიშნავია, რომ 20-30 -იან წლებში პარტიულ ორგანიზაციას ჰქონდა განსხვავებული სტრუქტურა, ვიდრე მომდევნო პერიოდში, კერძოდ, არსებობდა გურიანთის თემში შემავალი სოფლების გაერთიანებული პარტიული ორგანიზაცია და თითოეული სოფლის პარტიული /კომუნისტური/ უჯრედი /სპა, ფ.2341, ს.1, ფურც. 2-3/ მათი ბიუროებით.

პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ თავიანთი რიგების შევსებას. ამ მიზნით იქმნებოდა პარტიის თანამგრძნობთა ჯგუფები, რომლებშიც ძირითადად საუკეთესო კომკავშირლებს ღებულობდნენ. თითოეულ თანამგრძნობს /1935 წელს მათმა რიცხვმა 17 მიაღწია/ ამაგრებდნენ გამოცდილ,საბჭოთა რეჟიმის ერთგულ, პოლიტიკურად საიმედო კომუნისტებს.პარტიული ორგანიზაციის კრება რეგულარულად ისმენდა ამ უკანასკნელთა ინფორმაციას, თანამგრძნობთა პოლიტიკური განათლების დონისა და მათი საქმიანობის, სციალიზმისადმი ერთგულების გამოვლენის ფაქტების შესახებ.

1931 წლის მონაცემებით პარტიული ორგანიზაციის თემბიუროში ჩამოყალიბდა ხელმძღვანელობის რთული სისტემა. ბიუროს სამი სექტორი აერთიანებდა 12 ორგანიზატორს, რომლებსაც თავიანთი ფუნქციები ჰქონდათ, ორგანიზაციული მუშაობის სექტორში /გამგე ნ. ჩიკაშუა/, მის გარდა მუშაობდა პარტიაში მიღების /კ. შეწირული/, კადრების გამოყენების /ბ. ზაქარიაძე/, პარტიულ დავალებათა, მიღებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დირექტივებისა და დადგენილებების შესრულების შემმოწმებელი /ლ. კიღურაძე/, საწევრო გადასახადებისა და საერთო დისციპლინის /ა.ჩხარტიშვილი/, ოთხი ორგანიზატორი. ამდენივე ორგანიზატორი გაერთიანდა მასობრივი მუშაობის სექტორში /გამგე ი. დათუნაშვილი/. აქვე იყვნენ აგრეთვე ქალთა შორის მუშაობის, ნებაყოფლობითი ორგანიზაციების, სოციალისტური შეჯიბრების დამკვიდრებისა და საწარმოო თათბირების, ღარიბთა შორის მუშაობის ორგანიზატორები /თ. სურგულაძე, დ. ქათამაძე, პ. კვაჭანტირაძე, კ. ჩიკაშუა/. კულტურისა და პროპაგანდის სექტორში /გამგე ბენია მჟავია/ გააერთიანეს პარტიისა და კომკავშირის განათლების ქსელისა და კომკავშირის ხელმძღვანელობის, ბეჭდვითი სიტყვისა და გლეხკორთა მოძრაობის, აგროპროპაგანდისა და სახალხო განათლების კადრების ორგანიზატორები: ი. კვერღელიძე, ნ. მეხუზლა, ი. ნიკოლაიშვილი, ი. მექვაბიშვილი /სპა,ფ.2341, ს.1, ფურც. 12-13/. ასეთი „შტატები" პარტიის საოლქო კომიტეტსაც კი შეშურდებოდა. მართლაც, ამაღლებულად ეღერდა - „ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზატორი". თითქოს აქ წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემით იყვნენ დაკავებული და ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზატორის მოღვაწეობის გაშლის გარეშე სოფელი დაიქცეოდა, ყველაფერი ჩაკვდებოდა. სინამდვილეში საქმე ეხებოდა კედლის გაზეთებს, რომლებსაც თავიანთი რედაქტორები ჰყავდათ, და პრესის გავრცელებას. იგივე ითქმის სახალხო განათლებისა და კადრების მომზადების ორგანიზატორზე. მსგავს სექტორებს ხელოვნურობისა და „ზეორიგინალობის" იერი დაჰკრავდა. მაგრამ აქ სხვა ჩანაფიქრი მოქმედებდა. პარტბიუროს უნდა მოეცვა მუშაობის ყველა სფერო, შეექმნა „ყოვლისშემძლეობის" შთაბეჭდილება. მის გარეშე ნაბიჯის გადადგმა ვერავის ვერ უნდა გაებედა, საკითხები მასთან უნდა შეეთანხმებინათ, მითითებები მისგან მიეღოთ. მმართველობის ასეთი მეთოდების დაკანონებას მარტო ჩვენი სოფლის კომუნისტებს ვერ დავაბრალებთ. ყველაფერი „ზემოთ" იყო გათვლილი და გაანგარიშებული. გურიანთის „თემბიუროს" წევრები კი დავალებებს კეთილსინდისიერად ასრულებდნენ, ენერგიასა და ძალას არ იშურებდნენ, რათა ზემდგომი ორგანოების მადლობა და შექება დაემსახურებინათ. აქტიურობით რიგითი კომუნისტებიც გამოირჩეოდნენ. სწორედ ამის გამო ახლა მათი მისამართით ლანძღვა-გინებას არ იშურებენ, რაც მართებულად არ მიგვაჩნია. გლეხი-კომუნისტის ერთადერთი პრივილეგია იყო დაძაბული ბეჯითი შრომა. მაგალითად, 1936 წელს გურიანთის 61 კომუნისტიდან აპარატში მხოლოდ 4 მუშაობდა, დანარჩენები კი ფიზიკურ შრომაში საუკეთესო მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ. შედარებისათვის შეიძლება მივუთითოთ, რომ კოლმეურნეობაში დამკვრელთა და სტახანოველთა შრომადღეების საშუალო რაოდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობა 200-ს აღწევდა, კომუნისტებისა კი 210-ს. მსგავსი მაჩვენებლები ჰქონდათ პარტიის თანამგრძნობებსაც. შემთხვევითი როდი იყო, რომ საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად სხვადასხვა დროს გურიანთიდან აირჩიეს შრომაში გამორჩეული კომუნისტები ეკა მალაზონია და კატო ურუშაძე. ელენე არეშიძე კი – 1935 წელს კოლმეურნეობის საკავშირო ყრილობის დელეგატად წარგზავნეს. მაღალ „სფეროში" ასეთი „მივლინებები" გურიანთის პარტიული ორგანიზაციის დამსახურების თავისებური აღიარებაც იყო.

ამრიგად, სოფლის მმართველობის სტრუქტურა გადაინასკვა პარტიულ ხელმძღვანელობასთან. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ საქართველოს კომპარტიის ოზურგეთის რაიონული კომიტეტი სოფლებისადმი დაგზავნილ მიმართვაში მოითხოვდა ტრაქტორისტთა კურსებზე პარტიის წევრები და კომკავშირლები გაეგზავნათ /სპა, ფ. 2341, ს.1, ფურც.57/. საჭესთან რომ უპარტიო იჯდეს, ტრაქტორი განა უარესად იმუშავებს? ასეთ აბსურდამდე მიდიოდა სურვილი პარტიული ორგანიზაცია ყოფილიყო ყველაფრის გამგებელი, დანერგილიყო რაიკომისადმი მოწიწება და შიში, სიტყვაშეუბრუნებელი მორჩილება. რაიკომის „ქედმაღლობა", ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის „დაავადება" ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებსაც გადაედოთ.

პარტორგანიზაციის ქედმაღლურ და მბრძანებლურ ტონს ნათლად ადასტურებს გურიანთის „თემბიუროს" 1930 წლის 5 დეკემბრის სხდომის დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: „დაევალოს კოლმეურნეობის გამგეობას და სოფსაბჭოს პრეზიდიუმს, რათა ხვალვე მოიწვიონ სხდომები..." /სპა, ფ.2341, ს.1, ფურც.3/. ეს დიქტატორის განკარგულებას უფრო ჰგავდა, ვიდრე პარტიული კრების დადგენილებას.

პარტორგანიზაცია რეგულარულად ისმენდა კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობის ანგარიშს, რითც ხაზი გაესმებოდა პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს მმართველობის ყველა რგოლში. ბუნებრივ მოვლენად იქცა კოლმეურნეობის გამგეობის შემადგენლობის დამტკიცება პარტიული ორგანიზაციის „თემბიუროზე". 1931 წლის 5 თებერვლის დადგენილებით ასე დამტკიცდა კოლმეურნეობის გამგეობის პერსონალური შემადგენლობა: 1. ა.ჯიბუტი, 2. ბ.ბერაძე,3. ნ. მექვაბიშვილი, 4. დ. ნიკოლაიშვილი, 5. ა. მალაზონია, 6. თ.თენეიშვილი, 7. ს.სურგულაძე, 8. კ. ჩიკაშუა, 9. თ. ტოტოჩავა, 10. ს.ლ. კვაჭაძე, 11. ნ. დოლიძე, 12. ლეო კვერღელიძე, 13. დ. ქათამიძე, 14. ნ. შარაძე, 15. მ. ზაქარიაძე, 16. კ. შეწირული, 17. თ. დოლიძე, 18. ერ. დობორჯგინიძე, 19.ს. დარჩია, 20. ალ. დარჩია, 21. ი. დათუნაშვილი, 22. მ. მუჯირი, 23. კ. დარჩია, 24. ს. კვერღელიძე, 25. დ. მჟავია, 26. ბ. ჩხაიძე, 27. ნ. მიქაძე, 28. ლ. კიღურაძე, 29. კ. მალაზონია, 30. ლ. ჩხაიძე, 31. შ. ჩხარტიშვილი,

32. მ. მიქელაძე, 33. ქრ. კვერღელიძე, 34. მ.ცერცვაძე, 35. თ. ცერცვაძე, 36. თ. კვაჭაძე. /იქვე, ფურც. 16/. როგორც წესი, პარტბიუროს მიერ შეთავაზებულ კანდიდატურას, კოლმეურნეობის კრება შენიშვნის გარეშე „ირჩევდა“. ბუნებრივია, ასეთი გამგეობა პარტორგანიზაციის გავლენის ქვეშ ექცეოდა და რამდენადმე მასზე იყო დამოკიდებული.

საკ. კპ/ბ/ VXII ყრილობის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ შეიცვალა სოფლის პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურა. 1934 წლის 5 აპრილის კომუჯრედის დადგენილებით დაარსდა გურიანთის პირველადი პარტიული ორგანიზაცია /მდივანი იაკინთე კვერღელიძე/. აქვე ახალსოფლის პარტორგად დაამტკიცეს ა. ჩხარტიშვილი, ბაილეთისა - თ. ცეცრცვაძე. კრების დადგენილებით შემოიღეს პოლიტიკურ დავალებათა აღრიცხვის რვეული. ამ დროს პარტიის რიგებში ივყნენ: ი. კვერღელიძე, ე. არობელიძე, ნ.მეხუზლა, ა. ჩხარტიშვილი, თ ცერცვაძე, თ. შეწირული, დ.ზაქარიაძე, ი.პ. მექვაბიშვილი, კ.ჩიკაშუა, გ. დობორჯგინიძე, ლ. ჩხაიძე /სპს, ფ.8269, ს..1, ფურც. 1/. პარტიული კრების ოქმებში სხვა გვარები არ ფიგურირებდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თემში პარტიის წევრთა რიცხვი მაშინ მხოლოდ ამ ადამიანებით შემოიფარგლებოდა.

პარტიული ხელმძღვანელობისა და პარტიული მუშაობის სტილზე მიუთითებს მახარაძის პარტრაიკომის მიერ 1937 წლის იანვარში დაგზავნილი მიმართვა - „ჟურნალ პარტიულ მშენებლობაზე“ ხელის მოწერის ჩატარების შესახებ“. რაიკომის კატეგორიული მოთხოვნის პასუხად ჟურნალის დიდი ტირაჟით გავრცელების შესახებ გურიანთის პარტიულმა ორგანიზაციამ იმავე წლის 4 თებერვალს დაადგინა: ნებაყოფლობის საფუძველზე ჩატარდეს ჟურნალზე ხელმოწერა. ხელის მოწერის გარეშე არ დარჩეს არც ერთი პარტიის წევრი და კანდიდატი. ხელის მოწერა დამთავრდეს ორი დღის ვადაში“ /სპა, ფ. 2341, ს.5, ფურც. 13/. მკითხველს თვითონ შეუძლია განსაჯოს, ათობით რუსული ჟურნალის ორ დღეში გავრცელება როგორი „ნებაყოფლობითი“ ხასიათის იქნებოდა. სამწუხაროდ პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობის ასეთი სტილი ბოლომდე გაჰყვათ. თუმცა, ამ შემთხვევაში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ორიგინალობას არ იჩენდნენ და ასრულებდნენ მკაცრ მითითებებს. დროთა განმავლობაში ხალხი შეეგუა დიქტატს და გახდა ნებისმიერი განკარგულების მექანიკური შემსრულებელი. შეიქმნა უცნაური სტერეოტიპი, იგმობოდა პროტესტის გამოვლენის ნებისმიერი შემთხვევა, კანონდებოდა სიტყვაშეუბრუნებელი შემსრულებლობა, წლების განმავლობაში ადამიანები დაეჩვივნენ გულში ჩაეკლათ უკმაყოფილება, საყვედურები არ წამოსცდენოდათ, შერიგებოდნენ დაკანონებულ უსამართლობასა და უუფლებობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 30-იან წლებში პარტიული ბიუროს არჩევისას ზოგჯერ ხდებოდა დემოკრატიის ფორმალური დაცვა, ალტერნატიული კანდიდატების დასახელება. კერძოდ, 1937 წლის 14 აპრილს კრებაზე დაასახელეს პარტკომის მდივნის ასარჩევი სამი კანდიდატი. პარტკომის წევრის 10 კანდიდატიდან კი აირჩიეს - 7, ხოლო პარტკომის წევრობის ოთხი კანდიდატიდან - 2 /იქვე, ფურც.28,61/. ალტერნატიული წესით აირჩიეს აგრეთვე პარტკომის მდივნის მოადგილეებიც - სამიდან ორი. დემოკრატიის ელემენტების გამოვლენის ცალკეული ფაქტები ვერ ცვლიდა ქვეყანაში დამკვიდრებულ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მეთოდებს. პირიქით, პარტიული კომიტეტები ამ საქმეში „გადამწყვეტ როლს" ასრულებდნენ, რასაც მოჰყვა პარტიის წევრების „დარბევა" და პარტიიდან გარიცხვა. ასე მოექცნენ თეოფილე კვაჭაძესა და ლადიკო კიღურაძეს ჩაის კრეფის დაგვიანების გამო /მალე ისინი პარტიაში აღადგინეს/.

პარტიული კომიტეტის მდივნების არჩევისას „დემოკრატიით თამაში" დასასრულს უახლოვდებოდა. 30-იანი წლების ბოლოდან ალტერნატიული კანდიდატების დასახელება იშვიათობა გახდა, მალე ამ „დათმობებზეც" უარი თქვეს და პარტკომის მდივნების კანდიდატურას მხოლოდ რაიკომებში „ათანხმებდნენ". გარკვეულწილად სწორედ ეს განაპირობებდა რაიკომებისადმი პარტიული ორგანიზაციების „ყურმოჭრილ მონობას", პარტოკრატიის დამკვიდრებას.

პარტიული ორგანიზაციის მუშაობის სტილს ბევრად განაპირობებდა განყენებული საკითხების განხილვა, მაგალითად, 1936 წლის 4 იანვარს პარტიულ კრებაზე / ესწრებოდა პარტიის წევრი - 31, წევრობის კანდიდატი - 17, კომკავშირელი - 21, უპარტიო - 40/ განიხილეს საკითხი - „საკ. კპ/ბ/ ცკ-ის 1935 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგების შესახებ", რომელიც ეხებოდა ქვეყანაში მსუბუქი და მძიმე მრეწველობის განვითარების საკითხებს /იქვე, ს.3, ფურც. 53/. კრებებზე მოისმინეს აგრეთვე „ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის გადაწყვეტილება შინაპარტიული მუშაობისა და აღზრდის შესახებ", „სარატოვის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური შეცდომების შესახებ", „ჟდანოვის მოხსენება კომინტერნის VII კონგრესის მუშაობის შესახებ" /იქვე, ს.3, ფურც. 16,18,41,54/ და სხვა მრავალ საკითხს უშუალო კავშირი არ ჰქონია სოფელთან, მის ყოველდღიურ საქმიანობასთან და ამოცანებთან. კრებებზე განხილული საკითხების უმრავლესობას ზოგადი ხასიათი ჰქონდა და პოლიტიკური დატვირთვა ეძლეოდა.

პარტიული ორგანიზაციის, მისი კომიტეტის მუშაობის კრიტიკულმა ანალიზმა ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შეგვიქმნას, რომ თითქოს მასში გაერთიანებული იყვნენ მხოლოდ კარიერისტები და უპატიოსნო ადამიანები. რა თქმა უნდა, არა. ისინი ჩვეულებრივი მოქალაქეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ, რომლებიც შეიძლება სხვაზე მეტს შრომობდნენ, ფანატიკურად იბრძოდნენ სოციალიზმისათვის, კოლექტივიზაციის გატარებისათვის, ძველი წყობილების ამოძირკვისათვის. იქცეოდნენ ისე, როგორც დაარწმუნეს, როგორც განაწყვეს. პარტიული ორგანიზაცია, როგორც შეეძლო, ზრუნავდა წერა-კითხვის უცოდინარობის დასაძლევად, სკოლების მოსაწყობად, სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად, ბავშვთა ბაგა-ბაღების გასახსნელად, ღარიბთა სოციალური ინტერესების დასაცავად, სოფლის იერ-სახის შესაცვლელად. მათივე ღრმა რწმენით, ბრძოლა გამოუცხადეს უსამართლობასა და უკანონობას, დააარსეს ამხანაგური სასამართლოები, გამოსცეს კედლის გაზეთები, აამოქმედეს პარტიული განათლების ფართო ქსელი,მთელი ენერგიით იბრძოლეს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების,სახელმწიფო დავალებათა დროულად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. აქტიურად მონაწილეობდნენ გაჭირვებული ოჯახების დახმარების ორგანიზაციისათვის. მათი გადაწყვეტილებით ინიშნებოდა პენსიები, გამოყოფდნენ ფულად დახმარებებს. მაგრამ პარტიული კომიტეტის მოღვაწეობის მეთოდებს არ შეიძლებოდა მოწონება დაემსახურებინა. დაუოკებელმა მისწრაფებამ, რადაც უნდა დაჯდომოდათ ყველას ეაზროვნა ერთნაირად, უარყოფითი შედეგები გამოიღო, ადამიანს წაართვა დამოუკიდებელი აზროვნებისა და განსჯის უნარი. მაგრამ, საბედნიეროდ, იგი საბოლოოდ ვერ დაითრგუნა, მისი „სულის ყივილის“ ჩახშობა შეუძლებელი გახდა. ამაში ხომ ახლა ვრწმუნდებით, დემოკრატიის მიძინებული გრძნობის ამჟამინდელი აფეთქება ამის ნათელი დასტურია.

პარტიული ორგანიზაციების პოზიციების განმტკიცება, კოლმეურნეობისადმი მისი ხელმძღვანელი და წარმმართვალი როლის ზრდა, მკაფიოდ გამოიკვეთა ომის შემდგომ პერიოდში. კომუნისტები პარტიულ კრებებზე არაორაზროვნად მიესალმებოდნენ პარტიული ორგანიზაციის „გაძღოლის მეთოდს ... პარტიული კომიტეტის პრინციპულ, ზოგჯერ მკაცრ, მაგრამ სამართლიან მოთხოვნებს“ /სპა, ფ.2341, ს.82, ფურც.7/. მათივე აზრით, კომუნისტების ავანგარდული როლი მიიღწეოდა თავდადებული შრომით, უკეთესი მაჩვენებლებით, ვიდრე უპარტიო კოლმეურნეებს შეეძლოთ ეჩვენებინათ. გურიანთის კომუნისტები მართლაც გამოირჩეოდნენ პატიოსანი შრომით, საერთო საქმისადმი ერთგულებით. ამ ფაქტის დამახინჯებით შევცოდავთ ისტორიის წინაშე. მაგრამ იმასაც ვერ აუვლით გვერდს, რომ კომუნისტების ავანგარდული როლის სისტემატური ქადაგებით ხდებოდა მოსახლეობის გარკვეული დაპირისპირება, ორად გაყოფის ცდა, საზოგადოების შიგნით წინააღმდეგობების ძიება. სინამდვილეში არავითარი დაპირისპირება არ არსებობდა. უპარტიოებიც კეთილსინდისიერად შრომობდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ. ავანგარდული როლის ქადაგება გამიზნული იყო ხელმძღვანელი კომუნისტების პოზიციების განსამტიკებლად, მათი უფლებების დასაკანონებლად, რასაც აღწევდნენ კიდეც.

ასეთი ტენდენციები მკვეთრად გამოითქვა პარტიული ორგანიზაციების კრებებზეც. მაგალითად, 1982 წლის 20 სექტემბერს განიხილეს საკითხი „კომუნისტთა პირადი შრომითი მაგალითებით კოლმეურნე ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ" / იქვე, ს.84, ფურც. 10 /. აქაც ხაზი გაესვა კომუნისტების ავანგარდული როლის ზრდის აუცილებლობას. სინამდვილეში, ახალგაზრდისათვის ჭეშმარიტად ძნელი ამოსაცნობი იყო ორი მუყაითი მეზობლიდან რომელი იყო უკეთესი - უპარტიო თუ კომუნისტი. ასეთი საკითხები ბევრ სხვა უხერხულობასთანაც იყო დაკავშირებული.

იშვიათი როდი იყო შემთხვევა, რომ პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, კოლმეურნეობის გამგეობის სხდომებსა თუ სოფლის საბჭოების სესიებზე, სამეურნეო სამუშაოთა შეუსრულებლობას ხსნიდნენ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაბალი დონით /სპა, ფ.2341, ს.39, ფურც. 95/. ამ ნაცადი ხერხით ყურადღებას არიდებდნენ ნაკლოვანებათა ობიექტურ მიზეზებს. სამწუხაროდ, ამ სენით მთელი ქვეყანა იყო დაავადებული და გურიანთა და მისი თავკაცები გამონაკლისი ვერ იქნებოდნენ. პარადოქსული იყო ისიც, რომ იდეოლოგიურ მუშაობას უკავშირებდნენ წარმატებებს ეკონომიკაში, საზოგადოებრივი დოვლათის დატაცების, წამგლეჯობის, ლოთობის, სპეკულაციისა და სხვა მახინჯი მოვლენების დაძლევას. ასევე ფორმალურ ხასიათს ატარებდა პარტკომის დადგენილება აგიტატორებს საუბრები ჩაეტარებინათ კვირაში სამჯერ. იცოდა რა, ეს შეუძლებელი იყო, პარტკომი მაინც ღებულობდა მსგავს დადგენილებებს, რითაც ნებსით თუ უნებლიეთ ფორმალიზმს ამკვიდრებდა.

დამახასიათებელია პარტიული ორგანიზაციის რიგ დადგენილებათა დეკლარაციული ხასიათი, მთავარი ყურადღების გადატანა დოკუმენტების, პირველ რიგში ოქმების გაფორმებაზე, სიტყვების ლამაზ წყობაზე, ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა სტილის დაცვასა და ტექსტუალურ დამთხვევებზე. ეს დოკუმენტები სრულიადაც ვერ ასახავენ რეალურ სურათს, ვერ უპასუხებდნენ ადგილობრივ, კონკრეტულ ამოცანებს, დროის მოთხოვნებს. აი რას ვკითხულობთ გურიანთის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის 1979 წლის 16 მარტის დადგენილებაში: „ პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სოფლის საბჭოს აღმასკომის დეპუტატებთან და სასკოლო მშობელთა კომიტეტის წევრებთან ერთად ყოველი ღონისძიებით გააფართოვონ და განავითარონ სოციალისტური დემოკრატია, უზრუნველყონ მშრომელთა ფართო მონაწილეობა სახელმწიფოებრივ და საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებრივ მმართველობაში ... უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ ბოლშევიკ-ტიკა და თვითკრიტიკა, შექმნან ყოველგვარი პირობები მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტიურობისათვის, რაც ხელს უწყობს სოციალისტური ცხოვრების წესის განმტკიცებას" / სპა, ფ.2341, ს.75, ფურც.31 /. ზუსტად ასეთივე სტილია დაცული პარტიის ყრილობებისა და პლენუმების დადგენილებებში. ადვილი წარმოსადგენია, როგორი სარგებლობის მოტანა შეეძლო მსგავს დადგენილებებს. ასეთი კრებები ადამიანთა გამოფიტვისა და გაბრუების თავისებურ გაკვეთილებს წარმოადგენდა. გურიანთის კომუნისტების „სანუგეშოდ" დაბეჯითებით მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება - ასეთივე დღეში იყვნენ სხვებიც, უზარმაზარი ქვეყნის მილიონობით კომუნისტი. რეზოლუციებიც ყველგან ასეთივე სტილში იწერებოდა.

მეტად დამახასიათებელია 1980 წლის 12 აპრილს ჩატარებული პარტიული კრების დღის წესრიგი - „ ვიცხოვროდ, ვიმუშაოთ, ვიბრძოლოთ ლენინურ-კომუნისტურად" /პარტორგანიზაციის მდივანი მ. დოლიძე /. ლოზუნგებით კრების დღისწესრიგის შედგენა კომუნისტებს იმთავითვე განაწყობდა ფორმალიზმისა და ზერელობისაკენ. ისინი თავიანთ გამოსვლებში გართული იყვნენ ფრაზეოლოგიით და რეალური საადღეისო საქმეები ყურადღების მიღმა რჩებოდათ. მსგავსი კრებები ადამიანებს თრგუნავდნენ, უფრო ირონიულ განწყობაზე აყენებდნენ, ვიდრე შრომისაკენ მოუწოდებდნენ. სხვა განწყობას ნამდვილად ვერ შექმნიდა კრებაზე გამოსული ერთ-ერთი კომუნისტის (გვარის დასახელებისაგან თავს ვიკავებთ) სიტყვა: „ყველაფერს ისე ვერ ვაკეთებთ, რასაც ამხ. ვ.ი. ლენინი გვიანდერძებდა. ეს თუგინდ იქიდანაც ჩანს, რომ ჯერ კიდევ მკვეთრი სხვაობაა ჩაის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობაში საზოგადოებრივ და საკარმიდამო სექტორებს შორის საზოგადოებრივი სექტორის საზიანოდ" /სპა, ფ.2341,ს.78,ფურც.32/. აი, როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი ლენინური შრომა. უაღრესად დამახასიათებელია აგრეთვე ამავე სტილში შედგენილი კრების დადგენილების ერთი პუნქტი:„პარტიული კომიტეტისა და საბრიგადო პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში სრული ლენინური კურსის დამკვიდრების გზით კიდევ უფრო სრულყონ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობა, იდეოლოგიური უზრუნველყოფა არ მოაკლონ კოლმეურნეობის წინაშე გეგმა-ვალდებულების გადაჭარბებულად შესრულების საქმეს" /იქვე, ფურც.35/. დარწმუნებული ვართ, რომ რეზოლუციის შემდგენელებს წარმოდგენა არ ჰქონდათ როგორ შეიძლებოდა ბრიგადების მიხედვით გეგმის შესრულების იდეოლოგიური უზრუნველყოფა. არ ესმოდათ - რეზოლუციებს კი ადგენდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის წესრიგის ხელოვნურად შეკოწიწების ნიმუშად შეიძლება ჩავთვალოს აგრეთვე 1982 წლის 18 ნოემბერს პარტიულ კრებაზე მოსმენილი საკითხი - „მაშ გაუფრთხილდეთ წითელ მანდატს“ (!!). ამ უცნაური და განყენებული საკითხის განხილვას მოჰყვა დაზეპირებული, ტრაფარეტული სიტყვები, მოვლენების ლოზუნგური შეფასებები. მსგავსი კრებები ხალხს გულს უცრუებდა, სიყალბეს აჩვენდა, ზერელობისაკენ უბიძგებდა. „ საზოგადოებრივი ინტერესების პირად ინტერესებზე მაღლა დაყენების“ ათასგზის განმეორება გამოგონილ, ხელოვნურ ფრაზად რჩებოდა, სინამდვილე, ცხოვრება, ყოველდღიური პრაქტიკა საპირისპიროდ ვითარდებოდა, პირადი ინტერესების სასარგებლოდ მეტყველებდა.

აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თანდათან იზრდებოდა კოლმეურნეობის პარტბიუროს უფლებები და ფუნქციები. ბიუროში მატულობდა სექტორები. 1963 წელს გურიანთის პარტკომში დაამტკიცეს სექტორები: „ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების საქმისადმი დახმარების, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა, პროპაგანდისტური და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობისა, უპარტიო აქტივთან მუშაობისა და სხვა“. სექტორები იქმნებოდა ზემოდან კარნახითა თუ მიმბაძველობით და მიზნად ისახავდა პარტიული ორგანიზაციის განდიდება-წარმოჩენას. ავიღოთ თუნდაც „ მეცნიერების მიღწევების საქმისადმი /?/ დახმარების“ სექტორი. საეჭვოა, რომ სოფლის პარტიულ ორგანიზაციას მეცნიერებისადმი დახმარების აღმოჩენა შეძლებოდა. პარტიულმა ორგანიზაციამ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციაც „მიიტაცა“, რითაც ფაქტიურად შეიჭრა სოფლის საბჭოს უფლებებში. ასე კანონდებოდა ხელისუფლების ორგანოების გადაქცევა პარტბიუროს დანამატად. ეს საერთო ტენდენცია გურიანთაშიც დიდი გულმოდგინებით ინერგებოდა. პარტკომთან მოქმედებდა აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი და საგუშაგო, რომლებშიც სათანადოდ გაერთიანებული იყო 27 და 12 კაცი /სპა, ფ.2341, ს.48, ფურც.49, ს.49, ფურც.63-64/.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილის დასახასიათებლად მივუთითებთ მისი ერთი კრების გადაწყვეტილებაზე. 1957 წლის 26 ოქტომბერს მოისმინა რა საკითხი ავარიების შესახებ, კრებამ მიიღო დადგენილება; „1. დაევალოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს განსაკუთრებული მეთვალყურეობა და კონტროლი დააწესოს ... მძღოლზე ... რათა ადგილი არ დაურჩეს ავარიების შემთხვევებს მათ მიერ.

2. დაევალოს აგიტატორებს ჩაუტარონ ფართო ახსნა-განმარტება მძღოლებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვას საავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომობილო მოძრაობის წესების დაცვას ქუჩებში“ /სპა, ფ.8269, ს.18, ფურც.2/.საკითხის ფორმალური განხილვის სხვა ფაქტებიც უამრავი იყო. დოკუმენტები მკაფიოდ გამოხატავენ პარტიული ორგანიზაციის პრეტენზიას ერეოდეს ყველაფერში, უხეშად ცვლიდეს ხელისუფლების ორგანოების ფუნქციებს. ასეთი მეთოდი დაინერგა მთელ ქვეყანაში და ცხადია გურიანთაშიც.

პარტიული ორგანიზაციის მუშაობის სტილზე მიუთითებს ისიც, რომ კრებაზე პერიოდულად ისმენდნენ საკითხს - „ კოლმეურნეობაში მეცნიერულ-მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის შესახებ“ /იქვე, ს. 51, ფურც. 41 /. ადვილი წარმოსადგენია მაშინ გურიანთაში რა მეცნიერულ მიღწევებზე შეიძლებოდა ლაპარაკი. ასეთი მიღწევები არ არსებობდა, მაგრამ მის შესახებ ხმაური მოფიქრებული იყო პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტის ხელოვნური ზრდისათვის. პარტიული ორგანიზაციის როლის გაფეტიშებას ხელს უწყობდა ერთპარტიული სისტემა, ქვეყანაში არსებული პარტოკრატული რეჟიმი, პარტიული ორგანიზაციების მდივნების „ზემოდან“ დანიშვნის ტრადიცია, პარტიული კომიტეტების მიერ უფლებების გადაჭარბება, მუშაობაში მოჩვენებითობის დანერგვა. ეს სტილი „გადაედო“ ადგილობრივი ხელისუფლების სხვა ორგანოებსაც. მოჩვენებითი ძალაუფლების ნიმუშად გამოდგება 1973 წლის 29 ივნისს გურიანთის სოფლის საბჭოს მიერ სკოლის დირექტორის, საექიმო უბნის გამგის, პურის საცხობის გამგის, მაღაზიების /შვიდი/ გამგეების დანიშვნა /ოსა, ფ.35, ს.425, ფურც. 13/. ცნობილია, რომ ამ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ პარტკომის რეკომედაციით. სოფლის საბჭოს შეეძლო მხოლოდ მომხდარი ფაქტების დაფიქსირება. მაგრამ, კადრების დანიშვნისა თუ დამტკიცების შესახებ ადგილობრივი აღმასკომის დადგენილების მიღებით, სურდათ ხაზი გაესვათ, თითქოს ამ უკანასკნელთ დიდი უფლებები ჰქონდათ. სწორედ ამან განაპირობა მმართველობის სტრუქტურის თავისებურება, ხელისუფლების მოჩვენებითობა. სინამდვილეში ადგილობრივი საბჭოები იქცა ყოველგვარ უფლებას მოკლებულ ორგანოდ, კოლმეურნეობის პარტბიუროსა და გამგეობის თავისებურ დანამატად, მათზე დამოკიდებულ უჯრედად.

ასეთ პირობებში, ფორმალიზმით თუ შეიძლება ავხსნათ, რომ ზოგჯერ სოფლის საბჭოს სესია კოლმეურნეობის გამგეობას აძლევდა დავალებებს, მაგალითად, 1974 წლის 29 აპრილს სესიამ გურიანთის კოლმეურნეობას დაავალა გაეუმჯობესებინა კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაცია /ოსა, ფ.35, ს.456, ფურც.5/. მსგავსი დადგენილებები ქმნიდა ადგილობრივი საბჭოების დიდი უფლებების ილუზიას, რომელიც მას უკვე ამ დროისთვის არ გააჩნდა.

სოფლის მმართველობის სტრუქტურაზე ჩვენი ცოდნა შედარებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგღუდულია, რადგან დიდძალი დოკუმენტები დაკარგული და გაბნეულ-გურებულია. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს 20-30-იანი წლების მასალები. არქივებში დაცული კოლმეურნეობის პირველი დოკუმენტები დათარიღებულია 1935, ხოლო მისი კრებების ოქმები 1938 წლით. პარტიული ორგანიზაციის მასალები კი - 1930 წლით, სოფლის საბჭოში - 1927 წლით.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ 1938 წლის 2 თებერვალს აირჩიეს კოლმეურნეობის გამგეობის წევრები: ი.პოლიტე მექვაბიშვილი /თავმჯდომარე /, გიორგი მუჯირი, ბენია მჟავია, გრიგოლ ქათამიძე, მელენდიკო ცერცვაძე, სამსონ ჟღენტი, ვასილ მუჯირი, სიმონ ლევანტის ძე კვაჭაძე, დათიკო კვერღელიძე და კანდიდატები: მატრონე ზაქარიაძე, სანდრო დარჩია /ოსა, ფ.61, ს., ფურც. 5 /. კოლმეურნეობის გამგეობის სტრუქტურის თავისებურებას მაშინ მისი წევრები და კანდიდატები განსაზღვრავდნენ. დროთა განმავლობაში გამგეობის დაყოფა მის წევრებად და კანდიდატებად გაუქმდა.

კოლმეურნეობის მმართველობის სტრუქტურაზე წარმოდგენას გვიზრდის ბრიგადებში დამკვიდრებული შრომის ორგანიზაცია. ბრიგადაზე სპეციალურად მიმაგრებულ მოანგარიშეს შრომის წიგნაკში ყოველ მეხუთე დღეს შეჰქონდა მაჩვენებლები. ბრიგადირები ფიზიკურ შრომაში ჩართული იყვნენ თერთმეტი თვე /გარდა აგვისტოსი/, რაც ართულებდა მათი მოვალეობის შესრულებას / ბრიგადების შემოვლა, კავშირი გამგეობასთან/. ბრიგადის ხელმძღვანელი შრომაში ფაქტიურად დაღლილი ებმებოდა. ამიტომ სისტემატურად ისმებოდა საკითხი მათი ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ეს საკითხი მომავლისათვის გადაჰქონდათ.

გასაბჭოების შემდეგ სოფლის ცხოვრების მართვის სტრუქტურაში გარკვეულად ჩართული იყო კომკავშირი. ცნობილია, რომ იგი გამოირჩეოდა დიდი აქტიურობით და მრავალი თაოსნობის ინიციატორი იყო, ყოველმხრივ ამართლებდა პარტიის თნაშემწისა და რეზერვის სახელს.

გურიანთის კომკავშირული ორგანიზაცია ი. დათუნაშვილის ნაამბობით ჩამოყალიბდა, 1923 წელს. ამავე პერიოდში კომკავშირული ორგანიზაციები დაარსდა ახალსოფელში /მდივანი შოთა მეხუზლა/, კახურში /ანტონ კვერღელიძე/, ბაილეთში /გრიშა მამულაშვილი/, ციხისფერდში /იოსებ დათუნაშვილი/. გურიანთის თემის გაერთიანებული ორგანიზაციის მდივნად 1924 წლიდან მუშაობდა ი. დათუნაშვილი. კომკავშირის მდივნები მუშაობდნენ საზოგადოებრივ საწყისებზე, ანაზღაურების გარეშე, ავლენდნენ დიდ ენთუზიაზმს. კომკავშირი პუნქტუალურად ასრულებდა პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილისა და აქტიური დამცველის როლს. ცნობილია, კომკავშირი უპარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიო ორგანიზაცია იყო, მაგრამ სოფლის ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენდა 20-იან და 30-იან წლებში. მის წარმომადგენლებს ირჩევდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კოლმეურნეობის გამგეობაში, მაგრამ იგი უფრო ცნობილი იყო ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნებში აქტიური მონაწილეობით, ინიციატივითა და მოუსვენრობით, „კლასობრივი მტრებისადმი" დაუნდობელი ბრძოლით. მათი თაოსნობით იმართებოდა წარმოდგენები და საღამოები, ეწყობოდა შაბათობები. შემოსული თანხები ხმარდებოდა სკოლების კეთილმოწყობასა და შეკეთებას, ავეჯის შეძენას.

კომკავშირი იარაღით ხელში იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად, ყაჩაღობის ასალაგმავად. იგი გარკვეულწილად მილიციის მოვალეობასაც ასრულებდა. სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში გურიანთელ კომკავშირელთა აქტიურობა იმდენად დიდი იყო, რომ სხვა სოფლებისადმი დახმარების აღმოჩენის მიზნით ოზურგეთში სპეციალურად მიავლინეს რამდენიმე ახალგაზრდა, მათ შორის იყვნენ იოსებ დათუნაშვილი, სეო მუჯირი, ლადიკო მექვაბიშვილი, დათიკო კომახიძე, ივანე და ანტონ კვერღელიძეები, დიმიტრი მამულაშვილი, ნიკიფორე და ისიდორე მეხუზლა, ლადიკო კიღურაძე და სხვები, რომლებიც 13 დღე იბრძოდნენ მენშევიკების მიერ 1924 წლის 15 აგვისტოს დაპატიმრებული კომუნისტების განთავისუფლებისათვის. ამ მიზნით ისინი შეუერთდნენ ბათუმის რაზმს და მონაწილეობდნენ ექადიის, ლიხაურის, მაკვანეთის, შემოქმედის, გომის, ცხემლისხიდის, ვაკიჯვრის,ფამფალეთის, აგრეთვე ბუკისციხის /ჩოხატაური/ ოპერაციებში. ახალგაზრდებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ ისინი ფაქტიურად დამსჯელ ოპერაციებში ჩაითრიეს, იმ ადამიანებს მიუსიეს, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, რუსეთის ტირანიის დამხობაზე ოცნებობდნენ.შეცდომაში შეყვანილი ახალგაზრდები დაუნდობლად უსწორდებოდნენ ერისათვის თავდადებულ ადამიანებს, ნამდვილ პატრიოტებს. მაგრამ მაშინდელ კომკავშირულ „მებძოლებსაც" უნდა გაუგოთ. ისინი მოქმედებდნენ პარტიის დავალებითა და წაქეზებით, რწმენით. მზად იყვნენ სიცოცხლეც შეეწირათ სოციალისტური იდეალებისათვის. სწორედ ასეთები ქმნიდნენ მაშინ პოლიტიკურ ამინდს, წყვეტდნენ ადამიანების ბედს, აკრავდნენ იარლიყებს, აძლევდნენ შეფასებას, გმობდნენ და მოღალატეებად აცხადებდნენ „საეჭვო პირებს". საბოლოო ჯამში ურა „რევოლუციონერების" მოქმედებამ გადაწონა სასწორი, დამკვიდრდა შიშისა და მორჩილების ატმოსფერო. არ შეიძლება დღეს ეს მათ ბრალდებად წავუყენოთ. უნდა შევუნდოთ და ვაპატიოთ. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ოზურგეთის მაზრაში გურიანთა გამოირჩეოდა „რევოლუციური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატაცებით", პარტიის საქმისადმი განსაკუთრებული ერთგულებით, რის გამოც რაიონის ხელმძღვანელთა სიმპატიებსა და მხარდაჭერას იმსახურებდა.

აქვე გვინდა შევეხოთ ერთ მტკივნეულ საკითხს. ამ ბოლო პერიოდში მოდად იქცა სამოცდაათწლიანი ისტორიის განუკითხავი კრიტიკა, ყველაფრის დაგმობა,შრომისა და ბრძოლის მოწინავეთა გაკილვა, ქილიკი,აბუჩად აგდება და დაცინვა. ბევრს არ ესმის, რომ მაშინ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მოქმედებდა სოციალიზმის პროგრესულობაში ეჭვმიუტანელი რწმენით, მარქსისტული მოძღვრებისადმი ერთგულების ხალხის სამსახურში ჩადგომასთან გაიგივებით. ასევე იქცეოდა მრავალი ქვეყნის, მათ შორის მოწინავე კაპიტალისტური სახელმწიფოების ასიათასობითა და მილიონობით ადამიანი. ამ მხრივ უაღრესად დამახასიათებელია ინგლისელი მზვერავის, იმავე დროს სსრკ-ს აგენტის ჯორჯ ბლეიკის მოსაზრება. 1990 წლის დეკემბერში გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის" /№ 50/ კორესპონდენტის მიერ დასმულ კითხვაზე - „რეჟიმს, რომელიც საბჭოთა კავშირს 70 წელი მართავდა, ჩვენ თვითონ დღეს ვუწოდებთ ტოტალიტარულს. რა გამოქმედებდათ თქვენ, როცა ამ რეჟიმს ემსახურებოდით", ბლეიკმა უპასუხა: „ მე ვიყავი ინგლისის დაზვერვის მუშაკი და ჩემი მუშაობის ხასიათის მიხედვით ყველაფერი უნდა გამეკეთებინა კომუნისტური სისტემის დანგრევისათვის. მაგრამ, მიმაჩნდა, რომ კომუნისტური საზოგადოება უფრო სამართლიანია, რომ ეს ისეთი საზოგადოებაა, სადაც ყველას ისე უნდა უყვარდეს მახლობელი, როგორც თავისი თავი. და მე გადავწყვიტე დავხმარებოდი მას, მივეცი რა თანხმობა მემუშავა საბჭოთა დაზვერვაში". „მე ნამდვილად ჩამომიყალიბდა საბჭოთა კავშირის იდიალიზებული სახე. მაგრამ, დამეთანხმებით, მილიონობით საბჭოთა ადამიანს, რეპრესიების მიუხედავად, მტკიცედ სწამდათ, რომ აშენებდნენ კომუნიზმს. მე უკვე არ ვლაპარაკობ მილიონობით ადამიანებზე მთელს მსოფლიოში.ასე რომ ამ ფონზე ჩემი დაბნეულობა არც ისე უცნაურია".

თავის მოსაზრების განსამტკიცებლად ჯორჯ ბლეიკი ყვება საინტერესო ეპიზოდს. ჯერ კიდევ ომამდე ინგლისელებს შანხაიში დაუპატიმრებიათ საბჭოთა მზვერავი „მისტერ იქსი". ამ უკანასკნელს ვერაფერი დააცდენინეს და ჩინეთს გადასცეს. მიზნისთვის ვერც იქ მიაღწევიათ. შემდეგ ჩანკაიში დათანხმებულა „მისტერ იქსი" გაეცვალა თავის შვილზე, რომელიც მოსკოვში სწავლობდა და სამშობლოში დაბრუნება არ სურდა. გაცვლა მოხდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ „მისტერ იქსის" „ღვაწლის აღსანიშნავად", 12 წლის პატიმრობა მიუსაჯეს, რადგან ეჭვს გამოთქვამდნენ ინგლისელებს თავიანთ აგენტად ხომ არ გაუხდიათო. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით ბლეკთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრისას „მისტერ იქსს“ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ნიჭყვა არ დასცდენია, პირიქით, უთქვამს, რომ მასთან ერთად ბანაკში მყოფი ყველა პატიმარი დამნაშავე იყოო, თუმცა თვითონ ყალბი ბრალდებით გაასამართლეს. „ყველა პოლიტიკური პატიმარი დამნაშავე იყოვო“ - ასე სწამდა ბევრს.

ინტერვიუს დასასრულს ბლეიკი მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ ინგლისელი მგზერავები მუშაობდნენ მხოლოდ იდეური მოსაზრებებით, არცერთი სხვა ქვეყნისათვის ამას ისინი არასოდეს გააკეთებდნენ. ასეთი იყო რეალური სინამდვილე. ეს მით უფრო ითქმის ჩვენი ქვეყნის ხალხების მიმართ. ადამიანების უმრავლესობას სჯეროდა კომუნისტური იდეების გამარჯვებისა. ახლა ამის გამო მათ ბრალდებებს მხოლოდ გულღვარძლიანი ადამიანები უყენებენ, ისეთები, ვისაც არ შეუძლიათ ფაქტებისა და მოვლენების შესახებ იმსჯელონ კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით, უნარი არ აქვთ გააანალიზონ პოლიტიკური მოვლენები და პოლიტიკური პროცესები და „ურა პოლიტიკოსის“ პოზიციიდან დაგმონ ყოველივე საბჭოური.

დავუბრუნდეთ გურიანთელთა "რევოლუციურ გატაცებას". რევოლუციური სულისკვეთება განსაკუთრებით გამოვლინდა კოლექტივიზაციის პერიოდში.ოზურგეთის მაზრის მთელ რიგ სოფლებში ამ პროცესს წინააღმდეგობას უწევდნენ, ტემპს ანელებდნენ, გურიანთამ კი იგი 1930 წელსვე დაამთავრა. გურიანთის თემის 528 კომლიდან /2564 მცხოვრები/ კოლმეურნეობაში გაერთიანდა - 503 კომლი, დარჩენილი 25 ოჯახიდან - 14 იყო მუშა-მოსამსახურე, 11 ინდივიდუალური მეურნე / სცსა, ფ. 288, ს.1679, ფურც. 2/, რაც ნათლად მიუთითებს კოლმეურნეობაში გაერთიანების /98 პროცენტი/ იძულებითი მეთოდების მასშტაბებზე, არტელების მშენებლობის „ელვისებურ“ ტემპებზე.საუკეთესო მაჩვენებლების გამო გურიანთის აქტივისტები /იოსებ დათუნაშვილი, სამსონ და ლადიკო ტოტოჩავები, ეკა მალაზონია, ლადიკო კიღურაძე/ გაიწვიეს მაზრის ცენტრში, სადაც პარტრაიკომის წარმომადგენლებთან ერთად, სოფლებში კოლექტივიზაციის დაჩქარების მიზნით , ეწეოდნენ პროპაგანდას, ატარებდნენ საუბრებს, უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებებს, სიტყვით გამოდიოდნენ კრებებზე. ასე დაიმსახურა გურიანთამ კოლექტივიზაციის „სასწრაფო დახმარების“ სახელი, იგი იქცა საკოლმეურნეო მშენებლობის თავისებურ საყრდენ ბაზად, „კადრების სამჭედლოდ“, სხვათა „მშველელად“, სოფლის მმართველობის სტრუქტურის გარდაქმნის ინიციატორად.

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან, პირველ რიგში რუსეთიდან, მექანიკურად გადმოიღეს მმართველობის სტრუქტურაში დანერგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმები და მეთოდები, რომლებიც არ ასახავდა ჩვენი რესპუბლიკის თავისებურებებს. მართვის ურთულესმა სისტემამ /სოფლის საბჭო, პარტიული კომიტეტი, კოლმეურნეობის გამგეობა/ ხელმძღვანელი ორგანოები დაუპირისპირა ერთმანეთს. მათ შორის ხელისუფლების მიტაცებისათვის გაიშლა ფარული ბრძოლა, რომელშიც დამარცხებული, როგორც წესი, საბჭოები გამოდიოდა. მისი ფუნქციები და უფლებები თანდათან იკვეცებოდა, საბოლოოდ იგი კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული კომიტეტის თავისებურ დანამატად იქცა. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია - საბჭოთა წყობილების პირობებში საბჭოებს გამოეცალა ძალაუფლება, შემცირდა მისი გავლენა და პასუხისმგებლობა სოფლის ბედისათვის. ზარ-ზეიმით გამოცხადებული საბჭოთა ხელისუფლების უზენაესობა მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. სოფლის საბჭოები კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტორგანიზაციის შუალედურ რგოლად იქცა; მათ დანამატს წარმოადგენდა და ცხოვრების დინებას არსებითად ძალაუფლების გარეშე მიყვებოდა.მმართველობის სისტემაში კოლმეურნეობის მართვის აპარატი უფრო უნარიანი გამოდგა, მისი გავლენა იზრდებოდა,მაგრამ ვერ გაამართლა ჩვენში დანერგილმა მეურნეობის თვით კოლექტიურმა ფორმამ. ხაზგასასმელია, რომ ასეთ პირობებშიც კი კოლმეურნეობამ ხალხის მხარდაჭერა დაიმსახურა. ბევრს არც სურდა მისი გაუქმება, მაგრამ ისტორიამ მას განაჩენი უკვე გამოუტანა, ტოტალიტარული რეჟიმის დამხობის შემდეგ მისი გადარჩენა შეუძლებელი გახდა. დაიწყო სოფლის ადგოლობრივი მმართველობის სრულიად ახალი სტრუქტურების ფორმირება, რომლის უგულებელყოფა არავის არ შეეძლო.

მმართველობის ძველი სტრუქტურების ნგრევის გარდუვალობა საბაბს არ გვაძლევს ისტორიიდან ამოვაგდოთ 70 წლიანი საბჭოთა პერიოდი.ეს შეუძლებელიცაა. იგი ჩვენი ისტორიის ნაწილია და სათანადო შესწავლასა და ობიექტურ შეფასებას მოითხოვს.

დაბოლოს აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო 1990 წლის 28 ოქტომბრიდან. ამ დღეს პირველად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები. რაიონებსა და სოფლებში აირჩიეს საკრებულოები. გურიანთის საკრებულოს დეპუტატებად აირჩიეს 23 კაცი: ავთანდილ მკურნალიძე, მინდია ღლონტი, შალვა მეხუზლა, ზაურ არობელიძე, ნატალია არობელიძე, გური არობელიძე, თამარ ღლონტი, სერგო ტოტოჩავა, როლანდ ტოტოჩავა, მერაბ მჟავია, რუსუდან ჩხაიძე,რეზო ბერიძე, გელა ჩხაიძე, გიგლა ფასიეშვილი,გელა დოლიძე, თამაზ ქათამიძე, ემზარ ჭეიშვილი, ფრიდონ ბერდელიძე, აკაკი ბარამიძე, ჯემალ ტატურაშვილი, ვილორ კვირკველია, გრიგოლ კიშინსკი, ბიძინა კვაჭანტირაძე. საკრებულოს გამგებლად დაამტკიცეს ბერაბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჟავია. იგი შეცვალა ნატო არაშიძემ.ამჟამად ეს თანამდებობა უჭირავს ენერგიულ ახალგაზრდას რეზო ჩარქელიანს. საკრებულომ მოკლე დროში უნდა დაიმსახუროს მოსახლეობის ნდობა, სასიკეთო გავლენა მოახდინოს სოფლის განვითარებაზე.

ამჟამად ქვეყნის მმართველობის სტრუქტურაში, სოფლის თვითმმართველობაში მიმდინარეობს რადიკალური ცვლილებები. მის ფორმირებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი სოფლის ბედი და განვითარების პერსპექტივები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეშვიდე. საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. პოლიტიკური რეპრესიები

სოციალიზმის შესახებ ლენინურ კონცეფციასა და პოლიტიკურ სისტემაში დიდი ადგილი ეთმობოდა საბჭოების როლსა და ადგილს. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ სრული პოლიტიკური შეფასება მივცეთ საბჭოებს, მის ადგილობრივ ორგანოებს, მათი მოღვაწეობის დადებით თუ უარყოფით მხარეებს. ყველასათვის კარგად არის ცნობილი საქართველოს იძულებითი გასაბჭოების და აქ დამკვიდრებული ხელისუფლების „კანონიერების" შესახებ. ჩვენ ამჟამად მკითხველს მოვუთხრობთ გურიანთის სოფლის საბჭოს არჩევნებში მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტებისა და პოლიტიკური რეპრესიების შესახებ.

უფლებააყრილი ადამიანები მათდამი უსამართლო დამოკიდებულებას, პირადი ღირსების შელახვას მძიმედ განიცდიდნენ.

საქართველოში 1924-1925 წლებში ხმის უფლება ჩამოერთვა 56540 კაცს, მათ შორის 3383 რელიგიური კულტის მსახურთ. ამ პროცესს ვერც გურიანთა გადაურჩა. პოლიტიკური უფლებები ჩამოერთვა ჩვენი სოფლის მოქალაქეს: კირილე ექვთიმეს ძე არობელიძეს, თედორე სოლომონის ძე ცერცვაძეს, კაპიტონ თეოდორეს ძე რუსიძეს, შუტუ პავლეს ასულ რუსიძეს,იაკინთე გიორგის ძე ზაქარიაძეს, გალაქტიონ თედორეს ძე ცერცვაძეს, არსენ სიმონის ძე, მელიტონ ესტატეს ძე, ვასასი სიმონის ასულ დობორჯგინიძეებს„შავ სიებში" შეჰქონდათ და „ხმის უფლებებს" ართმევდნენ სერიოზული საბაბისა თუ მიზეზის გარეშე. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მოქალაქეებს ხმის უფლება ჩამოერთვათ გურიანთის პარტიული ორგანიზაციის „თემბიუროს" 1930 წლის 30 ნოემბრის სხდომის დადგენილებით. ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთი გადაწყვეტილება შეუძლია მიიღოს სასამართლომ. ჩვენში კი მავანის წინადადებითა თუ დასმენით, თანასოფლელს განუსჯელად გამოუტანდნენ ხოლმე პოლიტიკურ განაჩენს, რითაც უპირველესად თვითნებობას და ამასთან, კანონის, იურიდიული ნორმების, ელემენტარულ უცოდინარობასაც ავლენდნენ.

ყველაზე სავალალო ის იყო, რომ ადამიანებს ხმის უფლება ჩამოართვეს მათი სოციალური მდგომარეობის, კლასობრივი წარმოშობის , თანამდებობრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის. ასე მოექცნენ ყოფილ მღვდელს- კირილე ექვთიმეს ძე არობელიძეს, რომელსაც საზოგადოების საწინააღმდეგო რაიმე მოქმედება არ ჩაუდენია. კაპიტონ რუსიძეს ხმის უფლება ჩამოერთვა როგორც ვაჭარს. ასეთივე ხვედრი ერგო მის მეუღლეს შუტუ რუსიძეს, ხმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება ჩამოერთვა ყოფილ ვაჭარს-იაკინთე ბაქარიაძესაც. სრულ გაუგებრობაზე იყო აგებული სანქციები ვასასი, არსენ და მელიტონ დობორჯგინიძეების მიმართ, რომლებსაც ბრალი დასდეს „პოლიტგადასახლებულთან ეკონომიკურ კავშირში". ადამიანურ ენაზე ეს ნიშნავს პატიმრებისადმი ჰუმანურ დახმარებას, შიმშილით დაუძლურებული, დამცირებული და დათრგუნული თანასოფლელების მიმართ ყურადღების გამოვლენას.

გაუგებრობაზე იყო აგებული აგრეთვე ხმის უფლების ჩამორთმევა გალაკტიონ ცერცვაძისათვის, რომელსაც ადანაშაულებდნენ „წითელი ლაშქრის ზურგის ნაწილში სამსახურისათვის" /საპ, ფ. 2341, ს. 1, ფურც. 1/ ადამიანების პოლიტიკური დევნის მიზეზად ვაჭრის, ყოფილი მღვდლის, ყოფილი ვაჭრის გამოცხადება ადასტურებს რეპრესიების უკანონობასა და ადამიანთა უფლებების ყოვლად გაუმართლებელ ხელყოფას. ადამიანის დევნა-შევიწროება, გაუგონარი უსამართლობა მკვიდრდებოდა სირცხვილის ქენჯნის გარეშე, იქცეოდა „დაკანონებულ" მავნე პრაქტიკად.

დამახასიათებელია, რომ პარტუჯრედის ზემომითითებულ სხდომას ესწრებოდა 15 კომუნისტი. მათ შორის არ აღმოჩნდა არცერთი, ვინც ხმას აღიმაღლებდა რელიგიის ყოფილი მსახურისა და სხვა მოქალაქეთა დამცირებისა და გამასხარავების წინააღმდეგ. ეს მათი ბრალი კი არა, უბედურება იყო.

შემზარავი იყო მაშინ ქვეყანაში დამკვიდრებული „შავი სიების" შედგენის პრაქტიკა. სიებში მოხვედრილი ადამიანები ფაქტიურად განწირულნი იყვნენ, მათ დამამცირებელი ეპითეტებით ამკობდნენ, „თითით საჩვენებლად" აქცევდნენ. ყველაზე სამწუხაროა, რომ ისტორიულად ხანმოკლე პერიოდში დამახინჯდა ადამიანების ფსიქიკა /ესეც მათი უბედურებაა/, პატიებისა და შეწყალების ნაცვლად, საზოგადოებრივი აზრი, მცირედი გამონაკლისის გარდა, გაკიცხვასა და დაუნდობლობას, ანგარიშსწორებასა და დასმენას თანაუგრძნობდა, დევნილები კი ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, შინაგან პროტესტს აშკარად ვერ ამჟღავნებდნენ.

ზემოჩამოთვლილ ადამიანებს, სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენიათ. ამიტომ ხმის უფლების ჩამორთმევა არავითარ იურიდიულ და მორალურ ნორმებს არ ექვემდებარებოდა. მათ მიმართ გამოვლენილი სიმკაცრე განაპირობა საზოგადოებაში დამკვიდრებულმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა, მასების დაბალმა პოლიტიკურმა და სამართლებრივმა კულტურამ, მოქალაქეობრივი გამბედაობის უქონლობამ, თავისუფალი აზრის ჩახშობამ და პოლიტიკურმა სისტემამ. მართალი იყო ჯ. ბაირონი როცა ამბობდა: „სიძულვილი გულის მძვინვარებაა". სწორედ მძვინვარებამ /ქვეყნის მასშტაბით/ დააკარგვი-

ქართული ბიბლიოთეკა

ნა ადამიანებს ზომიერების გრძნობა, ერთმანეთს მეზობლები და თა-
ნასოფლელები დაუპირისპირა. ამ მოქმედებაში გამოვლინდა მეორე
ბრძნული ნათქვამიც- „თუ გძულს, მაშასადამე განუწყვეტლივ ჰკლავ“
/ო. გასეტი/. ასე არ ინდობდნენ და განუწყვეტლივ უსწორდებოდნენ
ერთმანეთს განსხვავებული შეხედულებებისა და მდგომარეობის
ადამიანებს. ამას ემატებოდა ცილისწამება და დამცირება. ქართუ-
ლი ანდაზის მიხედვით, „ცილისწამება ნახშირია-თუ არ დაგწვავს, გაგს-
ვრის მაინც“.ცილისწამებას ბევრი მეგობრული კავშირი დაურღვევია,
ოჯახი დაუნგრევია, უნდობლობა დაუთესავს, ბევრი სიცოცხლე ჩაუფერ-
ფლავს. ასე იყო რეპრესიების პირობებშიც. უნდობლობასა და ცილ-
ისწამებაზე აგებული ურთიერთობა წამლავდა ატმოსფეროს, აღვივებდა
სიძულვილსა და აქტიურ /ზოგჯერ პასიურ/ უკმაყოფილებას, შურისძ-
იებას, შიშს. და აი, როცა იმარჯვებს შიში, იგი ნიღბით დადის საზოგა-
დოებაში და სამართლიანობის კერპად ასაღებს თავს.

ასე იყო გურიანთაშიც. სოფლის თავკაცები, ერთი მხრივ, იძულე-
ბული იყვნენ პედანტურად დაეცვათ„ზემოდან“ მიღებული მითითებე-
ბი და განკარგულებები, გაეტარებინათ პოლიტიკური რეპრესიები,
ხოლო მეორე მხრივ, ყოველნაირად ცდილობდნენ არ გაემწვავები-
ნათ ურთიერთობა, წასულიყვნენ გარკვეულ დათმობებზე, გამოეხატათ
შემწყალებლობა. შეიძლება მივუთითოთ გურიანთის საკოლმეურნეო
პარტიული უჯრედის 1930 წლის 30 ნოემბრის იმავე დადგენილებაზე,
რომელმაც შავი სიიდან ამოიღო 1929 წელს მასში შეტანილი 15 კაცი
და მათ დაუბრუნა საარჩევნო ხმის უფლება. ესენი იყვნენ: გიორგი
ბელიქანიძე, ეფროსინე და გრიშა კვერღელიძეები, ბაბური ვასაძე,
გერმანე ცერცვაძე, ექვთიმე და სადიკო ბაჯელიძეები, სოფიო და არკ-
ადი დარჩიები, იესე და ნატა როყვები, სამსონ და გოგუცა მეხუზლები,
მელიტონ ტუღუში /სპა, ფ. 2341, ს. 1, ფურც.1/. დადგენილებას არავი-
თარი კომენტარები არ ერთვის. უდანაშაულოდ დევნილი ადამიანები-
სათვის ბოდიში არავის მოუხდია. მიუხედავად ამისა, ძველი დადგე-
ნილების გაუქმება, გარკვეული აზრით, დაშვებული შეცდომის თავისე-
ური აღიარება იყო, თუმცა ამის შესახებ დოკუმენტში არაფერია ნათქ-
ვამი. კიდევ მეტი, იმავე სხდომაზე ხმის უფლება ჩამოართვეს სხვა
ადამიანებს.

საზოგადოებაში დამკვიდრებულ ატმოსფეროზე მიუთითებს ის
ფაქტი, რომ წითელი ტერორის მონაწილეები ამაყობდნენ თავიანთი
წარსულით. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ისინი, მოგვიანებით,
როგორც კი მათთვის პერსონალური პენსიების დანიშვნის საკითხი
დაისვა, „გმირობა“ რომ უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო, ასახელებდ-
ნენ მოწმეებს, რომლებიც დაუდასტურებდნენ, რომ იმაზე მეტი თანა-
სოფლელი თუ უცნობი ჰყავდათ მოკლული, ვიდრე დოკუმენტში იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქსირებული. „გამოჩენილი“ ტერორისტის სახელის მოხვეჭის ... ვილით დაავადება მრავალი ადამიანის დიდი უბედურება იყო.

ეს პროცესი 20-იან წლებში დაიწყო და ფართოდ ინერგებოდა, იქმნებოდა სპეციალური რაზმები, რომლებიც ბრმად ასრულებდნენ აგენტებისა და ჯალათების როლს. ერთ-ერთი მძლავრი რაზმი მოქმედებდა ახალსოფელში /ოსა, ფ. 191, საქმეები 36, 46, 65, 78, 133/. აქაურმა ხუთმა წითელპარტიზანელმა /გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ/ 30-იან წლებში ტერორისტული მუშაობისათვის მოგვიანებით პენსიის დანიშვნა მოითხოვეს. წითელგვარდიელ პარტიზანთა საქმეების კომისიის სახელზე გაგზავნილ განცხადებებში ისინი უსირცხვილოდ და ამაყად მოუთხრობენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილეთა დარბევის შესახებ. მათი „ბიოგრაფია იწყება“ 1918-1920 წლებში მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლით და გვირგვინდება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ „ურჩი ბოლშევიკებისა“ და მათი თანამოაზრეების დასჯით. შემზარავია დანაშაულებრივ საქმეებზე მათი თხრობის სტილი, ხაზგასმა მათი „მოღვაწეობის“ მნიშვნელობის შესახებ. დოკუმენტების გაცნობა მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ისინი ნათლად ასახავენ მაშინდელი პოლიტიკური ტერორისა და დევნის ატმოსფეროს.

სწორედ 30-იანი წლების დასაწყისში იშვა პიონერ პავლიკ მოროზოვის ტიპი- კულაკების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის მონაწილე, მამის დამბეზღებელი ყმაწვილი. ასეთი მოქმედების წახალისების ყველაზე მკაფიო გამოხატულება იყო მოგვიანებით მისი ძეგლების დადგმა მოსკოვში, მშობლიურ სოფელსა /გერასიმოვკა/ და ქ. სვერდლოვში.

დაცემისა და გადაგვარების პროცესს შეუქცევადი ხასიათი მიეცა, რომლის კულმინაცია 1936-1937 წლები იყო. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმ პერიოდში ჩვენი ხალხის შრომითი თავდადებისა და მამაცობის უგულებელყოფას, თუმცა იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ ხალხი „შეეგუა“ განუკითხაობას, მოქალაქეთა უმოწყალო რბევას, საუკუნეების მანძილზე ქართული გენიით შექმნილი ისტორიული ძეგლების აოხრებას, მორწმუნეთა შეურაცხყოფასა და დევნას. თუ რა შედეგები მოჰყვა ამას, ახლა ყველასათვის ცნობილია. ვინ იყვნენ ისინი, ვინც უგუნური მოქმედებისას არ შეაჩერეს, ადგილებზე ბედმეტი „ინიციატივა“ გამოავლინეს? ეს ცალკე სასაუბრო თემაა, მაგრამ შეუძლებელია არ ვაღიაროთ ის შემაძრწუნებელი ფაქტი, რომ ბნეობას მიეცა კლასობრივი ხასიათი, ჩამოყალიბდა დამნაშავე ადამიანის კლასობრივი ტიპი, მთავარ მიზნად გამოცხადდა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხების ინტერესები. კაპიტალისტის, მემამულის, კულაკის, აზნაურის დაცინვა, აბუჩად აგდება, რეპრესია, ქცევის ჩვეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებრივ, „ყოველდღიურ“ ნორმად იქცა. ამ სულისკვეთებას გამოხატ-
ავდნენ „ურარევოლუციონერები“, რომლებიც იკვეხნიდნენ კიდეც
წითელპარტიზანულ დამსჯელ რაზმებში მონაწილეობას. გასაკვირი
ის კი არ არის, ბრძოლისა და რევოლუციის დროს ხალხი რომ იხოცე-
ბოდა, გასაოცარია მკვლელის შინაგანი კმაყოფილება. ასეთი ადამი-
ანები სინდისის ქენჯნას სრულიად არ განიცდიდნენ იმის გამო, რომ
მიზნის მისაღწევად იძულებულნი იყვნენ კაცი მოეკლათ, სისხლი დაღ-
ვარათ /აკაკი ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ. 1990, გვ. 100/.

აღვირახსნილი მოქმედება სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა.
მასობრივი კოლექტივიზაციის პირობებში დაკანონდა მოქალაქეთა
ქონების ექსპროპრიაცია /ჩამორთმევა/, რომელსაც მიიჩნევდნენ სა-
მართლიანობის გამოვლინებად. სხვისი ქონების ჩამორთმევით თა-
ნასწორობისა და სამართლიანობის დამყარება შეუძლებელია. ძნე-
ლია მათი საქციელის დღევანდელი გადასახედიდან განსჯა-შეფასება.
ადამიანები ხშირად თავიანთი სინდისის საწინააღმდეგოდ იქცეოდ-
ნენ, ტყუოდნენ თავის გადარჩენის მიზნით, ცილს სწამებდნენ მოყვასს,
მეზობელს, ოჯახის წევრსაც კი /იყო ასეთი შემთხვევებიც/.ბევრმა
იცოდა, რომ ცუდად იქცეოდა, მაგრამ ბადეში მოხვედრილი თევზებივ-
ით იყვნენ განწირულნი. მასწავლებელს, მეგობარს, ნათესავს წირავდ-
ნენ თავის გადარჩენის მიზნით, მაგრამ მახვილი დამბეზღებელსაც არ
ასცდებოდა. სიკვდილის ცელი დაუნდობლად თიბავდა მათაც.

ქვეყანაში დატრიალებული პოლიტიკური დევნის მასშტაბებზე წარ-
მოდგენას გვაძლევს ოზურგეთის სახელმწიფო არქივში დაცული „სა-
ბჭოთა დაწესებულებების არასასურველი ელემენტებისაგან გაწმენ-
დის“ ინსტრუქცია /ფონდი 1, აღწ. 1, ს. 3, ფურც. 67/, რომლის მიხედვი-
თაც წმენდა უნდა მოეხდინა ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ კომი-
სიას, რომელიც დაეყრდნებოდა კომუჯრედის მიერ ადგილებზე და-
გროვილ მასალებს, კერძო პირთა ჩვენებებს, პირად საუბარს /დაკ-
ითხვას/. წმენდას ექვემდებარებოდნენ კონტრრევოლუციურად საში-
ში ელემენტები: ყოფილი პოლიციელები, ჟანდარმები, თეთრგვარდი-
ელები, მეფის ან სხვა ჯარის ოფიცრები, შავრაზმელთა კავშირებისა
და პარტიების წევრები, პირნი, რომლებიც ანტისაბჭოურად იყვნენ
განწყობილნი, „ბოროტ- გამზრახველი ბიუროკრატები და მესაბოტა-
ჟეები“, სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტები

რეპრესიებს ვერ ასცდნენ მესაკუთრენი, „... ქონებრივად შეძლებუ-
ლი ელემენტები, შრომისარაუნარიანი... ელემენტები და ის პირნი,
რომელთა შევსება შეიძლება უმუშევართა მიერ უფრო პროლეტარუ-
ლი რაზმიდან, ის პირები, რომლებიც არ შეეფერებიან თავის თანამ-
დებობათა მოთხოვნილებას თუ კი შეუძლებელია დაბალ თანამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობაზე გადაყვანა". ამ ბუნდოვანი წინადადებისა და ზემომოყანილი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რეპრესიას შეიძლებოდა ნებისმიერი პირი დაქვემდებარებოდა.

ასეთი კურსი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დამკვიდრდა. ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის 1922 წლის 13 მაისის სხდომაზე აღინიშნა, რომ ბანდიტები და მათი ხელისშემწყობნი ხალხს არ აძლევენ მშვიდობიანი ცხოვრების გაგრძელების საშუალებას. სიამაყით გაესვა ხაზი, რომ მათ წინააღმდეგ ჩატარდა რეპრესიები, ისინი გამოცხადდა კანონგარეშე /იქვე, ს. 1, ფურც. 1/.

პოლიტიკური დევნილები ხშირად ოფიციალური განცხადებით მოითხოვდნენ გაენთავისუფლებინათ ისინი პოლიტიკური „წნეხისაგან", მათთვის დაებრუნებიათ ამომრჩევლის უფლება. მსგავსი განცხადებით გურიანთის თემის საარჩევნო კომისიისათვის მიუმართავს ალექსი მოლარიშვილს. კომისიის სხდომაზე 1929 წლის 27 იანვარს დაუდგენიათ: „ რადგანაც თავისი სურვილით შემოურიგდა ის ხელისუფლებას და დღეს ეწევა მყუდრო ცხოვრებას, აღედგინოს არჩევნების უფლება. საბოლოო დასამტკიცებლად გადაეცეს სამაზრო საარჩევნო კომისიას" /ოსა, ფ. 1, ს. 208, ფურც. 94/. სამაზრო საარჩევნო კომისიას საკითხი არც განუხილავს, მალე იგი დააპატიმრეს. ასეთი შემთხვევა იშვიათი როდი იყო.

„შავი სიების" შედგენის პრაქტიკა თრგუნავდა ადამიანებს, გულს უცრუებდა მომავალზე, უნდობლობას უღვივებდა თანასოფლელებისადმი, ქმნიდა უდანაშაულო, ალალი და პატიოსანი კაცის ჩაქოლვის ატმოსფეროს.

დღეს, როცა ყველა მოქალაქეს თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს პოლიტიკური უფლებები, გაუძნელდება აღიქვას 20-30-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ატმოსფერო, როცა რომელიმე ორგანიზაციაში გაერთიანებული ადამიანების ერთი ჯგუფის ხმის უმრავლესობით წყდებოდა ადამიანების ბედი. აქ როგორ არ მოვიგონოთ ბრძნული გამონათქვამები: „სამართლიანობის საზომად არ შეიძლება იყოს ხმათა უმრავლესობა" /ფ. მილერი/, „სამართლიანობა არის ჯამი ყველა ზნეობრივი მოვალეობისა" /ჟ. გოდვინი/. .უკანონო გადაწყვეტილებების მიღებით, პირველ რიგში, ირღვეოდა ზნეობრივი მოვალეობა, იხრწნებოდა სული, ინერგებოდა პასიურობა, გროვდებოდა ბოღმა, რომელსაც უნდა ამოეხეთქა და გაეწმინდა ატმოსფერო, მოჰყოლოდა „სულის ყივილი". შექმნილმა ატმოსფერომ დაამკვიდრა მოქალაქეთა პასიურობა, რაზეც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს 1927 წელს ჩატარებული სასოფლო საბჭოს არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო გურიანთის მცხოვრებთა /2602/ ნახევარზე მეტს- 1359, 18-ის წლისა და უფრო დიდი ასაკის მქონე მთელ მოსახლეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

/მათ გამოაკლდა საარჩევნო ხმის უფლებაჩამორთმეული ექვსი ჯვარი და „შუამავალი", რელიგიური კულტის ორი მსახური, ერთი ნასამართლევი/. საინტერესოა საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა სოციალური შემადგენლობა, სქესობრივი წარმომადგენლობა. საარჩევნო უფლების მქონე 1350 მოქალაქიდან მამაკაცი იყო-669, ქალი-681, მიწის მუშა-1326, შინამრეწველი-2, მასწავლებელი-16, მოსამსახურე-3.

პოლიტიკურ პასიურობაზე მიუთითებს არჩევნებში მხოლოდ 587 ამომრჩევლის მონაწილეობა-381 მამაკაცი, 206 ქალი /სცსა, ფ. 284, აღწ. 1, ს.560, ფურც. 18/. მსგავსი სურათი შეინიშნებოდა ოზურგეთის მაზრის სხვა სოფლებშიც. ლიხაურში 1841 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 720-მა, შემოქმედში - 2445-დან 995-მა, დვაბზუში -2684-დან 965-მა, ბახვში -1598-დან 631 ამომრჩეველმა და ა. შ. სავარაუდოა, რომ ასეთი პასიურობა განაპირობა პოლიტიკურმა დაძაბულობამ, შინაგანმა პოლიტიკურმა პროტესტმა, მალულმა პოზიციურმა განწყობამ. ბოიკოტი, რომელშიც არჩევნებისადმი ნახევარზე ბევრად მეტი ამომრჩევლი მონაწილეობდა, ბევრის მეტყველია. ნიშანდობლივია, რომ ამომრჩევლების პასიურობაზე საბჭოთა პერიოდში კრინტსაც არ ძრავდნენ. ქართულ ისტორიოგრაფიაში საუბარი იყო მხოლოდ ამომრჩეველთა აქტიურობაზე.

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გურიანთაში გამართული არჩევნების შედეგები. თემსაბჭოში აირჩიეს 27 დეპუტატი, მათ შორის 2 ქალი, 18-29 წლის მქონე 8 ახალგაზრდა, 30-50 წლისა -12 კაცი, 50 და მეტი ასაკისა -7დეპუტატი /იქვე, ფურც. 18, 21/. მაჩვენებლების ანალიზიდან ჩანს, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებული იყო, რასაც განსაზღვრავდა რევოლუციურ მოძრაობასა და სოციალიზმის მშენებლობაში მათი მონაწილეობა. ეს კი თავის მხრივ განაპირობებდა საბჭოების მუშაობის სტილსა და მეთოდს. ახლა სულ სხვაა. მრავალპარტიულმა არჩევნებმა სარბიელი ახალგაზრდობას გაუხსნა. ამის მკაფიო მაგალითია გურიანთას გამართული სოფლის თვითმართველობის - საკრებულოს არჩევნები. მოქალაქეებმა გამოიყენეს თავისი უფლება - აერჩიათ და ყოფილიყვნენ არჩეულნი,მომავალი არჩევნები განამტკიცებს ამ პროცესს, გამორიცხავს შეცდომებს, გზას გაუხსნის ნიჭიერ ახალგაზრდებს.

რაც უფრო ვშორდებით 20-30-იანი წლების სისხლიან ქარბორბალას, მით უფრო შემგზარავია იმ პერიოდის კოშმარულ მასშტაბებზე ფიქრი. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში /სუკ-ი/ დაცული მასალები ძუნწად მოგვითხრობენ პოლიტიკურ რეპრესიებსა და ტოტალური მკვლელობის ინდუსტრიაზე, იმაზე, თუ როგორ იქცა საზოგადოების ერთი ნაწილისათვის ადამიანთა სადისტური წამება და მოსპობა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმიანობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად სოფლის მაგალითზე გვინდა ცხადვყოთ იმ მოსაზრებების უსაფუძვლობა და სიყალბე, თითქოს, იმ დროს, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებს უმოწყალოდ ანადგურებდნენ, ქართველები ლაღად და არხეინად ცხოვრობდნენ, რომ ისინი შეფარებულნი იყვნენ სტალინ-ბერიას ფრთებს და განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ.

სინამდვილეში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ აქ დაიწყო სასტიკი რეპრესიები. არასრული მონაცემებით 1921-1941 წლებში შინსახკომის ორგანოებმა დახვრიტეს 11917 კაცი, მათ შორის 1937-1938 წლებში 10 ათასამდე მოქალაქე /„ერი.", 1991 წ. 19 ივნისი/, დახვრეტილთა შორის იყვნენ უდანაშაულონიც, დამნაშავენიც, ფანატიკოსებიც და ისინიც, ვინც არასოდეს არავითარ პოლიტიკაში არ გარეულან, თავდადებულად შრომობდნენ კოლმეურნეობებსა თუ საწარმოებში, პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლნიც და ჯალათებიც, ერისათვის თავდადებული ადამიანებიცა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი პირებიც.

წამებითა და შიმშილით სიკვდილის პირას მისულ პოლიტიკურ პატიმართა საქმეების გაცნობა გულგრილს ვერავის ვერ დატოვებს. მათ უმოწყალოდ სცემდნენ, აწამებდნენ, გადასახლებაში გზავნიდნენ, ცოლ-შვილსაც არ ინდობდნენ.

წესად ჰქონდათ დაკითხვის ოქმი შეედგინათ პატიმრის მხოლოდ წინასწარ „დამუშავების" შემდეგ. სუკ-ის ენაზე ეს მოასწავებდა ცემას, დამცირებას, შიმშილს, საშინელი, ენით გამოუთქმელი წამების ფორმების გამოყენებას. ადამიანები ასეთ წამებას ვერ უძლებდნენ და ყველანაირ ბრალდებაზე ხელს აწერდნენ, „დანაშაულს აღიარებდნენ", ოღონდ დამთავრებულიყო ჯოჯოხეთი, მალე ღირსებოდათ სიკვდილი, არაადამიანური ტანჯვა-წამების დასასრული. იშვიათი როდი იყო შემთხვევა, როცა პატიმრები მუდარით ითხოვდნენ სიკვდილით დასჯის დაჩქარებას.

ბრალდებების წაყენების დროს ყველას გაზეპირებული ფრაზებით მიმართავდნენ: „ძიებამ იცის, რომ თქვენ მონაწილეობდით კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებში" ან „თქვენ გამოდიოდით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ" და ა. შ. ახლა ყველასათვის ცნობილია თუ რა მიზნებს ისახავდა მაშინდელი გამოძიება და როგორი მეთოდით ტარდებოდა იგი.

პოლიტიკურ პატიმრებს, როგორც წესი, უსვამდნენ ტრაფარეტულ პროვოკაციულ კითხვებს: 1. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არის თუ არა დაცული დამოუკიდებლობა; 2. საჭიროა თუ არა რუსის წითელი არმიის გაყვანა საქართველოდან; 3. იზიარებ თუ არა მენშევიკებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მოქმედებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ; 4. საბჭოთა [illegible] გამოხატავენ საქართველოს მშრომელთა ინტერესებს; 5. როგორ უყურებთ საბჭოთა სისტემას-პროლეტარიატის დიქტატურას; 6. როგორ აფასებთ 1924 წლის გამოსვლებს; 7. რამდენად მიზანშეწონილია ემიგრანტი მენშევიკების მოღვაწეობა; 8. როგორ უყურებთ ამიერკავკასიის ფედერაციას და სხვა /სუკ-ის არქივი, ს.22924-61/. გასაგებია, მსგავს კითხვებზე, თუ როგორ პასუხებს ითხოვდნენ გამოძიების თავკაცები. მაგალითად, პირველ კითხვაზე თუ ვინმე უპასუხებდა, რომ საქართველოს წაართვეს დამოუკიდებლობა, მას არ ასცდებოდა ანგარიშსწორება, კონტრრევოლუციონერად გამოცხადება.

არაადამიანური, არაქრისტიანულია დავივიწყოთ ძალადობით ჩამქრალი ნათელი სახეები, ჩვენი წინაპრების წამებული სულები, რომელთა წინაშე უნდა მოვიდრიკოთ თავი. ვერც იმათ დავივიწყებთ, ვინც დახვრეტას გადაურჩნენ, მაგრამ პოლიტიკურ რეპრესიებს განიცდიდნენ, პატიმრობისა და დამცირების, ოჯახის აწიოკების მძიმე წლები გადაიტანეს. ასეთებიც იყვნენ გურიანთაში.

პოლიტიკური რეპრესიები თავს დაატყდათ ჩვენს თანასოფლელებს: დავით გიორგის ძე კომახიძეს, სერაპიონ ტრიფონის ძე დოლიძეს, ალექსი დავითის ძე მოლარიშვილს, ალექსანდრე კვერღელიძეს, \ს. ჭანიეთური/, ალიფანგე \ალექსანდრე/ ვასილის ძე ტოტოჩავას, აკაკი კონსტანტინეს ძე პაპავას, ილია კონსტანტინეს ძე ცერცვაძეს, პოლიკარპე იაგორის ძე სურგულაძეს, იასონ ნაპალეონის ძე ჭეიშვილს, ვასო ირაკლის ძე ზაქარიაძესა და სხვებს.

ტრაგიკულად დამთავრდა ცნობილი ეკონომისტის, დოცენტ დავით კომახიძის სიცოცხლე /სუკ-ის არქივი, საქმე 12414/. მას ბრალდებად წაუყენეს კონტრრევოლუციური საქმიანობა. სინამდვილეში მისი ბიოგრაფია ბეჯითი და ნიჭიერი ახალგაზრდის თავდადებული შრომის ნათელი მაგალითია. ს. კახურში 1905 წელს დაბადებული ყმაწვილი ბავშვობიდან გამოირჩეოდა წიგნებისადმი სიყვარულით, სწავლისადმი დიდი ლტოლვით. დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გახდა ეკონომისტ- აგრარიკოსი, ასპირანტი, მეცნიერების კანდიდატი, დოცენტი. ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტში. ცნობილ სპეციალისტს, ენერგიულ საზოგადო მოღვაწეს გაზეთ „კომუნისტის“ რედკოლეგიის წევრად ირჩევენ. ნიჭიერი ახალგაზრდის კარიერას წინ უხეშად ეღობებიან. იგი დააპატიმრეს 1937 წლის 28 ოქტომბერს. ბრალდებული დაჰკითხეს სამი კვირის შემდეგ-20 ნოემბერს. ეს პერიოდი წარმატებით გამოიყენეს მის „დასამუშავებლად“. დოკუმენტებით, მოწმეთა ჩვენებებით, დაკითხვის ოქმებით, „დასტურდება“, რომ კომახიძე „ეწეოდა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტრრევოლუციურ მუშაობას, იზიარებდა ხალხის მტრის ტროცკის შეხედულებებს და აქებდა მას. ოზურგეთის კომკავშირის სამაზრო კომიტეტში პროპაგანდისტად მუშაობის დროს /1924წ/„გაშალა“„ ტროცკისტული მუშაობა, ასევე იქცეოდა ჭიათურაში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტსა და გაზეთ „კომუნისტში“ მოღვაწეობის დროს. წაიკითხა ტროცკის ნაშრომი „ოქტომბრის გაკვეთილები“. მას არ მოსწონდა საქართველოს კომპარტიის საკადრო პოლიტიკა, აღშფოთება გამოუთქვამს მასობრივი დაპატიმრებების გამო და განუცხადებია, რომ პატიმართა შორის შეიძლება იყვნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები.

„აღიარებაში“ ნათქვამი იყო, რომ მისი მოქმედება გამოვლინდა ხელმძღვანელთა კრიტიკისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში. „ეს გამოთქმები მესმოდა სხვისგან, ამჟამად ხალხის მტრებისაგან და ამ ფაქტების შესახებ პარტიას სიგნალებს არ ვაძლევდიო“ - ასეთი იყო პასუხი გამომძიებლის მიერ დასმულ კითხვაზე -„რაში გამოიხატა თქვენი კონტრრევოლუციური მუშაობა“. მას ბრალდებად წაუყენეს აგრეთვე 1936 წელს კპ ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელთან ერთად ხაშურში მივლინების დროს შემჩნეული გაუსუფთავებელი თესლის დათესვის ფაქტის „დაფარვა“. ცკ-ის თანამშრომელს კი თავის მხრივ ბრალი დასდეს რაიკომის პირველი მდივნისათვის თესვის კამპანიის ჩაშლის განკარგულების გაცემა. „აღიარებაში“ მხილებულია აგრეთვე „კომუნისტის“ რედაქცია, რომელიც თითქოს განგებ აჭიანურებდა გაზეთის აწყობას, რაც იწვევდა ხელფასის გადახარჯვას, მასების უკმაყოფილებას. „ბრალდებული“ იძულებული გამხდარა ეთქვა: „ვაწარმოებდი კონტრრევოლუციურ მუშაობას, რაც გამოიხატა ლაყბობაში, აგრეთვე კონტრრევოლუციონერთა გამონათქვამების დაფარვაში. მხარს ვუჭერდი ამ ლაყბობას და არ ვამხელდი მოლაყბეებს, პარტიას არ ვაძლევდი სიგნალებს“. დაკითხვა შედგენილია რუსულად და ხელს აწერენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატის განყოფილების გამგეები გულისტი და ლეჟნევი.

შეკოწიწებული ბრალდებები აქეზებდა დამბეზღებლებს, ქმნიდა ეჭვისა და განუკითხაობის ატმოსფეროს. წესიერი ადამიანები ასე იქცნენ დამსმენებად, ნებისმიერ ტექსტებზე მექანიკურ ხელისმომწერლებად. შეთითხნილი მასალების საფუძველზე აპატიმრებდნენ სხვებს, ამათი „აღიარებით“ კიდევ სხვებს და ასე გრძელდებოდა უსასრულოდ. ვერაგული დასმენის მსხვერპლი გახდა თვით დავით კომახიძე. საქართველოს კომპარტიის მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის წევრის ევდოკია ენუქიძის ჩვენებით დავით კომახიძე შედიოდა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, რომლის მიზანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, კაპიტალიზმის რესტავრაცია, ტერორისტული აქტები. იგივე დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მაშინდელმა დირექტორმა ე. ბედიამ. მალე ორთავე დაბეზღებით დააპატიმრეს და დახვრიტეს.

კომახიძემ კატეგორიულად უარყო წაყენებული ბრალდებები და აღნიშნა, რომ არავითარ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში არ შედიოდა. მაგრამ გამოძიება განაგრძობდა „მუშაობას". განაწამებმა და დათრგუნულმა „ბრალდებულმა" დამატებით ჩვენებაში მიუთითა, რომ „კომუნისტის" რედაქციაში მან დაუშვა უხეში პოლიტიკური ხასიათის კორექტურული შეცდომები /?/„აღიარებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ მან მოისმინა პროფკავშირის მუშაკის სიტყვები- „იღუპება ქვეყანა, გადაგვარდა პარტია, ყველა თავიანი კაცი დაჭერილია, ვერაფერი გამიგია, რა ხდება. მე ამის შესახებ არავის ვაცნობეო" /იქვე, გვ. 48/. ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ ჩამოთვლილი „დანაშაული" ადამიანის დახვრეტის ან რაიმე სასჯელის საფუძველი გამხდარიყო. მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ორმა თანამდებობის პირმა ხომ დაადასტურა, რომ დავით კომახიძე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში იყო ჩათრეული. ამით მისი ბედი უკვე გადაწყდა.

ნერვიულმა სტრესმა, ფიზიკურმა წამებამ და შიმშილმა დაავადა იგი. საქმეში ინახება, ნაგლეჯ ქაღალდზე დაწერილი მისი ორი განცხადება. ერთში იგი სუკ-ის მაღალი თანამდებობის პირს - ქობულოვს სთხოვდა მიეცათ დიეტური საკვები, მეორეთი, გამომძიებელ გულისტს მიმართავდა თხოვნით, რათა მეუღლეს /ლ. ორაგველიძე/ მისთვის გამოეგზავნა 50 მანეთი, რასაც გამოიყენებდა ფასიან ბუფეტში პროდუქტების შესაძენად. არცერთი თხოვნა ყურად არ იღეს და მალე /1937 წლის 28 დეკემბერი/ მას დახვრეტა მიუსაჯეს. სამეულის გადაწყვეტილებას ხელს აწერდა ვიღაც ტექნიკური მდივანი მოროზოვი. თვალში საცემია, რომ მსგავსი განაჩენების უმრავლესობას ხელს აწერდნენ არაქართველები.

ასე გასწირეს ნიჭიერი კაცი, ობლად დატოვეს დავითის პატარა შვილი - ფელიქსი /ამჟამად მუშაობს ქ. რუსთავში/, დააქვრივეს მეუღლე, არ დააცალეს უკვე გამზადებული „სადოქტორო დისერტაციის" დაცვა. მკითხველს გულს უკლავს დავითის მეუღლის მიერ საქაღალდეში დაცული სუკ-ის სახელზე 1954 წელს გაგზავნილი განცხადება, რომლითაც მეუღლის დახვრეტიდან 17 წლის შემდეგ იგი ითხოვდა ეცნობებინათ, თუ რა ბედი ეწია მისთვის ძვირფასს ადამიანს. ამჯერად მწარე სინამდვილე ვერ დაფარეს და კომახიძის უკანონო დახვრეტის აღიარებასთან ერთად, მეუღლეს მისი რეაბილიტაციის საბუთიც აახლეს. 30-იან წლებში შინსახკომი დახვრეტილი პოლიტიკური პატიმრების შესახებ ოჯახებს, უკეთეს შემთხვევაში, აცნობებდა - „გადასახლებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია მიმოწერის უფლების აკრძალვით", ე. ი. უმალავდნენ ანგარიშსწორების აქტს, დახვრეტის განაჩენს და თვით დახვრეტის ფაქტსაც.

ასეთივე ბედი ეწია ჩვენი სოფლის განსწავლულ პიროვნებას, რუსული ენის მასწავლებელს-სევასტი ტრიფონის ძე დოლიძეს, რომელსაც სუფრაზე წამოცდენილი სიტყვა არ აპატიეს. მასაც ფიზიკურად გაუსწორდნენ. სოფელს სპეციალისტები არ ჰყავდა. განათლებული ადამიანი „სანთლით საძებარი" იყო და სწორედ მათ აცხადებდნენ მოღალატეებად, ხალხის მტრებად. ასეთი იყო ცხოვრების პარადოქსი, მწარე სინამდვილე.

ასევე მოექცნენ პოლიკარპე იაგორის ძე სურგულაძეს, ვასო ირაკლის ძე ზაქარიაძეს, იასონ ნაპალეონის ძე ჭეიშვილს, ილია კონსტანტინეს ძე ცერცვაძესა და სხვებს, რომელთა შესახებ დოკუმენტები განადგურდა 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს, სუკ-ის შენობის გადაწვის გამო.

შედარებით იოლად გადარჩნენ ჩვენი სოფლის სხვა პოლიტიკური პატიმრები. პირველ რიგში მხედველობაში გვყავს სოფლის ფერშალი, 30 წლის ჭკვიანი და კეთილი კაცი - ალექსი დავითის ძე მოლარიშვილი, რომელიც 1929 წელს დააპატიმრეს. ოზურგეთის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განკარგულებით მას დანაშაულად ჩაუთვალეს მენშევიკურ პარტიაში მუშაობა.

მოლარიშვილმა აღიარა, რომ 1924 წლიდან იყო ამ პარტიის წევრი, 3 წელიწადს ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას. 1925-1927 წლებში იყო ს. კახურის მენშევიკური პარტიული უჯრედის ხელმძღვანელი /საქართველოს სუკ-ის არქივი, ს.2967-58/ და მჭიდრო კავშირი ჰქონდა ოზურგეთის მაზრის არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელთან, რომლისაგანაც ღებულობდა დირექტივებს. ეს საკმარისი აღმოჩნდა მოლარიშვილისათვის მიესაჯათ სამი წლის პატიმრობა ციმბირში გადასახლებით. მოლარიშვილს შემდეგშიც დევნიდნენ. ასე მოწყვიტეს საყვარელ საქმეს ჯანმრთელობის დაცვის ერთგული კაცი, იგი იყო ყურადღებიანი და თავდადებული, დაუზარელი, უანგარო პიროვნება, რომელმაც თანასოფლელებში პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

დიდი ტრაგედია დაატყდა თავს ალექსანდრე კვერღელიძეს (ს. ჭანიეთური). დემოკრატიული საქართველოს ეროვნული გვარდიის ახალგაზრდა ოფიცერს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ მას სასტიკი დევნა დაუწყო და იგი იძულებული გახდა ტყისათვის შეეფარებინა თავი, ფირალი გამხდარიყო.

კვერღელიძე აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. მას კავშირი ჰქონდა პარიზში საქართველოს ემიგრაციულ ცენტრთან. ამისათვის შური იძიეს კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მოკლა შინაგან საქმეთა კომისარიატის ჯაშუშმა, რომელიც მოტყუებით შეუამხანაგდა თავის მსხვერპლს. ა. კვერღელიძეს ეს შეცდომა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ლანჩხუთის რაიონის სოფ. წყალწმინდაში, ნესტორ ურუშაძის ოჯახში საუზმის დროს ჯაშუშმა მას ტყვიები დაახალა და იქვე მოკლა.

კვერღელიძის სიკვდილის შემდეგ ჯაშუშის კარნახით სასტიკად გაუსწორდნენ ოჯახებს, სადაც იგი თავს აფარებდა. ციმბირში გადაასახლეს დათიკო ლომინაძე და მისი მეუღლე, მიხაკო კიღურაძე, შალვა ზაქარიაძე, დააპატიმრეს მართა და სილოვან დავითაშვილები. რეპრესიები განიცადა სხვა ოჯახებმაც /„ალიონი", 1991წ. 8ივნისი. შოთა ზაქარიაძე-„ერთი ტრაგედიის გახსენება"/. ასე ტრაგიკულად დასრულდა 6 შვილის მამის სიცოცხლე, რომელსაც ბევრი კეთილი და სასურველი საქმის გაკეთება შეეძლო.

ტრაგიკულად წარიმართა ალიფანგე /ალექსანდრე/ ტოტოჩავას ცხოვრებაც. იგი დაბეზღებით დააპატიმრეს 1927 წლის 9 ივნისს, მასთან ერთად ციხეში ჩასვეს გურიანთის თემის ს. ჭანიეთურში მცხოვრები აკაკი კონსტანტინეს ძე პაპავა, მათ შესახებ მასალები შეკრულია ერთ საქაღალდეში /საქართველოს რესპუბლიკის სუკ-ის არქივი, ს. 3604/. ტოტოჩავასთვის ეს მეორე პოლიტიკური პატიმრობა იყო.

პირველად 20 წლის ყმაწვილი დასაჯეს 1924 წლის აგვისტოს გამოსვლებში მონაწილეობისათვის. სამი თვის პატიმრობის შემდეგ ამნისტიით გააათავისუფლეს, მაგრამ ეძებდნენ ახალ საბაბს, რაც სამიოდე წლის შემდეგ კვლავ გამოძებნეს და 1924 წლის ამბები ამჯერადაც გაუხსენეს, თუმცა ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად წაუყენეს ჩხრეკის დროს ოჯახში აღმოჩენილი გურიანთის თემის მენშევიკური ორგანიზაციის ცირკულარული წერილი № 1, რომელიც მას ადრესატის ჩასაბარებლად გადასცა ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა. დოკუმენტში ხაზგასმული იყო რესპუბლიკაში ყოვლად გაუმართლებელი დარბევების, რეპრესიებისა და დაპატიმრებების შესახებ. აქვე დაგმობილნი არიან ის მენშევიკები, რომლებიც პატიმრობაში დამბეზღებლად იქცნენ და ბოლშევიკურ პოლიტიკურ სამმართველოსთან /სუკ-ი/ თანამშრომლობდნენ.

ცირკულარული წერილის შენახვასთან ერთად მას სხვა ბრალდებაც წაუყენეს. კეძოდ, „დაუსაბუთეს", რომ 1927 წლის მაის-ივნისში ხელმძღვანელობდა გურიანთის თემის არალეგალურ მენშევიკურ ორგანიზაციას /სოხუმში კურსებზე მოლარიშვილის წასვლის შემდეგ/. ეს ბრალდება მან უარყო, მაგრამ აღიარა 1924 წლის აგვისტოს გამოსვლებში მონაწილეობა, დაკითხვის ოქმში ამის გამო ვკითხულობთ: „აგვისტოს გამოსვლებში ვღებულობდი აქტიურ მონაწილეობას და დაჭრილი ვიქენი ორივე ფეხში. გამოსვლების დამარცხების შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიჯექი პოლიტბიუროს /ასე უწოდებდნენ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, რომელიც შეიქმნა 1922 წელს კ. ტ./საპატიმროში".

საბრალდებო დასკვნა ეწინააღმდეგება საქმეში დაცულ მასალებს, გამოძიებას ფაქტიურად არ დაუდგენია, რომ იგი იყო მენშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მისი წევრი, დოკუმენტში კი ვკითხულობთ: „გამოძიებით დადგენილია, რომ ტოტოჩავა და პაპავა იყვნენ არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციის წევრები ... პაპავას ოჯახში სისტემატურად იკრიბებოდნენ ამ ორგანიზაციის წევრები.

... მოლარიშვილის სოხუმში გადასვლის შემდეგ, ტოტოჩავა მენშევიკების სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარის სიხარულიძის მიერ წამოყენებულ იქნა ხელმძღვანელად, სადაც მუშაობდა 1927 წლის მაისიდან დაპატიმრებამდე".

საქმეში ინახება ექიმ თუმანიშვილის მიერ ოზურგეთის „პოლიტბიუროს" სახელზე გაგზავნილი ორი ბარათი, თხოვნით პატიმარი ტოტოჩავა გადაეყვანათ საავადმყოფოში ფეხებზე ჭრილობების გამიზეზების გამო ოპერაციის გასაკეთებლად. როგორც ჩანს, მას მკურნალობა არ ჩატარებია. იგი მთელი სიცოცხლე კოჭლობდა და ფეხებიდან ჩირქი სდიოდა.

ბრალდებულებს მიესაჯათ 3-3 წლის პატიმრობა. ტოტოჩავა გადაასახლეს ურალში, პაპავა ციმბირში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე 1937 წელს კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს. ასე აწამებდნენ ადამიანებს, პოლიტიკურად დევნიდნენ და მთელი სიცოცხლის მანძილზე მათ მიმართ უნდობლობას ავლენდნენ, ოჯახებს აწიოკებდნენ.

როცა კაცს გაწირავდნენ, მსხვერპლის წინააღმდეგ იყენებდნენ მისივე ბიოგრაფიის ეპიზოდებს. მაგალითად, პაპავას ვერ აპატიეს ის, რომ გასაბჭოებამდე მუშაობდა „კოოპერატივის ნოქრად", ხოლო დაპატიმრების მომენტისათვის ბათუმის საკონდიტრო ნაწარმის გამყიდველად.

პატიმართა დაკითხვის ოქმში იყო ასეთი სასაცილო კითხვა-„თუ უპარტიო ხარ, რატომ?? ეს იმ გურულის ანეკდოტს წააგავს კომუნისტური პარტიიდან რომ გარიცხეს და სხარტად უთქვამს, პარტიის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია და გეოლოგიურ პარტიაში მაინც ჩამრიცხეთო. „უპარტიო რატომ ხარო"- ასეთ კითხვაზე ნებისმიერ პასუხს მოხერხებულად იყენებდნენ რეპრესირებულთა წინააღმდეგ. მსგავსი კითხვები კარგად გამოხატავდნენ იმ დროის სულისკვეთებას.

უშიშროების კომიტეტში დაცული მრავალი საქმის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი პირველ რიგში ისინი იყვნენ, ვინც განუზომლად დააკლდა ერსა და მამულს, სოფელსა თუ რაიონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30-იან წლებში, არნახული ფსიქოზის პირობებში, „ხალხის მტრებისა“ და „მოღალატეთა“ საკითხი კრებებზე პერიოდულად იხილებოდა. 1935 წლის 15 და 17 აპრილის გურიანთის პარტიული ორგანიზაციის დახურულმა კრებამ მოისმინა საკითხი ყოფილი ტროცკისტების შესახებ /მომხსენებელი ა. მალაგონია/. ერთხმად იქნენ დაგმობილნი ოზურგეთის პარტრაიკომის მიერ პარტიიდან გარიცხული „ტროცკისტები“: ბეშიტაშვილი, დოლიძე, სოსელია, კალანდაძე. ქინქლაძე /სპა, ფ. 2342, ს. 3. ფურც. 7/. კრებამ დაადგინა /სტილი დაცულია/ გაემახვილებინა “... კოლექტიური ყურადღება, სიფხიზლის ოდნავ გულგრილი ამხანაგების მიმართ, მოახდინონ შესწავლა ისეთი ამხანაგების, რომლებიც ოდნავ გულგრილად კიდებენ ხელს პარტიული დავალების შესრულებას“ / იქვე, ფურც. 11/. „პარტიული დავალებებისადმი ოდნავ გულგრილი დამოკიდებულება“ - „ტროცკისტის“ რანგში შეეძლოთ აეყვანათ. ასე მზადდებოდა ფართო მასშტაბის თვალთვალი და პოლიტიკური რეპრესიები. დაახლოებით ამ სტილში შედგენილი დადგენილება მიიღო 27 აპრილს გამართულმა გურიანთის პარტიული ორგანიზაციის კრებამ: „პარტიული ორგანიზაციის თითოეული კომუნისტი კიდევ უფრო გავამახვილებთ კლასიურ სიფხიზლეს, გამოვააშკარავებთ და საბუღეებიდან ამოვყრით ყოფილ ტროცკისტებს, რომლებიც შენიღბულია და გამსჭვალულია კონტრრევოლუციური იდეებით“ /იქვე, ფურც. 14/. ნიშანდობლივია ისიც, რომ 12 დღეში „ტროცკისტების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს პარტიული ორგანიზაციის სამი კრება მიეძღვნა, მიღებული დადგენილებები ძაბავდა ატმოსფეროს, თესავდა შიშსა და უნდობლობას.

ცხადი იყო, რომ სწორედ 1935-1936 წლებში მზადდებოდა მასების იდეოლოგიური დამუშავება, პოლიტიკური რეპრესიების ფსიქოზი, კრებებზე სისტემატურად იდგა საკითხი პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნების შესახებ. სოფლის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთ ასეთ კრებაზე /1936წ. 17აგვისტოს/ იმსჯელეს „პრავდის“ მოწინავის -„ბოლშევიკური სიფხიზლის შესახებ“. გურიანთელმა კომუნისტებმა ზიზღი გამოუცხადეს „... ზინოვიევ-კამენევის ტროცკისტულ, ფაშისტურ ჩადენილ საქციელს“ /სპს, ფ.2341, ს.4, ფურც.41/. ორიოდე კვირის შემდეგ / 5სექტემბერი/ განიხილეს ლ. ბერიას სტატია-„გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“ /იქვე, ფურც.42/ და კრებამ სოფლის საზოგადოებას კვლავ სიფხიზლის ამაღლებისა და „მოღალატეების“ წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავებისაკენ მოუწოდა.

დაძაბულობა, ეჭვები და დაპირისპირება არ ცხრებოდა. ტროცკის დასაცავად წამოცდენილი თუ შეგნებულად ნათქვამი სიტყვებისათვის ადამიანების დევნა დაიწყეს. კერძოდ, დაგმეს სიმონ ნესტორის ძე კვაჭაძის მიერ 1936 წლის 15 ოქტომბერს კრებაზე ნათქვამი ფრაზა -

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტროცკი აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას ოქტომბრის რევოლუციაში და მისი მესაჭე იყო". ამჯერად მას აკმარეს პარტიული სასჯელი, სასტიკი საყვედური პირად ბარათში შეტანით /სპა, ფ.2341, ფურც. 94/.

მალე დაიწყო კამპანია ტროცკისტული ლიტერატურის განადგურებისათვის. პარტბიუროს მდივნის ი.პ. მექვაბიშვილის მეთაურობით შეიქმნა კომისია/წევრები: ლ.კიღურაძე, ტ. კვაჭანტირაძე, დ. მუჯირი, კ. პაპავა/, რომელსაც ბინებში უნდა შეემოწმებინა /ე.ი. მოეწყო ჩხრეკა/ თითოეული კომუნისტის ბიბლიოთეკა/იქვე, ფურც.99/. ასე ინერგებოდა უნდობლობა, ძლიერდებოდა ეჭვები, „ეუფლებოდნენ" წიგნების განადგურების ფაშისტურ მეთოდებს. ეს იყო ოჯახების უსანქციო მასობრივი ჩხრეკის, მოქალაქეთა უფლებების უხეში გათელვის დაკანონება.

ხალხის მტრების ძიება ომის პერიოდშიც გრძელდებოდა. 1942 წლის 22 სექტემბერს გურიანთის სასოფლო საბჭოს სესიამ მოისმინა საკითხი- „თავდაცვითი მუშაობის განმტკიცებისა და ბოლშევიკური სიფხიზლის გაძლიერების შესახებ". აქაც, კვლავინდებურად, ხაზი გაესვა მოლაყბეებისა და პანიკიორების აღმოჩენის აუცილებლობას /ოსა, ფ.35, ს. 42, ფურც.25/.საბედნიეროდ, ომის შემდგომ პერიოდში სიმძაფრემ იკლო, მაგრამ დიდხანს არ გამქრალა პოლიტიკური რეპრესიების საშიშროება და შოკი, რომელშიც აღმოჩნდა საზოგადოება. პარტიულ კრებებზე კვლავ განიხილავდნენ ეჭვის აღმძვრელ საკითხებს. 1957 წლის 15 იანვარს მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დახურული წერილი-„მასებში პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისა და ანტისაბჭოთა, მტრული ელემენტების გამოხდომათა აღკვეთის შესახებ"/სპა, ფ.8269, ს.18, ფურც.2/.

„მტრული ელემენტების" წინააღმდეგ ბრძოლა შეუცვლელ „თემატიკას", დამოკლეს მახვილს წარმოადგენდა საბჭოთა წყობილების მთელ პერიოდში. სამწუხაროდ, როგორ უცნაურადაც უნდა ეღერდეს, კრემლის „აგენტების", „მოღალატეების", „ხალხის მტრებისა" და „კრიმინალური ინტელიგენციის" დევნა გაგრძელდა ეროვნული ხელისუფლების მოსვლის /1990 წელი/ დროსაც, რამაც გათიშა ერი, ადამიანები დაუპირისპირა ერთმანეთს. საბედნიეროდ, გურიანთაში ამ პროცესს მწვავე ხასიათი არ მიუღია, სოფლის ერთიანობა არ დაურღვევია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წლის თებერვალში საქართველოს ოკუპაციამ და მისმა გასაბჭოებამ დღის წესრიგში დააყენა იმ რეფორმების გატარების აუცილებლობა, რომლებიც რუსეთში 1917 წლის ოქტომბრიდან, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან, დაიწყო. მიწის შესახებ პირველი დეკრეტი საქართველოს რევკომმა გამოსცა 1921 წლის 6 აპრილს. მასში ვკითხულობთ: "საქართველოს საბჭოთა მთავრობა, მთელი ხალხის წინაშე აცხადებს, რომ მიწის საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს მხოლოდ მშრომელთა სასარგებლოდ.... მიწები მთელი მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას შეადგენს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან სხვა ვისმეზე გაცემა ისპობა... ის მიწები და მსხვილი მამულები, რომლებიც ყოფილი მთავრობის დროს ჩამოურთმეველი შერჩათ კერძო მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და სხვა მსხვილ მფლობელთ, შენობით, ყოველივე ინვენტარით, სამეურნეო იარაღებით ერთმევათ დღევანდელ მფლობელთ სრულიად უსასყიდლოდ და წინათ ჩამორთმეულ მიწებთან ერთად ჩაირიცხებიან მიწის სახელმწიფო ფონდში და გადადიან მშრომელთა სასარგებლოდ" (ფ. მახარაძე, საქართველოს საბჭოთა კანონები მიწის შესახებ, ტფ., 1921, გვ. 15). მიწის დეკრეტის მიხედვით გლეხს დანაპირები არ მისცეს. ისინი მწარედ მოატყუეს. მაღალფარდოვანი სიტყვები -- "მშრომელი გლეხების სასარგებლოდ მიწის საკითხის გადაჭრის" შესახებ, თავისებური საკენკი, გლეხობის შეცდომაში შეყვანის, მათი გაცურების, ღრმად მოფიქრებული ფანდი იყო. სინამდვილეში გატარდა მიწის ნაციონალიზაცია, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, კერძო მიწათმფლობელობის სრული ლიკვიდაცია.

მიწის მფლობელთა მიმართ დაუნდობელი მოქმედების გამო სოფელი პანიკამ მოიცვა. თავადაზნაურებმა მიატოვეს (ან დაატოვებინეს) მამულები. ასეთ პირობებში საქართველოს მიწსახკომმა შედარებით ლოიალური კურსი აიღო და 1921 წლის 27 აპრილს გამოსცა მიწის დეკრეტის "განმარტება", რომლის მიხედვითაც ყოფილ თავადებს უფლება მიეცათ 15 ივნისამდე დაბრუნებულიყვნენ თავიანთ მამულებში და დაქირავებული შრომის გამოუყენებლად დაემუშავებინათ იგი. ამის გამო რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ აღშფოთება გამოთქვა (მეტ სიმკაცრეს მოითხოვდნენ). მას არ მოეწონა აგრეთვე საქართველოს მიწსახკომის მიერ შემუშავებული მიწის ყიდვა-გაყიდვის პროექტი, რომელიც შედარებით ლოიალური იყო. "ცენტრის" კომუნისტმა ფუნქციონერებმა "განმარტება" მიიჩნიეს შეცდომად. მათივე თქმით, ეს განაპირობა მიწსახკომში თავადაზნაურთა და სასულიერო პირთა "სიჭარბემ" (140-დან -60).

მოითხოვდნენ "ელვისებური" იერიშები მიეტანათ კერძო საკუთრებაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც არღვევდა ქართველი გლეხის ტრადიციებს, ოჯახურ სიმყუდროვეს. საქართველოში ცნობილია ოჯახის კულტი. მასზე ზრუნვა მისი ყველა წევრის უპირველესი მოვალეობაა. საუკეთესო მხოლოდ ის ოჯახია, სადაც იციან მშობლების, შვილების, მეუღლეებისა და დედმამიშვილის ყადრი, მათდამი სიყვარულისა და სითბოს განაწილება. ამ სიმყუდროვისა და ერთიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია მიწის კერძო საკუთრება. იგი ერთ მუშტად კრავს ოჯახს, გამოკვეთავს მისი თითოეული წევრის ფუნქციას, ზრდის პასუხისმგებლობას იღვაწონ კომლის კეთილდღეობისათვის, აამოქმედონ რეზერვები, გამოავლინონ მეტი ინიციატივა, იყვნენ მთელი შემოსავლის ბატონ-პატრონნი. ეს გასაგებიცაა, ქართველი კაცი თავისი ბუნებით კერძო მესაკუთრეა. მიწის სათემო, კოლექტიური საკუთრება რუსეთისათვის იყო დამახასიათებელი. ქართველისათვის იგი არაბუნებრივია. ჩვენი თვისების ეს თავისებურება ბოლშევიკური რუსეთის ერთერთმა ლიდერმა — ლ. ტროცკიმაც კი შენიშნა. საქართველოში კოლექტივიზაციის ტემპების დაჩქარების გამო იგი წერდა: "ქართველ გლეხებს, რომლებიც არ იცნობდნენ თემებს ("ობშჩინა") ინდივიდუალური დამოკიდებულება მიწისადმი უფრო მკვეთრად და უშუალოდ ჰქონდათ გამოვლენილი, ვიდრე რუსებს" ("საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ. 14 სექტემბერი).

მართლაც, კერძო საკუთრებას ქართველი კაცი განიხილავდა თავისუფლების პირობად და ზნეობრივ ძალადაც, არსებობის წყაროდ. ადვილი წარმოსადგენია, თუ ჩვენს გლეხობაზე როგორ იმოქმედა მიწაზე კერძო საკუთრების "ერთი დარტყმით" მოსპობამ. მიწების საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადებამ შეზღუდა გლეხის მატერიალური დაინტერესება, მოუსპო მას სოფლის მეურნეობის პროდუქტების უხვი წარმოების პერსპექტივები, მიაჯაჭვა "ზემოდან" დაშვებულ გეგმებზე, შეამცირა ინიციატივისა და თაოსნობის მნიშვნელობა. მაგრამ ამაზე საუბარიც კი აიკრძალა. ამუშავდა უმძლავრესი პროპაგანდისტული მანქანა, ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი აპარატი, ინფორმაციის ყველა საშუალება ხოტბას ასხამდა ბოლშევიკურ ლოზუნგს -- "მიწები, საძოვრები, ტყეები -- გლეხებს". განსაკუთრებით გააქტიურდნენ უღარიბესი გლეხები, რომელთა წარმოდგენით, დაიწყო ნამდვილი სამართლიანობისა და ძმობის ეპოქა, უახლოეს წლებში ბოლო მოეღებოდა დუხჭირ ცხოვრებას, ჩაიქოლებოდნენ შეძლებული გლეხები, მემამულეები და სხვა მდიდრები. ხშირად უღარიბესი გლეხობის ქედმაღლურ და გამომწვევ მოქმედებას განაპირობებდა მომავალზე მათივე წარმოდგენა. "დამთავრდა მდიდართა და შეძლებულთა ერა, დაიწყო ღარიბთა ბატონობის, მისი დიქტატურის ეპოქა" -- ასეთი იყო მოზეიმეთა განწყობილება, რომელთა აზრით, მათს სიდუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირეში ბრალი მდიდრებს მიუძღოდათ. გასაბჭოების შემდეგ სწორედ უღარიბესი გლეხობა გამოირჩეოდა მეტისმეტი აქტიურობით, სითამამითა და შემტევითობით. შემთხვევითი როდი იყო, რომ სოფლად საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი სწორედ უღარიბესი გლეხობა აღმოჩნდა, სოფლის ის ნაწილი, რომელიც არ გამოირჩეოდა შრომაში (იყო სხვა მიზეზებიც). იფეთქა შეძლებული მეურნისადმი შურისძიების გრძნობამ, არნახული მასშტაბი მიიღო მდიდრებისაგან წარმოების საშუალებების ჩამორთმევის, მასთან ანგარიშსწორებისა და ქონებრივი "გათანაბრებისათვის". ეს იყო ბრძოლა (როგორც შემდეგ გამოირკვა) მშრომელი და მუყაითი კაცის ექსპლოატატორად და მჩაგვრელად გამოცხადებისათვის.

არნახული მასშტაბები მიიღო წვრილი გლეხური მეურნეობის თავშეუკავებელმა და დაუსაბუთებელმა კრიტიკამ. ამას მოჰყვა ნაჩქარევი მოწოდებები დაუყოვნებლივ გადასულიყვნენ კოლექტიურ მეურნეობაზე, ერთობლივი შრომით ყამირი მიწების ათვისებაზე. კოლექტიური მეურნეობის იდეალური სურათის დახატვით, მისი უპირატესობის შესახებ სისტემატური და მიზანმიმართული პროპაგანდით, გლეხობას არწმუნებდნენ, რომ სულ მალე მიიღებდნენ თავისუფლებას, გახდებოდნენ ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი. გლეხს ფსიქოლოგიურად ასე ამზადებდნენ მეურნეობის ტრადიციული გაძღოლის წინააღმდეგ. მართლაც, მალე შეძლეს შეერყიათ კერძომესაკუთრული ტენდენცია. გლეხებს წაერთვა თავდადებული შრომის სტიმული, მაგრამ ერთბაშად არც კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა შეეძლოთ. იყო ბჭობა და აზრთა დაპირისპირება. გახშირდა საუბარი კომუნების უპირატესობის შესახებ. სოფელი ბურუსმა მოიცვა. არავინ იცოდა მოვლენები როგორ განვითარდებოდა.

მთელი მიწები გამოცხადდა ხალხის საკუთრებად, აიკრძალა მიწის გასხვისება. იგი ამოიღეს ყიდვა-გაყიდვის სფეროდან, გატარდა მემამულეთა, ეკლესიების, მონასტრებისა და სხვა მსხვილ საკუთრებათა მიწების კონფისკაცია. ამას მალე (1923 წელი) მოჰყვა მიწის რეფორმები, რომლითაც განისაზღვრა თითოეული გლეხური მეურნეობის მიწის საშუალო ნორმა. აღსანიშნავია, რომ მიწის სრული ნორმა ხვდა ოზურგეთის მაზრის 2452 გლეხურ კომლს, ნახევრიდან ერთ ნორმამდე -- 11425 კომლს, ნახევარ ნორმაზე ნაკლები -- 11230 ოჯახს. მაზრის მთელი სავარგული (183100 ჰექტარი) ვერ აკმაყოფილებდა 25107 კომლის მიწაზე მოთხოვნებს (ოსა, ფ.1, ს.212, ფურც.10-12). უფრო მძიმე მდგომარეობა იყო გურიანთაში, რომლის სავარგულები სოფლის მთელი ტერიტორიის მეოთხედს ოდნავ ჭარბობდა.

გლეხებს შორის მიწებს ანაწილებდა "მიწის კომიტეტები", რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ მიწათმოქმედების სახალხო კომის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიატისა და სამაზრო ხელისუფლების წარმომადგენლები. ამ პროცესს უსწრებდა ადგილ-მამულების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და ნაგებობათა საეკლესიო და სამონასტრო მიწების კონფისკაცია და დანაწილება.მაგრამ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გააუქმა ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებები მიწების გლეხებისათვის გადაცემის შესახებ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VII, თბ.,1976, გვ.126), რაც ამწვავებდა მდგომარეობას, ქმნიდა დაძაბულობას, დრო გადიოდა. დანაპირებ მიწებს გლეხები ვერ ღებულობდნენ, რაც ხშირად სოფლად კონფლიქტის საფუძველი ხდებოდა. ეს კი ზოგჯერ, სრულიად უსაფუძვლოდ, ადგილობრივ მმართველობას ბრალდებოდა. სინამდვილეში ხელისუფლება წინასწარ გამიზნული გეგმის მიხედვით მიწების გადანაწილებას არც აპირებდა და ემზადებოდა მის კოლექტიურ მფლობელობაში გაერთიანებისათვის, ამიტომ არ ჩქარობდა, ამ პროცესს "მორცხვი" ნაბიჯებით წარმართავდა, გლეხებში ქმნიდა მიწათსარგებლობის სამართლიანად გადაწყვეტის ილუზიას. ამითვე აიხსნება გურიანთაში მიწის დანაწილების პროცესის შეფერხება, შედეგი სახეზე იყო. მიწის რეფორმებმა სავარგულებით ვერ უზრუნველყო უმიწაწყლო და მცირემიწებიანი გლეხები, თუმცა ოფიციალურ დოკუმენტებში გლეხების ნაწილის მიერ მიწების მიღება უდიდეს მიღწევად და ჰუმანურ აქტად ცხადდებოდა. მართლაც, თავდაპირველად რეფორმებს სწორედ ასეთი მიზანი ჰქონდა. მიწის რეფორმები იმთავითვე "გათანაბრებისათვის" არ იყო გამიზნული. კერძოდ, 1922 წლის 26 მაისის "რეფორმების" დებულებით აღმოსავლეთ საქართველოს ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 4 დესეტინა მიწა, დასავლეთ საქართველოსი -- 2,5 დესეტინა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმ პერიოდისათვის საქართველოში ცხოვრობდა 388 480 კომლი, მაშინ მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო იყო არანაკლებ 1 219 450 დესეტინა მიწა. ფაქტიურად, ვარგისიანი მიწის რაოდენობა შეადგენდა 875 606 ათას დესეტინას, რაც დადგენილ ნორმაზე 344 444 დესეტინით ნაკლები იყო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VII, გვ.130). აქედან ნათლად ჩანს მიწის რეფორმისადმი, სოფლისათვის ამ სასიცოცხლო საკითხისადმი, ზერელე მიდგომა მოასწავებდა მისი განხორციელების იმთავითვე განწირვას. მიუხედავად ამისა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გასაბჭოების პირველ წლებში კონფისკებული მიწების ნაწილი გადაეცა უსახლკარო გლეხებს. ნაკვეთები გამოეყო გურიანთელებსაც, მათ შორის უღარიბეს გლეხს ასლან ზოიძეს (ოსა, ფ.1, ს.2341, ფურც.4) და სხვებს. ასე იზრდებოდა გლეხურ მეურნეობათა რიცხვი. მაგრამ ამ პროცესის შენელების მიზნით უკვე 1924 წელს იწყება მსხვილ მემამულურ მეურნეობათა დაქუცმაცების ნაწილობრივ შეზღუდვა. ამ ტენდენციას ხსნიდნენ წვრილ მეურნეობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ტექნიკის გამოყენების, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარების შეზღუდული შესაძლებლობებით.

რეფორმებმა მართლაც ვერ გადაჭრა აგრარული პრობლემები. მიწის ფონდის საერთო სიმცირის გამო ღარიბი გლეხობა ვერ ღებულობდა ნორმით გათვალისწინებულ ნაკვეთებს, მაშინ, როცა შეძლებული გლეხები და თავადაზნაურობა ახერხებდნენ საუკეთესო მიწების შენარჩუნებას. უღარიბეს გლეხობას, როგორც წესი, რჩებოდა მწირი მიწები, ბუჩქნარი, აუთვისებელი მდელოები.

მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ბევრს საჭიროდ მიაჩნდა მიწების ხელახალი გადანაწილება, მცირემიწებიანი ადგილებიდან გლეხების გადასახლება, მიწის ახალი მასივების ათვისება, ჭაობების ამოშრობა, გრანდიოზულ მელიორაციულ სამუშაოთა ჩატარება. მსგავსი მოსაზრებანი არარეალური იყო და მათ განხორციელება არ ეწერათ, რადგან კოლოსალურ თანხებს საჭიროებდა, რაზეც მაშინ ოცნებაც არ შეეძლოთ.

მიწის რეფორმები დიდი ხარვეზებით ტარდებოდა გურიანთაშიც. სამწუხაროდ, რეფორმის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, მიწას მეპატრონე არ ჰყავდა. ამიტომ მისი შედარებით დიდი მასივები საერთო ფონდში გადადიოდა.მდგომარეობას ვერ ცვლიდა გლეხებისათვის მცირე ნაკვეთების გადაცემის ცალკეული შემთხვევები. წლების განმავლობაში გამოიკვეთა უკანონობა და სიმკაცრე, მესაკუთრეთა ინტერესების შებღალვა და აბუჩად აგდება, მიწების ჩამორთმევისას ცინიზმის გამოვლენის არაერთი შემთხვევა, ხელისუფლების წარმომადგენელთა ქედმაღლობა და უტაქტობა, ღარიბთა და უქონელთა ნაადრევი ზეიმი შეძლებულ მეურნეებთან ხელოვნური "გათანაბრებისათვის". ასე ჩანაგდებოდა საუკეთესო მიწები, ტყეები და სხვა სიმდიდრე. ჩამორთმეულ მიწებს ხშირად უპატრონოდ ტოვებდნენ.

მიწის ძირითადი ფონდის ნაციონალიზაცია და სახელმწიფოს ხელში გადასვლა პრობლემას ვერ წყვეტდა. ტექნიკის უქონლობის პირობებში (გურიანთაში ჯერ ტრაქტორი ნანახიც არ ჰქონდათ) მიწის ერთობლივი დამუშავება ფერხდებოდა. სოფელი ისევ ცოცხალი გამწევი ძალის იმედზე იყო. მაგრამ, გურიანთა ამ პერიოდში, გამწევი ძალის სიმრავლითაც არ გამოირჩეოდა. მტკიცედ დამკვიდრდა პირუტყვის ჩამორთმევის ყოვლად გაუმართლებელი, სოფლისათვის დამღუპველი პრაქტიკა, რაც გლეხებზე დამთრგუნველად მოქმედებდა. გაბატონებულ ფორმად ხელით შრომა რჩებოდა, ხოლო ძირითად სასოფლო-სამეურნეო იარაღს კვლავ კავი, თოხი, ბარი, ცელი და ნამგალი წარმოადგენდა. გლეხები მოექცნენ გაურკვეველ მდგომარეობაში, რომლისაგან გამოსვლა შეეძლოთ მხოლოდ მიწების მიღების შემთხვევაში. მაგრამ ასე არ მოხდა. თემსაბჭოს გადაწყვეტილებით, კვლავ გრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძელდებოდა მიწების უკანონოდ ჩამორთმევა. მაგალითად, 1927 წელს კოწია და გერმანე არობელიძეებს, მოსე მალაზონიასა და ვასილ ტოტოჩავას ჩამოართვეს ტყე. იმ გლეხების მიმართ, რომლებიც უკანონოდ ჩამორთმეულ მიწებს კვლავ იკავებდნენ, იყენებდნენ იძულებით მეთოდებს (ოსა, ფ.61, ს.234, ფურც.16). ჩამორთმეულ მიწებს პატრონი არ ჰყავდა, განსაკუთრებით ზარალდებოდა ტყე. ერთ დროს სახელგანთქმული გურიანთის ტყის "ნარჩენები" ნადგურდებოდა. მკითხველს შევახსენებთ ფრანგი მოგზაურის დიუბუას ნათქვამს ვაშნარის უღრანი ტყის შესახებ. სწორედ 20-იან წლებში გაკაფეს და დაიტაცეს ყველაფერი, რაც ადრე მტერს გადაურჩა. ახლის გაშენებაზე კი არავინ ზრუნავდა. "გათანაბრების" წყურვილით შეპყრობილი, მემამულეების, აზნაურებისა, თუ შეძლებული გლეხების ჩაწიხვლის მოსურნეთ საგეიმო განწყობილება დაეუფლათ. ამავე მეთოდებით სურდათ თავი დაეღწიათ შიმშილისა და გაჭირვებისაგან. სინამდვილეში ხსნის ერთადერთი გზა შრომაში ჩაბმას, სავარგულების მაქსიმალურ ათვისებას შეეძლო. ეს მით უფრო ხაზგასასმელია, რომ გურიანთელთა ნაწილს სარჩო არ ყოფნიდა და იგი ყოველწლიურად 30 ათას ფუთ სიმინდს ყიდულობდა ("ლენინის დროშა", 1936 წ. 22 დეკემბერი), რის გამოც ათობით გლეხი იძულებული იყო სამუშაო სხვაგან ეძებნა, გამხდარიყო მტვირთავი, შავი მუშა, ტყის მჭრელი, ფულის საშოვრად გასული "მოხეტიალე" . იყო მშრომელი კაცის იმედის გაცრუების სხვა ფაქტებიც, მაგრამ, ისიც ცნობილია, რომ გასაბჭოების შემდეგ, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში, სოფელში მოხდა კოლოსალური ძვრები. მოვლენებს თუ ამ თვალით შევხედავთ, უნდა გადაისინჯოს კოლექტივიზაციის შესახებ დღეს გაბატონებული არაობიექტური მოსაზრებები. ჩვენი აზრით, არ შეიძლება ეს ურთულესი საზოგადოებრივი პროცესი მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან შევაფასოთ. მთავარია გავერკვეთ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, ხალხში გამეფებულ მაშინდელ სულისკვეთებაში, იმ ფაქტის აღიარებაში, რომ გაჭირვებასა და სიღატაკეში მყოფი ადამიანები ცხოვრების პირობების მინიმალურ ამაღლებას აღიქვამდნენ უდიდეს მიღწევად. ამის გაუთვალისწინებლად, მოვლენების სწორი პოლიტიკური შეფასების გარეშე, შეუძლებელია გავერკვეთ ადამიანთა მაშინდელ ფსიქოლოგიაში.

პოლიტოლოგიაში ცნობილია პოლიტიკური პროცესების შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკური სისტემის მრავალმხრივ და სრულყოფილ შესწავლას. წარმატებებს, მიღწევებს, განვითარების დონეს, პროგრესს ყოველთვის აქვს შედარებითი ხასიათი. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში რომელი ექსპერიმენტია სწორი, მისაღები, გამართლებული, პროგრესული მხოლოდ თეორიული მსჯელობით როდი დადგინდება. იგი უნდა შევაფასოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი რეალური შედეგების მიხედვით. მაგრამ აქედან არც ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ თუ სხვა "ექსპერიმენტმა" (საბაზრო ეკონომიკა) უკეთესი შედეგები მოგვცა, ვიდრე კოლექტივიზაციამ, თითქოს მიუღებელია ვილაპარაკოთ მარცხგადატანილ "ექსპერიმენტებზე". ასეთი მსჯელობა მცდარია. სხვა საკითხია, რომ კოლექტივიზაციის ისტორია ახლებურად უნდა გავიაზროთ და გავაანალიზოთ, ძველი დოგმები უკუვაგდოთ ან გადავსინჯოთ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს პრობლემის განხილვის უგულებელყოფას. კოლექტივიზაცია ჩვენი ისტორიის ნაწილია, მოიცავს 64 წელზე მეტ (1927-1991) პერიოდს და მისგან ვერ ამოვგლეჯთ. მისი გულმოდგინედ შესწავლით პროცესებსა და მოვლენებს უნდა მიეცეს პირუთვნელი, მიუკერძოებელი და ობიექტური შეფასება.

მხოლოდ ნაკლებად ცივილიზებულ ერებს ახასიათებთ ისტორიის ფურცლების ამოგლეჯა. ისტორია ობიექტური რეალობაა, რომელიმე პროცესსა თუ მოვლენას წარსულიდან ვერ ამოძირკვავ, ვერ გადააკეთებ, რაც არსებობდა, სამუდამოდ დარჩება ისტორიაში, როგორც მისი ნაწილი. აწმყოს ამოცანას წარმოადგენს ისტორიის გაკვეთილების შესწავლა და ანალიზი, სამომავლო პროგრამის დასახვა და არა წარსულის მიჩქმალვა, წაშლა, დამახინჯება-გაყალბება.

პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ პროცესებს წინ უსწრებდა საქართველოს ძალით გასაბჭოება, წინააღმდეგობებისა და ბრძოლების უმძიმესი წლები, კოლექტიური მეურნეობის უპირატესობის სისტემატური პროპაგანდა, მოწოდებები მამაპაპისეული ტრადიციების წინააღმდეგ, განცხადებები კოლექტივიზაციის პირობებში იდეალური ცხოვრების უზრუნველყოფის შესახებ. მიწის რეფორმებმა გლეხების თანაბარი პირობები ვერ დაამკვიდრა. აკრძალვის მიუხედავად, გრძელდებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვა. მარტო 1926 წელს საქართველოში გამოვლინდა 1162 ასეთი შემთხვევა. მიწებს უმთავრესად შეძლებული გლეხები ყიდულობდნენ და კვლავ მისდევდნენ დაქირავებულ შრომას, რაც ეწინააღმდეგებოდა მიწის კანონმდებლობასა და სოციალიზმის თეორიას. მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით და ქვეყნის ხელმძღვანელთა აზრით, ამ პროცესების დაძლევა, დუხჭირი მდგომარეობიდან გამოსვლა, შეიძლებოდა მხოლოდ მასობრივი კოლექტივიზაციით, მისი ტემპის დაჩქარებით. საზოგადოების ასეთი ფსიქოლოგიური დამუშავების შემდეგ იწყება პრაქტიკული მოქმედება. მართლაც, კოლექტივიზაციის ინტენსიური დანერგვა იწყება სკკპ(ბ) XV ყრილობის (1927 წლის დეკემბერი) შემდეგ.

კოლექტივიზაციას წინ უსწრებდა გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა. გურიანთაში ჯერ დაარსდა უღარიბეს გლეხთა კომიტეტი (გლეხკომი), ხოლო 1928 წელს მიწის საზოგადოებრივი შრომით დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშავებელი ოთხი ამხანაგობა, რომლებშიც გაერთიანდა 80 კაცი. მომზადდა ნიადაგი სასოფლო-სამეურნეო არტელზე გადასვლისათვის. კოოპერატივებში, ღარიბებისა და მოჯამაგირეთა მიზიდვის მიზნით, მათთვის დაარსდა სპეციალური ფონდი. გაიზარდა ქალთა მონაწილეობა კოოპერატიულ მოძრაობაში.

ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში პოპულარობას იძენდა დამამზადებელ-გამსაღებელი კოოპერატივები, რომლის საშუალებითაც გლეხობას, აქ ჩაბარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სანაცვლოდ, შეეძლო მიეღო სამრეწველო ნაწარმი, პირველი მოთხოვნილების საქონელი, რომლის დეფიციტი ასრულებდა კოოპერატიულ მოძრაობაში "ჩამთრევი" მექანიზმის როლს. ჩანაფიქრის მიხედვით მსგავს კოოპერატივებს სოფლად უნდა შეემცირებინათ "კაპიტალისტური ელემენტების" გავლენა და თანდათან ამოეძირკვათ იგი. გურიანთაში დღესაც შემორჩენილია გამოთქმა "კოოპერატივში მივდივარო" და იგულისხმება თანამედროვე მაღაზია (ძველად კოოპერატივებს ჰქონდათ პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის დამზადებაგასაღების ფუნქციები).

გლეხები ღებულობდნენ გრძელვადიან სესხებს, ინვენტარს. 1929 წელს გურიანთაში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო არტელი, კოოპერატივი, რომელში შესვლაზეც გარკვეული გადასახადი იქნა დაწესებული. ეს წესი არ ვრცელდებოდა უღარიბეს გლეხობაზე. კერძოდ, არტელში უფასოდ მიიღეს 72 უღარიბესი გლეხი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაში -- 30 (ოსა, ფ.1, ს.121, ფურც.141). სხვა დოკუმენტის მიხედვით კოოპერატივში უფასოდ გაერთიანებულა 60 კაცი (იქვე, ს.213, ფურც.9). მონაცემების სხვაობის მიუხედავად, ირკვევა, რომ არტელში გაერთიანებულთა უმრავლესობა უღარიბესი გლეხები იყვნენ. იყო შემთხვევები, როცა კოლმეურნეობებში დაუსწრებლად ღებულობდნენ ქალაქად მომუშავე თანასოფლელებს, რომლებსაც აცნობებდნენ: "თქვენ ჩვენი კოლმეურნეობის წევრი ხართ და გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ხელფასის 10 პროცენტი საწევრო გადასახადის ანგარიშში". აქედან ნათლად ჩანს კოლმეურნეობაში იძულებით შეყვანილი გლეხებისადმი გამოვლენილი ცინიზმი, მათი ჩაყენება პარადოქსულ სიტუაციაში. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით მსგავსი ფაქტები მასობრივი კოლექტივიზაციის პერიოდში არ შეინიშნებოდა.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გურიანთაში მაშინ კოოპერატივთან ერთად არსებობდა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა. ეს იყო ძიების პროცესი. საბოლოოდ გაიმარჯვა კოლმეურნეობამ.

ნიშანდობლივია, რომ კოლმეურნეობათა და კომუნათა მშენებლობა საქართველოში მისი გასაბჭოებისთანავე დაიწყო. პირველი მიწის გადამმუშავებელი საზოგადოება "ახალი ცხოვრება" შეიქმნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ.სამთავისში (კასპი) 1921 წლის მარტში და ცნობილი იყო არტელის სახელით. მალე, 1922 წელს, მუკუზანში დაარსდა კოლმეურნეობა -- "გლეხთა გაერთიანება", ხოლო ველისციხეში -- "შრომის სამეფო". 1927 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო არტელების, კომუნებისა და მიწის საზოგადოებრივ დამმუშავებელ ამხანაგობათა რიცხვმა საქართველოში 80-ს გადააჭარბა ("საბჭოთა საქართველოს 10 წელი", სტატისტიკური კრებული, ტფ.,1931, გვ.224). სამთავისის არტელი 1924 წელს კომუნად გადაკეთდა. იმავე წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ გულიანში დაარსდა ამხანაგობა "ლიმონი", რომელიც მალე კომუნად იქცა. აქ გააერთიანეს საკარმიდამო ნაკვეთები, პირადი მეურნეობა, ცხოველები და შინაური ფრინველებიც კი. კომუნამ იარსება 1935 წლამდე.

კოლექტიური მეურნეობისადმი დამოკიდებულება, მისი სხვადასხვა ფორმების დაარსება, აზრთა ჭიდილი, საეჭვო ექსპერიმენტები -- აი, რით იყო დაკავებული 20-იან წლებში მთელი ქვეყანა. "ექსპერიმენტებიდან" განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კომუნები. როგორც წესი, კომუნაში შემსვლელთ უნდა გაეერთიანებინათ თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება, ემუშავათ უნარის მიხედვით და მიეღოთ მოთხოვნილებისამებრ. კომუნის ორგანიზატორები კოოპერაციის ამ ფორმას მიიჩნევდნენ კომუნისტური ტიპის გაერთიანებად. კომუნებთან დაკავშირებით დაირხა ჭორები -- "ერთ ჭერქვეშ" ცხოვრების შესახებ. ავყია ადამიანები ქილიკობდნენ: "კომუნებში მოისპო ცოლ-ქმრობა, განსაზოგადოებულია ქალები, გაქრა ნათესაობა, სძინავთ ერთ ვეებერთელა საბნის ქვეშ, წაიშალა ოჯახი, დასამარდა მორალი". გასაგებია, თუ რა მიზნებს ისახავდა მსგავსი ჭორები. ერთი კი ცხადია, კომუნების შექმნით დაუშვეს გამოუსწორებელი შეცდომები, განიავდა ქონება, დაინგრა შენობები, განადგურდა პირადი საკუთრება. ასე სურდათ მეხსიერებიდან ამოეძირკვათ კერძო საკუთრებისადმი მიდრეკილება, დაემტკიცებინათ კოლექტიური შრომისა და დიდ მასივებზე ტექნიკის გამოყენების უპირატესობა. იმ იმედით, რომ მალე მძლავრი ტექნიკა შეცვლიდა ცოცხალ გამწევ ძალას, ხარები და კამეჩები გაყიდეს და გაანადგურეს. უფრო გვიან იძულებული გახდნენ მათ შესაძენად დიდი თანხები გაეღოთ. უსახლკაროდ დარჩენილი კომუნარების ნაწილი კი დაქირავებულ ბინებში ცხოვრობდნენ.

კომუნარები სამუშაოზე გადიოდნენ სურვილით. ბევრი იყო ზარმაცი, შემოსავალი კი ნაწილდებოდა მჭამელთა რაოდენობის მიხედვით. კომუნარებმა მთელი შემოსავალი გაფლანგეს, სესხიც აიღეს, ვალი დაიდეს, მოუწესრიგებელი შრომისა და თანაბარი განაწილების პირობებში ასეთი დასასრული ლოგიკური იყო. სხვა გზა აღარ ჰქონდათ, კომუნებში აფორმებდნენ ხელწერილებს, რომლის მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქიდან გასულ პირებს უარი უნდა ეთქვათ შეტანილი ქონების ნაწილ ვარზე, როგორც ეს წინასწარი შეთანხმებით იყო გათვალისწინებული.

კომუნების შექმნასთან დაკავშირებით სჯა-ბაასი გურიანთაშიც გაიშალა, მაგრამ, საბედნიეროდ, მოსახლეობის უმრავლესობამ მეურნეობის ასეთ ფორმაზე უარი თქვა და ავანტურაზე არ წავიდა. საბოლოოდ გაიმარჯვა კოლმეურნეობის ჩამოყალიბების იდეამ და რადგან ხსნას კოლმეურნეობაში ხედავდნენ, დაიწყო მისი თავბრუდამხვევი ტემპით ჩამოყალიბება. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოზურგეთის მაგრა, სადაც 1930 წელს კოლექტივიზაციის მაჩვენებლები 3,5-ჯერ ჭარბობდა 1928 წლის მონაცემებს. სხვა რაიონებში ეს პროცესები გაცილებით ნელა მიმდინარეობდა. კერძოდ, შესაბამის პერიოდში, სენაკის მაგრაში კოლექტივიზაციის ტემპი გაიზარდა 1,46-ჯერ. განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინეს გურიანთელებმა. 1930 წლის დასაწყისისათვის კოლმეურნეობაში გაერთიანებულთა რაოდენობა აქ 4 პროცენტს ძლივს აღწევდა, ხოლო რამდენიმე თვეში კოლექტივიზაცია დამთავრდა კიდეც. პირველ ხანებში განასაგზავნეს წვრილი საწარმოო საშუალებები, საოჯახო ნივთები, საკვები პროდუქტები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

შეძლებული გლეხებიდან უმრავლესობამ ნებაყოფლობითა თუ რეპრესიების შიშით, ერთ-ერთმა პირველებმა ჩააბარეს გუთნები, საფარცხი, სახნისი და თვით გამწევი ძალაც (ხარები), რითაც საბჭოთა ხელისუფლებას ლოიალობა გამოუცხადეს. საერთოდ აღსანიშნავია, რომ კოლექტივიზაციისათვის გურიანთაში დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ამ პროცესს სერიოზული გართულებები არ მოჰყოლია. თუმცა ისიც ცნობილია, რომ ოზურგეთის მაგრაში, როგორც წესი, კოლექტივიზაციას წინ უსწრებდა სოფლის მოსახლეობის სიის შედგენა, გლეხების გაფრთხილება, ვინც კოლმეურნეობაში არ შევიდოდა, ჩამოერთმეოდათ მიწები, აეკრძალებოდათ სამომხმარებლო-საგამსაღებლო კოოპერატივებიდან სამრეწველო საქონლით სარგებლობის უფლება და დაიბეგრებოდნენ ინდივიდუალური წესით, მოეხსნებოდათ ნებისმიერი შეღავათები, მოხვდებოდნენ განკულაკებულთა სიაში. შიშის გამეფებას ხელი შეუწყო, აგრეთვე, საშუალო გლეხების შევიწროებამ, კოლმეურნეობაში შესვლაზე ყოყმანის გამო. ფაქტიურად ადგილი ჰქონდა უხეშ ადმინისტრირებას, იძულებასა და მუქარას.

შეცდომები დაუშვეს გლეხურ მეურნეობათა განსაგზავნებაშიც, აღწერეს, უკვე კოლმეურნეობაში გაერთიანებული გლეხების, წვრილი საწარმოო საშუალებები და პირუტყვი. მთელ რიგ სოფლებში ჩამოართვეს ღორები, ქათმები, ღორის შაშხი და სხვა. ყველას პირზე ეკერა კოლმეურნეობაში ასი პროცენტით გაერთიანების აუცილებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. ასეთ სიტუაციაში გურიანთის თემის ხუთი სოფლიდან კოლმეურ-ნეობაში შესვლაზე თავი შეიკავა მხოლოდ 15 ოჯახმა, 1936 წლისათვის 601 კომლიდან კოლმეურნეობის გარეთ დარჩა მხოლოდ 6 ოჯახი.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ კოლმეურნეობები "დან-აგვიანებული" იყვნენ "მკვდარი სულებით", მათში ირიცხებოდნენ აქ მცხოვრები ქალაქების მოსამსახურეებიც, ადამიანები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი არ ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო არტელთან. 1935 წელს გურიანთაში მათი რიცხვი 350-ს აღწევდა.

საკოლმეურნეო მშენებლობას აფერხებდა სახელმწიფო აქტით მიწის მიუღებლობა, რაც გაგრძელდა 1935 წლამდე. უვადო სარგებლობაში გურიანთას სწორედ მაშინ გადაეცა 2220 ჰექტარი მიწა.

სხვა რაიონებთან შედარებით ოზურგეთის მაზრაში კოლექტივიზაციის გამორჩეულად მაღალ ტემპზე მიუთითებს შემდეგი მაჩვენებლები: 1930 წელს საქართველოში კოლექტივიზებული იყო მეურნეობის 21,8 პროცენტი, ოზურგეთში -- 58, 1931 წელს შესაბამისად -- 33,5 და 96,7 პროცენტი. 1932 წლის მაჩვენებლებიც დიდად განსხვავდებოდა და 36,1, 97,2 პროცენტს აღწევდა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ.II, თბ., 1947, გვ. 71). ციფრებიდან ჩანს, რომ ჩვენი რაიონის კოლექტივიზაციის ტემპი თითქმის 3-ჯერ უსწრებდა რესპუბლიკის მაჩვენებლებს. ეს სხვაობა კიდევ უფრო დიდი იყო საერთო-საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით. სოფელი მოიცვა არნახულმა მოძრაობამ, დაიწყო არტელებისათვის მიწების გადაცემის შეუქცევადი პროცესი. მასობრივი კოლექტივიზაციის ციებ-ცხელებაში გურიანთა რაიონში ერთ-ერთი პირველი იყო. აქ კოლმეურ-ნეობა ფაქტიურად ერთ თვეში (1930 წლის თებერვალი) დაარსდა. სოფლის საერთო კრების გადაწყვეტილებით მასში გაერთიანდა 5 სოფელი (კახური, ციხისფერდი, ბაილეთი, ახალსოფელი, ჭანიეთური).

ნიშანდობლივია, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის პირველი წლის შედეგებისადმი მიძღვნილი მაზრის საზეიმო კრება მშრომელებმა სწორედ გურიანთაში ჩაატარეს (1931 წ. 6 სექტემბერი). აქ შეჯამდა საკოლმეურნეო მოძრაობაში მოპოვებული პირველი წარმატებები. დამახასიათებელია, რომ შეკრების მონაწილეებმა ფიცი დადეს კვლავაც გაბედულად ებრძოლათ კულაკებისა და მენშევიკების, ზარმაცებისა და თაღლითების წინააღმდეგ. ამას მოჰყვა, სოფელ ბახვში გამართული, დღეისათვის ანეკდოტურად მეღერადი "საკოლმეურნეო შრომის ზარმაცების" პირველი კონფერენცია, რომელზეც მათ თავი გამოაცხადეს შერცხვენილებად და პირობა დადეს, რომ იშრომებდნენ ბეჯითად. ასეთი კონფერენციების მიზანი იყო გაკიცხვის ატმოსფეროს შექმნა. მართალია, მსგავსი ღონისძიებები უხეში ფორმებით ტარდებოდა და მოქალაქეთა შეურაცხყოფითა და დაშინებით მთავრდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, მაგრამ კოლექტივიზაციის მესვეურთა დიდ მოწონებას იმსახურებ-და.

ოზურგეთი გამოირჩეოდა მრავალი სხვა "სიახლითა" და "გამომგონებლობით", რითაც ხერხდებოდა კოლექტივიზაციის წარმოუდგენლად მაღალი ტემპის შენარჩუნება. უკვე 1930 წლის ივლისისათვის დაარსდა 67 კოლმეურნეობა, გურიანთასა და კიდევ ხუთ სოფელში კოლექტივიზაცია მთლიანად დასრულდა, ხოლო 61-ში გრძელდებოდა.

ზემომოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ გურიანთა რაიონის მაჩვენებლებსაც უსწრებდა. ასეთი აქტიურობა და ენთუზიაზმი რაიონის ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩენია. აქაური აქტივისტები სათანადოდაც გამოიყენეს აგიტაციის გასაწევად, გურიანთელთა გამოცდილების დასანერგად და სხვა სოფლებში მიავლინეს. ი. დათუნაშვილის მოგონებით, მასობრივ კოლექტივიზაციაზე გადასვლის სამზადისისთანავე (1929 წელი) გურიანთიდან სხვა სოფლებში მსგავსი მისიით სისტემატურად 2-3 კაცს მიავლენდნენ, რითაც თავისი წვლილი შეჰქონდათ მთელი მაზრის კოლექტივიზაციის დაჩქარებაში. მართლაც, 1931 წლის ივნისისათვის კოლექტივიზაციის დონით ოზურგეთმა ბევრად გაუსწრო ხონის (40%), ჩოხატაურისა (36,5%) და სხვა რაიონებს ("საქართველოს კოლექტივიზაციის ისტორია" 1927-1937 წწ, თბ. 1970, გვ.21, რუს.).

გურიანთაში შერჩეულ აქტივისტებს დაევალათ აგიტაცია გაეწიათ უპარტიო მასების კოლმეურნეობაში ჩასაბმელად, ამ მიზნით კახურიდან გამოყვეს იაკინთე კვერღელიძე (პარტბიუროს მდივანი), აკაკი მალაზონია (სოფლის საბჭოს თავმჯდომარე), ნიკიფორე მჟავია, ახალსოფლიდან -- ა. ჩხარტიშვილი, გ. დობორჯგინიძე, ლ. ჩხაიძე, ლ. კიღურაძე, ს. ჟღენტი, მ. ცერცვაძე, ციხისფერდიდან -- ი. დათუნაშვილი, ვ. მუჯირი, სულ 12 კაცი. გურიანთაში ოზურგეთიდან მიამაგრეს თოფილე კვაჭაძე, აქტივისტებმა გაშალეს დიდი მუშაობა, შეადგინეს სიები, გამოყვეს ქვეკომისიები, აღრიცხეს გამწევი ძალა, ინვენტარი, საყანე ფართობები, ოჯახებში შენახული სიმინდი.

აქტივისტები ხშირად 14-16 საათს მუშაობდნენ და იქვე, ალექსი ტოტოჩავასაგან ჩამორთმეულ სამუშაო ოთახებში იძინებდნენ. თითქოს პარადოქსია, რომ კოლმეურნეობის თავკაცები სარგებლობდნენ თვით ალექსის მიერ ნაჩუქარი მაგიდით, სკამებით, ქაღალდითა და საკანცელარიო ნივთებით. სკამები საკმარისი არ ჰქონდათ და მათ მორიგეობით იყენებდნენ, დანარჩენები ფეხზე მდგარი საქმიანობდნენ. შოთა კვაჭანტირაძის მოგონებით, გამგეობის წევრებმა თანდათან, საკუთარი სახსრებით შეიძინეს მაგიდები, სკამები და საკანცელარიო ინვენტარი. ასეთ უმძიმეს პირობებში უხდებოდათ მუშაობა, ენთუზიაზმით აღსავსე, კოლექტივიზაციის სათავეებთან მყოფ ხელმძღვანელებს. არცერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათგანი, ამ მდგომარეობაში ჩავარდნის გამო, ბედს არ უჩიოდა, [illegible] ქით, ხსნას ამ პროცესის მალე დამთავრებაში ხედავდა. ფიანდაზით მოგებული არ იყო მათ მიერ არჩეული გზა. დაძაბული შრომისათვის ძალას ახალი საზოგადოების შექმნის რწმენა აძლედათ. დღეს ეს არც უნდა გავიკვირვოთ და მაშინდელი სოფლის თავკაცები აუგადაც არ უნდა მოვიხსენიოთ. ასეთი მისია არგუნა მათ ისტორიამ, ასეთი ჰქონდათ რწმენა.

ზემომოტანილი ფაქტები ნათლად მიუთითებენ სიძნელეებსა და ადამიანთა ერთი ჯგუფის წარმოუდგენელ ენთუზიაზმზე. მათივე წინადადებით 1930 წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს აკაკი მალაზონია, ხოლო სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ თოფილე კვაჭაძე, ეს უკანასკნელი, სოფლის ყრილობამ დაამტკიცა იმავე წლის თებერვალში.

კოლმეურნეობის შექმნისთანავე დაინერგა ბრიგადული მუშაობის მეთოდი. დამახასიათებელია, რომ ბრიგადირები თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ უხელფასოდ, როგორც საზოგადოებრივ დატვირთვას. ხელფასები ეძლეოდათ მხოლოდ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ბუხჰალტერსა და მოანგარიშეს -- სამ კაცს. აპარატის შენახვაზე უაღრესად მცირე თანხა იხარჯებოდა. მომდევნო პერიოდში ეს პრინციპი დაირღვა, შემოსავლის დიდი ნაწილი გაბერილ შტატებს ხმარდებოდა, იზრდებოდა სხვა ხარჯებიც, ზარალდებოდნენ კოლმეურნეები.

აღსანიშნავია, რომ გასაბჭოების შემდეგ ქალაქად და სოფლად, თითქმის ყველა სფეროში დამკვიდრდა საზოგადოებრივი დატვირთვა, ადამიანთა ენთუზიაზმზე აქცენტის გადატანა. არცერთი წყობილების დროს საზოგადოებრივი დატვირთვის ასეთი მასშტაბები არ შეინიშნება. ენთუზიაზმზე ორიენტირებას გამართლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ხანმოკლე პერიოდში, და არა ათეული წლების განმავლობაში, როგორც ჩვენში ხდებოდა ხოლმე.

ნიშანდობლივია, რომ კოლექტივიზაციის დაწყებასთან დაკავშირებით სოფლის მცხოვრებთა ნაწილის კეთილი განწყობა არ გამოხატავდა მთელი სოფლის აზრს. კოლექტივიზაცია მიმდინარეობდა ძალდატანებით, მუქარით, მატერიალური და მორალური სანქციების გამოყენებით. კოლმეურნეობაში იძულებით გაერთიანებას ასახავდა გურიანთის კედლის გაზეთში გამოქვეყნებული ლექსი: "შენი ჩაი, ჩემი ჩაი, კოლექტივში ერთად ჩაი, თუ არ მოგწონს აგი ჩაი, სადაც გინდა იქით წაი". "პოეტმა" ასე გულწრფელად, უხეშად და მარტივად გამოხატა სოფელში მიმდინარე პროცესები, იქ გამეფებული სულისკვეთება, კოლმეურნეობაში გაერთიანების იძულებითი ხასიათი, ამ პროცესის შეუქცევადობა. მთელს ქვეყანაში სახელდახელოდ "შეკოწიწებულ" ათასობით "არტელში" არ ჰყავდათ კადრები, წარმოდგენა არ ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ შრომის ორგანიზაციაზე. განკულაკებული გლეხები, რომლებიც სინამდვილეში საშუალო შეძლებისანნი იყვნენ (და არა მდიდრები), ბეჯითი შრომით გამოირჩეოდნენ, სოფლებიდან გარბოდნენ. გამწვავდა სოციალური ურთიერთობა, გააქტიურდნენ ანტისაბჭოთა პარტიები, გაიზარდა დაძაბულობა.

კულაკების წინააღმდეგ განწყობის საერთო სულისკვეთება აისახა გურიანთის თემის საერთო კრებაზე (1929 წლის 18 იანვარი) გამოსული ორატორების (ალფესი თოიძე და სხვები) მოწოდებებში კულაკობის ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად დაერაზმათ უღარიბესი და საშუალო გლეხობა (ოსა, ფ.1, ს.210, ფურც.29). კრებამ ერთხმად მოიწონა პარტიის მიერ გამოცხადებული კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის კურსი.

ქვეყანაში ატაცებული ეს ლოზუნგი ვერ გამოხატავდა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის არსს, რადგან კულაკობა, როგორც კლასი, არც არსებობდა, იგი წარმოადგენდა გლეხობის ერთ-ერთ ფენას. საქართველოში კულაკების რიცხვი უაღრესად მცირე იყო. ეს მით უფრო ითქმის გურიანთაზე, სადაც კულაკები ფაქტიურად არც ჰყოლიათ. სოფელში გამოირჩეოდნენ საშუალო მესაკუთრეები (თუმცა ისინიც ცოტანი იყვნენ), სოფლის მოჭირნახულე, თავდადებული, მუხლმოუხრელი მშრომელები, ოჯახისა და ქვეყნის მარჩენალი გლეხები, რომლებმაც სახელი თავიანთი მარჯვენით გაითქვეს. სამწუხაროდ, კულაკობის წინააღმდეგ აღმართული მახვილი სწორედ მათ დაატყდათ თავს, გაუმწარეს სიცოცხლე, დაუკარგეს მოსვენება, წაართვეს შრომის ხალისი, ერთ კოლექტიურ მეურნეობაში უკრეს თავი, ეპყრობოდნენ როგორც დამნაშავეებს, პიროვნებებს, რომლებიც თითქოს სხვისი ყვლეფით გამდიდრდნენ. ამას მოჰყვა მიწების ჩამორთმევის შეუქცევადი პროცესი. 155 ოჯახს ჩამოერთვა 117 ჰექტარი ფართობი, მათ შორის ჩაის პლანტაცია -- 77 ჰექტარი, ტყე და ბუჩქნარი -- 95,6, ხეხილის ბაღი -- 6,9 ჰექტარი. ასეთ პირობებში ციინიკურად ჟღერდა ფილიპე მახარაძის მოწოდება: კოლმეურნეობაში შესვლისას არ დაეშვათ ძალდატანება, არ მიემართათ იძულებითი მეთოდებისათვის, გლეხები მიეზიდათ დაჯერებით, მაგალითის ძალით. "კოლმეურნეობაში, წერდა იგი, -- უნდა შევქმნათ ისეთი პირობები... რომ წევრებმა ამჯობინონ იქ ცხოვრება და არა აქედან გაქცევა, მაგრამ კოლმეურნეობა საბყრობილე ხომ არაა, რომ აქ ძალით დავანარჩუნოთ ხალხი, თუ ვინმეს არ სურს იქ დარჩენა, ორში ერთი: ან კოლმეურნეობა არ ვარგა და საჭიროა მისი გაჯანსაღება, ან კიდევ ის, ვინც იქიდან მიდის, უვარგისი ელემენტია... ზევიდან კარნახით ან ბრძანებით კოლმეურნეობა არ აშენდება" (ფ.მახარაძე, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, თბ, 1930,გვ.39-40). ასე იყო სიტყვით, საქმით ყველგან მკვიდრდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა იძულებითი მეთოდები. ნაწილობრივ ციტატიდანაც ჩანს, ბევრ გლეხის არჩევანი გამორიცხული იყო, ხოლო კოლექტივიზაცია გარდუვალი, კოლმეურნეობა თუ არ ვარგოდა, უნდა გაეუმჯობესებინათ და არ ეფიქრათ მის დაშლასა და გაუქმებაზე -- ასეთი იყო მახარაძისეული საუბრის დედააზრი.

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების ანალიზი ჩამოყალიბებულია 1930 წლის 2-3 მარტს "პრავდაში" გამოქვეყნებული ი. სტალინის სტატიებში: "თავბრუდახვევა წარმატებებისაგან" და "პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს", რომლებშიც მითითებული იყო ავანტურისტულ ცდებზე ერთი ხელის დაკვრით გადაეჭრათ ურთულესი პრობლემა. განსაკუთრებით დაგმობილი იყო ძალადობა, მასობრივი განკულაკება და სხვა. ამას მოჰყვა იძულებით შექმნილ კოლექტიურ მეურნეობათა დაშლა, არტელებიდან მასობრივი გამოსვლა. ორიოდე თვეში (10 მაისამდე) საქართველოში დაიშალა 800 კოლმეურნეობა, მათ შორის ოზურგეთის მაზრისა -- 180 ("საქართველოს სოფლის მეურნეობა", თბ.,1930, გვ.28).

საშუალო გლეხების ნაწილს დაუბრუნეს მიწები. გაჩნდა არალეგალური კედლის გაზეთები, რომელთა ჩამოგლეჯისათვის "აგენტებს" სიკვდილით ემუქრებოდნენ (ოსა, ფ.1, ს.11, ფურც.135).

კოლექტივიზაციის ტემპის შენელება იყო დროებითი მოვლენა, მალე კვლავ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებული შეცდომები დაბრალდა რესპუბლიკის კომპარტიის ძველ ხელმძღვანელობას (გ.კახიანი, ლ.ღოღობერიძე, ს.მამულია). დაიწყო 1931 წელს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დანიშნული ბერიას ქება-დიდება, მისი ხელმძღვანელობის გაფეტიშება. თითქოს იგი ამქვეყნად მოევლინა დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. სიტყვით დაგმობილ იქნა იძულებითი მეთოდების გამოყენება, კოლექტივიზაციის ტემპების ხელოვნური დაჩქარება, საქმით მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, არაფერი შეცვლილა. ოზურგეთის რაიონში კოლექტივიზაცია ძირითადად დამთავრდა 1932 წელს. ამ დროს კოლმეურნეობათა რაოდენობამ 39-ს მიაღწია, კომლისა -- 8355-ს (1933 წელს -- 8529-ს), კოლექტივიზაციამ 99 პროცენტს გადააჭარბა. ასეთი მაღალი მაჩვენებლები არ ჰქონია საქართველოს არცერთ რაიონს. მაგალითად, ყვარლის რაიონში კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 9,1 პროცენტი, ბორჯომისა -- 13,9, გურჯაანისა -- 15, საგარეჯოს -- 15,4, სულ აღმოსავლეთ საქართველოში -- 30 პროცენტი. უფრო მაღალი მაჩვენებლები იყო დასავლეთ საქართველოში, თუმცა ოზურგეთის რაიონი აქაც ყველას უსწრებდა და პირველობას არავის არ უთმობდა. კერძოდ, ქუთაისის მონაცემები უდრიდა 24 პროცენტს, წულუკიძისა -- 30,6, ბაღდადისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

-- 21, ჩხარისა -- 16, ზუგდიდისა -- 44, ხობისა -- 35 პროცენტს. ნულ დასავლეთ საქართველოში -- 46,3 პროცენტს, საქართველოში კი -- 39,1 პროცენტს. 1936 წლისათვის რესპუბლიკის მაჩვენებლები გაიზარდა 74,4 პროცენტამდე. ოზურგეთის რაიონის მესვეურთა კურსმა, ყველაზე ადრე დაემთავრებინა კოლექტივიზაცია, გავლენა მოახდინა გურიანთაზეც.

ი.ბ. სტალინის სტატიების შემდეგ, იძულებით მეთოდებზე დროებით უარის თქმით, კოლექტივიზაციის ტემპების შენელებით, არსებითად არაფერი არ შეცვლილა. ქალაქად დაწყებული სოციალისტური გარდაქმნები გარდაუვალს ხდიდნენ იმავე ყაიდაზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნებს, ასეთი იყო კომუნისტების საპროგრამო მოთხოვნები. კიდევ მეტი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დაჩქარებით სურდათ გავლენა მოეხდინათ მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე, უზრუნველეყოთ ჩვენი გამოცდილების გაზიარება, მთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. მაშასადამე, პირველ რიგში საჭირო იყო ამ პროცესების ჩვენს ქვეყანაში დასრულება. ეს კი შეუძლებელი იყო იძულებითი მეთოდების გამოყენების გარეშე.

სოციალიზმის ჩვენებურმა მოდელმა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ, მოშალა საქართველოში ოდითგანვე დამკვიდრებული თემი, მისი მეურნეობა. ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში თემს ენიჭებოდა შიგა სასოფლო, სამოქალაქო და საოჯახო ურთიერთობათა მოწესრიგების ფუნქციები. ქართული მწერლობის უძველესი ძეგლების მიხედვით დასახლებული ადგილების ტერიტორიული და ადმინისტრაციული ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინი იყო ტომი, ერი, ხალხი, ხოლო თემი XI საუკუნის უფრო ადრინდელ ძეგლებში არ გვხვდება. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ სოფლის მოსახლეობა ძველად ერთი გვარისაგან შედგებოდა. ეს იყო გვაროვნული თემი. მოგვიანებით თემი ნიშნავს ქვეყანას, მხარეს, კუთხეს, რაიონს, ხეობას. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ თემს ეწოდა სოფლის საზოგადოება, რომლის ორგანოს წარმოადგენდა კომლის მეთაურთა კრება ("თემობა"), ეს იყო ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული ორგანიზაცია.

სათემო მიწები ჯერ კომლთა ინდივიდუალურ სარგებლობაში გადადიოდა, შემდეგ კი კერძო საკუთრებაში. კერძო საკუთრებად, უწინარეს ყოვლისა, საკარმიდამო ეზო, ხოლო შემდეგ მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული სახნავ-სათესი მიწები გადაიქცა, ყველაზე გვიან კი -- საძოვრები, ტყეები ("ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", ტ.4, თბ., 1979, გვ.650). თემობრივი მიწათსარგებლობა არსებობდა XX ს. 20-იანი წლების დასასრულამდე. 1927-1928 წლებში თემი დაუმორჩილეს სასოფლო საბჭოს. გლეხების კოლმეურნეობაში იძულებით შეყვანით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცამტვერდა თემის ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა. ისიც სანიშნავია, რომ თემის არსებობამ საქართველოში გარკვეულად დააჩქარა სოფლის საკუთრებაში მყოფ მიწებზე მსხვილი არტელების ჩამოყალიბება, კოლექტიურ მეურნეობებზე გადასვლა. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ კოლმეურნეობის დაარსების მომენტისათვის წარმოდგენაც არ ჰქონდათ კოლექტიური შრომის ორგანიზაციაზე. პარტბიურომ მხოლოდ 1930 წლის დეკემბერში შექმნა მომდევნო წლების საწარმოო გეგმების კომისია, რომლებშიც შევიდნენ კოლმეურნეობის გამგეობის წარმომადგენლები: ლ.ჩხაიძე, ს.ლ.კვაჭაძე, აგრონომი ს.ჩხაიძე, აგროტექნიკოსი ნ.მჟავია და მასწავლებელი ლ.არეშიძე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სასაქონლო სიმინდის წარმოებას. უნდა დაემზადებინათ 7500 ფუთი სიმინდი, ნაცვლად ადრე გათვალისწინებული 5800 ფუთისა (სპა, ფ.2341, ს.1, ფურც.2,13), რაც მთელი ოზურგეთის რაიონის გეგმის (75 ათასი ფუთი) მეათედი იყო. აქედან შეიძლება რამდენიმე დასკვნის გაკეთება. პირველი, კოლმეურნეობის დაარსებისთანავე დაკანონდა დიდი სახელმწიფო გეგმები, რომლებიც დაძაბული შრომით თუ შესრულდებოდა. ხშირად ეს შეუძლებელიც იყო. ასე იჩინა თავი მიწერებმა, რომლებიც იმთავითვე, მეტწილად, არარეალურმა გეგმებმა განაპირობა, ხოლო მოგვიანებით იგი სიყალბის საგანგებოდ დამუშავებულ მეთოდად იქცა. მეორე, "გაბერილი" გეგმების შესრულებით გლეხები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან სათანადო ანაზღაურებას ვერ ღებულობდნენ. მესამე, გეგმაში სისტემატურ ცვლილებებს "კანონზომიერი" ხასიათი მიეცა, რასაც განაპირობებდა ზემდგომი ორგანოების დიქტატი.

სიმინდის დამზადების მტკიცე დავალებები ეძლეოდათ ცალკეულ გლეხებს, მათ შორის ღარიბებსაც, რომლებსაც ოჯახის გამოსაკვებად მარცვლეული 8-10 თვეს ძლივს ყოფნიდათ და სარჩოს ბაზარზე იძენდნენ ან მეზობლისაგან სესხულობდნენ.

არარეალური გეგმები განსაკუთრებით ხორცის დამზადებაში შეინიშნებოდა, რაც იწვევდა პირუტყვის გაჩანაგებას. გურიანთაში იყო შემთხვევები, როცა ტყავის დამზადების გეგმების შესასრულებლად იძულებულნი გამხდარან ცხოველები დაეხოცათ (სპა, ფ.2341, ს.1, ფურც.13).

ადამიანები ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდნენ. საქართველოს კპ-ის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა სასოფლო-სამეურნეო მონო კულტურის განვითარებას, მუშავდებოდა გეგმები დასავლეთ საქართველოდან სიმინდის კულტურის სავსებით განდევნისა და ჩაისა და რამის კულტურის დანერგვის შესახებ. ყოველგვარი მომზადების გარეშე დაიწყო ჩაის პლანტაციების გაშენება. არ შეუსწავლიათ ნიადაგი, არ იცავდნენ პლანტაციის გაშენების აგროწესებს, რამაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი მალე ჩაის "კაპიტალური შეკეთების" აუცილებლობის წინაშე დააყენა.

თანდათან უგულებელყვეს გლეხების გამოცდილება სოიის სიმინდში გამოთესვის უპირატესობის შესახებ და იწყეს მისი მასივებზე თესვა, რაც არარენტაბელური იყო. დაუსაბუთებლად იზრდებოდა გეგმები.

არაერთგზის თხოვნაზე, შეემცირებინათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამზადების გეგმები, საქართველოს კპ-ის ცენტრალური კომიტეტიდან (ს.მამულია) პასუხობდნენ -- "საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ჩვენთან არ ვაჭრობს და ჩვენც არ ვვაჭრობთ თქვენთან. ბისმარკი ზარბაზნებით აიძულებდა გლეხებს კარტოფილი დაეთესათო". ეს ნიშნავდა გეგმებისა და განკარგულებების სიტყვაშეუბრუნებელი შესრულების მოთხოვნას. ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ საქართველოში არ შეეძლოთ გეგმებში რაიმე არსებითი კორექტივის შეტანა. ყველაფერს მოსკოვი წყვეტდა, იქიდან მოსული დირექტივები განსაზღვრავდა ქვეყნის ბედს, მის სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურას, განვითარების პერსპექტივებს. ასეთი იყო მარიონეტული ქვეყნის (საქართველო) უფლებები.

სოფლის მეურნეობას დიდ ზიანს აყენებდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური განკარგულებანი, უხეში ჩარევა, რის გამო, ფაქტობრივად, არც ერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმო არ იყო დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში და უფლებამოსილება არ გააჩნდათ საქმე ეკეთებინათ ისე, როგორც ამას კონკრეტული პირობები და სიტუაცია მოითხოვდა.

გეგმით მკაცრად განსაზღვრული რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოდევნება აიძულებდა კოლმეურნეობას "გულუხვად" გამოეყენებინათ მინერალური სასუქები, რამაც გადააგვარა ნიადაგი.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში გარკვეული არ იყო კოლმეურნე გლეხების საკარმიდამო ნაკვეთის ფართობი და მათ კუთვნილებაში მყოფი პირუტყვის დასაშვები რაოდენობა. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების (1935 წელს მიიღო დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობამ) ტექსტის შემუშავების პროცესში მკაფიოდ აისახა მაშინდელი "ურარევოლუციური" სულისკვეთება. ბევრის აზრით, საკარმიდამო ნაკვეთი უნდა განსაზღვრულიყო მხოლოდ ათასი მეტრით, ხოლო კოლმეურნეებს არ უნდა მისცემოდათ პირუტყვის ყოლის უფლება. საბედნიეროდ, ასეთი "ულტრასოციალისტური" წინადადებები არ გაიზიარეს. წესდების მიხედვით საკარმიდამო ნაკვეთი განისაზღვრა მეოთხედი ჰექტრიდან ერთ ჰექტარამდე. პირად სარგებლობაში შეეძლოთ ჰყოლოდათ ერთი ძროხა ან ფურ-კამეჩი და ორი სული მათი ნამატი, ერთი დედაღორი (კოლმეურნეობის გამგეობის ნებართვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლებოდა ჰყოლოდათ ორი დედაღორი), ათამდე ცხვარი და თხა. 20-მდე ფუტკრის ოჯახი (ესეც მკაცრად იყო ლიმიტირებული), ფრინველი განუსაზღვრელი რაოდენობით. რესპუბლიკის რაიონების თითოეულ კომლს უფლება მიეცა აგრეთვე ჰყოლოდა ერთი ცხენი და 1-2 სახედარი. სამწუხაროდ, გლეხების უმრავლესობას არ ჰქონდა ელემენტარული პირობები ჰყოლოდათ წესდებით გათვალისწინებული პირუტყვი და ფრინველი.

ნიშანდობლივია, რომ 30-იან წლებში, მტკიცედ დამკვიდრდა რა "ზემოდან" მიღებული ნებისმიერი მითითებების სიტყვაშეუბრუნებელი შესრულება, საქმე კურიოზამდე მიდიოდა, კოლმეურნეობის გამგეობის საპატიო წევრად ირჩევდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. 1930-1931 წლებში გურიანთის კოლმეურნეობის გამგეობის საპატიო წევრად აირჩიეს ლ.ქართველიშვილი, ფ.მახარაძე, ს.მამულია (სპა, ფ.2341, ს.19, ფურც.23). დროთა განმავლობაში ადამიანები შეეგუენ სხვისი კარნახით მოქმედებას, ითრგუნებოდა მათი ინიციატივა, ითელებოდა დემოკრატია. ვერავინ ბედავდა ეთქვა, რომ რესპუბლიკის ჩინოვნიკები, როგორც წესი, არ იცნობდნენ სოფლებს, რომელთა ხელმძღვანელ ორგანოებში მათ დაუსწრებლად ირჩევდნენ. იყო, რა თქმა უნდა, გამონაკლისიც. მაგალითად, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომისიის თავმჯდომარე ფ.მახარაძე, რამდენიმეჯერ ესტუმრა გურიანთას. შ.კვაჭანტირაძის მოგონებით 1930 წელს ფ.მახარაძემ ზედობანაზე ჩააგარა მიტინგი, რომელზეც თქვა: "თქვენ შეგიქმნიათ სასოფლო-სამეურნეო არტელი, ეს ძალიან კარგია, მაგრამ წარმატებას მხოლოდ მაშინ მიაღწევთ, თუ ნებაყოფლობით გაერთიანდით. სხვის ფეხისხმას თუ აჰყევით, მაშინ გაგიჭირდებათო". იგი გურიანთას კვლავ 1935 წელს ესტუმრა. მას თან ახლდა უკრაინის სსრ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ.პეტროვსკი.

მსგავსი ვიზიტების მიზანი იყო საკოლმეურნეო მოძრაობის პროპაგანდა, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება. რაც შეეხება კოლმეურნეობაში ნებაყოფლობით გაერთიანებაზე საუბარს, ეს იყო ძალადობის სიტყვიერი დაგმობა, რასაც, სამწუხაროდ, საწინააღმდეგო ყოველდღიური პრაქტიკული ნაბიჯები აბათილებდა.

გურიანთის კოლმეურნეობაში ფ.მახარაძის ვიზიტი არავითარ საბაბს არ იძლეოდა იგი აერჩიათ კოლმეურნეობის გამგეობის საპატიო წევრად. ეს მით უფრო ითქმის ქართველიშვილსა და მამულიაზე. საერთოდ, ასეთი პრაქტიკის დამკვიდრება ადგილობრივი ხელისუფლების უუფლებობაზე მეტყველებდა.

"ზემოდან" დიქტატის გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ობლიგაციების გავრცელებაც. 1927 წელს, უფულობისა და დიდი გაჭირვების ჟამს, გურიანთაში გავრცელდა 400 მანეთის ობლიგაცია, მათ შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ.კახურში – 140, ციხისფერდში -- 80, ახალსოფელსა და ბაიდეველში -- 55-55, თევდორეთში 25 მანეთის ობლიგაცია (ოსა, ფ.1, ს.137, ფურც.5). სოფელში აკრიბეს აგრეთვე დირიჟაბლის ასაშენებელი თანხა -- 200 მანეთი, 1929 წელს კი გაავრცელეს 1000 მანეთის ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაცია და 300 მანეთის პარტიული ლატარეია (იქვე, ფ.2341, ს.1, ფურც.19,23; ს.234, ფურც.16; ს.3, ფურც.10). საერთო ჯამში გამოდიოდა დიდი თანხა, რომლის შეგროვება სოფელს მძიმე ტვირთად აწვა. ლატარიისა და სესხის სიმრავლის გამო გლეხები წესიერად მათ დანიშნულებაში ვერ ერკვეოდნენ, ფულს კი იხდიდნენ.

იძულებითი მეთოდების დაკანონებით ზემოქმედებას ახდენდნენ საზოგადოებრივ აზრზე, ადამიანებს არცხვენდნენ საჯაროდ, სესხის გავრცელებაზე თავის არიდებისათვის ლამის მოღალატედ აცხადებდნენ. სესხის დროულად აკრეფის მიზნით ბრიგადებზე ამაგრებდნენ პასუხისმგებელ პირებს. ამ მიზნით 1936 წელს პარტიულმა კომიტეტმა გამოჰყო სპეციალური ჯგუფი. თანხის ასაკრებად გაიშალა შეჯიბრი. სესხის გავრცელებაში გურიანთამ გამოიწვია ჯუმათის კოლმეურნეობა. ეს უკანასკნელი სხვას გაეჯიბრა. კოლმეურნეობის შიგნით შეჯიბრი გაშალეს ბრიგადებმა, რგოლებმა, ცალკეულმა პირებმა. იყო გამოწვევა, "სირცხვილზე შეგდება", ქართველი კაცის თავმოყვარეობაზე ზემოქმედება. იკვრებოდა ჯაჭვი, რომლის რგოლების გახლეჩა შეუძლებელი ხდებოდა. ასე იყო მომდევნო პერიოდებშიც.

მშრომელი გლეხების შევიწროვება ყველაფერში ვლინდებოდა. 1939 წელს შალვა მალაზონიას, მიხაკო დოლიძეს, სიმონ ქათამიძეს, პავლე კვირჩხილაძეს, ვასილ ტოტოჩავას ჩამოართვეს ყოფილ საკარმიდამო ნაკვეთებში დამზადებული შეშა (ოსა, ფ.61, ს.6, ფურც.26). მალე ჩამორთმეული ტყის უმეტესი ნაწილი აჩეხეს, შეშა და მასალა დაიტაცეს, ნიადაგი მოასუფთავეს და ჩაი დათესეს ან უპატრონოდ მიატოვეს. მშრომელ კაცს ასე წაერთვა იმედი მოხუცებულობის ასაკში ესარგებლა თავის ნაკვეთში საგანგებოდ გაშენებული და მოვლილი ტყით.

კოლექტივიზაციის პერიოდი მხოლოდ დარღვევებითა და უკანონობით როდი გამოირჩეოდა, იყო თავდადებული შრომა, ბრუნვა ადამიანებზე. სოფლის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად 1930 წლის იანვარში პენსიები დაენიშნა 9 გლეხს: ნიკიფორე მჟავიას, კატო ზაქარიაძეს, ეგნატე კვაჭანტირაძეს, ელისე ტუღუშს, დათიკო ღლონტს, ნაპალეონ და სერაპიონ ჭეიშვილებს, ვასასი ჩანჩიბაძეს, მარო როყვას. 5-5 მანეთი დაემატათ პენსიონერებს ს.დათუნაშვილსა და მ.გირკელიძეს (ოსა, ფ.1, ს.315, ფურც.8). უღარიბეს გლეხებს პენსიები შეძლებისდაგვარად ადრეც ენიშნებოდათ. ასე ხდებოდა მათი სოციალური დაცვა. ეს უფრო ღარიბების მხარდაჭერა იყო, ვიდრე მათი მატერიალური უზრუნველყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისმიერი მატერიალური და მორალური მხარდაჭერა გამიბმული ლი იყო საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმის წასახალისებლად. მართლაც, საგრძნობლად იმატა გლეხების შრომითმა აქტიურობამ, რაც ნათლად ჩანს ცხრილიდან.

შრომადღეების გამოუშავება	შრომისუნარიანი მოსახლეობა			
	მამაკაცები	ქალები	მოზარდები	სულ
50-მდე შრომადღე	289	234	68	591
51-100 შრომადღე	67	243	32	342
101-200 შრომადღე	255	89	-	377
201-300 შრომადღე	63	1	-	64
301-400 შრომადღე	4	-	-	4
არ გამოუმუშავებია არც ერთი შრომადღე	33	16	64	113
სულ	844	583	164	2091

ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მამაკაცთა ნახევარზე მეტმა გამოიმუშავა ასზე მეტი შრომადღე, ხოლო ქალებმა 50-ზე მეტი. ცხრილიდან ჩანს აგრეთვე, რომ შრომის პროცესში ჩაბმული იყო მოზარდი თაობა. ამ ტრადიციას ამართლებდნენ ჩაის კრეფის სპეციფიკით, თითქოს მოზარდისათვის ეს პროცესი ადვილი იყოს. სინამდვილეში იგი ერთ-ერთი ყველაზე მომქანცველი და ძნელი საქმეა, შრომაში მოზარდების ჩაბმა უნდა ხდებოდეს მეცნიერულად დასაბუთებული ასაკის მიხედვით, და არა გეგმების შესრულების სიძნელეების მოშველიებით.

საკამათო იყო თვით გეგმების განსაზღვრა. სასოფლო-სამეურნეო გეგმების საკითხებს, პირველ რიგში, იხილავდნენ არა კოლმეურნეობის გამგეობის სხდომებსა თუ საერთო კრებებზე, არამედ პარტრაიკომებსა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სხდომებზე, რომელთა დადგენილება სავალდებულო იყო კოლმეურნეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო საქმეებში პარტიული ორგანიზაციების აშკარა ჩარევა სწორედ 30-იანი წლებიდან დამკვიდრდა.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მიმდინარეობდა დაძაბული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. მაგრამ გურიანთაში მისი სიმწვავე არ იგრძნობოდა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო შეძლებული გლეხების სიმცირე (კულაკები გურიანთაში თითქმის არ იყვნენ) და მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა (ნებაყოფლობით, შიშითა თუ იძულებით), კოლექტივიზაციისადმი ლოიალური დამოკიდებულება.

გურიაში კოლექტივიზაციაზე, შედარებით ნაკლები წინააღმდეგობით, გადასვლა ამ რეგიონის გლეხთა რევოლუციურმა გატაცებამაც განაპირობა. აქ მძლავრი რევოლუციური მოძრაობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ორმოციან წლებში შეიმჩნეოდა. ამ პროცესმა არნახული მასშტაბები 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მიიღო. შემთხვევითი როდი იყო, რომ გურიის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ. კოლმეურნეობისადმი შედარებით ლოიალური დამოკიდებულება ნაწილობრივ ნაკლებმიწიანობითაც აიხსნებოდა. მკვლევართა ერთი ნაწილი გურიაში კოლექტივიზაციის შედარებით იოლად გატარებას, მოკლე ვადებში დამთავრებას ხსნის ახლის, პროგრესისადმი გურული გლეხის მისწრაფებით (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VI, გვ.485). შეიძლება ეს სწორიც იყოს. კოლექტივიზაციას ღარიბი გურული გლეხების უმრავლესობა აღიქვამდა, როგორც სოფლის მეურნეობის გარდაქმნის პროგრესულ პროცესს. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ცარიზმის წინააღმდეგ გურული გლეხების ბრძოლის ავანგარდში მოქცევა ამ სულისკვეთების ჩამოყალიბების გარკვეული "წინაპირობა" იყო.

ნიშანდობლივია, რომ უპირველესყოვლისა კოლმეურნეობისაკენ დაიძრნენ მოჯამაგირეები და სხვა ღარიბნი. ისინი გურიანთაშიც გამოირჩეოდნენ აქტიურობით. მათი მოქმედებით ხელოვნურად ჩქარდებოდა კოლექტივიზაცია, მაგრამ ამას ჩვენში არ მოყოლია შეძლებული გლეხებისადმი აშკარად გამოკვეთილი შურისძიება. ამაში გარკვეული როლი სოფლის ხელმძღვანელობამაც შეასრულა. ისინი არ აჰყვნენ საშუალო გლეხების კულაკებად მასობრივი გამოცხადების ცდუნებას, თუმცა, შეძლებული გლეხების ინტერესები აქაც ილახებოდა, მაგრამ ამას უაღრესად მწვავე ფორმა არ მიუღია.

საერთოდ, ცნობილია, რომ საქართველოში კულაკობის ლიკვიდაციას ბევრი არ უჭერდა მხარს, რადგან ისინი, ხშირ შემთხვევაში, ეწეოდნენ სასარგებლო საქმიანობას, ეხმარებოდნენ ღარიბ გლეხებს, აძლევდნენ უპროცენტო სესხებს. ჩვენში უძნელდებოდათ ასეთი გლეხების მტრად წარმოდგენა. ბუნებრივია, რომ კულაკობის ლიკვიდაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკაზე გადასვლა ბევრს შიშს ჰგვრიდა. ოფიციალურ პრესაში ამ პოლიტიკის გამო გამოთქმული აღტაცება და პათოსი, არსებული პოლიტიკური ვითარების აშკარა გაყალბება იყო. არავინ არ აღიარებდა, რომ მასობრივი კოლექტივიზაცია და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია საქართველოში ტარდებოდა რუსეთის მიბაძვით, იძულებისა და დაშინების ატმოსფეროში. მის წარმატებით დამთავრებაზე ბევრად იყო დამოკიდებული "ზედა ეშელონებში" თანამდებობრივ საფეხურებზე შეუფერხებელი სვლა. ნაწილობრივ ამით აიხსნებოდა კოლექტივიზაციის ვადების (1933-1934 წლები) დაჩქარება. ცნობილია, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმმა (1930 წ. იანვარი) რაიონულ კომიტეტებს დაავალა კოლექტივიზაცია დაემთავრებინათ 1932 წლისათვის, რითაც დაუპირისპირდა კოლექტივიზაციის ტემპთან დაკავშირებით საკ. კპ (ბ) კურსს. ამას მოჰყვა შიშველი ადმინისტრირება, გაუმართლებელი შეჯიბრებები, "მემარცხენე ნახტომები", სხვა უხეში შეცდომები. ვერავინ ბედავდა მოვლენების ობიექტურ განსჯას, კრიტიკის მთელი ქარცეცხლი გადაიტანეს კოლექტივიზაციის ვადების დარღვევებზე და არა თვით ამ პროცესის იძულებით ხასიათსა და მის მიზანშეუწონლობაზე. ვთქვათ, კოლექტივიზაცია დამთავრებულიყო 1934 წელს, განა, მაშინ იგი ნაჩქარევად არ ჩაითვლებოდა? საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული სისტემის ნგრევა, 4-5 წელში სრულიად ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის შექმნა, არარეალური იყო. კოლექტივიზაციის ურთულესი პროცესის უმოკლეს ვადაში დამთავრება შეეძლოთ მხოლოდ ადმინისტრირებისა და დაშინების მეთოდების ამოქმედებით, რასაც მიაღწიეს კიდეც. ნაწილობრივ ამანაც განაპირობა, რომ კულაკების წინააღმდეგ ბრძოლამ ჩვენში მიიღო დანაშაულებრივი ხასიათი. საშუალო გლეხებისა და კულაკების ერთმანეთში აღრევამ მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა, გაამწვავა წინააღმდეგობა, დაქსაქსა ძალები, ადამიანები დაუპირისპირა ერთმანეთს, დააშინა მშრომელი და მუყაითი გლეხები, გული აუცრუა მათ შრომაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კოლექტივიზაციის ისტორიოგრაფიაში გაბვიადებულია ცნობა კულაკების ანტისაბჭოთა გამოსვლების, მათ მიერ ჩადენილ მკვლელობათა, ნათესების განადგურების, დივერსიებისა და სხვა დანაშაულობათა შესახებ. აშკარად შეინიშნებოდა ცალკეული ფაქტებისა, თუ მოვლენათა განზოგადების ტენდენციები, რაც ურთულეს პროცესებზე გვაძლევს მახინჯ და ზერელე წარმოდგენას. მაგალითად, გურიანთაში მსგავსი შემთხვევები არ შეინიშნებოდა. ალბათ ამითვე იყო გაპირობებული, რომ აქ კულაკებისათვის არ დაუწესებიათ სპეციალური გადასახადი.

ცნობილია, რომ ნაჩქარევად დაარსებულ კოლმეურნეობათა მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი, მცირე შემოსავლის გამო, მალე სწყვეტდა არსებობას. გურიანთაში ასეთი გამოუვალი მდგომარეობა არ იგრძნობოდა. თუმცა, აქაც მოუწესრიგებელი იყო შრომის ორგანიზაცია. არ იყო კადრები, შრომის ანაზღაურება უფრო სიმბოლური იყო და არ იძლეოდა დახარჯული ენერგიის მინიმალურ კომპენსაციას. კერძოდ, 1935 წელს შრომადღეზე გაიცა 73 კაპიკი (სპა, ფ.2341, ს.4, ფურც.4). კოლმეურნეობის მცირე შემოსავალი ვლეხს აჯაჭვავდა საკარმიდამო ნაკვეთზე, რომლის ფართობი პერიოდულად მცირდებოდა, გულს უცრუებდა კოლექტიურ მეურნეობაზე, თუმცა მუშაობას განაგრძობდა. ასეთი გაორებული გრძნობა დიდხანს გაჰყვა მას.

აღსანიშნავია, რომ გურიანთის კოლმეურნეობამ სახელმწიფო აქტით 1935 წელს მუდმივ სარგებლობაში მიიღო 732 ჰექტარი ფართობი, მათ შორის ტყე -- 50, საძოვრები და ბუჩქნარი -- 550 ჰექტარი. სოფლის მეურნეობის კულტურებსა და კოლმეურნეთა კარმიდამოს ეჭირა მხოლოდ 132 ჰექტარი. როგორც იტყვიან, ციფრების ენა ყველაზე მეტყველი ენაა. კოლმეურნეობას უმძიმესი მემკვიდრეობა მიეღია; სოფლის ტერიტორია ძირითადად აუთვისებელი ყოფილა, ხოლო სავარგულების სიმცირე -- თვალში საცემი. ახალი სავარგულების ათვისება ტექნიკის უქონლობის პირობებში შეუძლებელი იყო. ეს კი, თავის მხრივ, კოლმეურნეობის დაბალი შემოსავლის ერთ-ერთი მიზეზი გამხდარა.

სხვა მონაცემებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოლმეურნეობამ, იმავე წელს სახელმწიფო აქტით მიიღო 2220 ჰექტარი მიწა, მათ შორის ინდივიდუალურ საკუთრებაში 487,25, საკოლმეურნეო საკუთრებაში -- 1733 ჰექტარი. ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 0,8 ჰექტარი ("საქართველოს კოლექტივიზაციის ისტორია", გვ.632). მიწის ამ საერთო რაოდენობიდან კოლმეურნეობის სავარგულები 691 ჰექტარს აღწევდა. ინდივიდუალურ სარგებლობაში ჰქონდათ 145,5 ჰექტარი. სავარაუდოა, რომ უფრო ნაკლები მაჩვენებლები (132 ჰექტარი) ეხება გურიანთაში შემავალ არა ხუთ სოფელს, არამედ, "საკუთრივ გურიანთას".

კოლმეურნეობამ, დღიდან დაარსებისა, მიზნად დაისახა ბუჩქნარის გაკაფვა, ნათესი ფართობის მკვეთრი გაზრდა, ერთ მეურნეობაში გაერთიანება, რითაც ხაზი გაესვა კერძო, ერთპიროვნულ, დაქსაქსულ მეურნეობასთან შედარებით კოლმეურნეობისათვის უპირატესობის მინიჭებას. ყოველ სამუშაოს, ყოველ გადადგმულ ნაბიჯს, რომელიც მაშინ კოლექტიური ძალით სრულდებოდა, წინ უსწრებდა მსგავსი პროპაგანდა. ასე, მეთოდურად მუშავდებოდა ადამიანის გონება, რომელიც თანდათან "შეეგუა" კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებული ძალით მუშაობის "უპირატესობას", მაგრამ, სამწუხაროდ, გური-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანთაში ბუჩქნარს ტყეც "მიაყოლეს", მასივები აჩეხეს და გაანადგურეს, სოფლის თითქმის მთელი მწვანე საფარი მოსპეს, ეკოლოგიური სიძნელეები შექმნეს.

კოლმეურნეობა ასეთ პირობებში შეუდგა სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას, შეიმუშავეს საზოგადოებრივი შრომის აღრიცხვისა და შემოსავლის განაწილების ფორმა -- შრომადღე. შეიქმნა საწარმოო ბრიგადები, რომლებიც დაიყო ათეულებად. 1930 წელს შრომის ფერხულში ჩაება 48 ასეთი ათეული. პირველყოვლისა მუშაობა გაიშალა ჩაის პლანტაციის გასაშენებლად. იმავე წელს ჩაის შერჩეული თესლი დათესეს 46 ჰექტარ ფართობზე (საკოლმეურნეო სისტემაზე გადასვლამდე სულ ოზურგეთის მაზრაში ჩაის პლანტაცია გაშენებული იყო 58 ჰექტარზე, ციტრუსები 8 ჰექტარზე). მომდევნო წლებში ათეულები რგოლებმა შეცვალა, ბრიგადებსა და რგოლებს დიდი როლი დაეკისრათ მოსახლეობის შრომის ორგანიზაციაში. კოლმეურნეობის სავარგულებისა და სამუშაოთა სახეობის მატებასთან ერთად იზრდებოდა რგოლებისა და ბრიგადების რიცხვი.

1935 წელს გურიანთის კოლმეურნეობაში დაკომპლექტდა 17 ბრიგადა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ (გვარები დოკუმენტებში დასახელებულია ინიციალების გარეშე): ხავთასი (ორი), ტოტოჩავა, არაშიძე, კვაჭაძე, მამულაშვილი, გუჯაბიძე, დობორჯგინიძე (ორი), დარჩია, ზაქარიაძე, მეხუზლა, პატარავა, შეწირული, გუჯაბიძე, მუჯირი, ჭეიშვილი (ოსა, ფ.61, ს.1, ფურც.5). მომდევნო წელს დაემატა ერთი ბრიგადა. ბრიგადირებად (ნომრების მიხედვით) მუშაობდნენ: 1. მაკარი ხავთასი (შემდეგ ლადიკო სიმონიშვილი), 2. იპოკრატე ტოტოჩავა (შემდეგ სოლომონ ტოტოჩავა), 3. ნოე არაშიძე, 4. ტიტიკო კვაჭაძე (სერგო ქათამიძე), 5. გრიშა მამულაშვილი, 6. კვიროსი გუჯაბიძე, 7. ტიხო დარჩია, 8. დიმიტრი დარჩია (ნიჟა დარჩია), 9. პეტრე ხავთასი, 10. ნიკიფორე ზაქარიაძე, 11. აკაკი მეხუზლა (არკადი კიღურაძე), 12. სიმონ დობორჯგინიძე, 13. ზაქრო პატარავა (სამსონ ჟღენტი), 14. საშურა შეწირული, 15. გიორგი გუჯაბიძე (არსენ შეწირული), 16. პლატონ მუჯირი, 17. თოფილე ჭეიშვილი (პორფილე ქუტიძე), 18. აპალონ კვაჭაძე (სპა, ფ.2341, ს.3, ფურც.80). ისინი ერთ-ერთი პირველნი იყვნენ, ვინც ენერგიასა და უნარს არ ზოგავდნენ გეგმის შესასრულებლად. მათი შრომა ფაქტიურად ენთუზიაზმს ემყარებოდა, რადგან ანაზღაურება, როგორც წესი, კვლავ სიმბოლური რჩებოდა.

დღის წესრიგში დაისვა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების (მტს-ი) მოწყობა, რომელთაც უნდა შეესრულებინათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიული კერების როლი, უზრუნველეყოთ კოლმეურნეთა მომსახურება მიწათმოქმედების ყველა დარგში. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები კოლმეურნეობებთან ერთად პასუხისმგებელი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილიყვნენ საკოლმეურნეო წარმოების ამაღლებისა და შრომის ორგანიზაციის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სოფლებში პირველად 1929 წელს შემოიტანეს რკინის ფარცხები, კულტივატორები, ტრაქტორები, ამავე წელს შეიქმნა პირველი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. ქართველმა გლეხებმა პირველად იხილეს "რკინის ხარები". გურიანთაში კი პირველი ტრაქტორი 1931 წელს "გამოჩნდა". მტს-ები რაიონულ ცენტრებში გაიხსნა 1931 წელს. მალე (1932 წელი) მასთან შეიქმნა პოლიტგანყოფილება, რომელსაც განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდასაქმნელად.

დამახასიათებელია, რომ მაშინ ქვეყნის ნებისმიერ დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში იქმნებოდა პოლიტგანყოფილება ან პარტიული ორგანიზაცია (ან ორთავე ერთად). ასე მოექცა მთელი ქვეყანა პარტიული გავლენისა და კონტროლის ქვეშ, რომლის შედეგები ახლა საყოველთაოდ არის ცნობილი.

ახალ შექმნილ კოლმეურნეობათა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო წესდების შემუშავება. კოლმეურნეობათა ყრილობაზე პერიოდულად იხილავდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების საკითხებს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დამკვრელ კოლმეურნეობათა მეორე ყრილობის (1935 წლის თებერვლის ბოლოს) მიერ მიღებული არტელის პირველი სანიმუშო წესდება იმავე წლის 17 თებერვალს დაამტკიცა საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ. ყოველი ასეთი ყრილობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან საკითხს წყვეტდნენ მხოლოდ ცენტრალური პარტიული ორგანოები.

ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობის ტექნიკური უზრუნველყოფა ურთულეს პრობლემად ითვლებოდა. სოფლის მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღების შესახებ საკითხი ჯერ კიდევ 1929 წელს დაისვა. სოფლების 86 პროცენტს გუთნებიც კი არ ჰქონდათ ("საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. VII, გვ.488). მამა-პაპური კავითა და სახნისით კი დიდი მასივების დამუშავება ძნელდებოდა. ტექნიკით აღჭურვას დიდი დრო სჭირდებოდა. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალა კოლმეურნეობის უზრუნველყოფა ტექნიკით, წვრილი ინვენტარით. ამ მიზნით სოფელში მოეწყო რკინის სახნისებისა და სხვა მარტივი იარაღების წარმოება (იქვე, გვ.489). გურიანთის სამჭედლოში ამზადებდნენ სახნისებს, თოხებს, ცულებს, წალდებს და სხვა უაღრესად საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. ეს იყო თავისებური საამქრო, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა სოფლის ცხოვრებაში, მიწის ათვისება-დამუშავებაში, განსაკუთრებით ჩაის პლანტაციის ნიადაგის მომზადებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ ჩაის კულტურა გურიანთის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, მისი გავრცელება საქართველოში საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაიწყო. პირველად იგი გავრცელდა აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში. ამ კულტურის მოშენება იწყება ფეოდალთა მამულებში. თავად ნაკაშიძის ჩაის პლანტაცია 9 ჰექტარს ჭარბობდა. მისსავე მამულში უშვებდნენ მზა ნაწარმს. XIX საუკუნის 80-90 წლებში იგი გააქვთ რუსეთში. ღარიბი გლეხობა ჩაის მოშენებას არ ეწეოდა, რადგან იგი მოითხოვდა მძიმე, ხანგრძლივ, აუნაზღაურებელ შრომას, აგროტექნიკურ ცოდნას. სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, აგრეთვე, ნედლეულის გასაღება და, რაც მთავარია, გლეხს მოსავლის მიღება შეეძლო მხოლოდ 4-5 წლის შემდეგ. ამით აიხსნებოდა, რომ გლეხობის უმრავლესობა თავის ნაკვეთში მხოლოდ დეკორაციული მიზნით რგავდა ჩაის რამდენიმე ბუჩქს.

წვრილი პლანტატორები ძველად ჩაის ფოთოლს პრიმიტიულად ამუშავებდნენ. მწვანე ფოთოლს გრეხდნენ (სრესდნენ) ხელებით (ფეხებითაც), აშრობდნენ კუსტარულ პირობებში. გაყიდვის მიზნით, დიდი რაოდენობით დამუშავებული ნედლეულიდან დაბალი ხარისხის პროდუქტი გამოდიოდა. თუმცა თავისი ოჯახის საჭიროებისათვის გლეხი ამზადებდა მაღალხარისხოვან ჩაის პროდუქტს, რომლისაგან გემრიელი და სურნელოვანი ნაყენი გამოჰყავდა.

ჩაის კულტურა ნელა ინერგებოდა. გურიაში მისი გავრცელება დაიწყო XIX საუკუნის 60-იან წლებში, ხოლო საცდელი პლანტაცია ოზურგეთში 1900 წელს დაარსდა, მოეწყო სანერგე "მეურნეობა". ფაქტიურად აქედან იწყებოდა "ათვლის წერტილი". ყინული დაიძრა. 20-იანი წლების დასაწყისამდე გურიაში ჩაი გაშენდა 260 გლეხურ მეურნეობაში (ოსა, ფ.1, ს.212, ფურც.3). ამას მოჰყვა 1913 წელს ოზურგეთში ჩაის პატარა ფაბრიკის აშენება, რომელმაც არსებობა 1918 წელს შეწყვიტა.

ჩაის კულტურის განვითარებას მეტი ყურადღება დაეთმო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. 1922 წელს ოზურგეთის ჩაის საცდელი პლანტაცია გადაკეთდა საქართველოს ჩაის ტრესტის ცენტრალურ საცდელ სადგურად. გაიზარდა აგრონომთა რიცხვი. 1928 წელს იგი უდრიდა 17-ს, 1929 წელს 43-ს, ხოლო 1930 წელს -- 97-ს.

ჩაის კულტურის განვითარების მიზნით გურიანთის გლეხობას 1928 წელს მისცეს სესხები. 219 გლეხმა მიიღო 10583 მანეთის მოკლევადიანი და 1650 მანეთის გრძელვადიანი სესხი, რომელიც პირად მეურნეობას უნდა მოხმარებოდა. მარტო ჩაის დასათესი ნიადაგის მოსამზადებლად (ბარვა) გამოუყვეს 34 406 მანეთის გრძელვადიანი სესხი. წახალისების მიზნით გლეხებს მისცეს აგრეთვე 459 ფუთი სიმინდი (ოსა, ფ.1, ს.210, ფურც.31). დაარსდა მიწის საზოგადოებრივი შრომით დამუშავების სპეციალური ამხანაგობა. პირველი კოლექტიური მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობა აერთიანებდა 92 წევრს და 84 ქცევა მიწას. საკარმიდამო-ბაღ-კვეთებზე ერთი ჰექტარი ჩაის გასაშენებლად გლეხი ღებულობდა 150 მანეთ სესხს. იმავე თანხას უხდიდნენ მას ამხანაგობის ფართობის დასამუშავებლადაც. შედეგმაც არ დააყოვნა. 1928 წელს კერძო მეურნეებმა გააშენეს 73 ჰექტარი პლანტაცია, ხოლო 1935 წლისათვის 82 ჰექტარი. ზოგიერთი წყაროს მიხედვით ჩაის ამხანაგობის ფართობი 340 ჰექტარს აღწევდა (საქართველოს კოლექტივიზაციის ისტორია. დოკუმენტების კრებული, გვ.632). მაგრამ სიძნელეები შეიქმნა ნედლეულის გასაღებაში, რაც კერძო მეურნეთა უკმაყოფილებას იწვევდა. იშვიათი როდი იყო შემთხვევები, როცა ნედლეულის ნაწილს იძენდნენ კერძო პირები და ორმაგ ფასში ყიდდნენ. გურიანთის საერთო კრების 1927 წლის 2 ივნისის დადგენილებით კერძო პირებს აეკრძალათ ჩაის ნედლი ფოთლის შესყიდვა, კუსტარულ პირობებში პროდუქციის დამზადება, ამიერიდან ნედლეული უნდა ჩაებარებინათ ჩაის ფაბრიკისათვის. ამ მიზნით ციხისფერდში გაიხსნა ჩაის მწვანე ფოთლის მიმღები პუნქტი (ოსა, ც.32, ფურც.2).

1926 წლისათვის გურიანთაში უკვე გააშენეს 332,4 ჰექტარი ჩაის ფართობი, აგრეთვე 41 ჰექტარი ტუნგო, 4 ჰექტარი ციტრუსები, 11 ჰექტარი ხეხილი. 3 ჰექტარზე მოეწყო ციტრუსების სანერგე მეურნეობა. საერთო ნათესმა ფართობმა 569 ჰექტარს გადააჭარბა, რაც მთელი თემის ფართობის (2270 ჰექტარი) მეოთხედს ჭარბობდა ("ლენინის დროშა", 1936 წ. 22 დეკემბერი). მოპოვებული მიღწევების მიუხედავად, სავარგულების ათვისების მაჩვენებლები კვლავ უაღრესად დაბალი იყო. გურიანთის თემის თითოეულ კომლზე (ცხოვრობდა 579 ოჯახი) საშუალოდ მოდიოდა ერთ ჰექტარზე ოდნავ მეტი ყველა სახის ნათესი ფართობი. ასეთ პირობებში ჩაისთან ერთად მთავარი ყურადღება გადაიტანეს მომგებიან კულტურებზე, მათ შორის ციტრუსებზე. პირველ რიგში იზრუნეს სანერგე მეურნეობის გაფართოვებაზე. 1936 წელს აქ დაამყნეს 149 ათასი ნერგი, რომელთა ნაწილს ყიდდნენ კიდეც. საუკეთესო შრომით გამოირჩეოდნენ სანერგე მეურნეობის მუშაკები: შალვა კომახიძე, ნიკო შეწირული, ნატა კვაჭანტირაძე, ანეტა შეწირული და სხვები.

ტრანსპორტის უქონლობის პირობებში დიდ სიძნელეებს ქმნიდა 5 სოფლის ტერიტორიის 326 უბანზე განფენილობა. უდაოა, რომ ეს აძნელებდა შრომის ორგანიზაციას, მუშახელის რაციონალურ გამოყენებას. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ სოფლები დაკავშირებული იყო უაღრესად ცუდი გზებით, დაბალი იყო ტექნიკური აღჭურვილობა, არ ჰქონდათ სატელეფონო კავშირი, კოლმეურნეობის განკარგულებაში იყო სახნისი -- 50, კულტივატორი -- 13, საცელავი მანქანა -- 2, მარცვლეულის გამნიავებელი -- 1, მექანიკური მოწყობილობა -- 1. მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოებს ასრულებდნენ გამწევი ძალებით, 356 ხარითა და 23 ცხენით ("საქართველოს კოლექტივიზაციის ისტორია", გვ.632). ასეთ ურთულეს პირობებში უხდებოდათ სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარების მძიმე ჭაპანის წევა.

დაძაბულ შრომაში თავი ისახელეს კომკავშირულმა ბრიგადებმა (გერმანე ჭეიშვილი, დათიკო კვერღელიძე), რომლებიც გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის გაგზავნეს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ("ლენინის დროშა", 1939 წ. 3 სექტემბერი). საერთოდ გურიანთის კომკავშირული ორგანიზაცია (მდივანი ბენია მეკავია) გამოირჩეოდა აქტიურობით. სოფლის კომკავშირელთა (97) უმრავლესობა სტახანოველი და დამკვრელი იყო. ცნობილია, რომ 30-იან წლებში ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა, რომელსაც 1935 წლის 30-31 აგვისტოს სათავე დაუდო ალექსი სტახანოვმა. სტახანოვური მოძრაობა მალე მთელ ქვეყანაში გავრცელდა. გურიანთაში პირველი სტახანოველები იმავე წელს გამოავლინეს. მოძრაობის ინიციატორთა ჩანაფიქრის მიხედვით თავდადებულ შრომაში უნდა ჩაბმულიყო ახალ-ახალი ძალები, რომელთაც ყოველწლიურად უნდა მოეპოვებინათ უკეთესი მაჩვენებლები. ეს იყო შეჯიბრების ახალი ფორმა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მაქსიმალური შედეგები. ეს გურიანთაშიც კარგად ესმოდათ. აქ ყოველწლიურად ტარდებოდა სტახანოვური ერთთვიურები და ათდღიურები. შეჯიბრების შედეგებს პერიოდულად ისმენდნენ კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტბიუროს სხდომებზე, სოფლის საბჭოს პლენუმებზე. მტკიცედ დამკვიდრებულმა ამ მოძრაობამ სამწუხაროდ მახინჯი ფორმა მიიღო და მოექცა ფორმალიზმის ტყვეობაში, ადგილი ჰქონდა მიწერებსა და სხვა დარღვევებს, ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისათვის სტახანოველებად გამოცხადების ცალკეულ ფაქტებს. ავიღოთ, თუნდაც, გურიანთაში მრავალგზის გამოცხადებული უტილნედლეულის დამზადების სტახანოვური ათდღიურები (ოსა, ფ.35, ს. 44, ფურც.49). ასე ყალბდებოდა სტახანოვური მოძრაობა, ხაზი ესმებოდა მის ყოვლისმომცველობას. სტახანოვური მოძრაობის შედეგების ყოველწლიური შეჯამების პრაქტიკაც მსგავს მოსაზრებას ამკვიდრებდა. თუმცა ამას ვერ ვიტყვით თვით სტახანოველებზე. გურიანთის სტახანოველები იყვნენ წესიერი და თავდადებული მშრომელები, რომლებიც გულწრფელად ასრულებდნენ დავალებებს, განკარგულებებსა და გეგმებს. 1937 წლის მაჩვენებლების მიხედვით სტახანოვურ მოძრაობაში გაიმარჯვეს: არტემ ლომთათიძემ, თეოფილე დეისაძემ, ივანე ღლონტმა, გრიგოლ კვარაცხელიამ, ვასილ მუჯირმა, მიხეილ ჭეიშვილმა, ანტონ მამულაიშვილმა, კოწია მალაზონიამ, კანელიკე ზაქარიაძემ, არტემ დოლიძემ, ლადიკო არობელიძემ (იქვე, ს.14, ფურც.12). მომდევნო წლებშიც გამარჯვებულთა შორის იყვნენ ბეჯი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი და მუყაითი გლეხები, მოწინავე კოლმეურნეები.

30-იან წლებში გურიანთა იქცა მრავალდარგოვან კოლმეურნეობად. ნათესი ფართობის ზრდაზე წარმოდგენას გვაძლევს 1936 წლის მაჩვენებლები.

	გეგმა ჰექტ.	შესრულება	შესრულება პროცენტებში
ჩაი	5.3	2	33.7
ციტრუსები	3	3	100
ციტრუსების სანერგე	3	3	100
ტუნგო	33.5	33.5	100
ციტრუსების საძირე	03	03	100
სიმინდი	500	506	101.2
სოია	300	300	100
ლობიო	200	321	160
ლუცერნი	4	4	100
თივა	26	30.2	115.2
სახილოსე ნათესები	7.5	12.3	161
პოსტნეული	3	3	100

ცხრილი გვიჩვენებს, რომ სანახევროდაც ვერ შესრულდა ჩაის გაშენების გეგმა. ჯერ კიდევ უაღრესად დიდი ყურადღება ეთმობოდა ლობიოსა და სოიის მოშენებას. ორთავეს ფართობი სჭარბობდა სიმინდის ფართობს, რაც ნათესების საერთო ფართობში ამ კულტურების დიდ ხვედრით წილზე მიუთითებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე პერიოდში დაბალი იყო ჩაის ფოთლის საერთო მოსავლიანობა (45 ტონა), რასაც განაპირობებდა ჩაის ბუჩქების სინორჩე და სასუქების უკმარისობა. მწვანე ფოთლის მოსავლიანობა მკვეთრად გაიზარდა მომდევნო წლებში, ჩაის ინტენსიურ გაშენებასთან ერთად, გაჩნდა ხალხური სიმღერაც: "სადაც ბუდობდა მგელი და ტურა, იქ გავაშენეთ, ჭირიმე, ჩაის კულტურა".

ყველგან თვალში საცემი იყო პარტიის ლოზუნგი -- "გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ყველა კოლმეურნე -- შეძლებულად!" ლოზუნგების მიხედვით საამური ცხოვრება უკვე დამყარდა. სინამდვილეში კი სულ სხვა იყო. ხალხს უჭირდა, ახალ ურთიერთობას ძნელად ეგუებოდა, დაბალი იყო შრომითი აქტივობა, გლეხების მატერიალური დაინტერესება. კოლმეურნეობის გამგეობას შეეძლო პრემიების სახით ბრიგადებისათვის დაერიცხა გამომუშავებული შრომადღეების 10 პროცენტი. მაგრამ გამგეობა ამ უფლებას სათანადოდ არ იყენებდა. 1935 წლის მონაცემებით მხოლოდ ბრიგადების ნაწილს (ექვსი) გამომუშავებული შრომადღის 3-5 პროცენტი დაერიცხა. ცხადია, რომ მაშინ ნაკლებად ზრუნავდნენ გლეხი კაცის მატერიალურ და მორალურ წახალისებაზე, მთავარი ყურადღება გადაჰქონდათ კერძო მეურნეობის მსხვრევასა და ახალი ურთიერთობის დამყარებაზე, შრომის მაქსიმალური შედეგების მიღებაზე. ეს ტენდენცია მომდევნო პერიოდშიც არ შენელებულა.

ცნობილია, რომ გურიანთა მდებარეობს შავი ზღვის ახლო ზონაში, მისთვის დამახასიათებელია მაღალი ტენიანობა და უხვი ატმოსფერული ნალექი, რაც განაპირობებს სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებას. ისტორიულად ამ ხელსაყრელ პირობებს მაქსიმალურად ვერ იყენებდნენ. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურესად ღარიბად ცხოვრობდა.

მიუხედავად მრავალი შეცდომისა და ნაკლისა, რაც თან სდევდა მასობრივ კოლექტივიზაციას, უაღრესად მოკლე დროში, ღარიბი, მალარიით დაავადებულთა სოფლიდან, გურიანთა გადაიქცა მაზრის ერთერთ ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლის მატარებელ კოლმეურნეობად. ეს, პირველ რიგში, აისახა კოლმეურნეობის შემოსავალში, რამაც 1935 წელს შეადგინა 1 025 352 მანეთი, ხოლო მომდევნო წელს მაჩვენებლები კიდევ თითქმის 300 ათასი მანეთით გაიზარდა ("საქართველოს კოლექტივიზაციის ისტორია", გვ.637), გურიანთა რაიონში პირველი გახდა "მილიონერი". ერთი წლის შემდეგ "მილიონერები" გახდნენ: ნატანების, შრომის, ჯუმათის, ნაგომრისა და ძიმითის კოლმეურნეობები. მაშინ განსაკუთრებული ხაზგასმითა და სიამაყით აღინიშნებოდა "მილიონერთა" მიღწევები. სწორედ ეს პროცესი აისახა ხალხურ ლექსში:

"მოვიშორეთ სიღატაკე, მოვიშორეთ ბატონობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიშორეთ ძველი ყოფა -- ძველ წარსულში დატოვებით,
"ორსანტია", "გურიანთა", "ტელმანი" და „ნატანები“,
დაუშრეტელ შრომით გახდნენ მილიონის პატრონები".

კოლექტიური შრომის მოწინავე ადამიანები გეგმებს 200-300 პროცენტით ასრულებდნენ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა 14 წლის გოგონა -- შუტუ ბაქარიაძე, რომელიც დღეში 30 კგ ფოთოლს კრეფდა (მაშინ ეს სარეკორდო შედეგად ითვლებოდა). 1936 წელს მან 185 შრომადღე გამოიმუშავა, გოგონა უდაოდ ქების ღირსი იყო, მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეჩაიეობის რაიონებში, სამწუხაროდ, დაკანონდა, მცირეწლოვანთა ყოველმხრივი წაქეზება პლანტაციებში ემუშავათ 8-10 საათი, რაც გაუმართლებელია.

მთელი ყურადღების საკოლმეურნეო მშენებლობაზე გადატანის მიუხედავად, იმატა საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებულმა შემოსავალმა. 1936 წელს მელიტონ მუჯირმა ციტრუსებში მიიღო 7 ათასი მანეთი. თანდათან იზრდებოდა იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც შეეძლო დაეგროვებინა გარკვეული თანხა, აეშენებინა სახლები, შეეძინა ტანსაცმელი, ავეჯი და სხვა საქონელი.

გურიანთელები დაუფარავად ამაყობდნენ დიდი მიღწევებით, მართლაც, მძიმე წარსულის მქონე სოფელში, ნახტომი უაღრესად მცირე დროში მოხდა. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ 1934 წელს საერთო შემოსავალმა 265 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო მომდევნო წელს ერთ მილიონს გადააჭარბა. მაჩვენებლები მით უფრო შთამბეჭდავია, რომ წარმატებები მოპოვებულია კოლმეურნეთა თითქმის უცვლელი რაოდენობით. მიღწევებზე მიუთითებს ასეთი მაჩვენებლებიც: 1931 წელს შრომადღეზე განაწილდა ერთი მანეთი და 14 კაპიკი, ხუთიოდე წლის შემდეგ, 1936 წელს 7-ჯერ და უფრო მეტი, უღარიბესმა გლეხებმა "სული მოითქვეს", ფული "დააგროვეს", მაგალითად, 1936 წელს ვლადიმერ ჩხაიძის ოჯახმა მიიღო 8 ათასი მანეთი და 4 ტონა სიმინდი, პლატონ მუჯირისამ -- 6400 მანეთი ("ლენინის დროშა", 1936 წ. 22 დეკემბერი), ელენე აროშიძემ 2 ათასი მანეთი და 1,2 ტონა სიმინდი. რაიონულ გაზეთში ეს უკანასკნელი წერდა (თუ მისი სახელით წერდნენ): "მოწყენილობა და სიღარიბე სიხარულითა და საამური ცხოვრებით შეიცვალა" (იქვე), ამ სტილში იწერებოდა მაშინ სტატიები, წერილები თუ გამოხმაურებანი და შთაბეჭდილებანი. ახლა ძნელია იმის თქმა, ადამიანებს ცხოვრების პირობების გარკვეული ამაღლება მართლა გულწრფელად მიაჩნდათ საამურ ცხოვრებად, თუ უკეთესი პირობები რომ არ ენახათ, მის შესახებ არაფერი გაეგონათ, უკვე მიღწეულით თავს ბედნიერად გრძნობდნენ. ეჭვი არ არის, სწორედ ასეთმა განწყობამ განაპირობა თვითკმაყოფილება, წარმოდგენა ბედნიერებაზე, ასე ყალიბდებოდა მასების ფსიქოლოგია, გარკვეული რწმენა, რომელიც ყოველთვის დიდი ძალაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშიერი კაცი ორი ლუკმით მეტს რომ შეჭამს, თავს ბედნიერად წარმოიდგენს. მაშინ რა იცოდნენ, რომ უმძიმესი შრომისათვის გლეხობა გაცილებით ნაკლებს ღებულობდა, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ, საშუალოდ განვითარებულ ქვეყანაში. ამაზე საუბარი გაცილებით უფრო გვიან გახდა შესაძლებელი. ამ მოვლენის ობიექტური გააზრება მხოლოდ ახლა ხდება. ჭეშმარიტების დადგენას კიდევ ბევრი დრო დასჭირდება. ერთი კი ცხადია, კოლექტივიზაციის დაწყებამდე გურიანთის მოსახლეობა კვლავინდებურად ცუდად ცხოვრობდა, დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ აქაური მიწები უვარგისია, გლეხობა, რომელსაც უმეტესად სიმინდი და ღომის მარცვალი მოჰყავდა, ოჯახს ვერ არჩენდა. ასეთ პირობებში იწყება ჩაის კულტურის გაშენების გაძლიერებული პროპაგანდა, ბევრის აზრით, სწორედ ამ დარგის განვითარება ხალხს გაჭირვებიდან 4-5 წელიწადში გამოიყვანდა, უზრუნველყოფდა სოფლის ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებას. სინამდვილეში სოფლის მეურნეობის ერთ კულტურას სასწაულის მოხდენა არ შეეძლო (თუმცა იგი მართლაც იქცა ერთ-ერთ წამყვან დარგად, შემოსავლის მთავარ წყაროდ). საჭირო იყო სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მეტი ინტენსიურობით განვითარებაც, რაც შექმნიდა მყარი შემოსავლის ბაზას.

დიდი სიძნელეების პირობებში გურიანთაში გაჩნდა შეძლებული ოჯახები. მართლაც, 30-იანი წლების დასასრულისათვის, მრავალმა ოჯახმა ჯარგვლის ნაცვლად ლამაზი ოდა-სახლი აიშენა, კარ-მიდამო მოაწყო. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო პლატონ მუჯირი, რომელმაც შეიძინა აგრეთვე უცხოური ავეჯი. საცხოვრებელი ფაცხების, ისლით დახურული ქოხების ადგილზე 171 ახალი ლამაზი სახლი "წამოიჭიმა". გაჩნდა რკინის ბადეებიანი საწოლები, საკერავი მანქანები და სხვა საოჯახო ნივთები, რომლებიც მანამდე სოფლისათვის უცნობი იყო. ადრე ლუკმა-პურზე მეოცნებე გლეხებმა იწყეს ავეჯის შერჩევა. რაიონის გაზეთში გამოქვეყნებულ წერილებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ წინათ დადიოდნენ ფეხშიშველნი, ძონძებში გახვეულნი, მაგრამ კოლექტივიზაციის შემდეგ გახდნენ შეძლებულნი და ბედნიერნი. როგორი არაგულწრფელიც, ან ვისიმე კარნახითაც უნდა ყოფილიყო დაწერილი ეს სიტყვები, სოფლის დაწინაურების ფაქტის უარყოფა შეუძლებელი იყო. მიღწევები მოიპოვეს დაძაბული შრომის შედეგად.

სოფელში ფეხს იკიდებდა ყოფაცხოვრების ახალი კულტურა, რაც დაჩქარებული ტემპით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დამკვიდრდა.

სოფლის ეკონომიკის განვითარებაში გამორჩეული როლი მართლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩაიეობამ შეასრულა. უკვე 1935 წელს ჰექტარზე საშუალო მოსავიანობამ 1510 კილოგრამს მიაღწია, ნაცვლად 1931 წლის -- 707 კილოგრამისა, მაჩვენებლები კვლავაც სწრაფად იზრდებოდა. 1936 წელს ზოგიერთ ფართობზე მოკრიფეს 3 ათასი კილოგრამი მწვანე ფოთოლი, ასე იქცა ჩაის კულტურა გურიანთის შემოსავლის ძირითად წყაროდ. გარკვეულ შემოსავალს იძლეოდა მეციტრუსეობა და მეაბრეშუმეობა, ტუნგო და სხვა კულტურები, მეცხოველეობა. მარტო მეაბრეშუმეობიდან კოლმეურნეობის შემოსავალმა 185 ათას მანეთს გადააჭარბა (სპა, ფ.14, აღწ.1, ს.6443, ფურც.204-215, 217-218). ფულადი შემოსავლის მიხედვით გურიანთის კოლმეურნეობას (1 025 352 მანეთი) თითქმის ორჯერ ჩამორჩებოდა შრომისა (596 158 მანეთი) და ნაგომრის (581 366) განთქმული კოლმეურნეობები.

შემოსავლის მნიშვნელოვანმა ზრდამ დააჩქარა სოფლის კეთილმოწყობის ტემპები, ადგილობრივ საწარმოთა, კომუნალური დანიშნულების ობიექტების მოწყობა. უკვე 1935 წლისათვის გურიანთაში ჰქონდათ აგურისა და კრამიტის მცირე საწარმოები, სამჭედლო, სადურგლო, სამეთუნეო, სამი წისქვილი, ფურნე, სახერხი ქარხანა, ფოსტა-ტელეგრაფი, საკოლმეურნეო მაღაზია რაიონის ცენტრში, ბოგირდის სამკურნალო აბანოები "ზეგნის უბანში". აშენდა გამგეობის 16 ოთახიანი შენობა, საწყობი, ბახმაროში კოლმეურნეთა სახლი, პირუტყვის ფერმები, მდინარე სკურდუმზე ააგეს ორი ხიდი, გაიხსნა კლუბი, სკოლები, საბავშვო ბაღები და სხვა. მარტო ჩამოთვლაც ბევრის მეტყველია. კომუნალური დანიშნულების მცირე საწარმოები თუ საამქროები (წერტები) გარკვეული შემოსავლის წყაროდ იქცნენ, მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კრამიტის და აგურის საამქროები, რომლებიც წლიურად უშვებდნენ 100 ათას ცალ კრამიტსა და 80 ათას აგურს. 1935 წელს ამ საწარმოთა შემოსავალმა 31 546 მანეთს მიაღწია, ხოლო 1936 წელს -- 88 500 მანეთს გადააჭარბა (საქართველოს კოლექტივიზაციის ისტორია, გვ.638).

40-იანი წლების მეორე ნახევარში გურიანთის კრამიტისა და აგურის ქარხანა რაიონის მეთაური საწარმო გამხდარა. 1949 წლის 20 მარტს გურიანთის კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე მოუსმენიათ ძიმითის, დვაბზუსა და მელექედურის აგურ-კრამიტის ქარხნების მუშაობის შესახებ (ოსა, ფ.61, ს.44, ფურც.81). აქვე დაუსახავთ საწარმოთა მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამ შემთხვევაშიც გურიანთას წამყვანი პოზიცია უკავია. სინანულით შეიძლება აღინიშნოს, რომ ყველაფერი ეს ტკბილ მოგონებად რჩება. გურიანთაში გაქრა კრამიტისა და აგურის წარმოების ტრადიცია, -- შემოსავლის ერთ-ერთი წყაროც და დეფიციტური საშენი მასალაც. დასანანია აგრეთვე სამკურნალო "აბანოების" მოშლა-განადგურება. იქნებ ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც გაიშალოს მუშაობა ტრადიციულ წარმოებათა ასაღორძინებლად, ახალი ინიციატივის გამოსავლენად, საწარმოო კოოპერატივების დასაარსებლად, გამაჯანსაღებელი კერის აღსადგენად.

სოფლის მაჩვენებლების ამაღლება ბევრად განაპირობა კოლმეურნეთა დაძაბულმა შრომამ. 1935 წელს გურიანთის კოლმეურნეობაში იყო 558 კომლი, 2745 სული. შრომისუნარიანთა რაოდენობა უდრიდა 1495, ე.ი. ნახევარზე მეტს. გარე სამუშაოზე და წითელ არმიაში იმყოფებოდა 117 კაცი. 1936 წელს კომლთა რიცხვი გაიზარდა 601-მდე, ხოლო კოლმეურნეთა რაოდენობა შემცირდა 256 კაცით (2489). შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი კიდევ უფრო შემცირდა და უდრიდა 960 (ოსა, ფ.61, ს.1, ფურც.11). მონაცემების ასეთი სხვაობა ნაწილობრივ განაპირობა კოლმეურნეობის გარეთ მომუშავეთა რაოდენობის (281) ზრდამ, მოსახლეობის ლტოლვამ ქალაქისაკენ, რასაც ხელს უწყობდა სოფელში გაბატონებული სიძნელეები. მაჩვენებლების შემცირების მიუხედავად, ერთ ოჯახზე (კოლმეურნეთა კომლის რიცხვი 535-მდე შემცირდა) საშუალოდ თითქმის ორი შრომისუნარიანი გლეხი მოდიოდა.

სიძნელეთა და დაბრკოლებათა მიუხედავად, კვლავ იზრდებოდა მაჩვენებლები. გლეხები თანდათან ეგუებოდნენ საკოლმეურნეო შრომას, ავლენდნენ მეტ აქტიურობას. მარცვლეულის ფართობი გაიზარდა 450 ჰექტრამდე, ხოლო სიმინდის მოსავალი -- 5192,3 ცენტნერამდე. ერთ შრომადღეზე კოლმეურნეებმა მიიღეს 8 მანეთი და 3 კილოგრამი სიმინდი, 200 გრამი სოია, 18 გრამი ლობიო (იქვე, ს.4, ფურც.1), რაც დიდ მიღწევად ითვლებოდა, რადგან კოლმეურნეები ადრე მხოლოდ უმნიშვნელო ფულად ანაზღაურებას ღებულობდნენ.

ცნობილია, რომ გურიანთის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. მათ მოცულობასა და ურთიერთშეფარდებაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის დახარჯული შრომადღეები. 1937 წელს კოლმეურნეობაში სულ გამოიმუშავეს 132 251 შრომადღე, აქედან მეჩაიეობაზე მოდიოდა -- 77 938, მემინდვრეობაზე -- 39 920, სანერგე მეურნეობაზე -- 3 750, მეციტრუსეობაზე -- 3 150, მევენახეობასა და მებაღეობაზე -- 344 შრომადღე (ოა, ფ.61, ს.1, ფურც.11). მონაცემებიდან ჩანს, რომ დახარჯული შრომადღეების ნახევარზე ბევრად მეტი მეჩაიეობაზე მოდიოდა, ხოლო დანარჩენი -- სხვა კულტურებზე. სწორედ მეჩაიეობა იქცა კოლმეურნეობის შემოსავლის ზრდის ძირითად წყაროდ. 1938 წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა 1 600 417 მანეთს გადააჭარბა (იქვე, ს.11, ფურც.1). მაგრამ მთელი შემოსავალი უშუალოდ კოლმეურნეებს არ ხმარდებოდა. მისი ნაწილი სხვადასხვა ფონდებში ირიცხებოდა და შრომადღეებზე საერთო შემოსავლის ორი მესამედიც არ ნაწილდებოდა. მაგალითად, იმავე წელს განუყოფელ ფონდში გადაირიცხა 217

ეროვნული ბიბლიოთეკა

872 მანეთი, საწარმოო საჭიროებისათვის -- 131 864, კულტურულ-დაწესებულებებისათვის -- 52 888 მანეთი. ამ თანხის მხოლოდ ნაწილი ხმარდებოდა სოფლის კეთილმოწყობას, სოციალურ უზრუნველყოფას. დიდი თანხა რჩებოდა რაიონს. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ეჭვებს ბადებდა ფულის დანიშნულებისამებრ გამოყენება, თვით გადასარიცხი თანხის განსაზღვრის კრიტერიუმი, შესაძლებელი იყო თვითნებობა, უკონტროლობა და დიქტატი, თანხების განსაზღვრაში სუბიექტური, ვოლუნტარისტული მიდგომა, კოლმეურნეობათა წილის განსაზღვრაში თვითნებობა და ობიექტურობის დარღვევა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, შემოსავლის ზრდამ შესაძლებელი გახადა შრომის ანაზღაურების მატება. იმავე წელს პირველად კოლმეურნეობის ისტორიაში, შრომადღეზე განაწილდა შედარებით დიდი თანხა 11 მანეთი და 14 კაპიკი, 1,6 კილოგრამი სიმინდი, 5 გრამი ლობიო. ნიშანდობლივია, რომ ლობიოს გაცემა თანდათან მცირდებოდა და შემდეგ შეწყდა კიდეც. ასე შენელდა ყურადღება ამ ძვირფასი კულტურის წარმოების მიმართ.

დაბოლოს, ჩვენი ღრმა რწმენით, კოლექტივიზაციის მიზანსა და შედეგებზე მკითხველს უკვე შეექმნა გარკვეული წარმოდგენა. რეზიუმეს სახით შეიძლება დამატებით გამოკვეთილად ითქვას, რომ კოლექტივიზაციის მიზნად გამოცხადდა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევა, მისი განვითარების ტემპის დაჩქარება, ყველაზე მოწინავე სოფლის მეურნეობის შექმნა. ამ კეთილშობილური სურვილის განხორციელების ერთადერთ საშუალებად გამოცხადდა წვრილგლეხურ მეურნეობათა გადაყვანა მსხვილი სოციალისტური წარმოების რელსებზე.

პარტიის პროგრამის მიხედვით საბჭოთა სოფლის გადასვლა მსხვილ სოციალისტურ რელსებზე მოასწავებდა რევოლუციას ეკონომიკურ ურთიერთობებში, გლეხების ცხოვრების წესში. კოლექტივიზაციას სამუდამოდ უნდა ეხსნა სოფელი კულაკური კაბალისაგან, გაღატაკებისა და სიღარიბისაგან, გადაეჭრა გლეხობის ძველთაძველი საკითხი (მიწისა), უზრუნველეყო სოფლის რენტაბელური დარგების ფართო განვითარება, სოციალიზმის გამარჯვება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

ამას მოჰყვა ცინიკური ქადაგება, რომ კერძო საკუთრებამ, წვრილმა, დაქუცმაცებულმა გლეხურმა მეურნეობამ, ძირითადად ამოწურა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესაძლებლობანი. კოლექტივიზაციას კი უნდა უზრუნველეყო ადამიანებს შორის ყველაზე ჰუმანური ურთიერთობის დამყარება, სოციალური სამართლიანობის და ადამიანის უფლებათა დაცვა, მაღალი ზნეობის ჩამოყალიბება, ყველაზე მოწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავე, სამართლიანი და მაღალგანვითარებული საზოგადოების აგება.

პროგრამები, სურვილები, დეკლარაციები კეთილ დაპირებებად დარჩა, რეალური ცხოვრება, მთელი სინამდვილე, გამოცხადებული მიზანი და მიღებული სავალალო შედეგები მკვეთრად დაპირისპირებული აღმოჩნდა. ისტორიამ არ ისურვა ძალად თავსმოხვეული საკოლმეურნეო წყობილების სიცოცხლის გახანგრძლივება, აზრი დაკარგა მისი რეანიმაციის ცდამ. დღის წესრიგში დადგა კერძო საკუთრების აღდგენა, გლეხური მეურნეობის განვითარება, მიწის პრივატიზაციის გატარება. მაგრამ, აქაც დაშვებული იყო ამ პროცესში უხეში ჩარევა, კოლმეურნეობათა გარედან კარნახით, ფორსირებული წესით დაშლა. ისევე, როგორც დაუშვებელია იძულებითი კოლექტივიზაცია, ასევე მიუღებელია მისი დარბევა-გაჩანაგება. ანგარიში უნდა გაწეოდა კოლექტივიზაციის თითქმის 65 წლიან ისტორიას, ადამიანების ფსიქიკაზე კოლექტიური მეურნეობის უპირატესობის ხანგრძლივი ქადაგების გავლენას, კოლმეურნეობის მიღწევებს, მეურნეობაში ტექნიკისა და სხვა სიმდიდრის თავმოყრას. ადამიანებს თვითონ უნდა გადაეწყვიტათ თავიანთი სოფლის ბედი. უდაოა, გურიანთა აქაც თავის სათქმელს იტყოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მოვლენების განვითარებამ მიიღო უმართავი და სტიქიური ხასიათი, რაც სრულ ანარქიაში გადაიზარდა. არავითარი გამართლება არა აქვს კოლმეურნეობის უმოწყალო დარბევა-გაჩანაგებას, ცალკეული პირების მიერ საერთო ქონების მიტაცებას, მოსახლეობის თვალწინ შენობა-ნაგებობათა ნგრევას. კოლმეურნეობის დაშლა, მეურნეობის სხვა ფორმებზე გადასვლა, მთელი სიმდიდრის განაწილება, კერძო საკუთრების გამოცხადება, სოფლის, მისი ყრილობის ხანგრძლივი და ღრმად გააზრებული მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო. ჩვენი აზრით, გაცილებით მეტ შედეგებს მოიტანდა კოლექტიური და კერძო საკუთრების შეხამების ახალი ფორმების ძიება და არა კოლმეურნეობათა ხელაღებით დაგმობა, სოციალიზმისა და კომუნისტების დაუოკებელი ლანძღვა-გინება. ახლა უკვე ყველასათვის ცნობილია, რა სავალალო შედეგები მოიტანა კოლმეურნეობის ქონების დატაცების მოწოდებამ თუ "პასიურმა მაყურებლობამ".

კოლმეურნეობათა ხელაღებით დაგმობამ გამოიწვია ისტორიულად მოკლე დროში მიღწეული წარმატებების, ჩამორჩენილობის დაძლევის, მოსახლეობის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების სრული იგნორირება. ისიც არ გაითვალისწინეს, რომ წარმატებები მოპოვებულ იქნა მკაცრი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში. უდაოა, რომ ბევრი რამ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ საყოველთაო მსხვრევამ მიიღო "შოკური თერაპიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელვისებური" ხასიათი, სერიოზული ფიქრისა და სჯა-ბაასის ჯარეშე ყველას თვალწინ განიავდა მთელი სიმდიდრე, ვერ მოხერხდა მეურნეობის გაძღოლის სხვა, სრულიად განსხვავებულ, სისტემაზე გეგმაზომიერი გადასვლა, მიღწეული მაღალი დონის სოფლის სამსახურში ჩაყენება.

სოფლის თავკაცებს, ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმულ ადამიანებს, თავი უნდა გამოედოთ ხალხის საერთო ძალისხმევით, დაძაბული შრომით, ტანჯვითა და წამებით, ათეულ წლებში დაგროვილი სიმდიდრის, მძლავრი ტექნიკის, პროდუქტების წარმოების მდიდარი ბაზის გადასარჩენად. სამწუხაროდ, მოძრაობამ მიიღო დაპირისპირებისა და ნგრევის ხასიათი. სოფელი მოიცვა სრული განუკითხაობისა და უპასუხისმგებლობის პათოსმა, რამაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა.

სამიტინგო-სამანიფესტაციო მოძრაობაში ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მიიყვანა ანგარებამ, ვიდრე წმინდა გრძნობამ და საქვეყნო ინტერესებმა. მათ არა თუ პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდათ, არც სერიოზული შრომისათვის იყვნენ მზად. მოძრაობის თავკაცებს მხარდამჭერი მასა სჭირდებოდათ და ისინი არად დაგიდევდნენ, ვინ დადგებოდა მათ გვერდით, ოღონდ კი ვინმეს მიტინგები "შეევსო". საერთო არეულობის ვითარებაში ფსკერიდან ამოტივტივდნენ კრიმინალური ძალები. ხალხის მასა, რომელსაც პოლიტიკის არაფერი გაეგებოდა, მოიცვა პოლიტიკურმა აჟიოტაჟმა.

ახლა მთავარია სოფლის მოსახლეობამ, მისმა თავკაცებმა, გამოავლინონ ახლის ძიების უნარი და ინიციატივა, იფიქრონ კოოპერირების ახალ ფორმებზე, მთელი სიმდიდრის, განსაკუთრებით მიწის, რაციონალურ გამოყენებაზე, გურიანთის განვითარების პერსპექტივებზე, ახალგაზრდობის შრომის პროცესში ჩართვაზე, მათ მომავალზე, პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების სერიოზულ ანალიზზე, მოქმედებისა და მოღვაწეობის შედეგებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეცხრე. გურიანთა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში

მეორე მსოფლიო ომი გერმანიის ფაშისტებმა კაცობრიობას თავს მოახვიეს 1939 წლის პირველი სექტემბრიდან. ხალხები დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ. ომმა განსაკუთრებით გააფთრებული ხასიათი მიიღო საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმიდან (1941 წ. 22 ივნისი). ეს ომი იყო მძიმე და სამკვდრო-სასიცოცხლო. ჰიტლერისა და მისი სატელიტების წინასწარ საგანგებოდ მობილიზებული ძლიერი არმია შემოიჭრა სსრკ-ს ტერიტორიაზე, მტერმა მოაღწია მოსკოვამდე, ბლოკადაში მოამწყვდია ლენინგრადი, გაიჭრა კავკასიის და სტალინგრადისაკენ, ქვეყანას მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა.

გერმანიის ფაშიზმი საფრთხეს უქადდა მილიონობით ადამიანის ფიზიკურ არსებობას. მთელი ხალხი აღსდგა ფაშიზმის დასამარცხებლად, ქვეყანა გადაიქცა უზარმაზარ საბრძოლო ბანაკად. "ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის!", გახდა საბჭოთა ქვეყნის უცილობელი კანონი.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დასახა ფრონტისა და ზურგის გაერთიანების ღონისძიებანი, უზრუნველყო ქვეყნის თავდაცვა და მტერზე ისტორიული გამარჯვების მოპოვება.

საქართველოს ტერიტორიაზე ომი თუმცა არ წარმოებდა, მაგრამ გაძლიერებული თავდაცვითი სამუშაოები აქაც განხორციელდა. რესპუბლიკის მოსახლეობა დაირაზმა ომის პერიოდის ურთულესი ამოცანების გადასაჭრელად, არმიის ზურგის სიმტკიცის უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა ქვეყნის ამ განსაცდელის ჟამს სოფლის ბევრი მცხოვრები სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ზურგში დარჩენილები კი გაორკეცებული ენერგიით მუშაობდნენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად.

საბჭოთა ჯარებში იმყოფებოდა დაახლოებით 700 ათასი წარგზავნილი საქართველოდან.

საქართველოს თავისი ეკონომიკით, სტრატეგიული მდებარეობით, რკინიგზის მაგისტრალებით, ნავსადგურებით, მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა ომის მთელ პერიოდში.

მართლაც, ომმა საქართველოს სოფლის მეურნეობას ურთულესი ამოცანები დაუსახა. ფრონტს ყოველდღიურად სულ უფრო მეტი სურსათი ესაჭიროებოდა. ამან მოითხოვა ძალების დაძაბვა, სოფლის მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე სწრაფი გარდაქმნა. ომის პერიოდში სოფელს ჩამოშორდა მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიანი და კვალიფიციური ნაწილი, ფრონტზე გაგზავნეს ტექნიკა, ცოცხალი გამწევი ძალა. კოლმეურნეობას მძიმე პერიოდი დაუდგა. მაგრამ, ყოველგვარი პანიკის გარეშე, ფრონტზე წასულთა ადგილი დაიკავეს ქალებმა, მოზარდებმა, მოხუცებმა, ასეთ უძნელეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობებში სოფლის მშრომელები გადაჭარბებით ასრულებდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმებს. გაიზარდა კოლმეურნეობათა როლი მოსახლეობისა და არმიის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფისა და მრეწველობის ნედლეულით დაკმაყოფილებისათვის. აუცილებელი გახდა სათესი ფართობის გაზრდა, ყამირი მიწების ათვისება, რაც მუშახელისა და ტექნიკის სიმცირის პირობებში უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამასთან, კოლმეურნეები საკ.კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 5 სექტემბრის დადგენილების თანახმად, ფართოდ ჩაებნენ არმიისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვების კამპანიაში. გურიანთის კოლმეურნეთა საერთო კრებამ, ერთსულოვნად მოიწონა ქვეყანაში გაშლილი ეს მოძრაობა და შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც მალე გაშალა მუშაობა.

ომის დასაწყისშივე კოლმეურნეობამ გამოყო სპეციალური სათესი ნაკვეთები, "თავდაცვის ფონდები". აქ მოწეული მოსავალი შეჰქონდათ წითელი არმიისა და ფლოტის ფონდში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწარმოებლად სოფლად ნაკვეთები გამოეყოთ ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა მუშაკებსაც. გურიანთის კოლმეურნეობის საერთო კრების 1942 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ოზურგეთის წარმოება-დაწესებულებებს, მინიმალური გადასახადით, დასამუშავებლად გადაეცათ 30 ჰექტარი აუთვისებელი მიწები (ოსა, ფ.61, ს.11, ფურც.22). მათ მიწებს მომდევნო წლებშიც აძლევდნენ.

კოლმეურნეებს უაღრესად დაძაბული მუშაობის ჩატარება მოუხდათ კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში. ქვეყნის დამცველთა რიგებში ჩადგა 326 ჯანღონით სავსე გურიანთელი. არ ყოფილა ოჯახი, რომლის წევრსა თუ უახლოეს ნათესავს ფრონტზე არ ებრძოლა. იშვიათი როდი იყო შემთხვევა, როცა ფრონტზე მიდიოდა ოჯახის ბრძოლისუნარიანი ყველა მამაკაცი. ომის პირველ თვეებში კი ფრონტიდან მოდიოდა შემაშფოთებელი, ავისმაუწყებელი ცნობები საბჭოთა არმიის ნაწილების დამარცხებისა და წარუმატებლობის შესახებ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა განცდები ეუფლებოდათ მეომართა მშობლებს, ნათესავებს, მთელ სოფელს, ომის თითოეული დღე როგორ წარმოუდგენელ ტკივილს აყენებდა მძიმე შრომაში ჩაბმულ ადამიანებს. ასეთ პირობებში ისინი მორალურად არ დაითრგუნენ და მთელი ენერგიით შრომობდნენ საკოლმეურნეო მინდვრებზე, გადაჭარბებით ასრულებდნენ გეგმებს, არ შენელებულა ზრუნვა წითელ არმიაზე.

ჯარის ნაწილებისათვის, ბრიგადების მიხედვით, სისტემატურად აგროვებდნენ თბილ ტანსაცმელებსა და საჩუქრებს. და ეს კეთდებოდა წარმოუდგენელი პათოსით. ხშირად, თავად უმძიმეს პირობებში ჩავარდნილი ადამიანები იკლებდნენ ლუკმა-პურს, იმოსებოდნენ ძველი ტანსაცმელებით, მაგრამ ფრონტისათვის არაფერს იშურებდნენ, ფულსა და ტანსაცმელს აგროვებდნენ, სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს ყიდულობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიანთის კოლმეურნეობის საერთო კრების 1942 წლის 13 აპრილის დადგენილებით აქაურმა მშრომელებმა ხელი მოაწერეს სახელმწიფო სესხისათვის გაეღოთ ორი კვირის ხელფასი. სახელმწიფო ბანკში კოლმეურნეობამ გადარიცხა 100 ათასი მანეთი (ოს, ფ. 61, ს. 1 ბ, ფურც. 19).

სახელმწიფო სესხის ყოველწლიურ გავრცელებასთან ერთად მოსახლეობისაგან პერიოდულად ითხოვდნენ სხვა თანხებსაც. მაგალითად, 1943 წელს დაიწყო ფულისა და ნივთების ლატარიის გავრცელების ფართო კამპანია, რომლის მიზანი იყო მატერიალური სახსრების მაქსიმალური მობილიზება.

დამახასიათებელია, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენს თანასოფლელებს საყვედურისა და წუწუნის არცერთი სიტყვა არ დაცდენიათ, რადგან ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ შეგროვილი თანხა და რესურსები ხმარდებოდა ფაშიზმზე გამარჯვების დიად საქმეს. ნივთებისა და თანხების შეგროვების მიზნით სოფელში ეწყობოდა თავისებური შეჯიბრი. კრებაზე გამოსული კოლმეურნეები ასახელებდნენ შესატან თანხას და იქვე შეჯიბრში იწვევდნენ სხვებს (გვარის დასახელებით). არავის არ სურდა საზოგადოების წინაშე შერცხვენა. ასე გროვდებოდა დიდი თანხა, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული თავმოყვარეობაც. ხალხთა თავყრილობაზე შეჯიბრებაში გამოწვეული პიროვნება დიდ თანხას ასახელებდა. 1000-1000 მანეთზე ხელი მოაწერეს: ა. მალაზონიამ, ა. კვირკველიამ, დ. სურგულაძემ. ბ. მალაზონიამ, პ. ტოტოჩავამ, ი. ცერცვაძემ, ვ. ტოტოჩავამ, ხოლო ორი ათას მანეთზე ო. მეხუზლამ (ოს, ფ. 61, ს.18, ფურც. 20,44).

მომდევნო წელს ჩატარდა მესამე სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა. ამჯერად 5 ათასი მანეთი (თითოეულმა) შეიტანა: ო. მეხუზლამ, ნ. მეავიამ, ალ. კვერღელიძემ, 2500 მანეთი -- მ. დოლიძემ, შ. გიორგაძემ, ნ. ტოტოჩავამ, ათასი მანეთი -- მ. კვაჭაძემ, ა. ტუღუშმა, ი. ცერცვაძემ, ს. ლ. კვაჭაძემ, ნ. ტუღუშმა (იქვე, ფურც.77). დიდი თანხა შეიტანეს სხვებმაც, რაც ნათლად მეტყველებს შექმნილი ურთულესი მდგომარეობისადმი სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულებაზე. როგორც იტყვიან, თავს არ ზოგავდნენ , ოღონდ ქვეყანა ეხსნათ განსაცდელისაგან. ეს იქიდანაც ჩანს, რომ გურიანთელ მშრომელთა დანაზოგით 1942 წელს ააგეს ტანკი, რისთვისაც კოლმეურნეობამ უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მადლობა დაიმსახურა. თანხების შეგროვება კვლავ გრძელდებოდა. 1943 წელს კოლმეურნეობამ სატანკო ფონდში შეიტანა 52 500 მანეთი, თვითმფრინავის ესკადრილიის ფონდში -- 11 500 მანეთი. ამასთან, არ ნელდებოდა ყურადღება წითელარმიელთა ოჯახებისადმი. კერძოდ, 150 კომლს გადასცეს 7 600 კგ სურსათი, 320 კუბ. მეტრი შეშა. ამ მიზნით პერიოდულად ტარდებოდა კვირეული (იქვე, ფურც. 52-54). ფრონტზე სისტემატურად იგზავნებოდა აგრეთვე სხვადასხვა საჩუქრებიანი ამანათები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა ომის სულისკვეთება. მთა-სახლეობა მონაწილეობდა ჯუმათის სპეციალურ სამხედრო მშენებლობაში, რომელიც ზოგჯერ იძულებით ხასიათსაც აგარებდა. იქ სამუშაოს თავის არიდებისათვის გურიანთის რამდენიმე კოლმეურნე სასამართლოს გადასცეს (ოსა, ფ.61, ს.15, ფურც. 17).

სოფელმა ომის დაწყება ტრაგიკულად აღიქვა და ყველაფერი გააკეთა ვერაგ მტერზე გამარჯვების მოპოვებაში თავისი მოკრძალებული წვლილის შესატანად. კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული ორგანიზაცია და სოფლის დეპუტატთა საბჭო სისტემატურად იხილავდნენ ომთან დაკავშირებულ საკითხებს. ტარდებოდა ანტიფაშისტური მიტინგები, ღებულობდნენ მიმართვებსა და მოწოდებებს, ისახებოდა კონკრეტული მოქმედების გეგმები. კერძოდ, 1942 წლის 22 აგვისტოს გადაწყვიტეს მოეწყოთ სოფლის შუქშენიღბვა (იქვე, ს.16, ფურც.3). ფრონტი თითქოს შორს იყო, მაგრამ შენიღბვას შორეულ სოფლებშიც მიმართავდნენ, რადგან ჯერ კიდევ დიდი იყო გერმანიის ჯარების შემოჭრის საშიშროება.

ასეთ პირობებში, 1942 წლის აგვისტოს, გურიანთის პარტიული ორგანიზაციის კრებამ განიხილა საკითხი "უდარდელობის, დეზორგანიზატორების, პანიკიორებისა და ცრუ ხმების გავრცელების წინააღმდეგ ღონისძიებების გატარების შესახებ", მომხსენებელი შ. გირკელიძე (სპა, ფ.2341, ს.10,ფურც.49-52). კრების მიმდინარეობის ანალიზი სრულ წარმოდგენას გვაძლევს სოფელში გაბატონებულ მაშინდელ სულისკვეთებაზე. აქ აღინიშნა, რომ გურიანთაში არიან ადამიანები, რომლებიც ავრცელებენ ცრუ ხმებს, თესავენ შიშსა და პანიკას, აქვე, ფაქტების შეუმოწმებლად, ამხილეს პიროვნება (განგებ არ ვასახელებ), რომელსაც თითქოს ხალხში ეთქვას "ომის დროს დიდი საშიშროება მოგველის, მაინც დავმარცხდებით და მუშაობა რა საჭიროაო". ერთ მოლაყბე დედაკაცს (მასაც არ ვასახელებ) მართლაც უთქვამს, თითქოს თავის უახლოეს მეზობელს განუცხადებია: "ფრონტზე წასულ შვილსაც კი შევწირავ, ოღონდ გერმანელები შემოვიდნენ, შეგვმსონ და დაგვაპურონო". აქვე დაგმეს აგრეთვე მკითხავების "პროგნოზების" ხალხში გავრცელების შემთხვევები. კრებამ "დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა პანიკიორებს, ჭორიკანებს, დეზორგანიზატორებს, ცრუ ხმების გამავრცელებლებს" (იქვე, ფურც.51-52).

შეიმჩნეოდა ვითარების ხელოვნური დაძაბვა, გაუმართლებელი სიმკაცრის და უნდობლობის დანერგვა. ამასთან გრძელდებოდა უკვე დიდი ხნის წინათ აპრობირებული მავნე პრაქტიკა – კრებაზე განეხილათ პარტრაიკომის მიერ თავსმოხვეული ნებისმიერი საკითხი, მათ შორის ჭორების შესახებ.

"პანიკიორებისა და მოლაყბეების წინააღმდეგ ბრძოლის" საკითხის განხილვაში არც სოფლის საბჭო ჩამორჩებოდა. მაგალითად, სესიამ 1942 წლის 22 სექტემბერს მოისმინა საკითხი -- "თავდაცვითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის განმტკიცებისა და ბოლშევიკური სიფრთხილის გაძლიერების შესახებ" (მომხსენებელი დ.ჯაში). აქაც აქცენტი გადაიტანეს პანიკიორებისა და მოლაყბეების აღმოჩენის აუცილებლობაზე (ოსა, ფ.1, ს.42, ფურც.25).

მსგავსი საკითხების ჭორის დონეზე განხილვა ძაბავდა ვითარებას. მართლაც, ადამიანები ვერ ბედავდნენ ერთმანეთთან გულახდილ საუბარს, ითესებოდა უნდობლობა, ღვივდებოდა დასმენის ატმოსფერო. დიდ მწუხარებასა და დაძაბულ შრომას ემატებოდა გულჩათხრობილობა, შიში მომავლისადმი, პესიმისტური განწყობილება.

დამახასიათებელია, რომ ომის დროს მუშაობა გააქტიურა ამხანაგურმა სასამართლომ (თავმჯდომარე ს.სურგულაძე, შემდეგ კ.ჩიკაშუა), აირჩიეს ამხანაგური სასამართლოს პროკურორიც – ო.მეხუბლა (სპა, ფ.2341, ს.13, ფურც.10). სასამართლოზე პირველ რიგში იხილავდნენ იმ კოლმეურნეთა საკითხებს, რომლებიც არ ასრულებდნენ შრომადღის მინიმუმს. 1942 წელს მათმა რიცხვმა 37-ს მიაღწია (ოსა, ფ.61, ს.15, ფურც.4). მათი საქციელი მართლაც დასაგმობი იყო, რადგან ომის ყველაზე ძნელ პერიოდში (წელიწადში) 41 შრომადღის გამომუშავება (ასეთი იყო სავალდებულო მინიმუმის ნორმა), მკაცრ მოთხოვნად არ შეიძლება ჩაითვალოს. საერთოდ კი ცნობილია, რომ ომის პერიოდში მომთხოვნელობის გამკაცრება ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ მთავარი მოვლენების გამომწვევ მიზეზებში გარკვევა იყო, ეს კი არ კეთდებოდა. ამიტომ სიმკაცრის მიუხედავად, მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. ამაზე მეტყველებს 1943 წლის მაისის მაჩვენებლები. ამ დროისათვის შრომადღის მინიმუმი ვერ გამოიმუშავა 36 კაცმა (იქვე, ს.19, ფურც.32), თითქმის იმდენმა, რამდენმაც – წინა წელს.

ომის პერიოდში სამუშაოთა გაცდენებისათვის დაკანონდა ჯარიმები. 1943 წელს 2-3 შრომადღით დააჯარიმეს 31 კოლმეურნე. საერთო ჯამში მათ ჩამოაკლეს 70 შრომადღე (იქვე, ს.20, ფურც.1-2,12,56,66). კოლმეურნეებს სასტიკად ეკრძალებოდათ სხვაგან მუშაობა. იყო შემთხვევები, როცა უკან დააბრუნეს რაიონის წარმოება-დაწესებულებაში წასული პირები (იქვე, ს.20, ფურც.1-2). "განაჩენი" გამოჰქონდათ ანალიზისა და განსჯის გარეშე, ზემოდან მიღებული მითითებებისა და ინსტრუქციების საპასუხოდ, რაც უკმაყოფილებას იწვევდა.

წარმოუდგენელი სიძნელეების მიუხედავად, ნახევრადმშიერი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა და ახალ-ახალ ვალდებულებებს კისრულობდა. მაგალითად, 1943 წელს 60 ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 67 ტონა ნედლეული, ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა 2700 კგ-დან გაიზარდა 3500 კგ-მდე. სიმინდი დათესეს 233 ჰექტარზე, ნაცვლად 220 ჰექტრისა. შრომადღეზე განაწილდა 2,4 კგ მარცვალი, რაც ერთი კგ-ით ჭარბობდა 1941 წლის მაჩვენებლებს. შრომადღეზე გასცეს აგრეთვე 15 გრამი ლობიო, ნაცვლად 7 გრამისა 1941 წელს. ერთ შრომადღეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულადმა ანაზღაურებამ 9,36 მანეთი შეადგინა, რაც გეგმიურზე 86 კაპიკით მეტი იყო. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 5,5 ტონა სიმინდი, 1,4 ტონა სოია, 890 კგ ხორცი. გარდა ამისა, თავდაცვის ფონდში შეიტანეს 3,2 ტონა სიმინდი. შესრულდა საქონლის ტყავის, ყველის, კვერცხის დამზადების გეგმები.

ომის მძიმე წლებში სახელმწიფო კოლმეურნეობებისაგან ცენტრალიზებული წესით ღებულობდა ყველა საჭირო პროდუქტსა და ნედლეულს, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტური გერმანიის დამარცხებაში. ეს ჩვენი სოფლის მაგალითითაც მტკიცდება. ომის მთელ პერიოდში გეგმები გადაჭარბებით სრულდებოდა.

მიღწევები ჰქონდათ მეაბრეშუმეებს. ამ დარგის აღორძინება ომისწინა პერიოდში დაიწყო და შემდეგშიაც გაგრძელდა. 1943 წელს თავი ისახელეს: აღათი რუსიძემ, მარო ცერცვაძემ, ნინა ვაშალომიძემ, შურა ტოტოჩავამ, ლიუდი ტოტოჩავამ, ვერიჩქა შეწირულმა და სხვებმა.

დაძაბული ყოველდღიური შრომა ხელს უწყობდა ომის მძიმე შედეგების შემსუბუქებას. შესაძლებელი გახდა წითელარმიელთა ოჯახებისა და ევაკუირებული მოსახლეობისათვის გამოეყოთ სპეციალური ფონდები, საშენი მასალები, დახმარება აღმოეჩინათ ყანების დამუშავებაში, საკარმიდამო ნაკვეთების შემოღობვაში, შეშის დამზადებაში, პროდუქტებით მომარაგებაში. კონკრეტული დახმარების აღმოჩენის ორგანიზაციის მიზნით შეიქმნა სპეციალური ბრიგადები (ოსა, ფ.1, ც.42, ფურც.61), რომლებიც გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებდნენ სოფლის სესიას. ზოგჯერ ეს დახმარება სიმბოლური ხასიათისა იყო, მაგრამ მას მაინც დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, კომკავშირის ინიციატივით 20 ოჯახს გადაეცა 136 კგ სიმინდი (იქვე, ფ.1, ს.45, ფურც.32). ე.ი. ოჯახზე საშუალოდ 6 კგ-ზე ნაკლები, მაგრამ გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი ძნელბედობის ჟამს ამას აღიქვამდა, როგორც მხარში ამოდგომას, თანაგრძნობასა და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გაადვილების ცდას.

კოლმეურნეობა დახმარებას უწევდა აგრეთვე ეკონომიურად ხელმოკლე სხვა გლეხობას. ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით 1945 წლის დასაწყისში გამოიკვეთა (გამგეობის თავმჯდომარე თ. კვაჭაძე). კერძოდ, გამგეობის 1945 წლის 7 აპრილის სხდომის გადაწყვეტილებით 120 კოლმეურნეს (თითოეულს) უსასყიდლოდ მისცეს 16-32 კგ სიმინდი. მაისში მსგავსი დახმარება კიდევ 162 გლეხს აღმოუჩინეს. გარდა ამისა, მარცვლეული სესხად მიიღო 247 ოჯახმა (ოსა, ა.61, ს.17, ფურც.26-34, 35-46,51-52). ასეთი მასშტაბური დახმარება, ერთი მხრივ, მიუთითებს ეკონომიკურად გაჭირვებული ოჯახებისადმი მზრუნველობაზე, ხოლო მეორე მხრივ, საკარმიდამო მეურნეობის დაქვეითებაზე. სამწუხარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდ, ეს პროცესი ომის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა. მარგალი 1945 წლის ივლისში სიმინდის მარცვალი სესხად აიღო 254 კაცმა. ცოტა როდი იყო ისეთი, რომელსაც შრომადღის ანგარიშზე მარცვალი რამდენიმეჯერ მისცეს. ივლის-აგვისტოში 4-დან 16 კგ-მდე მარცვალი მიიღო 481 კოლმეურნემ. წარმოუდგენლად მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ 4 კგ სიმინდის დახმარება ითხოვა 9 გლეხმა, 5 კგ-ისა -- 37-მა და ა.შ. (იქვე, ს.30, ფურც. 9-28). ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობა მარცვლეულის წარმოების გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა, სახელმწიფოს დიდძალ მარცვლეულს აბარებდა.

ომის პერიოდში კოლმეურნეობამ კარგ შედეგებს მიაღწია პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ამაღლების მხრივ, რამაც უზრუნველყო ხორცისა და რძის წარმოების სახელმწიფო დავალებათა შესრულება. ნიშანდობლივია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ნებისმიერ ოფიციალურ დოკუმენტში ხაზგასმული იყო სახელმწიფო დავალებათა შესრულების შეუვალობა. იშვიათად თუ ვინმე დაინტერესებულა სოფლებში, როგორი მოთხოვნილება იყო იმავე პროდუქტებზე, რომლებსაც სახელმწიფო რეგულარულად, კვარტალებისა და თვეების მიხედვით იბარებდა. იქ მცხოვრებთ რამდენი რძე და რძის პროდუქტი, ხორცი, მარცვლეული ესაჭიროებოდათ და რომელი არხებით შეიძლებოდა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, გასაგები მიზეზების გამო ამაში გარკვევა ხელისუფლებას არ უცდია. მთავარი იყო სახელმწიფოს "თავისი მიეღო". ამ მიზნით კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად გამოსცემდნენ ბრძანებულებებს მეცხოველეობის განვითარების, მოზარდეულის შენარჩუნებისა და პირუტყვის სულადობის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ. ერთ-ერთი ასეთი ბრძანებულება გამოიცა 1942 წელს, რამაც გააადვილა სახელმწიფო დამზადების გეგმის შესრულება.

მტრის ურდოების ამიერკავკასიასთან მოახლოვების დროს კოლმეურნეები უმატებდნენ შრომის ტემპებს, კისრულობდნენ ახალ-ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, გადაჭარბებით ასრულებდნენ სახელმწიფო გეგმებს. ეს ტენდენცია ყოველწლიურად იზრდებოდა, გეგმების მატებას დასასრული არ უჩანდა.

მეცხოველეობის პროდუქტებზე მოთხოვნების ზრდის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა კერძო ინიციატივის წახალისებით. ეს ხომ გაჭირვებულთა პრობლემასაც გადაწყვეტდა, მაგრამ თითქოს განგებ, სწორედ 1943 წლის მაისში, ჩვენს სოფელში დაისვა საკითხი მოსახლეობისათვის "ზედმეტი პირუტყვის ჩამორთმევის შესახებ". კოლმეურნეობის საერთო კრებაზე მოისმინეს რაიკომისა და რაიაღმასკომის სპეციალური მიმართვა -- "ორი ძროხის ყოლის აკრძალვის შესახებ". ჩაგარდა მკაცრი აღრიცხვა და კოლმეურნეებს მხოლოდ თითო ძროხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუტოვეს (ოსა, ფ.61, ს.18, ფურც. 16-17). მართლაც რომ უპრეცედენტო შემთხვევაა. ომის მძიმე პირობებში გლეხები გადაჭარბებით ასრულებდნენ ხორცისა და რძის დამზადების გეგმებს, როგორც იტყვიან, "წელზე ფეხს იდგამდნენ" და ამ დროს პირუტყვის ჩამორთმევა, კიდევ ერთი "სილის გაწვნა", რძის პროდუქტების წარმოების და ხორცის დამზადების სტიმულის წართმევა, "გლეხური ცხოვრების" უხეში აკრძალვა იყო. ეს იმიტომ მოხდა, რომ მთელი ყურადღება გადაეტანათ მხოლოდ საკოლმეურნეო შრომაზე. ასეთ პოლიტიკას მძიმე შედეგები მოჰყვა.

მესაქონლეობის განვითარების შეფერხების თავისებური "კომპენსაცია" ხდებოდა ფრინველებისა და ღორების მოშენების ხარჯზე. ომის პერიოდში გურიანთაში გაიხსნა ფერმები, რასაც მომდევნო პერიოდებში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა.

ნიშანდობლივია, რომ ომის უმძიმეს წლებში უმჯობესდებოდა კოლმეურნეობის საერთო მაჩვენებლები. ბრდის დინამიკა ასეთ სურათს გვაძლევდა: 1942 წელს გამოიმუშავეს 95 500 შრომადღე, 1944 წელს -- 112 143, ხოლო 1945 წელს -- 117 500 შრომადღე, რაც ჭარბობდა 1939 წლის მონაცემებს (95 ათასი შრომადღე). როგორც იტყვიან, ციფრების ენა, ყველაზე მეტყველი ენაა. მუშახელის საერთო რაოდენობის მკვეთრი შემცირების პირობებში (1941 წელთან შედარებით 1945 წლისათვის შრომაში ჩაბმულთა რიცხვი 945-დან შემცირდა 663-მდე, ანუ თითქმის ერთი მესამედით) გამომუშავებულ შრომადღეთა ბრდა კოლმეურნეთა თავდადებულ შრომაზე მიუთითებს.

მუშახელის 291 ერთეულით შემცირების პირობებში იზრდებოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მოცულობა, დასამუშავებელი ფართობი. სიმინდის ნათესი 208 ჰექტრიდან 1941 წელს გაიზარდა 226 ჰექტრამდე 1945 წელს. მოსავალმა მოიმატა 1754-დან 2296 ცენტნერამდე. ცალკეულ წლებში მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალი იყო. კერძოდ, 1944 წელს სიმინდის მოსავალმა 2626 ცენტნერს გადააჭარბა (კოლმეურნეობის ბუხჰალტრის სტატისტიკური მონაცემები). მსგავსი მიღწევები ჰქონდათ ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგოს წარმოებაში. თუ 1941 წელს 3980 ცენტნერ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფდნენ, 1945 წელს მაჩვენებლები გაიზარდა 4850 ცენტნერამდე. ამავე პერიოდში ციტრუსების წარმოება გაიზარდა 12-დან 105 ცენტნერამდე. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები შეინიშნებოდა ტუნგოს წარმოებაში (შესაბამისად 162 ცენტნერიდან გაიზარდა 600 ცენტნერამდე), რითაც სოფელს თავისი წვლილი შეჰქონდა ომის დროს მეტად საჭირო ზეთის წარმოების ბრდაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეციტრუსეობაში გურიანთელთა მიერ გაწეული შრომის შესახებ, 1941-1942 წლის მკაცრმა ზამთარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა გაანადგურა პლანტაციების 20 პროცენტი, 50 630 ძირიდან მოიტეხა -- 1260, დაზიანდა -- 22 ათასი. კიდევ მეტი ზარალი განიცადა საკარმიდამო სექტორმა. 13 ათასი ძირი ციტრუსიდან გახმა 6082, თითქმის მთლიანად განადგურდა კახურის უბნის ციტრუსები. ასე მეორდებოდა პერიოდულად, გლეხები კვლავ და კვლავ აშენებდნენ ახალ პლანტაციებს, ყინვები ისევ და ისევ მუსრავდა მშრომელი კაცის ნაამაგარს.

დაზარალდა ევკალიპტის ნარგავებიც. სხვადასხვა წლებში გაშენებული 30 ათასი ძირიდან, 1943 წელს შემორჩა მხოლოდ 6778 (ოსა, ფ.61, ს.18, ფურც.12-26). დიდი ზარალის მიუხედავად, კოლმეურნეობამ მალე დაძლია სიძნელეები, იმატა შემოსავალმა.

საუკეთესო შრომით გამოირჩეოდნენ: ლ.ჩხაიძე, ვ.დათუნაშვილი, პ.მალაზონია, ლ.ვაჩნაძე, გ. ლომაძე, გრ.კვარაცხელია, შ.გიორგაძე, ვ.ტოტოჩავა, თ.ბოგუაძე, კ.კვირკველია, მაგალითს უჩვენებდა მოხუცი კოლმეურნე ვ.ვაშნაძე. სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებდნენ კოლმეურნეები: კ.ჩიკაშუა, ვ.ჭეიშვილი, თ,სურგულაძე, ნ.ბღულაძე, თ.მალაზონია, მ.კვაჭაძე, ე.არეშიძე და სხვები ("ლენინის დროშა", 1942 წლის 9 იანვარი, 3 და 14 აპრილი, 9 აგვისტო).

ბეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ აგრეთვე: კ.მჟავია, დ.ჩხაიძე, თ.გიორგაძე, კ.ბოგუაძე, მ.კვარაცხელია, ი.მჟავია, ს.ტოტოჩავა, ბ.ზაქარიაძე, პ.ტოტოჩავა. გამოირჩეოდნენ მოსწავლეები რ.კვარაცხელია და გ.ცერცვაძე, რომლებიც ყოველდღიურად კრეფდნენ 30-40 კგ ჩაის მწვანე ფოთოლს ("ლენინის დროშა", 1941 წლის 8 ივნისი).

აღსანიშნავია, რომ ადრე პირუტყვისაგან ჩაის პლანტაციების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. დამნაშავეებს მკაცრად აკრიტიკებდნენ და სჯიდნენ კიდეც. ეს საკითხი არაერთგზის მახარაძის რაიკომის ბიუროს, კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული კომიტეტის სპეციალური მსჯელობის საგნად იქცა. გამოჰქონდათ დადგენილებები, ისჯებოდნენ დამნაშავეები. მაგალითად, რაიკომის ბიუროს 1944 წლის 1 დეკემბრის დადგენილებით გურიანთის კოლმეურნეობის გამგეობის, სოფლის საბჭოსა და პარტიული ორგანიზაციის მდივნებს დაევალათ დაუყოვნებლივ გამოეყოთ დამატებითი მუშახელი ჩაის პლანტაციების დასაცავად, ერთ კვირაში შეეღობათ დაუცველი პლანტაციები, დაენიშნათ ახალი მეველეები, პირუტყვის მეპატრონეები კი მიეცათ პასუხისგებაში, მკაცრად გააკრიტიკეს ნ. ნიკოლაიშვილი, რომლის საკარმიდამო ნაკვეთზე ძოვდა მისივე პირუტყვი (ოსა, ფ.1, ს.54, ფურც.1). ასეთი სულისკვეთებით იქმნებოდა დოკუმენტები, იწერებოდა სტატიები და ბროშურები, ისჯებოდნენ ადამიანები, თანამდებობიდან თავისუფლდებოდნენ მერგოლურები, ბრიგადირები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, სოფლის საბჭოს თავმჯდომარეები და პარტიული ორგანიზაციის მდივნები (ვის როგორი თვალით შეხედავდნენ).

ომის პერიოდის სიძნელეების უკეთესად გააზრებას გვიადვილებს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებათა დინამიკა. 1941 წელს გურიანთის კოლმეურნეობა აერთიანებდა 365 ოჯახს, 1762 სულს. სამიოდე წლის შემდეგ 1944 წლისათვის კომლთა რაოდენობა შემცირდა 354-მდე, ხოლო მოსახლეობის რიცხვი 1401 კაცამდე. მათ შორის შრომისუნარიანი ქალი იყო 221, მამაკაცი -- 98, 12-16 წლის მოზარდი -- 180 (ოსა, ფ.61, ს.15, ფურც.1; ს.28,ფურც.1). უაღრესად დამაფიქრებელი ციფრია. ჯანღონით სავსე მამაკაცების ფრონტზე წასვლით, ფაქტიური ტოტალური მობილიზაციით, სოფელი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასე იყო მთელს რესპუბლიკაში. შემთხვევითი როდია, რომ საქართველომ ფრონტზე გაწვეული პროცენტული (მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შეფარდება) მაჩვენებლებით ყველაზე მეტი (გარდა ბელორუსიისა) მსხვერპლი გაიღო. მცირე მუშახელით სრულდებოდა კოლოსალური გეგმები; უვლიდნენ 13 ჰექტარ ხეხილის ბაღს, 3 ჰექტარ ვენახს, 52,2 ჰექტარ ციტრუსებს, 33,9 ჰექტარ ტუნგოს, ამუშავებდნენ 19 555 ჰექტარ ჩაის პლანტაციას, 230 ჰექტარ სიმინდს, კარტოფილს, ბოსტნეულს, 1944 წელს კოლმეურნეებმა გამოიმუშავეს 112 143 შრომადღე, ჩამოწველეს 30 ათასი ლიტრი რძე, დაამზადეს 3010 კგ ყველი, 1410 ცალი კვერცხი. შემოსავალმა შეადგინა 5 829 196 მანეთი (იქვე, ფურც.1-6). ციფრებით ამეტყველებული მაჩვენებლები სოფლის მოსახლეობის შრომითი გმირობის უტყუარი საბუთია. მიუხედავად იმისა, რომ სოფელი დიდ სიძნელეებს განიცდიდა, მიღებული მოსავლის უმეტესი ნაწილი სახელმწიფოს ბარდებოდა.

ეკონომიკური სიძნელეებისა და დიდი დაძაბულობის მიუხედავად, სოფელში არ შეწყვეტილა კულტურული ცხოვრება. 1944 წელს გურიანთის კლუბთან შეიქმნა ლიტერატურულ-დრამატული, აგრონომიული და სამხედრო წრეები (ხელმძღვანელები: დ.ზაქარიაძე, გ.ტუღუში, ვ.კომახიძე, გ.ხავთასი) და აგიტმხატვრული ბრიგადა (ე.ტოტოჩავა)(სპა, ფ.2341, ს.17ა, ფურც.3).

ურთულეს პირობებში უხდებოდათ მუშაობა სკოლებს, არ ჰქონდათ სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები, რვეულები, საწერკალამი და ფანქარი. 1942 წელს -- ომის პერიოდის ყველაზე მძიმე პერიოდში, კოლმეურნეობამ მოსწავლეებისათვის შეისყიდა 406 ძველი სახელმძღვანელო (სპა, ფ.2341, ს.13, ფურც.25-26). მისივე დახმარებით დაამზადეს და შეაკეთეს მერხები, მაგიდები, შეიძინეს რვეულები, შეაგროვეს საწერ-კალმები, ფანქრები, ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი სწავლის ორგანიზაციას, სკოლის ფუნქციონირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხმა წარმოუდგენელი სიძნელეები გადაიტანა. ომმა კოლოსალური ზარალი მიაყენა საბჭოთა კავშირის ხალხებს. ფაშისტ-დამპყრობლებმა დაანგრიეს და გაძარცვეს 1710 ქალაქი, 70 ათასზე მეტი სოფელი, 32 ათასამდე სამრეწველო საწარმო, 98 ათასი კოლმეურნეობა, 1876 საბჭოთა მეურნეობა და 2890 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. სულ გაიტაცეს და მოსპეს 679 მილიარდი მანეთის მატერიალური ფასეულობანი. მაგრამ ზარალი ამით არ განისაზღვრება. მთლიანად მატერიალურმა დანაკლისმა მტრის მიერ სიმდიდრეთა დატაცებით, ომზე გაწეული ხარჯებით და ოკუპირებული ტერიტორიის საწარმოებიდან პროდუქციის მიუღებლობით 2600 მილიარდამდე მანეთი შეადგინა. მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იყო მთელი ნათესი ფართობის 47 პროცენტი. არცერთ ქვეყანას არცერთ ომში ასეთი ზარალი და ნგრევა არ განუცდია. ომმა დიდი ხნით შეაფერხა ქვეყნის წინსვლა.

საქართველო რამდენიმე თვის მანძილზე ფრონტისპირა რაიონი იყო. მისი ტერიტორიის ნაწილი მცირე ხნით საომარ მოქმედებათა ასპარეზად იქცა. ომმა ჩვენს რესპუბლიკასაც დაატყო თავისი კვალი. მტრის ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ბომბავდა საქართველოს ზღვისპირა ქალაქებს. დაზარალდა ნავსადგურები. ბათუმის ნავსადგურის ცამეტი ნავსადგომიდან მოქმედებდა ათი.

გურიანთაში შეიქმნა სამოქალაქო თავდაცვის შტაბი, რომელშიც შევიდნენ მაშველი რაზმები, ჯგუფები და რგოლები. დაკომპლექტდა აგრეთვე მექანიზაციისა და კავშირგაბმულობის რგოლები, სანიტარული, მცენარეთა და ცხოველთა დაცვის რაზმები, ჩატარდა 21 საათიანი სამხედრო მომზადების პროგრამა (სპა, ფ.2341, ს.52, ფურც.99). ყოველივე ეს მიუთითებს სოფელში შექმნილ დაძაბულ ვითარებაზე.

საქართველოში სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ევაკუირებულ იქნა ათასობით კაცი. ბევრი მათგანი საცხოვრებლად დარჩა. ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა ბუნება ქართველი კაცისა, რომელიც მუდამ იკედლებდა გაჭირვებაში ჩავარდნილ "უცხოტომელებს", აპურებდა და კუთხეს მიუჩენდა მათ. საყოველთაოდ ცნობილია ომისა და ომის შემდგომ პერიოდში ოზურგეთის რაიონის მზრუნველობა უბედურებაში ჩავარდნილი გენიჩესკელებისადმი. არაერთმა ლტოლვილმა თავშესაფარი ჩვენს სოფელში ჰპოვა. ზოგიერთი მათგანი შრომის ფერხულში ჩაება და "გურიანთელად" იქცა.

ომის პერიოდში ცალმხრივად ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, იზრდებოდა ცენტრიდან დაშვებული გეგმები. კაცი თუ ქალი, ყველა თავგამოდებით შრომობდა მათი გადაჭარბებით შესრულებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ომმა საქართველოში შეაჩერა წამყვანი კულტურების განვითარება. გურიანთაში კი ეს პროცესი არ შეიმჩნეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირიქით, 1939 წელთან შედარებით 1942 წელს სიმინდის ფართობი 216 ჰექტრიდან გაიზარდა 234 ჰექტრამდე. მოსავალმა, შესაბამისად 2602 ცენტნერიდან მოიმატა 2863 ცენტნერამდე. იზრდებოდა აგრეთვე საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა. მსგავსი სურათი შეინიშნებოდა მეჩაიეობაში. იმავე პერიოდში მისი ფართობი 182 ჰექტრიდან გაიზარდა 195 ჰექტრამდე, მოსავალი კი 2930 ცენტნერიდან 4900 ცენტნერამდე (კოლმეურნეობის ბუხჰალტერიის სტატისტიკური მასალები). გურიანთის მშრომელებმა უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების ზრდაც, რაც შესაძლებელი გახდა დაძაბული შრომით.

დაბოლოს, შინმოუსვლელთა შესახებ. გურიანთამ ომში დიდი მსხვერპლი გაიღო -- დაიღუპა 119 კაცი. იშვიათი როდი იყო შემთხვევა, როცა ფრონტზე დაეცა ოჯახის რამდენიმე წევრი, გაუბედურდნენ ადამიანები, მწუხარებამ მოიცვა მთელი სოფელი.

ომში მონაწილეობდა მელქის და ლიზა გიორგაძეების ხუთი შვილი (ვალერიანი, ვარლამი, ჭიჭიკო, პართენი, მასიკო), მათგან ოჯახს დაუბრუნდა -- ორი, ომს შეეწირნენ შალიკო, გერმანე, იასონ, დავით შარაძეები, გერმანე და ალექსანდრე ჩანჩიბაძეები, მიშა და გერმანე ლომთათიძეები, შალვა და ბესო კვაჭანტირაძეები, ვარლამ, ჭიჭიკო, ვასო გიორგაძეები, შალვა გაქარიაძე და სხვები. ("ლენინის დროშა", 1968 წ. 22 თებერვალი, 1972 წ. 9 მაისი). სოფელში შინმოუსვლელებს მოწიწებით მიაგეს პატივი. მათი ხსოვნის აღსანიშნავად ააგეს ობელისკი, დაინთო მარადიული ცეცხლი, პერიოდულად ეწყობოდა შინმოუსვლელებისადმი მიძღვნილი რადიოგადაცემები, სრულდებოდა ომის თემატიკის ამსახველი მუსიკალური ნაწყვეტები. ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად სოფლის კლუბის ფოიეში ეწყობოდა შინმოუსვლელთა ფოტოსურათების ამსახველი სტენდი.

ომში განსაკუთრებით თავი ისახელა სნაიპერმა ვასილ შალვას ძე კვაჭანტირაძემ, რომელსაც 1945 წლის 4 აპრილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. "დიდი გურიანთის" შვილს გენერალ-პოლკოვნიკ პორფილე ჩანჩიბაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა ორიოდე კვირის შემდეგ -- 1945 წლის 19 აპრილს.

საბჭოთა მხედართუფროსი მე-2 გვარდიის არმიის ჯარების სარდალი -- პორფილე ჩანჩიბაძე დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე. მის საფლავზე აღმართულია თეთრი მარმარილოს ქანდაკება. თბილისის ერთ-ერთი ქუჩა მის სახელს ატარებს. ოზურგეთის 53-ე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს მიენიჭა პ.ჩანჩიბაძის სახელი. აქვე, გმირთა მოედანზე, აღმართულია მისი ბიუსტი. სახელმოხვეჭილ გენერალს დიდი პატივი მიაგეს თანასოფლელებმა და გურიანთის ცენტრში აღმართეს მისი ძეგლი.

დაბოლოს, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების მნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნელობის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. კვლავაც იტყვიან და დაწერენ. ჩვენ მხოლოდ დავსძენთ, რომ ეს ომი შეიძლება ისტორიაში შევიდეს, როგორც უკანასკნელი მსოფლიო ომი, რაც კიდევ უფრო ზრდის და შთამბეჭდავს ხდის მოპოვებული გამარჯვების მნიშვნელობას.

ომის მონაწილეებს, არაერთი ლექსი, პოემა თუ ნარკვევი მიუძღვნეს ჩვენმა სასიქადულო პოეტებმა და მწერლებმა. აი, რა უმღერა თავდადებულ მებრძოლებს დიდმა გალაკტიონმა ლექსში -- "უცნობ მეომართა სამარე უღელტეხილზე": "იცოდე, მგზავრო, ჩვენი გულისთქმა: ჩვენ აქ დავეცით გულში იმ მზითა, რომ მომხდურისთვის არ დაგვითმია მშობლიურ მიწის არც ერთი ციდა" (ტ.6, გვ.68). გულგრილი ვერავინ დარჩებოდა მისივე ომახიანი სტროფის მიმართ -- "ყველა საომრად გავიდეთ". ასევე მგზნებარე იყო გიორგი ლეონიძის შეძახილი -- "ჰეი, არწივნო!".

ხალხის პატრიოტული დარაზმულობის კეთილმყოფელი ზეგავლენით შეიქმნა ქართული პოეზიის ახალი ესთეტიკური იდეალი -- ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის, ყველაფერი სამშობლოს დასაცავად. დიდებისა და გამარჯვების მოტივთან ერთად, ქართულ პოეზიაში დამკვიდრდა სამშობლოსადმი თავდადების თემა. შემთხვევითი როდი იყო, რომ მაშინ ახალ სიმაღლეზე ავიდა საგმირო ბალადა. და როგორ დასანანია, რომ სულ ახლახან აქა-იქ გაისმოდა ხმები ომის ვეტერანების, ომში დაღუპულთა და მათი ოჯახების უპატივცემულობის შესახებ.ასეთი ადამიანები არ უფიქრდებოდნენ, რომ 1941-1945 წლების ომი საქართველოს ყველა ოჯახს შეეხო, მათი განცდისა და ტკივილის მიზეზი გახდა. მარტო ოზურგეთის რაიონიდან ფრონტზე გაიწვიეს 11 653 კაცი. ნახევარზე მეტი (6809) ომში დაეცა. ბრძოლებში დაღუპული "ღიმილის ბიჭების" ხსოვნას პატივი ყველამ უნდა მიაგოს.

ცინიკურად ეღერს ფაშისტური გერმანიის დასაცავად თუ გასამართლებლად დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვები, ასეთმა ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ჰიტლერი დაუფარავად ამბობდა -- დიდი გერმანიის საზღვრები იქნება ჩრდილო-აღმოსავლეთით ფინეთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით -- საქართველო. მართლაც, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ჰიტლერული გერმანია პროგრესული კაცობრიობის დაუძინებელი მტერი იყო. ფაშიზმმა არნახული უბედურება მოუტანა თვით გერმანელ ხალხს. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ფაშიზმს ებრძოდნენ დემოკრატიისა და თავისუფლების ფლაგმანები: აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და ანტიჰიტლერული კოალიციის მრავალი სხვა ქვეყანა.

უაღრესად ნიშანდობლივია, რომ ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მესამე დღეს -- 1941 წლის 24 ივნისს გალაკტიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი წერდა: "იგი მტერი, ჩვენი და მსოფლიო მტერი".

ნაომარ და ნატანჯ თაობას გული არ უნდა ვატკინოთ, შევუმსუბუქოთ ცხოვრებისეული სიძნელეები, ფრონტზე ჯანმრთელობის განადგურებით განცდილი ტკივილები.

არც იმის უგულებელყოფა ივარგებს, რომ უმცროსი თაობის დამოკიდებულება უფროსი თაობისადმი, მომავალში, ბევრად განსაზღვრავს მისდამი ახალი თაობის დამოკიდებულებას. წინაპართა ამაგის სწორად წარმოჩენა, ნიადაგს ამზადებს მათივე დამსახურების დაფასებისა თუ აუგად მოხსენიებისათვის. ამიტომაც ომის ვეტერანებისადმი ყურადღება და გულისხმიერება არ უნდა დავიშუროთ.

გურიანთაში ტრადიციად იქცა ომის მონაწილეებისა და ფრონტზე დაღუპულთა ოჯახების მორალური და მატერიალური წახალისება, გამარჯვების დღის საზეიმოდ აღნიშვნა, მათთვის საშენი მასალებისა და სანატორიუმების საგზურების გამოყოფა, ფულადი დახმარების აღმოჩენა და სხვა. მაგალითად, 1951 წელს 50 ოჯახს დაეხმარნენ გამწევი ძალით, მიუტანეს შეშა, შეუსრულეს სადურგლო სამუშაოები, მოუხნეს საყანე ფართობები, ყურადღება არ ნელდებოდა არც მომდევნო წლებში. 1961 წელს ერთდროული დახმარება აღმოუჩინეს 39 ოჯახს, 1965 წელს ომში დაკარგული მეომრების სამ ოჯახს (კვაჭანტირაძე, ურუშაძე, შარაძე) გამოუყვეს საშენი მასალები, ხოლო 25 კომლს სურსათი. 1975 წელს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა 33 ოჯახს უფასოდ მიეცა 100-100 კგ სიმინდი (ოსა, ფ.61, ს.57, ფურც.15, ს.106, ფურც.22; სპა, ფ.2341, ს.50, ფურც.71, ს. 272, ფურც.4-5).

მომდევნო წლებში დახმარება კვლავაც ეძლეოდათ. კერძოდ, 1984 წელს ომში დაღუპულთა 162 ოჯახს გადაეცა 2680 მანეთი. მართალია, ეს უფრო სიმბოლური მხარდაჭერა იყო, თუმცა მკაფიოდ გამოხატავდა მათდამი გულისხმიერებასა და ყურადღებას. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ერთდროულ დახმარებასთან ერთად მათ უფასოდ გადასცემდნენ დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურებს. დახმარებამ მიზანსწრაფული ხასიათი მიიღო 80-იანი წლების ბოლოს, 1989 წელს სამამულო ომის 48 მონაწილეს გადაეცათ 50-50 მანეთი ერთდროული დახმარება. მათდამი ყურადღების გამოვლენის ყოველი ფაქტი ომისაგან მიყენებულ ჭრილობას მალამოდ ედებოდა, ადამიანებს გარკვეულ შვებას ანიჭებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, 1990-1991 წლებში ეჭვის ქვეშ დააყენეს მეორე მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. ასიათასობით ქართველი ჩათვალეს საბჭოთა იმპერიის მსახურებად, მისი ინტერესების დამცველებად. ომის მონაწილეები ლამის საქართველოს მტრებად გამოაცხადეს. ეს იყო მკრეხელობა. სწორედ ამან განაპირობა უხეში, აგდებული, შეიძლება, დანაშაულებრივიც, დამოკიდებულება

ომის ვეტერანთა და ომში დაღუპულთა ხსოვნის მიმართ. მათი ჯან-ქიქება იქცა პროპაგანდის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად.

ასიათასობით დაობლებულ ოჯახს, დაქვრივებულ ქალებს, გაუბედურებულ დედებს, დაღუპულთა მახლობლებს უჩიჩინებდნენ ხსოვნიდან ამოეფხვრათ ეს ყველაფერი და სამუდამო დავიწყებისათვის მიეცათ მსოფლიო ომი. ეს იყო უზნეობა, რომელსაც მალე ბოლო მოეღო.

ცნობილია, რომ მთელი მსოფლიოს ჯანსაღი ნაწილი აღსდგა ფაშიზმის წინააღმდეგ, ცივილიზაციის გადასარჩენად გამართულ სამართლიან ბრძოლაში და მხოლოდ ქართველები უნდა დაგვეძრახა, იმის გამო, რომ იმპერიის ჯარისკაცის ფარაჯა ეცვათ და ომში სახელოვნად მონაწილეობდნენ. ძნელია, ახსნა, საიდან გაჩნდა ასეთი ცინიზმი. მკრეხელობაა, როცა ელემენტარულად არ ითვალისწინებენ კონკრეტულ ვითარებას, ობიექტური სინამდვილის მკაცრ ლოგიკას, წარსული პერიოდის სულისკვეთებას, ადამიანთა განწყობას. რაოდენ დასანანია, რომ საქართველოს ყოფილმა ეროვნულმა მთავრობამ ვერ მისცა სათანადო შეფასება ამ საკაცობრიო მოვლენას და ერთი ხელის მოსმით უარყო ფაშიზმზე გამარჯვების მნიშვნელობა, მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში, მათ შორის გერმანიაში, მას განსაკუთრებულ ვითარებაში აღნიშნავენ.

საქართველოს ხელისუფლების გაუმართლებელმა პოზიციამ ხელი შეუწყო ძველი და ახალი თაობის დაპირისპირებას, ორად გახლეჩილ საქართველოში სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვას, რასაც შეიძლებოდა სავალალო შედეგებამდე მივეყვანეთ. საბედნიეროდ, გურიანთაში ასეთ უმსგავსოებას მძლავრი ფესვები არ გაუდგამს. მიტინგებზე თითოოროლა "მოუზომავ" გამონათქვამს სერიოზულად არავინ თვლიდა. ომის მონაწილეებისა და ფრონტზე დაღუპულთა ოჯახებისადმი ყურადღება არ ნელდებოდა, მორალური და მატერიალური მხარდაჭერა გრძელდებოდა. სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში სოფელს ასეთი დახმარების აღმოჩენა არ შეუძლია. იმედია, გურიანთა ეკონომიკური სიდუხჭირისაგან მალე გამოვა და ომის მონაწილეებს, თუ მათგან ვინმე ცოცხალი შემორჩა, და მათ ოჯახებს სათანადო პატივს მიაგებს. ამას, პირველ რიგში, მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეათე. სოფლის სოციალური სტრუქტურა, მიგრაციული და დემოგრაფიული პროცესები

სოციალისტური წყობილების დამკვიდრებით გლეხური მეურნეობა შეიცვალა კოლმეურნეობებითა და საბჭოთა მეურნეობებით, ძირეული ცვლილებები მოხდა მოსახლეობის ყოფაში, სოციალურ (საზოგადოებრივ) სტრუქტურასა და ფსიქოლოგიაში.

მრავალპროფესიული გახდა ოჯახი, რომელიც ერთდროულად აერთიანებდა საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის თითქმის ყველა ძირითად ელემენტს. ადრე კომლის თითოეული წევრი მხოლოდ მიწათმოქმედებას მისდევდა. მასობრივი კოლექტივიზაციის დამთავრებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის დაძლევის, განათლების ფართო ქსელისა და ტექნიკის დანერგვის შედეგად სოფელში გაჩნდა ჭრელი სოციალური შემადგენლობა, რომელიც მოიცავდა კოლმეურნე გლეხობას, მუშათა კლასისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მომრავლდნენ ადამიანები, რომლებიც თუმცა აქ ცხოვრობდნენ, მაგრამ მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობაზე, ტექნიკური მომსახურების სფეროში.

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების მიხედვით საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა გარკვეული ისტორიული პერიოდისათვის არის დამახასიათებელი, კლასობრივი განსხვავების საბოლოო დაძლევა შესაძლებელია კომუნისტური საზოგადოების პირობებში. ამ დებულებაში 1986 წელს კორექტივი შეიტანა სკკპ პროგრამის ახალმა რედაქციამ. საზოგადოების უკლასო სტრუქტურის ჩამოყალიბება გამოცხადდა უახლოეს ამოცანად.

ერთგვაროვანი, უკლასო საზოგადოების აშენების დაჩქარებისკენ დაუოკებელი ლტოლვის ტენდენციას აძლიერებდა განვითარებული სოციალიზმის კონცეფცია. ადამიანთა სოციალურ ჯგუფებს შორის ეკონომიკაში, კულტურაში, ყოფა-ცხოვრებასა და განათლებაში არსებულ საერთო და განსხვავებულ ნიშნებზე შეიქმნა ზერელე წარმოდგენა.

მსოფლიოს მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურას მარქსიზმი განიხილავდა, როგორც დროებით, გარდამავალ მოვლენას, რომლის შეცვლაში გადამწყვეტი როლი მუშათა კლასს უნდა შეესრულებინა. ლენინი არაორაზროვნად წერდა: "დაჩაგრულ კლასთაგან მხოლოდ იმ კლასს შესწევს უნარი თავისი დიქტატურით მოსპოს კლასები, რომელიც გაწაფული, გაერთიანებული, აღზრდილი, გამოწრთობილია კაპიტალთან საგაფიცვო და პოლიტიკური ბრძოლის ათეული წლობით -- მხოლოდ იმ კლასს, რომელმაც მთლიანად შეითვისა ქალაქის კულტურა... რომელსაც აქვს გამბედაობა და უნარი დაიცვას იგი, შეინარჩუნოს და შემდგომ განავითაროს ყველა მისი მონაპოვარი.. მხოლოდ იმ კლასს, რომელიც შეძლებს გადაიტანოს მთელი სიმძიმე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაცდელი, უკულმართობა, უდიდესი მსხვერპლი... მხოლოდ იმ გლეხისთვის, რომელმაც განვლო გამომწრთობი სკოლა შრომისა და რომელსაც შეუძლია თავისი შრომის უნარიანობისადმი პატივისცემა ჩაუნერგოს ყველა მშრომელს, ყველა პატიოსან ადამიანს" (ვ.ი.ლენინი, თხზ. ტ.29, გვ.456-457). აქ, ჯერ ერთი, უგულებელყოფილია გლეხების როლი თავისი ბედის გადაწყვეტაში, მითითებულია მუშათა კლასის განსაკუთრებულ მისიაზე, მის უცილობელ უფლებაზე ერთადერთმა გადაწყვიტოს სხვა კლასისა და სოციალური ჯგუფისა თუ ფენის ბედი, მეორე მხრივ, იგნორირებულია სოფლის ყოფა-ცხოვრების ცვლილებების კანონზომიერება, ნავარაუდევია კერძო საკუთრებისადმი გლეხების ტრადიციული დამოკიდებულების ამოძირკვის გარდუვალობა, მათზე ზემოქმედების უჩვეულო და არარეალური მასშტაბები, ფსიქიკური გადასხვაფერებისა და გარდაქმნის გაუგონარი მეთოდები და ტემპები. მესამე, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში პროლეტარიატის გაბატონებული მდგომარეობის ხაზგასმით აღიარებულია კლასობრივი დაპირისპირების გარდუვალობა.

ახლა ყველასათვის ნათელია, თუ რამდენად სწორი იყო გლეხობის როლის დამამცირებელი "წინასწარმეტყველება". დღევანდელი გლეხის დამოკიდებულება მიწისადმი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს მისი ფსიქიკის უცვლელობაში. ცხოვრებამ უარყო ზოგიერთი მარქსისტი მკვლევარის მოსაზრება, რომ კლასობრივი განსხვავებულობის მთავარი ნიშანი -- საკუთრებისადმი დამოკიდებულება -- სოციალიზმის პირობებში თითქოს კარგავს თავის მნიშვნელობას და გლეხი ადვილად შეეგუება კერძო საკუთრების შეცვლას კოლექტიური საკუთრებით, ხოლო შემდეგ, ამ უკანასკნელის საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადებას. დღევანდელობამ უკუაგდო საკუთრებაზე ასეთი ზერელე წარმოდგენა.

ამასთან, არასწორად უნდა ჩაითვალოს რიგი მეცნიერის მტკიცება, თითქოს სოფლის საწარმოებში დასაქმებული მუშები უფრო ახლოს დგანან სამრეწველო მუშებთან, ვიდრე გლეხობასთან. ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. გურიანთის ჩაის ფაბრიკის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ აქ დასაქმებული თანასოფლელი მუშები სოციალურად უფრო ახლოს იდგნენ გლეხობასთან, ვიდრე ქალაქის მუშებთან, მათ უმრავლესობას გააჩნდა საკარმიდამო ნაკვეთი, რაც განაპირობებდა სოფელთან განუყრელ კავშირს. მათ შორის იყვნენ დროებითი მუშებიც, რომლებსაც წინასწარი შეთანხმებით, კოლმეურნეობა სეზონის დროს ფაბრიკაში მიავლენდა.

დროთა განმავლობაში გლეხობის შიდაკლასობრივი განსხვავებულობა სულ უფრო იკვეთებოდა. გურიანთის კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი დაკვირვებით, შვიდ ჯგუფად იყოფოდა: 1. უმაღლესი და საშუალო რგოლის ხელმძღვანელები; 2. უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტები; 3. მოსამსახურეები; 4. მექანიზატორები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.ფიზიკური შრომის მუშაკები; 6. არაკვალიფიციური და კვალიფიციური შრომის სეზონური მუშები; 7. მეცხოველეობის მუშაკები.

კოლმეურნე გლეხების შიგა სოციალურ სტრუქტურას განსაზღვრავდა: შრომის ხასიათი და შინაარსი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურა (მემცენარეობა და მეცხოველეობა თავიანთი ქვედარგებით, მეჩაიეობა, მემარცვლეობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა). მოსახლეობა ერთდროულად დასაქმებული იყო არა ერთ რომელიმე დარგში, არამედ რამდენიმეში. ამიტომ ძნელია მათი გამოყოფა დარგობრივ სტრუქტურაში დასაქმების მიხედვით, თუმცა მესიმინდის შრომა განსხვავდება მეჩაიის შრომისაგან. განსხვავების კრიტერიუმად ძირითადად შრომის ხასიათი გვევლინება, რომელიც შეიძლება იყოს მექანიზებული ან არამექანიზებული. აქედან ცხადია, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომაში ჩაბმული ადამიანები შრომის ხასიათის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფოდნენ: პირველი ხორციელდებოდა მანქანებისა და მექანიზმების საშუალებით, მეორე, ხელის შრომით. ეს უკანასკნელი პროფესიულ მომზადებას არ საჭიროებდა და გამწევი ძალის გამოყენებითაც სრულდებოდა. ამ ჯგუფების სახეობებში სხვაობა შეინიშნებოდა დარგების მიხედვითაც. მაგალითად, მეციტრუსეობაში თითქმის არ გამოიყენებოდა მექანიზაცია, მეჩაიეობასა და მესიმინდეობაში მისი ხვედრითი წილი გაცილებით მეტი იყო. თუმცა სოფელში ჯერ კიდევ მაღალია უმძიმესი ფიზიკური შრომის ხვედრითი წილი. სოფლის მეურნეობის არცერთი დარგი არ არის მთლიანად მექანიზებული (მეხორბლეობის რაიონებში მექანიზაციის დონე უფრო მაღალია). ამიტომ გურიანთაში მძიმე ფიზიკური შრომა კვლავ რჩება შრომის გაბატონებულ ფორმად, რაც შრომის გაუცხოების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა. ტექნიკის დანერგვის დაბალი დონე უარყოფითად მოქმედებს როგორც პროდუქციის წარმოების ზრდაზე, ასევე მოსახლეობის სოციალურ განვითარებაზე. ჩვენს სოფელში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მცირე მექანიზაციას, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას, შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებას. ეს ამოცანა უაღრესად აქტუალურია მიწის პრივატიზაციის პირობებში. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კერძო საკუთრებაზე გადასვლა აამოქმედებს სოფლის შიგა სოციალური სტრუქტურის სულ სხვა ფაქტორებს.

სოფლის სოციალურ სტრუქტურაზე გავლენა მოახდინა კოლმეურნეობისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამსხვილებამ. მაშინ მიიჩნევდნენ, რომ კოლმეურნეობათა გამსხვილება დააჩქარებდა სოფლის მეურნეობის დარგის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, ნაყოფიერ გავლენას მოახდენდა კოლმეურნეთა გეგმაზომიერ დასაქმებასა და კადრების რაციონალურ გამოყენებაზე, პროდუქციის წარმოების ზრდაზე. განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ სკკპ ცკ-ის 1953 წლის სექტემბრის პლენუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვით მალე უნდა დაძლეულიყო დისპროპორცია სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას შორის, მკვეთრად ამაღლებულიყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

კოლმეურნეობის გამსხვილება ძირითადად მიმდინარეობდა 1950-1953 წლებში. ამის გამო საქართველოში მისი რიცხვი ორჯერ შემცირდა. ამ პროცესს ბევრი მიიჩნევდა ჩამორჩენილობიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად, ზოგიერთი კი თვლიდა სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებლად. გურიანთის კოლმეურნეობას ამ პერიოდში გამსხვილების პროცესი არ შეხებია, ტერიტორია არ შემატებია. კოლმეურნეობათა გამსხვილებასა თუ დაწვრილერთეულებას არ შეეძლო გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა სოფლის სოციალურ სტრუქტურაზე. მთავარი და გადამწყვეტი იყო შრომის ორგანიზაცია. ცნობილია ფაქტები, როცა "გამსხვილებულმა" კოლმეურნეობებმა გააუარესეს შრომის ორგანიზაცია და საერთო მაჩვენებლები, რიგ კოლმეურნეობაში მიმდინარეობდა ბრიგადების გამსხვილების პროცესიც. გურიანთაში არც ბრიგადების გაერთიანება დაუსახავთ თვითმიზნად. ასეთ ნაბიჯს დგამდნენ საჭიროების მიხედვით და არა საყოველთაო კამპანიისადმი ხარკის მოხდის მიზნით. სოფელში უმთავრესად შეინიშნებოდა უკუპროცესი. ცნობილია "გურიანთის სამოურაოს" დაქუცმაცება, ხოლო 1939 წელს განახლების კოლმეურნეობის გამოყოფა, რომელშიც შევიდა ბაილეთი, ახალსოფელი და ჭანიეთური.

კოლმეურნეთა მატერიალური წახალისების მიზნით 50-იან წლებში გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარების ნორმები, პროდუქტებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები, შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წესი, კოლმეურნეებს ყოველთვიურად ეძლეოდათ ფულადი ავანსი. 1958 წლის იანვრიდან კი კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობები მთლიანად გაანთავისუფლეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო-სავალდებულო ჩაბარებისაგან. შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სისტემა, დაიწყო ერთიან სახელმწიფო ფასებში პროდუქტების შესყიდვა, რითაც შეიცვალა მრავალსაფეხურიანი დამზადების წესი. შეიქმნა კოლმეურნეობათა ინიციატივის განვითარებისა და გლეხების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უკეთესი პირობები. დოკუმენტის მიხედვით საკოლმეურნეო წარმოება უნდა გადაქცეულიყო გლეხობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ძირითად წყაროდ. სინამდვილეში პარტიის მიერ აღებულმა ასეთმა კურსმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ინდივიდუალურ სექტორზე, იგრძნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა მისი შესუსტებისა და შეკვეცის ტენდენცია, რასაც ვერ ბედავ-ფარავდა საკოლმეურნეო წარმოების მოსალოდნელი ზრდის ტემპები.

სოციალიზმის მშენებლობის პირობებში, დიდი შეცდომებისა და ჩავარდნების მიუხედავად, სოფელი სახეს იცვლიდა, გაჰყავდათ გზები, გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო მომსახურება, შენდებოდა საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული დანიშნულების ნაგებობები, დამთავრდა სოფლის რადიოფიცირება და ელექტრიფიცირება, გაიყვანეს სატელეფონო კომუნიკაციები. მოსახლეობის ნაწილი მრეწველობაში ჩაება. 1958 წლიდან გატარდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია და დაიწყო სოფლისათვის ტექნიკის მიყიდვა. სადგურებში დასაქმებული მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, როგორც წესი, სამუშაოდ თავიანთ სოფლებში მიდიოდნენ. ასე იყო გურიანთაშიც. ეს პროცესი გარკვეულ გავლენას ახდენდა სოფლის სოციალურ პროცესებზე.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გაუქმებას მაშინ დიდ რეკლამას უწევდნენ, მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდნენ. სინამდვილეში დაიქსაქსა კადრები, გაძვირდა ტექნიკის შეკეთება, დაბალი იყო შეკეთების ხარისხი, იხარჯებოდა მეტი დრო და რესურსები, იზრდებოდა შეკეთების ფასები, საბოლოო ჯამში ზარალდებოდნენ გლეხები. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დაშლის ძირითადი მიზეზი იყო არა კოლმეურნეობაზე ზრუნვა, როგორც ამას ოფიციალურად აცხადებდნენ, არამედ სახელმწიფოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლისათვის გზების ძიება, ფულის ამოღების იოლი საშუალების პოვნა, სოფლის ხარჯზე სახელმწიფოს მიერ ხელის მოთბობა.

სოფლის სოციალურ სტრუქტურაზე გავლენას ახდენდა შეუნელებელი დემოგრაფიული[დემოგრაფია სწავლობს ხალხთმოსახლეობის რიცხოვნების, კვლავწარმოების (განახლება, შობადობისა და მოკვდავობის ინტენსივობა) სტრუქტურის, დინამიკის, გადაადგილების, მიგრაციისა და სხვა მოვლენათა და პროცესთა კანონზომიერებებს] პროცესები, ახალგაზრდობის დენადობა, სოფელში ასაკოვან ადამიანთა შეფარდების მატება. დაირღვა სოფლის მეურნეობის მუშაკთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიცია, რომლის მიხედვით დასაქმებულთა უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ.

მოხუცებისა და შრომისუნარდაკარგულთა ზრდა განაპირობა სხვა მიზეზებმაც. კერძოდ, სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლების მატებამ, ომის შემდგომ ინვალიდთა და ავადმყოფთა რიცხვის ზრდამ. ამ პროცესთან ერთად 50-60-იან წლებში მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში იმატა ინტელიგენციამ, ტექნიკურმა პერსონალმა, მუშებმა (სოფლის ჩაის ფაბრიკაში და რაიონის სხვა საწარმოებში დასაქმება), გაიზარდა უმაღლესი, საშუალო და საშუალო-ტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქნიკური განათლების მქონე ადამიანების ხვედრითი წილიც.

ქვეყანაში მიმდინარე ეს პროცესი აღქმული იქნა, როგორც კლასობრივი საზღვრების წაშლისა და ყველა სოციალური განსხვავების დაძლევის პირობების მომზადება. სინამდვილეში ე.წ. განვითარებული სოციალიზმის პერიოდში, უკლასო საზოგადოების აშენება ისეთივე ფანტაზია იყო როგორც თვით მომწიფებული სოციალიზმის ბრეჟნევისებური "მოუმწიფებელი" კონცეფცია.

სოციალურ სტრუქტურაზე გავლენას ახდენდა ქვეყნის შიგნით ადამიანთა მიგრაციული (გადასახლების) პროცესები. ცნობილია, რომ სოფელი მუდამ გამოირჩეოდა თავისთავადობით, მკვიდრი მოსახლეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობის შენარჩუნებითა და განმტკიცებით, ამ პროცესში ცვლილებები შეაქვს სტიქიურ მიგრაციულ მოძრაობას, რამაც ფართო ხასიათი მიიღო ომისა და მის შემდგომ პერიოდში. ამ კატეგორიას არ განეკუთვნებიან სტიქიური უბედურების შედეგად გადასახლებული ადამიანები. კაცთმოყვარეობა, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანებისადმი დახმარება, ჰუმანიზმი ქართველთა განუყოფელი თვისებაა. ისტორიულად ამ კეთილშობილურ პრინციპზე აღიზარდა ქართველი კაცი. აქ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს მუდამ უწევდნენ დახმარებას, მფარველობდნენ და მეურნეობის გამართვაში შველოდნენ. მაგრამ ზოგჯერ ეს პროცესი უმართავი ხდებოდა. გურიანთაში კომლთა რაოდენობა ძირითადად იზრდებოდა მიგრაციის ხარჯზე. სოფელს არანაკლებ პრობლემებს უქმნიდა მოსახლეობის ლტოლვა ქალაქებისაკენ. სოფლის გარეთ მომუშავეთა რიცხვი 188 კაციდან (1952 წელს) გაიზარდა 326-მდე (1953 წელს). ეს მაჩვენებლები უაღრესად მაღალია, რაშიც ვრწმუნდებით კომლთა და შრომითი რესურსების ზრდის დინამიკის შედარებითი ანალიზით. 1952 წელს კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 370 კომლი, 1957 წელს -- 415. შედარებით შეზღუდული იყო შრომითი რესურსების მაჩვენებლები. კოლმეურნეობაში ირიცხებოდა შრომისუნარიანი 1885 კაცი (ოსა, ფ.61, ს.63, ფურც.1; ს.67, ფურც.1, ს.83, ფურც.1). ასეთ პირობებში სოფლის გარეთ 188-326 კაცის დასაქმება უარყოფითად მოქმედებდა კოლმეურნეობის ეკონომიკაზე. თითოეულ მათგანს შეეძლო შეექმნა დოვლათი, მონაწილეობა მიეღო სოფლის კეთილდღეობის ამაღლებაში, მაგრამ ბევრი ამჯობინებდა ქალაქში მუშაობას. ამ მისწრაფების აკრძალვას არავითარი გამართლება არ ექნებოდა. მიგრაციის ბუნებრივი პროცესის აღკვეთა შეუძლებელია. პირიქით, დემოკრატიულ ქვეყნებში მას უკავშირებენ ადამიანის უფლებებს, არჩევანის თავისუფლებას, მაგრამ არავითარი გამართლება არ ჰქონდა სოფელში თვითნებური ჩამოსახლების ფაქტებს. აქ ჩაუწერლად ცხოვრობდნენ ადამიანები, რომელთა გვარებიც კი ზოგჯერ უცნობი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის საბჭოსა და კოლმეურნეობის გამგეობისათვის. შეინიშნებოდა მიწების დატაცებისა და დამხმარე სათავსოების უნებართვო ჩადგმის ფაქტებიც. ამის გამო კოლმეურნეობის გამგეობის განკარგულებით 1970 წელს 15 კომლს ჩამოერთვა დატაცებული მიწები და უნებართვოდ აშენებული სათავსოები (ოსა, ფ.61, ს.203, ფურც.4), ხოლო 1985 წელს მათ რიცხვს დაემატა ვინმე მექვაბიშვილისა და ჩხარტიშვილის კომლები (გურიანთის კოლმეურნეობის მიმდინარე არქივი, გამგეობის თავმჯდომარის 1985 წლის საანგარიშო მოხსენება). მიუხედავად ამისა, არ წყდებოდა გურიანთაში სხვა რაიონებიდან ჩამოსულ პირთა ლტოლვა. ამას თავისი ახსნაც მოეძებნება. სოფელში სისტემატურად იგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა, კოლმეურნეობის გამგეობა ზოგჯერ მიდიოდა გაუმართლებელ "დათმობებზე" და ღებულობდა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ პირებს, რომელთა ბიოგრაფიის დადგენაც კი ფაქტიურად შეუძლებელი ხდებოდა. გამორიცხული როდი იყო, რომ მათ შორის სისხლის სამართლის დამნაშავეებიც იქნებოდნენ. შეუმოწმებლად ჩაასახლეს, მაგალითად, ვინმე ტასია ერემოვა და შურა ანდრიანოვა, რომლებსაც 1973 წელს გამოუყვეს 0,25 ჰექტარი (თითოეულს) ფართობი (ოსა, ფ.61, ს.247, ფურც.67).

იყო შემთხვევები, როცა სოფლის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად რაიაღმასკომს გამოჰქონდა დადგენილება გურიანთაში პიროვნებათა ჩამოსახლების შესახებ. მათ შორის კარგებიც იყვნენ, მაგრამ თვით შეუმოწმებელი ჩამოსახლების ფაქტები იწვევდა უკმაყოფილებასა და გაუგებრობას. გაურკვეველი იყო ჩამოსახლებულთა მიზნებიც. ზოგჯერ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მათ ეძლეოდათ დროებითი თავშესაფარი. კოლმეურნეობის თავკაცები წინ ვერ აღუდგნენ მიგრაციის უკონტროლო პროცესს. 1989 წელს გურიანთაში ჩამოსახლებულთა საერთო რიცხვი (145 კომლი) მთელი მოსახლეობის 24 პროცენტს აღწევდა, რაც უაღრესად მაღალი მაჩვენებელია. ახალი კომლების დასასახლებლად სოფელს მიწის ფონდი უკვე არ ჰქონდა. კიდევ მეტი, სოფელმა ვერ შეძლო მკვიდრი მოსახლეობის ახალგამოყოფილი 127 ოჯახის მიწის ფართობით დაკმაყოფილება, საკარმიდამო ნაკვეთების მიცემა. გურიანთას დაემუქრა მისი ისტორიული სახის დაკარგვის საშიშროება. გახშირდა ჩამოსახლებულ პირთა მიერ საკარმიდამო ნაკვეთებისა და სახლ-კარის გაყიდვის ფაქტები, მოსახლეობის დენადობა, იმატა სოფელში ჩაუწერელ პირთა რაოდენობამ. სოფლის საბჭოს დადგენილებით ჩაუწერელ მოქალაქეებს უნდა დაეტოვებინათ სოფელი, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მათ მიმართ უნდა გამოეყენებინათ ადმინისტრაციული ზომები (სპა, ფ.234, ს.82, ფურც.16-17). ჩამოსახლებულთა შორის იყვნენ აგრეთვე სისხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლის დამნაშავეები, შრომის დეზერტირები, იოლი შემოსავლის მაძიებელნი. დაირღვა ადგილობრივი მოსახლეობის სიმყუდროვე, იმატა შექმნილი მდგომარეობით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ. გაიზარდა სოციალური კონფლიქტის საშიშროება. საბედნიეროდ, სოფელში არავითარი დაპირისპირება არ მომხდარა. ჩამოსახლებულთა ნაწილი გაასახლეს სოფლიდან, დანარჩენები შრომაში ჩაებნენ, მათი უმრავლესობა გამოირჩეა სიბეჯითით, აქტიურად მონაწილეობს დოვლათის შექმნაში, მტკიცედ იმკვიდრებს "გურიანთელის სახელს".

სოფლის მკვიდრთა და აქ ჩამოსახლებულთა ურთიერთგაგების მიღწევაში გარკვეული წვლილი მიუძღვის სოფლის ხელმძღვანელობას, რომელმაც გამოავლინა ადამიანებთან კეთილი ურთიერთობის დამყარების უნარი.

სოციალურ სტრუქტურაში დიდი როლი ენიჭებათ ქალებს. გურიანთაში ტრადიციად იქცა მშრომელი ქალებისადმი ყურადღების გამოვლენა. აქ პერიოდულად იხილავდნენ ქალთა როლის ამაღლების, მათი შრომისა და სოციალური დაცვის გაუმჯობესების საკითხებს, ყურადღება მახვილდებოდა საკოლმეურნეო შრომაში ქალების უფრო აქტიურად ჩაბმის აუცილებლობაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მეჩაიეთა შრომითი აქტიურობის წახალისებას. ყოველდღიური 8-10 საათიანი შრომა ქანცს აცლის ქალს, საფრთხეს უქმნის მომავალი თაობის ჯანმრთელობას. ცნობილია, რომ მწერალი შოლოხოვი აღტაცებული და გაოცებული იყო ქართველ მეჩაიეთა ამტანიანობითა და გამძლეობით და მიუთითებდა კინოსა და ტელეგადაცემებით (ჩაის კრეფდნენ სიმღერითა და ხალისით) მის მიერ ადრე მიღებულ მცდარ წარმოდგენაზე. სინამდვილეში ჩაის კრეფა ურთულესი პროცესი ყოფილაო -- დასძენდა იგი.

მართლაც, მეჩაიე ქალის მძიმე შრომაზე არაერთი სტატია, ნარკვევი თუ წიგნი დაიწერა, მაგრამ მაინც ხაზი არ ესმებოდა საკოლმეურნეო პლანტაციებზე მიჯაჭვული დედის მოწყვეტას მთავარი ფუნქციისაგან, შვილების აღზრდისაგან. წინათ აკვანთან მჯდარმა ქალმა უამრავი ლექსი, ბალადა, ზღაპარი იცოდა. იგი უყვებოდა, უმღეროდა კიდეც თავის პატარას. ბავშვისათვის დედა სიცოცხლის დიადი ხმა, შეთხზული მელოდია იყო, რომელიც ცხოვრებაში ეპატიჟებოდა პაწაწინა არსებას. სწორედ დედის წყალობით ბავშვი იზრდებოდა პოეზიის სამყაროში, რადგან დედა პოეზიის ნამდვილი ანთოლოგია იყო. ტრადიციებისადმი ერთგულებითა და შვილის სიყვარულით ღებულობდა იგი თვითგანათლებას, ამდიდრებდა მეხსიერებას. დედის ნამღერი ლექსი ბავშვს უვითარებდა წარმოსახვით უნარს. ეს სიმღერა ადამიანებს სიკვდილამდე ახსოვთ. "წიგნში ამოკითხული ან ეკრანზე ნანახი ზღაპარი სხვაა და თაობიდან თაობაში ზეპირად გადაცემული, ბავშვობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მოსმენილი და მერე შენს მიერ შენი შვილისათვის მოყოლილი ზღაპარი სულ სხვაა. ეს არის ოცნებათა, წარმოდგენათა, ხედვათა ესტაფეტა" (თამაზ ჭილაძე, "ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი", "ლიტერატურული საქართველო", 1992 წ. 17 იანვარი). მძიმე საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმულ დედას პირმშოსათვის ძველებურად არ ეცალა. და ვინ იცის, რამდენი სითბო და ალერსი დააკლდა პატარებს.

დედის ფენომენთან და მშობლიურ ენასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა ფრანგი სოციოლოგების გამოკვლევების შედეგები, რომლის მიხედვით პატარების "ეროვნულ ცნობიერებაზე" უდიდეს გავლენას ახდენს აკვანთან მჯდარი დედის სისტემატური საუბარი მშობლიურ ენაზე, მოფერება, სიმღერა, "ბავშვურ ენაზე ლაპარაკი", შეუდარებელი ალერსი, ზღაპრების მოთხრობა. სენსაციური იყო დასკვნა მეცნიერთა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სხვა გარემოებასთან ერთად ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ძუძუმწოვართა მიერ საჭმლის უკეთ მონელებას. აქედან ჩანს ბავშვის გაზრდა-აღზრდაში თუ რა როლი არგუნა ბუნებამ დედას, მშობლიურ ენას.

"სამშობლოს ხმის", ქართული საბავშვო სიმღერების გავლენაზე აუღელვებლად ვერ წაიკითხავ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას "იავნანამ რა ჰქმნა?". სოფელ ვაშლოვანიდან ლეკების მიერ დაღესტანში გატაცებულ პატარა ქეთოს ნაიბი და მისი მეუღლე სითბოს, ალერსსა და სიყვარულს არ აკლებდნენ. ქეთომ მშობლები დაივიწყა და ლეკად იქცა. ათი წლის შემდეგ შინ დაბრუნებული გოგონა (მამამ მოიტაცა) არ ჭამდა, დაღონებული იჯდა, სულ ფიქრებში იყო წასული და გონება "დაღესტნისაკენ მიფრინავდა". მაგრამ დედის ნამღერმა "იავნანამ" სასწაული მოახდინა, ბავშვის მეხსიერებაში აღდგა მიძინებული გრძნობები, ქეთოზე მოახდინა "მზეობრივი" შთაბეჭდილებები. ბედნიერებას ზეიმობდა ოჯახი, მეზობლები და მთელი ნათესაობა.

გურიანთის ხელმძღვანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქ შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ქალების მძიმე ხვედრის შემსუბუქებას, აძლევდნენ შვებულების დამატებით დღეებს, უწევდნენ მატერიალურ დახმარებას, ხელს უწყობდნენ დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას. ამ პრობლემას მეტი ყურადღება დაეთმო 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში. მაგალითად, 1978 წელს ქალთა პირობების გასაუმჯობესებლად მრავალშვილიან დედებს 40-50 პროცენტით შეუმცირეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, 5-10 დღით გაუდიდეს შვებულება. სოფელში მოქმედებდა 5 ბავშვთა ბაგა და ორი ბავშვთა ბაღი. 8 ბავშვი ღებულობდა ყოველთვიურ დახმარებას, დედები სარგებლობდნენ დეკრეტული და დამატებითი (ერთი წლის) შვებულებით (ოსა, ფ.35, ს.768, ფურც.24). რაზეც ადრე ოცნებაც კი არ შეეძლოთ. მაგრამ, სამწუხაროდ, სოფელში გადმოინაცვლა ქალაქის "ტალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამ". ბოლო ორ ათწლეულში აქაც გამოიკვეთა მრავალშვილიანობის შემცირების ტენდენცია, რომლის შეჩერების მიზნით დედებს მატერიალურად წაახალისებდნენ. სამი და მეტშვილიანი ოჯახები 1983 წლის 2 ნოემბრიდან გაათავისუფლეს ბავშვთა ბაგა-ბაღის კვებისათვის დაწესებული გადასახადისაგან. ამასთან, თითოეულ ბავშვზე დახმარება 12 მანეთიდან 18 მანეთამდე გაიზარდა. მოსწავლეებს უფასოდ ეძლეოდათ სასკოლო ფორმები და სახელმძღვანელოები. პენსიაზე გასვლისას მშობლები ღებულობდნენ ხელფასის 30 პროცენტის დანამატს. ოთხი და მეტი შვილის დედებს შვებულების დღეები ეზრდებოდათ 5-10 დღით. სოფელში დამკვიდრდა ბავშვების დაბადების დღის საზეიმოდ აღნიშვნა, მათთვის საჩუქრების გადაცემა (ოსა, ფ.35, ს.773, ფურც.10).

დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებს გადასცემდნენ პიონერთა ბანაკის უფასო საგზურებს, კომლიდან გამოყოფილ ოჯახებს აძლევდნენ მიწებს, სესხს, უზრდიდნენ შვებულების დღეებს. დაწესდა, აგრეთვე, სხვა შეღავათები. მშობლებს, რომლებსაც პენსიაზე გასვლისას ჰყავდათ სასკოლო ასაკის ბავშვები, ეძლეოდათ ხელფასის დანამატი 30 მანეთი, 3 და მეტი შვილის დედები ღებულობდნენ ათი პროცენტის დამატებით ანაზღაურებას. 1984 წელს სხვადასხვა შეღავათი მიეცა 71 ოჯახს (კოლმეურნეობის მიმდინარე არქივი. გამგეობის სხდომების მასალები).

სამი და მეტი შვილიანი ოჯახები გამოცხადდა იდეალურ ოჯახად. ისინი შეჰქონდათ საპატიო წიგნში, მათ ეზოებში ეწყობოდა სტენდები წარწერით -- "აქ ცხოვრობს მრავალშვილიანი ოჯახი". პრაქტიკაში ინერგებოდა კომკავშირული ქორწილები (ოსა, ფ. 61, ს.384, ფურც. 17). მრავალშვილიან დედებს საერთო გადასახადები შეუმცირდა 40 პროცენტით, 2 საათით შეუმცირდათ სამუშაო დრო ჩვილბავშვიან დედებსა და იმ ქალებს, რომლებიც დედებს ეხმარებოდნენ ბავშვთა გაზრდა-აღზრდაში, ადამიანებზე ასეთმა ზრუნვამ სოფლის მცხოვრებთა მოწონება დაიმსახურა და ხელი შეუწყო დემოგრაფიული სიტუაციის ნაწილობრივ გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სოფლის ეს გამოცდილება მრავალმა სოფელმა გადაიღო. გურიანთას მიიჩნევდნენ მრავალი სიახლის დანერგვის ინიციატორად. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გურიანთაში მართლაც ბევრი რამ კეთდებოდა დედათა და ბავშვთა დასაცავად. მძიმე კოლექტიურ შრომაში ჩაბმული ქალისადმი ყურადღების გამოვლენის ზემოდასახელებული მაგალითები მის საერთო მდგომარეობას ვერ ცვლიდა, სრულად ვერ ვლინდებოდა ოჯახის, შვილებისადმი ქალის მთელი სითბო და ყურადღება.

საბოლოო ჯამში წახალისების სოციალისტური ფორმები ემსახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურებოდა საკოლმეურნეო შრომაში ქალის უკეთ ჩაბმას, ექსპლოატაციის "ხარისხის" ამაღლებას, თუმცა არც დადებით შედეგებზე შეიძლება "თვალების დახუჭვა".

გასაბჭოების შემდეგ ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციების მიხედვით, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ პარტიის ყრილობისა თუ პლენუმების გადაწყვეტილებებზე, გამოყოფდნენ საეტაპო მნიშვნელობის დადგენილებებსაც. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტად მიიჩნიეს სკკპ ცკ-ის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის სისტემის გაუმჯობესებას. მართლაც, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუწესეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის სტაბილური გეგმები. უნდა გაეთვალისწინებინათ თითოეული რაიონისა და კოლმეურნეობის პირობები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ტრადიციები, მექანიზაციის დონე, ეკონომიკური და კლიმატური პირობები.

სოფლის მშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით, რეგიონის მიხედვით, გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაწარმის შესასყიდი ფასები, რასაც უნდა განემტკიცებინა სახელმწიფოს კავშირი კოლმეურნეობასთან, გაეფართოებინა მათ შორის სასაქონლო ურთიერთობის სფერო, დაეჩქარებინა საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრებასთან დაახლოება.

კოლმეურნეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა 1965 წლის 1 ივლისიდან შრომის ანაზღაურების გარანტირებული მინიმუმის შემოღებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისა და მათი სათადარიგო ნაწილების ფასის მნიშვნელოვან დაკლებას, ელექტროენერგიის საგადასახადო ტარიფების შემცირებას, 1970 წლიდან მეცხოველეობის პროდუქტებზე სახელმწიფო შესყიდვის ფასების ზრდას. ეს ტენდენცია მომდევნო წლებშიც არ შენელებულა, მაგრამ ამანაც ვერ უზრუნველყო დოვლათის წარმოების მკვეთრი ზრდა. პროდუქციის წარმოების დაბალი ტემპების მიზეზებს სერიოზულად არავინ სწავლობდა. ამაზე მხოლოდ მაშინ დაიწყეს ფიქრი, როცა კოლექტიურ მეურნეობას დაშლის რეალური საფრთხე დაემუქრა.

რატომღაც არ სურდათ გაეგოთ, რომ ცხოვრებამ მეცნიერების წინაშე დააყენა გადაუდებელი ამოცანა -- ფუნდამენტურად დაემუშავებინათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის მეთოდები, ადამიანთა დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის ფორმების სრულყოფის, საწარმოო ძალების განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის პრობლემები, გაეანალიზებინათ მოწინავეთა გამოცდილება და სოფლის განვითარების პერსპექტივები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა ბუნებრივ-საწარმოო პირობების გამოკვლევას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივ სტრუქტურას, შრომის რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მთელი სამეურნეო წლის განმავლობაში გლეხების შრომით დასაქმებას, სავარგულების ათვისებას, მოსავლიანობის ამაღლებას, იმას, თუ რა გავლენას ახდენდა ობიექტური პირობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ტემპის ზრდაზე.

1970 წელს საქართველოში სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 0,32 ჰექტარი სახნავი მიწა მოდიოდა, რაც 5,5-ჯერ ნაკლები იყო საბჭოთა კავშირის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით (ელგუჯა ქვათაძე, საქართველოს სოფლის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა განვითარებული სოციალიზმის პირობებში, თბ.,1976, გვ.140). გურიანთის მაჩვენებელიც არ იყო ბევრად უკეთესი. ასეთ პირობებში აქ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ძირითადად უნდა განვითარებულიყო სავარგულების რაციონალური გამოყენებით. სამწუხაროდ, ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებსაც სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა.

სოფლის ეკონომიკურ აღორძინებაში განუხრელად დიდ როლს ასრულებს ტექნიკა, მაგრამ ქვეყანას არ შეეძლო სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სათანადო ტექნიკით აღჭურვა. მიუხედავად ამისა, გურიანთის კოლმეურნეობა ახერხებდა განსაკუთრებით მძიმე სამუშაოთა -- ხვნა-თესვის მექანიზაციას, ტვირთბრუნვის უზრუნველყოფას, გარკვეულ ფართობზე მანქანებით ჩაის კრეფის ორგანიზაციას, მანქანა-ტრაქტორთა პარკის განახლებას, რაც შესაძლებელი გახდა სოფლის ეკონომიკური პოტენციალის თანდათან ამაღლებით. 1958 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, კოლმეურნეობამ შეიძინა 4 ტრაქტორი, სილოსის საჭრელი კომბაინი და საფარცხი, სულ გადაიხადა 57 900 მანეთი (ოსა, ფ.61, ს.90, ფურც.5).

კოლმეურნეობის პოტენციურ შესაძლებლობაზე მიუთითებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ 1960 წელს გურიანთაში შეიძინეს კიდევ უფრო მეტი ტრაქტორები და მანქანა-იარაღები. შესაძლებელი გახდა ტექნიკის გაქირავება. მაგალითად, სოიის სალეწი მანქანების სარგებლობისათვის მეზობელმა კოლმეურნეობებმა გურიანთას ჩაურიცხეს 6600 მანეთი (იქვე, ს.93, ფ.4). კარგი მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ სატრაქტორო ბრიგადის (ბრიგადირი შ.ჩხაიძე) ტრაქტორისტები და მძღოლები: ა.ბილიხოძე, ლ.ჩიკაშუა, მ,.ვაშნაძე, ს.მალაზონია, ი.ქავჟარაძე, ე.ტოტოჩავა, რ.ფასიეიშვილი, რ.კვაჭაძე, ვ.კვირკველია, გ.ჟღენტი, ბ.ჩიტაძე და სხვა.

70-იანი წლების დასაწყისში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკი გაიზარდა 39 ერთეულამდე, რაც მაღალ მაჩვენებლად ითვლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1990 წელს კოოპერატივის ავტოპარკი ითვლიდა 28 ტრაქტორს, 5 ავტომობილს და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. გაიზარდა ჩაის საკრეფი მანქანების რაოდენობაც. 1989 წელს მექანიზებული წესით მოკრიფეს 227 ტონა ჩაის ფოთოლი (კოლმეურნეობის მიმდინარე არქივი. გამგეობის 1989 წლის ანგარიში).

სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკის ახალმა შევსებამ გააიაფა მიწის დამუშავება, გაზარდა შრომის ნაყოფიერება. ერთი ჰექტარი საყანე ფართობის მოხვნა დაჯდა 4 შრომადღე (27,4 მანეთი). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არ ხერხდებოდა ტექნიკის მთელი დატვირთვით გამოყენება. მიუხედავად ამისა, გურიანთაში შედარებით მაღალი იყო ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტი. 1973 წლის მაჩვენებლებით კოლმეურნეობაში 5484 წლიური პირობითი ჰექტრის ნაცვლად მოხნეს 5708 ჰექტარი. ერთი ეტალონური ტრაქტორის დატვირთვამ ნაცვლად 944 ჰექტრისა შეადგინა 968 ჰექტარი, ხოლო ერთმა პირობითმა ტრაქტორმა, ნაცვლად 391 ჰექტრისა, შეასრულა 408 ჰექტარი სამუშაო ("ლენინის დროშა", 1973 წ. 20 იანვარი).

მანქანების მძღოლთა მძიმე შრომის წახალისების მიზნით დააწესეს დამატებითი თანხები. კერძოდ, გეგმის შესრულების შემთხვევაში მძღოლების ხელფასი იზრდებოდა 30 პროცენტით. ღამის საათებში დამატებით ერიცხებოდათ ანაზღაურების 15 პროცენტი. მატერიალური დაინტერესების ზრდამ სასიკეთო გავლენა მოახდინა შრომის პროცესზე, გაიზარდა შრომისნაყოფიერება. ტექნიკის ზრდა გარდაუვალს ხდიდა ზეინკლების, ხარატებისა და სხვა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. სამწუხაროდ, ეს პროცესი დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა. ცნობილია, რომ მთელ რესპუბლიკაში გაურბოდნენ მოსწავლეების პროფტექნიკურ სასწავლებლებში შეყვანას. ეს სენი გურიანთასაც გადაედო. რაღაცნაირ ჟვადმყოფობად იქცა, საშუალო და უმაღლესი განათლების ატესტატისა და დიპლომისათვის "ნადირობა". ახალგაზრდები ხშირად ამჯობინებდნენ უმუშევრები დარჩენილიყვნენ, ვიდრე პროფტექნიკურ სასწავლებლებში შესულიყვნენ. ეს აზრი ემთხვეოდა მათივე მშობლების პოზიციასაც (სპა, ფ.2341, ს.57, ფურც.29). მსგავსი ფაქტები გურიანთაშიც შეინიშნებოდა. ამან განაპირობა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ტექნიკის არასწორი ექსპლოატაცია, შეკეთებათა დაგვიანება, გაუმართავი მანქანების ექსპლოატაცია, ტექნიკისადმი უდიერი მოპყრობა, ტექნიკური მომსახურების დაბალი დონე, მისი მწყობრიდან ნაადრევი გამოსვლა და სხვა.

მანქანა-ტრაქტორთა გამოყენების კოეფიციენტი დაბალი იყო სუბტროპიკული კულტურებისა და ფერდობების დამუშავებისას, რასაც გარკვეულ წილად განაპირობებდა მანქანა-ტრაქტორთა ნაწილების დეფიციტი და სიძვირე, თვით ტექნიკის ერთგვაროვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის პრივატიზაციის პირობებში უპირატესი როლი ენიჭება ჭკვიერ მექანიზაციას, რომლის გარეშე გლეხური ფერმერული მეურნეობა მაღალი ტემპით ვერ განვითარდება, კერძო საკუთრებაზე გადასვლა მტკივნეული და ნაკლებ ეფექტიანი იქნება. რადიკალურ გარდაქმნებს საჭიროებს მეცხოველეობის მექანიზაციაც, რაც პროდუქციის ზრდისა და შრომისნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში კოლმეურნეობის შრომატევად სამუშაოთა სრულ მექანიზაციას უკავშირებდნენ მთელი მეურნეობისა და პირუტყვის განსაზოგადოების მიზანშეწონილობასა და მომგებიანობას, რაც დიდი შეცდომა იყო და მიზნად ისახავდა სახელმწიფო საკუთრების გაბატონების გარდუვალობის თეორიულ დასაბუთებას. საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრებასთან შერწყმის კონცეფცია არაორაზროვნად ჩამოყალიბდა სკკპ-ის მესამე პროგრამაში. მსგავსი "თეორიების" ავტორებს მიაჩნდათ, რომ პირად საკუთრებაში მყოფ პირუტყვზე და საკარმიდამო ნაკვეთებზე უარის თქმით გაიაფდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, გაადვილდებოდა მოსახლეობის მომარაგება, უკეთ დაინერგებოდა მექანიზაცია, გლეხები თავს დააღწევდნენ ერთგვაროვან, მძიმე ფიზიკურ შრომას. დღეს ყველასათვის ცნობილია, როგორ განვითარდა მოვლენები და რა ფასი აქვს ზერელე პროგნოზებსა და მოუფიქრებელ დაპირებებს.

პროდუქტების წარმოებაში დიდ როლს ასრულებს მინერალური სასუქები. სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობის "ქიმიზაციას" გადაჭარბებული ყურადღება ეთმობოდა. გამოიფიტა ნიადაგი, პროდუქტები ეკოლოგიურად გაუარესდა, საფრთხე შეექმნა ადამიანების ჯანმრთელობას. ჩვენში დაუმუშავებელია, ან პრაქტიკულად არ იყენებენ არაორგანული სასუქების ნიადაგში შეტანის მეცნიერულად დასაბუთებულ ვადებსა და ნორმებს. საშიშია ნიადაგში არა სასუქების შეტანა (მას ყველა მოწინავე ქვეყანაში იყენებენ), არამედ მისი დოზირებისა და ვადების დაუცველობა, ნიადაგის შემადგენლობის გაუთვალისწინებლობა. პროდუქციის ხარისხის გაუარესების პირობებში არაორგანული სასუქები თანდათან უნდა "გამოდევნოს" ორგანულმა სასუქებმა. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა მეცხოველეობის განვითარება და ბუნებრივი საპოხის მიღების ტექნოლოგიის დამუშავება-დანერგვა. უნდა აღვადგინოთ აგრეთვე სოფლის საუკეთესო მეურნეთა, რატომღაც დავიწყებას მიცემული გამოცდილება, რომელიც არ მოითხოვს რაიმე სახსრების დაბანდებას და შეუძლია ყველა მუყაით გლეხს. სპეციალურად ამოთხრილი დიდი ორმო უნდა აივსოს გვიმრით, მცენარეთა ფოთლებით, ჩალის, თივისა და სხვა ნარჩენებით, ყოველგვარი სარევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელებით. ორმოში ჩაყრილ მასას ზემოდან დაეყაროს მიწა, მაგრად დაიტენოს. გარკვეული დროის შემდეგ მივიღებთ შესანიშნავ "ტორფის" მასას, რაც ორგანული სასუქით უზრუნველყოფს საკარმიდამო ფართობს. კარგად მახსოვს ვასილ ტოტოჩავას თავის ნაკვეთზე შეჰქონდა ამ "მეთოდით" დამზადებული ორგანული სასუქი და მოსავალსაც შესანიშნავს ღებულობდა. ამ ტრადიციის განახლება ხელს შეუწყობს კარმიდამოს ტერიტორიის გასუფთავებას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას და, რაც მთავარია, ორგანულ სასუქებს "გადაჩვეულ" ყანებსა და პლანტაციებს შევუქმნით ვეგეტაციის ნორმალურ პირობებს, გავაუმჯობესებთ სიმინდის, ბოსტნეულისა და ნებისმიერი სხვა პროდუქტის ხარისხს, ჩაის ფოთოლს აღვუდგენთ სიმწკლარტეს, რომელიც დაკარგა არაორგანული სასუქების შეტანით.

სოფლის სოციალურ სტრუქტურაზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული გავლენა მოახდინა საწარმოებში კოლმეურნეთა ნაწილის ჩაბმამ. გურიანთის ხელმძღვანელობას სოფლის ტერიტორიაზე აგებული ჩაის ფაბრიკისაგან უნდა მოეთხოვა იქ დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, სოფლის კეთილდღეობაში წილობრივი მონაწილეობა, მიწათსარგებლობისათვის სათანადო თანხების გაღება. მაგრამ, მაშინ დაკანონებული წესის მიხედვით, ნებისმიერ საწარმოს შენობა-ნაგებობებს კოლმეურნეობის მიწაზე ისე წამოჭიმავდნენ, კაპიკსაც არ გადაიხდიდნენ.

სოფლის სოციალური სტრუქტურის ცვლილებებზე თვისებრივ გავლენას ახდენდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ინტელიგენციის ხვედრითი წილის ზრდა. ამ ფენას პირველ რიგში განეკუთვნება განათლების მქონე ის პირები, რომლებიც გონებრივ შრომას ეწევიან. ნიშანდობლივია, რომ 50-იან წლებამდე გონებრივ შრომაში ძირითადად დასაქმებული იყვნენ დაბალი განათლების მქონე პირები. მომდევნო პერიოდში სურათი შეიცვალა. გაიზარდა გონებრივ სფეროში დასაქმებული უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობა.

ცვლილებები მოხდა ბრიგადირთა განათლების ცენზშიც. 1991 წლისათვის ყველა მათგანს ჰქონდა საშუალო ან უმაღლესი განათლება. სპეციალისტების მომზადების მასშტაბების ზრდამ აშკარად გაუსწრო კადრების საჭიროებას, რაც გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნიდა. უმაღლესი განათლების კადრები ფიზიკურ შრომაში არ ებმებოდნენ. ღვივდებოდა უკმაყოფილება. საბედნიეროდ, ამ პროცესმაც გურიანთაში შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა.

ისიც ფაქტია, რომ განათლების ცენზისა და ცოდნის შესაბამისობაში შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია. იმატა სოფლის მცხოვრებთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტოლვამ უმაღლესი განათლების მიღებისა და დიპლომების "ხელში ჩაგდებისათვის", რითაც ასე დაავადდა რესპუბლიკის მოსახლეობა. დღეს ეს პრობლემა კიდევ უფრო "დამძიმდა", რადგან არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს დაემატა უამრავი კერძო სასწავლებელი, რაც ჩვენს სინამდვილეში, სათანადო ბაზების უქონლობის გამო, ხშირ შემთხვევაში აუფასურებს ცოდნას, ნერგავს ზერელობასა და უპასუხისმგებლობას.

ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარი ერთმანეთს უპირისპირებდა ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციას. სინამდვილეში, შრომის ხასიათის მიხედვით, განსხვავება თითქმის არ შეინიშნებოდა. საგრძნობი განსხვავება იყო მხოლოდ შემოსავლის წყაროების მიხედვით. გონებრივი შრომის ადამიანები სოფლად ღებულობდნენ საკარმიდამო ნაკვეთებს, მათ შეეძლოთ ჰყოლოდათ პირუტყვი, ფრინველი, პირად საკუთრებაში ჰქონოდათ საცხოვრებელი სახლები, დამხმარე ნაგებობები, მიეღოთ დამატებითი შემოსავალი. ქალაქის ინტელიგენციას მოღვაწეობა და ცხოვრება უხდებოდა სულ სხვა პირობებში. მისი შემოსავლის ერთადერთი კანონიერი წყარო იყო ხელფასი (კერძო საკუთრების დაკანონებამდე) და საბაღე ნაკვეთებზე მოწეული პროდუქციით მიღებული შემოსავალი. მიწის პრივატიზაცია უთუოდ გაზრდის ადამიანთა მიწათმოქმედებით დაინტერესებას, რაც ყოველმხრივ უნდა წახალისდეს.

სოფლის სოციალური სტრუქტურის მიხედვით გურიანთის ინტელიგენცია კოლმეურნეობის პირობებში იყოფოდა ორ ჯგუფად: პირველში შედიოდნენ მართვის სფეროში დასაქმებული ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება და ეწეოდნენ ორგანიზატორულ მუშაობას, ხელმძღვანელობდნენ შრომით კოლექტივებს, ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ კოლმეურნეობის აპარატის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და პროფკავშირის განთავისუფლებული მუშაკები. მეორე ჯგუფში შედიოდნენ უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ვეტექიმები, ინჟინრები, სპეციალობის მიხედვით დასაქმებული საშუალო-სპეციალური განათლების მქონე მუშაკები, რომლებიც ეწეოდნენ გონებრივ შრომას.

კოლმეურნეობაში დაკანონებული შრომის ანაზღაურების წესის მიხედვით ინტელიგენცია დაინტერესებული არ იყო მიწის საშუალო საჰექტრო მოსავლის ზრდით, რადგან მათ ხელფასზე გავლენას არ ახდენდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების რაოდენობა. გამოირიცხა მატერიალური სტიმულირების ფაქტორი. საჭირო იყო შრომის ანაზღაურების სრულყოფა, კოლმეურნეობის მთელი აპარატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დაინტერესება სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით. ბოლო წლებში იყო ამის ცდა, მაგრამ კოლმეურნეობის დაშლამ ამ პროცესს წერტილი დაუსვა.

საბჭოთა წყობილების პირობებში ცვლილებები განიცადა საზოგადოების მცირე სოციალურმა უჯრედმა -- ოჯახმა. მისი წევრების შრომითი საქმიანობა გახდა მრავალპროფესიული. ოჯახის ყველა წევრი ერთგვაროვან შრომას როდი ეწეოდა, საგრძნობლად გაიზარდა იმ კომლთა რიცხვი, რომელთა წევრები დასაქმებული იყვნენ შრომის სხვადასხვა სფეროში (სამრეწველო საწარმო, სოფლის მეურნეობა, გონებრივი შრომა). ამის გამო უაღრესად რთულია სოციალური ნიშნის მიხედვით ოჯახის კლასიფიკაცია. მაგრამ მაინც გამოვყოფთ "დინასტიურ" ოჯახებს, რომელთა ყველა თაობა სოფლის მეურნეობაში ფიზიკური შრომით იყო დაკავებული და დღესაც არ ღალატობს ამ ტრადიციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეთერთმეტე. სოფლის მეურნეობის დარგები. გურიანთა 1946-1992 წლებში

მშვიდობიან პერიოდში თანდათან იცვლებოდა მეურნეობის გაძღოლის მეთოდი და შრომის ორგანიზაცია, მაგრამ უცვლელი რჩებოდა სახელმწიფო გეგმა-კანონები და დავალებები, "ზემოდან" დაშვებული დირექტივების შესრულებისადმი ერთგულება, მათი განაღდებისათვის "სიტყვაშეუბრუნებელი"მოქმედება, სოფლის სპეციფიკისა და თავისებურებათა უგულებელყოფა.

გრანდიოზული ამოცანები დასახა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანმა გეგმამ (1946-1950 წწ). უნდა მიეღწიათ სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობისათვის, დაჩქარებული ტემპით განევითარებინათ წამყვანი დარგები. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა კოლმეურნეობათა სრულყოფას, მათ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, საზოგადოებრივი სიმდიდრის განუხრელ ზრდას, შრომისნაყოფიერების ამაღლებას, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ზრდას.

ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციას მიეძღვნა ზემდგომი ორგანოების არაერთი დადგენილება, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებები, საკავშირო და რესპუბლიკის მთავრობათა დადგენილებები. დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობასა და მექანიზაციას, ელექტრიფიკაციას. ასეთივე დაპირებებს იძლეოდნენ ყოველ მომდევნო ხუთწლიან გეგმებსა და დირექტივებში.

ზემდგომი ორგანოების დირექტივების განხორციელებისათვის გურიანთაში იქმნებოდა კომისიები, ტარდებოდა კრებები, ისახებოდა ღონისძიებები, აჯილდოვებდნენ, კიცხავდნენ და სჯიდნენ ადამიანებს. დამკვიდრებული წესის მიხედვით, ყველა ინსტანციის ხელმძღვანელი ორგანო იღებდა უამრავ დადგენილებას. მსგავს გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ "ქვემდგომი" ორგანოებიც (სსრ კავშირი, რესპუბლიკა, რაიონი, სოფელი, წარმოება-დაწესებულება, ბრიგადა). ყოველწლიურად მიღებული ათობით დადგენილება თუ გადაწყვეტილება მუშაობაში ამკვიდრებდა ფორმალიზმს, ინერციით სვლას, ადრე მიღებულ დადგენილებათა დუბლირებას, სხვის მოიმედეობას, გეგმების შესრულებისათვის უხეში და მკაცრი მეთოდების დანერგვას.

კრებები, რეზოლუციები, კრიტიკა, ბრალდებები, დაპირებები, ახალი დადგენილებები, შეცდომების, წარუმატებლობისა თუ ნაკლის მხილება, საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევათა კონსტატაცია, კვლავ ახალი რეზოლუციები – ასეთი იყო საერთო სულისკვეთება. ასე იკვრებოდა ჯადოსნური წრე, იქმნებოდა საბუთები, ტარდებოდა თათბირები, ყველაფერი კი ერთ საქმეს – გეგმის შესრულებას ემსახურებოდა. უკვე დაკანონებულ სტრუქტურებს ვერავინ შეცვლიდა. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა პასიურობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწირვას. გურიანთის ხელმძღვანელობა, უმძიმეს პირობებში ახერხებდა მოსახლეობის ინტერესების დაცვას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით იგრძნობოდა განვითარების იმ ეტაპზე, როცა კოლმეურნეობას სათავეში ედგნენ გაბედული და უნარიანი ხელმძღვანელები. საბედნიეროდ, ჩვენს სოფელში ასეთები იყვნენ.

საკოლმეურნეო სისტემის "მარწუხების"პირობებში სოფელი ცუდი ხელმძღვანელებით განწირული არ ყოფილა, მისი თავკაცები, მეტნაკლები უნარის, ცოდნის და განათლების მიუხედავად, მშრომელებში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდნენ, მათი უმრავლესობის პატიოსნებაში ეჭვი არ შეჰქონდათ. შეიძლება მივუთითოთ ერთ ფაქტზე. 1957 წელს გურიანთის კოლმეურნეობის სალაროდან გაიტაცეს დიდი თანხა, გლეხები "პირში ჩალაგამოვლებულნი" დარჩნენ – მთელი წლის "ნაოფლარი" გაქრა. რაიონის ხელმძღვანელობა კოლმეურნეობის თავკაცის სასტიკ დასჯას მოითხოვდა, მაგრამ ვერ გასწირეს სერაპიონ სურგულაძე, უპატიოსნესი ადამიანი, სოფლისათვის თავდადებული პიროვნება. ამან იხსნა იგი დაპატიმრებისაგან, რისხვა თავს სხვას დაატეხეს. თანხის გატაცებაში ბრალი დასდეს პარტბიუროს, რომელიც "ვერ ახორციელებდა კონტროლს სამეურნეო საქმიანობისადმი, ყველა კომუნისტში ვერ ნერგავდა და ვერ განამტკიცებდა სიფხიზლეს" ("ლენინის დროშა", 1957 წლის 1 დეკემბერი). ეჭვმიუტანელი კოლმეურნეობის თავმჯდომარისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება თანასოფლელებმა კმაყოფილებით აღიქვეს.

გურიანთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეებიდან გამოირჩეოდნენ აგრეთვე: პ.ბელიქანიძე, გ.ქათამიძე, ლ.ჩხაიძე, ვ.კვაჭანტირაძე, ბ.შეწირული. "არამკვიდრ მცხოვრებთაგან" შეიძლება მივუთითოთ ამირან ვაშაყმაძეზე, რომელმაც "უცხო გარემოში" მოსახლეობასთან გამონახა საერთო ენა, მაგრამ მასვე ხვდა წილად კოლმეურნეობის დაშლის პასიურ მეთვალყურედ ყოფნა.

საბედნიეროდ, გურიანთის ხელმძღვანელობა, როგორც წესი, შედარებით ლოიალურად იქცეოდა, არ აღვივებდა კონფლიქტებს, ზედმეტად არ ძაბავდა ვითარებას. არ ამწვავებდა ადამიანებს შორის ურთიერთობას, სოციალურ წინააღმდეგობებს. აქ არ გამოუვლენიათ ომის პერიოდის "მოღალატეები", შედარებით ნაკლები მსხვერპლი გაიღეს 30-იან წლებში, სიტუაცია არ დაუმძიმებიათ ომის შემდგომ პერიოდსა და მომდევნო წლებში, რასაც ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის რიგ სოფლებში.

გურიანთის ხელმძღვანელობა შედარებით უკეთ ახერხებდა მოსახლეობის სოციალურ დაცვას, დაძაბულობის განმუხტვას, ღარიბი ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენას. თანასოფლელთა მხარში ამოდგომა, მათდამი კეთილი დამოკიდებულება, ომის შემდგომ პერიოდში, ამსუბუქებდა მძიმე შრომას.

მართლაც, კოლმეურნეობის "შინაგანაწესში" მკაფიოდ აისახა სოფლებში მაშინ დამკვიდრებული რეჟიმის თავისებურება. გლეხებისაგან მოითხოვდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ შესაძლებლობის მაქსიმუმს: "პირად შრომით მონაწილეობას მიიღებენ წლის განმავლობაში", "წელიწადში არანაკლებ 150 შრომადღის გამომუშავებას", "სამუშაო დღის დაცვას გათენებიდან დაღამებამდე". განსაკუთრებით მკაცრად ეღერს "შინაგანაწესის" დებულება: "კოლმეურნეობის წევრი საკარმიდამო ნაკვეთებზე მუშაობას უნდა აწარმოებდეს თავისუფალ დროს, გამგეობისა და ბრიგადირის ნებართვით". გამგეობას უფლება ჰქონდა, აგრეთვე, საკარმიდამო ნაკვეთი ჩამოერთვა იმ ოჯახებისათვის და დაებეგრათ ის კოლმეურნეები, რომლებიც არ გამოიმუშავებდნენ სავალდებულო მინიმუმს. "შინაგანაწესის" მიხედვით კოლმეურნეებს სასტიკად ეკრძალებოდათ პირად სარგებლობაში გამოეყენებინათ ის ხარები, რომლებსაც თვითონ უვლიდნენ (ოსა, ფ.61,ს.105, ფურც.1-5).

"შინაგანაწესი" კოლმეურნეობის გამგეობას უფლებას უტოვებდა დასვენების დღე (კვირა) სამუშაო დღედ გამოეცხადებინა. "განაწესი" სრულად გამოხატავდა კოლმეურნეობის ბუნებას, აკანონებდა გლეხების მიჯაჭვას საკოლმეურნეო მინდვრებზე, საკარმიდამო ნაკვეთების მნიშვნელობის უგულებელყოფას.

საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიებისა და მინისტრთა საბჭოების დადგენილებათა "ნაკადიდან" გამოყოფდნენ "საეტაპო" მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს. ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტად მიიჩნევდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის დადგენილებას – "სასოფლო-სამეურნეო წესდებისა და კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და არტელის საქმეთა მართვის საქმეში", აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილებას "სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" და სხვა დოკუმენტებს. ყველა ახალ დოკუმენტში აისახებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის პროგრამა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მაღალი ხარისხის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, "ისახებოდა წინსვლის გზები". ასე იყო უსასრულოდ. დაპირებები კი დაპირებებად რჩებოდა.

60-იანი წლებიდან, ზემოდან მიღებულ დადგენილებათა შესაბამისად, გაიშალა კოლმეურნეობათა გამსხვილების პროცესი. 1959 წელს საქართველოში მათი რიცხვი 2063-ს აღწევდა, 1965 წლის ბოლოს 1431-მდე შემცირდა ("საქართველოს ისტორიის ნარკვევები", თბ., 1980, ტ.VIII, თბ., გვ.653). ამასთან ფორსირებული წესით ხდებოდა კოლმეურნეობათა "გადაკეთება" საბჭოთა მეურნეობებად, რითაც ნიადაგი მზადდებოდა საკუთრების ორი ფორმიდან (სახელმწიფო და საკოლმეურნეო) ერთ ფორმაზე (სახელმწიფო საკუთრება) გადასვლისათვის. ეს პროცესი კარგს არაფერს უქადდა სოფელს და მიზნად ისახავდა გლეხების "გაპროლეტარებას", საკარმიდამო ნაკვეთების შემცირებას, ტრადიციული მეურნეობის ჩვევების საბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლოო მოშლას. ქართველი გლეხის "სულის საბჭოურ ყაიდაზე გადაყვანების" დაჩქარებას, კომუნიზმზე "გადასასვლელად" ნიადაგის მომზადებას. საბედნიეროდ, გურიანთას "გადაკეთების" პროცესი არ შეხებია და რაიმე სერიოზულ გართულებას ადგილი არ ჰქონია. პირიქით, მატულობდა შრომითი აქტიურობა. 1977 წელს კოლმეურნეებმა გამოიმუშავეს 7037 კაცდღით მეტი, ვიდრე 1976 წელს (სპა, ფ.2341, ს.68, ფურც.34).

ცხადია, მაჩვენებელთა ასეთი სხვაობა შესაძლებელი იყო თითოეული კოლმეურნის შრომითი აქტიურობის ბრდით, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებდა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლება, მშრომელთა წახალისების სხვადასხვა ფორმათა (უცხოეთში ტურისტული მგზავრობის, დასასვენებელი სახლების უფასო ან შეღავათიანი საგზურები, მსუბუქი მანქანების ურიგოდ გამოყოფა, ფულადი ჯილდო) წარმატებით დანერგვა.

განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სოციალისტური შრომის გმირების ელენე კვაჭაძისა და შურა კვირჩილაძის ოჯახები. მარტო ელენე კვაჭაძის ოჯახმა გამოიმუშავა 1134 შრომადღე და მიიღო 44 963 მანეთი და 4343 კგ სიმინდი. თვითონ ელენეს პრემიადანამატის სახით მიეცა 16 613 მანეთი. მას თითოეულ შრომადღეზე ერგო 46, 6 მანეთი. შურა კვირჩილაძის ოჯახმა 1319 შრომადღეზე მიიღო 43 393 მანეთი, მათ შორის პრემია -- 10 418 მანეთი. თითოეულ შრომადღეზე – 38, 7 მანეთი (ოსა, ფ.61, ს.57, ფურც.14).საპატიო ნიშნის ორდენის კავალერმა ვალიდა ჟღენტმა, 1966 წლის მონაცემებით, დამატებითი ანაზღაურების სახით მიიღო 1016 მანეთი. სულ ფულადი პრემიით დააჯილდოვეს 124 კოლმეურნე (იქვე, ს.156, ფურც.12-13,). მიღებული დიდი თანხები ოჯახის კეთილდღეობის გარანტად იქცა.

ნიშანდობლივია, რომ ქალებმა 1960 წელს თითქმის ორი პროცენტით მეტი შრომადღე გამოიმუშავეს, ვიდრე მამაკაცებმა. ისიც აღსანიშნავია, რომ იმავე წლის მაჩვენებლებით თითოეულ შრომისუნარიან კოლმეურნეზე რაიონში საშუალოდ მოდიოდა 245 შრომადღე, გურიანთაში -- 256. გურიანთას უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა აგრეთვე თითოეული კოლმეურნის შემოსავლის მიხედვით. 1962 წელს ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე მოდიოდა 2100 მანეთი, გაცილებით მეტი, ვიდრე რაიონის სხვა სოფლებში. მაგალითად, ნატანებსა და შრომაში მაჩვენებლებმა შესაბამისად შეადგინა -- 1500 და 1900 მანეთი (ე.ზაქარიაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.118). აქაც გურიანთის მაჩვენებლები ჭარბობდა რაიონის საერთო საშუალო მონაცემებს და მიუთითებდა აქაური გლეხის შრომით აქტივობასა და მისი ოჯახისათვის კოლმეურნეობისაგან მიღებული შემოსავლის დიდ მნიშვნელობაზე.

დამახასიათებელია, რომ სისტემატურად იზრდებოდა გამომუშავების ნორმები, უფრო ნელი ტემპით მატულობდა ანაზღაურება. მაგალითად, 1970 წელს 60 კვ მეტრი ჩაის ნიადაგის გაკაფვა-გაწმენდაზე კოლმეურნეებს, თანრიგის მიხედვით, უხდიდნენ 1,91-დან 2,42-მდე მა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთს, ხოლო 1975 წელს 130 კვ. მეტრზე 3,15-დან 3,37-მდე მანეთს, ე.ი. ხელფასი გაიზარდა ორჯერ და მეტად, ანაზღაურება კი საშუალოდ 50 პროცენტით. ისეთივე დაბალი ანაზღაურება ეძლეოდათ ჩაის კრეფისათვის, დაბარვისათვის, ციტრუსებისა და სიმინდის ნიადაგის მომზადებისათვის (ოსა, ფ.61, ს.216, ფურც.1,3,15; ს.287, ფურც. 2,4,16; ს.369, ფურც.2-3,12; ს.408, ფურც.2-3).

გამომუშავების მაღალი ნორმები და დაბალი ანაზღაურება იწვევდა მშრომელთა უკმაყოფილებას, საკოლმეურნეო შრომისადმი გულგრილობის ზრდას. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ასეთი განწყობილება და 1975 წლიდან გაზარდა შრომის ანაზღაურება. კერძოდ, 1500 კგ ჩაის ფოთლის მოკრეფის გეგმის შესრულებისათვის კოლმეურნეს ეძლეოდა ღირებულების 15 პროცენტი, 1501-2000 კგ ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის 20 პროცენტი, 2500-მდე კგ-თვის 27 პროცენტი და ა.შ. 5 ათასი და მეტი კილოგრამი ფოთლის მოკრეფისათვის 50 პროცენტი.გარდა ამისა, ბრიგადებს, რომლებიც შეასრულებდნენ წლიურ გეგმებსა და ხარისხის მაჩვენებლებს (პირველი ხარისხის ფოთოლი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 70 პროცენტი) საბოლოო შედეგების თითოეულ კგ-ზე კოლმეურნეს ეძლეოდა საშუალოდ 32 კაპიკი (ოსა, ფ.61, ს.407, ფურც.6). ამასთან ერთად რგოლს ეძლეოდა ზეგეგმიური პროდუქციის ღირებულების 60 პროცენტი, რომელიც ნაწილდებოდა მის წევრებზე, მათი შრომითი მონაწილეობის მიხედვით. ეს იყო შრომის ანაზღაურების სრულიად ახალი სისტემა, რამაც შეცვალა კოლმეურნეთა დამოკიდებულება შრომისადმი.

წახალისება შეეხო მოსწავლეებსა და მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც ღებულობდნენ მოკრეფილი ნედლეულის ღირებულების 10 პროცენტის დამატებით ანაზღაურებას.

გაიზარდა ნარდად და დროებით მომუშავე ტრაქტორისტთა ანაზღაურებაც. ამას ემატებოდა პრემიები – პირველი კლასის მძღოლებისათვის 20 პროცენტი, ხოლო მეორე კლასისა – 10 პროცენტი. ამასთან, უდისციპლინო კოლმეურნეებს უმცირდებოდათ ან სულ არ მიეცემოდათ პრემიები.

წახალისების ფორმები ვრცელდებოდა კოლმეურნეობის აპარატის მუშაკებზეც. მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მთავარი ბუხჰალტერი, დარგობრივი სპეციალისტები პროდუქციის წარმოების ყოველ გადაჭარბებულ ერთ პროცენტზე მიიღებდნენ წლიური განაკვეთის ორ პროცენტს (იქვე, ფურც.11).გარდა ამისა, კოლმეურნეობის გამგეობის აპარატის, სასოფლო საბჭოს, ფოსტის მუშაკების, აგრონომების, მეველეების, დურგლების, მეფუტკრეების, წისქვილისა და საგზაო მუშაკების წასახალისებლად გამოუყვეს 20 ჰექტარი მიწა (ოსა, ფ.61, ს.81, ფურც.7), რაც მატერიალური წახალისების დამატებით სტიმულად იქცა.

მატერიალური წახალისების მიზნით კვლავ ინერგებოდა შრომის ახალი ფორმები. 80-იან წლებში მოწონება ხვდა ოჯახურ – რგოლურ მეთოდს, რომელიც გურიანთაში დაინერგა 1987 წლიდან (თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.ვაშაყმაძე). მასში ჩაბმულმა თითოეულმა კოლმეურნემ 10 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, მათ შორის იყვნენ: ლეილა კვერღელიძე, ვალიდა ჟღენტი, ადელი ბარათაშვილი, ჟუჟუნა არობელიძე, ჯულიეტა ხავთასი, გულო ბრეგაძე, ლამარა ტუღუში, ნათელა და კატია აროშიძეები, დინარა და სულიკო ტოტოჩავები, ლენა და ვალიკო ქათამიძეები, იზოლდა თავდიშვილი, ვაჟა ცერცვაძე, ნარგიზა მექვაბიშვილი, ნათელა გულბიანი, მაყვალა ქათამიძე და სხვა. საუკეთესო მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ პენსიონერი მეჩაიეებიც: ქეთო კობახიძე, გოგუცა ჭეიშვილი, ნათელა ჩიკაშუა, თინა ფასიეშვილი, ლოლა კირკიტაძე, მაყვალა კაცაძე, გალინა მალაზონია (კოლმეურნეობის მიმდინარე არქივი, გამგეობის თავმჯდომარის 1987 წლის საანგარიშო მოხსენება, გვ.4).

ამავე პერიოდში ინერგება კოოპერატიული მოძრაობა, რომელმაც ფართო მასშტაბი მიიღო 1988 წელს (გაერთიანებული იყო 745 კაცი, მათ შორის შრომისუნარიანი -- 463, თითოეულ მათგანს მოეთხოვებოდა სავალდებულო მინიმუმის გამომუშავება). კოოპერატიული მოძრაობის მასშტაბებზე მიუთითებს საწარმოო ბრიგადების ბაზაზე შექმნილი კოოპერატივები. შეიქმნა აგრეთვე საკვებმოპოვების, სანერგე, მექანიზაციის, მომსახურების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, მცენარეთა დაცვის, მშენებლობის კოოპერატივები, რომლებიც ირჩევდნენ თავიანთ საბჭოებს, თავმჯდომარეებსა და ბუხჰალტრებს. დასახელებული კოოპერატივების რწმუნებულთა კრებამ აირჩია სოფლის კოოპერატივის საბჭო და მისი თავმჯდომარე.

გურიანთაში მიაჩნდათ, რომ კოოპერატივებზე გადასვლამ განამტკიცა კოლმეურნეობის ეკონომიკა. წინა წელთან შედარებით 1989 წელს ფულადი შემოსავალი გაიზარდა 9 პროცენტით (315 ათასი მანეთით).თითოეულმა კოოპერატორმა საშუალოდ აწარმოა 527 მანეთით მეტი პროდუქტი. მათ შორის ანაზღაურება გაიზარდა 241 მანეთით (20,6 პროცენტი), რენტაბელობამ მიაღწია 37,5 პროცენტს. მოკრიფეს 311 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, მიიღეს 206 ათასი მანეთით მეტი შემოსავალი. თითოეული კგ ჩაის ფოთლის კრეფის ანაზღაურება 40 კაპიკიდან გაიზარდა 50 კაპიკამდე, რაც ნედლეულის ღირებულების ნახევარზე მეტი იყო და მაშინ საკმაოდ დიდ ანაზღაურებად ითვლებოდა. ამიერიდან კოლმეურნეები (კოოპერატორები) ღებულობდნენ ხელფასის მტკიცე ფონდს.

ასეთ პირობებში, 1989 წლის 1 იანვრიდან, კოლმეურნეობის ბაზაზე დაარსდა კოოპერატივი -- "გურიანთა", ხოლო საწარმოო ბრიგადების ნაცვლად კოოპერატივები და მათი საბჭოები. კოოპერატივებად გადაკეთებით კოლმეურნეობის გამგეობისა და ბრიგადების ფუნქციები არ შეცვლილა. რეორგანიზაციამ მხოლოდ ახალი ეღერადობა მიიღო, მუშაობა კი ძველებურად გრძელდება. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. კოლმეურნეობის ბუნება სახელის გადაკეთებით არ იცვლება. სახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის შეცვლა იყო სსრკ-ში მიმდინარე გარდაქმნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ხარკის თავისებური გადახდა, კრიტიკის აცილების საშუალება.

ვიდრე ჩაის ფოთლის კრეფის ძირითად მაჩვენებლებს დავასახელებდეთ, აღვნიშნავთ, რომ 60-იანი წლებიდან წარმოუდგენლად გაბერილი, არარეალური გეგმის გამო, ჩაის ფოთლის კრეფა წარმოებდა ბარბაროსული მეთოდებით, დანისა და ნამგლის გამოყენებით, რის გამოც ბიოლოგიურად დაუძლურდა ჩაის ბუჩქები, პლანტაციების უმეტესობას "დასვენება", "მკურნალობა" სჭირდებოდა და ბრიგადების კოოპერატივებად გადაკეთება საქმეს ვერ უშველიდა, ფართობის ვერც იჯარით გაცემაში იყო ხსნა.ჩაის ხარისხის გაუმჯობესება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ჯანსაღ პლანტაციიდან საშუალოდ მოვკრეფთ 2-3 ტონა მწვანე ფოთოლს, გურიანთაში კი მაჩვენებლებმა 10-11 ტონას მიაღწია.

საზოგადოებას ეყო გაუთავებელი დაპირებები ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებაზე. არ გაამართლა "აგროკომბინატებმა" და "აგროფირმებმა". ჩაის ხარისხი კვლავ დაბალია. დღეს უნდა ვფიქრობდეთ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაზე, რომელიც თანამეგობრობისა და სხვა ქვეყნებში რეალიზაციას დაექვემდებარება. უნდა დავუბრუნდეთ ნაზი, სტანდარტული დუყების კრეფას. ეს იქნება ჩვენი სოფლის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორიც.

ამასთან, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს სოფლებში დამფასოებელი საამქროების მშენებლობის ტენდენცია. ეს ყველას არ ძალუძს. პროდუქციის დაფასოება გაცილებით იაფი ჯდება ჩაის საწონ ფაბრიკებში, სადაც აქვთ თანამედროვე უცხოური დამფასოებელი ავტომატი. ცნობილია, რომ 1990 წელს დამფასოებელ მცირე საამქროებში ერთი ტონა ჩაის შეფუთვა ღირდა 100-120 მანეთი, ხოლო ავტომატიზებული ჩაის საწონ ფაბრიკაში -- 25 მანეთი (რევაზ ხოფერია, "ხარისხი არ გაუმჯობესებულა", "კომუნისტი", 1990 წლის 10 აგვისტო). მაშასადამე, დღევანდელ ეტაპზე მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ჩაის ფოთლის ხარისხის გაუმჯობესება. ყველა სხვა პრობლემა მასზეა დაქვემდებარებული და ადვილი გადასაჭრელი.

ზონიერულ მიდგომას საჭიროებს სასუქების გამოყენებაც. კოლმეურნეობაში მინერალურ სასუქებს, როგორც წესი, იყენებენ ყოველგვარი მეცნიერულად დადგენილი ნორმებისა და აგროქიმიური კარტოგრამის გარეშე. ჩვენი სოფლის ნიადაგის გულდასმით შესწავლით დადგინდა, რომ 167 ჰექტარი ჩაის პლანტაცია მოითხოვდა კალიუმის სრულ დოზას, 66 ჰექტარი -- ნახევარ დოზას, 41 ჰექტარზე მის გამოყენებას მხოლოდ ზიანის მოტანა შეეძლო. ასეთივე სურათი იყო ციტრუსოვანთა პლანტაციებშიც: 14 ჰექტარზე კალიუმის სასუქი სრული დოზით უნდა შეეტანათ, 7 ჰექტარზე -- ნახევარი დოზით, ხოლო 7 ჰექტარზე სასუქები საჭირო არ იყო. ანალიზმა ფოსფორიან სასუქებზე უჩვენა, რომ ჩაის მასივების 174 ჰექტარი მიწა სასუქებს არ საჭიროებს, 31 ჰექტარზე უნდა მიეცათ სრული დოზა, ხოლო 67-ზე --

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი. ციტრუსოვან პლანტაციებზე მაჩვენებლები სათანადოდ ეფერ-
იდა 10,6 და 12 ჰექტარს (ალექსანდრა არობელიძე, შრომაშია სიუხვე
და შვება, თბ., 1964, გვ.28). ნაკვეთების ქიმიური შემადგენლობის სრუ-
ლი აგროქიმიური კარტოგრამა აადვილებს პლანტაციების მოვლას,
ზოგავს მინერალურ სასუქებს, ხელს უწყობს მოსავლიანობის ზრდას,
პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მუშახელის გამონ-
თავისუფლებას, ნიტრატების შემცველობის შემცირებას.

სამწუხაროდ, სოფელში ამ ნორმებს არავინ იცავს. კარტოგრამას არ
ადგენს, რითაც მოსახლეობა აუნაზღაურებელ ზარალს (ზიანსაც) ღებულობს.
ფუნქციონირება შეწყვიტა 60-იანი წლების ბოლოს დაარსებულმა აგროქიმ-
ლაბორატორიამ (გამგე დ.ჟღენტი), რომელსაც უნდა შეედგინა აგროქიმი-
ური კარტოგრამა, დაედგინა მინერალური სასუქების ნორმები, რძის ცხიმ-
იანობა, ხეხილის შაქრიანობა, ჩაის ბიოქიმიური მაჩვენებლები. ხელსაწყ-
ოების უქონლობის გამო ამ ფუნქციებს იგი ფაქტიურად იმთავითვე ვერ
ასრულებდა (ოსა, ფ.61, ს.188, ფურც.12-13). შესანიშნავ ჩანაფიქრს განხორ-
ციელება არ ეწერა.

აგროქიმიური ნორმების დაუცველობამ, რაოდენობრივი
მაჩვენებლების გამოდევნებამ კულმინაციას 70-80-იანი წლების მიჯნაზე
მიაღწია. ომის შემდგომი პერიოდის 44 წლის (1945-1989 წლები) გან-
მავლობაში ჩაის ფართობი 196 ჰექტრიდან გაიზარდა 292 ჰექტრამდე,
მატებამ შეადგინა 100 ჰექტარზე ოდნავ ნაკლები, ანუ მთელი ფართო-
ბის თითქმის მესამედი, ხოლო ნედლეულის მოკრეფა 4222 ცენტნერი-
დან გაიზარდა 25 856 ცენტნერამდე, ე.ი. ხუთნახევარჯერ და უფრო
მეტჯერ. საჰექტარო მოსავლიანობა სათანადოდ გაიზარდა 2724 კი-
ლოგრამიდან 11 340 კილოგრამამდე, ანუ ოთხჯერ და უფრო მეტად.

მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიკვეთა 1978-1980 წლებ-
ში. კერძოდ, 1978 წელს თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიკრიფა
7680 კგ, ხოლო 1980 წელს -- 9100 კგ. მატებამ შეადგინა 1520 კგ. ასე-
თივე ტემპით იზრდებოდა ჩაის ფოთლის კრეფა მომდევნო წლებშიც.
1989 წლისათვის ერთი ჰექტრის მოსავალმა 11 ათას კგ-ს გადააჭარბა,
ჩაის კრეფის მკვეთრი ზრდის დინამიკა ამავე დროს არის ჩაის ხარისხის
გაუარესების თავისებური სარეკორდო მაჩვენებელიც. სოფლის
მშრომელებს ამაში ბრალი არ მიუძღვით, რადგან საკავშირო მთავრო-
ბის მიერ უზომოდ გაბერილი გეგმების შესრულება მხოლოდ პროდუ-
ქციის ხარისხის გაუარესებით შეიძლებოდა. მოსახლეობა შეეგუა ამ
პროცესში მონაწილობას, თითქოს ვერც ამჩნევდა რა ხდებოდა. მთა-
ვარი იყო, რომ იზრდებოდა კოლმეურნეობის შემოსავალი და
კოლმეურნეთა ხელფასი, მატერიალური დაინტერესება. მაგრამ, ბლეხის
შრომა უფრო იოლი არ გამხდარა. პირიქით, უხეში ფოთლების კრეფა
მეტ ენერგიას ითხოვს. საერთოდ, ჩაის კრეფა დიდ ფიზიკურ დაძაბუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობასთან არის დაკავშირებული და მეჩაიეები უფრო მეტ დაფასებასა და პატივისცემას იმსახურებენ. სოფლის ეკონომიკის დღევანდელი დონე წარმოუდგენელი იქნებოდა მათი გარჯისა და თავდადების, დარგის განვითარებიდან მიღებული შემოსავლის გარეშე. თითოეული მოწინავე მეჩაიე, სოფლისადმი მისი ამაგის მიხედვით, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ჩვენ ამჯერად დავკმაყოფილდებით ნაშრომის ბოლოს მათი სიების დართვით. აქვე შევნიშნავთ, რომ ქვემომოტანილი სიები შესაძლებელია სრული არ იყოს, დოკუმენტებში მათი გვარების მოუხსენებლობის გამო. სათანადო წყაროების მოშველიებით დადგინდა, რომ სხვადასხვა პერიოდში ჩაის კრეფაში თავი ისახელა და გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულა ასობით ადამიანმა, კოლმეურნე ქალების უმრავლესობამ (ზოგიერთი მათგანის შესახებ მითითებულია ტექსტში).

დაძაბული შრომის შედეგად მეჩაიეობა კოლმეურნეობის შემოსავლის მთავარ წყაროდ იქცა. 1989 წელს შემოსავლის (3754 ათასი მანეთი) 76,4 პროცენტი (2869 ათასი) მეჩაიეობაზე მოდიოდა (კოლმეურნეობის მიმდინარე არქივი, გამგეობის ანგარიში, გვ.5). მეჩაიეების შრომის პირობების გაუმჯობესება, მცირე მექანიზაციის დანერგვა, მათი მატერიალური დაინტერესების გაუმჯობესება, კერძო ინიციატივის წახალისება, სოფლის ეკონომიკური დაწინაურების, ოჯახების კეთილდღეობის ამაღლების საწინდარია.

მ ე ს ი მ ი ნ დ ე ო ბ ა

გურიანთაში მესიმინდეობა XVII საუკუნიდან ინერგება და დროთა განმავლობაში კვების ერთ-ერთ მთავარ პროდუქტად იქცა. მისი განვითარებისათვის ყურადღება არც გასაბჭოების შემდეგ შენელებულა. იკაფებოდა ბუჩქნარები და ტყეები, იზრდებოდა ნათესი ფართობი, მოსავალიც კარგი მოჰყავდათ. სიმინდი ითვლებოდა მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად. ყოფილ მოჯამაგირეებსა და სხვა ღარიბებს პირველ რიგში სწორედ სიმინდს გამოუყოფდნენ. მათ სოფელ კახურში უფასოდ გადაეცათ 49 ფუთი სათესლე სიმინდი, ახალსოფელში -- 33, ბაილეთში -- 16, ციხისფერდში -- 31, თედორეთში -- 5 ფუთი (ოსა, ფ.1, ს.136, ფურც.14). გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხები მაშინ თითოეულ კგ მარცვალს დიდ საჩუქრად აღიქვამდნენ. სიმცირის მიუხედავად, ნაბოძები სიმინდი ნერგავდა ოპტიმიზმს, მადლობის გრძნობას აღუძრავდა ხელისუფლების მიმართ, ხელს უწყობდა მესიმინდეობის განვითარებას.

ომის შემდგომ პერიოდში სოფლების პურით მომარაგების გაუმჯობესებამ სიმინდისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება ნაწილობრივ შეცვალა. სულ უფრო იმატა ყანის დამუშავების აგროწესების დარღვევებმა, იკლო მოსავალმა. 1950 წელს ჰექტარზე, გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად, მიიღეს 10 ცენტნერი (ოსა, ფ.64, ს.50, ფურც.2), მომდევნო წელს ნაცვლად 21 ცენტნერისა -- 9,5 ცენტნერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალი მოსავლიანობის ძირითადი მიზეზი ყანების დაუმუშავებლობა იყო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობის გეგმიდან ჯერ კიდევ ამოგდებული არ იყო ღომის მარცვლის წარმოება. დათესეს ორი ჰექტარი, მოსავალი მიიღეს 16 ცენტნერი, ჰექტარზე -- 8 ცენტნერი, ე.ი. თითქმის იმდენი, რამდენიც სიმინდისა (იქვე, ს.57, ფურც.8).

1950 წელი გურიანთის კოლმეურნეობისათვის ძნელი წელი იყო. ვერ შეასრულეს სახელმწიფო გეგმები, დიდი გარღვევები ჰქონდათ ფინანსებში. შემოსავალმა ნაცვლად გათვალისწინებული 4 529 170 მანეთისა, შეადგინა 494 097 მანეთი, საწარმოო ხარჯებმა -- 104 296 მანეთი (იქვე). გაითვალისწინა რა კოლმეურნეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომმა მას გამოუყო 60 ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხი (იქვე, ფურც.6).ასეთმა პრაქტიკამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მთელ რესპუბლიკაში, რასაც დადებით ეფექტთან ერთად უარყოფითი მხარეც ჰქონდა, რადგან ნერგავდა "სხვისი შემყურის" ტენდენციას, ქმნიდა "დახმარებისა და ლოდინის" ფსიქოლოგიას, რასაც ბევრი კოლმეურნეობა ხშირად ბოროტად იყენებდა (გურიანთას ასეთ დახმარებას იშვიათად უწევდნენ). სიმინდისადმი ყურადღების შენელება მოსახლეობაში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. მისი მოსავლიანობის შემცირება საფრთხეს უქადდა ტრადიციული კვების პროდუქტის წარმოებას. მოსავლის შემცირების დინამიკა ასეთ სურათს იძლევა: 1980 წლამდე ყველაზე მაღალმოსავლიან წელს ერთ ჰექტარზე მოჰყავდათ 25-26 ცენტნერი (გურიანთის კოლმეურნეობის ბუხჰალტერიის სტატისტიკური მასალები). აღსანიშნავია, რომ მოსავლის შედარებითი სტაბილური მაჩვენებლები შეინიშნება 1982 წლიდან. ამიერიდან საჰექტრო მოსავალი 30 ცენტნერზე დაბლა არ დაცემულა. აღრეული წლების მონაცემები კი კატასტროფულად მცირე იყო. მაგალითად, 1952 წელს ერთ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანეს 7,1 ცენტნერი, 1958 წელს -- 12, 1968 წელს -- 13,5, 1976 წელს -- 15,3, 1978 წელს -- 16 ცენტნერი. 1939-1978 წლებში, ე.ი. 40 წლის მანძილზე საუკეთესო მაჩვენებლად 22,1 ცენტნერი ითვლებოდა, რაც "მესიმინდეობის ქვეყნისათვის" უაღრესად დაბალ მონაცემად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამან განაპირობა წლების განმავლობაში სიმინდის, განსაკუთრებით საფურაქე მარცვლეულის, ნაკლებობა, მეცხოველეობის ჩამორჩენა.

სიმინდის მთელი მოსავალი წლების მიხედვით 1551 ცენტნერიდან (1952 წელი) მერყეობდა 4762 ცენტნერამდე (1986 წელი).მკვეთრად შემცირდა ნათესი ფართობიც. 235 ჰექტრიდან 1947 წელს, შემცირდა 130 ჰექტრამდე 1963 წელს და 109 ჰექტრამდე 1980 წელს. 70-იანი წლების მეორე ნახევარში ნათეს ფართობს 160 ჰექტრისათვის არ გადაუჭარბებია, ხოლო 80-იან წლებში 143 ჰექტრისათვის (იქვე). ნათესი ფართობის მკვეთრი შემცირება განაპირობა სოფლის მეურნეობის სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურების განვითარებამ, "ლეკიანის" მიწის მასივების შემცირებამ, სოფლიდან ახალგაზრდობის მიგრაციამ,ტექნიკის ნაკლებობამ. სიმინდის ფართობის შემცირებით გურიანთას რაიონის საშუალო მონაცემებზე (15 პროცენტი) უარესი მაჩვენებელი (27 პროცენტი) ჰქონდა, თუმცა სიმინდის მოსავალმა იმატა.

ნათესი ფართობის შემცირების პირობებში მოსავლის საგრძნობი მატება შესაძლებელი გახდა კოლმეურნეებზე ნაკვეთების გაპიროვნებით და უკეთ დამუშავებით, სასუქის რაციონალურად გამოყენებით. მოსავლის ზრდით გლეხები კმაყოფილი იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ დაინტერესებულა პროდუქტში ნიტრატის შემცველობით. გლეხი უკვე შეეჩვია, რომ უნიტრატო სიმინდი თავისთვისაც კი არ მოიყვანოს. რადიკალური ცვლილებები არ მომხდარა არც მიწის დამუშავებაში. კვლავ ჭარბობდა ფიზიკური შრომა. სოფელს დღემდე არა აქვს მანქანები, რომლებიც სიმინდის მოვლა-დამუშავების მთელ ციკლს შეასრულებს. მძიმე, მომქანცველ შრომაში თავი ისახელა არაერთმა კოლმეურნემ (იხილე დანართი), რომელთა ბეჯითი შრომა უზრუნველყოფდა გეგმების შესრულებასა და სოფლის მოსახლეობის მომარაგებას პროდუქტიული და საფურაქე სიმინდით.

მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა

საქართველოში მეცხოველეობა ოდითგანვე მომგებიანი დარგი იყო და პირუტყვიც ბევრი ჰყავდათ. ამ დარგის დაცემა დაიწყო კოლექტივიზაციის პერიოდში. საქართველოს სოფელზე დამღუპველი გავლენა მოახდინა მიწებისა და ცხოველების ჩამორთმევის შეუქცევადმა პროცესმა.ხელისუფლება მოითხოვდა მკაცრად დაეცვათ პარტიის პოლიტიკა, დაეჩქარებინათ პირუტყვის ჩამორთმევა. ამ მიზნით საქართველოს კპ-ის ცენტრალურმა კომიტეტმა რაიონებში თავისი რწმუნებულები მიამაგრა. ოზურგეთში მივლინებული ჩინოვნიკი გურიანთასაც ეახლა. მისი "გამოკვლევით" 77 ოჯახს ჰყავდა საკოლმეურნეო წესდებით გათვალისწინებულ ნორმაზე "მეტი" ძროხა. მან ანგარიში არ გაუწია, რომ მრავალძროხიანი ოჯახები მაშინ სოფელში ცოტანი იყვნენ. ოთხი ძროხა ჰყავდა ერთ კომლს, სამი -- 8-ს, სამ ოჯახს -- ორნახევარი (საზიაროს ჩათვლით), 65 ოჯახს 2-2 ძროხა ("საქართველოს კოლექტივიზაციის ისტორია", გვ.634). სოფლად მივლინებული ჩინოვნიკი მაჩვენებლებს აზვიადებს და აღშფოთებასაც გამოთქვამს პირად საკუთრებაში პირუტყვის სიმრავლის გამო. ჩვენი დაკვირვებით, პირიქით, მონაცემები დაბალია. 578 კომლიდან მხოლოდ 77 ოჯახს ჰყავდა ორი და მეტი ძროხა. არასრული მონაცემებით, არცერთი ძროხა არ ჰყავდა 74 კომლს. 76-მა ოჯახმა ღორის მოშენებაც ვერ შესძლო, ხოლო 16-ს არავითარი პირუტყვი არ ჰყოლია. გამოდის, რომ სოფლის მცხოვრებთა აბსოლუტურ უმრავლესობას -- 427-ს ერთი ძროხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყავდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მაშინდელ ოჯახებში შვილების სიმრავლე შეინიშნებოდა, გასაგებია, თუ როგორ უჭირდათ ადამიანებს. ეს მით უფრო ხაზგასასმელია, რომ სოფელი ცენტრალიზებული წესით პროდუქტებით არ მარაგდებოდა. პირიქით, მას უნდა ერჩინა ქალაქი, წარმოებაში დასაქმებული ადამიანები.

ადვილი წარმოსადგენია იმათი სასოწარკვეთილება, რომელთაც პირუტყვი არ ჰყავდათ და ჩვილი ბავშვების გამოკვება არ შეეძლოთ. ასეთ პირობებში გამაღიზიანებლად გაისმოდა რაიკომიდან სოფლად მოვლენილი რწმუნებულის წუხილი წვრილფეხა ცხოველების (ღორი, თხა) სიმრავლის, ნორმით გათვალისწინებულზე "მეტის" ყოლის გამო. მისივე აზრით, სოფელში მესაკუთრეთა მიმართ შეინიშნებოდა გაუმართლებელი ლიბერალიზმი, დანაშაულებრივი შემწყნარებლობა, წვრილფეხა ცხოველების აღრიცხვისადმი სოფლის საბჭოს უპასუხისმგებლობა. მოვლენილი "რევიზორის" განკარგულებით უნდა ეწარმოებინათ მკაცრი აღრიცხვა, დაეძლიათ "წვრილბურჟუაზიული ტენდენციები", მოურიდებლად ჩამოერთვათ ნებისმიერი "ზედმეტი" პირუტყვი, არ დაეშვათ საბჭოთა კანონიერებიდან რაიმე გადახრა, გამონაკლისი თუ შეღავათი.

მართლაც, ჩამორთმეული პირუტყვისაგან სახელდახელოდ მოაწყვეს სამი ფერმა, ერთში გააერთიანეს 104 მსხვილფეხა რქოსანი ცხოველი, მათ შორის 44 მეწველი ძროხა, მეორეში -- 95 კამეჩი, მათ შორის 78 ფური, მესამეში -- 37 ღორი (4 დედაღორი). მთელს მაზრაში გამოირჩეოდა გურიანთის მეკამეჩეობის ფერმა.სხვა მონაცემებით 1936 წელს გურიანთის მსხვილფეხა საქონლის ორთავე ფერმაში ჰყოლიათ 291 პირუტყვი, მათ შორის კამეჩი -- 120 (ოსა, ფ.35, ს.13, ფურც.8). როგორც ჩანს, მაშინ აქ მეკამეჩეობის განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობოდა (თუმცა ფერმებში მატება ძირითადად ჩამორთმეული პირუტყვის ხარჯზე მოდიოდა). ამავე პერიოდში კოლმეურნეობის გამწევმა ძალამაც სარეკორდო ციფრს -- 425-ს მიაღწია. მომდევნო პერიოდში მათი რაოდენობა თანდათან მცირდებოდა. კატასტროფულად დაეცა კამეჩების რიცხვი. ინდივიდუალურმა მეურნეებმა ჩამორთმევის შიშით მის მოშენებაზე ხელი აიღეს, ხოლო კოლმეურნეობამ ვერ უზრუნველყო კამეჩის სათანადო მოვლა-პატრონობა, რამაც განაპირობა ამ შეუცვლელი პირუტყვის თითქმის გადაშენება.

ნიშანდობლივია, რომ იმავე წელს (1936) ოზურგეთის მაზრის 34 ფერმიდან, სამი გურიანთაზე მოდიოდა. შედარებით მაღალი იყო წველადობა. 1933 წლის მონაცემებით თითოეული ძროხისაგან ღებულობდნენ 2600 ლიტრ რძეს ("საქართველოს კოლექტივიზაციის ისტორია", გვ.22,633), რაც გურიანთის პირობებში ცუდი მაჩვენებელი როდი იყო, მაგრამ სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ მოკლებული იყო რძის ნაწარმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი და მეტი ძროხის აკრძალვამ დააკანონა სიღარიბე, გაჩენილ-ვა დასმენა. ასეთ პირობებში მესაქონლეობის ფერმების მაჩვენებლების ზრდის პროპაგანდას მასების ყურადღება გადაჰქონდა კოლექტიური მეურნეობის უპირატესობისა და კერძო საკუთრების დრომოჭმულობის დასაბუთებაზე. ამის შედეგები ახლა საყოველთაოდ ცნობილია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უღარიბესი გლეხების ნაწილს ძროხის შესაძენად ეძლეოდა გარკვეული თანხები. მაგალითად, 1929 წელს 100-100 მანეთი გადაეცათ დომენტი მალაზონიას, თედო მჟავიას, ბარნაბ დარჩიას, ოლიფანტე მეხუზლას. 50-50 მანეთი მიიღეს: პორფილე დობორჯგინიძემ, ბარნაბ ჭეიშვილმა, დიმიტრი მამულაიშვილმა, შალვა ტოტოჩავამ, იაკინთე კვერღელიძემ, ლავროსი კვაჭანტირაძემ, თალიკო თუთაიშვილმა, იასონ ტოტოჩავამ, ელპიტე დარჩიამ, ალექსი მამულაიშვილმა (ოსა, ფ.1, ს.234, ფურც. 5). მაშინდელი "უფულობის" პირობებში ეს თანხა ცოტა როდი იყო.

გურიანთის გლეხები სხვადასხვა დახმარებას ადრეც ღებულობდნენ. კერძოდ, 1927 წელს სახელმწიფო დაზღვევისაგან გაანთავისუფლეს 41 კაცი. უღარიბეს გლეხობას გადაეცა, აგრეთვე, 300 მანეთი, რომლითაც პირუტყვი უნდა შეეძინათ. ამავე მიზნით 50-50 მანეთი მიიღეს სიმონ კვაჭაძემ, პატკუ მურუსიძემ, ნიკიფორე ღლონტმა, მელიტონ მეგრელიშვილმა, საშიკო გირკელიძემ, იესე დარჩიამ (ოსა, ფ.1, ს.136, ფურც. 10-11,20,26). უღარიბეს გლეხობას უნაწილებდნენ ხორბალსაც, რაც ძირითადად მეცხოველეობის განვითარებისთვისაც მოიხმარებოდა.

აღსანიშნავია, რომ 20-30-იან წლებში სოფლებს გარკვეულ დახმარებას უწევდნენ შეფები. 1930 წელს გურიანთის კოლმეურნეობის პირველი შეფი იყო ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკა, რომლის დახმარებითაც აქ შეიძინეს პლანტაციის სასხლავი კულტივატორები და მაკრატლები. სოფლის უღარიბეს გლეხობას დახმარებას უწევდა, აგრეთვე, ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობა, რომელმაც 1929 წელს გურიანთას გამოუყო 75 000 მანეთი და 300 ფუთი სათესლე ჭვავი, 100 ფუთი ხორბალი, აქედან სოფ. კახურს გადაეცა 75 ფუთი ჭვავი და 25 ფუთი ხორბალი, ციხისფერდს სათანადოდ 60 და 25 ფუთი (იქვე, ფურც.15,20). თავისი წილი მიიღეს ბაილეთმა, ახალსოფელმა, ჭანიეთურმა, თედორეთმა, გურიანთის ახალგაზრდულმა სკოლამ და თემის ამხანაგობებმა: "წინსვლამ", "ძმობამ", "განათლებამ", "ნადმა", "იმედმა", "შენებამ", "არტელმა", "წითელმა სხივმა". ჩამონათვალით ირკვევა, რომ მაშინ გურიანთის თემში არსებობდა 8 ამხანაგობა, რომლებმაც არსებობა შეწყვიტეს მასობრივი კოლექტივიზაციის დამთავრების პერიოდში. დოკუმენტი იმითაც არის საინტერესო, რომ გურიანთაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ თესავდნენ ხორბალსა და ჭვავს.

სოფელში კარგად ესმოდათ, რომ მარცვლეულის კულტურის განვითარება მეცხოველეობის აღორძინებისათვის თავისებური ბიძგი იქნებოდა, მაგრამ, აქ საგულდაგულოდ იცავდნენ პირუტყვის რაოდენობის მკაცრად დადგენილ ნორმებს, რაც ამ დარგის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. დამახასიათებელია, რომ 1939 წლის 31 იანვარს გურიანთის თემის პარტორგანიზაციის კრებამ "ელვის სისწრაფით" განიხილა წინა დღით მახარაძის პარტრაიკომის ბიუროს მიერ მიღებული დადგენილება -- "კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში პირუტყვის ყოლის ნორმების დარღვევის გამოსწორების შესახებ". კრების დადგენილებით კომლს შეიძლებოდა ჰყოლოდა არაუმეტეს ერთი ძროხისა და სამ წლამდე ორი ნამატისა. დანარჩენი პირუტყვი სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ ხორცის დამზადების ფასებში. ჩამორთმეულ საქონელს კი ფერმებში ერეკებოდნენ, სადაც არ ჰქონდათ მისი მოვლის ელემენტარული პირობები. ამასთან, სოფლის საბჭო, პარტიული ბიურო და კოლმეურნეობის გამგეობა საგანგებო ზომებს ღებულობდნენ, რათა არ დაეშვათ პირუტყვის გაყიდვა-გასხვისება (სპა, ფ.2341, ს.6, ფურც.74). ამას იმავე წელს მოჰყვა გლეხობისაგან 55 მსხვილფეხა საქონლის ჩამორთმევა (იქვე, ს.22, ფურც.21). შემდეგში პირუტყვის ჩამორთმევას პერმანენტული (განუწყვეტელი) ხასიათი მიეცა, რითაც მოსახლეობას დროდადრო შეახსენებდნენ, არ გაებედათ ჰყოლოდათ "ზედმეტი" საქონელი. პირუტყვის ჩამორთმევა ატარებდა "ცელისებურ" ხასიათს. როგორც კი ნამატი წამოიზრდებოდა, "ცელი" მყისვე ამოქმედდებოდა და მას "თავს წააცლიდა". ასე ტლანქად ითრგუნებოდა გლეხის საუკუნეობრივი მისწრაფება ყველაფერი ეღონა პირუტყვის შეძენა-გამრავლებისათვის, ოჯახში სიუხვისა და ბარაქის დაგროვებისათვის, მაშინ მოქმედი ეს ულმობელი კანონი ბოჭავდა და კლავდა გლეხის ყოველგვარ ინიციატივას.

"წვრილბურჟუაზიულ ტენდენციად" მიიჩნევდნენ მუშაპირუტყვის გლეხის სურვილისამებრ გამოყენებასაც. არ ითვალისწინებდნენ, რომ ყოფილ მეპატრონეებს გამწევი ძალა ჰყავდათ სახლებში და არა საკოლმეურნეო ფერმებში, როგორც ეს წესდებით იყო გათვალისწინებული (არ ჰქონდათ ცხოველების მოვლა-პატრონობის ელემენტარული პირობები). საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ მეზობლებს უკრძალავდნენ ნადში ხარებით მიხმარებას. ასე დაჰგმეს ა.თოიძის, გრ.კვაჭაძის, ტ.ზაქარიაძისა და აპ.კვაჭაძის მოქმედება, რომელთაც ბრალად წაუყენეს მუშა საქონლით სარგებლობის წესის დარღვევა (ოსა, ფ.61, ს.9, ფურც.13). სინამდვილეში მათ საყვედურები არ დაუმსახურებიათ, რადგან ნადში მონაწილეობას ქართველი კაცი მუდამ მიიჩნევდა მეზობლებსა და ნათესავებს შორის ურთიერთპატივისცემის განმტკიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ერთ-ერთ საშუალებად, ისტორიულად დამკვიდრებული ტრადიციე-ბის ერთგულებად.

გაუმართლებელი, უკანონო მოქმედების მაგალითია გურიანთის კოლმეურნეობის საერთო კრების 1939 წლის 7 თებერვლის გადაწ-ყვეტილება ნესტორ ჭეფხოძის და ვლადიმერ ქათამიძისათვის მეწვე-ლი ძროხის ჩამორთმევის შესახებ. ცინიკურად ჟღერს დადგენილების ფორმულირება -- "ძროხები დროებით (25 დღე) დაუტოვეს მეპა-ტრონეებს, რადგან ყავთ ავადმყოფი ბავშვები, აქვთ მძიმე ოჯახური პირობები" (იქვე, ს.6, ფურც.4). ეს იყო ადამიანის შემწყნარებლობად გასაღებული ჩვეულებრივი გულქვაობა. "შენივე ძროხას სამიოდე კვირ-ით გიტოვებ, მადლობა გადამიხადეო" -- ასეთი იყო ხელისუფლების მოქმედების ლოგიკა, რომელიც, თავის მხრივ, "ზემოდან" კარნახით ტარდებოდა და ადგილზე ზოგჯერ, "გულისტკივილით" (ხალისითაც) სრულდებოდა.

დამახასიათებელია ისიც, რომ პირუტყვის ჩამორთმევის ცერემო-ნიალი შესრულდა წარმოუდგენელი ცინიზმით. ძროხები აწონეს და მეპატრონეები გააფრთხილეს დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ჩაბარების მომენტისათვის, პირუტყვს წონაში არ უნდა დაეკლოთ. ადამიანებისადმი ასეთი დამოკიდებულება ზუსტად განსაზღვრავდა სოფლად მაშინ დატრიალებულ ტრაგედიას. არც ის იყო შემთხვევითი, რომ კოლმეურნეობის გამგეობის საგანგებო სხდომამ (1939 წლის 17 თებერვალი) მოისმინა საკითხი -- "ზედმეტი პირუტყვის კოლმეურნეო-ბისათვის ჩაბარების შესახებ". მართლაც, გლეხებს ჩამოერთვათ 57 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, უპირატესად მეწველი ძროხე-ბი. იმ კოლმეურნეთა საკითხი (შალიკო ტუღუში, მაშო კვაჭაძე), რომ-ლებმაც არ შეასრულეს გამგეობის დადგენილება, განიხილა კოლმეურ-ნეობის საერთო კრებამ (ოსა, ფ.61, ს.6, ფურც.5) და ისინი დასაჯა კიდეც. იყო ასეთი კურიოზიც: სიმონ ნესტორის ძე კვაჭაძისა და დათიკო სურ-გულაძის (სიმამრი და სიძე) ზიარი ძროხის გამო საერთო კრებაზე გაიმართა დისკუსია. კრების გადაწყვეტილებით (?!) დ.სურგულაძეს შეუნარჩუნეს თავისი კუთვნილი "ძროხის ნახევარი", ხოლო ს.კვაჭაძეს "ნახევარი ძროხის" ღირებულება გადაახდევინეს (იქვე).

მეცხოველეობისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ იგი საქართველო-ში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ და წამგებიან დარგად აქცია. შე-ქმნილ პარადოქსულ სიტუაციაში ხორცის დამზადებაში სახელმწიფო მეტს იხდიდა, ვიდრე მას სარეალიზაციო ფასს აღებდა. ასევე ძვირი ჯდებოდა რძის წარმოება. მისი თვითღირებულება 2-3-ჯერ სჭარბობ-და სახელმწიფო შესყიდვის ფასს. უზარმაზარი რესურსების დაბანდებ-ით, წინასწარ შეგნებულად მიდიოდნენ ზარალიანი დარგის განვითარე-ბაზე. ამას ემატებოდა პრობლემისადმი სუბიექტური მიდგომა, სახელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფო დიქტატი, ზემოდან დაშვებული სულ უფრო მზარდი გეგმები, რომლებიც ხშირად არ ითვალისწინებდა მეურნეობათა შესაძლებლობებს. თავს მოხვეული გეგმები მძიმე ტვირთად აწვა გურიანთის კოლმეურნეობასაც. სიძნელეთა დაძლევა ხდებოდა სხვა დარგის, ძირითადად მეჩაიეობის ხარჯზე, მაგრამ საბოლოო ჯამში "ზეწოლა" გავლენას ახდენდა კოლმეურნეთა შემოსავალზე, სოციალურ პირობებზე, სოფლის კეთილდღეობაზე.

მეცხოველეობის განვითარების ურთულეს პირობებზე მეტყველებს ამ დარგის განვითარებაზე დახარჯული შრომის ხვედრითი წილი. 1960 წელს რაიონის კოლმეურნეობებში იგი საშუალოდ აღწევდა მთელი დახარჯული შრომის 19 %-ს, ხოლო გურიანთაში -- 19,5 პროცენტს. მიუხედავად ამისა, აქ არ შეუწყვეტიათ მისი განვითარება, ძვირადღირებული პროდუქციის წარმოება. სიძვირეს მეტწილად განაპირობებდა უხეში საკვების 59 პროცენტისა და წვნიანი საკვების 65 პროცენტის გარედან შემოტანა. მიუხედავად ამისა, მეცხოველეობა აქ ერთ-ერთ წამყვან დარგად ითვლებოდა. 1949 წელს კოლმეურნეობას ჰყავდა მსხვილფეხა საქონელი -- 420, მათ შორის მუშა-ხარი -- 246, ძროხა -- 63, კამეჩი -- 7, ღორი -- 28. მოქმედებდა აგრეთვე მექათმეობის ფერმა (ოსა, ფ.61, ს.44, ფურც.45). 1951 წელს პირუტყვის რაოდენობამ მიაღწია 479-ს, მათ შორის ძროხისა -- 100-ს, ხარისა -- 236-ს, კამეჩისა -- 15-ს, ცხენისა -- 45-ს, ღორისა -- 86-ს, თხისა -- 23-ს, ყველა სახის ფრინველისა -- 459-ს, მათ შორის ინდაურისა -- 20-ს. 1952 წელს ძროხის რაოდენობა გაიზარდა 250-მდე, ნამატისა -- 168-მდე, ღორისა -- 374-მდე (იქვე, ფ.35, ს.57, ფურც.10; ს.107, ფურც.1).

აღსანიშნავია, რომ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეინიშნებოდა პირუტყვის შემცირების ტენდენცია. 1962 წლისათვის მსხვილფეხა პირუტყვი 490-დან შემცირდა 389-მდე. მეწველი ძროხა -- 103-დან 100-მდე, ცხენი 152-დან 60-მდე (ე.ზაქარიაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.118). მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი იყო ადგილობრივი ჯიშის საქონლის შეცვლა რუსეთის რაიონებიდან შემოყვანილი პირუტყვით. ასეთი მიდრეკილება თავისებურ "დაავადებად" იქცა. ამ სენს გურიანთაც ვერ ასცდა. ასეთი პირუტყვი, სრულიად სხვა კლიმატურ და კვების პირობებში, კოლმეურნეობას მხოლოდ ზარალს აყენებდა.

ცხენის სულადობის მკვეთრი შემცირების ახსნა მხოლოდ იმით თუ შეიძლება, რომ ნაადრევად მიიჩნიეს სამუშაოთა სრული მექანიზაციის მალე დასრულების გარდუვალობა. მაგრამ, პროცესი სხვაგვარად განვითარდა, ცოცხალი გამწევი ძალის საჭიროება კი დღესაც რჩება (შეიძლება უფრო მეტად, ვიდრე ადრე).

მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, პირუტყვისა და ფრინველების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობრივი მაჩვენებლებით კოლმეურნეობა ცუდად როდი გამ-ოიყურებოდა, მაგრამ უაღრესად დაბალი იყო პროდუქტიულობის მონაცემები. მაგალითად, 1948 წლის ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 210 ლიტრი რძე (იქვე, ფ.61, ს.41, ფურც.32). თითქმის იგივე მაჩვენებლები (337) ჰქონდათ 1951 წელსაც. ეს ხომ საშუალოდ დღეში ერთ ლიტრზე ნაკლებია. მეურნე გლეხი მეტ რძეს თხისაგან ღებულობდა. ასეთ პირობებშიც კი სახელმწიფო "თავისას ინაღდებდა", რძესა და რძის პროდუქტებს შეუფერხებლად ღებულობდა. კიდევ მეტი, ტრადიციად იქცა გეგმების გადაჭარბებით შესრულება, რაც მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა. მაგალითად, 1960 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 12 ტონა ხორცი, ნაცვლად 10 ტონისა, 38 ტონა რძე, რვა ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო განსაზღვრული (ოსა, ფ.61, ს.93, ფურც.15). გადაჭარბებით ბარდებოდა სხვა პროდუქტებიც: კვერცხი, ბოსტნეული, სიმინდი, სოია და სხვა. ამ პროდუქტების სოფელში მოხმარება გააუმჯობესებდა კოლმეურნეთა მატერიალურ პირობებს, გახდებოდა მეცხოველეობის განვითარების სტიმული. მაგრამ ასე არ მოხდა. ამის მთავარი მიზეზი იყო სახელმწიფო გეგმების უზენაესობა, გეგმა-კანონის გაფეტიშება, გეგმების შესრულების მიხედვით სოფლის ხელმძღვანელთა მოღვაწეობის შეფასება. ასეთ, საერთო ტენდენციების პირობებში გურიანთა ახერხებდა ყოფილიყო მოწინავე.

60-იან წლებში გურიანთა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ბელიქანიძე) იქცა თავისებურ სარეგიონათაშორისო საცდელ მეურნეობად. მართლაც, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 ივლისისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 19 ივლისის დადგენილებით გურიანთაში შეიქმნა რაიონის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა. ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული მეურნეობა, რომლის 7 საშტატო ერთეული გადაეცა გურიანთას (ოსა, ფ.61, ს.102, ფურც.1). სასოფლო-სამეურნეო დარგების მიხედვით, უფროს აგრონომებად დაამტკიცეს დომენტი მჟავია, ტარასი ზაქარიაძე, ილია თალაკვაძე, სამშე ჩხაიძე, უფროს ინჟინრად — ოთარ აბაშმაძე. ასეთი სტრუქტურული ცვლილებების გამო მახარაძის რაიაღმასკომის 1961 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით კოლმეურნეობასთან შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო (თავმჯდომარე პ. ბელიქანიძე) 41 კაცის შემადგენლობით. მათ შორის იყვნენ ოზურგეთის პარტრაიკომის მდივანი კ.სამსონია, რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ზ.დუმბაძე, გაზეთ "ლენინის დროშის" რედაქტორი ვ.ჯაყელი, სოფლტექნიკის განყოფილების გამგე ი.გამყრელიძე, ლაითურის, ნასაკირალის, ნარუჯის მეურნეობის დირექტორები, ნატანების, მერიის, ჯუმათის, კონჭკათის, ძიმითის, მელექედურის, შემოქმედის, ბაღდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის, ასკანის, ბახვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები. ასეთი წარ-მომადგენელობა საბჭოს ანიჭებდა გრანდიოზულობის იერს, გან-საზღვრავდა დასმული ამოცანების მასშტაბურობას და გურიანთის თავკაცებისაგან მოითხოვდა უნარისა და ენერგიის, ორგანიზაციული ნიჭის, სიახლის გრძნობის მაქსიმალურ გამოვლენას.

მართლაც, 1962 წელს რძის წარმოება 1953 წელთან შედარებით გაიზარდა 3-ჯერ, ხორცისა -- 2-ჯერ. საცდელ მუშაობაში ჩაერთო საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის კვებისა და ტე-ქნოლოგიის განყოფილების მეცნიერ-- მუშაკები (ხელმძღვანელი ფ.კვაშალი). წამოწყებულ საქმეს საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობა მიენიჭა.

მეცხოველეობაში დაინერგა პროგრესული მეთოდი. სინთეზური შარდოვანას კვებაზე დააყენეს ცხოველების საცდელი და საკონტრო-ლო ჯგუფები 20-20 ძროხის რაოდენობით. ორთავე ჯგუფში გაერ-თიანებულ პირუტყვებს კვებავდნენ ერთნაირად და აძლევდნენ ამო-ნიაკის წყალს. საცდელი ჯგუფის ცხოველებს დამატებით ეძლეოდათ მხოლოდ სინთეზური შარდოვანა. შედეგი საუკეთესო აღმოჩნდა. დღე-ღამეში თითოეულ ძროხაზე რძის მატებამ შეადგინა 0,7 ლიტრი, ხოლო საკონტროლო ჯგუფის ძროხაზე -- 0,4 ლიტრი.

ცდები ჩატარდა აგრეთვე ჩაის კოფეინის ნარჩენების გამოყენებით (მეცნიერ-- მუშაკი ა.ლეონიძე). ექსპერიმენტთა ავტორების მტკიცებით შედეგები ამჯერადაც კარგი იყო. მაგრამ, დასანანია, რომ მომდევნო წლებში ექსპერიმენტები შეწყდა და დასკვნებისა და რეკომენდაციებ-ისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მოსახლეობას შეექმნა შთაბე-ჭდილება, რომ ახალმა წამოწყებამ მარცხი განიცადა. ცდებსა და ექს-პერიმენტებს შეეწირა დიდი დრო და თანხები, ადამიანთა ენერგია, რომელიც შეიძლებოდა სხვა საქმეს მოხმარებოდა. გურიანთის საყრდენ-საჩვენებელმა მეურნეობამ თავისი როლი ვერ შეასრულა. ამაში პირველ რიგში "ზემდგომ" ორგანოებს მიუძღოდათ ბრალი. როგორც გამოირკვა, გადაწყვეტილება გამოიტანეს წინასწარი მო-მზადების, სპეციალისტების სათანადო დასკვნების გარეშე, ნაჩქარე-ვად, თავის გამოჩენის მიზნით. საბოლოოდ სოფელი დაზარალდა.

70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში სოფელ-ში აიტაცეს ლოზუნგი -- "სასურსათო პროგრამას შეუნელებელი ბრუნ-ვა", რაც ფაქტიურად მოასწავებდა დავალებათა შესრულებისათვის კოლმეურნეთა მაქსიმალურ მობილიზებას, სახელმწიფოსათვის მეტი რაოდენობის პროდუქციის ჩაბარებას, ამ მიზნით შეჯიბრების გაშლას. მაგრამ ფსიქოლოგიურად გლეხის ულმობელმა დათრგუნვამ ფეხი ისე გაიდგა, რომ შემდეგში სოფლის ხელმძღვანელთა არაერთმა ცდამ ყოველმხრივ განევითარებინათ მეცხოველეობა, კერძო ინიციატივამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1972 წლიდან გურიანთაში ძროხის შეძენის მსურველთა აძლევდნენ გრძელვადიან სესხებს) შედეგები არ გამოიღო. საქმეს არც 1981 წელს სოფლის მშრომელთა ყრილობის (დაესწრო 340 კაცი) მოწოდებამ -- "არცერთი ოჯახი მეწველი ძროხის გარეშე" -- უშველა (ოსა, ფ.35, ს.427, ფურც.112-113; ს.745, ფურც. 9-10). სოფელში კვლავ ბევრია უძროხო ოჯახი. ასეთ პირობებშიც კი ლაბორატორიის ყოფილი გამგის ლ.ჯანაშიას ოჯახმა სახელმწიფოს მიჰყიდა 30 კგ ყველი, 500 კგ ხორცი, 100 ცალი კვერცხი, ხოლო მომდევნო წელს 350 კგ ხორცი, 30 კგ ყველი, 200 ცალი კვერცხი (ოსა, ფ.61, ს.745, ფურც.4). მსგავსი ენთუზიასტი მაშინ სოფელში ცოტა როდი იყო. ამან განაპირობა სახელმწიფო გეგმების ზრდაც. 1979 წელს საკარმიდამო სექტორს სახელმწიფოსთვის უნდა ჩაებარებინა 39 ტონა ხორცი, ნაცვლად 21 ტონისა 1978 წელს (სპა, ფ.2341, ს.75, ფურც.44). უცნაური რამ ხდებოდა, იზრდებოდა ხორცის დამზადების გეგმა, აშკარად გამოიკვეთა ხორცის დამზადების "ქაღალდზე ზრდის", მაქინაციებისაკენ წაქეზების, მიწერების ტენდენცია, რომელთა შედეგები ახლა საყოველთაოდ არის ცნობილი.

ასეთ პირობებში ოზურგეთის რაიონმა უარი თქვა ხორცის სახელმწიფო დოტაციაზე, რაც ქმნიდა კოლმეურნეობებისათვის დამზადების გეგმის ზრდის ახალ საბაბს. ასეთი, ყოვლად გაუმართლებელი "ინიციატივა" ტვირთად დააწვა რაიონის მშრომელებს. ეს იყო ზემდგომი ორგანოების წინაშე რაიონის ხელმძღვანელთა პოზირება, სხვის ხარჯზე თავის გამოჩენის ერთ-ერთი ყველაზე იოლი ფორმა, რამაც მშრომელების სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ გურიანთის პარტიული ორგანიზაციის კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი "ხორცის სახელმწიფო დოტაციაზე უარის თქმას". უცნაურად ჟღერს აგრეთვე სოფლის პარტიული ორგანიზაციის 1979 წლის 30 მარტის დადგენილება -- "პარტიული კომიტეტის თითოეულმა წევრმა თავის უპირველეს ამოცანად გაიხადოს, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი -- ქალაქად თუ სოფლად -- გამოზარდოს და კოლმეურნეობას ჩააბაროს არანაკლებ 80 კგ წონის ერთი ღორი" (იქვე, ფურც.45-46). ამას მოჰყვა საერთო მოწოდება კოლმეურნეებს გაესუქებინათ და ჩაებარებინათ არანაკლებ ერთი ღორისა. თანაც ეს ცხადდებოდა ძალიან იოლ საქმედ. ცნობილია, რომ ტრადიციულად გლეხი "წელებზე ფეხს იდგამდა" "საკალანდო" ღორის გამოკვება-გასუქებისათვის. ზოგიერთს ეს არც შეეძლო და მზერა მომავალი წლისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. ასე იყო მაშინაც, როცა სახელმწიფოსათვის თითო ღორის გაზრდა-ჩაბარება გაიოლებულად წარმოიდგინეს. მხედველობაში არ იქნა მიღებული, რომ ბევრი საერთოდ უარს ამბობდა პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე. ამიტომ გლეხებში ენთუზიაზმი არ გამოუწვევია გურიანთაში წამოყენებულ მოწოდებას -- "თითოეულ კომლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ძროხა ნამატით და ერთი გოჭი გამოსაზრდელად". 1977 წელს 30 ოჯახს ხელსაყრელ პირობებში მიყიდეს კიდეც დეკეულები და გოჭები (სპა, ფ.2341, ს.68, ფურც.22), გამოუყვეს საკვები. შეიქმნა მეცხოველეობის განვითარების შედარებით ხელსაყრელი პირობები, მაგრამ პირუტყვის ჩამორთმევით დაშინებული და ცხოველების მოვლას გადაჩვეული გლეხები მსგავს მოწოდებებს საეჭვოდ მიიჩნევდნენ. არადა, პირუტყვის სიმცირის პირობებში სოფელში რა სიუხვეზე შეიძლება ლაპარაკი.

მეცხოველეობის "იძულებით" განვითარების პროგრამა სოფლისაგან მოითხოვდა რესურსების გამოვლენას, შუალედური კულტურების მოსავლის ზრდას. მაგალითად, 1970 წელს ასეთი კულტურები (ცერცველა, რაფსი, სიმინდი მწვანე მასისათვის და სხვა) დათესეს 47 ჰექტარზე (ოსა, ფ.61, ს.189, ფურც.17), რომელზეც აიღეს 5930 ცენტნერი პირუტყვის საკვები. ასე გრძელდებოდა მომდევნო წლებშიც, რითაც ხერხდებოდა პირუტყვის რაოდენობის შენარჩუნება. კერძოდ, 1987 წელს ფერმაში ჰყავდათ 366 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მათ შორის, რუსეთიდან ჩამოყვანილი შავ-ჭრელი ჯიშის 70 დეკეული. სხვა რესპუბლიკებში პირუტყვის შეძენის "ცდუნებას" მაშინ ვერავინ ვერ გაექცა, რადგან მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გაზრდილი გეგმების შესრულება სხვაგვარად შეუძლებლად მიაჩნდათ. მაგრამ, მეორე მხრივ, დარგის განვითარების ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესებაზე ნაკლები ზრუნვა იყო. ამას ემატებოდა მოსახლეობის ინიციატივის კვლავინდებური შებოჭვა, პირუტყვის საკონტროლო აღწერა, რასაც, როგორც წესი, მოყვებოდა "ზედმეტი" საქონლის ჩამორთმევა. 1984 წელს ერთ-ერთი ასეთი საკონტროლო აღწერისას გამოვლინდა პირუტყვის "გადამალვის" ფაქტები, დაასახელეს გვარებიც (გურიანთის კოლმეურნეობის მიმდინარე არქივი. გამგეობის სხდომის ოქმი № 5, 1984 წლის 3 აპრილი), რომელთა მითითება საჭიროდ არ ჩავთვალეთ. პარადოქსია, რომ პირუტყვის სულადობის შემცირების აშკარა, შეუქცევადი ტენდენციის პირობებში, მოსახლეობას კვლავ ზღუდავდნენ ჰყოლოდათ მკაცრად დადგენილ ნორმაზე მეტი პირუტყვი, რაც ყოვლად გაუმართლებელი იყო, რადგან კოლმეურნეთა 542 კომლიდან -- 159-ს არ ჰყავდა მსხვილფეხა პირუტყვი, 219-ს ღორი, ხოლო 88 ოჯახს არცერთი სახის საქონელი. კოლმეურნეობისა და პირად საკუთრებაში სულ ჰყავდათ 949 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ათასამდე (999) ღორი, რაც დაბალ მაჩვენებლად ითვლებოდა. კოლმეურნეობის გამგეობის ცდას შეეცვალა ვითარება (სესხის გამოყოფა და სხვა დახმარება), შედეგები არ მოჰყოლია. იყო მიღებული თანხის სხვა დანიშნულებით გამოყენების ფაქტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობის განვითარებას აფერხებდა დაბალი შესასყიდ-ფასები. ხორცის წარმოება კი ძვირი ჯდებოდა. მაგალითად, 1972 წელს ერთი ცენტნერი საქონლის ხორცის თვითღირებულებამ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 377 მანეთისა, შეადგინა 571 მანეთი, ღორისა შესაბამისად 360 და 484 მანეთი (ოსა, ფ.61, ს.235, ფურც.24). კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლებოდა ხორცის შესასყიდი ფასების ზრდითა და მესაქონლეობის ფერმების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებით. მართლაც, 70-იანი წლებიდან გურიანთაში პირუტყვის ცოცხალი წონის მატების გეგმის გადაჭარბებისათვის ფერმის მუშაკებს ეძლეოდათ ნამატის 30 პროცენტი. გარდა ამისა, დამატებითი წახალისების მიზნით, მეღორეებს ერთ დედაღორზე 10 გოჭის ორ თვემდე გამოზრდისათვის უფასოდ ეძლეოდათ ერთი გოჭი (ოსა, ფ.61, ს.407, ფურც.10).

მეცხოველეობის განვითარების წახალისების მიზნით იზრდებოდა პროდუქციის წარმოების ფასიც. 1987 წელს, წინა წელთან შედარებით, ერთი ცენტნერი რძის წარმოების ფასი გაიზარდა 7 მანეთითა და 58 კაპიკით და შეადგინა 64, 41 მანეთი, სახელმწიფოს კი ბარდებოდა გაცილებით იაფად. იგივე შეიძლება ითქვას ხორცის დამზადებაზე. იმავე წელს კოლმეურნეობამ აწარმოა 267 ცენტნერზე მეტი ხორცი. თითოეული ცენტნერი საქონლის ხორცის წარმოება კოლმეურნეობას დაუჯდა 736 მანეთი, ღორის ხორცისა -- 583 მანეთი (კოლმეურნეობის გამგეობის 1987 წლის საანგარიშო მოხსენება, გვ.11). გეგმის შესასრულებლად ეს შედეგიც არ აღმოჩნდა საკმარისი. გურიანთამ სახელმწიფოს დააკლო 62 ცენტნერი ხორცი და "უფროსების" საყვედურიც დაიმსახურა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ფართოდ ინერგებოდა იჯარული, კოოპერატიული სისტემა. 1989 წლის იანვრისათვის გურიანთის მეცხოველეობის კოოპერატივი აერთიანებდა 379 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, მათ შორის 100 ძროხასა და 104 ნამატს. ჯერ კიდევ 1983 წელს რძის წარმოების კოოპერატივში ჩაბმული იყო 277 კომლი, კოლმეურნე ოჯახთა მთელი რაოდენობის (542) ნახევარზე მეტი. ორიოდე წლით ადრე (1981 წელი) ხორცის საწარმოებლად ხელშეკრულება გაფორმდა 50 ოჯახთან. მათ გადაეცათ 275 სული პირუტყვი (ოსა, ფ.61, ს.747, ფურც.9). კოლმეურნეებმა საქონლის შესაძენად მიიღეს სესხი. მაგალითად, 1983 წელს ამ მიზნით გაიცა 77 ათასი მანეთი. მაგრამ ეფექტი არ ჩანდა. არ სრულდებოდა ყველის ჩაბარების ვალდებულება. დანაპირებს ვერც ისინი ასრულებდნენ, ვინც მიწების გაპიროვნების (30,48 ჰექტარი) გამო ვალდებულებები იკისრეს. ამ სახის კოოპერატივებში ჩაბმულ 197 კომლს უნდა ჩაებარებინა 3411 კგ ყველი, მაგრამ ვალდებულება ვერ გაანაღდეს, ჩააბარეს მხოლოდ 2655 კგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროდუქტი (ოსა, ფ. 61, ს.398, ფურც.9). კიდევ უფრო მეტი კომლი (378) ჩაება ხორცის წარმოების კოოპერატივში. კოოპერატივები დაყვეს ვარიანტებად. ერთ-ერთში გაერთიანდნენ ისინი, ვინც პირუტყვი გაიყვანა საზოგადოებრივი მეურნეობიდან და ვალდებულება იკისრა ჩაებარებინათ 900 კგ ხორცი (ჩააბარეს 300 კგ). მეორე ვარიანტით, მოსახლეობა სახელმწიფოს აბარებდა თავისსავე პირუტყვს. ამ შემთხვევაში ვალდებულებები გადაჭარბებით სრულდებოდა. ნაცვლად 52 ტონისა, სახელმწიფოს ჩაბარდა 62, 6 ტონა ხორცი. ყველისა და ხორცის დამზადებაში საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ: აკაკი თოიძეს, შურა შარაძეს, სამშე ჩხაიძეს, ესე ტოტოჩავას, ვალიკო მამულაშვილს, ჟორა კომახიძეს, მიშა ბრეგაძეს, გრიგოლ ქათამიძეს, ნოდარ ჩარქსელიანს, აკაკი კაპანაძეს, ვასილ შარაშანიძეს, გრიშა ფასიეშვილსა და სხვებს (იქვე), მაღალი მაჩვენებლები განაპირობა ხორცის შესასყიდი ფასების გრდამ.

აღსანიშნავია, რომ ოზურგეთის რაიონში გურიანთა იყო მოსახლეობის კოოპერირების ერთ-ერთი ინიციატორი. კოოპერირებამ პირველად მოიცვა მეცხოველეობა. 1980 წელს კოლმეურნეობასა და კოოპერატორებს შორის გაფორმდა პირველი ხელშეკრულება. კოოპერატორები ღებულობდნენ სესხს, მიწას, ფურებს. ვალდებულების მიხედვით, მიწის თითოეულ ათას მეტრ ფართობზე უნდა ჩაებარებინათ 10 კგ ყველი, იმავე წელს კოოპერატივში ჩაება 209 ოჯახი. ყველი კეთილსინდისიერად ჩააბარეს პ.მუჯირმა, ზ.თოიძემ, ა.ჩიკაშუამ, მ.კვაჭანტირაძემ, კ.ქათამიძემ, ნ.არობელიძემ, შ.ვაშნაძემ (სპა, ფ.2341, ს.79, ფურც.42).

80-იან წლებში სოფლის ხელმძღვანელობის თაოსნობამ -- ყველა კომლს ჰყოლოდა მეწველი ძროხა და დედაღორი დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ რაიონში. ფაქტიურად, გურიანთაში კოოპერატორთა მოძრაობას სათავე დაედო ქვეყნის გარდაქმნის პოლიტიკის დაწყებამდე 5 წლით ადრე, რითაც სოფელმა გამოავლინა ნოვატორული მიდრეკილება, შაბლონიდან გადახვევის ცდა, თუმცა ამასაც დიდი შედეგები არ მოჰყოლია. სოფელი ჯერ კიდევ ინერციით მიდიოდა, "ზემოდან" მიღებული მითითებების "მონად" რჩებოდა. 80-იანი წლების დასასრულს ნებისმიერი ინიციატივა კოლმეურნეობის ნგრევის მორცხვი ცდა იყო, რამაც მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოიტანა.

ამავე პერიოდში დაინერგა ანაზღაურების ახალი სისტემა, რომელიც გავრცელდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე. კერძოდ, ბაღ-ვენახების, ციტრუსების, დაფნის, ტუნგოს, ბამბუკის, თუთისა და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებასა და მოვლაზე. ნარგავების 80 პროცენტით გახარებისათვის კოოპერატორები დამატებით მიიღებდნენ შესრულებული სამუშაოსათვის დარიცხული თანხის 30 პროცენტს (ოსა, ფ.61, ს.407, ფურც.6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცვლილმა პირობებმა, მეცხოველეობისადმი გამოვლენილმა ყურადღებამ, გარკვეული შედეგები გამოიღო. 1989 წელს სოფელში ითვლებოდა 1189 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მათ შორის მოსახლეობაში -- 857, საზოგადოებრივ მეურნეობაში -- 332. შედარებით მცირე რაოდენობით ჰყავდათ ღორები -- 786, მათ შორის მოსახლეობაში -- 700. ფრინველების რაოდენობა 30 ათასს აჭარბებდა. მაგრამ ძროხების მიხედვით არასახარბიელო სურათი შეინიშნებოდა. სოფელში უძროხო ოჯახთა რიცხვი კვლავ დიდი იყო -- 204 კომლს პირუტყვი საერთოდ არ ჰყავდა (ოსა, ფ.35, ს.745, ფურც.21).

მეცხოველეობაში აღებულმა ახალმა კურსმა მდგომარეობა არსებითად ვერ შეცვალა, და არც შეეძლო შეეცვალა, რადგან კვლავ რჩებოდა სახელმწიფო გეგმის უზარმაზარი "წნეხი". ამ პერიოდში გურიანთა ვალდებული იყო წლიურად ჩაებარებინა 1537 ცენტნერი ხორცი, მათ შორის მოსახლეობაზე მოდიოდა -- 1280, ხოლო საზოგადოებრივ მეურნეობაზე -- 257 ცენტნერი (იქვე).

მეცხოველეობაში მომხდარი გარკვეული ძვრები განაპირობა საოჯახო კოოპერატივებმა, რომელთა რიცხვი 1989 წლისათვის საკმაოდ მაღალი იყო -- 258, თუმცა კოოპერატივები სოფლის კომლთა რაოდენობის (613) ნახევარსაც არ მოიცავდა. წინასწარი ჩანაფიქრით კოოპერატივებში მოსახლეობის ჩაბმის მთავარი მიზანი იყო ქვეყნის სასურსათო პროგრამის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია, ხორცის დამზადება იზრდებოდა, სოფელი კი ამ ძვირფასი პროდუქტის სულ უფრო მეტ ნაკლებობას განიცდიდა.

ახლად შექმნილ კოოპერატივებს ნაკლიც ბევრი ჰქონდა. ზოგიერთისათვის ეს გახდა პირუტყვის მითვისების დაკანონების მოხერხებული ფორმა. არ სრულდებოდა კოოპერატორების მიერ აღებული ვალდებულებები. კოლმეურნეობიდან გაყვანილი პირუტყვი ხშირად უკუგებას არ იძლეოდა. ამას მოჰყვა სასოფლო საბჭოს 1983 წლის 13 მაისის სესიაზე წარმოთქმული მუქარა -- "ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კოოპერატორს უნდა გადაეხადა შესატანი ყველის საბაზრო ღირებულება" (ოსა, ფ.35, ს.771, ფურც.3). მაგრამ, საქმეს ვერ უშველა "თითის ქნევამაც". კოოპერატორები კვლავინდებურად ითვისებდნენ კოლექტიური შრომით შეძენილ პირუტყვს. იყვნენ კეთილსინდისიერი კოოპერატორებიც, რომლებიც დროულად ასრულებდნენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. კერძოდ, ამ მოძრაობაში ჩაბმულმა 250 ოჯახმა 1982 წელს დაამზადა 71,6 ტონა ხორცი (იქვე, ს.796, ფურც.19). მაგრამ მთელი უბედურება იმაში იყო, რომ კოოპერატორთა ნაოფლარი და ნაჯაფი სახელმწიფოს ბარდებოდა, სოფლის მატერიალური პირობები კი არ უმჯობესდებოდა. პირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქით, 80-იანი წლების დასასრულს აშკარად გამოიკვეთა უკანსვლის ტენდენცია, რაც მოჰყვა ქვეყანაში გამეფებულ განუკითხაობას, დისციპლინის მოშლას, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, ანარქიას, უკონტროლობას.

ციტრუსი, ტუნგო, ბამბუკი, აბრეშუმის პარკი

ციტრუსები საქართველოში შუა საუკუნეებიდან არის ცნობილი, მაგრამ მის ფართოდ დანერგვას ყურადღება არ ეთმობოდა. ვახუშტის ცნობით, გურიაში ნარინჯოვანთა კულტურა გავრცელებულა XVII--XVIII საუკუნეებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ გურიანთის ტერიტორიაზე მისი შემოტანა დაახლოებით ამ პერიოდს ემთხვევა. გამორიცხული როდია, რომ შიგადაშიგ სუსხიანი ზამთრის შემდეგ იგი დავიწყებას ეძლეოდა და კვლავ და კვლავ განახლდებოდა.

ციტრუსების გაშენებას მაშინ მისდევდნენ მემამულეები, რომლებიც პირადი საჭიროებისათვის უვლიდნენ რამდენიმე ძირ მცენარეს. აქედან თანდათანობით ეს უძვირფასესი კულტურა ხვდებოდა გლეხების ნაკვეთებზე და უსისტემოდ ვითარდებოდა.

ციტრუსების გავრცელებას მეტი ყურადღება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაეთმო. თუმცა, მისი გავრცელების დინამიკა ორმოციან წლამდე ნელა იცვლებოდა. გურიანთაში 1939 წელს სულ მოკრიფეს 3 ცენტნერი, 1941 წელს -- 12, 1942 წელს -- 103, ხოლო 1947 წელს -- 580 ცენტნერი ნაყოფი. მაჩვენებლების მკვეთრი ცვალებადობა დაკავშირებულია ფართობის სხვაობასა და სუსხიან ზამთართან. მაგალითად, 1966 წელს 39,76 ჰექტარ ფართობზე მიიღეს 1477 ცენტნერი, ხოლო მომდევნო წელს ოთხჯერ ნაკლები -- 337 ცენტნერი ციტრუსი.

მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ მეციტრუსეები: აკაკი თოიძე, მიხეილ ჭეიშვილი, თამაზ მურუსიძე, ზაურ თოიძე, ვიქტორ პაპიძე. ციტრუსებისაგან მიღებულმა კოლმეურნეობის შემოსავალმა 85 482 მანეთს მიაღწია (ოსა, ფ.61, ს.156, ფურც.15). მოწინავე კოლმეურნეებმა თითოეულ ჰექტარზე მიიღეს 8 ტონაზე მეტი ნაყოფი.

კოლმეურნეობაში სარეკორდო მოსავალი მიიღეს 1977, 1983 და 1988 წლებში, შესაბამისად მოკრიფეს 2865, 4606 და 4050 ცენტნერი. მაჩვენებლების მკვეთრი ცვალებადობა ბოლო წლებშიც შეიმჩნევა. 1987 წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს -- 161 ცენტნერი, 1989 წელს კი -- 1092 ცენტნერი ციტრუსები (კოლმეურნეობის ბუხჰალტერიის სტატისტიკური მასალები) .

ცვალებადი მაჩვენებლების მიუხედავად მეციტრუსეობა კოლმეურნეობისათვის მომგებიანი დარგი იყო. დასანანია, რომ მის განვითარებას მეტი ყურადღება არ დაეთმო. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლი-

სას სოფელმა ეს დარგი უფრო მომგებიანი უნდა გახადოს, ვალუტის წყაროდ აქციოს.

იგივე შეიძლება ითქვას ტუნგოს კულტურაზეც, რომლის მაღალხარისხოვანი ტექნიკური ზეთი ძვირად ფასობს მსოფლიო ბაზარზე. ზოგიერთი მონაცემით, დღეისათვის გურიანთაში მისი ფართობი 37 ჰექტარს უდრის, რაც 1939 წელთან შედარებით (8 ჰექტარი) თითქმის ხუთჯერ მეტია, მაგრამ პოტენციური შესაძლებლობა მინიმალურადაც არ არის ათვისებული. ძნელია გადაუჭარბებლად შეაფასო დამოუკიდებელი საქართველოსათვის ამ დარგის განვითარების მნიშვნელობა. იგი უნდა იქცეს ვალუტის შემოტანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. გურიანთას ამ მხრივ დიდი პერსპექტივები აქვს. ახალი პლანტაციების გაშენებით ძვირფასი ზეთის ნედლეულის წარმოების მკვეთრი ზრდით, სოფელი დიდ მოგებას მიიღებს, რაც ბიძგს მისცემს მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სოფლის დაწინაურება დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის დარგების სტრუქტურების შეცვლაზეც. არსებულ სტრუქტურებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მაჩვენებლები: 1979 წლისათვის კოლმეურნეობის ბალანსზე ირიცხებოდა 1844 ჰექტარი მიწა, აქედან ჩაის პლანტაციას ეჭირა 279 ჰექტარი, სახნავ-სათესს -- 240, ციტრუსებს -- 56,8, ტუნგოს -- 46, ბამბუკს -- 9,2, დაფნას -- 3,2, ვენახს -- 3,5, ხეხილის ბაღს -- 18,2, ტყე-ბუჩქნარს -- 415, საძოვრებს -- 243, ქარსაფარს -- 13,5, საკარმიდამო ნაკვეთებს -- 193 ჰექტარი. გზებისა და შენობების ქვეშ მოექცა 7,3 ჰექტარი ფართობი (ოსა, ფ.61, ს.320, ფურც.4).

ჩაი, სიმინდი, ციტრუსები წარმოადგენს სოფლის ეკონომიკის ხერხემალს. მაგრამ ეკონომიკის განვითარებაზე გავლენას ახდენს სხვა დარგებიც, რომელთა მიმართ, სამწუხაროდ, ყურადღება თანდათან შენელდა. ეს პირველ რიგში ითქმის მეხილეობა-მებაღეობაზე. დასავლეთ საქართველოში მეხილეობის უმთავრესი რაიონები იყო ქუთაისი, ოზურგეთი და ზუგდიდი ("საქართველოს სსრ მთავრობის 1926-27 და 1927-28 წწ. მოქმედების ანგარიში", ტფ.,1929, გვ.62). დღეს ამ რაიონებმა დაკარგეს წამყვანი პოზიციები. მეხილეობის აღორძინებაში თავისი სიტყვა უნდა თქვას გურიანთამაც. დიდი პერსპექტივა აქვს დაფნის, ბამბუკის მოყვანასა და სხვა დარგების განვითარებას. ახლა მთავარია განისაზღვროს -- შევინარჩუნოთ თუ შევცვალოთ სოფლის მეურნეობის დარგების არსებული სტრუქტურები, მათი წარმოების ხვედრითი წილი. გურიანთის აღორძინება შესაძლებელია მიწის პრივატიზაციისა და ეკონომიკურად მომგებიანი დარგების განვითარების დაჩქარებით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის კარგად მომზადებით, შექმნილი მდგომარეობისადმი ახლებური მიდგომის უნარის, მოსახლეობაში ნიჭიერი მეურნის, ნოვატორი ფერმერის თვისებების გამოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენით. იქნებ საჭირო იყოს დავიწყებას მიცემული კულტურების (და-
მის მარცვალი, ჭვავი) აღორძინებაც.

სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების ჩამორჩენის მიუხ-
დავად 40-50-იან წლებში მკვეთრად გაიზარდა კოლმეურნეობის ფუ-
ლადი შემოსავალი, რომელმაც 1949 წელს შეადგინა 452 918 მანეთი,
1954 წელს -- 627 475 მანეთი, ხოლო 1963 წელს -- 1 041 614 მანეთი
(კოლმეურნეობის ბუხჰალტერიის მასალები -- "ძირითადი მაჩვენებლე-
ბი"). შემოსავლის ზრდის დინამიკის მიხედვით კოლმეურნეობა ფლობ-
და დიდ მატერიალურ პოტენციალს, რაც უნდა გამხდარიყო მშრომელთა
კეთილდღეობის ამაღლების გარანტი. მაგრამ, ზოგჯერ შრომადღეე-
ბზე ფულადი შემოსავლის ნახევარსაც ვერ ანაწილებდნენ (სისტემატ-
ურად იზრდებოდა განუყოფელი და სხვა ფონდები). კერძოდ, 1963 წელს
მშრომელებზე გაიცა შემოსავლის მხოლოდ 44,6 პროცენტი, რაც ომის
შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო.
იგივე შეიძლება ითქვას, 1952,1960 და 1964 წლებზეც. სხვა წლების
მიხედვით მაჩვენებლები საშუალოდ 50 პროცენტის ფარგლებში მერყეო-
ბდა, ზოგჯერ 60-63 პროცენტსაც აღწევდა. მხოლოდ 1965 წლიდან მოხდა
შედარებითი სტაბილიზება და მთელი მომდევნო წლების მონაცემები
52-63 პროცენტს უდრიდა, თუმცა ესეც ცოტა იყო. მშრომელთა ნაჯაფის
და ნაამაგარის დიდი ნაწილი მათვე არ უბრუნდებოდათ. კოლმეურ-
ნეობა ყოველწლიურად იხდიდა დაზღვევის თანხას, თვითდაბეგვრას,
ბრუნვის გადასახადს, სხვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადებს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ კოლმეურნეობას ყველაზე დიდ შემოსავალს
მეჩაიეობა აძლევდა (70-85 პროცენტი), შემდეგ მოდიოდა ციტრუსები,
ტუნგო, აბრეშუმის პარკი, დაფნა და სხვა. მომგებიანი იყო მევენახეო-
ბაც. 1964 წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 3796 კგ ყურძენი (ოსა, ფ.61,
ს.98, ფურც.7; ს.128, ფურც.15). ნიშანდობლივია, რომ აქაური გლეხები
ღვინოს სისტემატურად ყიდულობდნენ, კოლმეურნეობა კი ყურძნის
თითქმის მთელ მოსავალს სახელმწიფოს აბარებდა. ასე ვლინდებოდა
გეგმის "უზენაესობა", მისადმი "მონური დამოკიდებულება".

40-50-იან წლებში გარკვეულ შემოსავალს მებოსტნეობაც იძლეო-
და. 1947 წელს დაამზადეს 11 ტონა პამიდორი, 4 ტონა კიტრი, 6 ტონა
საზამთრო და ნესვი, 3 ტონა ბოგრა, 2 ტონა სხვადასხვა ბოსტნეული.
გეგმა შესრულდა 150 პროცენტით. შრომაში გამოირჩეოდნენ მებოსტ-
ნეები: ვ.მალაზონია, ე.კვაჭაძე, ფ.კვირკველია, კ.ღლონტი, ქ.კვირკველია
("ლენინის დროშა", 1947 წ. 18 ოქტომბერი). სამწუხაროა, რომ ამ
მაჩვენებლებზე ღღეს ოცნება თუ შეიძლება. დარგის თანდათან
დაკნინებამ სოფელს აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა (მხოლოდ ფუ-
ლადი შემოსავალი როდი იგულისხმება). მებოსტნეობის უგულებელყ-
ოფის ტენდენციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ამ ძვირფასი დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გისადმი ყურადღება შემცირდა საკარმიდამო ნაკვეთებზეც, ბოსტნეულის სათვის კოლმეურნეებმა მოუხშირეს ბაზარზე სიარულს და თითქმის მთლიანად მასზე იყვნენ დამოკიდებული. იმატა პროდუქციის ფასმა, გაუარესდა მისი ხარისხი. ამიერიდან მძიმე მდგომარეობიდან სოფლის გამოყვანა შესაძლებელი იქნება "აქაურების" მეტი გონიერებითა და წინდახედულებით, საბაზრო ეკონომიკაზე მოფიქრებული და დროული გადასვლით.

კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის ზრდაში გარკვეული ადგილი ბამბუკსაც ეჭირა. 1962 წელს მისი ფართობი გაიზარდა 3,3 ჰექტრამდე. დამზადდა 10 ათასი ღერო, რომელიც ლანჩხუთის ადგილობრივმა კომბინატმა შეიძინა. შემოსავალმა 9000 მანეთს გადააჭარბა. სოფელში ბამბუკისაგან ამზადებდნენ დიდი რაოდენობის ჩაის საკრეფ კალათებსა და გოდრებს (ოსა, ფ.61, ს.117, ფურც.14).

1985 წლისათვის ბამბუკის პლანტაციის ფართობი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და 9,6 ჰექტარს მიაღწია. დამზადდა 65,3 ათასი ღერო, რაც გეგმაზე 25,3 ათასი ცალით მეტი იყო. ამ კულტურისადმი მეტი ყურადღების გამოვლენით იგი ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება იქცეს. ეს მით უფრო ხაზგასასმელია, რომ ბამბუკის მოვლა-გაშენება მცირე მატერიალურ დანახარჯებს საჭიროებს და დიდ მოგებას იძლევა. ამ დარგით კოოპერატორების და კერძო მესაკუთრეების დაინტერესება, სპეციალური საამქროს გამართვა უზრუნველყოფდა ლამაზი საოჯახო ნაწარმის გამოშვებას, რაზეც კვლავაც დიდი მოთხოვნილება იქნება მთელ რესპუბლიკაში.

მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს აგრეთვე მეაბრეშუმეობა, რომელიც საქართველოში უძველესი დარგია. აბრეშუმხვევიას მოშენება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეთუთეობის განვითარებასთან. პარკისაგან მიიღებდნენ ნატურალური აბრეშუმის ხამ ძაფს. ქართული წერილობითი წყაროებით აბრეშუმის კულტურა V საუკუნეში დასტურდება (პირველად ჩინეთში აბრეშუმხვევია მოაშენეს 5 ათასი წლის წინათ).

გურიანთაში მეაბრეშუმეობით, ძირითადად, დაინტერესდნენ გასაბჭოების შემდეგ. 1951 წელს კოლმეურნეობაში გამოკვებეს 142 კოლოფი აბრეშუმხვევია და სახელმწიფოს ჩააბარეს 6967 კგ პარკი და გეგმა 107 პროცენტით შეასრულეს. შემოსავალმა შეადგინა 206 457 მანეთი, მათ შორის პრემიამ -- 21 928 მანეთი. გამოირჩეოდნენ მეაბრეშუმეები: ქსენია მჟავია, მარგალიტა ზაქარიაძე, თეო თოიძე, ვალია ცერცვაძე, ქეთო გირკელიძე, ვერა შეწირული, შურა კვერღელიძე (ოსა, ფ.61, ს.57, ფურც.11). მომდევნო წლებში დარგის განვითარებას სულ უფრო მეტი ყურადღება დაეთმო. იგი გახდა კოლმეურნეთა ოჯახების შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. მოაშენეს თუთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეები, ჭიებისათვის მოამზადეს ბინები. 1961 წელს კოლმეურნეობამ გამოკვებეს 167 კოლოფი აბრეშუმხვევია, სახელმწიფოს ჩააბარეს 8200 კგ პარკი, 1964 წელს -- 9474 კგ (იქვე, ს.106, ფურც.20). 1969 წლის მაჩვენებლებმა 92 ცენტნერს გადააჭარბა. 33 წლის განმავლობაში (1947-1970 წლები) პარკის წარმოება 58 ცენტნერზე დაბლა არ დაცემულა.

საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდა მთელ რესპუბლიკას, რომელსაც 1965 წლამდე პარკის დამზადების მხრივ სსრ კავშირში მეორე ადგილი ეკავა (დაამზადა 4390 ტონა პარკი), ხოლო 1966 წლიდან თუთის ფოთლის დაავადების (სიხუჭუჭე) გავრცელების გამო პარკის დამზადება შემცირდა. გურიანთაში ეს პროცესი მკაფიოდ გამოიხატა 1972-1974 წლებში. მისი წარმოება 11-19 ცენტნერამდე დაეცა, ხოლო მომდევნო წლებში მაჩვენებლები 20-23 ცენტნერს არ ჭარბობდა (კოლმეურნეობის ბუხჰალტერიის სტატისტიკური მასალები).

მეაბრეშუმეობის დაცემას ხელი შეუწყო იმ დროისათვის აბრეშუმის პარკის დაბალმა ფასმაც, თუთის ხეების მასობრივმა აჩეხვამ. ბევრმა სამუდამოდ ხელი აიღო აბრეშუმხვევიას მოშენებაზე. სოფელში ასე თანდათან დაკნინდა მეაბრეშუმეობა. ამ ბოლო პერიოდში აბრეშუმის პარკზე დაწესებული მაღალი ფასები ჯერ-ჯერობით ვერ იქცა მისი წარმოების მასტიმულირებელ ფაქტორად. დღეს ბევრს არც სურვილი გააჩნია და არც თუთის ხეები აქვს. იქნებ კოოპერატორებმა თუ კერძო პირებმა აქაც თქვან თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა. მეაბრეშუმეობა დღეს ხომ ვალუტის გარანტირებული შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან ფულადი შემოსავლის ხვედრით წილზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები: 1962 წელს მეჩაიეობიდან კოლმეურნეობამ მიიღო 788 764 მანეთი, ციტრუსებიდან -- 26 600, აბრეშუმის პარკიდან -- 30 053, ტუნგოდან -- 10 979, მეხილეობიდან -- 1 340 მანეთი, მესაქონლეობიდან -- 44 388, მებოსტნეობიდან -- 4 228, სოიიდან -- 2 276, ხის სახერხი საამქროდან -- 2 887, წისქვილიდან -- 1 106, ხე-ტყიდან -- 376 მანეთი. სულ ფულადმა შემოსავალმა 975 953 მანეთს მიაღწია (ოსა, ფ.61, ს.117, ფურც.22). ციფრები გვიჩვენებენ, რომ კოლმეურნეობის შემოსავალში ჩაის წილი თითქმის 80 პროცენტს უდრიდა. მომდევნო წლებში ამ შეფარდებამ უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა. მაგალითად, 1977 წელს საერთო შემოსავალი უდრიდა 2 310 462 მანეთს, აქედან ჩაიზე მოდიოდა 1 835 067 მანეთი (იქვე, ს.308, ფურც.20). ცხადია, რომ ჩაი იქცა ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან და შემოსავლიან დარგად. მის წარმოებას დიდი ყურადღება ეთმობოდა. მიღებულმა შემოსავალმა სოფლის დაწინაურებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა, მაგრამ, კოლექტივიზაციის პირობებში ჩაის გაფეტიშებამ მოადუნა გლეხის ყურადღება, წაართვა მას სოფლის

სპეციფიკისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი, შეწყდა შემოსავლის სხვა წყაროების ძიება, უფრო მომგებიანი დარგების განვითარებაზე ფიქრი. კერძო საკუთრებაზე გადასვლამ, საბაზრო ეკონომიკამ უნდა მოხსნას ეს შეზღუდვები, მთელი ძალებით აამოქმედოს სოფლის რესურსები, დააჩქაროს მისი ეკონომიკის განვითარება.

მკაცრი ცენტრალიზაციის პირობებში, როცა ითრგუნებოდა კოლმეურნეთა ინიციატივა, არ ხდებოდა მათი სათანადო მატერიალური წახალისება, გურიანთის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე პ.ბელიქანიძე) 1964 წელს შეიმუშავა "შრომის ძირითადი და დამატებითი ანაზღაურების" საქმიანი რეკომენდაციები. ეს იყო მატერიალური წახალისების დასაბუთებული პროგრამა, რომლის მიხედვით კოლმეურნეებს უნდა მისცემოდათ დამატებითი ანაზღაურება. კერძოდ, 1 500 კგ ჩაის ფოთლის მოკრეფის გეგმის შესრულებისათვის მიიღებდნენ პროდუქციის ღირებულების 12 პროცენტს, ყოველ მომდევნო გადაჭარბებულ 500 კგ-ზე ანაზღაურება მნიშვნელოვნად იზრდებოდა. მაგალითად, 3 ათასი კგ ფოთლის მოკრეფისათვის დამატებით მიეცემოდათ 28 პროცენტი, ხოლო 4 ათასი და მეტისათვის 40 პროცენტი (ოსა, ფ.61, ს.138, ფურც.2). ეს მეტად გაბედული ნაბიჯი მთლიანად ცვლიდა შრომის ანაზღაურების აღრე დადგენილ ნორმებს, მატერიალური წახალისების ფორმებს.

დებულების მიხედვით მაღალი შრომის ანაზღაურება იმ შემთხვევაში გაიცემოდა, თუ კოლმეურნეებს შესრულებული ექნებოდათ შრომის სავალდებულო მინიმუმი, დაცული იქნებოდა პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის, ლაო ჩაის მოკრეფის, კოფეინის მასალისა და ჩაის თესლის დამზადების გეგმები. ოჯახის წახალისების მიზნით, მისი ყველა წევრის მიერ გეგმების შესრულების შემთხვევაში თითოეულ კომლზე გაიცემოდა დადგენილი ნორმის ზევით მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის ღირებულების 25 პროცენტი.

ციტრუსების მოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში კოლმეურნეებს მიეცემოდათ მიღებული პროდუქციის ღირებულების 15 პროცენტი, მებაღეობა-მევენახეობის პროდუქციისა -- 30 პროცენტი. ახალი ვენახის გაშენების მეორე წელს გლეხი მიიღებდა მთელი მოსავლის 50 პროცენტს, მესამე წელსკი -- 30 პროცენტს. მაღალი ანაზღაურება მიეცემოდათ ხეხილის ნერგების გახარების, ტუნგოს, სოიისა და ლობიოს დამზადების გეგმის შესრულებისათვის. კერძოდ, მიიღებდნენ მოყვანილი სოიისა და ლობიოს 40 პროცენტს, ფულადი ღირებულების ამდენივე პროცენტს. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყამირი მიწების ათვისებას. ყამირის ათვისების პირველ წელს მიეცემოდათ მოწეული სიმინდის 50 პროცენტი (ოსა, ფ.61, ს.138, ფურც.4-6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წახალისების ფორმები ვრცელდებოდა მეფუტკრეობასა და მებაღეობაშუმეობაზეც. კოლმეურნეებს მიეცემოდათ თუთის ღირებულება და აბრეშუმხვევიისათვის "ბინის" ქირა, გეგმის ზევით ჩაბარებული პარკის ღირებულების 40 პროცენტი, რასაც დიდი მასტიმულირებელი როლი უნდა შეესრულებინა. მართლაც, კოლმეურნეობის გამგეობის მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა შეცვალეს შრომისადმი დამოკიდებულება. ისინი იქცნენ მატერიალური წახალისების მნიშვნელოვან სტიმულად, ეკონომიკის განვითარების ფაქტორად. გურიანთელთა თაოსნობამ რაიონის სოფლების დიდი ინტერესი გამოიწვია. ბევრმა აქაური გამოცდილება გაიზიარა და მადლობაც გამოთქვა.

სხვა არაერთი ინიციატივის გამოჩენით გურიანთა ახერხებდა მოსახლეობის ფართო ფენების შრომითი აქტიურობის შენარჩუნებას, მატერიალური და მორალური წახალისების ფორმათა დროულ შეცვლას. 1969 წელს შრომის ვახტზე გამარჯვებული ბრიგადებისათვის ასე დაწესდა 200 მანეთის პრემია (სპა, ფ.2341, ს.54, ფურც.38), რომელსაც გადასცემდა სპეციალური ჟიური.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ჯერ კიდევ 1947 წლის 14 მარტს გურიანთის კოლმეურნეობამ მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს უმოკლეს დროში გაეზარდათ პროდუქციის წარმოება (იქვე, ს.16, ფურც.66), გაეუმჯობესებინათ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები, ვადამდე შეესრულებინათ ხუთწლიანი გეგმები.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა 1979 წელს საზოგადოებრივი აზრის საბჭოს შექმნა, რომელიც აერთიანებდა 11 კაცს (ბ.შეწირული, ა.მუჯირი, დ.ჟღენტი, ნ.ურუშაძე, მ.დოლიძე, გ.ზაქარიაძე, ვ.ჟღენტი, პ.მუჯირი, ლ.მარშანიშვილი, მ.მალაზონია, ლ.დათუნაშვილი). ჩანაფიქრის მიხედვით საბჭოს დიდი მუშაობა უნდა გაეშალა. საინტერესო განზრახვას განხორციელება არ ეწერა. საზოგადოებრივ აზრს მაშინ სსრკ-ში სერიოზულად არავინ სწავლობდა. სოციოლოგიურ გამოკითხვებს მხოლოდ ერთი დანიშნულება ჰქონდა -- საზოგადოებრივი მოვლენები და პროცესები, თვით საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და განვითარება აეხსნათ სოციალიზმისადმი დამოკიდებულების მიხედვით, ამავე მიზნით წაეხალისებინათ და დაეგმოთ ადამიანთა შეხედულებანი, გავლენა მოეხდინათ მათ მსოფლმხედველობაზე. ასეთ პირობებში სოფლის ყოველ თაოსნობას და ინიციატივას, მიმართვებს, როგორი გულწრფელიც უნდა ყოფილიყვნენ მათი ავტორები, ფორმალიზმისა და თავის გამოჩენის იერი დაჰკრავდა. ძნელია ამის გამო გაამტყუნო სოფლის თავკაცები. მაშინ ხომ მსგავს მოქმედებას ყოველმხრივ წაახალისებდნენ, ხოლო ხელმძღვანელებს აქებდნენ, აჯილდოვებდნენ და აწინაურებდნენ, მათ შესახებ პრესაში აქვეყნებდნენ სტატიებსა და ნარკვევებს. კონკრეტული ისტორიული პირობების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სოფლის ისტორიის 70 წლიან პერიოდზე სწორი წარმოდგენის მიღება. დიდ შეცდომებს უშვებენ ის ნი, ვინც მოვლენებს დღევანდელი გადასახედიდან, მაშინდელ მდგომარეობაზე ზერელე წარმოდგენით აფასებენ.

ავიღოთ, თუნდაც, 1973 წლიდან სოფელში დანერგილი თაოსნობა -- "სახელმწიფო ალმით მოწინავე ოჯახის დაჯილდოვება". ოზურგეთის პარტრაიკომში შემუშავებული დებულების მიხედვით სახელმწიფო ალმით, როგორც ოჯახის ღირსებისა და დიდების ნიშნით, აჯილდოვებდნენ იმ კოლმეურნეობათა ორ ოჯახს, რომელთა მოსახლეობა ათას კაცს აჭარბებდა და მათი შრომისუნარიანი ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ შრომაში და მიაღწევდა სხვაზე მაღალ სამეურნეო მაჩვენებლებს, გამორჩეული იქნებოდა დისციპლინით, კეთილსინდისიერებით, შვილების ჩინებული აღზრდით, კარმიდამოს მოვლით.

დროშასთან ერთად, დაჯილდოვებულ კომლს გადაეცემოდა 100 მანეთი, საპენსიო ასაკის მქონე ოჯახის წევრს ენიშნებოდა პერსონალური პენსია. ოჯახის საცხოვრებელ სახლზე ალამი აღიმართებოდა ყოველი წლის 25 თებერვალს (საქართველოს გასაბჭოების დღეს) და კომლს რჩებოდა მუდმივად (სპა, ფ.2341, ს.58, ფურც.46). მსგავსი ჯილდოები დღეს ბევრს ღიმილს მოჰგვრის, მაგრამ როგორ უცნაურადაც უნდა ეღერდეს, მაშინ ოჯახების დიდ დაინტერესებას იწვევდა, მათ შრომით აქტიურობაზე გავლენასაც ახდენდა. იგივე შეიძლება ითქვას ოზურგეთის რაიონის შრომის კოლმეურნეობის თაოსნობაზე -- "ხუთწლედი ჩემს ოჯახში", რომელიც გურიანთაშიც მოიწონეს, აქ გააფორმეს ვალდებულებები, გაიშალა შეჯიბრება (იქვე, ს.63, ფურც.165), მოისმინეს ანგარიშები, დააჯილდოვეს მოწინავეები, ქვეყნდებოდა სტატიები პრესაში, მასალები გადაიცემოდა რადიოთი და ტელევიზიით. ფართო ფრონტით გაშლილი პროპაგანდა გავლენას ახდენდა ადამიანების ფსიქიკასა და საქმიანობაზე. ასე ინერგებოდა ნებისმიერი წამოწყება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა შრომის მოწინავეთა წახალისება ტურისტული საგზურებით. 1976 წელს, საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ერთ-ერთი პირველი დაასაჩუქრეს ზაურ თოიძე, რომელმაც იტალიასა და მაროკოში ტურისტული მოგზაურობისათვის გადაიხადა საგზურის ღირებულების 50 პროცენტი (იქვე, ს.65, ფურც.74).

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ პერიოდში იწყება უცხოეთში მოგზაურობისადმი შეუნელებელი ლტოლვა. სამეურნეო მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად ეს განწყობაც მოხერხებულად გამოიყენეს. ყოველი თაოსნობის, წამოწყებისა თუ სიახლის დანერგვის უმთავრესი მიზანი უკეთესი შრომითი მაჩვენებლების მიღწევა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანებზე ზრუნვის მკაფიო გამომხატველია პენსიების დროული დანიშვნა, მატერიალური დახმარების ფორმების ძიება, ასაკში შესულ ადამიანების დამსახურების ჯეროვანი დაფასება, ნაჯაფი და ჭარმაგი გლეხის სოციალური უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, ადრე ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემებს ყურადღება არ ეთმობოდა. სოფელში პენსიების დანიშვნა დაიწყეს მხოლოდ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მანამდე კოლმეურნე მოკლებული იყო სოციალური დაცვის ელემენტარულ პირობებს. 1958 წელს, ერთ-ერთ პირველთ პენსია დაენიშნათ შრომისუნარდაკარგულ 24 კოლმეურნეს, ერთდროული დახმარება (სულ 300-500 მანეთი) მიიღო ცხრა კაცმა: ნ.ბოლქვაძემ, შ.ფასიეშვილმა, ა.სალუქვაძემ, მ.ტოტოჩავამ, ს.ჭეიშვილმა, მ.ცერცვაძემ, ტ.არტემოვამ, ტ.ვოროშილოვამ, ა.შარაძემ (ოსა, ფ.61, ს.90, ფურც.21).

ძნელია სათანადოდ შევაფასოთ სოფელში პენსიების დანიშვნის მნიშვნელობა. დაიწყო სოფლის მეურნეობის მუშაკთა დამსახურებისა და ღირსების აღიარება, იფეთქა იმედის ნაპერწკალმა, გლეხკაცს გაუჩნდა შრომის გარკვეული სტიმული, იმატა პენსიონერთა რაოდენობამ. 1967 წელს მისმა რიცხვმა 332-ს მიაღწია. ბევრი მათგანი ბეჯით შრომას განაგრძობდა და პენსიასაც ღებულობდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ: ნინა ტუღუში, კატო ურუშაძე, ლეო კვერღელიძე, კატო ჩიკაშუა, ელენე არაშიძე, მატრონე და ნიკოლოზ ტუღუშები და სხვები. 1970 წლისათვის პენსიონერთა რიცხვი 500 კაცამდე გაიზარდა. ერთდროული ფულადი დახმარება აღმოუჩინეს 10 ოჯახს (იქვე, ს.156, ფურც.23-27, ს.189, ფურც.21).

1980 წელს საკოლმეურნეო მნიშვნელობის პერსონალური პენსიები დაენიშნათ სოციალისტური შრომის გმირებს ე.კვაჭაძესა და ა.კვირჩილაძეს, ვეტერან კოლმეურნეებს: ი.დათუნაშვილს, ქ.ერქომაიშვილს, პ.ქუტიძეს, ხოლო 1982 წელს ა.თოიძეს, გრ.ქათამიძეს, პ.მუჯირს, ვ.ქინქლაძეს, ო.მალაზონიას, თ.თოიძეს, დამსახურებული კოლმეურნის საპატიო წოდება მიენიჭა: პ.ქუტიძეს, ვ.მუჯირს, ო.მალაზონიას, მ.ზაქარიაძეს, მატრონე და მარო ქათამიძეებს, მ.ცერცვაძეს, ლ.შარაძეს. პენსიები (40 მანეთი) დაენიშნა 50 კოლმეურნეს, 15-მა მიიღო ერთდროული დახმარება, 200-დან 500 მანეთამდე (იქვე, ფ.61, ს.49, ფურც.74;ს.93, ფურც.14; ს.354, ფურც.60; ს.383, ფურც.49).

შეძლებისდაგვარად დახმარება ეძლეოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ბევრ ოჯახს, მათ შორის 1973 წელს დახმარება გაუწიეს სტიქიური უბედურების დროს დაზარალებულ 13 ოჯახს. 1974 წელს ერთდროული დახმარება -- 8282 მანეთი განაწილდა ეკონომიურად მძიმე პირობებში მყოფ ოჯახებზე. 1984 წელს პენსიის დანამატი მიეცა 125 კოლმეურნეს, მუდმივი დახმარება (30-30 მანეთი) დაენიშნა -- ორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1987 წელს 18 ოჯახმა ბინათმშენებლობის მიზნით მიიღო სესხი, თითოეულმა 700-დან 1000-მდე მანეთი, 5 კოლმეურნე დააჯილდოვეს ტურისტული საგზურის ღირებულების 50 პროცენტით, 100 კოლმეურნეკი -- ბორჯომის, საირმისა და ურეკის კურორტების საგზურებით. ფასიანი შვებულებით ისარგებლა 255 კოლმეურნემ. იმავე წელს ერთდროული დახმარება მიიღო 15 ოჯახმა (ოსა, ფ.35, ს.260, ფურც.10; ს.427, ფურც.10-11). შრომაში გამორჩეული ადამიანებისადმი ყურადღება სტიმულს ჰმატებდა მათ, კეთილად განაწყობდა ერთმანეთისადმი, საერთო საქმისადმი.

ადამიანთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაწეული მუშაობის უბრალო ჩამოთვლაც კი ნათელს ჰფენს ღონისძიებათა მასშტაბებს, წახალისების ფორმებსა და მეთოდებს. აღსანიშნავია ისიც, რომ პენსიების დანიშვნისას შეინიშნებოდა სოფლის თავისებური "დისკრიმინაცია", აქაურ სოციალისტური შრომის გმირებსა და დამსახურებულ კოლმეურნეებს ენიშნებოდათ მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის პენსიები, "პრივილეგირებულ" მდგომარეობაში მყოფ ქალაქში მცხოვრებთ იმავე დამსახურებისათვის ეძლეოდათ რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიები. ამას სოფლის მოსახლეობის ნაწილი მტკივნეულად აღიქვამდა.

კოლმეურნეობის შემოსავლის ზრდასთან ერთად, პენსიების თანხებმა საგრძნობლად იმატა 80-იანი წლების ბოლოს. 1989 წლის 1 ოქტომბრიდან მინიმალური პენსია გაიზარდა 70 მანეთამდე, მაქსიმალური კი 132 მანეთამდე, რითაც სოფლის მოსახლეობის პენსიები გაუთანაბრდა ქალაქისას, რაც კოლმეურნეებმა დიდი კმაყოფილებით აღიქვეს. პენსიები კვლავაც მატულობდა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკური კატასტროფის პირობებში ეს პროცესი შეწყდა. ამჟამინდელი პენსიები ვერ უზრუნველყოფს ადამიანის საარსებო მინიმუმს. უკიდურეს გაჭირვებაში ყოფნის მიუხედავად, ხალხი სულიერად არ ეცემა, შრომაში აქტიურად ებმება. მიწის საკუთრებაში მიღებით, გარდატეხა უთუოდ მოხდება, ადამიანური ღირსება იზეიმებს, ქვეყანა ეკონომიკურად დაწინაურდება. უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალაქის მოსახლეობის ხსნაც ამაშია.

70-იანი წლების დასასრულს სოფელში შეინიშნებოდა სხვადასხვა "კომისიების" შექმნით გატაცება, რასაც განაპირობებდა ქვეყანაში დამკვიდრებული მუშაობის სტილი, მართვის ბიუროკრატიული მეთოდი. 1979 წელს სასოფლო-სამეურნეო დარგების მიხედვით შეიქმნა მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და მცენარეთა დაცვის, ერთწლიანი კულტურების, მეაბრეშუმეობის, მეცხოველეობის, მექანიზაციისა და დამზადების 7 კომისია. თითოეული მათგანი აერთიანებდა 5-8 კაცს, სულ 58 სპეციალისტს (სპა, ფ.2341, ს.75, ფურც.48). კომისიებში გაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანებულ სოფლის თითქმის ყველა სპეციალისტს მთავარი ყურადღება გადაჰქონდა არა შრომის ორგანიზაციისა და პროდუქტების წარმოების რეზერვების გამოვლენაზე, არამედ სამუშაოთა მიმდინარეობისათვის კონტროლის დაწესებასა და პარტკომის სხდომებისათვის საკითხების მომზადების საქმეზე.

მთავარი კი იყო არა კომისიები და კონტროლის ფართო ქსელის დამკვიდრება, არამედ შრომაში ჩაბმული ადამიანებისათვის თავისუფლების მინიჭება, მატერიალური დაინტერესების ახალი ფორმების გამოვლენა, კერძო ინიციატივის წახალისება, რაზედაც მაშინ არავინ ფიქრობდა. სწორედ ამის გამო კომისიები უძლურნი იყვნენ პროდუქციის წარმოებასა და ხარისხზე რაიმე გავლენა მოეხდინათ. რის გაკეთება შეეძლო, მაგალითად, სოფელში 1982 წელს შექმნილ ხარისხის მართვის კომისიას, რომელიც ბრიგადებსა და რგოლებს ჩაის კრეფისათვის ანიჭებდა ხარისხის ნიშნებს (სპა, ფ.2341, ს.84, ფურც.26). იქმნებოდა პარადოქსული სიტუაცია, კრეფდნენ უხეშ (უხარისხო) ჩაის ფოთოლს, ხარისხის ნიშნებს კი შეუზღუდავად "არიგებდნენ", ჯილდოებს არ იშურებდნენ. ყველაფერში ასე ინერგებოდა "ზემოდან" დაშვებული მითითებები, მიწერებისათვის იქმნებოდა ნოყიერი ნიადაგი, სოფელი კი უძლური იყო რაიმე ეღონა და საერთო დინებას მიჰყვებოდა.

კომისიებს დაევალათ აგრეთვე სპეციალურ ჟურნალებში აღერიცხათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები. სოფლის მშრომელთა ყრილობის (1983 წლის) გადაწყვეტილებით კომისიების რეკომენდაციების გარეშე უდისციპლინო კოლმეურნეებს არ დაენიშნებოდათ პენსიების დანამატი, არ მიეცემოდათ პრემიები ან რაიმე ჯილდო (ოსა, ფ.35, ს.797, ფურც.16,33). კომისიები იქცნენ თანამდებობის პირებისათვის პასუხისმგებლობის აცილების თავისებურ შირმად.

კომისიების სიმრავლე დისციპლინის დარღვევაზე გავლენას ვერ ახდენდა. მაგალითად, 80-იანი წლების დასაწყისში სოფელში მოქმედებდა "ნორჩ მილიციელთა რაზმი", "ნორჩ ძერჟინსკელთა კლუბი", "წესრიგის დაცვის კომისია", "წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ მებრძოლი შტაბი", მაგრამ ამით დისციპლინის დარღვევები არ შემცირებულა. მდგომარეობას ვერ ცვლიდა პარტკომის მიერ სხვადასხვა სხდომაზე საკითხის ხშირი განხილვა, "საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალური თანაცხოვრების წესების დაცვისათვის გაწეული მუშაობის შესახებ" ანგარიშების მოსმენა. მსგავსი რაზმების, კლუბების, საბჭოების, კომისიების თუ შტაბების შექმნით, უთვალავი ღონისძიებების გატარებით პრობლემები არ წყდებოდა. იყო ცდა ამ პროცესში აქტიურად ჩაერთოთ აგრეთვე ამხანაგური სასამართლო, რომელსაც უნდა დაეცვა სოციალისტური კანონიერება, ოპერატიული რეაგირება მოეხდინა დარღვევებსა და შეცდომებზე. მაგრამ, მის მუშაობაში შეინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იშნებოდა უფლებების გადაჭარბება, სახალხო სასამართლოს მუშაობის სტილის დამკვიდრება. ხშირად გადაწყვეტილების ნაცვლად გამოჰქონდათ განაჩენი. ამხანაგური სასამართლო იჭრებოდა კოლმეურნეობის გამგეობის ფუნქციებში.

საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების მიზნით 1973 წლიდან მოქმედებდა ოპერატიული ჯგუფი, რომელიც აერთიანებდა სოფლის "სამეულს" -- კოლმეურნეობის თავმჯდომარეს (პ.ბელიქანიძე), პარტორგანიზაციის მდივანსა (დ.ქღენტი) და სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს (ა.მუჯირი), აგრეთვე მათ წარმომადგენლებს (ო.ქილიფთარი, ვ.ანთაძე, ბ.ქარჩავა) (სპა, ფ.2341, ს.58, ფურც.19). ჯგუფს დაეკისრა უცნაური ფუნქციები -- გამოეელინა და მოეგვარებინა კონფლიქტები ოჯახებში და მეზობლებს შორის. მასვე უნდა დაედგინა სკოლიდან განთესილი მოსწავლეები, საკოლმეურნეო შრომის დეზერტირები, ხულიგნური მიდრეკილების მქონე პირები, ცეცხლმსროლელი იარაღის მატარებელნი, დანაშაულთა და შეცდომათა მიზეზები, სასარგებლო შრომაში ჩაებათ დამნაშავეები.

ოპერატიული ჯგუფის პარალელურად მოქმედებდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები, რომელიც 93 კაცს აერთიანებდა (იქვე). მათ დაეკისრათ ზემოჩამოთვლილი ფუნქციების ნაწილი. ადგილი ჰქონდა დუბლირებას. გატარებული ღონისძიებები იძლეოდა მხოლოდ დროებით ეფექტს და მდგომარეობას რადიკალურად ვერ ცვლიდა. ახლად შექმნილი ჯგუფები და რაზმები, ისევ და ისევ ღებულობდნენ დადგენილებებს, რეზოლუციებსა და მიმართვებს, მაგრამ ჩანაფიქრი არ ხორციელდებოდა, მდგომარეობა რადიკალურად არ უმჯობესდებოდა. ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნებოდა, რომ საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ ოპერატიულ ჯგუფებს ისეთი ფუნქციები ეკისრებოდათ (საოჯახო კონფლიქტების მოგვარება, დანაშაულის მიზეზთა დადგენა), რომელთა შესრულება მათ არ შეეძლოთ. მაგრამ, ქვეყანაში დაკანონებული წესის მიხედვით, კომისიების დაარსებით იქმნებოდა მდგომარეობის რადიკალურად შეცვლის შთაბეჭდილება, ხდებოდა ზემოდან მიღებულ მითითებათა შესრულების დემონსტრირება.

მართლაც, სოფლის ხელმძღვანელობა ენერგიას არ ზოგავდა ბოლო მოეღო უდისციპლინობისათვის, დაეცვა მშრომელთა ინტერესები, აემაღლებინა მათი ცხოვრების დონე. მაგრამ ამას მხოლოდ ნაწილობრივ ახორციელებდა. მას, ბუნებრივია, არ შეეძლო შეეცვლა პოლიტიკური სისტემა, მტკიცედ ფესვგადგმული მართვის ფორმები და მეთოდები, დაეძლია მომძლავრებული ნეგატიური მოვლენები.

მისასალმებელია, რომ ასეთ პირობებში ხდებოდა სოფლის აქტივის მობილიზება, უდისციპლინოთა წინააღმდეგ გარკვეული საზოგადოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივი აზრის შექმნა. ამასვე ისახავდა მიზნად საზოგადოებრივი-წესრიგის დამცველი რაზმი, რომელიც მორიგეობდა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, ავლენდა უსაქმურებს, საკოლმეურნეო ქონების დამტაცებლებს, ლოთობის შემთხვევებს (სპა, ფ.2341, ს.42, ფურც.39,72). მაგრამ ყოველივე ამას ჰქონდა კამპანიური ხასიათი, რაზმები თუ შტაბები იქმნებოდა "ზემოდან" დაშვებული მითითებებით. ამიტომ ეფექტიც შესატყვისი იყო. "მოჯადოებული წრის" გარღვევა არ ხერხდებოდა, ხოლო კომისიები კვლავ იქმნებოდა. 1985 წლის 25 მარტს ასე შეიქმნა -- "საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში თავის ამრიდებელთა წინააღმდეგ მებრძოლი კომისია" 9 კაცის შემადგენლობით: ე.გიორგაძე (თავმჯდომარე), ნ.კომახიძე, დ.ჟღენტი, ა.დოლიძე, ზ.არობელიძე, ლ.მარშანიშვილი, ზ.თოიძე, მ.მალაზონია, ბ.ქათამიძე.

კომისიას დაევალა გულდასმით შეესწავლა ოჯახების თითოეული წევრის შრომითი საქმიანობა, სოფელში მცხოვრებ ჩაუწერელ პირთა ვინაობა, ჩამოსვლის მიზანი და სხვა. იმავე წლის სექტემბერში არსებულ კომისიას დაემატა ადმინისტრაციული საქმიანობისადმი კონტროლის კომისია. კომისიების სიმრავლე ართულებდა საქმეს, ბოჭავდა ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას, ქმნიდა ხელოვნურ სიძნელეებს, უარყოფით გავლენას ახდენდა შრომით ატმოსფეროზე, აცდენდა ადამიანებს, ქმნიდა დაძაბულობას, საბოლოო ჯამში ვერ აძლევდა სათანადო ეფექტს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კომისიების ძირითადი დანიშნულება იყო ხელმძღვანელი ორგანოების ინტერესების დაცვა და არა ზრუნვა სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე.

"კომისიობანობით" გატაცების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 1969 წელს თვით სოფლის საბჭოსთან შექმნილი 4 კომისია: სასოფლო-სამეურნეო, საფინანსო-საბიუჯეტო, საგზაო, კულტურულ-საგანმანათლებლო და წესრიგის დაცვისა (ოსა, ფ.35, ს.367, ფურც.6). კომისიები იქმნებოდა გამგეობასთან, პარტიულ და კომკავშირულ კომიტეტებთანაც, ნებისმიერ ორგანიზაციასა თუ ორგანოსთან.

ხშირად კომისიებს ეძლეოდათ დავალებები, რომლებიც აღემატებოდა მათ კომპეტენციასა და ძალებს.ასეთი ფუნქციები დაეკისრა რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების კომისიას (თავმჯდომარე ს.ჩხაიძე), რომელსაც უნდა აღმოეფხვრა ჩაის, ციტრუსებისა და ხეხილის მეჩხერიანობა, ყამირ მიწებზე გაეშენებინა მაღალშემოსავლიანი კულტურები, აეთვისებინა ახალი სათესი ფართობი, აემაღლებინა საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა, ეკონომიკური რესურსების ეფექტიანობა, კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი. უკეთეს შემთხვევაში ამ ამოცანების გადაწყვეტა შეეძლო სოფლის მართვის მთელ აპარატს, ბრიგადირებისა და მერგოლურთა ჩათვლით და არ წარმოად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენდა რომელიმე კომისიის კომპეტენციას, არ შედიოდა მის ფუნქციებში, აღემატებოდა მათ უფლებამოსილებას.

შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით კოლმეურნეობაში მკაცრად დამკვიდრდა შრომადღეების მინიმუმი, რომლის შეუსრულებლობისათვის პიროვნება მკაცრად ისჯებოდა. კერძოდ, 1941 წლის 18 მარტს საერთო კრებამ კოლმეურნეობიდან გარიცხა კასიანე ტოტოჩავა, რომელსაც კუთვნილი მიწის ნაკვეთი ჩამოერთვა. კრების დადგენილებაში ჩაიწერა: "მან შეიძინა ორი ძროხა და მუშა ცხენი, ტაჭკით დადის სხვადასხვა სამუშაოზე" (სპა, ფ.2341, ს.11, ფურც.4). ორი ძროხის და ცხენის ყოლა მაშინ დანაშაულად ითვლებოდა, რაც ფაქტიურად მოასწავებდა სოფლის გაწირვას ჩამორჩენილობის, "გათანაბრებისა" და "გასაშუალებისთვის". უბედურება ისიც იყო, რომ დაზარალებული მოქალაქე სოფელში მორალურ მხარდაჭერასაც ვერ პოულობდა, მის ირგვლივ იქმნებოდა ბოიკოტის ატმოსფერო. ასეთი გლეხი იძულებული იყო ბედს შერიგებოდა, შევიწროვების, დამცირებისა და დაცინვის ობიექტი გამხდარიყო.

საკარმიდამო ნაკვეთების დაკარგვის შიშით ბევრი იძულებით ებმებოდა საკოლმეურნეო შრომაში, რაც ეფექტს არ იძლეოდა. კიდევ მეტი, სწორედ ასეთი მეთოდი ხდებოდა დისციპლინის დარღვევის ერთერთი მიზეზი.

დისციპლინის განმტკიცებას სამართლიანად უკავშირებდნენ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გამომუშავებას, კოლმეურნეობის წამყვანი დარგების განვითარებას. გურიანთაში ცოტანი იყვნენ ისეთები, რომლებიც სავალდებულო მინიმუმის ნორმებს არ ასრულებდნენ. 1949 წელს სავალდებულო მინიმუმი არ გამოიმუშავა 9 კოლმეურნემ, 1952 წელს -- 17-მა, 1956 წელს -- 48-მ, 1957 წელს -- 27-მა, 1969 წელს -- 20-მა, 1973 წელს -- 68-მ, ხოლო 1975 წელს -- 53-მა კაცმა (სპა, ფ.2341, ს.47, ფურც.23; ს.63, ფურც.120; ს.89, ფურც.52; ოსა, ფ.61, ს.44, ფურც.92, ს.60, ფურც.3-4; ს.77, ფურც.50-51; ს.82, ფურც.8. ს.288, ფურც.3). იყო სამუშაოთა უნებართვოდ მიტოვებისა და "გაუჩინარების" შემთხვევებიც (სპა, ფ.2341, ს.89, ფურც.52).

ისეთი დიდი კოლმეურნეობისათვის, როგორიც იყო გურიანთა, ზემომოტანილი მაჩვენებლები უფრო მაღალ დისციპლინაზე მიუთითებს, ვიდრე მისი დარღვევების საგანგაშო მდგომარეობაზე.

სავალდებულო მინიმუმის გამომუშავების ცვალებად მაჩვენებლებს მრავალი მიზეზი განაპირობებდა. მასზე გავლენას ახდენდა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება (წლების მიხედვით იცვლებოდა), მინიმალური სამუშაო პირობების შექმნა, საველე სასადილოების მოწყობა და სხვა ფაქტორები, მაგრამ უფრო არსებითი ხასიათის მიზეზებს განეკუთვნებოდა მოსახლეობის დამოკიდებულება საკოლმეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეო შრომისადმი, მეზობლებთან თანადგომისა და თანასოფლელთა ბედის გაზიარების, ჭაპანის ერთად გაწევის უნარი, ამ პრინციპის დამრღვევთა წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნა.

საერთოდ სავალდებულო მინიმუმის ზემომითითებული მაჩვენებლები საგანგაშო როდი იყო. ამაში ვრწმუნდებით წლების მიხედვით კოლმეურნეთა საერთო რაოდენობასთან მისი შედარებით. 1949 წელს კოლმეურნეთა რიცხვი უდრიდა 1527, 1963 წელს -- 1859, ხოლო 1975 წელს -- 2071 (გურიანთის კოლმეურნეობის ბუხჰალტერიის სტატისტიკური მასალები). მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლმეურნეთა აბსოლუტური უმრავლესობა ასრულებდა სავალდებულო მინიმუმს.

სურათი შეიცვალა 80-იანი წლებისათვის. 1981 წელს 745 კოლმეურნემ გამოიმუშავა 162 ათასი კაცდღე, აქედან შრომისუნარიანმა (564) -- 111 660 კაცდღე. საშუალოდ ერთი შრომისუნარიანი მუშახელის გამომუშავება 18,6 კაცდღეს აღწევდა (ოსა, ფ.61, ს.338, ფურც.3). ასეთი დაბალი მაჩვენებლები ასახავდა საკოლმეურნეო შრომისადმი გაუცხოების მკაფიოდ გამოხატულ ტენდენციას.

შრომის სტიმულზე უარყოფით გავლენას ახდენდა გადასახადებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმის სისტემატური ზრდა. 1955 წელს კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო გადასახადმა შეადგინა 220 ათასი მანეთი, რძის ჩაბარების გეგმამ -- 13 246 ლიტრი, კვერცხისამ -- 15 675 ცალი. მომდევნო წელს გადასახადი გაიზარდა 20 პროცენტზე მეტით და 280 ათას მანეთს მიაღწია, ხორცისა -- 8118 კგ-ს. კოლოსალური თანხა -- 651 026 მანეთი შეადგინა საშემოსავლო გადასახადმა. გეგმას "უშვებდნენ" ყველაფერზე. სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ პირუტყვის ტყავი -- 31, მათ შორის მსხვილფეხა საქონლისა -- 12 ცალი (ოსა, ფ.35, ს.121, ფურც.4-5; ს.136, ფურც.5). ტყავ-ნედლეულთან ერთად სოფელს შეწერილი ჰქონდა ნადირ-ბეწვეულის გეგმაც.

კიდევ მეტი, კოლმეურნეობას ავალებდნენ უსასყიდლოდ მოეგიდათ დონორები. 1984 წელს მათი რიცხვი გურიანთაში გაიზარდა 36-მდე, ხოლო სისხლის ჩაბარება 7 ლიტრამდე (კოლმეურნეობის მიმდინარე არქივი, გამგეობის 1984 წ. 2 თებერვლის სხდომის მასალები).

გეგმებისა და გადასახადების ზრდის პირობებში, კოლმეურნეობა ახერხებდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, შემოსავლის ზრდას. სულ უფრო იზრდებოდა შეძლებულ გლეხთა რაოდენობა, მატულობდა ფულადი დანაზოგი. 1960 წელს მეანაბრეთა რაოდენობამ 700-ს მიაღწია (იქვე, ს.186, ფურც.49). თუმცა ეს ციფრი ვერ ასახავდა სრულ სურათს. მაჩვენებელს მეორე მხარეც აქვს. არ ხერხდებოდა ფულის დასაქონლება, სასურველი ავეჯის, საშენი მასალებისა და სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეწველო საქონლის შეძენა. ანაბრებზე ფულის შეტანა, ამ შემთხვევაში, იმდენად შეძლებულობის გამომხატველი როდი იყო, რამდენადაც ქვეყნის შედარებით დაბალი ეკონომიკური პოტენციალისა და სამრეწველო საქონლის სიმცირისა.

ცნობილია, რომ გურიანთაში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას გარკვეულად აფერხებდა მიწის სიმცირე. ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე საშუალოდ მოდიოდა 0,45 ჰექტარი, ნატანებში -- 0,7, შრომაში -- 0,6. მით უფრო გაუმართლებლად მიგვაჩნია გურიანთაში საკარმიდამო ნაკვეთებიდან პატარ-პატარა "ნაჭრების" ჩამორთმევა. 1970 წელს 29 კომლს ჩამოართვეს 4,24 ჰექტარი, 1971 წელს 30 კომლს -- 7,7 ჰექტარი. "ზედმეტი" მიწების 2,1 ჰექტარი "ჩამოაჭრეს" აგრეთვე 6 კომლს, რომელიც მომსახურეთა კატეგორიას მიაკუთვნეს (ოსა, ფ.61, ს.203, ფურც.4; ს.219, ფურც.5).ჩამორთმეული ნაკვეთები კვლავინდებურად ჩანაგდებოდა, "უპატრონოდ" რჩებოდა და უმნიშვნელო მოსავალს იძლეოდა. ამ შემთხვევაში კვლავ მოქმედებდა პრინციპი -- "ოღონდ მან არ ისარგებლოს და თუნდაც ნურავინ ნუ ისარგებლებს". სამწუხაროდ, ასეთი ტენდენცია ინერგებოდა ყველაფერში, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია სოფლის მთელი ეკონომიკის განვითარებაზე, ადამიანთა შორის ურთიერთობებზე, კერძო ინიციატივაზე.

საკარმიდამო ნაკვეთების აზომვისა და გადამოწმების ტენდენცია გაძლიერდა 50-იან წლებში, გახშირდა დასმენები და საჩივრები, ფეხი მოიკიდა უნდობლობამ, მიდრეკილებამ მეზობელს არ ესარგებლა არცერთი გოჯი "ზედმეტი" მიწით ("მე თუ არ მაქვს, არც მას ჰქონდესო"). არქივებში დაცულია არაერთი ასეთი საჩივარი თუ დასმენა. მდგომარეობის სიმწვავეზე მიუთითებს ისიც, რომ 1953 წელს მცირედი საკოლმეურნეო ფართობის სარგებლობისათვის სასამართლოში გადასცეს რამდენიმე თანასოფლელი (ოსა, ფ.61, ს.66, ფურც.13). გვარებს აქაც შეგნებულად არ ვასახელებთ.

საერთო-საკავშირო ორგანოების მიერ დადგენილი წესებიდან რაიმე გადახვევებს საგანგებოდ განიხილავდნენ. ახლა ყველასათვის ნათელია, რომ საკარმიდამო ნაკვეთების გეგმაზომიერმა შემცირებამ დ სხვა შეზღუდვებმა სოფელი კრიზისამდე მიიყვანა. ნორმალურად არც ის უნდა ჩაითვალოს, რომ 1986 წლის მონაცემებით, 640 კომლს პირად საკუთრებაში ჰქონდა 191,58 ჰექტარი მიწა, მათ შორის სახნავ-სათესი -- 18, ჩაის პლანტაცია -- 72, ვენახი -- 4, ხეხილის ბაღი -- 31,42, ციტრუსები -- 26, ნაგებობანი -- 13,7 ჰექტარი (სპა, ფ.2341, ს.90, ფურც.94). დასანანია, რომ უპატრონოდ მიტოვებული მიწის მცირე ნაკვეთების, გამოუყენებელი ფართობის სარგებლობისათვის ადამიანები ისჯებოდნენ და საჯაროდ იკიცხებოდნენ. ასეთი იყო საბჭოთა კავშირში მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედი ულმობელი კანონი, რომელიც ბოჭავდა გლეხის ინიციატივას, მიაჯაჭვავდა ბაზარზე. ამას ემატებოდა გაუთავებელი კამათი, კომისიების გამოყოფა, საკითხების კრებებზე გატანა, შურის გაღვივება და კონფლიქტები.

უფრო მკაცრად ექცეოდნენ იმ თანასოფლელებს, რომლებიც ქალაქებში მუშაობდნენ. 1980 წელს მიწები ჩამოერთვათ მუშა-მოსამსახურეებს: რ.სალუქვაძეს, კ.კომახიძეს, ნ.თევზაძეს, თამაზ და ნოდარ მურუსიძეებს (ოსა, ფ.35, ს.718, ფურც.4). ადამიანებს ასე ესპობოდათ სოფელში დაბრუნების იმედი, ხოლო მათ შთამომავლებს ქალაქში მუდმივი ცხოვრება "ესჯებოდა". მიწის პრივატიზაციამ ბოლო უნდა მოუღოს ასეთ უსამართლობას, შექმნას ქალაქის სოფელთან მჭიდრო კავშირის ნორმალური პირობები.

საქართველოს გასაბჭოების მთელ პერიოდში საზოგადოებრივი საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლა გამოცხადდა შეუვალ პრინციპად. გურიანთაში ამ მიზნით სხვადასხვა პერიოდში იქმნებოდა კომისიები, რაზმები თუ ჯგუფები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ დაეცვათ საზოგადოებრივი საკუთრება. 1979 წელს სოფელში შეიქმნა "საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის პროფილაქტიკური ჯგუფი" (ხელმძღვანელი ს.ჩხაიძე). გამოვლინდა საკოლმეურნეო საკუთრების დატაცების არაერთი შემთხვევა, რომელსაც ადამიანთა გარკვეული ჯგუფი თანაუგრძნობდა კიდეც. ასეთ პირობებში უაღრესად ძნელი გახდა ფაქტების გამოვლენა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, მიმდინარე პროცესებზე არსებითი ზეგავლენის მოხდენა.

გლეხი თავისი ბუნებით არის რა კერძო მესაკუთრე, რუდუნებით იცავს იმას, რაც პირადად მას და მის ოჯახს ეკუთვნის, საზოგადოებრივი (საკოლმეურნეო) საკუთრების დაცვა მისი შინაგანი მოთხოვნილება არ გამხდარა. კიდევ მეტი, ზოგიერთი საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებას, ყოვლად უსაფუძვლოდ, ამართლებდა კიდეც. იქნება, სწორედ აქ აისახა საკოლმეურნეო საკუთრებისადმი გლეხების უმრავლესობის შეუგუებლობა. სოციალიზმის პირობებში ასე ყალიბდებოდა გლეხის ფსიქოლოგია. ეს მწარე სინამდვილე მრავლისმეტყველია და მკვლევართა სპეციალური შესწავლის საგნად უნდა იქცეს.

საზოგადოებრივი მეურნეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას საკოლმეურნეო ნაკვეთებზე გაცილებით ნაკლები მოსავლის მიღება, ვიდრე საკარმიდამო სექტორზე. აქ მოჰყავდათ თითქმის სამჯერ მეტი სიმინდი და ციტრუსი, კრეფდნენ ორჯერ მეტ ჩაის ფოთოლს. იგივე ითქმის სოფლის მეურნეობის ნებისმიერ კულტურასა და დარგზე, განსაკუთრებით მეცხოველეობასა და მებოსტნეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მძლავრ საშუალებად მიიჩნევდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას. იგი ითვლებოდა აგრეთვე საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად. სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, მისი ეფექტიანობის ამაღლება და ამ მოძრაობაში ფართო მასების ჩაბმა იყო სოფლის თავკაცთა, განსაკუთრებით პარტიული ორგანიზაციის მუდმივი ზრუნვის საგანი. სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას ყურადღება ეთმობოდა საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა კი მიენიჭა 70-იანი წლებიდან. 1973 წელს შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური კომისია, რომელიც წარმართავდა შეჯიბრებასთან დაკავშირებულ მთელ მუშაობას. სოციალისტური შეჯიბრების სწორ ორგანიზაციას ხელი უნდა შეეწყო კოლმეურნეთა თაოსნობისათვის, ახალი წამოწყებებისათვის, შრომითი აქტიურობისათვის.

შეჯიბრებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გურიანთაშიც. იმავე წელს შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისია ათი კაცის შემადგენლობით (თავმჯდომარე დ.ჟღენტი). გურიანთა შეჯიბრებაში ჩაება უკრაინის გენიჩესკის რაიონის ხერსონის ოლქის აზოვის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებთან, აგრეთვე ზუგდიდის რაიონის 22-ე ყრილობის სახელობისა და მახარაძის რაიონის სოფ.მახარაძის კოლმეურნეობასთან.

სოფელში შემუშავებული სოციალისტური შეჯიბრების დებულების მიხედვით მემინდვრეობის ბრიგადებისათვის დაწესდა გარდამავალი დროშები და ფულადი ჯილდოები.პირველი ადგილისათვის დაწესდა რაიონის გარდამავალი წითელი დროშა და 200 მანეთი, მეორე ადგილზე გამოსულს გადაეცემოდა გურიანთის კოლმეურნეობის გამგეობის, პარტორგანიზაციისა და პროფკავშირების გარდამავალი წითელი დროშა და 150 მანეთი, მესამე პრემიით დაჯილდოვებული მიიღებდა ვიმპელსა და 100 მანეთს. დამახასიათებელია, რომ დაჯილდოვებისას მხედველობაში ღებულობდნენ საზოგადოებრივი წესრიგის მაჩვენებლებს (სპა, ფ.2341, ს.58, ფურც.25). პრემიები არ მიეცემოდათ წესრიგის დარღვევებში შემჩნეულ ბრიგადებს. ამ წესმა დადებითი როლი შეასრულა დისციპლინის განმტკიცებასა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში. ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სოციალიზმის პირობებში შეჯიბრებას ენიჭებოდა გაზვიადებული მნიშვნელობა, სინამდვილეში იგი ემსახურებოდა ადამიანთა "ქანცის გამოცლას", დაძაბული შრომის ორგანიზაციას, გლეხი კაცის შესაძლებლობის მაქსიმუმის მიღებას, უშრეტი ენერგია კვლავ დაუზოგავად ეწირებოდა სახელმწიფო გეგმების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ შეჯიბრების ფორმები იცვლებოდა. პირველ ხუთწლედში მისი ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იყო დამკვრელობა, მეორეში -- სტახანოვური მოძრაობა. დიდი სამამულო ომის შემდეგ უპირატესობა მიენიჭა დარგობრივ სოციალისტურ შეჯიბრებას. გურიანთაში იგი პირველ რიგში მეჩაიეებსა და მესიმინდეებს შორის გაიშალა.

60-70-იან წლებში ქვეყანაში ფართო გავრცელება ჰპოვა კომუნისტური შრომის მოძრაობამ, რაც ფორმალიზმის თავისებურ მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც ჩვენი ისტორიის ნაწილია. კომუნისტური შრომის მოძრაობა გურიანთაში 60-იან წლებში დაიწყო. 1970 წლის მაჩვენებლებით კომუნისტური შრომითი კოლექტივის სახელი მიენიჭა მე-5 და მე-8 ბრიგადებს, მე-3 ბრიგადის მე-5 რგოლს, დამკვრელისა -- 140 კაცს. სულ კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებას ატარებდა 260 კოლმეურნე, მათ შორის 120-ს ეს წოდება მიენიჭა 1969 წელს. გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა შეჯიბრებაში გამარჯვებულ მე-6 ბრიგადას, რომელსაც კ.ქათამიძე ხელმძღვანელობდა (სპა, ფ.2341, ს.56, ფურც.43-45).

1979 წელს, რაიონში პირველად, შეჯიბრება-კონკურსს -- "კომუნისტური შრომის ოჯახის" წოდების მოსაპოვებლად სათავე გურიანთაში დაედო. მსგავსმა მოძრაობამ, მალე მრავალი სოფელი მოიცვა. შეჯიბრება პროპაგანდას უწევდა კომუნიზმის იდეებს და არ პასუხობდა მოსახლეობის საერთო განწყობილებას, აღიქმებოდა "კომუნიზმის" მშენებლობის ხელოვნურ დაჩქარებად და ეხმაურებოდა ნიკიტა ხრუშჩოვის უტოპიურ მოწოდებას 1980 წლისათვის კომუნიზმის აშენებისა და ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებაში აშშ-თვის გასწრების შესახებ. ამის გამო მაშინ გურიაში ანეკდოტიც შეთხზეს. "ნამეტანს ნუ გავუსწრებთ, თორემ დახეული შარვალი გამოგვიჩნდებაო". აი, როგორ აღიქვამდა მოსახლეობა კომუნიზმში შესვლის ნაჩქარევ პროგრამებსა და მოწოდებებს.

კომუნისტური შრომის შეჯიბრების ხელოვნური ხასიათის მიუხედავად, გამარჯვებულთა შორის გამორჩეულებიც იყვნენ. მაგალითად, 1979 წელს გაიმარჯვა აკაკი თოიძის ოჯახმა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ სოფელში. ოჯახს სრულიად დამსახურებულად გადაეცა წითელი დროშა და 200 მანეთი ფულადი პრემია, რიგგარეშედ გამოეყო მსუბუქი ავტომანქანა (სპა, ს.75, ფურც.80). მაგრამ, "კომუნისტური შრომის მოძრაობა" ისევე გამოგონილი იყო, როგორც "კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა და ვადები".

ამავე პერიოდში ფართოდ დაინერგა აგრეთვე ლენინური შაბათობები, იქმნებოდა კომისიები, რომლებიც ყოველი წლის 22 აპრილს -- ლენინის დაბადების დღეს, ატარებდა ტრადიციად ქცეულ შაბათობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომუშავებული თანხები გადაეცემოდა ხუთწლედების ფონდს. 1979 წელს ფონდში ჩაირიცხა 800 მანეთი, ხოლო 1975 წელს -- 1337 მანეთი ("ლენინის დროშა", 1972 წლის 18 აპრილი, 22 აპრილი). შაბათობაში მონაწილეობდა შრომისუნარიანი მთელი მოსახლეობა. ერთ-ერთი უკანასკნელი ასეთი შაბათობა ჩატარდა 1986 წელს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 564 კაცმა. მშვიდობის დაცვის ფონდში ჩაირიცხა 1880 მანეთი (სპა, ფ.2341, ს.90, ფურც.18).

შაბათობები, როგორც წესი, ტარდებოდა "ზემოდან" მითითებებით, იძულებითი წესით. დრო იფლანგებოდა, ეფექტი კი გაცილებით მცირე იყო, ვიდრე ოფიციალურად ცხადდებოდა. შაბათობები შემოიფარგლებოდა კოლმეურნეობის გამგეობის შენობის შემოგარენის დასუფთავებითა და ნერგების დარგვით. ასე იქცა იგი მიწერებისა და ყალბი ინფორმაციის "დამატებით" ფაქტორად.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება მშენებლობასა და სოფლის კეთილმოწყობას. ეს განსაკუთრებით ითქმის ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზის მშენებლობაზე, რომელიც გაიშალა 1922 წელს. რკინიგზის კვანძის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოზურგეთის მაზრის სოფლებმა, მათ შორის გურიანთის მოსახლეობამ. აქ ყოველდღიურად მუშაობდა სხვადასხვა სოფლების 300 გლეხი და გამოჰყავდათ ამდენივე ურემი (იქვე, ფ.1, ს.1, ფურც.9), რამაც უზრუნველყო მშენებლობის დაჩქარება. იგი აშენდა ერთ წელსა და ოთხ თვეში და დასრულდა 1923 წლის დეკემბერში, რაც მაშინდელი პირობებისათვის სარეკორდო იყო. მშენებლობაზე ფართო მასების უანგარო მონაწილეობამ განაპირობა აგრეთვე რკინიგზის მშენებლობის სიიაფე, დახარჯული თანხის სიმცირე. ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზის ერთი ვერსის გაყვანა დაჯდა ომამდელი ოქროს 10 092 მანეთი და 62 კაპიკი. კახეთის რკინიგზის მშენებლობის, რაც დაახლოებით იმ პერიოდში მიმდინარეობდა, ერთ ვერსზე დაიხარჯა 53 ათასი მანეთი (კ.ტოტოჩავა, საქართველოს სსრ ტრანსპორტის ისტორია, თბ., 1973, გვ.138).

ეს პირველ რიგში განაპირობა შრომის ამ ურთულეს პროცესში გურული გლეხობის მასობრივმა უსასყიდლო ჩაბმამ, მათმა მისწრაფებამ გაეფართოებინათ კავშირი საქართველოს სხვა რეგიონებთან, ჰქონოდათ მიმოსვლის ყველაზე საიმედო საშუალება.

ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზის გაყვანას უდიდესი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ასე აღიქვამდნენ მას აქაური მცხოვრებნი (არა მხოლოდ ისინი).

ასრულდა გურულების სანუკვარი ოცნება, ამიერიდან გაადვილდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რეგიონის მოსახლეობის დაკავშირება საქართველოს რაიონებსა და მის დედაქალაქთან, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სოფლის დაწინაურებისათვის, გაიხსნა რკინიგზის კახურის (გურიანთა) პლატფორმა, რომელიც აქაურ გლეხს უადვილებდა მთელ საქართველოსთან დაკავშირებას, ვაჭრობის განვითარებას, საქონელბრუნვის ზრდას. ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი როლი შეასრულა სოფლის ხელისუფალთა ოპერატიულობამ, პრობლემის გადაჭრის მნიშვნელობის გაცნობიერებამ.

ოციან წლებში დიდი ყურადღება დაეთმო სოფლის შარაგზების გაყვანასა და კეთილმოწობას. ამ მიზნით მობილიზებული იყო მთელი მოსახლეობა, გამწევი ძალა, შეგროვდა თანხები, გზის გაყვანას ეძლეოდა საზეიმო ხასიათი. აქ სამართლიანად მიაჩნდათ, რომ კეთილმოწყობილი გზა გახდებოდა სოფლის განვითარების, მისი კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი.

შარაგზების მშენებლობაში გადამწყვეტი როლი სოფლის საბჭოს უნდა შეესრულებინა, მაგრამ ეს არ ხერხდებოდა, რადგან მისი ბიუჯეტი შეზღუდული იყო და განათლებასა და თანამშრომელთა ხელფასს ხმარდებოდა. კერძოდ, 1952 წელს ბიუჯეტმა შეადგინა 71 400 მანეთი, აქედან განათლებაზე დაიხარჯა -- 60 ათასი მანეთი, დანარჩენი მოხმარდა მმართველობის აპარატის შენახვას, გზების მშენებლობისათვის არაფერი რჩებოდა, ბიუჯეტის სიმცირის გამო თვით თანამშრომლებს გაუმართლებლად მცირე ხელფასი ეძლეოდათ. 1949 წელს სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ღებულობდა 360 მანეთს. შედარებისათვის მივუთითებთ, რომ ბიბლეოთეკარის ხელფასი უდრიდა 450, კლუბის გამგისა -- 385, ხოლო საბჭოს მდივნისა -- 355 მანეთს (ოსა, ფ.35, ს.84, ფურც.1; ს.107, ფურც.1). თუ მხედველობაში მივიღებთ სოფლის საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, მაშინ მისი ხელფასი საოცრად დაბალი იყო და 1961 წლის ფულის რეფორმით 36 მანეთს უტოლდებოდა.

სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებისა და ფულადი შემოსავლის ზრდასთან შეფარდებით სოფლის საბჭოს ბიუჯეტი ნელა იზრდებოდა და 1960 წელს 96 400 მანეთი შეადგინა (იქვე, ს.199, ფურც.1). ამიტომ მცირე იყო მისი წვლილი სოფლის კეთილმოწყობაში. ამან განაპირობა შარაგზებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაში კოლმეურნეობის როლის ზრდა.იგი სისტემატურად გამოყოფდა დიდ თანხებს გზების გასაყვანად, ვაჭრობის, სამედიცინო და სოფლის კომუნალური მომსახურების გასაუმჯობესებლად, ნაგებობათა ასაშენებლად.

გზების გაყვანის დაჩქარებისა და უკეთ მოვლის მიზნით გურიანთა დაყვეს უბნებად, რომლებზეც მიამაგრეს ბრიგადები, რამაც უზრუნვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლყო გზების შეკეთება, ახალი მონაკვეთების გაყვანა და აღდგენა. ამან განაპირობა სოფლის შიდა გზების კეთილმოწყობა, ტვირთბრუნვისა და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადანაცვლება. გზების მშენებლობისა და დროული შეკეთების მიზნით გურიანთაში 1983 წელს გაიხსნა ასფალტის საამქრო (გამგე ვახტანგ ტოტოჩავა), რომელმაც გაზარდა მშენებლობის მასშტაბები, დააჩქარა ახალი გზების გაყვანა, შეკეთება, აამაღლა შრომისნაყოფიერება.

დაძაბულ საკოლმეურნეო შრომასთან ერთად გურიანთაში ახერხებდნენ ნაგებობათა მშენებლობას. ომის შემდგომ პერიოდში აშენდა კოლმეურნეობის გამგეობის კაპიტალური შენობა. სოფელი დაამშვენა კულტურის სახლმა, რომლითაც ბევრი რაიონული ცენტრი იამაყებდა. აქ ტრადიციად იქცა სკოლების შენობათა შეკეთება. ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი იყო კოლმეურნეთა შრომის პირობების შემსუბუქება. ამ მიზნით 1951 წელს აშენდა მწყემსების ბინა, მებოსტნეობის სახლი, ჩაის მიმღები ახალი პუნქტის (ციხისფერდში), სამკერვალოსა და საპარიკმახეროს შენობები, პლანტაციებში 16 თავშესაფარი ფარდული, ბრიგადების ოთახები, სასუქის საწყობები, სასიმინდეები, ადმინისტრაციული შენობის ოთახები, სხვადასხვა ღონისძიებათა ჩასატარებელი დარბაზი (ოსა, ფ.61, ს.57, ფურც.13) და სხვა ნაგებობანი.

სამშენებლო მასშტაბების ზრდის გამო 1973 წლიდან სოფელში დაწესდა ინჟინრის თანამდებობა (მიხეილ კვაჭაძე, შემდეგ ვახტანგ ტოტოჩავა).

1959 წელს ნასაკირალის სამკურნალო წყლების უბანში გურიანთამ ააშენა 5 ოთახიანი სახლი (წელიწადში 147 დამსვენებლისათვის), კურორტ ბახმაროზე 2 ფინური სახლი. მწყობრში ჩადგა ბავშვთა ბაგის შენობები (48 ბავშვისათვის), საკლასო ოთახი, ექსპლოატაციაში შევიდა საექიმო პუნქტი, სტომატოლოგიური კაბინეტი, ფიზკულტურის დარბაზი, საერთო საცხოვრებელი, მესაქონლეობის ფერმის კაპიტალური შენობა, ორი სასილოსე კოშკი, გარაჟი (ოსა, ფ.61, ს.90, ფურც.20; ს.93, ფურც.13) და სხვა.

მშენებლობის ტემპი გურიანთაში არც მომდევნო პერიოდებში შენელებულა. აქ კარგად ესმოდათ, რომ სოფლის იერსახეს ქმნის კარმიდამო, სახლები, კულტურული, სოციალური, სასოფლო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, ეკონომიკური დანიშნულების, ტრადიციებისა და ხსოვნისადმი მიძღვნილი ნაგებობანი. მშენებლობის მასშტაბებზე მიუთითებს 1980-1983 წლებში აგებული საბრძოლო დიდების მუზეუმი, ორი სავაჭრო მაღაზია, სასადილო, ხიდი მდინარე კუჩხაზე, სამი ელექტროწისქვილი, ორი კმ გზის მოასფალტება და სხვ. (ოსა, ფ.35, ს.795, ფურც.5).

დასანანია, რომ სოფელში უარი თქვეს წყლის წისქვილების მშენებლობაზე და კურსი აიღეს მხოლოდ ელექტროწისქვილების მოწ-

ყობაზე. ამ პროცესში ჩაერთო ოჯახებიც. ეს გასაგებიცაა, სოფლის ელექტრიფიკაცია ამის საშუალებას იძლევა. მაგრამ ისმის კითხვა, რამდენად გამართლებულია წყლის წისქვილების მშენებლობაზე უარის თქმა. ახლა საკამათოდ არ მიიჩნევენ, რომ ძნელად გასამართ წყლის წისქვილზე დაფქვილი სიმინდიდან უფრო გემრიელი მჭადი გამოდის. ამ სიამოვნებაზე უარი არ უნდა ვთქვათ, საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიციები ვამრავლოთ და დავიცვათ, მისასალმებელია, რომ ბოლო წლებში სოფელში წყლის ზოგიერთ წისქვილს საიმედო პატრონი გამოუჩნდა (ა.მალაზონია, ნ.მალაზონია, ი.კვერღელიძე, ჟ.მაჭარაშვილი და სხვ.)

მ ე ქ ა ნ ი ზ ა ც ი ა

კოლმეურნეობის მექანიზაციის შესახებ ზემოთ მოკლედ ნათქვამს დავუმატებთ, რომ 50-იანი წლების ბოლოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებით დაიშალა ემტსები, ტექნიკა კოლმეურნეობებმა იყიდეს. გურიანთამ შეიძინა 10 ტრაქტორი, ერთი კულტივატორი, სილოსის საჭრელი ორი მანქანა, ერთი ბულდოზერი. მომდევნო წლებში მანქანა-ტრაქტორთა პარკი ინტენსიურად იზრდებოდა ახალი მანქანებით, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით (ფარცხები, კულტივატორები, სასხურებელი და საფრქვევი აპარატები).

გურიანთის ტექნიკის მოვლა-პატრონობის, ტვირთის გადაზიდვისა და ნიადაგის დროულად დამუშავების პასუხისმგებლობა დაეკისრა ინჟინერ-მექანიზატორს (ვ.ურუშაძე), რომელიც უზრუნველყოფდა მანქანა-ტრაქტორთა ნორმალურ მუშაობას. დასანანია, რომ ძვირფასი ტექნიკა განიავდა იმათ თვალწინ, ვისი შრომისა და "ოფლის" ფასად ათეული წლების განმავლობაში იძენდნენ და ქმნიდნენ საერთო საკუთრებას.

ავტოპარკზე წარმოდგენას გვაძლევს მონაცემები: 1970 წელს ტრაქტორების რიცხვი გაიზარდა 17-მდე, ხოლო 1976 წელს 20-მდე. გარდა ამისა კოლმეურნეობის ავტოპარკი ითვლიდა 11 ავტომანქანას, მათ შორის 7 სატვირთოს, აგრეთვე 30 მისაბმელს (ოსა, ფ.61, ს.249, ფურც.3).

ტექნიკამ თანდათან "გამოდევნა" მუშა პირუტყვი. ანგარიში არ ეწეოდა მექანიზმების აღჭურვილობის დაბალ დონეს, მრავალდარგობრივ მეურნეობას, რელიეფს, მიწის მცირე მასივებს, სოფლის სპეციფიკას, გადააფასეს მანქანების პარკის მნიშვნელობა. გამწევი ძალის (მუშა პირუტყვი) მალე "ჩამოწერამ" მეურნეობას შეუქმნა მრავალი სიძნელე, შეაფერხა მისი განვითარება. ეს განსაკუთრებით ახლა იგრძნობა.

სოფლის ეკონომიკის განვითარებამ, მატერიალური შემოსავლის

ზრდამ, დიდძალი ტექნიკის შესყიდვამ, მშენებლობაში დაბანდებულმა თანხებმა შეცვალა წარმოების ძირითად საშუალებათა სტრუქტურა (შენობები, ნაგებობები, ტექნიკა, მრავალწლიანი ნარგავები). ამ მხრივ გურიანთის მაჩვენებლები რაიონის საშუალო მონაცემებზე უკეთესი იყო. 1962 წელს, 1952 წელთან შედარებით, რაიონის ერთ კოლმეურნეზე მოდიოდა 2,9-ჯერ მეტი წარმოების ძირითადი საშუალებები, გურიანთაში 3-ჯერ და უფრო მეტი (გაიზარდა 3336 პროცენტით). სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება გაიზარდა 303,9 პროცენტით. ამ უკანასკნელი მაჩვენებლებით გურიანთა ჩამორჩებოდა რაიონის საშუალო მაჩვენებლებს. წარმოების ძირითად საშუალებათა ზრდის ტემპი სახეების მიხედვით მოცემულია ცხრილში (მაჩვენებლები ათას მანეთობით):

	რაიონის კოლმეურნეობები					გურიანთის კოლმეურნეობა				
				% -ით 1962წ					% -ით 1969წ	
	1952	1958	1962	1952 შედარებით	1958 შედარებით	1952	1958	1962	1952 შედარებით	1958 შედარებით
სულ	13109	19325	45589	311,1	209,1	636	769	2112	332,1	274,1
შენობები, ნაგებობები, მრავალწლიანი ნარგავები	9167	15971	40536	442,2	253,8	464	592	1874	403,9	316,5
სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, ძრავები	204	332	1759	862,2	529,8	9	22	46	511,1	209,1
ინვენტარი და მოწყობილობანი	863	1452	428	49,6	29,5	48	62	72	150	115,1
სატრანსპორტო საშუალებები	592	840	630	105,4	75,0	30	38	43	143,3	113,3
პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი	1072	733	1799	167,8	245,4	43	32	49	113,9	153,1
მუშა პირუტყვი	1211	497	437	36,1	87,9	42	23	28	66,7	121,7

კოლმეურნეობის გამგეობის წლიური ანგარიშების მიხედვით ჩვენს მიერ შედგენილი ამ ცხრილიდან ჩანს, რომ გურიანთა რაიონის საშუალო მაჩვენებლებს უსწრებდა შენობების, ნაგებობათა და მრავალწლიანი ნარგავების, ინვენტარისა და მოწყობილობათა, სატრანსპორტო საშუალებათა ღირებულების პროცენტული მაჩვენებლებით, ხოლო ჩამორჩებოდა სხვა მონაცემებით.

სხვა წყაროებით ირკვევა, რომ წარმოების ძირითად საშუალებათა მიხედვით გურიანთის ერთი შრომისუნარიანი კოლმეურნის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცემები ბევრად ჯობია რაიონის საერთო მაჩვენებელს (1952, 1958, 1962 წლებში რაიონის მონაცემები შესაბამისად უდრიდა 1100, 1400 და 3800 მანეთს, გურიანთისა კი 1430, 1700 და 4600 მანეთს). სხვაობა დიდია, რაც განაპირობა აქ გაშლილმა მშენებლობის მასშტაბებმა, ტექნიკაში დიდი თანხების დაბანდებამ, მრავალწლიანი ნარგავების ინტენსიურმა გაშენებამ. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას გარკვეულად აფერხებდა ელექტრიფიკაციის დაბალი დონე. 1950 წელს ელექტრიფიცირებული იყო რაიონის კოლმეურნეობათა მხოლოდ 23 პროცენტი. ეს პროცესი ძირითადად 60-იანი წლების ბოლოსათვის დასრულდა, თუმცა დღესაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის ელემენტარულ მოთხოვნებს. ამის ერთ-ერთი მიზეზია მცირე ელექტროსადგურების შენებლობის იგნორირება. ეს მაშინ, როცა საქართველოს წყლის რესურსების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით გამოირჩევა დასავლეთ საქართველო, რომლის წყლის რესურსები მთელი რესპუბლიკის რესურსების 77 პროცენტს ჭარბობს. ისიც ცნობილია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მდინარეთა ჩამონადენის 1,4 პროცენტი საქართველოზე მოდის. შედარებისათვის შეგვიძლია მივუთითოთ, რომ მისი ტერიტორია ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიის მხოლოდ 0,3 უდრის.სხვაობა თითქმის ხუთჯერ მეტია, თუმცა მან ასახვა ვერ ჰპოვა ენერგეტიკულ პოტენციალში, რომელიც ახლა მაინც უნდა ავამოქმედოთ და დავძლიოთ ენერგეტიკული კრიზისი.

ამრიგად, ომისშემდგომი პერიოდიდან 1991 წლის ბოლომდე კოლმეურნეობას არსებითი ხასიათის ცვლილებები არ განუცდია. აქ გამოვლენილი მრავალი ინიციატივა და თაოსნობა არ ცვლიდა სოფლის მეურნეობის დარგების სტრუქტურას, საკუთრების ფორმებს, შრომის ანაზღაურების წყაროებს, მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმს. გარდაქმნის პერიოდში (1985-1990 წლები) ძირითადად დაკავებული იყვნენ ექსპერიმენტებით. დაიწყო მერყეობისა და ლოდინის, "ზემოდან" დაშვებულ მითითებებამდე "ფეხის ათრევის" პოლიტიკა. ამიტომ, იჯარის დანერგვისა და კერძო ინიციატივის გამოვლენის ცალკეულ შემთხვევებს მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია. ამ პროცესებზე ვერც ეროვნულმა ხელისუფლებამ მოახდინა რაიმე სერიოზული გავლენა. 1992 წლიდან (გაზაფხული) დაიწყო მიწის პრივატიზაციის, კოლმეურნეობის დემონტაჟის პირველი ეტაპი, რომელსაც გურიანთის "კოოპერატივის" გაუქმება არ მოჰყოლია. დადგა ახალი, პროცესებისადმი ფრთხილი მიდგომის, კოლმეურნეობის მთელი ქონების პრივატიზაციის ეტაპი, რაც ქონების დატაცებაში გადაიზარდა და დაპირისპირების ახალ წყაროდ იქცა.

გურიანთის მცხოვრებთა არჩევანზე, ამჯერად, ნამდვილად იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოკიდებული სოფლის ბედი, მისი განვითარების პერსპექტივები, ეკონომიკური დაწინაურება, ადამიანთა უფლებების დაცვა, მიწის პატრონის დადგენა.

ახლა მთავარია ამ მეტად მტკივნეულმა პროცესმა არ გამოიწვიოს მეზობლებისა და ნათესავების დაპირისპირება და მტრობა, რაც მემკვიდრეობით შვილებსაც გადაეცემათ და სოფლისათვის ტრაგედიად იქცევა. ქონების გაყოფისას დაუშვებელია თვითნებობა, მიწების, ტექნიკის, ცხოველებისა და სხვა სიმდიდრეთა დატაცება, ტყეების გაჩანაგება, მკაცრად უნდა დავიცვათ ერთობლივი შრომით შეძენილი საკოლმეურნეო ქონების გაყოფის პრინციპი, უზრუნველვყოთ ერთნაირი "სასტარტო პირობები", მართალი ვიყოთ ერთმანეთისა და მომავალ თაობათა წინაშე.

დაბოლოს, ომის შემდგომი 46 წლიანი პერიოდის ისტორიის შედარებით მოკლედ წარმოჩენა განაპირობა პროცესების ერთგვაროვნებამ, კოლმეურნეთა სოფლის მეურნეობის ერთდაიმავე დარგებში დასაქმებამ, ერთფეროვანი შრომის ფორმების დამკვიდრებამ, საკოლმეურნეო წყობილების ადრინდელი სახის შენარჩუნებამ. მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს შრომაში გამორჩეული ადამიანების დამსახურებას, სოფლისადმი მათ ამაგს, არ ნიშნავს მოპოვებულ წარმატებებში მათი წვლილის უგულებელყოფას. მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდია ასობით ადამიანის ამაგი. ბევრი მათგანი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ამჟამად ეს ვერ მოხერხდა და მონოგრაფიას მხოლოდ მათ სიებს ვურთავთ (იხ.დანართები).

მონოგრაფიის დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ბოლო წლებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები მოითხოვენ ურთულესი საზოგადოებრივი მოვლენების სპეციალურ შესწავლასა და ანალიზს. ეს შესაძლებელი იქნება პრივატიზაციის დამთავრების, გარდამავალი პერიოდის გავლის, პოლიტიკური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ, როცა უფრო ნათელი გახდება პარტიებისა და ცალკეულ პიროვნებათა ქედმაღლური, ჭკუისმასწავლებლური და დამრიგებლური თუ უპრეტენზიო, ობიექტურ ანალიზზე დამყარებული მოღვაწეობის, ფრთხილი და მოქნილი პოლიტიკის შედეგები, პოლიტიკური ორიენტაციისა და პოლიტიკური პროგნოზების სისწორე. ამ პროცესების განვითარება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, უთუოდ გამოკვეთილ ხასიათს მისცემს ადამიანთა ახალ ურთიერთობებს, ეკონომიკურ კავშირებს, მიწებისადმი ფერძერების დამოკიდებულებას. ეს უკვე სოფლის ისტორიის თვისობრივად სრულიად ახალი ეტაპია, ცალკე შესწავლისა და განზოგადოების საგანია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. საქართველოს რუკაზე საუკუნეების განმავლობაში ბევრი ახალი დასახლება გაჩნდა. დიდი ისტორიული წარსულის მქონე სოფელი არც ისე ბევრია. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს გურიანთას, რომელიც იქცა გურიის ცენტრად, მის "დედაქალაქად". "გურიანთის ქვეყანამ" (აერთიანებდა მრავალ სოფელს) შორს გაითქვა სახელი.

წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილი და გაანალიზებულია დიდძალი საარქივო და დოკუმენტური მასალების, მეცნიერული ნაშრომების, პერიოდიკისა და მემუარული ლიტერატურის საყურადღებო მონაცემები, რომელთა საფუძველზე დაზუსტებულია და დადგენილია მრავალი მოვლენა, ფაქტი და თარიღი.

2. გურიანთის "სამოურაო" და "საპოლიციო" მოიცავდა "დიდ გურიანთას", რომელიც ტერიტორიით ლანჩხუთს ჭარბობდა და ოზურგეთის მაზრის მთელი ტერიტორიის თითქმის მესამედს უდრიდა."გურიანთის ქვეყანა" მაზრაში გამოირჩეოდა თავისი ადგილმდებარეობითა და ყველაზე კომპაქტური დასახლებით, ეკონომიკით, განათლებით, კულტურითა და ისტორიული ძეგლებით. მან უდიდესი როლი შეასრულა მხარის განვითარებაში.

3. ეთნოგრაფიული მასალების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ გურიანთაში, ერთი მხრივ გაბატონებული იყო გურიის საერთო ყოფა და კულტურა, მეორე მხრივ, სოფელს ჰქონდა ზოგიერთი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ეთნოკულტურის განსხვავებული ფორმები. ახალი თაობის ვალია შეისწავლოს ჩვენი წინაპრების ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, ყოფა-ცხოვრების ნორმები და თავისებურებანი, რწმენა-წარმოდგენები, ჩაცმულობა, საქორწინო წეს-ჩვეულებები, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მიმდინარე ბრძოლა ძველისა ახალთან, პროგრესულთან, აღადგინოს ყოფაქცევის ზოგიერთი ნორმები, რაც ხელს შეუწყობს მივიწყებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღორძინებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებას, საზრიანობის, გამბედაობისა და გამომგონებლობის განვითარებას, შრომისა და გართობის ორგანიზაციას, "ზედმეტი დროის" მიზნობრივ გამოყენებას, "უსაქმურობის" ფსიქოლოგიის დაძლევას, სიახლის გრძნობის გამომუშავებას.

4. გურიანთაში განათლების მიღებაზე ოდიდანვე ოცნებობდნენ. მაგრამ მხოლოდ მე-19 საუკუნის მიწურულში მოხერხდა სკოლის გახსნა, რაც სოფლის ცხოვრებაში უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ბიძგი მიეცა წერა-კითხვის უცოდინარობის დაძლევას, განათლებაზე ზრუნვას, მასწავლებელთა კადრების მომზადებას, სამკითხველოსა და კლუბის გახსნას, კულტურის ამაღლებას, ადამიანის ფსიქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიაში გარდატეხის დასაწყისს. გაუჩნდათ სურვილი წაეკითხათ წიგნები, გაცნობოდნენ პრესას, ერთმანეთისათვის მოეთხროთ წაკითხულისა და განაგონის შესახებ. ასეთმა პათოსმა შედეგი გამოიღო. სოფელში იმატა წერა-კითხვის მცოდნეთა, სწავლულ პედაგოგთა, აგრონომების, ინჟინრების, ექიმებისა და განათლებულ ადამიანთა რიცხვმა. მაგრამ ბოლო წლებში ქვეყანაში დამკვიდრებულმა "დიპლომომანიამ" გურიანთაზეც მოახდინა უარყოფითი გავლენა. სოფელმა უნდა დაძლიოს ეს "ინფექციური" დაავადება, რომელიც საზოგადოებას სენად შეეყარა, და სახელი გაითქვას შრომასა და სწავლაში.

5. მაღალი ზნეობის ჩამოყალიბებაში, განათლებისა და კულტურის ამაღლებაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა ვაშნარის ციხე-ქალაქის, ციხისფერდისა და კახურის ეკლესიებმა. მეორე მხრივ, გურიანთის სამღვდელმთავროს (საწინამძღვროს) დაარსება ამ რეგიონის ერთ-ერთ ქრისტიანულ სარწმუნოებრივ მძლავრ ცენტრად აღიარებასაც მოასწავებდა (სხვადასხვა პერიოდში აერთიანებდა 13-დან 17-მდე ეკლესიას).

საბჭოთა პერიოდში ეკლესიების ნგრევამ და მორწმუნეთა დევნამ, ათეიზმის "ბობოქრობამ" შეცვალა ეკლესიისადმი ხალხის დამოკიდებულება, მაგრამ ქრისტიანული რწმენა ვერ ჩაკლა. ეს ჩანს რელიგიისაკენ დღევანდელი შემობრუნებიდან, რაც უკვე შეუქცევად პროცესად იქცა. ქრისტიანობის აღორძინებამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის სულიერ განწმენდას, სინდისის თავისუფლების ჭეშმარიტ დამკვიდრებას, ადამიანებს შორის კეთილი ურთიერთობების დამყარებას, შრომით აქტიურობას, სოფლის დაწინაურებას, შურიანობის დაძლევას, პატიებასა და შენდობას.

6. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ (1801 წ.) დამკვიდრებულმა მმართველობის სტრუქტურამ, ქართველი ხალხი მის წინააღმდეგ განაწყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიზნად ისახავდა დამოუკიდებლობის აღდგენასა და პოლიტიკური სისტემის სრულყოფას.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ხელისუფლება გურიანთაში გადავიდა თვითმმართველობის (თემსაბჭო) ხელში. მმართველობის ძველი სტრუქტურის მსხვრევა და ახლის შექმნა მტკივნეულად მიმდინარეობდა. თემსაბჭოსთან ერთად ფუნქციონირებდა პარტიული ბიურო (კომიტეტი), ხოლო 30-იანი წლებიდან კოლმეურნეობის გამგეობა, ამ "სამეულიდან" თავდაპირველად ფაქტიური ხელისუფლება ხელთ ეპყრა სოფლის საბჭოს (თემსაბჭო). მომდევნო პერიოდში მისი როლის თანდათან დაკნინების ხარჯზე ძლიერდებოდა პარტბიუროს "არაოფიციალური ხელისუფლება" და კოლმეურნეობის გამგეობის გავლენა. სოფლის წამყვან ფიგურებად კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პარტიული ლიდერი იქცა, სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ კი "ბოლო ადგილზე" გადაინაცვლა. ასე გაგრძელდა კოლმეურნეობის დაშლამდე. დღეს თვითმმართველობა გადასულია სოფლის საკრებულოსა და მისი გამგებლის ხელში. ამიერიდან მათზე ბევრად იქნება დამოკიდებული ხალხის ინტერესების დაცვა, სოფლის განვითარება.

7. 20-იან და 30-იან წლებში ქვეყანაში დაწყებული პოლიტიკური რეპრესიების ტალღა გურიანთასაც "მისწვდა". ადამიანების "შავ სიაში" შეტანამ, არჩევნებში ხმის უფლების ჩამორთმევამ, "გეგმაზომიერმა" განკულაკებამ, დაპატიმრებებმა და გადასახლებებმა სოფელში შიშისა და უნდობლობის ფსიქოლოგია დაამკვიდრა. შეიკვეცა ისედაც მცირე დემოკრატიული უფლებები, გაბატონდა მხოლოდ ერთი (მარქსისტულ-ლენინური) იდეოლოგია, აიკრძალა განსხვავებული მოსაზრებები, აზრის თავისუფალი გამოთქმა. დაშინებული და დათრგუნული ადამიანები უფრო გამგონენი და თვინიერნი გახდნენ.

8. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქალაქად ძველი წარმოებითი ურთიერთობის მსხვრევასა და სოციალისტურ გარდაქმნებს მოჰყვა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მიწის მფლობელთა დევნა-შევიწროვება, მთელი მიწების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება, კერძო საკუთრების გაუქმების თავბრუდამხვევი ტემპები, ყოვლად გაუმართლებელი განკულაკება. იძულებითმა მეთოდებმა სოფელი ააფორიაქა. მაგრამ, მომდევნო პერიოდებში კოლმეურნეობის მიღწევებმა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებამ, საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გაუმჯობესებამ მისი უმრავლესობა საკოლმეურნეო წყობილებისადმი ლოიალურად განაწყო. იმატა შეძლებული ოჯახების რაოდენობამ, იკლო უკმაყოფილოთა და განაწყენებულთა რიცხვმა. ასეთ პირობებში კოლმეურნეობის მოუფიქრებელმა ნგრევამ, ქონების განიავება-დატაცებამ, "ულუკმაპუროდ" დარჩენამ სოფლის მოსახლეობა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ახლა მდგომარეობიდან გამოსვლა, უპირველეს ყოვლისა, თვით სოფლის ძალისხმევაზეა დამოკიდებული. საბაზრო ეკონომიკის დანერგვისას საქმის გამოსასწორებლად სახელმწიფოს უშუალოდ ჩარევის მოლოდინს დადებითი შედეგები არ მოჰყვება. ასეთია კაპიტალიზმის ბუნება.

9. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება მოპოვებული იქნა დიდი მსხვერპლის ფასად. ფაშიზმის დამარცხებაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა გურიანთამაც. ერთ მძლავრ მუშტად შეკრულმა სოფლის მოსახლეობამ გამოავლინა უდიდესი ნებისყოფა, გაჭირვებისა და სიძნელეების გადატანის, ფრონტისათვის მთელი ძალებისა და რესურსების მობილიზების არაჩვეულებრივი უნარი, გამოაწრთო იგი სულიერად და მორალურად. გაღებული დიდი მსხვერპლი თავისებური

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხსენებაა თავდადებისა და ერთიანობის უძლეველობისა, საქართველოს კვლავაც იხსნის მუხლჩაუხრელი შრომა და სამშობლოს დაუოკებელი სიყვარული, შეჭმარიტი პატრიოტიზმი, ქვეყნისადმი თავდადება და ერთგულება.

10. სოფელს სიძნელეებს უქმნიდა კონტროლს დაუქვემდებარებელი მიგრაციული პროცესები. გარკვეული მატერიალური წახალისება საკმარისი არ აღმოჩნდა დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებისათვის. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ეკონომიკურმა აღორძინებამ ხელი უნდა შეუწყოს მიგრაციული პროცესების სტაბილიზაციასა და დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

გურიანთაში ისტორიულად დაინერგა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები: მესიმინდეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, მებოსტნეობა. გაშენდა აგრეთვე ტუნგო, ბამბუკი. მოჰყავდათ ღომის მარცვლეული, ბრინჯი, ჭვავი, განვითარებული იყო მეცხოველეობა, მეფუტკრეობა.

კოლექტივიზაციის გატარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეჩაიეობას, რომელიც იქცა სოფლის შემოსავლის უმთავრეს წყაროდ, მოსახლეობის მატერიალური და სოციალური პირობების გაუმჯობესების უმძლავრეს ბერკეტად, მაგრამ მივიწყებას მიეცა ადრე დანერგილი სოფლის მეურნეობის მთელი რიგი ძვირფასი კულტურები. ახლანდელი თაობის ამოცანაა ააღორძინოს მივიწყებული დარგები, ხელაღებით არ უარყოს ყველაფერი ძველი, პრობლემების გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, ნოვატორულად, დანერგოს სიახლეები, გამოავლინოს ინიციატივა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით პირადი ინტერესების უპირველეს დაცვასთან ერთად არ დაივიწყოს სახელმწიფოს ინტერესებიც, იყოს სოფლის მდიდარი ისტორიისა და ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, მისი აღმშენებლობის აქტიური მონაწილე.

12. დაბოლოს, ჩვენი ღრმა რწმენით, წინამდებარე ნაშრომი მკითხველს მისცემს გარკვეულ ცოდნას გურიანთის ისტორიის საკვანძო პრობლემებზე, მისი განვითარების გზებსა და შრომის ორგანიზაციის ფორმებზე, წარმატებებზე, მიღწევებსა და შეცდომებზე, მამა-პაპათა მისიაზე, მათი მოღვაწეობის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე. მას გარკვეული როლი აკისრია აგრეთვე, სანდო, ეჭვმიუტანელი მასალების მიწოდებით სოფლის მცხოვრებთ აღუძრას სურვილი განვითარების მიმართულებებისა და გზების არჩევისას გამოიჩინონ მეტი სიფხიზლე, გონიერება და აქტიურობა, კარგა გაიაზრონ, რომ ერის არსებობის განმსაზღვრელი ენასთან ერთად არის ისტორია, რომელიც წარმოუდგენელია სოფლის ისტორიის გარეშე.

მომავალი გვიჩვენებს, "გურიანთის ისტორია" გახდება თუ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის ცოდნის გაღრმავებისა და ინფორმაციის მიღების წყარო. ავტორის დიდი სურვილია მონოგრაფიამ თავისი როლი ამ მხრივაც შეასრულოს.

დანართი

გურიანთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები:

მალაზონია აკაკი (ორჯერ)	ბაღათურია შალვა
ჩხაიძე ლადიკო	სურგულაძე სერაპიონ
მუჯირი გიორგი	ბელიქანიძე პროკობი
მექვაბიშვილი იპოლიტე	პატარავა მიხეილ
ქათამიძე გრიგოლ	შეწირული ბორის
კვაჭაძე თეოფილე	გოგიბერიძე ქიშვარდი
კვაჭანტირაძე ვასო	ვაშაყმაძე ამირან
ნაკაიძე გრიშა	

მთავარი აგრონომები:

ჩხაიძე სერგო	ჩხაიძე სამშე
მჟავია ნიკიფორე	კომახიძე ნოდარ
სურგულაძე სერაპიონ	

მთავარი ბუხჰალტრები:

მეხუზლა ოლიფანტე	კვერღელიძე ალიოშა
მეხუზლა შალვა	ფასიეშვილი შაქრო
კვაჭანტირაძე შოთა	წიტაიშვილი ალექსანდრე

კოლმეურნეობის აპარატის მუშაკები

ბაქანიძე გერონტი	ვაშნაძე ნოდარ
გოგოტიშვილი ციალა	კალაძე იაკობ
ერქომაიშვილი მედიკო	კაჭახიძე ჯემალ
ვაშალომიძე მიშა	კვაჭაძე ავთო
ვაშნაძე ვანო	კვაჭანტირაძე ვალიკო
ვაშნაძე ოლეგ	კვაჭანტირაძე ფერიდე
ვაშნაძე თინა	კვერღელიძე ნაზი
ვაშნაძე გრიგოლ	კონწოლიძე ვარდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუბლაშვილი იზოლდა
მალაზონია კარლო
მალაზონია მზევინარ
მეხუზლა ლამარა
მუჯირი შაქრო
პაპავა შალვა
სალუქვაძე გენო
სკამკოჩაიშვილი კოლია
სურგულაძე მიშა
ტოტოჩავა მამია
ტოტოჩავა მიხეილ
ტულუში ტარიელ
ტულუში ჯულიეტა
ფასიეშვილი ლეილა
ქათამიძე ლელა
ქინქლაძე თამარ
შარაძე შუშანა
შარაშენიძე ქეთო
შარაშენიძე ვასილ
შეწირული გოგოლა
ჩხარტიშვილი დალი
ცერცვაძე გალინა
ჭეიშვილი აკაკი
ჭელიძე ლამზირა
ხავთასი გივი
ხინთიბიძე ვაჟა
ჯანაშია ლეილა

მთავარი ინქინრები:

ფასიეშვილი აკაკი
შარაძე პროკოფი
სკამკოჩაიშვილი ნიკოლოზ
კვაჭაძე მიხეილ
ტოტოჩავა ვახტანგ

სოფლის (თემის) საბჭოს თავმჯდომარეები:

როყვა მირიან
შეწირული კოწია
მალაზონია აკაკი
მეხუზლა ნიკიფორე
ჩიკაშუა კოწია
კვაჭაძე თეოფილე
არობელიძე ექვთიმე
ღათუნაშვილი იოსებ
მჟავია ბენია
ზოიძე ვალიკო
სურგულაძე ზინა
მალაზონია შალვა
მჟავია მამია
მალაზონია უშანგი
მუჯირი ალექსანდრე
კვაჭანტირაძე მამია
გიორგაძე ეთერ
არობელიძე ზაურ

სოფლის (თემის) საბჭოს მდივნები:

არობელიძე ექვთიმე
ბაჯელიძე მიხეილ
კვაჭანტირაძე ფერიდე
ლომთათიძე ლუბა
მეხუზლა ნიკიფორე
მჟავია ნიკიფორე
მჟავია დათიკო
ტოტოჩავა ნინა ვასილის ას.
ღლონტი თამარ
ღლონტი ციალა
ჩხაიძე რუსუდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიანთის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს (კომიტეტის) მდივნები:

დოლიძე მიხეილ
კვაჭანტირაძე ანტონ
კვაჭაძე თეოფილე
კვერღელიძე იაკინთე
კვერღელიძე ბახვა
კომახიძე ნოდარ
ლომაძე მიხეილ
მექვაბიშვილი იპოლიტე
მუჯირი გიორგი
მუჯირი ალექსანდრე
პაპავა აგრაფინა
ჟღენტი დარეჯან
სურგულაძე ზინა
შარაძე ეგნატე
შარაძე შალვა
ჩხაიძე ლადიკო

ალკპ (კომკავშირის) მდივნები:

არაშიძე ნატო
გიორგაძე შოთა
დათუნაშვილი იოსებ
დოლიძე აკაკი
ზაქარიაძე კოკი
კაპანაძე მზიური
მჟავია კვიროსი
მჟავია გური
მეხუზლა მედეა
ჟღენტი დარეჯან
ტოტოჩავა სერგო
ტოტოჩავა მიხეილ
ურუშაძე ნანი
ქათამიძე დალი
შარაძე ჯემალ

გურიანთის გამგებლები:

არაშიძე ნატო
მჟავია მერაბ
ჩარქსელიანი რეზო

საკრებულოს აპარატის მუშაკები:

გუნთაიშვილი ლიანა
ვაშალომიძე ნინო
მექვაბიშვილი გულნარა
ჟღენტი დარეჯან
ღლონტი თამარ
შარაძე თამაზ
ჩხაიძე რუსუდან
ანჩაბაძე ვასასი
ჭელიძე ლამზირა

გურიანთის სკოლის დირექტორები:

არობელიძე ლავროსი
ბელიქანიძე პროკობი
ბოლქვაძე ალექსანდრე
გირკელიძე შალიკო
გობრონიძე თამაზ
გოლიაძე მარიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კილაძე კაკო
კილაძე ვერა
მგალობლიშვილი სერგო
ურუშაძე გერმანე
ქათამიძე დავით
ქილიფთარი გენო
შათირიშვილი იზოლდა
შეწირული ილარიონ
ჩხაიძე გრიგოლ
წივწივაძე ალექსანდრე
ხოხლენკო გივი

ზურიანთის სკოლის მასწავლებლები:

არაოშიძე სლავა
ბოლქვაძე თამაზ
ბურჭულაძე თამარ
ბურჭულაძე ქეთევან
გოგოლიშვილი ნანა
გაბუნია დარეჯან
გოგოტიშვილი თინა
დარჩია ჯულიეტა
დარჩია პატკუ
დარჩია თინა
დოლიძე სევასტი
დოლიძე ნუნუ
ზაქარიაძე დიომიდე
ზღულაძე ციური
კვაჭაძე ნინა
კვარაცხელია მარო
კვაჭანტირაძე მარინა
კვერენჩხილაძე ციალა
კილაძე ალექსანდრე
კომახიძე ეკა
კონტრიძე მარინა
კონწოლიძე გია
ლომჯარია ნათელა
ლომჯარია ლუბა
მალაზონია სერაპიონ
მალაზონია თეო
მალაზონია ნუგზარ
მალაზონია ელენე
მალაზონია მაია
მალაზონია ნინო
მალაზონია ინგა
მამულაიშვილი აკაკი
მეგრელიშვილი ირინა
მექვაბიშვილი მილორსი
მინდიაური თამარ
მჟავია ლია
მჟავია შოთა
ნიშნიანიძე ქეთინო
სანიკიძე მაგული
სახურია ნელი
სიამაშვილი ალიოშა
სალუქვაძე თინა
სალუქვაძე ალიოშა
სალუქვაძე გენო
სურგულაძე ლუბა
სურგულაძე ლილი
ტოტოჩავა კლარა
ტოტოჩავა თამარ ვასილის ას.
ტოტოჩავა თამარ სოლომონის ას.
ტოტოჩავა თინა
ტოტოჩავა მერი
ტუღუში მარინა
ტუღუში ვანო
ურუშაძე ნანი
ფერცულიანი დარეჯან
ქარჩავა ნელი
ქათამიძე ანიკო
ქუტიძე მარო
ქუტიძე შოთა
ღლონტი სუზანა
შარაძე გუგული
შარაძე ნანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანჩიბაძე ნადია
ჩიტაიშვილი ანიკო
ჩიტაიშვილი თამარ
ცეცხლაძე დარეჯან
წულაძე ლოლა
წიტაიშვილი მირიან
ჭყონია პანტელეიმონ

ციხისფერდის სკოლის დირექტორები:

გიორგაძე პართენ
ჩანჩიბაძე ნადია
არობელიძე ლავროსი
მუჯირი თამარ
მჭავია ბენია
მუჯირი ბადრი

ციხისფერდის სკოლის მასწავლებლები:

არობელიძე ალექსანდრა
ანდღულაძე ანა
ბრეგაძე ია
გაბედავა ლეონიდე
გიორგაძე პარმენ
გიორგაძე ვალერიან
გიორგაძე თინა
გორგილაძე ელენე
გუჯაბიძე ნანა
დათუნაშვილი თათრახან
დოლიძე აკაკი
ვასაძე დავით
ვასაძე იამზე
ვაჩნაძე მარადი
ზაქარიაძე დიომიდე
თალაკვაძე გიორგი
კვაჭაძე ქეთევან
კვაჭანტირაძე ნინო
კვიციანი ვალერიან
კილაძე ალექსანდრე
კიღურაძე შოთა
ლესელიძე თეო
ლომინაძე მერი
მენაბდე თინა
მუჯირი ქეთევან
მუჯირი ეკატერინე
მუჯირი ალექსანდრე
ნადირაძე ნინო
ნაკაიძე ჟუჟუნა
ჟღენტი ნანი
სალუქვაძე ერემი
სალუქვაძე ნარგიზი
სულაბერიძე ციური
ტუღუში ოლიფანტე
ტუღუში კონსტანტინე
ქათამიძე თამარ
ქარცივაძე ვლადიმერ
შავიშვილი გიორგი
შარაძე ნანა
ჩანჩიბაძე ლენა
ჩიჩიკოვი ნარგიზი
ჩურკვეიძე ზურაბ
ხმელიძე ნანა
ხომერიკი ილიკო
ჯაბუა მარგალიტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო ბაღის თანამშრომლები:

არობელიძე მაყვალა
დოლიძე ლიდა
თავბერიძე ნინა
კვაჭანტირაძე ლეილა
მალაზონია ნადია
მუჯირი გოგონა
ტოტოჩავა ქეთო
ფასიეშვილი სულიკო
ჩხაიძე ქეთევან
ჩხაიძე ნორა
ჩხაიძე გოგონა
ხინთიბიძე ნანული
ჩიკაშუა მზია

ექიმები:

ბაბუნაშვილი თამარ
ბერიძე ვახტანგ
გორგოშიძე სევასტი
ინწკირველი ბაბო
ზაქარიაძე ზურაბ (სტომატ.)
კვაჭაძე ლილი
ლომთათიძე მარო
მოლარიშვილი ალექსი
მახარაძე ვიქტორ
სალუქვაძე საბედო
ტოტოჩავა მარინა
ჩხაიძე გელა

ექთნები:

არობელიძე გულსუნდა
დოლიძე შოთა
დოლიძე ლიდა
ვაშნაძე ოლია
დოლიძე მარგალიტა
ზოიძე შურა
თავდიშვილი მიშა
კვაჭანტირაძე გოგუცა
კვაჭანტირაძე ნინო
ლიპარტელიანი ბაბუცა
მალაზონია ციალა
მჭავია ციალა
ჟღენტი ინგა
ჟღენრი ნარი
სურგულაძე ზინა
ტოტოჩავა ნინა სოლომონის ას.
ტოტოჩავა მარუსია
ტოტოჩავა აკაკი
ქინქლაძე გულიკო
ქუტიძე რეზო

ვეტექიმები:

ტოტოჩავა შიო
მჭავია გური
ვაშნაძე ოლეგ
ლობჟანიძე მანანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკითხველოს გამგეები:

ოავბერიძე გიორგი
ბაჯელიძე დარეჯან
დოლიძე ნუნუ
მეხუზლა ლუბა
მალაზონია ალექსანდრე
ტოტოჩავა ნინა ვასილის ას.
შეწირული ნათელა
ქათამიძე ცირა
ჩიტაიშვილი შურა
ჩიტაიშვილი ნორა

ბიბლიოთეკარები:

ბაჯელიძე ა.
გიორგაძე ნ.
დოლიძე ნ.
ტოტოჩავა ნ.ვ.
ქათამიძე ც.
ქურასბედიანი თ.

კლუბის გამგეები:

ბაჯელიძე აკაკი
ბაჯელიძე დარეჯან
ბაჯელიძე მიხეილ
ზაქარიაძე სოსო
იმედაძე მერაბ
იშხნელი ალისა
კვაჭანტირაძე ბიძინა
კვაჭანტირაძე შოთა
მოლარიშვილი თენგიზ
ჟღენტი თამაზ
ტოტოჩავა ნინა ვასილის ას.
ტოტოჩავა რეზო
ტოტოჩავა ლამარა
შარაძე ნუგზარ

ბრიგადირები:

დათუნაშვილი იოსებ
დოლიძე მიხაკო
ვაშნაძე ნოდარ
ვაშნაძე გრიშა
თოიძე აკაკი
თოიძე ზაურ
ზაქარიაძე ბარნაბ
ინარიძე ნოდარ
კალაძე იაკობ
კვაჭაძე ბადრი
კვაჭაძე რობერტ
კვაჭაძე აკაკი
კვირკველია აკაკი
კვირკველია ვალერი
კონწოლიძე ვარდენ
კომახიძე ნოდარ
ლომაძე მიხეილ
მალაზონია ალექსანდრე
მჭავია მამია
მუჯირი ალექსანდრე
ჟღენტი ილიკო
მუჯირი შაქრო
ტოტოჩავა ლადიკო
ტოტოჩავა პავლე
ტოტოჩავა როლანდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტოჩავა ნიკიფორე
ტოტოჩავა მიშა
ტოტოჩავა სოლომონ
ტოტოჩავა შოთა
ტუღუში მიხეილ
ტუღუში შოთა
ქათამიძე გრიგოლ
ქათამიძე კუკური
შარაძე სევერიან
ჩიკაშუა ირაკლი
ცერცვაძე ივანე
ჩხაიძე შოთა

მერგოლურები:

ამოშიძე ელენე
ამობელიძე ლუბა
ანდღულაძე ლიანა
ბაჯელიძე ეთერი
ბრეგაძე გრიშა
გახოკიძე შოთა
გულბიანი ლამზირა
ვაშნაძე ვლადიმერ
ზაქარიაძე მატრონე
თავბერიძე ნინა
ზღულაძე ნინა
თევზაძე ბიჭიკო
მუჯირი პავლე
ჟღენტი ანდრო
კვირჩილაძე შურა
კომახიძე კატუშა
კომახიძე შალვა
მალაზონია ეკა
მამულაშვილი ვალიკო
მურუსიძე თამაზ
რუსიძე ნინა
სიმონიშვილი ნათელა
კვერღელიძე ლეილა
ტოტოჩავა ვასილ
ტოტოჩავა შურა
ფასიეშვილი გულიკო
ქავჟარაძე ჭუჭუნა
შეწირული თეკლე
შეწირული სანდრო
ჩარქსელიანი ნინა
ჩიკაშუა კვიროსი
ცერცვაძე ონისიმე
ჭეიშვილი დავით
ჭეიშვილი გოგუცა
ჭეიშვილი რუბენ
ჭეიშვილი შოთა
ხომერიკი ვენიკო

ჩაის კრეფის მოწინავენი:

ამობელიძე შურა
ამობელიძე სონია
ამობელიძე მერი
ამობელიძე თინა
ამობელიძე ლუბა
ამობელიძე ზინა
ამობელიძე ჭუჭუნა
ამობელიძე ლამარა
ამობელიძე კატუშა
ამოშიძე ელენე
ამოშიძე კატია
ამოშიძე ნათელა
აღჯოიანი რიმა
ბარამიძე გოგუცა
ბრეგვაძე ლილი
ბარათაშვილი ადელი
ბაჯელიძე ეთერი
ბილიხოძე ლალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრეგვაძე გულო
გაჩეჩილაძე სონია
გაჩეჩილაძე ნასტია
გიორგაძე მაგული
გიორგაძე მარგალიტა
გოგიაშვილი თამარ
გულბიანი გოგუცა
გულბიანი ნაზი
გულბიანი ნათელა
გულბიანი ლეილა
გუჯაბიძე ჭუჭულა
დათუნაშვილი ოლია
დათუნაშვილი დარიკო
ერქომაიშვილი ქეთო
ვაშნაძე ნასტია
ვაშნაძე სონია
ვაშნაძე დარეჯან
ვაშნაძე თინა
ზაქარიაძე ჟუჟუნა
ზაქარიაძე კატო
ზაქარიაძე ნათელა
ზოიძე ჟენია
ზოიძე ნადია
ზღულაძე ნინა
თავდიშვილი იზოლდა
თევზაძე ლონდა
თევზაძე ვალოდია
თოიძე თეო
თოიძე ნორა
იმნაძე დოდო
კალანდაძე ნათელა
კაპანაძე ლოლა
კაცაძე მაყვალა
კვაჭაძე ელენე
კვაჭაძე ნათელა
კვერღელიძე ლამზირა
კვირკველია ლუბა
კვაჭანტირაძე ჟენია
კვაჭანტირაძე მარგალიტა
კვაჭანტირაძე კუკუნი
კვარაცხელია შუშანა
კვაჭაძე მაშო
კვირჩილაძე ნადია
კირკიტაძე ლოლა
კომახიძე მარო
კომახიძე ქეთო
კომახიძე ლიუდი
კომახიძე კატუშა
ლიპარტელიანი ი.
ლომაძე ეთერი
ლომაძე თინა
მანჯავიძე ნატაშა
მაისურაძე მერი
მალაზონია დალი
მალაზონია ნათელა
მალაზონია გალინა
მალაზონია შურა
მალაზონია ლიზა
მალაზონია გუგული
მამუდიანი ჟუჟუნა
მექვაბიშვილი ლოლა
მეხუზლა მაშო
მეხუზლა მარო
მეხუზლა ნორა
მოსიაშვილი ტასო
მურუსიძე მერი
მურუსიძე ნორა
მუჯირი ნაზი
მუჯირი ჟუჟუნა
მუჯირი ვერა
მუჯირი მარია
მუჯირი ქეთო
მუჯირი ეთერი
მუჯირი ციალა
მუჯირი მარუსია
მუჯირი ჩიტო
მუჯირი ლუბა
მჟავია ანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჟავია ლიანა
მჟავია ლიდა
ოქრობილაშვილი ლენა
პატარავა ოლია
ჟღენტი ჟუჟუნა
ჟღენტი ვალიდა
ჟღენტი მაგული
ჟღენტი ლამზირა
რევიშვილი ჟენია
სალუქვაძე თინა
ტეხოვა ლუბა
ტრაპაიძე მერი
ტოტოჩავა სულიკო
ტოტოჩავა ნუნუ
ტოტოჩავა დინარა
ტყებუჩავა მინადორა
ტყებუჩავა ნაზი
ტუღუში ლამარა
ტუღუში შურა
ტუღუში მაშო
ტუღუში ეთერი
ურუშაძე კატო
ფასიეშვილი ნათელა
ქათამიძე ზინა
ქათამიძე მაყვალა
ქათამიძე დიანა
ქათამიძე ლენა
ქათამიძე საშიკო
ქათამიძე ვალიკო
ქათამიძე ლია
ქათამიძე მარო
ქარცივაძე ვერა
ქუტიძე პასიკო
ღლონტი ეთერი
ღლონტი ნათელა
ყაველაშვილი ლილი

შარაშიძე ეთერი
შარაშიძე ლამზირა
შარაშიძე ნათელა
შალამბერიძე თამარა
შეწირული თეკლე
შეწირული ნელი
შეწირული თამარა
შეწირული ნარი
შეწირული ნუნუ
შეწირული ანეტა
შარაშენიძე რუსიკო
ჩარქსელიანი ოლინკა
ჩიკაშუა ნუნუ
ჩიკაშუა კატო
ჩიტაიშვილი ნათელა
ცინცაძე გალინა
ცერცვაძე ლენა
ცერცვაძე ვაჟა
ჭეიშვილი ციური
ჭეიშვილი გოგუცა
ჭეიშვილი ლიდა
ჭეიშვილი თამარ
ჭეიშვილი ელენე
ჭეიშვილი დავით
ჭეიშვილი ლოლა
ჭეიშვილი ნინა
ჭეფხოძე ნაზი
ჭეფხოძე ლია
ხავთასი ცაცა
ხავთასი ჯულიეტა
ხავთასი ლამზირა
ხავთასი ლოლა
ხარჩილაძე ლილი
ხრიკაძე ეთერი
ხურციძე ოლია
ხუჯაძე ლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავე მესიმინდეები:

გახოკიძე შოთა
გიორგაძე მარლენ
გულბიანი დათიკო
გულბიანი ვახტანგ
გურული შალიკო
დევდარიანი ვალიკო
დოლიძე შოთა
ვაშალომიძე მიშა
თოიძე აკაკი
კვაჭაძე სიმონ
კვაჭანტირაძე ამბაკო
კვირკველია აკაკი
ლომთათიძე ვასილ
მამულაშვილი ვალიკო
მალაზონია პოლიანტე
მალაზონია მარკიანე
ოქრობილაშვილი გიგლა
ჟღენტი ბენია
ჟღენტი ილიკო
ჟღენტი კუკური
სალუქვაძე მიხაკო
ტუღუში ლავრენტი
ფასიეშვილი შალვა
ქათამიძე სერგო
ქათამიძე ლადიკო
ქუტიძე მიხაკო
შეწირული არსენ
ჩიკაშუა არსენ
ჩიკაშუა ამბროსი
ჭეიშვილი გერმანე
ჯაში მიშა

მოწინავე მეაბრეშუმეები:

დოლიძე ფატი
დოლიძე ოლია
ვაშალომიძე ნინა
თოიძე თეა
კვირღელიძე ანა
მუჯირი ნინა
რუსიძე აღათი
ტოტოჩავა ლიუდი
ტოტოჩავა შურა
ტოტოჩავა მარო
შეწირული ვერა
ჩხაიძე ლეილა
ცერცვაძე მარო

ელექტრიფიკაციის, რადიოფიცირების, წყალგაყვანილობის, ტელეფონის საღგურის და ფოსტის მუშაკები:

არობელიძე დიმიტრი
ბელიქანიძე ბახვა
თავბერიძე რუბენ
ნოდია ოთარ
ტოტოჩავა მამია
ტოტოჩავა ლუბა
ტოტოჩავა ვაჟა
პოპოვი ფიოდორ
ქირაია მიშა
ქინქლაძე გური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიანთის ავტოპარკი:

კვარაცხელია თ. (დისპ.)
კვაჭანტირაძე ს. (ფარეხ. გამგე)
ურუშაძე ვ. (ინჟინერი)
ფასიეშვილი გ. (ინჟინერი)
ჩხაიძე შ. (ბრიგადირი)

მძღოლები:

ბილიხოძე ა.
გოგელია ნ.
ვაშნაძე მ.
კარპოვი ა.
ვაშნაძე ი.
კვაჭაძე რ.
კვაჭაძე ვ.
კვერღელიძე გ.
კვერღელიძე ს.
კვირკველია ვ.
ლომთათიძე ზ.
მალაზონია ს.
მჟავია ვ.
ჟღენტი გ.
რამიშვილი ვ.
ტოტოჩავა ე.
ტოტოჩავა შ.
ტოტოჩავა მ.
ფასიეშვილი რ.
ფასიეშვილი ი.
ქავჟარაძე ო.
ქავთარაძე ო.
შარაშენიძე ვ.
ჩიკაშუა ლ.
ჩიკაშუა გ.
ჩიტიძე ბ.
ჩიტიძე თ.
ჩიტიძე ზ.
ჩიტიძე შ.
წიქორიძე ქ.
ყაჭეიშვილი ა.
ხავთასი რ.
ხომერიკი დ.

გურიანთის ჩაის ფაბრიკის დირექტორები:

ანთიძე მიხეილ
არობელიძე ზურაბ
კვაჭაძე იური
მალაზონია ილია
მგელაძე ტოგო
ტაკიძე ვლადიმერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიანთის ჩაის ფაბრიკის თანამშრომლები:

არობელიძე ზაურ
არობელიძე იური
არობელიძე კოტე
ბარამიძე რამინი
ბარამიძე ჯემალ
ბურძგლა ნანი
გობრონიძე ნუნუ
გობრონიძე ვალერიან
ზაქარიაძე მამია
დოლიძე ვანო
კალანდაძე ლამარა
კალანდაძე იური
კვაჭაძე ლევან
კირკიტაძე ჯემალ
ლორია დოდო
მალაზონია ლადა
მალაზონია ემზარი
მუჯირი გურამ
მუჯირი ვიქტორ
ნიკოლაიშვილი შოთა
ტოტოჩავა ნუცუ
ტოტოჩავა გიზო
ტოტოჩავა ავთო
ტოტოჩავა შიო
ქავთარაძე ლეილა
ქავჟარაძე ვარდენ
შავიშვილი დარეჯან
შეწირული ალექსანდრე
შეწირული ირა
ჩიკაშუა ირაკლი
ცერცვაძე დიმიტრი
ჭეიშვილი კარლო
ჭეფხოძე გივი

J-26.359.

გამომცემლობის რედაქტორი: რუსუდან გამსახურდია
დამკაბადონებელი: მიხეილ თოდუა
ოპერატორები: ნათია კიკაჩეიშვილი
ზეინაბ ბაბუნაშვილი
ნანა მამულაშვილი
მანანა ჯაიანი

შეკვ. 518. საქკომ საზოგადოება "ფარნავაზი".
გრ. როგავიძის გამზ. 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1/40